

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

XII

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

XII

თბილისი
Tbilisi
2017

რედაქტორები:

თედო ღუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

Editors:

Tedo Dundua
Alexander Boshishvili

სარედაქციო კოლეგია:

მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)
ფარჰად ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)
მიხაილ ჩორეფი (რუსეთი)
ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)
გუნტის ზემიტისი (ლატვია)
რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიტვა)
ანჟეი პუქშტო (ლიტვა)
ჟაიმე დე ფერა ი ჟიზბერტი (ესპანეთი)
რობერტო მარტინ არანდა (ესპანეთი)

Editorial Board:

Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Shalva Gloveli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia
Hirotake Maeda (Japan)
Farhad Jabbarov (Azerbaijan)
Mikhail Choref (Russia)
Alireza Soleymanzadeh (Iran)
Guntis Zemītis (Latvia)
Rimvydas Petrauskas (Lithuania)
Andžej Pukšto (Lithuania)
Jaime de Ferrá y Gisbert (Spain)
Roberto Martín Aranda (Spain)

<http://geohistory.humanities.tsu.ge>

E-mail: geohistory@tsu.ge

შემდგენლები: თ. ღუნდუა, ა. ბოშიშვილი
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017

ISSN 1987-9970



მარია მ ლორთქიფანიძე 95 Mariam Lordkipanidze

შინაარსი
CONTENTS

ქეთევან ნადირაძე

მარიამ ლორთქიფანიძე და ისტორიული მეცნიერება 11

Ketevan Nadiradze

Mariam Lordkipanidze and Historical Science (Summary) 44

Tedo Dundua, Emil Avdaliani

Georgia (Colchis/Lazica and Iberia) within the Imperial Defense-Systems:
Roman and Early Byzantine Cases 45

მარია მშვილდაძე

ულპიას საბეჭდავი ბეჭდის შესწავლის საკითხისათვის 53

Marika Mshvildadze

For the Issue of Ulpia Seal Study (Summary) 61

Nino Silagadze

Georgia between West and East as Seen in the Fine Arts 62

მარიამ ჩხარტიშვილი

საქართველო V საუკუნის პირველ ნახევარში: ქართლის მეფე არჩილი 75

Mariam Chkhartishvili

Georgia in the First Half of Fifth Century: King of Kartli Archil (Summary) .. 108

ნესტან სულავა

წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული
ხატ-სახე (წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების მიხედვით) 111

Nestan Sulava

The Hagiographical Images of St. Iovane Athonite and Iovane-Tornike
(According to the Narrative by St. Giorgi Athonite) (Summary) 129

მიხეილ ბახტაძე

„დარბაზის“ არსებობის საკითხისათვის XI-XIV საუკუნეების საქართველოში 130

Mikheil Bakhtadze

Towards Issue of Existence of “Darbazi” in Georgia in 11th-14th Centuries (Summary) 154

მამუკა წურჭუბია

ცნობა საქართველოს შესახებ ფულხერიუს შარტრელის ქრონიკაში 156

Mamuka Tsurtsumia

Account of Fulcher of Chartres about Georgia (Summary) 163

ევგენი ჭანიშვილი

დავით IV აღმაშენებლის არაბულენოვანი მონეტის გარე წარწერა 165

Evgeni Tchanishvili

The Coins of David IV with the Arabic Legends (Summary) 171

ლერი თავაძე

სამკარის ციხე 172

Leri Tavadze

Samkari Fortress (Summary) 211

გიორგი სოსიაშვილი

საქართველოს საპატრიარქო და სოფელი ქორდი 213

Giorgi Sosiashvili

Georgian Patriarchate and the Kordi Village (Summary) 226

მაია შაორშაძე

ქართლის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ჩხეიძე) (XVII ს. 60-80-იანი წწ.) 227

Maia Shaorshadze

Nikoloz (Chkheidze) Archbishop of Kartli (60-80s of 17th Century)
(Summary) 238

აპოლონ თაბუაშვილი

XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სოციალური ისტორიიდან
(„სოფლის ნასყიდის“ გაგებისათვის) 239

Apolon Tabuashvili

From Social History of the 18th Century East Georgia (Towards the
Explanation of “Obtained by Village”) (Summary) 248

დimitრი შველიძე

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის წარმოშობის შესახებ 249

Dimitri Shvelidze

Iliа Chavchavadze on the Origin of the Georgian Nation (Summary) 269

ელენე გოგიაშვილი

გაზეთ „კავკაზის“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებიდან
(1846-1918) 271

Elene Gogiashvili

Folkloric and Ethnographical Materials in the Newspaper “Kavkaz” (1846-
1918) (Summary) 279

ნინო სიმონიშვილი

ისტორიას, კოლექციონერებს, მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის: შუა
საუკუნეების ქართული სახარების ყდის იდენტიფიკაციისათვის
საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმის ფოტოარქივიდან 280

Nino Simonishvili

Between History, Collectors, Science and Politics: *The Identification of a
Medieval Book Cover of the Four Gospels in the Photo Archive of Georgian
State Museum of Folk and Applied Art* (Summary) 320

ქეთევან ნადირაძე

მეცნიერება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლის სამსახურში 322

Ketevan Nadiradze

Science for Support of Restoration and Strengthening of Autocephaly of Georgian Church (Summary) 338

Фархад Джаббаров

Князь М. А. Накашидзе: организатор армяно-азербайджанской резни 1905 г. или жертва клеветы? 340

Farhad Jabbarov

Knyaz M. A. Nakashidze: Mastermind of Armenian-Azerbaijani Slaughter in 1905 or a Victim of Slander? (Summary) 351

ლელა სარალიძე

არისტიდ ბრიანი და კავკასიის ერთიანობის იდეა 352

Lela Saralidze

Aristide Briand and the Idea of Unity of the Caucasus (Summary) 366

თენგიზ სიმაშვილი

გიორგი გურჯიევი საქართველოში (1919-დან 1920-იან წლებში) 368

Tengiz Simashvili

Giorgi Gurdjiev in Georgia (From 1919 to 1920s) (Summary) 380

Nikolai Javakhishvili

Roman Suta in Georgia (From the History of the Later Period of the Life of a Latvian artist) 381

როლანდ თოფჩიშვილი

ქართველები თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონში (განსახლების არეალი) 412

Roland Topchishvili

The Georgians in the Marmara Sea Region of Turkey (Area of Settlement)
(Summary) 425

ნათია ფიფია, ქეთევან ციბინტია

რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკის შესახებ
სამეგრელოში („ხვამა“: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“) 427

Natia Phiphia, Ketevan Tsimintia

Some Practices Connected with Faith and Beliefs in Samegrelo (“*Khvama*”:
“*Okhvameri*” and “*Dunapiri*”) (Summary) 455

**საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences**

Tedo Dundua, Leri Tavadze

Georgian Coins with Byzantine Iconography and Imperial Titulature of the
Georgian Kings 457

ქეთევან ნადირაძე

მარიამ ლორთქიფანიძე და ისტორიული მეცნიერება

ისტორია ზუსტი მეცნიერებაა, ის წყაროებს უნდა ეყრდნობოდეს
და პოლიტიკური შეხედულებებით არ უნდა იწერებოდეს
მარიამ ლორთქიფანიძე

ისტორიოგრაფიული ძიებების დროს აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლა, რადგან ზოგადად მეცნიერების და კონკრეტულად ისტორიული მეცნიერების განვითარება, ისტორიული შემეცნების ხარისხი ვერ იქნება პიროვნების გარეშე პროცესი. ამ პროცესებში მონაწილეობენ გამოჩენილი მკვლევრები, რომლებიც, როგორც თავიანთი ეპოქის წარმომადგენლები, უფრო ადეკვატურად გადმოსცემენ ეპოქის იმ საზოგადოებრივ-კულტურულ სისტემას, რომელიც აყალიბებს კონკრეტული მკვლევრის შემოქმედებით პოტენციალს. ყოველი მნიშვნელოვანი ისტორიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ამავე დროს წარმოადგენს და განმარტავს ისტორიული მეცნიერების მაგისტრალური საკითხების განვითარებას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მეცნიერთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. შესაბამისად, მისი მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ ნებისმიერი ნააზრევი ყურადღებას იმსახურებს.¹ ვფიქრობთ, მკითხვე-

¹ თ. გომართელი. მეცნიერი, მოღვაწე, დედა. წგნ.: ცისფერი მედალიონები. თბ. 1996, გვ. 25-43; ნ. შოშიაშვილი, გ. ჯამბურია. ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, წგნ.: Dedication. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. რედ. ნ. ვაჩანაძე. თბ. 2001, გვ. 25-30; დ. კაციტაძე. მარიამ ლორთქიფანიძე, მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. კრ.: მარიამ ლორთქიფანიძე – 85. მთ. რედ. ვალერი სილოგავა. თბ. 2007, გვ. 60-64; რ. მეტრეველი. დეაწმომოსილი მეცნიერი, მოღვაწე: მარიამ ლორთქიფანიძეს 90 წელი შეუსრულდა. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“. 2012. 28/VIII; მ. ჩხარტიშვილი. მარიამ ლორთქიფანიძის შემოქმედება: ისტორიული რეპრეზენტაციის სტილის თავისებურებანი, ისტორიული რეპრეზენტა-

ლისათვის აგრეთვე ინტერსმოკლებული არ უნდა იყოს მოწაფის თვალთ დანახული მეცნიერი.

ისტორიას, როგორც მეცნიერებას ბევრი ფუნქცია აკისრია. სწორედ ამ ფუნქციათა გათვალისწინებით ვეცდებით ვიმსჯელოთ მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ, რომლის წარმოჩენასაც ემსახურება წინამდებარე ნარკვევი.²

I – ისტორიულ მეცნიერებას აქვს მსოფლმხედველობითი დატვირთვა, რადგან იგი ქმნის დოკუმენტურ მითხრობებს წარსულის მოვლენებზე. საზოგადოებრივ განვითარებაში ისტორიული ფაქტები ობიექტური რეალობაა. ფაქტოლოგიური მხარე წარმოადგენს ფუნდამენტს, რომელზეც დგას მეცნიერება საზოგადოების შესახებ. ისტორიული ფაქტების დადგენა მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, ფართო ცოდნასა და ნებისყოფას მოითხოვს. მოძიებული ფაქტების ანალიზის საფუძველზე კი ხდება წარსულის რეკონსტრუქცია. ეს ძალიან დიდი და შრომატევადი საქმეა. მით უფრო, როდესაც ისტორიკოსი მედიევისტკაში მუშაობს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლას, რომლის ფუძემდებელი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილია, ხოლო ამ საქმის გამგრძელებლები აკადემიკოსები – სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის, სიმონ ჯანაშიას მოწაფის, სამეცნიერო მოღვაწეობის ძირი-

ცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბ. 2014, გვ. 15-30 და სხვ.

² ბუნებრივია, როდესაც ისტორიის ფუნქციათა გათვალისწინებაზე ვსაუბრობთ, აქ უპირველესად პირობითობა იგულისხმება, რადგან უკანასკნელი თაობის ისტორიკოსების სამყარო საოცარი სისწრაფით ფართოვდება. შესაბამისად, მრავალფეროვანი და ურთიერთდაპირისპირებული დამოკიდებულება და შეხედულებები არსებობს ისტორიის დანიშნულების, შინაარსის, საკვლევი პრობლემების, ანალიზის, სინთეზისა თუ ზოგადად მეთოდების შესახებ. განსაკუთრებით ისტორიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა „ახლების სკოლის“ შემდეგ, როდესაც გაჩნდა ტერმინი „ახალი ისტორია“. ძირითადი აქცენტი გაკეთდა „ქვემოდან დანახული ისტორიის“ შესწავლაზე, რის გამოც ისტორიკოსები წარსულის შესახებ ახალ კითხვებს სვამენ, ირჩევენ ახალ საკვლევ პრობლემებს და ჩნდება მოთხოვნილება ახალი სახის წყაროების მოძიებისა და მრავალი სხვ. (მსჯელობა ისტორიული მეცნიერების პრობლემებზე იხ. წგნ.: „ისტორიის შესახებ“, შემდგენელ-რედაქტორი ქ. გურჩიანი. თბ. 2010), თუმცა ერთი მაინც მინდა აღვნიშნო: ისტორია რომ უპირველესად წარსულის შესწავლის ხელოვნებაა, ჯერჯერობით ეს არავის უარუყვია. ხოლო წარსულის შესწავლის აუცილებლობას რა ფუნქციას დავაკისრებთ და რა შინაარსს ჩავდებთ მასში, ეს უკვე, ვფიქრობ, თვითოეული ისტორიკოსის არჩევანზეა დამოკიდებული, რაც თავისთავად მეთოდოლოგიის არჩევასაც გულისხმობს. არჩევანის თავისუფლების დაცვა კი ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაც არის.

თადი სფეროა ქართული შუასაუკუნეები. თავის კვლევებში იგი ეხება შუასაუკუნეების საქართველოს თითქმის ყველა დარგს: პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურის ისტორიას, საქართველოს ურთიერთობას კავკასიის ხალხებთან, ბიზანტიასთან, არაბთა სახელმწიფოსთან და სხვა.³

ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ფეოდალიზმი გაიგივებულია შუა საუკუნეებთან. აღნიშნულ პერიოდში მიუხედავად იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური (მარქსისტულ-ლენინური) მონოპოლიის არსებობისა, ქართული ისტორიოგრაფია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ქართული შუასაუკუნეების შესწავლის საქმეში. ყურადღება ექცევა საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემასა და ადრეფეოდალური ხანის შესწავლას: ძირითადად შეთანხმდნენ, რომ ფეოდალიზმი ჩვენში იმარჯვებს VI საუკუნიდან. ფეოდალური ურთიერთობების განვითარება ორგანულად დაუკავშირეს მონათმფლობელობის კრიზისს, რამაც განაპირობა ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვა და მისი განვითარება. ყურადღება მიექცა აღნიშნულ პერიოდში, მწარმოებელი საზოგადოების დაყმევებასა და ამავე საზოგადოებაში თავისუფალ მეთემეთა არსებობას, ფეოდალის მიერ მიწის მიტაცებას და შემდგომში ფეოდალური საკუთრების განვითარებას. კერძოდ, მიწის მსხვილი ფეოდალური საკუთრების ჩამოყალიბებას. დაიწყო კვლევა სოციალური დიფერენციაციის საკითხებთან დაკავშირებით, არაბთა ბატონობის ხასიათის შესწავლა. ჩამოყალიბდა ადრეფეოდალური ხანის ძირითადი თავისებურებანი. წინ წამოიწია ის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, რომელთაც საბოლოოდ განაპირობეს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. უფრო გაფართოვდა კვლევები: ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული იერარქიის, ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება-განვითარებისა და მიწის ფეოდალური საკუთრების წესის, პერიოდიზაციისა და სახელმწიფო მმართველობის სისტემის საკითხების ირგვლივ. იკვლევდნენ ფეოდალური ურთიერთობების ცალკეულ ეტაპებს და მრავალი სხვა.⁴

³ ქ. ნადირაძე. მეცნიერის შრომა. კრ.: მარიამ ლორთქიფანიძე – 85, გვ. 65.

⁴ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი. ტ. I. თბ. 1979; ტ. II. თბ. 1983; ტ. III. 1982; ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I. თბ. 1949; ტ. II. თბ. 1952; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თ. II. თბ. 1965, ტ. V. თბ. 1971; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ. 1958; შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983; გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ. 1973 და მრავალი სხვ.

მ. ლორთქიფანიძემ ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის დროს განსაზღვრა თავისი სამეცნიერო კვლევების სფერო: ქართული შუასაუკუნეები. როგორც თავად იგონებს, ბატონმა სიმონ ჯანაშიამ აუხსნა, „რომ საჭირო იყო საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის ფართოდ გაშუქება. მან თავადვე შემოგვთავაზა თემები. მე საქართველოსა და არაბთა სახალიფოს ურთიერთობის ისტორია ავირჩიე... მაშინვე გადაწყდა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემა, როგორც საწყისი მომავალი მუშაობისა: თბილისის საამირო (არაბთა მფლობელობის ხანა)“.⁵ სწორედ ამ მიზნით, ქნმა მარიკამ დაიწყო არაბული ენის შესწავლა ცნობილ მეცნიერთან, აკადემიკოს გიორგი წერეთელთან.

ნაშრომში ქართული, სომხური და არაბული წერილობითი წყაროების საფუძველზე (განსაკუთრებით გამოყენებულია არაბული წყაროები მისივე თარგმანით) შესწავლილია არაბთა ბატონობის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულის – თბილისის საამიროს – ისტორია VIII-XI საუკუნეებში. აღნიშნულია, რომ „თბილისში ამირას დანიშვნას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა არაბთა მიერ დაპყრობილი ქართული ქვეყნის ცხოვრებაში. თბილისში საკუთარი მოხელის დანიშვნის ფაქტი უკვე არაბთა სიძლიერის მაუწყებელია.“ განსაზღვრულია საამიროს შექმნის პირობები, საზღვრები, მმართველობის ხასიათი, თბილისის ამირას პოლიტიკური ურთიერთობები არაბთა სახალიფოსთან, დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთავროებთან და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. დადგენილია ამირათა სამი დინასტიის: შუაბიანთა, შაიბანიანთა და ჯაფარიანთა მმართველობა, შედგენილია ამირების გენეალოგიური ნუსხა. მიუხედავად ნიკო ბერძენიშვილის რეკომენდაციისა, საკანდიდატო დისერტაცია (დაიცვა 1948 წელს) მან თავის დროზე წიგნად ვერ გამოსცა, მაგრამ სტატიების სახით გარკვეული ნაწილი პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა, ხოლო დიდი ნაწილი მის სადოქტორო დისერტაციაში შევიდა, რომელიც 1963 წელს დაიცვა, სათაურით „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური (IX-X სს.) გაერთიანება“.⁶

⁵ იხ. საქართველოს დიდი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე. შემდგენელი ლ. მელიქიშვილი. თბ. 2013, გვ. 37.

⁶ დისერტაცია იმავე წელს წიგნად დაისტამბა. იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური (IX-X სს.) გაერთიანება. თბ. 1963, ქვეთავი – თბილისის საამირო. გვ. 227-237. ნაშრომი, ასევე, შევიდა საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულში (ტ. II. თბ. 1973, გვ. 489-506).

სწორედ ზემოთ აღნიშნული საკანდიდატო დისერტაციის მცირე ნაწილია ჩვენ მიერ განსახილველი სტატია, რომელიც ნიმუშად გვინდა წარმოვადგინოთ, თუ როგორ იკვლევს ავტორი თვითოეულ საკითხს მიზნის მისაღწევად. სტატიაში შესწავლილია VIII-XIV საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში დამოწმებული ქალაქის მოხელეთა არაბული სახელწოდებანი: ამირა, შურტა, მუჰთასიბი, ამიდი, რეისი, მუშრიბი.⁷ როგორც ცნობილია, საქართველოს საქალაქო წყობილებაში არაბული სახელწოდების ინსტიტუტების შემოსვლის სხვადასხვა გზები არსებობდა; პირველი და უმთავრესი გზა – არაბთა მფლობელობა საქართველოში და თბილისის საამირო, მეორე – საქართველოს ურთიერთობა აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებთან. როგორც მკვლევარი თავად აღნიშნავს, მისი მიზანია, გაარკვიოს, თუ რა გზით შემოდის და რა თავისებურ (არაბულისგან განსხვავებული) სახეს იღებს ეს სახელწოდებები ინსტიტუტები ქართულ სინამდვილეში.⁸

ქართულ წერილობით წყაროებსა და სიგელ-გუჯრებში მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა, როგორც გათვალისწინებით, ასევე, განსხვავებული მიდგომით, არაბულ სამყაროში ამ მოხელეთა ფუნქციების განხილვისა და ანალოგიის გამოყენებით, მკვლევარი განსაზღვრავს ამ ინსტიტუტების ქართულ შინაარსს. ასევე, მიდის დასკვნამდე: ქალაქის მოხელეთა არაბული სახელწოდების ზემოთ დასახელებული ინსტიტუტები ამირასა და შურტას გამოკლებით ჩვენში თბილისის საამიროს გზით შემოდნან, რადგან ისინი ქართულ საბუთებში მხოლოდ თბილისის შემოერთების შემდეგ ჩნდებიან.

მკვლევარი მიიჩნევს: არაბული სახელმწიფოს შურტას ფუნქციებიდან (სახალიფოს კარზე საჰიბ აშ-შურატი ადმინისტრაციულ თანამდებობას წარმოადგენდა, რომლის უფლება-მოვალეობაში შედიოდა სასახლის გვარდიის სურსათ-სანოვავით მომარაგება და შენახვა; შემდეგ მისი შინაარსი დაემცრო და საქალაქო წყობილებაში საპოლიციო ფუნქციებით შემოიფარგლა; ბოლოს კი ქალაქში წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დაევალა) ქარ-

⁷ ამ ინსტიტუტების ნაწილი (ამირა, შურტა, მუშრიბი) თავდაპირველად განხილული აქვს ივ. ჯავახიშვილს: საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1907; ქართული სამართლის ისტორია, წგ. II; ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს., „პრომეთე“, 1918.

⁸ მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი). „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 143.

თულ სამოხელეო წყობილებაში დამკვიდრებულმა შურტამ, რომელიც ქართულ საბუთებში XI ს-დან იხსენიება, გადასახადის ამკრევის მოხელის და გარკვეულ რელიგიურ სფეროში სურსათის მომმარაგებლის დანიშნულება შეიძინა.⁹

პირველად მ. ლორთქიფანიძემ მიაქცია ყურადღება და შეისწავლა ქართულ საბუთებში მითითებული საქალაქო ინსტიტუტები: მუჰთასიბი, ამიდი და რეისი. მისი შეხედულებით: მუჰთასიბი (აღმოსავლეთის ქალაქში ევალებოდა თვალყურის დევნება და პასუხისმგებლობა ქალაქში შემოტანილ საქონელზე, ბაზრის წესრიგზე, ქუჩების კეთილმოწყობაზე, რელიგიურ და საყოფაცხოვრებო წესების დაცვაზე), ქართული საბუთების მიხედვით, ქალაქის მოხელეს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ თბილისის სინამდვილეში არსებობს. ქალაქის ბაზრის მეთვალყურეობა სწორედ მისი მოვალეობა უნდა ყოფილიყო. ამიდის ფუნქციების დასადგენად ქართულ საბუთებში ინფორმაცია არ მოიპოვება. აღმოსავლურ წყაროებში კი იგი სამდივანმწიგნობრო საქმიანობას უკავშირდება და სახელმწიფო საბუთების შედგენით უნდა ყოფილიყო დაკავებული. შესაბამისად, თბილისის შემოერთების შემდეგ იგივე ფუნქცია დარჩა. რეისი პასუხისმგებელი იყო ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა დარგზე ხელმწიფის წინაშე. მაგ., ის აკონტროლებდა ქალაქის მოსახლეობაზე დაკისრებული გადასახადების აკრეფას, რათა იგი მთლიანად ხაზინას ჩაბარებოდა. შესაძლებელია თბილისის შემოერთების შემდეგ, რეისი თბილისის ქართული მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენელია ქართული ხელისუფლების კარზე. საყურადღებოა ის, რომ არცერთი ეს მოხელე, თბილისის გარდა, სხვაგან არ გვხვდება და მალევე ქრება ქართულ წყაროებში.¹⁰

ქართულ სინამდვილეში მუშრების (აღმოსავლეთის ქალაქში ევალება: კარის შესანახად განკუთვნილი თანხის კონტროლი და ჯაშუშობა) მოვალეობას წარმოადგენდა ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის, სასახლის ქონების, კარის შესანახი ქონების აღწერა.¹¹

⁹ მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი), გვ. 148; ივ. ჯავახიშვილის განსხვავებული განმარტებით მას ეკისრა ქალაქში წესრიგის დაცვა და, სავარაუდოდ, ბაზრისა და ბაჟის ზედამხედველობა. ივ. ჯავახიშვილი ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2002, გვ. 709.

¹⁰ მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, გვ. 148-154.

¹¹ მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, სწორედ იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა მუშრებს აღმოსავლურ სამყაროში, ხოლო მისთვის ჯაშუშის როლის დაკისრება კი მერეხარისხოვანი მოვლენაა და უფრო გვიანდელიც (მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი), გვ. 155). ძირითადად, იგივე შე-

კვლევის შედეგად მ. ლორთქიფანიძე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: ქართულ სივრცეში არაბული სახელწოდების სამოხელეო ინსტიტუტების არსებობა, რომელიც, ძირითადად, თბილისშია დაფიქსირებული, არ უნდა ნიშნავდეს საქართველოს ქალაქების შინაგანი წყობილების მსგავსებას აღმოსავლეთის საქალაქო წყობილებასთან. სავარაუდოდ, ეს სამოხელეო ინსტიტუტები თბილისიდან საქართველოს სხვა ქალაქებში არ გადასულა და თბილისშიც მისი შემოერთების შემდეგ (1122წ.) დიდხანს ვერ შერჩა. მათ ჯერ შინაარსი შეიცვალეს ქართულ სინამდვილეში, ხოლო შემდეგ საერთოდ გაქრნენ და ადგილი ქართულ სამოხელეო ინსტიტუტებს დაუთმეს. თვით თბილისში მათი არსებობა მოკლე დროის განმავლობაში აქ მუსლიმური მოსახლეობის არსებობით უნდა ყოფილიყო განპირობებული.¹²

რაც შეეხება ამირას (არაბულად მბრძანებელი, მეთაური, მმართველი), როგორც ცნობილია, ეს სამოხელეო ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში VIII საუკუნიდან გვხვდება. ამ დროისათვის ამირებად მხოლოდ არაბი ხელისუფალნი არიან. XI საუკუნიდან ქართულ წყაროებში ამირა უკვე ქართველ ხელისუფალსაც ეწოდება. როგორც მ. ლორთქიფანიძე მიუთითებს: მართალია, თბილისისა და ქართლის ამირას ხელისუფლება თბილისის მუსლიმი ამირას მაგალითით არის განპირობებული, მაგრამ თუ თბილისის არაბი ამირა არის ციხის ჯარის უფროსიც და ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველიც, ქართველი თბილისის ამირა შემდგომი ხანის მოურავის უფლებითაა აღჭურვილი.¹³ შესაბამისად, მას გამგებლის ფუნქცია აკისრია. ე.ი. XI საუკუნიდან ამირა მხოლოდ სახელს ატარებს არაბულს, ხოლო შინაარსით ის ქართული ინსტიტუტია, დაასკვნის იგი.¹⁴

ხელულებისანი არიან მუშობის ფუნქციების განსაზღვრისას ივ. ჯავახიშვილი და ვ. გაბაშვილი. იხ. ივ. ჯავახიშვილი ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 480; ვ. გაბაშვილი. ქართლის სამეფოს სახელმწიფო წესწყობილება დასტურლამალის მიხედვით (საკანდიდატო დისერტაცია). თბ. 1942.

¹² მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი), გვ. 156; ვფიქრობ, მ. ლორთქიფანიძის აღნიშნული მოსაზრების გაშლა და უფრო მეტი საბუთიანობის მოძიება გასცემს პასუხს კითხვაზე, რომელიც დღესაც არსებობს, რამდენად იყო თბილისი თავისი შინაარსით აღმოსავლური ყაიდის ქალაქი.

¹³ ამირას ინსტიტუტის ამგვარი გააზრება პირველად ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს., „პრომეთე“. I. 1918.

¹⁴ მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი), გვ. 145.

მ. ლორთქიფანიძემ საგანგებო წერილები მიუძღვნა ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლას (ქართველები, სომხები, ალბანელები) არაბთა ბატონობის წინააღმდეგ და არაბთა მფლობელობის ხასიათის გარკვევას საქართველოში. ქართული, სომხური და არაბული წყაროების საფუძველზე, სომხური და ქართული ისტორიოგრაფიული ნაშრომების გათვალისწინებით და კრიტიკული მიდგომით იგი მიიჩნევს: სომხეთისგან (ასევე, ალბანეთისგან – ქ. ნ.) განსხვავებით, სადაც მიწა, მინდვრები, ტყეები, საძოვრები სახალიფოს საკუთრებად გამოცხადდა, სომეხ ნახარარებს მემკვიდრეობითი უფლება ჩამოერთვათ და ამ უფლებას ამიერიდან ხალიფა გასცემდა, საქართველოში (მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საამიროში, სავარაუდოდ, თავიდანვე უნდა შექმნილიყო ამირას განკარგულებაში მყოფი მიწების ფონდი და ვაკევი – მაჰმადიანური სალოცავების კუთვნილი მიწები) არაბთა „მფლობელობის“ დამყარების შედეგად არ გაუქმებულა არსებული ადგილობრივი მიწისმფლობელობა და მასთან დაკავშირებული საგადასახადო სისტემა. უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოში მიუხედავად მურვან ყრუს ლაშქრობისა, ეს მხარე არაბთა „მფლობელობის“ მიღმა დარჩა. სავარაუდოდ, არაბებმა საქართველოშიც იგივე მონინდომეს, რაც სომხეთსა და ალბანეთში. სწორედ არაბთა ეს პოლიტიკა გახდა ამ ქვეყნების ერთმანეთთან მოკავშირეობისა და სასტიკი ბრძოლის საფუძველი მათ წინააღმდეგ. საქართველოში პერმანენტულმა აჯანყებებმა და სახალიფოს დასუსტებამ ქართული მიწების თანდათანობითი განთავისუფლება მოიტანა, რასაც მკვლევარი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებას უკავშირებს.¹⁵

მკვლევრის მიზანი, დაადგინოს არაბ-ქართველთა ურთიერთობის ფორმისა და მფლობელობის ხასიათი, საკმაოდ გართულებულია, რადგან წყაროთა მონაცემები მწირია და ცალმხრივობით გამოირჩევა. განსაკუთრებით ეს ეხება პირველ პერიოდს. ამიტომაც იგი განსაკუთრებული მსჯელობის საგნად ხდის არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ-მასლამას მიერ გაცემული „დაცვის სიგელის“ შინაარსს, რომლის მიხედვითაც არკვევს, თუ რომელ ქართულ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა არაბთა გავლენა და რა საგადასახადო სისტემით სარგებლობდნენ ისინი.¹⁶

¹⁵ მ. ლორთქიფანიძე. სომეხი და ქართველი ხალხის ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. ნაკვ. I. თბ. 1958, გვ. 29-43.

¹⁶ „დაცვის სიგელი“, როგორც არაბთა და ქართველთა ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტი და მნიშვნელოვანი წყარო ამ ხანის საქართველოს ისტორიისათვის, დიდი ხანია მსჯელობის საგანს წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში და, შესაბამისად, განსხვავებული შეხედულებები არსებობს იმის თაობაზე, თუ ვის მიეცა პირველად: მთლიანად აღმოსავლეთ საქართვე-

ჩემი აზრით, მ. ლორთქიფანიძე, შესასწავლი საკითხის შესახებ წყაროთა სიმწირის პირობებში, საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს, ბუნებრივია, კონკრეტულ ვითარებასთან კავშირში: „...ასეთ დროს სახალიფო-საქართველოს ურთიერთობის ხასიათის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, საერთოდ, სახალიფოს პოლიტიკის გათვალისწინებას დაპყრობილი ხალხების მიმართ“. სწორედ ამიტომ მკვლევარი ფართოდ იხილავს ზოგადად არაბთა ბატონობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში და პარალელურად ავლებს ქართულ სინამდვილესთან.

საბოლოოდ, მ. ლორთქიფანიძე მიდის დასკვნამდე: VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან IX საუკუნის შუახანებამდე თბილისის საამირო არსებობდა, როგორც ბაღდადის სახალიფოს ერთ-ერთი პროვინციული ოლქი. ამ დროის განმავლობაში ბაღდადის ხალიფას ხელისუფლება საქართველოზე ამირას მეშვეობით ხორციელდებოდა. IX საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბ-ქართველთა ურთიერთობის ხასიათი საგრძნობლად იცვლება. თბილისის საამირო ამიერიდან სახალიფოსაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს. IX საუკუნეში თბილისის ამირას ხელისუფლებას უკვე შიდა ქართლიც გამოეყო და საამირო ქალაქ თბილისითა და ქვემო ქართლით შემოიფარგლა. ამიერიდან უკვე აღარ შეიძლება საუბარი საქართველოში არაბთა მფლობელობაზე. თბილისის საამირო ფაქტობრივად ადგილობრივი ფეოდალური სამთავროა, მსგავსი სხვა, ამ დროისათვის წარმოქმნილი ქართული სამთავროებისა (ტაო-კლარჯეთი, ეგრის-აფხაზეთი, კახეთ-ჰერეთი – ქ. ნ.), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხელისუფლება აქ მაჰმადიანი ამირების ხელშია. ამიერიდან თბილისის საამირო ებმება იმ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელიც ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებს.¹⁷

განსაკუთრებულად საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხი. სწორედ

ლოს მოსახლეობას, საკუთრივ ქართლის მცხოვრებლებს, თუ ქ. თბილისს. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1948, გვ. 70-72; ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში. შრომები. ტ. II. თბ. 1952, გვ. 364; ე. სიხარულიძე. არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 73. თბ. 1959, გვ. 167-184; მ. ლორთქიფანიძე. ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“. მსკი. ნაკვ. 29. თბ. 1951, გვ. 61-65 (მ. ლორთქიფანიძეს საკმაოდ მყარი არგუმენტების გათვალისწინებით, სიგელი ქართლის მოსახლეობისათვის გაცემულ დოკუმენტად მიაჩნია) და ა.შ.

¹⁷ მ. ლორთქიფანიძე. არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში. მსკი. ნაკვ. 34. თბ. 1963, გვ. 71-95.

აქედან იწყება ჩვენი სახელმწიფოს არსებობა პოლიტიკური სახელწოდებით – საქართველო. ბუნებრივია, ეს საკითხი მ. ლორთქიფანიძის ინტერესის მიღმა ვერ დარჩებოდა, თუნდაც მისი სამეცნიერო საქმიანობიდან გამოძინარე.

მკვლევარი თავის მორიგ ნაშრომში აღნიშნავს: „ფეოდალური საქართველოს გაერთიანებასა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას თავისი გარკვეული საფუძველი აქვს. ამ წერილის მიზანია საკითხის დასმის სახით წარმოაჩინოს ის წანამძღვრები, რომელთაც ფეოდალური საქართველო გაერთიანებადღე მიიყვანეს“.¹⁸

მ. ლორთქიფანიძის შეხედულებით ქვეყნის გაერთიანების საფუძველი, პირველ რიგში, მის ეკონომიკურ ვითარებაშია საძიებელი. შესაბამისად, იგი ვრცლად განიხილავს VIII-XII საუკუნეების განმავლობაში სამიწათმოქმედოდ გამოყენებული ფართობის გაზრდის, დაუძუშავებელი მიწების ათვისების, ახალი დასახლებების წარმოშობის საკითხებს; სამეურნეო, სააშენებლო და სხვა სახელოსნო ტექნიკის გაუმჯობესებისა და სარწყავი სისტემების გავრცელების გამოძწვევ მიზეზებს. ფაქტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით (ბასილი ზარზმელის, გიორგი მერჩულის, სუმბატ დავითის ძის და სხვათა მონაცემების, ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით) ისტორიულ სივრცეში აღადგენს იმდროინდელი საქართველოს სამეურნეო და სახელოსნო ცხოვრების სურათს. იგი მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს ქალაქების როლს ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური წინსვლის პროცესში. როგორც თავად აღნიშნავს, ვაჭრობის გარეშე ფეოდალის მეურნეობა თანდათან უმიზნო ხდებოდა, და სწორედ ამიტომ, რომ საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, ფეოდალიზმის ეპოქაში ქალაქების წარმოშობა და საქალაქო ცხოვრების გაცხოველება, სწორედ ქვეყნის საბოლოო ფეოდალიზაციის ხანას ემთხვევა.

მკვლევარს საქართველოს გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა ორ მთავარ ეტაპად ესახება.¹⁹ მისი აზრით, რადგან პირველი ეტაპი ქართული მიწების დიდი ნაწილის პოლიტიკური გაერ-

¹⁸ მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ. 1955, გვ. 431.

¹⁹ იგი წერს: „ერთი მხარეა ძირითადი ქართული მიწების გაერთიანება ერთი მეფის ხელქვეით და საფუძვლის ჩაყრა „საქართველოსთვის“, როგორც ერთიანი სახელმწიფოსთვის (ბაგრატ III), მეორე მხარეა „საქართველოს“ გარეთ დარჩენილი ქართული მიწების შემდგომი შემოერთება და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია, რაც ბაგრატ III-დან მოყოლებული დავით აღმაშენებლის ხანაში სრულდა“. იხ. მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, გვ. 431.

თიანებით სრულდება და პოლიტიკური წინ უსწრებს ეკონომიკურ გაერთიანებას, ამ პერიოდისათვის საქართველოში ქალაქები არ წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას. ხოლო გაერთიანების შემდეგ იქმნება რა ხელსაყრელი პირობები შემდგომი ეკონომიკური წინსვლისა და, კერძოდ, საქალაქო ცხოვრების დაწინაურებისათვის, იზრდება ქალაქების მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში. ქალაქები და მათი მოქალაქეები ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ძალად იქცევიან. მისივე აღნიშვნით, თითქოს ამ აზრის სისწორეს ეჭვქვეშ აყენებს თბილისის ბრძოლა დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ, თუმცა ამ მოვლენას თავისი ახსნა გააჩნია, რაც უპირველესად ამ ქალაქის დამოუკიდებლობითა და თვითმართველობით აიხსნება. ამ კერძო შემთხვევის განზოგადება არ შეიძლება, წერს იგი, რაც სავსებით მისაღები განმარტებაა.²⁰

ავტორი, ასევე, სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოს გაერთიანების ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ეკონომიკა ვერ დასახელდება. გაერთიანების ერთ-ერთი მიზეზი საგარეო ვითარებაშია საძიებელი. საგარეო საშიშროების ფაქტორი, უცხოელ დამპყრობთაგან თავდაცვის აუცილებლობა აჩქარებს აღნიშნულ პროცესს, რომელიც თავდაპირველად ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში იწყება. თუმცა გასათვალისწინებელია ერთიც: „მხოლოდ მტრის წინაშე შიში ქვეყანას ვერ გააერთიანებს. საქართველოს ადრეც და გვიანაც ბევრი მტერი ჰყოლია, მაგრამ ამან ის ვერ გააერთიანა, რადგან საამისოდ სხვა პირობები არ იყო ხელსაყრელი“.²¹

მკვლევარი განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ერთიანობის პროცესში ეკლესიას ანიჭებს. იგი წერს: აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას საეკლესიო ერთობა უსწრებდა წინ. ეს საეკლესიო ერთობა მწერლობაშიც პოვებს ანარეკლს. ქართული ეკლესია ცენტრალური ხელისუფლების მომხრეა, რადგან მასში საკუთარი სიძლიერის დასაყრდენს ხედავს. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში მელქისედეკ კათალიკოსს ენიჭება (ბაგრატ III და ბაგრატ IV თანამედროვე – ქ. ნ.).²²

საყურადღებოა მ. ლორთქიფანიძის საკმაოდ ფრთხილი განაცხადი საქართველოს გაერთიანების საქმეში ეროვნული თვითშეგნების როლის შესახებ. მისი ნააზრევი (და არა მხოლოდ მისი) დაახლოებით ასე გამოიყურება: გაერთიანებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წირვა-ლოცვა აღევლინება

²⁰ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, გვ. 432-440.

²¹ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, გვ. 444.

²² მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, გვ. 449.

ქართულ ენაზე, სახელმწიფო ენა არის ქართული, დამწერლობა ქართული, კულტურის ენა ქართული და ამ ქვეყანას საქართველო ჰქვია. ისმის კითხვა, ამ კომპონენტების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა ეროვნულ თვითშეგნებაზე საუბარი? ვფიქრობ, შესაძლებელია. ბუნებრივია, ქ-ნი მარიკაც იმავეს ფიქრობს, მაგარამ არჩევს, ამ საკითხის აქტუალიზაცია არ მოახდინოს. საყოველთაოდ ცნობილია, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მამების დამოკიდებულება ერებისა თუ ნაციონალური სახელმწიფოების და, შესაბამისად, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესთან დაკავშირებით, რომელსაც ფეოდალიზმის რღვევას და კაპიტალიზმის წარმოშობას უკავშირებენ. გასათვალისწინებელია ის, რომ ნაშრომი 1955 წელს დაიბეჭდა.²³

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების წინამძღვრების დადგენასთან დაკავშირებით მკვლევარი მიწისმფლობელობის ფორმების საკითხის განხილვითაც ინტერესდება. მას კონკრეტულად აინტერესებს მიწისმფლობელობის ის ფორმა, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციასა და, შესაბამისად, ფეოდალური საქართველოს გაერთიანებას. განიხილავს „სამამულო“ და „საკარგავის“, „წყალობა“ და „მეწყალების“, გლეხის „ფუძისა“ და „კომლის“ ურთიერთმიმართების საკითხს. მან თვალი გააღვენა მიწის საკუთრების ისეთი ფორმის არსებობასა და მის ევოლუციას, როგორცაა „აგარა“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართულმა „აგარაკმა“ განვითარების ისეთივე გზა განვლო, როგორც ევროპულმა „ალოდმა“.²⁴

სწორედ ზემოთ წარმოდგენილი ხანგრძლივი შრომის საბოლოო შედეგია, მ. ლორთქიფანიძის ჩვენ მიერ უკვე ნახსენები მონოგრაფია „ფეოდალუ-

²³ აღნიშნულ საკითხს მკვლევარი კვლავ უბრუნდება გარკვეული დროის შემდეგ. იგი წერს: ქართველთა ერთიანობის თეორიას საფუძვლად უდევს ქართველთა ეთნიკურ-ეროვნული ერთობის თვითშეგნება, რომელიც ძვ. წ. მეორე ათასწლეულიდან ყალიბდებოდა და ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნის დროს (ფარნავაზის ხანა, ძვ. წ. IV-III სს.) გამოიკვეთა. ამ თვითშეგნების განმტკიცების მნიშვნელობა უკავშირდება V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანას. აღრეშუასაუკუნოვან საქართველოში, მიუხედავად მისი პოლიტიკური დაშლილობისა, მყარი იყო ქართული ქვეყნების ერთიანობის შეგნება. ქართული ქვეყნების ერთიანობის კონცეფცია, ჩამოყალიბებული სახით, ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილ ე. წ. „მეფეთა ცხოვრებაშია“ წარმოდგენილი, რომელიც ფაქტობრივად დადასტურებულია XI ს. ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისას“ თხზულებაში. ეს კონცეფცია, რომ ბევრად აღრეა შემუშავებული, ვიდრე საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდებოდა, ამასვე ადასტურებს „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკა (იხ. მ. ლორთქიფანიძე. პოლიტიკური თეორია სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის შესახებ. ქართული დიპლომატია. წელიწადი. №6. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 1999, გვ. 41).

²⁴ მ. ლორთქიფანიძე. მიწისმფლობელობის საკითხისათვის IX-X სს. საქართველოში. მსკი. ნაკვ. 34. თბ. 1962, გვ. 3-23.

რი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. სადაც განსკუთრებული ადგილი ეთმობა ცალკეული სამეფო-სამთავროების შესწავლას. ამ აუცილებლობამდე მკვლევარი გარკვეულმა შეხედულებამ მიიყვანა, რომლის მიხედვითაც: ფეოდალური ქვეყნების გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიების შექმნის პროცესი, მსოფლიო ისტორიული მასშტაბით, მართალია, ძირითად ნაზებში საერთო მოვლენებით ხასიათდება, მაგრამ ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი თავისებურებები გააჩნია: ერთ-ერთ თავისებურებას ქართულ სინამდვილეში წარმოადგენს ის, რომ თუ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში ქვეყნის დანაწევრებული ნაწილების გაერთიანება ერთი ცენტრის გარშემო ხდება და გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლასაც მეტ-ნაკლებად პოლიტიკური ცენტრი ხელმძღვანელობს, ქართველი ხალხის ბრძოლა არაბი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ პერიფერიებიდან იწყება. სწორედ ამავე პერიფერიებიდან იწყება დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესი. უკვე ჩამოყალიბებული სამეფო-სამთავროები აწარმოებენ ბრძოლას ქვეყნის ცენტრალური რაიონისათვის („ქართლსა ზედა“ – ქ. ნ.) და მთელი ქვეყნის მასშტაბით „მეფის“ ხელისუფლებაც (სათავეში ბაგრატ III ბაგრატიონით – ქ. ნ.) ძირითადი რაიონების გაერთიანების შემდეგ იქმნება.²⁵ შესაბამისად, დგება საკითხი ქართული სამეფო-სამთავროების უფრო ფართოდ შესწავლისა, ვიდრე ეს იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო წარმოდგენილი.²⁶

საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით და ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულებების გათვალისწინებით მონოგრაფიაში განსაზღვრულია თვითოეული სამეფო-სამთავროს (კახეთ-ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, ეგრის-აფხაზეთი) საზღვრებისა და ცენტრების მონაცვლეობა საუკუნეების მიხედვით, მმართველობის ხასიათი, მმართველი დინასტიები; პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური მდგომარეობა, პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა – არაბთა სახალიფოსთან, ბიზანტიის იმპერიასთან, ადგილობრივ ცენტრალურ ხელისუფლე-

²⁵ მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 136.

²⁶ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თხზულებანი. ტ. II, თბ. 1983; ს. ჯანაშია. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. შრომები. ტ. V. თბ. 1987, გვ. 123-126, 131-135; ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. მიმოხილველი. ტ. III. თბ. 1953; გვ. 67-86 (თუმცა ამ სტატიაშია ძირითადი აქცენტი XI-XVIII სს. პოლიტიკურ ისტორიაზეა გაკეთებული); საქართველოს ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო. ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღუნდუა, მ. ლუმაბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატაიანი. თბ. 1958, გვ. 121-133.

ბასთან და თავად პოლიტიკურ ერთეულებს შორის. წამოჭრილი და განხილულია სხვადასხვა საკითხი: წანართა ვინაობა, ქორეპისკოპოსის სახელოს რაობა, პოლიტიკურ ტერმინ „ქართლის“ გაგებისათვის, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ დათარიღება, ბაგრატიონთა ლვითური წარმოშობის იდეოლოგია,²⁷ ეპოქისა და ისტორიული პირის ურთიერთმიმართების ფონზე მოვლენების ლოგიკური ახსნა და მრავალი სხვა.

ჩვენ მიერ განხილული საკითხები, რომელთაც იკვლევს აწარმოებს მ. ლორთქიფანიძე, ბუნებრივია, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად არ დასმულა,²⁸

²⁷ მართალია, ბაგრატიონებთან დაკავშირებით, შუა საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის თეორიული დასაბუთება დინასტიათა ლვითური წარმოშობის გზით საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში (მარკვარტი, ივ. ჯავახიშვილი, ექ. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია), მაგრამ დამოუკიდებლად საკითხი არ შესწავლილა. მოგვიანებით მ. ლორთქიფანიძემ საგანგებო წერილი მიუძღვნა ამ საკითხს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლვითური წარმოშობის თვალსაზრისის კვლევა იმ დროისათვის საკმაოდ უხერხულ ფაქტად ითვლებოდა, რაც კიდევ უფრო დასაფასებელს ხდის მკვლევრის გადაწყვეტილებას (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. ავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 144-149). ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თავად ავტორის მოვლენა. იგი წერს: „ერთ საზოგადოებრივ შეკრებაზე ერთმა შეღარებით ახალგაზრდამ საყვედური მითხრა, რატომ ვუწოდებ ამ სტატაიას „ლეგენდა“. გამეცინა, ვუთხარი, ჩემთვის მთავარი იყო გამოძეტანა ეს საკითხი, ხოლო „ლეგენდა“ რომ არ დამეწერა, სტატია ვერ გამოქვეყნდებოდა. მიუხედავად ამისა, მოკრძალებული საყვედური ამის გამო ბატონ ნიკოს (ნ. ბერძენიშვილი. კრებულის რედ. – ქ. ნ.) მაინც უთხრეს.“ მ. ლორთქიფანიძე. ჩემი გზა, თბ. 2007, გვ. 49.

²⁸ საქართველოს გაერთიანების პრობლემისადმი ინტერესი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ჩნდება და თითქმის ყველა ეპოქის ისტორიკოსი მსჯელობის საგნად იხდის, მათ შორის: უცნობი ისტორიკოსი, „მატიანე ქართლისა“ (XI ს.) (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955); ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973); დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი (თბ. 1889); მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია (თბ. 1895). ამ ნაშრომებში აღნიშნული საკითხი მხოლოდ სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლითა და ცალკეული პიროვნებების ინიციატივის შედეგად არის წარმოდგენილი. ივ. ჯავახიშვილმა პირველად გაერთიანების პრობლემა განიხილა არა როგორც ცალმხრივი ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც ვრცელი ისტორიულ პროცესი. გააფართოვა შინაარსობრივ-ქრონოლოგიური საზღვრები და იგი, ძირითადად, პოლიტიკურ სფეროში წარმოადგინა, ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1948; ს. ჯანაშიამ საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ ძირითად საკითხად ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა მიიჩნია (იხ. ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე (კონსპექტის პროექტი). შრომები. ტ. II. თბ. 1952); ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია მიწის ფეოდალიზაციას, თავისუფალ მწარმოებელთა გაგლეხებას, და კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებას (იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა. საქართველოს ისტორიის დამხ. სახელმძღვანელო. თბ. 1958); ქალაქების როლს გაერთიანების საკითხში წარმოაჩენს შ. მესხია (იხ. შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ფეოდალურ საქართველოში. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983) და სხვ.

მაგრამ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ: მეცნიერის უღაო დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოდ, გარდა ზემოთ წარმოჩენილი სიახლეებისა, ის, რომ თანმიმდევრულად აჩვენა ისტორიულ კონტექსტში პროცესების ევოლუცია, ქვეყნის გაერთიანების საფუძვლების კვლევაში მრავალფეროვნება შემოიტანა, ახალი წყაროებითა და არგუმენტებით გაამდიდრა, ე.ი. დასახული ამოცანის გადაჭრას კომპლექსურად შეეცადა და ეს როული და მნიშვნელოვანი პრობლემა მთლიანობაში გადმოსცა. შეიძლება ითქვას, რომ მკვლევრის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულებები ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დღესაც ძალაშია.

მ. ლორთქიფანიძე მომავალში უფრო ფართოდ ინტერესდება სოციალური ისტორიით. კერძოდ კი, VI-XIII საუკუნეების საქართველოში გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობით. ეს თემა, ზოგადად, იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში აქტუალურია იმდენად, რამდენადაც უპირველესად უკავშირდება ფეოდალიზმის ეტაპობრივად დამკვიდრებისა და ხასიათის გარკვევას.

ნაშრომში იგი განიხილავს გლეხის საკომლოს, საგლეხო მეურნეობას და საგლეხო ვალდებულებებს. ამ ნაშრომით მან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა IX ს. დასასრულის ე.წ. „ფავნელთა საბუთში“ გლეხის, როგორც სოციალური კატეგორიის დაფიქსირების ფაქტი, ხოლო „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ მონაცემთა გათვალისწინებით დაადასტურა, რომ IX საუკუნისათვის, შესაძლებელია უფრო ადრეც, გლეხობა ჩამოყალიბებულია, როგორც ერთიანი სოციალური ფენა და მიწაზეა მიმაგრებული. ყურადღება მიექცია გიორგი III-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი გაცემულ სიგელს, სადაც აღნიშნულია გლეხის გარკვეული ვალდებულებები მეფის სახლელის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს გლეხები ამავე სიგელის მიხედვით შეუვალლობით სარგებლობენ, როგორც შიომღვიმის მონასტრისადმი დაქვემდებარებულები და მრავალი სხვა.²⁹

მ. ლორთქიფანიძემ საგანგებო კვლევა მიუძღვნა V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორიას, რომელსაც იგი ვახტანგ გორგასლის ეპოქას უწოდებს, რადგან როგორც თავად აღნიშნავს, ამ პერიოდის ქართლის მნიშვნელოვანი მოვლენები მის სახელთანაა დაკავშირებული.³⁰

²⁹ მ. ლორთქიფანიძე, გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI-XIII სს.). წგნ. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. ნაწ. I თანავტორები: გ. აკოფაშვილი, დ. მეგრელიძე, თ. სოსელია. თბ. 1967, გვ. 19-69.

³⁰ მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში. თბ. 1979, გვ. 3.

საერთოდ, ვახტანგ გორგასალი და მისი მოღვაწეობა მუდმივი განსჯის საგანს წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს ბუნებრივია, რადგან V საუკუნის მეორე ნახევარი გარდამტეხი პერიოდია ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე. როგორია ამ ეპოქის დახასიათება? ერთი მხრივ, ინტენსიურად მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი, იწყება ზრუნვა ქართული მიწების გაერთიანებისათვის, ტარდება რეფორმები სამხედრო და სახელმწიფო მართვის სფეროში. მზადდება პირობები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსაპოვებლად. დიდი ყურადღება ექცევა სარწყავი სისტემების მშენებლობას, რომელიც პირდაპირპროპორციულია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებასთან, ხელისუფლება უშუალოდ ზრუნავს ქალაქების დაარსებაზე (უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი), რაც სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებას უწყობს ხელს, მიმდინარეობს ქართლის ახალი დედაქალაქის (თბილისი) გამაღებელი მშენებლობა. ეს ყველაფერი ემსახურება ქვეყნის ცენტრალიზაციასა და ხელისუფლების გაძლიერებას, რაც, საბოლოოდ, მიმართულია დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმეთა ინიციატორი სწორედ ვახტანგ გორგასალია. მეორე მხრივ კი, ქართულ სამეფოებს (ქართლი და ეგრისი) უხდება ბრძოლა ორი უძლიერესი სახელმწიფოს, სასანიდური ირანისა და ბიზანტიის, წინააღმდეგ. ძლიერდებიან მომთაბარე ტომები, რომლებიც დიდ პრობლემებს უქმნიან არა მხოლოდ ქართლის სამეფოს, არამედ ირანსა და ბიზანტიას. უფუნქციო ხდება ის სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ანტიკური ხანიდან ჩრდილო ინდოეთიდან შუა აზიაზე გავლით, კასპიის ზღვით, მდინარე მტკვრითა და ფაზისით შავ ზღვაზე გადიოდა და რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ანტიკური ხანის ქართული ქალაქების წარმოშობა-განვითარებაზე. ავტოკეფალიის შემოღება ახალი ეპარქიების დაარსებასა და მათ მშენებლობას ითხოვს. ამ დროს კი ქართლში არ იჭრება მონეტა, დაცემულია საერთაშორისო ვაჭრობა და ფულის მიმოქცევა. მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, ალბანეთი) გაუქმებულია მეფობა.

შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ვახტანგ გორგასლისა და მისი მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება განსხვავებულ შეფასებებს გულისხმობდეს. V საუკუნის უმნიშვნელოვანეს ავტორთან, იაკობ ხუცესთან, იგი არც კი მოიხსენიება. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებას, სახელწოდებით „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“, ეჭვის თვალით უყურებს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, რომელიც წერს: „იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო,

ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთს“.³¹ განსხვავებული შეფასებებია მისი ავტორის, ჯუანშერის, მოღვაწეობის პერიოდის მიმართაც და სხვ. ჩამონათვალის კი შორს წავიყვანდა.³²

ვფიქრობთ, გასაგები ხდება, აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, თუ როგორი ამოცანის წინაშე დგას ავტორი, რომელმაც ასეთი წინააღმდეგობებით სავსე ეპოქის შესწავლა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის წარდგინება გადაწყვიტა.

მკვლევრის პოზიცია თავიდანვე გარკვეულია, რომლის არსიც მოკლედ ასე გვესახება: ვახტანგ გორგასალი არის შემოქმედი არა მხოლოდ იმ ქართული ისტორიული სივრცისა, რომელშიც იგი მოღვაწეობდა, არამედ მისმა პოლიტიკურმა ალლომ, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო იმდროინდელი აღმოსავლური პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ფლობაზე, პრაგმატულმა ქმედებებმა (მაგ. ირანთან თანამშრომლობა), მასშტაბურმა რეფორმებმა (საეკლესიო, სამხედრო, სახელმწიფო მართვის სფეროებში), გადასატრეული პრობლემებისადმი სისტემურმა მიდგომამ (ჩრდილოკავკასიიდან გადმოსასვლელზე კონტროლის დაწესება, ირანის დახმარებით ოსეთზე ლაშქრობა, ირანის სახელით ქართული ტერიტორიების გაერთიანება, ბიზანტიის სამეფო კართან დამოყვრება და მისი კეთილგანწყობის მოპოვება და სხვ.), გარკვეულწილად განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს მომავალიც. უფრო მეტიც, მკვლევარი ეთნიკურ-ეროვნული ერთობის თვითშეგნების განმტკიცებას, რომელიც, მისი აზრით, ჯერ კიდევ ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან ყალიბდება, ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანას უკავშირებს.

ზემოთ თქმულის დადასტურებას ემსახურება მეცნიერის კვლევა-ძიება. ამისათვის იგი საინტერესო ხერხს მიმართავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ,

³¹ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. წ. I. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977, გვ. 192.

³² თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას ვაწყდებით – იყო ეს რეფორმა მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის არსებული კონფლიქტის შედეგი, თუ მეფის განზრახვამ გამწვავა ურთიერთობა მათ შორის. ვთქვათ, თუ კონფლიქტი კონფესიურ ნიადაგზე წარმოიშვა – რომელი მხარე წარმოადგენდა ქალკედონურ მრწამსს და რომელი მონოფიზიტურს. იქნებ კონფლიქტი მთავარეპისკოპოსის „ვერცხლისმოყვარეობის“ ნიადაგზე დაიბადა ან კიდევ მათ კონფლიქტს ძალაუფლებისთვის ბრძოლა ელო საფუძვლად. ავტორთა ჩამონათვალის კი საკმაოდ შტამბეჭდავია: თ. ჟორდანი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, ს. ჯანაშია, ნ. ჯანაშია, ზ. ალექსიძე, მ. ლორთქიფანიძე, ი. ლოლაშვილი, ნ. ლომოური, ვ. გოილაძე და სხვ. აქვე გვინდა მიუთითოთ ისიც, რომ თვით ვახტანგ I-ის მოღვაწეობის დათარიღება და მისი საგვარეულო კუთვნილებაც კი აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს ქმნის.

ვახტანგ გორგასლის მემატიანის, ჯუანშერის, მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ქართულ ისტორიოგრაფიაში, არადა მისი შრომის საფუძველზეა, ძირითადად, აღდგენილი V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორია. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ავტორი ვახტანგის მოღვაწეობისა და იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გადმოცემას ჯუანშერის შრომის თანმიმდევრულად იწყებს. მსჯელობს ჯუანშერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესახებ და მათ გამყარებას მის ხელთ არსებული წყაროებით ახდენს: ქართულით (იაკობ ხუცესი, მოქცევაჲ ქართლისაჲ, ეპიგრაფიკით – ბოლნისის სიონის წარწერები, აგიოგრაფიით – რაჟდენის წამება...), ბიზანტიურით (პრისკე პანიონელი), სომხურით (ლაზარ ფარპეცი); ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკურ და საეკლესიო ისტორიაში არსებული კვლევების გამოყენებით; ლოგიკური მსჯელობით, არგუმენტების მონაცვლეობით დამაჯერებელს ხდის როგორც ჯუანშერის, ასევე საკუთარ დამოკიდებულებას შესასწავლი საკითხის მიმართ. განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სადაო საკითხებთან დაკავშირებით (მაგ., ვახტანგ I მიერ ქართული მიწების გაერთიანების ჯუანშერისეული ვერსია) და ვარაუდებს გამოთქვამს ჯუანშერის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული მოსაზრებების მწვავე კრიტიკის გარეშე აღწევს მიზანს: ჯერ ახდენს ვახტანგის ისტორიკოსის რეაბილიტაციას, ხოლო შემდეგ მასზე დაყრდნობით წარმოაჩენს ვახტანგის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში, რომელსაც შემდგომი ეპოქის ქართველი მემატიანეების მოხმობითაც ამყარებს და მოჰყავს მათი თხზულებებიდან ამონარიდები. იგი წერს: „მატიანე ქართლისა“ ბაგრატ III-ის მაღალი შეფასების დროს დასძენს: „და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მის“, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნაკვირვალ ნუსხაში დავით აღმაშენებლის მისამართით კითხულობთ: „აქა დიდი და ღვთივ განბრძობილი დავით დაიბადა მსგავსი აღექსანდრესი და ვახტანგისებრი სუიანი და გამარჯვებული“, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი გიორგი III-ის მეფობის აღწერას ასე იწყებს: „აწ ვიწყო ძალისაებრ და ღონ მიწულომის ესე შვილისა ნათელ შემოსილისა მამა იგი გორგასლიანი, აღმასრულებელი ვახტანგისა ნეტარებათა“, ხოლო ველზე დაღუპული ლუარსაბ მეფის შესახებ „ახალი ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს: „მიიცვალა მეფე ლუარსაბ მოწამე, მსგავსი ვახტანგ გორგასლისა“. მკვლევარი აგრეთვე მნიშვნელოვან დატვირთვას აძლევს ვახტანგ I პიროვნების შეფასებისას ფოლკლორულ მასალას და სხვ.³³

³³ მ. ლორთქიფანიძე. ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 91-92.

ივ. ჯავახიშვილიდან დაწყებული ისტორიულ მეცნიერებაში ჩატარებულმა კვლევებმა, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი საბუშაოების შედეგად დაგროვილმა მასალამ, XX საუკუნის 70-იანი წლებისთვის, როგორც ჩანს, თავისთავად დააყენა საკითხი საქართველოს გაბმული ისტორიის ახლებურად დაწერისა, უძველესი დროიდან XX საუკუნის ჩათვლით. მართალია, ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი განმარტებულია, როგორც „საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა პერიოდის მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული შესწავლის დაწინაურებით“ განპირობებული მოთხოვნა,³⁴ მაგრამ ამ შემთხვევაში განმარტება არ არის მთავარი, მთავარი შედეგია. შედეგად კი მივიღეთ უდაოდ შთამბეჭდავი, სხვადასხვა ავტორთა მიერ შესრულებული „ნარკვევები“, რომელმაც შექმნა ერთი ეტაპი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. საზგასმით უნდა აღინიშნოს: „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის პირველი ოთხი ტომი დღესაც მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის. გაწეული შრომისათვის ავტორთა ჯგუფს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მარიამ ლორთქიფანიძემ დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში. მისი ავტორობით აქ წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდები. „ნარკვევების“ II ტომში (1973) შეტანილია ჩვენ მიერ უკვე განხილული მონოგრაფია, „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“, ბუნებრივია, გარკვეული ცვლილებებით. „ნარკვევებისთვის“ (ტ. III) დაწერილ თავში – „ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის“ – უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი ბაგრატ III-ის მოღვაწეობის დეტალები: მისი ბრძოლა იმ უფლებების რეალურად მოსაპოვებლად, რომელიც მას იურიდიულად ეკუთვნოდა, აქედან გამომდინარე კი მისი დამოკიდებულება საკუთარი სახლეულის, კლარჯ ხელისუფალთა მიმართ, დედის გურანდუხტის ქართლის მმართველობასთან დაკავშირებით, თავად დავით კურაპალატთან, რომლის ღვაწლიც დიდია საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში და ბაგრატის მეფედ კურთხევაში. მკვლევარი ბაგრატის ქმედებებს განიხილავს, როგორც სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე, წმინდა ადამიანური მორალის პოზიციიდან და არჩევანს, როგორც ისტორიკოსი, პირველის სასარგებლოდ მიანიშნებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეფო ტახტზე ასვლის ლეგიტიმაციის პრობლემას და

³⁴ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. რედ. გ. მელიქიშვილი. თბ. 1970, გვ. 13.

სახელმწიფოებრივი აზროვნების საუკეთესო გამოვლინებად მიიჩნევა დავით კურაპალატისა და ქართლის ერისმთავრის იოანე მარუშისძის ქმედებებს და მრავალი სხვ.³⁵

„ნარკვევების“ III ტომში (1979) გადმოცემულია XI-XV საუკუნეების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურის ისტორია. აქედან XI-XII საუკუნეების პოლიტიკური ვითარება მ. ლორთქიფანიძის მიერ არის შესრულებული. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ მოთხრობილია გიორგი I-დან მოყოლებული, დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების (თამარ მეფემდე) პოლიტიკური ურთიერთობები გარე სამყაროსთან, მნიშვნელოვანი ბრძოლების ისტორია ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, ქვეყნის შიდა პოლიტიკური დინებები და წინააღმდეგობები ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის, ქართული სახელმწიფოს მნიშვნელობა მთელი აღმოსავლეთისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო საზღვრების გაფართოების საკითხი და მრავალი სხვ. ეს ის საკითხებია, რომელთა შესწავლით დაინტერესებულია ყველა ის მკვლევარი (და არა მხოლოდ ქართველი), რომელიც მედიევსტიკას იკვლევს და იკვლევდა. დღემდე ხდება გარკვეული საკითხების გადასინჯვა, ზოგიერთ შემთხვევაში რამდენად არაუმენტირებულად, ეს უკვე სულ სხვა თემაა. ამ პერიოდის საქართველოს შესახებ წერენ არა მხოლოდ ქართველი მემატიანეები, არამედ უცხოელები. შესაბამისად, აღნიშნულ თემებზე მსჯელობა მოცემულ ფორმატში გაუმართლებლად გვეჩვენება. ვიტყვით მხოლოდ ერთს: ავტორი გასაოცრად სრულად ფლობს, როგორც საკითხის შესახებ არსებულ წყაროებს, ასევე, ისტორიოგრაფიულ ნაშრომებს, ახდენს ამ ინფორმაციის გადამუშავებას კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და საკუთარი ხედვით წარმოადგენს მთლიანად მთელ ეპოქას. მ. ლორთქიფანიძეს, ზემოთ აღნიშნული ეპოქის ამა თუ იმ საკითხის შესახებ, აქვს ცალკეული გამოკვლევები, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში სხვადასხვა დროს მის მიერ გამოქვეყნდა. მაგ., XII საუკუნის საქართველოს ფეოდალური მონარქიის კარის მოხელეთაგან სწავლობს „ვაზირთა“ და „უხ-

³⁵ სამი ათეული წლის შემდეგ ქუთაისის სიონის (ბაგრატიის) საკათედრო ტაძრის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით მ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ნარკვევი „მეფე ბაგრატ მესამე“ (ქუთაისი, 2002), სადაც თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით საინტერესოდ არის წარმონეწილი ბაგრატ III-ის, დავით კურაპალატისა და იოანე მარუშისძის პორტრეტული სახეები. ხაზგასმულია ბაგრატიონთა დინასტიის დამსახურება ქვეყნის წინაშე, რაც ავტორს მათი ხანგრძლივი ზეობის საფუძვლადაც ესახება.

უცესთა“ ურთიერთობის საკითხს. უთითებს რა ტერმინ „ვაზირის“ არაბულ წარმომავლობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისი შინაარსით იგი უშუალოდ უკავშირდება ქართულ უძველეს სამოხელეო ინსტიტუტს „უხუცესს“. „ამგვარად, ქართული ვაზირი და სავაზირო თავისთავადი მოვლენაა, აღმოცენებული, ძირითადად, „უხუცესთა“ ქართული ინსტიტუტიდან“, – წერს იგი.³⁶ წყაროთა უხვი გამოყენების საფუძველზე („ისტორიანი და აზმანი“, კარდან დიდი, მათე ურპაელი, მხითარ გომი, იბნ-ალ-ასირი, ალ-ფარიკი) მკვლევარი ზემოქმედებით აღწერს ანისისათვის გამართულ ბრძოლას საქართველოს მეფეთა მიერ მთელი XII საუკუნის განმავლობაში, როგორც მუსლიმ მმართველთა, ასევე, ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგ და საყურადღებო დასკვნებს აკეთებს. ამ სახით ქართულ ისტორიოგრაფიაში ანისისათვის ბრძოლა პირველად არის წარმოდგენილი.³⁷ ვფიქრობ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტატია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, რომელიც მან მოხსენების სახით 1972 წელს წაიკითხა ბუქარესტში, ბიზანტინისტთა საერთაშორისო კონგრესზე. სტატიაში ხაზგასმულია ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა როლი ბიზანტიაში პოლიტიკური ამინდის შექმნის თაობაზე. გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ „ბიზანტიის ისტორიის“ ავტორები ამ ფაქტებს უგულებელყოფენ და სხვ.³⁸

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს, დამოუკიდებელი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის გამო, ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე დაისვა საკითხი ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი საერთაშორისო და დიპლომატიური ურთიერთობათა საკითხების წარმოჩენის თაობაზე. ამ მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმდროინდელი რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა „ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“. სწორედ ამ ცენტრთან აქტიური თანამშრომლობის შედეგია მ. ლორთქიფანიძის მიერ ჩატარებული სამუშაოები V-XI საუკუნეების ქართლის სამეფოს, ქართული სამეფო-სამთავროებისა და სა-

³⁶ მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი (ვაზირი). მსკი. ნაკვ. 32. თბ. 1955, გვ. 73.

³⁷ მ. ლორთქიფანიძე. ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XII საუკუნის საქართველოში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 104-118.

³⁸ М. Д. Лордкипанидзе. Из истории Грузино-Византийских взаимоотношений на грани X-XI вв. წგნ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ. 1972, გვ. 31-42.

ხელმწიფო საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიის, მეფეთა და სამეფო კარის მოხელეთა დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ.³⁹

მ. ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ურბანიზმის კვლევებში. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქუთაისისა და თბილისის ისტორიების შესწავლას. მაგ. წინ წამოსწია ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს დელაქალაქის მნიშვნელობა; გამოიკვლია თბილისის წარმოშობა, დელაქალაქად გადაქცევის საფუძვლები, ქალაქის ისტორიული გეოგრაფიისა და განაშენიანების საკითხები, ქალაქის სამოხელეო აპარატი, შეეცადა ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობისა და მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის გარკვევას, აჩვენა თბილისი, როგორც განათლებისა და კულტურის კერა, მიმოიხილა ქალაქის არქიტექტურა. ანუ გაითვალისწინა ყველა ის კომპონენტი, რომელიც აუცილებელია საქალაქო ორგანიზმის სრულად წარმოჩენისთვის.⁴⁰

II – ისტორიის შინაარსს წარმოადგენს ისტორიული პროცესი, რომელიც გამოიხატება კაცობრიობის ცხოვრებაში. ამის შესახებ ცნობები შემორჩენილია ისტორიულ ძეგლებსა და წყაროებში. ამდენად, ისტორიკოსის კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას. წყაროების გამოვლენას, დამუშავებას, შესწავლას, თარგმნასა და გამოცემას.⁴¹

მარიამ ლორთქიფანიძემ არაბულიდან თარგმნა და გამოაქვეყნა (არაბული და ქართული ტექსტებით) ქართულ-არაბული ურთიერთობის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“, სათანადო გამოკვლევითა და შენიშვნებით.⁴² რუსულად თარგმნა, კომენტარები დაურთო და გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ორი თხზულება: „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძე – „ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატიონიანთა“.⁴³ შესრულებული სამუშაოსათვის მას აკად. ნიკო ბერძენიშ-

³⁹ იხ. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. მთ. რედ. რ. მეტრეველი. ტ. I. თბ. 1998. თავები: IV, VI, VII, VIII. თანავტორი ზ. პაპასქირი.

⁴⁰ იხ. წგნ. თბილისის ისტორია. რედ.: მ. ლუბაძე, ვ. გუჩუა. ტ. I. თბ. 1990. თავები: II, III; მ. ლორთქიფანიძე. ქუთაისის აღორძინება დასავლეთ საქართველოს დელაქალაქად (VII-VIII სს.). ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე. 1995. №4, გვ. 45-54. მ. ლორთქიფანიძე. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. თბ. 1994 (თანავტორები: ო. ლანჩავა, ო. ლორთქიფანიძე).

⁴¹ ქ. ნადირაძე. ისტორიოგრაფია – ისტორიული მეცნიერების ისტორია. თბ. 2007, გვ. 7.

⁴² მ. ლორთქიფანიძე. ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“, გვ. 61-65.

⁴³ Матиане Картелиса (Русский перевод, вступительная статья, примечания М. Д. Лордкипанидзе). Тб. 1976; Сумбат Давитис-дзе. История царского рода Багратиони (Русский перевод, вступительная статья, примечания М. Д. Лордкипанидзе). Тб. 1978.

ვილის სახელობის პრემია მიენიჭა. აღნიშნული თხზულებები მისივე რედაქტირებით შევიდა 2008 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ (გამოიცა ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი), რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით დაისტამბა.

მკვლევარი წყაროს პრაქტიკული შესწავლითაც არის დაკავებული: ერთ-ერთ სტატიამ იგი წყაროს თარგმანთან დაკავშირებით საინტერესო განმარტებას იძლევა: თუ რატომ არის სასურველი საკუთარი სახელები, მატინათა სათაურები, გეოგრაფიული და სოციალური ტერმინები თარგმანში შენარჩუნდეს დედნისეული ფორმით და თუ რატომ უნდა მოხდეს თავისი განმარტებებით, მათი თანამედროვე ფორმით წარმოდგენა „შენიშვნებში“.44 მან აგრეთვე საგანგებო კვლევა მიუძღვნა აგიოგრაფიული ნაწარმოებების, როგორც საისტორიო წყაროდ გამოყენებისა და მათი სანდოობის გარკვევას. შესაბამისად, იმსჯელა ნაწარმოებების დაწერის მიზნების, ამოცანების, ცნობათა სისწორისა თუ წერის მეთოდების შესახებ და მრავალი სხვ.45

III – ისტორიის, როგორც მეცნიერების, სავალდებულო ნაწილია მკვლევრის მემკვიდრეობის შესწავლა, რომელიც განიხილება იმ საკითხების ფონზე, რომელი საკითხებითაც იგი იყო დაინტერესებული. პიროვნების მემკვიდრეობისა და საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლა საშუალებას იძლევა, კარგად წარმოჩინდეს აზრის განვითარება. აზრის განვითარების წარმოჩენა აუცილებელია, რადგან მეცნიერული კვლევა მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული. კვლევის წარმატებულობა კი მეცნიერების წინსვლის გარანტიაა.46

სწორედ ამიტომ მარიამ ლორთქიფანიძემ საინტერესო შრომები მიუძღვნა: მარი ბროსეს, ივანე ჯავახიშვილს, აჩვენა საქართველოს ისტორიის უმთავრესი წიგნის „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ეტაპები და მისი მნიშვნელობა, დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს თემები შემთხვევით არ არის არჩეული მკვლევრის მიერ.

მართალია, ევროპაში ქართველოლოგიას რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონდა, მაგრამ როგორც მეცნიერულ დარგს, XIX საუკუნეში ჩაეყარა სა-

44 მ. ლორთქიფანიძე. კვლავ ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნის შესახებ. „მაცნე“. ისტორიის სერია. თბ. 1979. №4, გვ. 164-171.

45 იხ. მ. ლორთქიფანიძე. „ცხოვრებაი იოვანესი და ეფთემესი“ – გიორგი მთაწმინდელის და „ცხოვრებაი გიორგი მთაწმინდელისა“ გიორგი მცირის, როგორც საისტორიო წყარო. თსუ შრომები. №246. თბ. 1984, გვ.166-170.

46 ქ. ნადირაძე. ისტორიოგრაფია – ისტორიული მეცნიერების ისტორია, გვ. 12.

ფუძველი, რაც განპირობებული იყო შემდეგი ვითარებით: ამ დროისათვის ევროპის ბურჟუაზიას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ზედაპირული, მკრთალი აღწერილობითი ცნობები აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, იგი მოითხოვდა ამ ქვეყნების ღრმა და საფუძვლიან შესწავლას, მეცნიერულ გამოკვლევებს მათი ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამ მოთხოვნამ გააქტიურა ზრუნვა ორიენტალისტიკის განვითარებაზე.

ევროპაში ორიენტალისტიკის და, კერძოდ, ქართველოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზიური საზოგადოების დაარსებას (პარიზში დაარსდა 1822 წ., ლონდონში – 1823 წ., გერმანიაში – 1844 წ.). პარიზის აზიურმა საზოგადოებამ სამუშაო პროგრამაში საგანგებოდ შეიტანა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა. საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ჟურნალი, რომლის ფურცლებზეც ქვეყნდებოდა საქართველოსადმი მიძღვნილი საკითხები და მეცნიერული გამოკვლევები. ერთი სიტყვით, „სპეციალისტ – ქართველოლოგის გამოჩენისთვის ნიადაგი ყოველმხრივ შემზადებული იყო“. ეს ადგილი მარი ბროსემ დაიკავა, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია ქართული წყაროების შესწავლის, პოპულარიზაციისა და მათი სამეცნიერო გამოცემების მომზადებაში. ამით მან ახალ საფეხურზე აიყვანა ევროპული ქართველოლოგია.⁴⁷ სწორედ ამიტომ მარი ბროსეს წყაროთმცოდნეობითი კვლევის შესწავლას დიდი ყურადღება დაუთმო მ. ლორთქიფანიძემ და სათანადოდ დააფასა მისი ღვაწლი ქართველოლოგიის განვითარების საქმეში.⁴⁸

თუ რატომ მიუძღვნა მ. ლორთქიფანიძემ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას ნაშრომი, ბუნებრივია განმარტებას არ საჭიროებს. ივ. ჯავახიშვილის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით იწყება სრულიად ახალი ეპოქა, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლის დადასტურებაცაა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, ასევე, ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, რასაც საფუძველი ჩაუყარა მისმა სამეცნიერო მემკვიდრეობამ.⁴⁹ მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი შემდეგია: ივ. ჯავახიშვილის, არა როგორც ერთ კონკრეტულ ისტორიულ სივრცეში თუნდაც დიდი მოღვაწის ჩვენებას, არამედ მისი, როგორც ზოგადქართული ფენომენის გააზრებასა და წარმოჩენას ემსახურება მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი, რომელსაც იგი ასე ამთავრებს: „დღეს,

⁴⁷ ქ. ნადირაძე. ქართული ისტორიოგრაფია. თბ. 2012, გვ. 85-86.

⁴⁸ იხ. მ. ლორთქიფანიძე. მარი ბროსე და „ქართლის ცხოვრების“ ზოგი საკითხი. მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბ. 2005.

⁴⁹ ქ. ნადირაძე. ქართული ისტორიოგრაფია, გვ. 183.

როდესაც მაღლიერი ქართველი ხალხი ზემით აღნიშნავს ამ დიდ საიუბილეო თარიღს (100 წლის იუბილე – ქ. ნ.), გვაგონდება ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, ნათქვამი შოთა რუსთაველის მიმართ: „...კულტურის მოღვაწეთა და საზოგადოებას შორის ურთიერთი ვალდებულება მყარდება. მოღვაწე ქმნის და ამით თავისი მშობელი ერისადმი ვალდებულებას იხდის; მაგრამ თუ მის შემოქმედებას იმდენად დიდი ღირებულება აქვს, რომ თანამედროვეთათვის კი არა, არამედ შემდეგდროინდელ და მომდევნო საუკუნეთა თაობათათვისაც ძვირფას განძად რჩება, მაშინ მათაც, თავიანთ მხრივ, ამ მოღვაწის ხსოვნისადმი ზნეობრივი მოვალეობა უჩნდებათ, რომ მისი ქმნილება, მისგან დატოვებული განძი, ისევე შეურყევლად დაიცვან, როგორც თავის დროზე ავტორს ჰქონდა შექმნილი“.⁵⁰ ვფიქრობთ, ყველასთვის გასაგები პასაჟია.

ნაშრომი „ქართლის ცხოვრების“ შესახებ საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლა. ნაშრომში პრაქტიკულად სრულად არის გათვალისწინებული საუკუნეების განმავლობაში ჩატარებული ყველა ის სამუშაო, რომელიც ამ ძეგლის, როგორც საუკეთესო, სანდო წყაროდ წარმოიჩინას ემსახურება. გამოთქმულია ავტორისეული არა ერთი საინტერესო მოსაზრება არა მხოლოდ ამ სამუშაოთა შეფასების თვალსაზრისით, არამედ თავად კრებულისა და მასში შემავალ თხზულებებთან მიმართებით. არგუმენტირებულად არის გაბათილებული ის „ბრალდებები“ (თუნდაც ილიასეული ან ივ. ჯავახიშვილისეული), რომელიც ამ ძეგლის მიმართ არსებობდა და, ასევე, დანახულია ის უარყოფითი შედეგებიც, რომელიც ძეგლის შექმნას ბუნებრივად მოჰყვა.⁵¹

IV – ისტორიას პრაქტიკულ-პოლიტიკური ფუნქციაც აკისრია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ისტორიული მეცნიერება, ისტორიული ფაქტების თეორიული გააზრების ხარჯზე ავლენს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს. ეხმარება მეცნიერულ საფუძველზე პოლიტიკური კურსის გამომუშავებას, რაც სუბიექტური გადაწყვეტილებების შეზღუდვის გარკვეული გარანტიც არის.

მარიამ ლორთქიფანიძის მეცნიერული მემკვიდრეობა ისტორიის ამ ფუნქციასაც ითვალისწინებს. იგი დაინტერესებულია იმ პრობლემებით, რომელიც აქტუალურია არა მხოლოდ ისტორიულ, არამედ პოლიტიკურ კონტექს-

⁵⁰ მ. ლორთქიფანიძე. ივანე ჯავახიშვილი. თბ. 1976, გვ. 32.

⁵¹ იხ. მ. ლორთქიფანიძე. რა არის ქართლის ცხოვრება. თბ. 1989.

ტშიც. ამის საუკეთესო მაგალითია მისი შრომა „აფხაზები და აფხაზეთი“⁵² რომლისთვისაც ავტორი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიით დაჯილდოვდა.

ნარკვევის მიზანია, გასაგები მიზეზების გამო არა მთლიანად აფხაზეთის ისტორიის, არამედ კონკრეტულად ცნებების, „აფხაზეთის“ და „აფხაზების“, მნიშვნელობის განსაზღვრა, როგორც თანამედროვე გაგების თვალსაზრისით, ასევე, სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვაენოვანი წერილობითი წყაროების მიხედვით.

ავტორი თხრობის დროს ცდილობს ნეიტრალური პოზიცია შეინარჩუნოს, რადგან იგი პოლიტიკურად მტკივნეულ საკითხებზე მსჯელობს და მხოლოდ წყაროებზე, განსაკუთრებით უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით აკეთებს ამა თუ იმ ფაქტის კონსტატაციას (მაგ., ისტორიულ სივრცეში აფხაზთა ტომების საცხოვრისის ლოკალიზაცია). ხოლო იქ, სადაც ქართულ წყაროს იყენებს, შესაძლებლობის შემთხვევაში მისი შინაარსის გასამყარებლად აუცილებლად უცხოური წყაროთიც სარგებლობს. ვფიქრობ, სწორედ ასეთი ხერხით იგი აღადგენს ისეთ ისტორიულ სურათს, რომელიც საკითხით დაინტერესებული, ნეიტრალურად განწყობილი მკითხველისათვის დამაჯერებელია. დიახ, დამაჯერებელი და უტყუარი რეალობაა ის, რომ „აფხაზთა“ სამეფო ქართული (დასავლურქართული) სახელმწიფო იყო, სადაც თავისი ადგილი, როგორც ეგრებს, სვანებს, ქართვეს, ასევე, აფხაზებსაც ეკავა. ხოლო დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები XVII საუკუნეში ჩამოსახლებული აფსუები, ჩრდილოკავკასიური ტომები არიან, რომელთაც სხვა სამშობლო, გარდა აფხაზეთისა, აღარ გააჩნიათ“⁵³

ვფიქრობ, ასევე, ყურადსაღებია მეცნიერის კვლევებზე დამყარებული შეხედულება, ქართველთა გენეტიკური ერთიანობისა და ეროვნული თვითშეგნების ისტორიული საწყისების შესახებ, რომლის გათვალისწინებაც, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში სასურველი იქნებოდა.⁵⁴ სახელმწიფოს წარმატებით მართვის პროცესში, როგორც ისტორიულ, ასევე, თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში, მნიშვნელოვან ფაქტორს გამართული პოლიტიკური თეორიის არსებობა წარმოადგენს, რომელიც ხელისუფლების იდეოლოგიას მყარ

⁵² ქ. ნადირაძე. მეცნიერის შრომა. კრ.: მარიამ ლორთქიფანიძე – 85, გვ. 66.

⁵³ იხ. მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ. 2012.

⁵⁴ მ. ლორთქიფანიძე. „ქართველთა ერთიანობისათვის“. აღმანახი „ეროვნული ღირსებისათვის“. 2005. №1.

საფუძველს უქმნის. შეიძლება, დღეს შუა საუკუნეების პოლიტიკური თეორია იმდროინდელი სახით აღარ გამოგვადგეს, რის შესახებაც მსჯელობს მ. ლორთქიფანიძე, მაგრამ ისტორიულ ჭრილში ამ თემის წამოწვევამ იქნებ ეროვნული იდეოლოგიის არსებობის საჭიროება მაინც დაგვანახოს. აი, რას წერს მკვლევარი განსახილველი საკითხის შესახებ: „პოლიტიკური თეორია და სამეფო საგვარეულოს იდეოლოგია, რომელიც ადრეშუასაუკუნოვან საქართველოში ჩამოყალიბდა, არის ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით განსაზღვრული მთლიანი კონცეფცია“.⁵⁵

V – ისტორიას აგრეთვე გააჩნია უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიო ისტორიის ცოდნა აყალიბებს სამოქალაქო თვითშეგნებას, პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს; საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ მორალური ფასეულობანი; გავერკვეთ ისეთ კატეგორიებში, როგორც არის ღირსება, ვალდებულება ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე; დავინახოდ ადამიანისა და საზოგადოების მანკიერებანი, მათი გავლენა ადამიანთა ბედ-იღბალზე. ისტორიის სწორედ ამ ფუნქციის შესაბამისად მარიამ ლორთქიფანიძემ საკმაოდ დიდი შრომა გასწია საქართველოს ისტორიის სწავლებისა და პოპულარიზაციის საქმეში. იგი სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლის მრავალი სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორია.⁵⁶ მისი ნაშრომები, როგორც ზოგადი საქართველოს ისტორიის, ასევე, კონკრეტული ეპოქებისა და საკითხების შესახებ გამოცემულია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ თუ გერმანულ ენებზე.⁵⁷

წლების განმავლობაში მეცნიერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს სალექციო კურსებს: საქართველოს ზოგადი ისტორია, მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია, ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა. სწორედ სალექციო კურსის „ქართული ისტორიოგრაფიის“ შედეგია მისი მონოგრაფია „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, რომლის წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება მ. ლორთქიფანიძის, როგორც ლექტორის მიმზიდველობა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვისაც კი ცნობილია. წიგნში საერო

⁵⁵ იხ. მ. ლორთქიფანიძე. პოლიტიკური თეორია სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის შესახებ, გვ. 41.

⁵⁶ ქ. ნადირაძე. მეცნიერის შრომა. კრ.: მარიამ ლორთქიფანიძე – 85, გვ. 65.

⁵⁷ იხ. ნაშრომთა ბიბლიოგრაფია. გვ. 31-42, კრ.: მარიამ ლორთქიფანიძე – 85.

და სასულიერო მწერლობის განხილვის საფუძველზე წარმოდგენილია ქართული ისტორიული აზრის განვითარება. ვფიქრობთ, ავტორის უპირველესი მიზანია, მკითხველს (მსმენელს) დაანახოს ძველი ქართული მწერლობის როლი ზოგადქართული სააზროვნო სისტემის ჩამოყალიბებაში და ამით უფრო მეტად დაუახლოვოს თანამედროვეობას; რაც თავისთავად ალვივებს საკითხისადმი ინტერესს. ლექციის უპირველესი მიზანი კი საკითხისადმი ინტერესის გალვივებაა, რომლის უბადლო ოსტატიც არის ქ-ნი მარიკა. სწორედ ამიტომ, მისი ყოველი საჯარო გამოსვლა ნებისმიერი გემოვნების მსმენელის ყურადღებას იმსახურებს.⁵⁸

მ. ლორთქიფანიძეს დაწერილი აქვს წიგნი „რუსთაველის ეპოქა“, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: ავტორის მიზანია, არსებული მეცნიერული გამოკვლევებისა და საისტორიო წყაროების საფუძველზე შეადგინოს ახალგაზრდობისათვის საკითხავი წიგნი... რადგან ეს არის საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის, ფეოდალური ურთიერთობის მოწიფულობისა და ქართული ფეოდალური კულტურის განვითარების უმაღლესი საფეხურის ეპოქა.⁵⁹ ვფიქრობთ, საუკეთესო წარდგინებაა ახალგაზრდა მკითხველის წინაშე, რათა გულდასმით წაიკითხოს წიგნი საკუთარი ქვეყნის გამორჩეული ეპოქის შესახებ, ხოლო ავტორის განსწავლულობა იმედს იძლევა, რომ მკითხველი გულგრილი არ დარჩება აქ მოთხრობილი სამშობლო ისტორიის მიმართ.

მ. ლორთქიფანიძე ასორმოცდაათამდე საენციკლოპედიო სტატიის ავტორია. ზოგადად, ენციკლოპედიის მნიშვნელობას კარგად გამოხატავს პირველი ფრანგული ენციკლოპედიის ფუძემდებელი დენი დიდრო. იგი წერს: ენციკლოპედიის მიზანია მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ცოდნის მოგროვება, სისტემაში მოყვანა და მისი თანამედროვეობისათვის გადაცემა, რათა წინაპართა მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა შემდგომი საუკუნეებისათვის არ დაიკარგოს და ჩვენი შთამომავლები მათთვის შემონახული ცოდნის საფუძველზე უფრო მეტი სიკეთითა და ბედნიერებით აღივსონ. ენციკლოპედიის ასეთი ფუნქციის განსაზღვრის შემდეგ კიდევ უფრო მარტივად გასაგები ხდება პატარა ერისთვის თუ რა მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს მის წარსულსა თუ აწმყოში გაბნეული ცოდნის დაუნჯება.

მნიშვნელოვანია ისტორიულ მეცნიერებაში მარიამ ლორთქიფანიძის მიერ გაწეული შრომა. როგორია მისი კვლევის მეთოდი? ვფიქრობთ, დიალექ-

⁵⁸ იხ. მ. ლორთქიფანიძე. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბ. 1966.

⁵⁹ მ. ლორთქიფანიძე. რუსთაველის ეპოქა. თბ. 1966, გვ. 6.

ტიკურ-მატერიალისტური, რომლის მიხედვითაც საზოგადოების განვითარება ხდება, როგორც ბუნებრივი ისტორიული პროცესი. ეს კი განპირობებულია ობიექტური კანონზომიერებითა და სუბიექტური ფაქტორებით. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერუდიტია, ფლობს საკვლევი საკითხის შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას როგორც ისტორიული, ასევე ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, ახდენს არსებული წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზს, მაღალი პროფესიული კეთილსინდისიერებით უღებდა კვლევის პროცესს. საკუთარი ნააზრევის შედეგად მიღებული ახალი დებულებების დამკვიდრებას ცდილობს ევოლუციური გზით. კამათის დროს ყოველთვის ინარჩუნებს მეცნიერულ ეთიკას.⁶⁰ კვლევების პროცესში იგი ყოველთვის ითვალისწინებს, რომ წარსული მხოლოდ აწმყოს თვალთახედვით არის საინტერესო. მას კარგად ესმის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში, წარსულში წვდომით მიღებული ცოდნის უკეთესად გამოყენება წარმოადგენს ისტორიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას. სწორედ ამ ამოცანის პოპულარიზაციასაც ემსახურება მისი საჯარო გამოსვლები თუ საგაზეთო სტატიები.

ქ-ნი მარიკა მოგონებებში წერს: „რა დროიდანაც მეცნიერებაში შევეყავი თავი, სულ ვიყავი ჩაბმული იმ ორომტრიულში, რაც საქართველოს ისტორიის გარშემო ხდებოდა“.⁶¹ ამ აზრის დადასტურება მრავალი ფაქტით შეიძლება, რადგან მისი ცხოვრება სავსეა მსგავსი მაგალითებით. ამის შესახებ ბევრია თქმული.⁶² ამდენად გავიხსენებთ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს და დავამატებთ – მისი ინტერესის მიღმა არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საზოგადოებისათვის საინტერესო და საჭირობო საკითხი. იგი მუდამ მზად არის, თავისი ავტორიტეტი, რომლითაც უპირობოდ სარგებლობს არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებაში, არამედ მის საზღვრებს გარეთ, ეროვნული ინეტრესებისა და ეროვნული ისტორიის დასაცავად გამოიყენოს.

ქ-ნი მარიკა კომუნისტური რეჟიმის დროს კოლეგებთან ერთად აქტიურად იცავდა საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხს სკოლებში, როდესაც დადგა საშიშროება საკავშირო ხელისუფლების მიერ მოთხოვნისა, რომ საქართველოს ისტორია, როგორც დამოუკიდებელი საგანი გაეუქმებინათ და ესწავლებინათ „საბჭოთა კავშირის ისტორიის“ ფარგლებში. XX საუკუნის 70-იან წლებში საკავშირო ცეკა ამზადებდა პროექტს, რომლის საფუძ-

⁶⁰ ქ. ნადირაძე. მეცნიერის შრომა. კრ.: მარიამ ლორთქიფანიძე – 85, გვ. 67.

⁶¹ ქ. ლორთქიფანიძე. ჩემი გზა, გვ. 23.

⁶² იხ. საქართველოს დიდი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე.

ველზეც უნივერსიტეტში ქართულად სწავლება თანდათან რუსული ენით უნდა ჩაენაცვლებინათ. აქაც ქალბატონმა მარიკამ, როგორც საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, კოლეგებთან ერთად პრინციპული წინააღმდეგობა გაუწია ამ წამოწყებას.⁶³

ქ-მა მარიკამ სხვათა ღვაწლის წარმოჩენაც იცის. იგი იგონებს: 1960 წელს საქართველოს სსრ-ის უმაღლეს ორგანოში გამოიგზავნა მოსკოვში შემუშავებული საარჩევნო ანკეტის ნიმუში, რომელიც არჩევნებამდე საიდუმლოდ უნდა შეენახათ. საქართველოში არსებულ სხვა ეროვნებებთან ერთად მითითებული იყო „სვანი“, „მეგრელი“ და, შესაბამისად, მშობლიურ ენად „სვანური“, „მეგრული“.⁶⁴ „საიდუმლო დოკუმენტაციის შესახებ ცეკადან ხმა გამოვიდა, ვილაცამ (იქაც იყვნენ ესეთი პიროვნებები) დოკუმენტაციის ასლი მოაწოდა აკადემიკოსს გიორგი წერეთელს. შედგა ქართველ აკადემიკოსთა საპროტესტო წერილი, სათანადოდ დასაბუთებული, გაიგზავნა ჩვენს მთავრობაში და მოსკოვში. ხელი მოაწერა ყველა აკადემიკოსმა (ერთის გარდა). პროტესტმა შედეგი გამოიღო, ანკეტიდან „სვანი“ და „მეგრელი“ ეროვნება და, შესაბამისად, ენა ამოიღეს. ჩვენმა აკადემიკოსებმა კომუნისტური რეჟიმის უპატივსუბურეს პირობებში, ღირსეულად დაიცვეს ერის ერთიანობის იდეა“.⁶⁵ და მაინც, მხოლოდ სხვათა წარმოსაჩენად არ მოგვითხრობს ავტორი ამ ამბავს. მისი მიზანი წარსულის შეხსენებით თანამედროვეთა გაფრთხილებაა. ამიტომაც წერს: დღეს რა ხდება დამოუკიდებელ საქართველოში? დგება საკითხი საღვთისმეტყველო და მხატვრული ლიტერატურის მეგრულად და სვანურად თარგმნისა. გასაიდუმლოებულად ბიბლიის სვანურად თარგმნა მიმდინარეობს. აფინანსებს რომელიღაც უცხოური საერთაშორისო ორგანიზაცია. რატომ? მომავალში სვანები და მეგრელები ქართველები აღარ უნდა იყვნენ? ვითომ მცი-

⁶³ იხ. მ. ლორთქიფანიძე. ჩემი გზა, გვ. 29-33.

⁶⁴ ვფიქრობთ, საკითხთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ XIX ს. 80-იანი წლებიც: რუსეთის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ეროვნული თვითშეგნების დაძაბუნება ქართველი ხალხის გათიშვითა და მათ შორის შუღლის ჩამოგდებით. მეგრელები და სვანები არაქართველებად გამოაცხადეს. იანოვსკის (ამიერკავკასიის განათლების მინისტრი) აქტიურობით, 1885 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. რუსული ენის სწავლება მეგრული ენის საშუალებით დაიწყო, თითქოსდა მეგრული ენის ინტერესების დასაცავად. და სხვ. თერგდალეულები ილიას ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძოდნენ, მართალია, იმდროისათვის უშედეგოდ, მაგრამ, საბოლოოდ, მიზანი მაინც მიღწეული იქნა. 1903-1904 წლებში სამეგრელოს სკოლებში აღდგა ქართული ენის სწავლება, რაშიც სამეგრელოს მოსახლეობამ და სამღვდლოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა (იხ. ქ. ნადირაძე. თელ ჟორდანია – საქართველოს ისტორიის მკვლევარი. თბ. 2004, გვ. 37).

⁶⁵ მ. ლორთქიფანიძე. ჩემი გზა, გვ. 34.

რერიცხოვან ხალხთა ინტერესების დაცვისთვის იღწვიან არასამთავრო ორგანიზაციები, რეალურად კი ხელს უწყობენ ქართველთა დაშლას, ისედაც დაქუცმაცებული საქართველოს, კიდევ უფრო დაყოფას.⁶⁶

1969 წლის 12 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ ქ-ნი მარიკა აკად. წ. კ. შოთა მესხიასთან ერთად ბეჭდავს წერილს „მრუდე სარკეში“. საქმე ის გახლავთ, რომ მოსკოვში გამოქვეყნდა ვერმიშევის წიგნი „ამირსპასალარი“, რომელშიც ავტორი თამარიულ საქართველოს „ქართულ-სომხურ“ სახელმწიფოდ მოიხსენიებს. წერს, რომ ივანე მხარგრძელი და იმდროინდელი მთელი მმართველი ელიტა სომხები იყვნენ. წიგნი, რომელშიც ავტორს სასურველი რეალობად ეჩვენება, მეცნიერებმა არგუმენტირებულად, წყაროებზე დაყრდნობით მკაცრად გააკრიტიკეს, ხოლო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილის, გურამ გოგიაშვილის ინიციატივით, რომელმაც ისარგებლა საქართველოს იმდროინდელი ცეკას მდივნის იდეოლოგიურ დარგში დევი სტურუას, თბილისში არყოფნით, წერილი სასწრაფოდ გაზეთში დაიბეჭდა. ავტორებს ამ სტატიამ დიდი უსიამოვნება შეახვედრა, როგორც საკავშირო დონეზე (სომხებს უპირატესი მდგომარეობა ეკავათ რუსეთის იმპერიის კარზე), ასევე, დევი სტურუას მხრიდან. მათ „მომქე ერთან“ ურთიერთობის გამწვავებას აბრალებდნენ. ავტორები კი ბრალდებას „გულუბრყვილოდ“ პასუხობდნენ: თუ მათ შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის ისტორიის გაყალბება, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ამ სიყალბის გაბათილება?! პასუხი იყო მხოლოდ ერთი: არა, არ შეგვიძლიათ.

ასევე, გაურთულდა ქ-ნ მარიკას პასუხის დაბეჭდვა, ისევ დევი სტურუას გამოსობით, სომეხი მეცნიერის პ. მურადიანის სტატიაზე, სადაც წერია, რომ მცხეთის ჯვარი სომხების აშენებულია. მაშინ აკად. გიორგი წერეთლის დიდი მონღომებით მისი სტატია დაიბეჭდა.⁶⁷

ქ-ნი მარიკა სინანულით მიუთითებს, რომ მიუხედავად ქართველ მეცნიერთა რეაქციისა, ვერმიშევის წიგნი ხელმეორედ გამოიცა მოსკოვში დიდი ტირაჟით, ხოლო მურადიანის სტატია, უკვე ფრანგულ ენაზე, იმავე წელს დაიბეჭდა „რევიუ დე არმენოლოჟიში“.⁶⁸

როგორც დავინახეთ, ქართველ მეცნიერებს ქართულ პრესაშიც კი უჭირდათ ქართველი ერის ინტერესების დაცვა. იმდროინდელი ვითარებიდან გა-

⁶⁶ მ. ლორთქიფანიძე. ჩემი გზა, გვ. 35.

⁶⁷ იხ. М. Лордкипанидзе. К вопросу о надписях храма Джвари в Мцхета. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე. №4. თბ. 1968.

⁶⁸ საქართველოს დიდი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, გვ. 54.

მოდინარე ეს არ არის გასაკვირი. გასაკვირი ის არის, რასაც დღეს ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ვკითხულობთ: მცხეთის ჯვრის კუთვნილების საკითხი ეს მხოლოდ ჩვეულებრივი მეცნიერული დავა ყოფილა, აზრთა სხვადასხვაობით გამოწვეული და არა, ვთქვათ, ისტორიის გაყალბება.

ქ-ნი მარიკა მოგონებებში დიდი სიყვარულით, მაღლიერებითა და პატივისცემით იხსენებს თავის მასწავლებლებს, განსაკუთრებით აკად. სიმონ ჯანაშიას, კოლეგებს, რჩევას აძლევს ახალგაზრდებს და წერს: „ახალგაზრდებს, მომავალ სტუდენტებს ვუსურვებ, კარგად გამოიყენონ დრო, ისწავლონ, იკითხონ წიგნები, გახდნენ მაღალი დონის პროფესიონალები, იყვნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები“.⁶⁹ ამასვე გვასწავლიდა ჩვენც, მის მოწაფეებს. ქალბატონი მარიკა რამდენადაც სადა, თბილი და ყურადღებიანია ყოფით ურთიერთობაში, იმდენად მკაცრი და სკრუპულოზურია პროფესიული საქმიანობის დროს. მას კოლეგიალური დამოკიდებულება აქვს მოწაფესთან და არასოდეს საკუთარ აზრს არ კარნახობს სამეცნიერო კვლევის პროცესში. შენიშვნების მიცემის დროს არის ძალიან ფრთხილი, ხოლო შეფასებების დროს საკმაოდ თავშეკავებული, თუმცა თავისი შეფასებით ცდილობს, რწმენა შემატოს დამწყებ მკვლევარს.

ქ-ნი მარიკა არ თაკილობს მაღლიერების ხმამაღლა გამოხატვას. იგი წერს: „უნივერსიტეტი ჩემთვის სამსახური არასოდეს ყოფილა. იქ გავატარე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, ვემსახურე, რითიც შემეძლო და როგორც შემეძლო. საერთოდ არასოდეს მქონია უკმარისობის გრძობა, კმაყოფილი ვიყავი ოჯახის წევრების,⁷⁰ ნათესავების, კოლეგების, მეგობრების დამოკიდებულებით. ვთვლიდი, რომ სათანადოდ მაფასებდნენ... იმის მცირედ ნაწილს მაინც თუ ვიმსახურებ, რაც ჩემ შესახებ ითქვა და დაიწერა, ვთვლი, რომ ჩემი ვალი მოვიხადე“.⁷¹

მარიამ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის სათანადო დაფასება აისახა მის ჯილდოებშიც: არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის, აკად. ექვთიმე თაყაიშვილის, აკად. ივანე ჯავახიშვილის, აკად. ნიკო ბერძენიშვილის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატოო მოქალაქე; დაჯილდოებულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდა გიორ-

⁶⁹ მ. ლორთქიფანიძე. ჩემი გზა, გვ. 63.

⁷⁰ ქალბატონი მარიკა ამ მხრივაც ბედნიერი ადამიანია, ჰყავს სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და მრავალი შვილიშვილი.

⁷¹ კრ.: მ. ლორთქიფანიძე. „დიდი მაღლობა ყველას“. მარიამ ლორთქიფანიძე – 85, გვ. 21.

გის ოქროს ორდენით. მისი სახელი შეტანილია აშშ ბიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ ვინ არის“ (Who is who), დაჯილდოვებულია ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის (The American Biographical institute of Honor) მედლით, შეყვანილია კემბრიჯის მიერ გამოცემულ გამოჩენილ ადამიანთა ლექსიკონში, დასახელებულია 2001 წლის გამოჩენილ ქალად (Woman of Year). წლების განმავლობაში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, სადაც ღირსეულად აგრძელებდა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის დაწვებულ საქმეს. იგი რედაქტორობდა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტის „შრომებს“ და ქართველოლოგიურ გერმანულენოვან ჟურნალს „გეოგრაფიკას“ და მრავალი სხვ.

იშვიათია მეცნიერი, რომელიც ისეთი პოპულარობით სარგებლობდეს ხალხში, როგორც ქალბატონი მარიკა. როდესაც მას კორესპოდენტმა კითხვა დაუსვა, თუ რა დგას მისი რეგალიების, წოდებებისა თუ პოპულარობის უკან, მან მარტივად უპასუხა: რა თქმა უნდა, დიდი შრომა და ქართული ტრადიციებისადმი უსაზღვრო პატივისცემა. ვფიქრობთ, ამგვარი დამოკიდებულება საქართველოს წარსულისადმი, საუკეთესოდ აისახა მის თვრამეტგვერდიან წერილში „რამ გადაგვარჩინა“, სადაც საოცარი ექსპრესიით, ისტორიის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით არის გადმოცემული საქართველოს მთელი ისტორია. ეს წერილი საუკეთესოდ გამოხატავს სპინოზას გამონათქვამს: მხოლოდ სიყვარულით, გაგებით და არა სიცილით, ტირილით, სიძულვილით – რომელიც შემდეგ მთელი ისტორიული მეცნიერების დევიზი გახდა.

ერის დამოკიდებულება აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისადმი არაჩვეულებრივად გამოხატა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II: მას „საქართველოს დედა“ უწოდა.

Ketevan Nadiradze

MARIAM LORDKIPANIDZE AND HISTORICAL SCIENCE

Summary

The article is dedicated to 95th anniversary of Academician Mariam Lordkipanidze and comprises the attempt to characterize her scientific heritage.

The main sphere of Mariam Lordkipanidze's scientific activities is almost all sectors in the medieval period in Georgia: political, social, economic and culture history, Georgia's relations with the peoples of Caucasus, Byzantium, Arabic state etc.

She has provided monographic study of Tbilisi Emirate, figured out the conditions of creation of the Emirate, its borders, nature of ruling, administration apparatus, relations of Tbilisi Emir with the Caliphate, with the other provinces of Georgia etc. She dedicated special articles to the struggle of Southern Caucasian peoples against Arabic rule and clarification of the nature of Arab's rule in Georgia.

In her researches special emphasis is made on unification of feudal Georgia and the issue of creation of the centralized state. For figuring out of these processes she has studied the church as an institution, the forms of land ownership, categories of social strata etc.

She has provided monographic study of the activities of such great political figures as Vakhtang Gorgasali, king of Georgia and first king of unified feudal Georgia, Bagrat III. She dedicated special articles to the relations between Georgia and Byzantium, as well as the epoch of David the Builder.

She has significantly contributed to development of Georgian urban studies, in particular, in studying of Tbilisi and Kutaisi history.

She has written numerous works in the historiography and source studies, She has written the textbooks for both, the schools and the universities.

She is an editor of numerous collections of works and books, significant public figure and scientific advisor.

Academician Mariam Lordkipanidze, with her half-century scientific, public and pedagogic activities, is indeed distinguished among the scientists who has provided sound foundation for Georgian science in general.

Tedo Dundua, Emil Avdaliani

Georgia (Colchis/Lazica and Iberia) within the Imperial Defense-Systems:

Roman and Early Byzantine Cases

Introduction

There are two ways to prove Georgia's place within the NATO Alliance. First is the current argument urging for total Euro-Atlantic unity, next – historical one. Previous pan-European (Roman and Early Byzantine) military presence in Georgia can be applied to the present discussion. The article covers this issue.

Roman Period. Frankish Limitanei in Lazica

Before being totally destroyed, Imperial security system actually had shown three gradual phases of development.

Huge number of the Italian colonists with the best technologies, swift and comfortable communications, the most prominent industrial output, Roman citizenship, municipal freedom – that was the Roman gift for the Western provinces in the 1st-2nd cc. A.D. Sincere intimacy with the metropolis had been founded as a direct result of complete satisfaction. It paved the way to the Romanization. As for the Greeks, the Romans reserved a quite life and economic stability. Still beyond the Roman Rhine, Danube and Pontus there were others favouring to this concept of pan-European integration. The happy client kings used to be awarded with the Roman citizenship. And for the Julio-Claudians these client kingdoms formed the first defense-line of the Imperial territories. A little behind, the whole perimeter had been dotted by solid

legionary concentrations, proving the system to be impregnable. No cardinal changes took place in the era of the Antonines, except of annexation of the client kingdoms and breaking the big concentrations in favour of scattering the legions along the whole frontier. In the both cases, after defeating comparatively weak enemy at the border, the Romans usually attacked their territory. This system of security is called forward defense.

Greeks and the Romans were sending more and more hands towards industry, but not to manufacture the means of production. As a result, population was growing, but not amount of industrial goods *per capita*. Prices rushed high for the Italian produce, demanding damping for provincial food and raw materials, thus weakening the sympathies between the European subjects of the Roman Empire. Some even started to search for a relief beyond Rhine and Danube. Many things had happened that completely changed the defensive strategy, namely: 1. economic crisis, 2. weakening of the integratory links, 3. socio-economic animation of “*Barbaricum*”, 4. financial chaos and some professional regiments converted into *limitanei*. From now they are to stand the first strike and evacuate the whole frontier folk into citadels, thus wearing down the enemy. And there were large and mobile field armies deployed far behind that self-contained strongholds to cut down any invasion into the depth. This system shaped in the times of Diocletian is called defense-in-depth.

But before this new system was finally established, the Romans had been fighting those already easily passing the border wherever they could manage to concentrate large army-units. In the early days of Empire praetorians formed the only Imperial reserve. And now Gallienus recruited special mobile reserve-regiments. Name for the defensive system is elastic defense.

Security system had to be changed at least because of emergence of the Germanic seaborne attacks from the 3rd c. everywhere at the seas that prolonged the line of the frontier.¹

Full-time units, legions, *alae* of cavalry, *cohortes* of infantry and mixed *cohortes equitatae* served the forward defense-system. Part-time border force of *limitanei* had appeared and auxiliary *alae* and cohorts had disappeared; and regular mobile reserve – *comitatenses* – substituted legions, fixed at the border.

¹ Ed. N. Luttwak. The Grand Strategy of the Roman Empire. From the First Century A.D. to the Third. Baltimore. 1981, pp. 192-193; T. Dundua, N. Silagadze. European Industrial Complexes of I Cycle of Capitalism and the Georgian Western Affiliations. Historical and Numismatic Tale. Tbilisi. 2005, pp. 5-7; T. Dundua. North and South. Tbilisi. 2001, pp. 8-15.

All they served new security system – defense-in-depth. The whole 3rd c. saw these changes, finally shaped in the times of Constantine I. Septimius Severus was the first to form a certain kind of reserve. He stationed II *Parthica* in Albanum, increased praetorian and urban cohorts in number. And Gallienus created special cavalry units to serve as a reserve.²

In the 3rd c. large federations of *Franki* and *Alemanni* began to threaten the Rhine-frontier. And the Goths had already reached Dniester by 238.³ Franks attacked Gaul, Alemanns – Italy. From the great deeds of Emperor M. Aurelius Probus (276-282) the most important is the deliverance of seventy Gaulic cities. He drove back Franks and Alemanns, four hundred thousand of them being killed. Probus passed the Rhine, and returned back with considerable tribute of corn, cattle, and horses. Sixteen thousand Germanic recruits were dispersed among the Roman units. Other captive or fugitive barbarians gained a new status, that of part-time peasant-soldiers (*limitanei*). Emperor transported a considerable body of Vandals into Cambridgeshire, great number of Franks and *Gepidae* were settled on the banks of the Danube and the Rhine, *Bastarnae* – in Thrace. Pontic (The Black Sea) coast was reserved for some more Franks.⁴ But which one exactly? This is to be discussed.

According to Ed. Gibbon, Franks settled at the sea-coast of Pontus had to check the Alani inroads. A fleet stationed in one of the harbors of the Euxine fell into their hands, and they resolved, through unknown seas, to explore their way from the mouth of Phasis (river Rioni in West Georgia) to that of the Rhine. They easily escaped through the Bosphorus and the Hellespont, and cruising along the Mediterranean, indulged their appetite for revenge and plunder by frequent descents on the shores of Asia, Greece and Africa. City of Syracuse was sacked by the barbarians. Franks proceeded to the columns of Hercules, coasted round Spain and Gaul, and steering their course through the British channel, at length finished their voyage by landing in safety on the Batavian or Frisian shores.⁵

What is this whole story based on? Zosimus and one panegyric to Constantius Chlorus contributed to it.

Narrating about the events in the past, in the times of divine Probus, author of this panegyric mentions undeserved success of the small Frankish

² Ed. N. Luttwak. *The Grand Strategy*, pp. 173, 184.

³ Ed. N. Luttwak. *The Grand Strategy*, pp. 128, 146.

⁴ Ed. Gibbon. *The Decline and Fall of the Roman Empire*. Vol. 1. London. 1993 (first published in 1776), pp. 362-368.

⁵ Ed. Gibbon. *The Decline and Fall . . .*, pp. 367-368.

band, who, sailing from Pontus on the captured fleet, ravished Greece and Asia, damaged Africa, stormed Syracuse, and passing through the columns of the Hercules, reached the ocean (*Rekursabat quippe in animos illa sub diuo Probo paucorum ex Francis captiuorum incredibilis audacia et indigna felicitas, qui a Ponto usque correptis nauibus Graeciam Asiamque populati nec impune plerisque Libyae litoribus appulsi ipsas postremo naualibus quondam uictoriis nobiles ceperant Syracusas et immenso itinere peruecti oceanum, qua terras irrumpit, intrauerant atque ita euentu temeritatis ostenderant nihil esse clausum piraticae desperationi, quo nauigiis pateret accessus.*)⁶

Zosimus tells us about the Franks having applied to the Emperor, and having a country given to them. A part of them afterwards revolted, and having collected a great number of ships, disturbed all Greece; from whence they proceeded into Sicily, to Syracuse, which they attacked, and killed many people there. At length they arrived in Africa, whence though they were repulsed by a body of men from Carthage, yet they returned home without any great loss.⁷

There is no mention of mouth of the river of Phasis as a spring-board for the expedition in the sources. Then, what was in Gibbon's mind? Perhaps, logics, excluding the possibilities.

Indeed, the Northern Black Sea coast is beyond the Roman rule. The Western shores, and the Balkans are already packed with the barbarians. Southern littoral had been less used for *receptio*. While Lazica (West Georgia) and Pontic *Limes* cannot be argued. And something strange had happened to this *limes* in the 3rd c. Now threat comes not from the front, the Romans have Lazi client king dwelling there, but – from behind, because of the Goths living at the Northern shores.

We can only guess that the Franks were in Lazica as *limitanei*. But we really know nothing about how they were coordinating with the full-time units, their number before and after the revolt, what was the life like for those who stayed loyal.

Still, it seems quite reasonable that the bargain of *receptio*-system should had been distributed among all Roman provinces to keep the centre undisturbed from the barbaric influx. In the 3rd c. Empire is able to do this, not after.

⁶ Panegyricus Constantio Dictus, IV, XVIII. Panegyriques Latins. T. I (I-V). Texte Établi et Traduit par Édourd Galletier. Paris. 1949, pp. 96-97.

⁷ Zosimus. New History. Book 1. London. 1814.

Byzantines in Georgia

With the death of Theodosius, last Emperor of the united Roman world, in 395 A.D. the Empire was divided into two almost same-sized halves. The Western part, while defending itself throughout the 5th c. from various barbarian hordes⁸ coming from beyond the Rhine river, had an almost destroyed tax-paying system. This very factor did not allow the Imperial administration based in Ravenna to muster enough economic and military resources for effective defense of the Northern borders. Last Western Roman Emperors were mere puppets in the hands of barbarian warlords – the process which culminated in deposing the last Emperor Romulus Augustulus in 476.

The Eastern part (Byzantium) with the capital in Constantinople, on the other hand, showed greater resilience in managing internal problems and external threats. Byzantium managed simultaneously to hold off the barbarians coming from the North and the Sassanians from the East. This was made possible by an efficient tax-paying system the Byzantines inherited from the Romans, which, in turn, made it possible to field large armies to defend the Imperial borders on several fronts and at the same time wage offensive wars.⁹

The Byzantines had not had such abundant resources as the Romans had during the first three centuries A.D. Moreover, the Eastern half was spread on three continents – Europe, Asia and Africa – making the Imperial borders highly vulnerable to foreign powers. In other words, the geography put the Byzantine Empire at a huge disadvantage as the Danube river was a barrier easy to cross for the Goths, or in later centuries Huns, Slavs and Avars. In Africa, the desert frontier stretching for more than a thousand kilometers had no geographic barrier to rely on making rich Tripolitania and Byzacena and the South of Egypt exposed to attacks from the Berbers and other nomadic groups. The Eastern frontier too was highly vulnerable as the Arab groupings could easily reach Palestine and Syrian cities from the Syro-Mesopotamian desert. In the North Mesopotamia Byzantium faced its greatest rival, Sassanian Iran, and this portion too needed to be defended with the assemblage of large military power, whether through the field armies or military fortifications. Moreover, the Byzantines had little geographic depth along its entire Eastern frontier to fully employ the

⁸ At the time, the Western part was defended by regiments consisting mainly of barbarians.

⁹ Ed. N. Luttwak. *The Grand Strategy of the Byzantine Empire*. Harvard. 2009, pp. 1-16. The most apparent case is the reign of Justinian when, while waging war on Vandals in North Africa and the Ostrogoths in Italy, Constantinople still had to defend its Eastern border from the Sassanians and the Danube river from the Slavs.

defense-in-depth strategy.¹⁰ The similar situation was in Africa. Since Asia Minor, Balkans, Egypt and Syria were the most prosperous lands in terms of population number and the level of urbanization, the functioning of the Empire was contingent upon the defense of these provinces. Overall, the Byzantines were at much worse geographic situation than their Western counterparts.

Thus, in order to survive in this difficult geopolitical situation and preserve the Empire from early 5th c. to the 7th c., the Byzantines had to develop a whole set of military strategies. In other words, the Byzantines were no less successful than the Flavians, Antonines and late 3rd c. Emperors. However, the Byzantines made numerous changes by adapting to new circumstances. Since Constantinople had less economic and human resources than the united Roman Empire, the Byzantines always tried to use less military power and employ more diplomacy and the propagation of the Christian religion¹¹ to safeguard Imperial borders.

The Byzantines inherited from the Romans military presence in Lazica and alliance with Kartli/Iberia (East and South Georgia). This military tradition goes back to the first two centuries A.D. and represents a forward-defense strategy. Byzantine garrisons, which existed in Lazica from the 5th c. till the Arab invasion of the Middle East in the 30s of the 7th c.,¹² did not change their location. However, the role of Lazica considerably increased as in late 4th c. the so-called **“Völkerwanderung” or Migration period began**. Since the new peoples such as Huns, Avars etc. lived in the Eurasian steppes, which bordered the Caucasian range and the Danube river, Constantinople had to face a two-front war from the North (from the Eastern and Western parts of the Black Sea). Therefore, the Byzantine garrisons in Lazica were transformed into forward posts for collecting information about new peoples coming from the steppes and, in case of need, establishing first diplomatic contacts too.

For example, when approximately in 557 the Avars reached the Volga river, in modern-day Southern Russia, in a year or two through the Alans they

¹⁰ For example, in the Balkans Constantinople did enjoy large geographic depth necessary for the defense. This was apparent when the Huns under Attila and then the Avars in early 7th c. broke through the Danubian defenses and reached Constantinople. However, military regiments placed in various fortresses and the distance of several hundreds of kilometers (from the Danube to the capital) enabled the Emperor, whether it was Theodosius II or Heraclius, to thwart the barbarian onslaughts.

¹¹ G. Fowden. *Consequences of the Monotheism in Late Antiquity*. Princeton. 1993, pp. 80-100.

¹² T. Dundua. *Influx of Roman Coins in Georgia. Roman Coins Outside the Empire. Ways and Phases, Contexts and Functions*. Proceedings of ESF/SCH Exploratory Workshop. Nieborow (Poland). 2005. Moneta. Wetteren. 2008, p. 313.

sent an embassy to Constantinople. But, before the letter was received in the capital, first it had been passed through the hands of Byzantine generals stationed in Lazica.¹³ The role of Lazica increased also because of the mountain passes through which the newly-coming nomads from the North could potentially penetrate into the South and cause havoc even in the Eastern provinces of the Byzantine Empire as it happened in 395 when the Huns reached as far as Antioch!¹⁴ The Byzantine officials also used the passes to distract nomad leaders by making them to take much longer roads to reach the Imperial capital. Menander Protector preserves the bitter complaint of a Turkic chief from the steppes, North to the Caucasian range, dated by 577:

“As for you Romans, why do you take my envoys through the Caucasus to Byzantium, alleging that there is no other route for them to travel? You do this so that I might be deterred from attacking the Roman Empire by the difficult terrain (i.e. high mountains which for horses are very hard to cross). But I know very well where the river Danapris (Dniepr) flows, and the Istros (Danube) and the Hebrus (Maritsa, Meric)”.¹⁵

Lazica’s military importance increased even more following the stand-off between Justinian and the Sassanian Shahanshah Khusro I Anushirvan in mid-6th c. By the time Iran had already been increasing its political and military pressure towards North and West, which culminated in the abolition of the Albanian and Armenian kingdoms during the 5th-early-6th cc. As was said, mid-6th c. saw renewed warfare between the empires and the focus of the conflict, traditionally along with the North Mesopotamia, also fell on Lazica. Iran was interested in occupying the Eastern Black Sea coast to pressure Constantinople (which by the time was already embroiled in a war with the Ostrogoths in Italy) into signing a more winning peace treaty for Ctesiphon. The Byzantines knew well that if the Sassanians managed to occupy the Lazica shore, Iranian military vessels in the near future would make their way through the Bosphorus directly

¹³ Ed. N. Luttwak. *The Grand Strategy of the Byzantine Empire*, p. 59.

¹⁴ P. Heather. *The Fall of the Roman Empire. A New History of Rome and the Barbarians*. Oxford. 2007, pp. 145-154.

¹⁵ *Excerpta de Legationibus Romanorum ad Gentes*, 14, in *The History of Menander the Guardsman*. Translated by R. C. Blockley. London. 1985, p. 175.

to Constantinople. This is well reflected in one of the passages from Procopius – Lazi sent an embassy to Khusro to explain the geopolitical advantages which the Iranians would gain through controlling Lazica and the Byzantine fortresses there:

“To the realm of Persia you will add a most ancient kingdom, and as a result of this you will have the power of your sway extended, and it will come about that you will have a part in the sea of the Romans through our land, and after thou hast built ships in this sea (i.e. Black Sea), O King, it be possible for thee with no trouble to set foot in the palace in Byzantium. For there is no obstacle between. And one might add that the plundering of the land of the Romans every year by the barbarians along the boundary will be under your control. For surely you also are acquainted with the fact that up till now the land of the Lazi has been a bulwark against the Caucasus Mountains (De Bello Persico. II. 15)”.¹⁶

The above analysis of the Roman and Early Byzantine military strategies towards their neighbors quite clearly shows that Georgia always had its own place within the pan-European military alliances. Why not bring it back?

¹⁶ Procopius of Caesarea. History of the Wars. Translated by H. B. Dewing. Cambridge. Massachusetts. 1914, pp. 225-226.

მარია მშვილდაძე

ულპიას საბეჭდავი ბეჭდის შესწავლის საკითხისათვის

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს 2001 წელს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირებულ მდიდრულ აკლდამაში (სამარხი №14, თარიღდება ახ.წ. III ს-ით. მასში ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, მინის და სხვადასხვა მინერალისგან დამზადებული 25 დასახელების ნივთი დაფიქსირდა) აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი მოწითალო სარდიონის გემით, რომლის თვალზეც ამოკვეთილია ქალის მკერდზედა გამოსახულება – მარცხენა პროფილი. მას გარშემოუყვება ბერძნული მთავრული ნეგატიური წარწერა: **BACIAICCA OYAPIANAΞIA** – „დედოფალი ულპია მბრძანებელი“ (სურ.1). მისი შესწავლა და გაანალიზება ისტორიულ ჭრილში.

ოვალური ფორმის საბეჭდავი ბეჭდის რკალზე მირჩილულია თვალბუდე, რომელშიც ზის სარდიონის მოწითალო ფერის გემა-ინტალიო. რკალი წარმოადგენს ოქროსგან ჩამოსხმულ ორი ავაზის გამოსახულებას, რომელთაც კბილებითა და თათებით უჭირავს თვალბუდე (სურ. 2). ბეჭედი გულადმა, გამოტილ მდგომარეობაში დაკრძალულ ქალბატონს მარცხენა ხელის ფალანგაზე ეკეთა.¹ ჩვენ ყურადღებას იპყრობს საბეჭდავზე არსებული წარწერა **BACIAICCA OYAPIANAΞIA**. „დედოფალი ულპია მბრძანებელი“. ზედმიწევნით მსგავსი ბეჭედი საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე არ აღმოჩენილა. მასთან შედარებით ახლოს დგას არმაზისხევში №2 სამარხში დაფიქსირებული წარწერიანი, ფიგურულრკალიანი ბეჭედი (სამარხი III ს-ის II ნახევრით თარიღდება).

უპირველესად დასადგენია საბეჭდავის მფლობელის ვინაობა. ინტალიოზე დატანილი წარწერის მიხედვით, მისი სახელი ულპიაა (დედოფალი, მბრძანე-

¹ ა. აფაქიძე, გ. ყიფიანი, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. მანჯგალაძე, მ. კაპანაძე. სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. მცხეთა. 2001; 2001-2002 წლების საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ანგარიშები. VI სამეცნიერო სესია. თბ. 2003, გვ. 81-123.

ბელი). სახელი ულპია ანტიკურ სინამდვილეში რომის იმპერატორ ტრაიანეს (Marcus Ulpius Nerva Traianus 98-117 წწ.) ოჯახის სახელთანაა (nomen) დაკავშირებული, რომელიც ქ. იტალიკიდან (პროვინცია ბეტიკა) მოდის. იმპერატორ ტრაიანეს მამა – მარკუს ულპიუს **ტრაიანე უფროსი** პირველი იყო ულპიუსების გვარიდან, ვინც სენატორთა წოდებამდე მიაღწია. რაც ნერონის იმპერატორობის პერიოდში მოხდა.² იგი მომავალი იმპერატორების ვესპასიანესა და ტიტუსის გვერდით იბრძოდა იუდეაში პირველი იუდეური ომის დროს, ხელმძღვანელობდა რა რომის X ლეგიონს (Legio X Fretensis). 70/72 წ. ტრაიანე უფროსი დანიშნეს კონსულ-სუფექტად.³ **ტრაიანე უფროსის** და იყო იმპერატორ **ადრიანეს ბებია** (მამის პრეტორ პუბლიუს ელიუს ადრიანე აფრის დედა). იმპერატორ **ტრაიანეს დედის – მარციას** (Marcia 33-100 წწ.) და კი **მარცია ფურნილა** (Marcia Furnilla) იყო იმპერატორ ტიტუსის მეორე ცოლი. ხოლო ტიტუსისა და მარციას ქალიშვილი **იულია ფლავია** (Iulia Flavia) დომიციანეს მეორე მეუღლე.

იმპერატორ ტრაიანეს ჰყავდა უფროსი და **ულპია მარციანა** (Ulpia Marciana), რომელიც ძალზედ უყვარდა და დიდ პატივსაც სცემდა.⁴ ულპია მარციანას მეუღლე იყო რომის სენატორი გაიუს სალონიუს მათიდიუს პატრინუსი (Gaius Saloninus (ან Salonius) Matidius Patruinus). მათ ჰყავდათ ერთი ქალიშვილი **სალონია მათიდია** (Salonina Matidia), რომელსაც თავის მხრივ, რომის პრეფექტ ლუციუს ვიბიუს საბინუსისაგან (Lucius Vibius Sabinus) ჰყავდა ქალიშვილი **ვიბია საბინა** (Vibia Sabina) – რომის იმპერატორ **ადრიანეს მეუღლე**.

ადრიანეს გარდაცვალების შემდეგ რომის იმპერატორი ხდება **ანტონინუს პიუსი** (იგი 135 წელს იშვილა ადრიანემ). დაახლოებით 110-115 წლებს შორის ანტონინუს პიუსმა ცოლად შეირთო **ფაუსტინა უფროსი** (Annia

² ნერონის მოღვაწეობიდან გამოძინარე, ძნელია მასზე დადებით კოტექსტში საუბარი, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ნერონმა და მისმა გარემოცვამ კარგად იცოდნენ მხედართმთავართა კადრების შერჩევა. სწორედ ნერონის იმპერატორობის პერიოდში გამოდიან ასპარეზზე ისეთი ცნობილი მხედართმთავრები როგორებიც იყვნენ: გნეიუს დომიციუს კორბულონი (Gnaeus Domitius Corbulo), გაიუს სვეტონიუს პაულინუსი (Gaius Suetonius Paulinus), ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე (Titus Flavius Vespasianus), მარკუს სალვიუს ოტონი (Marcus Salvius Otho) და სხვ.

³ Julian Bennett. Trajan. Optimus Princeps. A Life And Times, Londres. Routledge. 1997 (1st éd.), გვ. 12-15.

⁴ მის საპატივცემულოდ დაარსა სწორედ ტრაიანემ ორი კოლონია 1. Colonia Marciana Ulpia Traiana Thamugadi (თან. თიმგადი (ლათ. Thamugadi), ალჟირი) და 2. მარკიანოპოლისი (ბერძნ. Μαρκיאνοπολις. თან. დენია, ბულგარეთი).

Galeria Faustina; Faustina Majo), რომლის დეიდაც იყო ადრიანეს მეუღლე ვიბია საბინა. ფაუსტინა უფროსისა და ანტონინუს პიუსის ქალიშვილი იყო **ფაუსტინა უმცროსი**, რომელიც თავის მხრივ იყო მარკუს ავრელიუსის მეუღლე. მათ ჰყავდათ 13 შვილი. მათ შორის **მარკუს ანიუს ვერუს ცეზარი** (Marcus Annius Verus Caesar), **ლუცილა და კომოდუსი**.

ულპიუსების გვარის გენეალოგიას თუ მიეყვებით, დავინახავთ, რომ ისინი პირდაპირ თუ ირიბად რომს განაგებდნენ II საუკუნის განმავლობაში, ანუ იმ პერიოდში, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც რომის იმპერიის ოქროს ხანა. ულპიუსები, ისევე როგორც ფლავიუსები, რომის „მეგობარი და მეკავშირე“ (კლიენტის) ქვეყნების დიდგვაროვნებსა და მეფეებს დამსახურების-დამიხედვით ანიჭებდნენ რომის მოქალაქეობასა და აძლევდნენ საკუთარ გვარს. მაგალითად, ბოსფორის სამეფოს სარმატული დინასტიის დამაარსებელმა ასპურგუსმა (Aspurgus 10/11-12/13 წწ. 14/15-37/38 წწ., დინასტიის მეფობა ბოსფორში სახელმწიფოს განადგურებამდე გაგრძელდა) იულიუს ტიბერიუსისაგან მიიღო „რომაელი ხალხის“, „კეისრის მეგობრისა“ და ბოსფორის მეფის ტიტული და **იულიუსის** გვარი (Tiberius Julius Aspurgus Philoromaios), რომელიც შთამომავლობით ბოსფორის ყველა მეფეზე გადადიოდა.

ქერსონესის, ოლბიის, ბოსფორის ზოგიერთი ცნობილი ოჯახი საკუთარი სახელის cognomen-ს უმატებდნენ რომაულ praenomen-სა და nomen-ს. მაგალითად, რომის იმპერატორის ვესპასიანეს საპატივცემულოდ **ფლავიუსს** (IPE I², 357-360, 431, 432). სხვა ოჯახები კი რომის მოქალაქეობას და **ულპიუსების** გვარს იღებენ ტრაიანეს (IPE I², 389, 390) იმპერატორობისას,⁵ რაც ძალზე პრესტიჟულად ითვლებოდა. რომის მოქალაქეები აკონტროლებდნენ ქალაქებსა და მნიშვნელოვან მაგისტრატურებს, თანამდებობებს სამეფო კარზე. ისინი იმპერიის საყრდენ ძალად მოიაზრებოდნენ ამ ქვეყნებში.

ჩრდილო შავიზღვისპირეთში – ქერსონესში დადასტურებულ წარწერებში ულპიუსების გვარის წარმომადგენელ რომის მოქალაქეებს ვხვდებით უკვე ახ.წ. II საუკუნიდან.⁶ ულპიუსების მდიდრული სამარხი იქნა გათხრილი პანტიკაპეონის ნეკროპოლის პრესტიჟულ მონაკვეთზე.⁷

⁵ В.В. Латышев. ПОНТИКА. Херсонесский почетный декрет в честь Диа... сына Димитрия. СПб. 1909, გვ. 314-331.

⁶ Э.И. Соломоник. Каменная летопись Херсонеса. Греческие лапидарные надписи античного времени. Симферополь: Таврия. 1990, фиг. 84.

⁷ М. И. Ростовцев. Античная декоративная живопись на юге России. СПб. 1913, гв. 398; Г.А. Цветаева. Грунтовой некрополь Пантикапея, его история, этнический и социальный состав. МИА. 1951. № 19, გვ. 81.

არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ბოსფორის სამეფოში არსებული სიტუაციის ანალოგიური მდგომარეობა იყო იბერიაშიც. არმაზისხევის ბერსუმა პიტიახშის № 3 აკლდამაში (ახ.წ. II ს.) სხვა მდიდრულ ინვენტარს შორის აღმოჩნდა ვერცხლის ლანგარი ბერძნული წარწერით ΕΓΩ ΒΑΣΙΛΥΣ ΦΛ. ΔΑΔΗC ΕΧΑΡΙCΑΜΗΝ ΒΕΡCΟΥΜΑ ΠΙΠΤΙΕΗ⁸ („მე მეფე ფლავიუს დადესმა ვაჩუქე ბერსუმა პიტიახშს“⁹). თუ ვინ იყო მეფე ფლავიუს დადესი სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. ნათელია, რომ მას რაღაც განსაკუთრებული სამხედრო დამსახურებისათვის რომის მოქალაქის საპატიო წოდება მიუღია, რაც უნდა მომხდარიყო ფლავიუსების ზეობის ხანაში (69-96 წწ.). თავისი ეს საგვარეულო სახელი, ანუ nomen-ი შესაძლოა მას მიეღო იმპერატორ ვესპასიანეს (69-79 წწ.) მემკვიდრეების დროს. ამაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ მცხეთაში აღმოჩენილ ახ.წ. 75 წლით დათარიღებულ ცნობილ ვესპასიანეს წარწერაში რომაელი ხალხისა და კეისრის მოყვარულებად მოიხსენიებიან იბერიის მეფეებიც: მითრიდატე, ფარსმანი და მისი ძე ამაზასპი.¹⁰ რომის მოქალაქეები იყვნენ ქართლის დიდებულებიც: იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის „მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი“ „ეპიტროპის“ პუბლიკოს აგრიპას ძე იოლმანგანი – ცნობილი სერაფიტას მეუღლე.¹¹ ისევე როგორც მცხეთის მხატვართუხუცესი, ხუროთმოძღვარი ავრელიოს აქოლისი.¹²

უღბიას საბეჭდავზე გამოსახული მოგრძო ფორმის თავსაბურავის მსგავსი სხვადასხვა ფორმისა და ვარიაციების თავსაბურავები, გავრცელებული ჩანს გეოგრაფიულად საკმაოდ დიდ არიალში – როგორც ზოგადად სკვითურ-სარმატული ტომების მიგრაციის ადგილებში, ისე ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებში.

მასალის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია პანტიკაპეიონში ახ.წ. 37-38 წწ.-ში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტები, რომელთა ავერსებზე წარმოდგენილია ქალის თავი პროფილში თავზე კალათითითა და მანდილით (სურ. 3 ა, ბ, გ, დ, ე). რევერსზე გამოსახულია სკიპტრა წარ-

⁸ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, გ. ლომთათიძე. მცხეთა. I. თბ. 1955, გვ. 53.

⁹ თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბ. 2004, გვ. 35.

¹⁰ გ. ლორთქიფანიძე, ა. ნონეშვილი. რომის მოქალაქე (Civitas Romana) ქართველები ახ.წ. II-IV სს-ში. ქართული პოლიტიკა. №1. 2013, გვ. 90-95.

¹¹ თ. დუნდუა. პუბლიუს აგრიპა, ფლავიუს დადე და ორმაგი მოქალაქეობა – არის თუ არა ეს მომავალი ევროპის მოდელი. თბ. 2002, გვ. 4.

¹² გ. ლორთქიფანიძე, ΑΥΡΗΛΙΟC ΑΧΟΛΙC – რომის მოქალაქე. კრ. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. თბ. 2004, გვ. 153.

წერით BA-ΣΙΑΕ-ΩΣ, მარჯვნივ მონოგრამა ΒΑΡ, მარცხნივ Η. სხვა მონეტებზე რევერსზე გამოსახულია ჩირაღდანი გვერდებზე წარწერით ΚΑΙ-ΣΑ-ΡΕ-ΩΝ, ან ΤΟΥΚΑΙΕΥΤΕΝΙΥ. მარჯვნივ მონოგრამა Η.¹³ ზემოაღნიშნულ მონეტებზე არსებული გამოსახულებების თავსაბურავი მნიშვნელოვან მსგავსებას იჩენს მცხეთის №14 სამარში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედზე გამოსახულ ქალის თავსაბურავთან.

ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ბოსფორიცა და ქართლიც ორივე ანტიკური ოიკუმენის ნაწილი იყო და სამეფოებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამადასტურებელი არაერთი არტეფაქტით დგინდება. მათ შორის გლიპტიკური მასალითაც.¹⁴

სახელიდან გამომდინარე, ულპიას პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთისკენ, კერძოდ, რომისკენ არის მიმართული. თუ ულპიას გარეგნობითა და ჩაცმულობით ვიმსჯელებთ, იგი მნიშვნელოვან მსგავსებას იჩენს არმაზისხევის №1 აკლდამაში („ასპავრუკ ერითავის სახმარხი“) დაფიქსირებულ მუქი ფერის პირობის ინტალიოზე, რომელიც თვლებით მოღვრილ ოქროს ბალთას ამკობს, გამოსახული კარპაკის გამოსახულებასთან (სურ.4).¹⁵ ულპიას ჩაცმულობა მსგავსია კარპაკის ჩაცმულობისა, ულპიას პროფილიც, ოღნავ კეხიანი ცხვირით, ისეთივე გოროზი აქვს, როგორც კარპაკს. კარპაკის სიყვარული ზევანი ასპავრუკ ქართლის ერისთავის ძედ მოიაზრება. ასპავრუკის ბეჭედი კი იბერიის ქვის მჭრელთა სკოლის ნახელავს განეკუთვნება.¹⁶ შესაბამისად, ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ საქმე ადგილობრივი, ან კავკასიური წარმომავლობის დიდგვაროვან ქალთან გვექონდეს, რომელიც ქართლის დედოფლად შეგვიძლია მოვიფიქროთ და საბეჭდავზე არსებული წარწერა **BACIAICCA** ულპიას უფლებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ. რომის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყნების მბრძანებელთათვის ეს უცხო არ იყო. მაგალითად, სწორედ **BACIAICCA**-ად არის მოხსენიებული კლეოპატრა VII ძვ.წ. 36 წელს მოჭრილ (უცნობი ფინიკიური ზარაფხანა (BMC)) ვერცხლის ტეტრადრამის ავერსზე (**BACIAICCA ΚΛΕΟΠΑΤΡΑ ΘΕΑ ΝΕΩΤΕΡΑ**, რევერსი: მარკუს ანტონიუსი – **ΑΝΤΩΝΙΟC ΑΥΤΟΚΡΑΤΩΡ**

¹³ <http://bosporan-kingdom.com/pantikapey/?page=42&usgn=4ffe>. №321-4743, 322-4008, 322-4082.

¹⁴ მარ. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. თბ. 1969, გვ. 65.

¹⁵ მარ. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, გვ. 65, ტაბ. IX. №121.

¹⁶ მარ. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, გვ. 56-57.

TPITON TPIΩN ANΔPΩN), მაშინ როდესაც ეგვიპტე ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ რომის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება.¹⁷

ამრიგად, კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტალიო ულპიას უფლებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი პირადი ბეჭედი. საბეჭდავის დანიშნულების, ინტალიოზე დატანილი გამოსახულებისა და წარწერის მიხედვით (ნეგატიური), ბეჭდის მფლობელი ქალბატონი, ჩვენი აზრით, ქართლის დედოფლის ტიტულის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ძნელი წარმოსადგენია ანტიკური პერიოდის იბერიაში პირადი საბეჭდავი იერარქიით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ქალს ჰქონოდა.

¹⁷ <http://www.cngcoins.com/Coin.aspx?CoinID=153086>

სურათები:



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3 ა



სურ. 3 ბ



სურ. 3 გ



სურ. 3 დ



სურ. 3 ე



სურ. 4

Marika Mshvildadze

FOR THE ISSUE OF ULPYA SEAL STUDY

Summary

The work is a thorough study of the golden seal discovered in 2001, in a rich tomb by the North-east wall of the Svetitskhoveli Cathedral (Tomb#14, dated by the 3rd c. A.D.). The golden ring has engraved red sardonic gem. There is left profil of the woman carved on the surface of the gem with an intaglio inscription in Greek capital letters: BACIAICCA OYANANAEIA – “Queen Ulpia the ruler” (?).

No similar seal has been ever discovered on the territory of Georgia, except of the seal with an inscription found in tomb #2 in Armaziskhevi (the tomb is dated by the second half of the 3rd c.). According to the inscription carved in the intaglio her name is Ulpia. The name Ulpia in the times of Antiquity was connected with the family name of the Roman Emperor M. Ulpius Trajan. Following the genealogy of the Ulpia family, we can see that they used to rule over Rome, whether directly or indirectly, through the 2nd century, i.e. in the period which has become known in the history as the Golden Age of the Roman Empire. The name Ulpia, similar to Flavius, used to bestowed upon the nobility and the kings of the allied (client) states, thus they were becoming the Roman citizens. They were considered the Empire’s important supporters in these countries.

The study shows that the oblong headwears of various shapes, similar to that, depicted on Ulpia seal, are spread all over the large geographical area – both in the places of migration of Scytho-Sarmatian tribes in general, as well as in the residential places of the people of the Black Sea coast and Asia Minor.

Ulpia shows remarkable similarity in appearance and clothing with intaglio of dark pyrope, found in tomb #1 of Armaziskhevi (“tomb of Aspavruk Eristavi”), which is placed in golden clasp and has the image of lady, named Karpaki. Ulpia’s clothes are similar to that of Karpaki; also, the style of their profile depiction is the same. Person named Zevakhi is also mentioned here and he is thought to be Aspavruk’s son. Aspavruk’s ring is definitely a piece of craftsmanship of the Iberian stone cutters.

Accordingly, Ulpia could have been a noble woman, either local, or of Caucasian origin, queen of Kartli with her personal seal with the title BACIAICCA.

მარიამ ჩხარტიშვილი

საქართველო V საუკუნის პირველ ნახევარში: ქართლის მეფე არჩილი

1.

საქართველოს ისტორია გვიანანტიკურ პერიოდში არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა დღემდე. მაგრამ მრავალ საკითხთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა ეპოქების შემთხვევაში. ეს წერილი მიზნად ისახავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას თუ არა, ნაწილობრივ შევსებას მაინც. კონკრეტულად ის ეძღვნება მეფე არჩილ I-ს. ქართლის ეს ხელისუფალი სამეფო ტახტზე ვახტანგ გორგასლის წინამორბედის – მირდატის – წინამორბედი იყო. შესაბამისად, ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით, მისი ზეობა V საუკუნის პირველ ნახევარში თავსდება.

ფართო საზოგადოებისათვის მეფე არჩილი თითქმის უცნობია.¹ ამგვარი ფიქრის საფუძველს მაძლევს ინტერნეტში განთავსებული მასალის ანალიზი: ზოგ პუბლიკაციაში არჩილი ქართველ მეფეთა სათვალავში არც კი მოიაზრება: არჩილ პირველად მიჩნეულია არაბების წინააღმდეგ მებრძოლი მეფე არჩილი. დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებში გვიან ანტიკურ ეპოქაში მოღვაწე არჩილის ხსენებას არ ვხვდებით;² უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებში მასზე ინფორმაცია თუ არის, ორიოდვე წინადადებით შემოიფარგლება.³ ამის მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ იმ მკვლევართა თვალსაზრისები, რომ-

¹ ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ქართული საზოგადოება, ჩვეულებრივ, დიდ ინტერესს ავლენს ისტორიისადმი; მეფეთა სახეებს კი კოლექტიურ მეხსიერებაში განსაკუთრებით საპატიო ადგილი უკავიათ.

² ჩემ მიერ განხილულ ათეულობით სახელმძღვანელოში ყოველ შემთხვევაში ასეა.

³ ავიღოთ თუნდაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გამიზნული სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“ (ტ. I, თბ. 2006), აქ არჩილის შესახებ ინფორმაცია ამოიწურება შემდეგით: „ამის შემდეგ ქართლში გამეფდა არჩილი, ხოლო შემდეგ – მისი ძე მირდატი“. (გვ. 116).

ლებიც ამ პერიოდს იკვლევენ, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია;⁴ აქედან გამომდინარე ფართო მკითხველისათვის რთული ხდება კოლექტიური მენსიერებისათვის მისაღები ერთი სახის გამოძერწვა. ეს გაურკვევლობა განსაკუთრებით თავს იჩენს სამეცნიერო-პოპულარულ საცნობარო ლიტერატურაში.⁵ საქართველოს ისტორიის შესახებ უცხოენოვანი ნაშრომებიც ამ ვითარებას არეკლავს: არჩილი ან სრულიად არ, ან ორი სიტყვით, ან მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მოიხსენიება.⁶

გასულ წლებში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომში⁷ მეც შევეხე არჩილ მეფეს. კვლევამ მაჩვენა, რომ არსებული წყაროები საშუალებას იძლევა საკმაოდ დამაჯერებლად აღვადგინოთ არჩილის, როგორც პიროვნების და პოლიტიკური მოღვაწის, პორტრეტი. ამ წერილში სწორედ ამას შევეცდები. რეპრეზენტაციისას ახალ დაკვირვებებთან ერთად ადრე ჩემ მიერ მიღებულ არაერთ დასკვნას გამოვიყენებ. შედეგი მთლიანობაში (და არა ცალკეული დეტალების მიხედვით) არსებითად განსხვავდება ყველა იმ თვალსაზრისისაგან, რომელიც აქამდე კოლეგათა მიერ გამოთქმულა არჩილზე. მათთან შედარებით ჩემეული რეპრეზენტაციის მეტი სიზუსტის რწმენას და, ამიტომაც, მისი აქ

⁴ მაგალითისათვის შდრ. ვ. გოილაძე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბ. 1990, გვ. 101-103; დ. მუსხელიშვილი. საქართველო VI-VIII საუკუნეებში. თბ. 2003, გვ. 83-84; მ. სანაძე. ქართველთა ცხოვრება. წ. III. ქართლის მეფეებისა და პატრიარქების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). თბ. 2016, გვ. 297-302.

⁵ მაგალითისათვის იხ. ენციკლოპედიურ-საცნობარო წიგნი „საქართველოს მეფეები“ (რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, 2000), გვ. 39.

⁶ ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილას (და საერთოდაც) არ იხსენიება არჩილ მეფე, მაგალითად, რ. სუნისთან (R. G. Suny. The Making of the Georgian Nation. Second edition, Indiana University Press, გვ. 22-23) ორიოდე სიტყვით იხსნიება დ. რეიფილდთან (D. Rayfield. Edge of Empires. A History of Georgia. Reaktion books, 2012, გვ. 42); კ. თუმანოვი და ს. რაპი, მართალია, წარმოადგენენ მოკლე რეპრეზენტაციებს, მაგრამ მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე დაყრდნობით (C. Toumanoff. Chronology of the Early Kings of Iberia Traditio, 1969. Vol. 25 გვ. 27; S. H. Rapp, Jr. Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium and the Architects of the Written Georgian Past. Vol. 1. A dissertation submitted in a partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (history). At the University of Michigan. 1997, გვ. 400-401).

⁷ კონკრეტულად ვგულისხმობ შემდეგ ნაშრომებს: მ. ჩხარტიშვილი. „ფრიად სარწმუნო ბაკური“. ჟურნ.: „მნათობი“. №5. 1986, გვ. 161-166; მ. ჩხარტიშვილი. ისტორიული პორტრეტები. თბ. 1992; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხოვრებად წმიდისა ნინოსის“). თბ. 1987; მ. ჩხარტიშვილი. „მოქცევაი ქართლისაი“ პეტრე იბერის შესახებ. თბ. 2013; მ. ჩხარტიშვილი. ვახტანგ გორგასლის საგვარეულო კუთვნილების საკითხი ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორიის ფონზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. X. თბ. 2016, გვ. 111-137.

წარმოდგენის სურვილს მამლევს შემდეგი გარემოება: მწყობრი ნარატივის შესაქმნელად არცერთი მონაცემის უგულუბელებოვა არ ღამჭირვებია ანუ არსებულ წყაროებს სრულად ვიყენებ. სხვათა მიერ ურთიერთგამომრიცხველად მიჩნეული მონაცემები, ჩემ მიერ აღდგენილ სურათში ერთმანეთს ჰარმონიულად ავსებს და ყველა წყარო პირდაპირ თუ ირიბად ერთმანეთს ადასტურებს.

2.

მეფე არჩილზე თხრობას დავიწყებ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ღირსშესანიშნავი ძეგლის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ინფორმაციის ანალიზით. თავიდანვე ვიტყვი, რომ წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ეს ძეგლი უაღრესად ღირებულად მიმაჩნია. ყველა სხვა წყაროზე უფრო სრულყოფილად ის გვამცნობს ქართლის უზენაეს ხელისუფალთა რიგს. მისი ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაკლი (ვეგლისხმობ, როცა მას როგორც წყაროს მივმართავთ და არა როგორც საისტორიო მწერლობის ნიმუშს), ისაა, რომ ხშირად ინფორმაცია ამა თუ იმ ხელისუფალზე, უაღრესად მოკლეა. ამის გამო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უმეტეს შემთხვევებში ჩვენს ინტერესს უფრო აღვივებს, ვიდრე აკმაყოფილებს. ეპოქის სურათის აღსადგენად აუცილებელი ხდება დამატებითი მონაცემების მოძიება. თუმცა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მნიშვნელობა მაინც განუზომლად დიდი რჩება: გარდასული სინამდვილის ამსახველ, ხშირად ქოტიურ მონაცემებში გასარკვევად ის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს.

აი, როგორაა წარმოდგენილი არჩილის ზეობა ამ წყაროში:

„და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიახშმან გარაშ ბაღდადს და მუნ მოკუდა. და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ, და მთავარ ებისკოპოსი იყო იონა. და მაშინ დაეცა ქუემოდ ეკლესიაჲ. და იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა-წარმოიღო. და მისა ზე აზნაურთა სტეფანე-წმიდაჲ აღაშენეს არაგუსა ზედა. და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა. და მის-ვე არჩილის ზე ოთხნი მთავარ ებისკოპოსნი გარდაიცვალნეს. და მერმე მეფობდა მირდატ. და მთავარ ებისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთავადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშმისაგან ქართლს და ჰერეთს“ (შატბერდული რედაქცია).⁸

როგორც ვხედავთ, ძალიან ნიშანდობლივი ფაქტებით აღბეჭდილი რეპრეზენტაციაა. საკმაოდ დამთრგუნველი სურათია დახატული. მხოლოდ ნეგა-

⁸ ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტექსტები დადგენილი ავტორთა კოლექტივის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. წ. I. თბ. 1963, გვ. 92.

ტიური ფაქტები. ერთადერთი პოზიტივი წმინდა სტეფანეს ტაძრის მშენებლობაა. ამ, მართლაც, ძალიან გამორჩეულ მოვლენას ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მითითებული არაა არჩილის ბიოგრაფიის აღსაწერად ბევრი მნიშვნელოვანი მონაცემი, თუნდაც, მაგალითად, არაა განმარტებული ვინ იყო არჩილისათვის მისი წინამორბედი მეფე მირდატი, რომლის მეფობა მტრის კარზე შეწყვეტილა; ან ვინ არის არჩილისათვის მისი მომდევნო მეფე მირდატი.

3.

ინფორმაციის შევსების საშუალებას გვაძლევს სხვა, ასევე ძალიან ღირებული, წყარო. ესაა პეტრე იბერიის ასურულენოვანი „ცხოვრება“. აქ მოხსენიებულია მეფე არჩილი, რომელიც, ჰაგიოგრაფის⁹ მითითებით ყოფილა პეტრეს პაპის ძმა დედის ხაზით; ის ტახტზე ასულა ღრმადმოხუცებული იბერიაში გავრცელებული მეფეთმონაცვლეობის წესის თანახმად და ქვეყანას პეტრეს მამასთან ერთად განაგებდა თურმე.¹⁰

აშკარაა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მითითებული არჩილი და პეტრე იბერიის ასურულენოვანი „ცხოვრების“ არჩილი ერთი და იგივე პიროვნებაა. სხვა ქართლის მეფეს სახელი არჩილი არ რქმევია ზემოთ ხსენებულ არაბთა შემოსევების დროს მოწამეობრივად აღსრულებულ არჩილამდე. ასე რომ, იგივეობა ეჭვს არ იწვევს და ამ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში დაფიქსირებული ფაქტები შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მონაცემების შესავსებად.

როგორც ირკვევა, პეტრე იბერი თავის ბიოგრაფს და მოწაფეს ბევრს ესაუბრებოდა საკუთარ ახლობლებზე. განსაკუთრებით ვრცელია ინფორმაცია სწორედ არჩილზე.¹¹

⁹ ამ ჰაგიოგრაფს ზოგი მკვლევარი, მაგალითად, კ. პორნი, მიიჩნევს იოანე რუფუსად. იხ. C. B. Horn. *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The Career of Peter the Iberian*. Oxford University Press. 2006; John Rufus. *The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus*. Edited and Translated with an Introduction and Notes by C. B. Horn and R. R. Phenix (Society of Biblical literature. Atlanta. 2008. ატრიბუციის საჩვენებლად მოხმობილი არგუმენტები ვერ მარწმუნებს. ამიტომ ავტორს, როგორც ანონიმს, ისე მოვიხსენიებ.

¹⁰ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ფაუხნიშვილმა. მეორე შეესწავლილი გამოცემა. თბ. 1965, გვ. 249.

¹¹ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, გვ. 251-252.

მაგრამ ვიდრე კონკრეტულად პეტრე იბერის ასურულენოვან „ცხოვრებაში“ დაცული ინფორმაციის ანალიზს შევუდგებოდე, მინდა ვთქვა ზოგადად ამ წყაროს შესახებაც. ის ავთენტურია, რადგან ჰაგიოგრაფი ინფორმაციას უშუალოდ თვითმხილველისაგან ანუ პეტრესაგან იღებდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორი უცხოელია და ამის გამო საქართველოს ვითარების ნაკლებად მცოდნე. ზოგჯერ ის პეტრეს ნათქვამს იგებს არაადეკვატურად და ამის შესაბამისი ინტერპრეტაციით გვაწოდებს მას ან კიდევ მისი რეპრეზენტაციის სტილის გარკვეულად მოულოდნელობის გამო, თანამედროვე მკვლევარს თავად აქვს გაგების პრობლემა.

ასე, მაგალითად, ჰაგიოგრაფი ბიზანტიაში ფართოდ ცნობილი „დიდი ბაკურს“ წარმოგვიდგენს პეტრეს პაპად დედის ხაზით და ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ.¹² ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო მირიანი. განა შესაძლებელია პეტრეს მირიანის შესახებ არაფერი სცოდნოდა? ცხადია, არა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პეტრეს სახელი ბერად აღკვეცამდე ანუ მურვანოსი, ხომ იგივე მირიანია.¹³ მაშინ რატომღა უნდა ეთქვა მოწაფისათვის, რომ ბაკურია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე? ცხადია, ის ამას არ იტყოდა, მაგრამ ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ არც ჰაგიოგრაფი გადაასხვაფერებდა შეგნებულად მის ნათქვამს ასეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ვითარების გარკვევაში გვეხმარება „მოქცევაი ქართლისაი“: მირიანის მომდევნო მეფე ტახტზე იყო მისი შვილიშვილი ბაკურ რევის ძე.¹⁴ და ეს ბაკური, მართლაც, პირველია არა იმ აზრით, რომ ის იყო ქართლის მეფეებს შორის პირველი ვინც გაქრისტიანდა, არამედ იმ აზრით, რომ ის იყო ქართველ მეფეებს შორის პირველი, რომელმაც ქრისტიანმა დაიკავა სამეფო ტახტი. ანუ ან ჰაგიოგრაფმა ვერ გაიგო ადეკვატურად პეტრეს ნათქვამი ან მან ზუსტად გაიგო, მაგრამ ჩვენ მივანიჭეთ მის ნათქვამს სხვაგვარი მნიშვნელობა. ასეა თუ ისე, აღნიშ-

¹² გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, გვ. 248.

¹³ აღნიშნული სახელების იგივეობა ძნელი ამოსაცნობი არაა და ამ მიხედვრამდე, ცხადია, დამოუკიდებლად მივიდი. მაგრამ დავიმოწმებ მკვლევრებს, რომელთაც ეს ფაქტი ჩემამდე დააფიქსირეს წერილობით. იხ. ბ. ხურცილავა. პეტრე იბერის საერო სახელისათვის. მისივე წიგნში „ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული საქართველოს ისტორიისათვის (სტატიების კრებული)“. თბ. 2006, გვ. 57-65; John Rufus: The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus. Edited and Translated with an Introduction and Notes by C.B. Horn and R. R. Phenix Jr. გვ. XXIV, Sen. 21.

¹⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. თბ. 1963, გვ. 91.

ნული ფაქტი ვერც ამ ჰაგიოგრაფიული წყაროს ავთენტურობას დააყენებს ეჭვქვეშ, და ვერც მირიანის, როგორც ქართლში ქრისტიანობის დამამკვიდრებლის, დამსახურებას დაამცრობს.

ამავე დროს ამ ძიებით ჩვენთვის ცხადი გახდა უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: „დიდი ბაკური“ ყოფილა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ბაკურ რევის ძე. ამას მოსდევს მნიშვნელოვანი მიხვედრა არჩილთან დაკავშირებითაც: რახან არჩილი იყო პეტრეს პაპის ძმა დედის ხაზით და ეს პაპა, როგორც გამორიკვა, მირიანის შვილიშვილი ყოფილა, ცხადია, იგივე შეიძლება ვთქვათ არჩილის წარმომავლობაზეც: ის ყოფილა მირიანის შვილიშვილი და რევის ძე. „დიდი ბაკურის“ პეტრეს პაპობის შესახებ ცნობასთან დაკავშირებით აუცილებლად მიმაჩნია ერთი შენიშვნის გაკეთება, თუმც თავიდანვე ვიტყვი, რომ ეს შენიშვნა (თუ შესწორება) არ უარყოფს ფაქტს არჩილის წარმომავლობასთან დაკავშირებით: ამ შესწორების გათვალისწინების შემთხვევაშიც არჩილი ბაკურის ძმა და, შესაბამისად, მირიან მეფის შვილიშვილი გამოდის.

საქმე შემდეგია: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ბაკურ რევის ძის ანუ „დიდი ბაკურის“ შემდგომ ტახტზე ადის მისი ძმა თრდატი. თრდატი ამკარად რეალური პიროვნებაა. მისი სახელიც ლოგიკურია თუ გავითვალისწინებთ, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემს იმის შესახებ, რომ რევ მირიანის ძეს ცოლად სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის თრდატის ასული სალომე ჰყავდა.¹⁵ ანუ რევს მეორე შვილისათვის სახელოვანი სიმამრის სახელი დაურქმევია.

ბაკურ რევის ძის შემდგომ თრდატ რევის ძის გამეფება ნიშნავს იმას, რომ მას მეძვედრე ანუ ვაჟიშვილი არ დარჩენია. ქალიშვილს კი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეფეთა რიგში, ბუნებრივია, ვერ ვიპოვი. ამიტომ ის გარემოება, რომ ბაკურ რევის ძის შემდგომ მისი შვილი დასახელებული არაა, მიუთითებს: მას ძე არ დარჩენია, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმასაც, რომ მას ქალიშვილი არ ჰყავდა. აქედან გამომდინარე სულაც არ არის გამორიცხული, რომ პეტრეს დედა, რომელსაც პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრების“ მიხედვით „ბაკურდუხტია“ ერქვა,¹⁶ მართლაც, „დიდი ბაკურის“ ანუ ბაკურ რევის ძის ასული ყოფილიყო. მაგრამ აქ არის ერთი ფაქტი, რომელიც, ვფიქრობ, გათვალისწინებას საჭიროებს. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც ვარაზ-ბაკური (ანუ პეტრეს მამა პეტრეს

¹⁵ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუნჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 70.

¹⁶ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, გვ. 248.

„ცხოვრების“ ქართულენოვანი რედაქციის მიხედვით), იყო თრდატის სიძე.¹⁷ ეს ცნობა საკმაოდ არეულ კონტექსტშია წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ნიშანდობლივად მეჩვენება. თუ ამ ცნობას სწორად მივიჩნევთ, მაშინ გამოდის, რომ ბაკურდუხტია, იყო არა ბაკურის ასული, არამედ თრდატ რევის ძის. ჰაგიოგრაფი შეცდომაში (როცა მან დიდი ბაკური მიიჩნია პეტრეს დედის მამად) უნდა შეეყვანა ამ ქალბატონის სახელს. სპარსულად ხომ „ბაკურდუხტია“ ბაკურის ასულს ნიშნავს. მაგრამ ხოსროვანი პრინციპსასათვის ამ სახელის დარქმევის სხვა, ასევე სავსებით ლოგიკურ, მოტივაციასაც შეიძლება მითითება: თრდატის ასულს „ბაკურდუხტია“ უმემკვიდრეო ბიძის – ბაკურ რევის ძის/ „დიდი ბაკურის“ – საპატივსაცემოდ დაერქვა; ის, შესაძლოა, სულაც მის შვილობილად იყო მოაზრებული. თუ საქმეს ამ კუთხით შევხედავთ, მაშინ საგულისხმოდ გამოჩნდება ისიც, რომ თრდატ რევის ძის ვაჟს ბაკური ერქვა. ეს ის ბაკურია, რომელსაც „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით ბოლნისის სიონი აუშენებია¹⁸ და რომელსაც რუფინუსი, მოიხსენიებს, როგორც „ფრიად სარწმუნო კაცს“¹⁹). ანუ რა გამოდის: თრდატის ორივე შვილს, ქალსაც და ვაჟსაც უფროს ძმასთან დაკავშირებული სახელები რქმევიათ. ამ ქმედების წმინდა ადამიანური მოტივაცია ჩემთვის იოლად გასაგებია: თრდატი ცდილობს უმემკვიდრეო ძმის უშვილობის კომპენსირებას საკუთარი შვილების თითქოს მისად დასახვით. ძალიან შორეულ ეპოქას და ჩემგან სრულიად განსხვავებული სოციალური წრის წარმომადგენლებს ეხება საქმე, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ვარაუდში არ ვცდები, ადამიანური ემოციები, იმ დროიდან დღემდე დიდად არ შეცვლილა.

¹⁷ ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 132, 137.

¹⁸ ბოლნისის სიონის დათარიღებას ჩვეულებრივ ცდილობენ ეპიგრაფიკული მონაცემების საფუძველზე (საკითხის შესწავლის ისტორიის შესახებ იხ. გ. ყიფიანი. ბოლნისის სიონი. სამი უადრესი წარწერა. <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/11>). მე მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ცალსახა (და არა ეპიგრაფიკული მონაცემების სათუო ინტერპრეტაციებზე დაფუძნებულ) ინფორმაციის შემცველ ისტორიოგრაფიულ წყაროებს: უპირველესად „მოქცევაი ქართლისაის“, რომლის მიხედვითაც ეკლესია ბაკურ თრდატის ძის დროს ანუ V საუკუნის დასაწყისში ააშენეს (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 92). „ქართლის ცხოვრება“, ფაქტობრივად, ამას არ ეწინააღმდეგება, როცა ტაძრის მშენებლობას ბაკურის მომდევნო ფარსმანის დროს მიუთითებს (ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 138). აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება ტაძრის საბოლოო შექმნა.

¹⁹ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. I. თბ. 1961, გვ. 207.

წყაროს თავისებურების შესახებ ამ მცირე განსჯის შემდგომ პეტრე იბერიის ასურულენოვან „ცხოვრებაში“ დაცული ცნობების ანალიზს დავუბრუნდები. წყარო კარგად აჩვენებს რაგვარად ასკეტური განწყობილების ადამიანი იყო არჩილი. ასეთი მმართველის იდეალი, როგორც იყო არჩილი, იმდროინდელ საქრისტიანოში არსებობდა. არჩილის შესახებ ჰაგიოგრაფი მიუთითებს, რომ მან სასახლე დაამსგავსა ეკლესიას. ზუსტად ასევე წერენ ბიზანტიის სამეფო ოჯახის წევრების შესახებაც ძველი ავტორები. მაგალითად, იგივე აზრია გამოთქმული ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი მცირეს უფროსი დის პულქერიას ცხოვრების სტილის შესახებაც.²⁰ ანუ იმის თქმა მინდა, რომ გვიანანტიკური ეპოქის მაღალი წრეების ქრისტიანებს შორის ოჯახისადმი ამგვარი დამოკიდებულება ნორმა არა, მაგრამ საკმაოდ მიღებული იდეალი იყო. იყვნენ ღიდგვაროვანი მორწმუნეები, რომელთაც არც ქონების დათმობა უჭირდათ საეკლესიო ცხოვრებისათვის და არც ხელისუფლების. გვიანანტიკური ქართლი, როგორც საქრისტიანოს განუყოფელი ნაწილი, ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, ყოველ შემთხვევაში, ამას იზიარებდა მისი არისტოკრატიის ნაწილი. ამიტომ არჩილის ასკეტიზმი მართო პიროვნული მიდრეკილებების გამოხატულება არ მგონია, არამედ იმ ზოგადქრისტიანული კულტურისაც, რომლის მონაწილე არჩილი იყო. უმნიშვნელო როდი ჩანს ამ შემთხვევაში არჩილის მამის ანუ რევის ფაქტორიც. როგორც აღინიშნა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით მირიანის შემდეგ მეფე გახდა მისი შვილიშვილი ბაკური და არა შვილი რევი. არავითარი საბაბი, რის გამოც არ უნდა გამეფებულიყო რევი,²¹ არ ჩანს. ის ცოცხალია კარგა ხანს მამის გარდაცვალების შემდგომაც და ვიდრე მისი ძე ქვეყანას მართავს, სულის საცხონებელი საქმეებით (პატიოსან ჯვარს შეუქმნა კუბაი²²) არის დაკავებული. ანუ ბა-

²⁰ ამაზე ყურადღებას ამახვილებს კ. პორნი სოკრატეზე დაყრდნობით. იხ. C. B. Horn. *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The Career of Peter the Iberian*, გვ. 64.

²¹ „ქართლის ცხოვრება“ საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგენს: ბაქარი (ანუ იგივე ბაკური) ამ წყაროს მირიანის მეორე შვილად ჰყავს გამოყვანილი და რევის მეფობას მირიანის სიცოცხლეშივე მიუთითებს (ქართლის ცხოვრება. ტ. გვ. 129-130). ამკარაა, რომ ეს ყველაფერი შემათიანეს ინტერპრეტაციაა, რადგან ის პასუხს ვერ უძებნის კითხვას რატომ არ გამეფდა მამის შემდეგ რევი. XI საუკუნის ავტორისათვის (ვეგულისხმობ ლეონტი მროველს, რომელიც ტექსტის ამ მონაკვეთის ავტორია) ხელისუფლებაზე უარის ნებაყოფილობით თქმა გაუგებარია. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, გვიანანტიკურ ეპოქის ქრისტიანებისათვის ეს ბუნებრივი იყო.

²² „და მოკულა მირიან მეფე და დაეფლა საშუალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოით კერძო. და მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისა მის ცხოველისა. და მეორესა წელსა მოკულა ცოლი მისი ნანა და დაეფლა დასავალით კერძო მასვე სუეტსა, სადა მირიან მეფე დამარხულ

კურს ნამდვილად ხელისუფლების უზურპაცია არ მოუხდენია, მამა არ მოუკლავს. ეს თავად რევს არ სურდა მეფობა, და ტახტისაგან თავის განრიდების მიზეზი შეიძლება ასკეტური მსოფლგანცდა ყოფილიყო მხოლოდ. ღრმად მოხუცებულებაში ტახტზე არჩილის ასვლა იმას ნიშნავს, რომ მას თავიდან განზრახული არც ჰქონია გამეფება. უბრალოდ რაღაც ვითარებაში მოუწია ეს ნაბიჯი გადაეღვა, ისევე როგორც იძულებით დათანხმდა ცოლის მოყვანას.

ამ მსჯელობით არჩილის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ვლინდება: ადრე გავარკვეით, რომ ის რევის ძეა და, შესაბამისად, მისი წინამორბედი მირდატი მისი მამა არა არის. ახლა ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ არჩილი არ შეიძლება იყოს მისი მომდევნო მეფის, ასევე მირდატის, მამა: არჩილს ხომ საკუთარ ცოლთანაც არ ჰქონია ინტიმური ურთიერთობა და, როგორც ჰაგიოგრაფი ხაზს უსვამს, არჩილი მასთან „უბიწო“ ღარჩა.

4.

ორივე მირდატის (არჩილის წინამორბედი და მისი მომდევნო, რომლებიც არჩილის არც მამა და არც ძე არ არიან) ფაქტი განმარტებას მოითხოვს. ეს დაგვეჩვენება საფუძვლიანად ავხსნათ არჩილის ღრმადმოხუცებულებაში გამეფების გარემოებანი. და ამას შევეცდები კიდევ ქვემოთ, მაგრამ მანამდე ღარჩა გადასაჭრელი ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ეს არის არჩილის ის პორტრეტი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის მეორე უმნიშვნელოს წყაროში „ქართლის ცხოვრებაში“.

„ქართლის ცხოვრებაში“ დახატული არჩილის პორტრეტი და ზემოთ რეპრეზენტირებული პორტრეტი ერთმანეთისაგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა. ამ წყაროს მიხედვით არჩილი სპარსელების წინააღმდეგ მოუღალავი მებრძოლია, მას მეუღლისაგან ჰყავს შვილი ანუ არჩილის მომდევნო მირდატი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არჩილის შვილია.²³

როგორ შევათავსოთ ერთმანეთს ეს ორი სახე? თითქოს ეს შეუძლებელია. მაშინ ვენდოთ ერთ-ერთს, მაგრამ რომელს? არჩევანის გაკეთებაც შეუძლებელია. იქნებ სხვადასხვა პიროვნებას ეხება სიტყვა? ესეც გამორიცხულია: როგორც უკვე აღვნიშნე, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და პეტრე იბერიის ასურულენოვანი „ცხოვრების“ არჩილ მეფე ერთიდაიგივე პირია იმიტომ, რომ

იყო. და დაჯდა მეფედ ბაკურ, ძე რვეისი... და ოც და მესამესა წელსა აღმართებითგან პატროსნისა ჯუარისა შეუქმნა კუბად რევ და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 91 (შატბერდული რედაქცია).

²³ ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 139-140.

სხვა მეფე ამ სახელით ამ პერიოდში ცნობილ არაა. „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებითაც იგივე უნდა გავიმეორო. ამის დამატებით უნდა ვთქვა, რომ „ქართლის ცხოვრებში“ გვაქვს ცნობა სტეფანწმინდას მცხეთაში მშენებლობის შესახებ. ეს კი ექსკლუზიურად არჩილის I-ის ზეობის დამახასიათებელი ფაქტია, მისი ეპოქის „სავიზიტო ბარათია“. ასე რომ, „წყალი არ გაუვა“, ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ და მეორე მხრივ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ არჩილების იგივეობას. აღნიშნული ვითარება, მართლაც, დილემად წარმოდგებოდა (ცხადია, შეუძლებელია ადამიანი ერთდროულად ასკეტიც იყოს და არც იყოს), რომ არა ერთი დეტალი, რომელსაც არჩილის მეფობასთან დაკავშირებით გვაწვდის პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება“. ეს არის ცნობა იმის თაობაზე, რომ არჩილი იბერიას მართავდა პეტრეს მამასთან ერთად. მართალია, არჩილის თანამმართველი არც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და არც „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არაა, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს მის მეფობას სამეფო კარზე. აღნიშნული თხზულებები ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის ძეგლებია. პეტრეს ბიოგრაფის მიზანი კი სხვაა, ის ცდილობს აღნუსხოს ყველაფერი, რაც პეტრეს უკავშირდება, ამიტომ მისთვის უმნიშვნელოა არაა, ყურადღება გაგვამახვილებინოს, რომ არჩილთან ერთად პეტრეს მამა თანამმართველობდა. მისთვის მთავარი სწორედაც რომ ესაა.

აღნიშნული გვახვედრებს რას უნდა ნიშნავდეს „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი არჩილის განსხვავებული პორტრეტი: ეს არის ასახვა არჩილის თანამმართველის ანუ პეტრეს მამის სახის. მას არჩილთან ერთად სწორედ იმიტომ უნდა ემოღვაწა, რომ მისგან განსხვავებული, აქტიური პრაქტიკული ქმედების უნარის მქონე კაცი იყო. „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ სპარსელთა წინააღმდეგ არჩილის მიერ წარმოებულ ბრძოლებს, ჩანს, პეტრეს მამა აწარმოებდა, ცხადია, არჩილის სახელით. გვიანდელ ქართველ მემატიანეს, რომელსაც სათანადოდ, არ აქვს გააზრებული თანამმართველის როლი (ან ფიქრობს, რომ ამ არაორდინარული ვითარების აღწერა დააბნევს მის მკითხველს) აღნიშნული აქტიუობა მარტო არჩილისათვის აქვს მიწერილი.

ასე რომ, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების მიზეზით „მოქცევაჲ ქართლისაჲზე“ და პეტრე იბერის ასურულენოვან „ცხოვრებაზე“ დაფუძნებით ზემოთ წარმოდგენილი არჩილ მეფის პორტრეტის გადასინჯვა საჭირო არ არის; მეტიც, როგორც ვნახავთ, „ქართლის ცხოვრებაც“ ბევრ დეტალს შეჰმატებს ამ სურათს.

5.

აღნიშნული მსჯელობა გამოკვეთს კიდევ ერთ საკვლევ თემას: არჩილის მეფობის და ბიოგრაფიის აღსაწერად პეტრეს მამის ვინაობის გარკვევა და მისი ბიოგრაფიის რეკონსტრუქციაც დაგვჭირდება. პეტრეს მამას პეტრე იბერის ქართულენოვანი „ცხოვრების“ მიხედვით ვარაზ-ბაკური ერქვა.²⁴

ამიტომ ვიდრე არჩილზე დანარჩენი წყაროების მონაცემების ანალიზს შევუდგებოდე, მოკლედ ვიტყვი პეტრეს მამის შესახებ. ამ შემთხვევაში რეპრეზენტაციას გამიიოლებს შემდეგი გარემოება: გასულ წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომებში“ გამოქვეყნებული ზემოთ უკვე მითითებული ჩემი სტატია ვახტანგ გორგასალზე. მასში ძირითად საკითხთან ერთად წარმოდგენილი მაქვს მსჯელობა პეტრეს მამაზე. მასთან დაკავშირებულ მიღებულ დასკვნებს აქ მოკლედ გავიმეორებ.

პეტრე იბერის ასურულენოვან „ცხოვრებაში“ პეტრეს მამის სახელი ბუზშირია, ქართულენოვან „ცხოვრებაში“ კი – ვარაზ-ბაკური. ამგვარად, აშკარაა, რომ ვარაზ-ბაკური ბუზშირის ეკვივალენტია. მეორე მხრივ, ვარაზ-ბაკური არის ამიანე მარცელინეს ასპაკური. ეს ვარაუდი კარგა ხანია გამოითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში და მე ის მართებულად მიმაჩნია. ამგვარად, პეტრეს მამის პორტრეტის აღსადგენად დასახელებული წყაროების მონაცემები შეიძლება შეიკრიბოს.

როგორც ირკვევა, ქვეყნის საღავეები ვარაზ-ბაკურს ორჯერ ეპყრა. პირველად ის IV საუკუნის ბოლო ოცწლეულში ჩანს გამეფებული. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მის ზეობას თრდატ მირიანის ძის შემდგომ აღნიშნავს. ოღონდაც ის აქ მოხსენიებულია, ერთი შეხედვით, საკმაოდ უცნაურად ჯერ ერთი, მის შესახებ წერია, რომ „დადგა მეფედ“ უფრო ტრადიციული ფრაზის „დაჯდა მეფედ“ ნაცვლად. ეს ნიუანსი თითქოს მისი სტატუსის დროებითობას ასაჩინოებს. მეორეც, და ეს განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევია, მის შემდგომ მეფედ სახელდება ბაკურ თრდატის ძე. ანუ გამოდის, რომ ვარაზ-ბაკური თრდატ რევის ძესა და ბაკურ თრდატის ძის ანუ მამასა და შვილს შორის პერიოდში მეფობს. მაგრამ ეს უცნაურობა იოლად ასახსნელი ხდება თუ გავიზიარებთ იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც ვარაზ-ბაკური თრდატის სიძე – ქალიშვილის ქმარი იყო. ანუ პეტრეს მამა, რომელიც თავად ზოსრო-

²⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II (XI-XV სს). ტექსტები დასაბუჯლად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 215.

ვანი არაა, ტახტს იკავებს უშუალოდ სიმამრის გარდაცვალების შემდეგ დროებით, ტახტის რეალური მემკვიდრის ბაკურის ნაცვლად. თავად ბაკური თრდატის ძე მამის გარდაცვალების დროისათვის, ჩანს, ქართლში არ იმყოფებოდა. ბაკურ თრდატის ძე არის რუფინუსის ინფორმატორი ბაკური, რომელიც ხანგრძლივად იმყოფებოდა ბიზანტიის კარზე, როგორც საპატიო მძევალი და, გნებავთ, ელჩი. ის ბიზანტიელთა სახელმწიფო სამსახურში აქტიურად ჩართული და ინტელექტუალურ წრეებში მიღებული პიროვნება იყო. ამიტომ სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ მას ტახტს „უნახავს“ სიძე (დის მეუღლე) ანუ ვარაზ-ბაკური. ამ უკანასკნელის ლეგიტიმურობას კი უზრუნველყოფს მისი ხოსროვანი მეუღლე. არ გამოვრიცხავ, რომ პეტრეს მშობლების ქორწინება საერთოდაც თრდატის გარდაცვალების მიზეზით შექმნილი სახელისუფლო კრიზისს უკავშირდებოდეს. ხოსროვანებს იმ მომენტიისთვის სჭირდებოდათ პიროვნება, რომელიც ტახტს „შეინახავდა“ ბაკურ თრდატის ძის დაბრუნებამდე. ეტყობა, ვარაზ-ბაკურს იმ რთულ ვითარებისათვის შესაბამისი მმართველის უნარები ჰქონდა, ამავე დროს ის ხოსროვანთა პოლიტიკური პარტნიორი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ხოსროვან პრინცესაზე დაქორწინებული ვარაზ-ბაკური კი განსაკუთრებით სანდო ხდებოდა იმის გამო, რომ სამომავლოდ ხელისუფლებაში მონაწილეობის პერსპექტივა ეშლებოდა ტახტის მემკვიდრე შვილების გზითაც.

ვარაზ-ბაკური განეკუთვნებოდა ქართლის გამოჩენილ ფეოდალურ საგვარეულოს (ხიდარელების სახლს), რომელიც, სავარაუდოდ, სიძლიერით მესამე საგვარეულო იყო სამეფო სახლის და სპასპეტის სახლის შემდგომ. ოღონდაც, ჩანს, რომ თრდატ რევის ასულზე (მას, როგორც ითქვა, პეტრე იბერის „ცხოვრების“ ასურულენოვანი ვერსიის მიხედვით, ბაკურდუხტია ერქვა) ქორწინება პირველი არ იყო ვარაზ-ბაკურისათვის. პირველ ცოლთან მას რამდენიმე შვილი ჰყავდა. ეს ვიცით „ქართლის ცხოვრებისა“ და სინური რედაქციის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მინაწერით. მეორე ქორწინება, როგორც ვთქვი, ფაქტობრივად პოლიტიკური ალიანსის გამოხატულება ჩანს. ამ ქორწინებაში ვარაზ-ბაკურს გაუჩნდა ერთადერთი ვაჟი მურვანოსი ანუ პეტრე იბერი.

ხოსროვანებს ამკარად უჭირდათ რეპროლუქცია. ვარაზ-ბაკურის წუხილი შვილის დიდხანს არყოლის გამო კარგად არის აღწერილი პეტრე იბერის ქართულენოვან „ცხოვრებაში“.²⁵

²⁵ „იყო მეფე იგი ქართველთა მართლმორწმუნე ღმრთისა და არა ესუა მას შვილი წული.“

ვარაზ-ბაკურის ეს პირველი ყოფნა ტახტზე არ დასრულდა კარგად. სპარსთა შემოჭრის შედეგად მას ტახტის დატოვებამ მოუწია და თავის მამულს და ციხე ხიდარს მიაშურა. სწორედ ამ კოლიზიების შემდეგ ტახტზე ბაკურ თრდატის ძეს ასახელებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ეტყობა, ბიზანტიის ხელისუფლებისათვის აშკარა გახდა, რომ ქართლის ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე ბოლოსდაბოლოს უნდა დაებრუნებინა. ბიზანტიაში სახელმწიფოს მართვაში თუ სამხედრო საქმეში ყოველმხრივ დახელოვებული ბაკურ თრდატის ძე, მართლაც, თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევს სპარსეთის გავლენას ქვეყანაში: მცხეთის თავდაცვით ნაგებობებს ამაგრებს, აგებს ისეთი მასშტაბის საკულტო ნაგებობას, როგორცაა ბოლნისის სიონი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ V საუკუნის მთელი პირველი ნახევარი ბიზანტიასა და ირანს შორის ურთიერთობებში საკმაოდ დაძაბული პერიოდი.²⁶

ამ ბაკურის შემდეგ მეფობს რევის ასულის წული ფარსმანი ანუ ბაკურ თრდატის ძის მამიდაშვილი. ეს ნიშნავს, ბაკურ თრდატის ძესაც ვაჟიშვილი არ ჰყოლია. ფარსმანს მოსდევს მირდატი, რომლის კავშირი წინამორბედ მეფესთან „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მითითებული არ არის, მაგრამ მგონია, რომ ესეც რევის ასულის ძე უნდა იყოს ანუ ფარსმან მეფის ძმა. მაგრამ მირდატი ფარსმანის ძეც რომ იყოს (თუმც ეს გამორიცხული მგონია), ამ ფაქტს ამ კვლევისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამჯერად მთავარია, ის, რაც სრულიად აშკარაა: მირდატი არჩილის მამა არ არის.

აი, ამდენი სხვადასხვა თაობის ადამიანის ზეობის შემდგომ ხდება არჩილი მეფე. როგორც ითქვა, პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ ავტორი მიუთითებს, რომ არჩილთან ერთად ქვეყანას პეტრეს მამა ანუ ვარაზ-ბაკურიც მართავდა. ფაქტობრივად, ეს იყო ვარაზ-ბაკურის მეორედ ყოფნა ხელისუფლებაში. თუმც ამ ფაქტს ქართული წყაროები, როგორც ითქვა, არ აფიქსირებენ, ალბათ ის მათთვის უბრალოდ გაუგებარია მისი არაორდინალურობის გამო. არჩილი, იყო ლეგიტიმური, მაგრამ ფიქტიური მმართველი. ვარაზ-ბაკურს, როგორც არახოსროვანს, ტახტის დაკავებისათვის აუცილებელი ლეგიტიმურობა აკლდა, მაგრამ ის იყო ქვეყნის რეალური გამგებელი. მეორე ჯერზე ხელისუფლების სათავეში მოქცევისას ვარაზ-ბაკურს უფრო ოპტიმის-

ამისთვისცა ევედრებინ ღმერთსა მარადის მხურვალედ, რათა მიაწიოს მას შვილი“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II, გვ. 216.

²⁶ ამ დროს ბიზანტიასა და ირანს შორის ორ ომს ჰქონდა ადგილი – 421-422 და 440 წლებში.

ტურად უნდა ეგრძნო თავი: ის ახლა ტახტს ცოლისძმას კი არა საკუთარ შვილს, ხოსროვანთა სახლის ერთადერთ მემკვიდრეს (დედის ხაზით) – მურვანოსს ანუ პეტრეს – „უნახავდა“, ვიდრე ის ბიზანტიიდან დაბრუნდებოდა.

ამგვარად, ვარაზ-ბაკურის ცხოვრების რეპრეზენტაცია გასაგებს ხდის არჩილის, ამ მოხუცი ასკეტის, ტახტზე ფორმალურად ასვლის მიზეზს: ეს აუცილებელი იყო ხოსროვანთა სახლში ტახტის დანარჩუნებისათვის პეტრეს ჩამოსვლამდე და ვარაზ-ბაკურის რეალური მმართველობისათვის ლეგიტიმურობის მისანიჭებლად.

როგორც უკვე ითქვა, პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ ავტორის მითითებით, იბერიაში მოქმედი მეფეთმონაცვლეობის წესი იყო მოხუცებულობაში არჩილის გამეფების მიზეზი. მაგრამ ეს არის არა ფაქტი, არამედ ლოგიკური დასკვნა დაფუძნებული ქართლის ტახტზე IV საუკუნის მეორე ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარში მეფეების მართლაც უცნაური მონაცვლეობის გათვალისწინებაზე. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს მეფეთმონაცვლეობის წესი კი არა, ტახტის მემკვიდრის არყოლით გამოწვეული კრიზისის გამოხატულება იყო. მეფეთმონაცვლეობა ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება მამიდან შვილზე კი არ გადადის, არამედ მოივლის გვარის ყველა მამაკაც წევრს უფროს-უმცროსობის მიხედვით: ჯერ გამეფდებიან ერთი თაობის წარმომადგენლები ასაკის გათვალისწინებით, მერე შემდგომი თაობის წარმომადგენლები, ისევე ასაკობრივი რიგის მიხედვით. ამ წესთან რომ გვეკონდეს საქმე, არჩილ რევის ძე თრდატ რევის ძის შემდგომ ანუ ორი უფროს ძმის შემდგომ უნდა გამეფებულიყო. სინამდვილეში კი რას ვხედავთ: არჩილი გამეფდა არა მარტო ორი უფროსი ძმის, არამედ მისი ძმიშვილის ქმრის, ძმიშვილის და ორი დისშვილის შემდეგ ანუ თაობით მასზე უმცროსების და ქალის შთამომავლების შემდეგ. ამკარაა, არჩილი არ აპირებდა მეფობას, არც ოჯახის წევრები მიიჩნევდნენ მას ამისათვის შესაფერისად. როცა ოჯახის ყველა მამაკაცი წევრი გარდაიცვალა და ერთადერთი მემკვიდრე, ჯერ მცირეწლოვანი მურვანოსი, ბიზანტიაში იმყოფებოდა, აი, მაშინ უნდა დასმულიყო არჩილის გამეფების საკითხი.

მაგრამ, როგორც აჩვენა შემდგომმა მოვლენებმა, არჩილის ტახტზე ასვლით ხოსროვანთა სახლის პრობლემა დაკავშირებული მემკვიდრესთან, ვერ გადაწყდა. მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ტახტის მემკვიდრე მურვანოსი კონსტანტინოპოლის საიმპერატორო აპარტამენტებიდან გაიპარა და პალესტინაში ბერად აღიკვეცა პეტრეს სახელით. ამგვარად, ტახტზე დარჩა არჩილი,

რომელსაც შვილი ვეღარ ეყოლებოდა და ვარაზ-ბაკური, რომელსაც ასევე შვილი ვეღარ ეყოლებოდა თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც, მურვანოსი ძლივს შეეძინა უფლისადმი ბევრი ვედრების შემდეგ, დიდი ალბათობით უკვე ასაკოვან ვარაზ-ბაკურს. ასეთ ვითარებაში შემდეგი გამოსავალი მოიძებნა: არჩილმა იშვილა ვარაზ-ბაკურის უფროსი ძე პირველი მეუღლისაგან. ესაა მირდატი, რომლის არჩილთან დამოკიდებულების შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არაფერი წერია, „ქართლის ცხოვრებაში“ კი შვილად არის მიჩნეული. ეს უკანასკნელი ცნობა ჩემს ვარაუდს არ ეწინააღმდეგება, რამდენადაც შვილობილი შვილის ეკვივალენტური იყო სრულად და მემკვიდრეა ასე შექმნილი მისი მოქსენიებისა. მემკვიდრეობის გადასაცემად შვილება საკმაოდ აპრობირებული იყო ძველ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც.

მაგრამ შვილობილი შუემნებელია ყოფილიყო ვინმე, მიუღებელი არჩილის თანამმართველის ანუ ვარაზ-ბაკურისათვის. მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს მურვანოსთან დაკავშირებით იმედეები გაუცრუვდა, სრულიად ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მან გზა ტახტისაკენ სხვა შვილს გაუკაფა. ამგვარად, არჩილის შვილად „ქართლის ცხოვრების“ მიერ დასახელებული მირდატი, სინამდვილეში არჩილის შვილობილი, იყო ვარაზ-ბაკურის ძე მისი პირველი ცოლისაგან; სავარაუდოდ, ეს იგივე ამიანე მარცვლინეს უღტრაა.

რაც შეეხება არჩილს, ის იყო რეალურად უკანასკნელი ხოსროვანი მეფე ქართლის ტახტზე, თუმცა ხელოვნური ნათესავობის გამო ხოსროვანებზე „ქართლის ცხოვრება“ საუბრობს არაბთა შემოსევების ეპოქამდე.²⁷

ვარაზ-ბაკურის ძეები მურვანოსი/პეტრე და მირდატ/უღტრა ორი განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის გამომხატველნი იყვნენ. ქართლის პოლიტიკური ვექტორი ამ დროს გამოკვეთილად გადაიხარა ირანისაკენ: მოვლენათა მოულოდნელი განვითარებით V საუკუნის შუა ხანებისათვის ქართლის ტახტზე ავიდა არა ბიზანტიაში ამისათვის საგანგებოდ აღზრდილი მურვანოსი/პეტრე, არამედ ირანში ნამყოფი მირდატ/უღტრა. ეს ქართლისათვის იძულებითი ნაბიჯი იყო, ცხადია, მაგრამ ეტყობა, იმ დროისათვის ქვეყნისათვის ერთგვარი გამოსავალიც. პეტრეს, ისევე როგორც მის პაპს (პაპის ძმას) არჩილს და პაპის მამა რევს, ხელისუფლება საზოგადოდ (არათუ საერო, სასულიეროც კი) არ იზიდავდა. მაგრამ შექმნილ ვითარებაში, ვფიქრობ,

²⁷ ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 250.

ისიც აშკარა გახდა, რომ პეტრეს ქართლში აღარ ჩამოესვლებოდა. ის ირან-ისადმი შეურიგებელი პოზიციის მეფე უნდა ყოფილიყო. ქართლს კი ამ დროს სავსებით პროირანული თუ არა, ირანთა გარკვეულად შემრიგებლური კურსი ჰქონდა აღებული.

6.

ირანთან ურთიერთობებში ამგვარ კურსთან დაკავშირებითაც მინდა ვთქვა მოკლედ.

„ქართლის ცხოვრებაში“, როგორც აღვნიშნე, ბევრი რამ არეულად არის გადმოცემული. ეს იმიტომ, რომ ძველ ისტორიკოსს სურს საკუთარი გააზრებით დააღაგოს მოვლენები და მოსდის ცდომილებანი რეპრეზენტაციაში. მაგრამ ცდომილებანი რეპრეზენტაციაში იმას როდი ნიშნავს, რომ კარგად ინფორმირებულ წყაროებს არ იყენებს ავტორი. ამიტომ სათანადო მიდგომის შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის საშუალებითაც ბევრი ფაქტის დადგენა შეიძლება.

მაგალითად, აქ თავისებურად, მაგრამ სწორად არის წარმოჩენილი ქართლის პოლიტიკურ კურსში ის ცვლილება, რომელსაც ტახტზე მირდატ/ულტრას ასვლა მოასწავებდა. მხედველობაში მაქვს ტექსტის ის მონაკვეთი, რომელშიც საუბარია მირდატის სიყვარულის ძალიან პოეტური ისტორიაზე. მემატიანე გვარწმუნებს, რომ მირდატს გული შევარდნია ქართლის ამოხრებელი პიტიანშის ბარზაბოდის ქალიშვილზე. ამიტომ მამისათვის (რეალურად მამობილისათვის) ანუ არჩილისათვის უთხოვნია ქალის შერთვის ნება დაერთო. მიზნისათვის რომ მიეღწია მირდატს საკუთარ გრძნობებზე კი არ გაუკეთებია აქცენტი, არამედ ამ ქორწინების პოლიტიკურ სარგებლიანობაზე გაუმახვილებია ყურადღება. მისი მტკიცებით, ეს ქორწინება მშვიდობას მოუტანდა ქართლს:

„ვევედრები მეფობასა შენსა, მომგუარე ცოლად ჩემდა საგდუხტ, ასული ბარზაბოდისი, და შევექმნათ ჩუენ შორის მშუდობა დაღაცათუ ძალითა ქრისტესითა ჩუენ ვართ მძლენი, არამედ ვერა ავიხუამთ ციხეთა და ქალაქთა რანისათა. ნუ უკუე იცალოს მეფემან სპარსთამან, და იძიოს ჩუენ ზედა შური, და მოაღკრან ეკლესიანი და საზღვარნი ჩუენნი. და აწ ამით განქარდეს მტერობა ჩუენ შორის... და ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრნეთ საზღუარნი ქართლისანი, და განმტკიცენს სჯული ქრისტესი ქართლს, და არღარა შეიქმნას გულსა ქართველთასა იგუ და გმობა სჯულისა ქრისტესისა. მძღავრები-სათუჯ სპარსთასა. და ესე ყოველი სიყუარულსათუჯ ქალისა წარმოთქუა“.²⁸

²⁸ ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 141.

არჩილიც დათანხმებულა და, ცხადია, მირდატის ნამდვილი მამა ვარაზ-ბაკურიც ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერდა, რადგან მან, მართლაც, კარგად უწყობდა რას ნიშნავდა სპარსელებთან დაპირისპირება. როგორც უკვე ითქვა პირველ ჯერზე ხელისუფლებაში მოსულს, მათმა შემოსევამ დაატოვებინა ტახტი და იძულებული გახდა საკუთარი მამულისათვის ანუ ხიდარისთვის შეეფარებინა თავი. ამ თვალთ თუ შევხედავთ, ბარზაბოდის ქალიშვილზე ქორწინება ამ პერიოდის ქართული დიპლომატიის მიღწევადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ქვეყანამ შაჰის ადგილობრივ დიდმოხელესთან დანათესავებით დროებით შეძლო ირანის მხრიდან ზეწოლის შესუსტება.

7.

მეფე არჩილის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ორი სომხური წყაროც. ესენია კორიუნის „მესროპ მამთოცის ცხოვრება“ და მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“.²⁹ ორივე შემთხვევაში არჩილი დასახელებულია მესროპის ქართლში მეორე ვიზიტთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, მოსე ხორენელი დამოკიდებულია კორიუნზე. ”მიტომ ვილაპარაკებ მხოლოდ ამ უკანასკნელზე.

მითითებულია, რომ არჩილი ყველანაირად ხელს უწყობდა მამთოცს. მითითებულია, რომ პირველი ვიზიტისას მესროპს ბაკურ მეფე დახვდა ქართლის ტახტზე, ეს იგივე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეფეთა სიის ბაკურ თრდატის ძეა. მეორე ვიზიტის დროს – კი არჩილი (არძილი). ბაკურსა და არჩილს შორის, როგორც ითქვა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით კიდევ ორი მეფეა: ფარსმანი და მირდატი. სომხურ წყაროში მათი სახელების არდაფიქსირება, ცხადია, ქართული წყაროს მონაცემს ეჭვქვეშ არ აყენებს.

არჩილთან დაკავშირებით კორიუნთან დაცულ ცნობას ქართველი ისტორიკოსები ხშირად ფართოდ არ განიხილავენ. ამის მიზეზი მათი უნდობლობაა კორიუნის, როგორც ავტორისადმი. როგორც ცნობილია, კორიუნი მიუთითებს მესროპის მიერ ანბანის შექმნას არა მარტო სომხებისათვის, არამედ ალბანელებისა და ქართველებისათვისაც. აი, ეს ცნობა ქართველ ისტორიკოსებს მიაჩნიათ არამართებულად. ზოგი მას გვიანდელ ტენდენციურ ინტერპოლაციადაც თვლის.

²⁹ მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავლი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბ. 1984, გვ. 231; Koryun. The life of Mashtots. <http://armenianhouse.org/koryun/mashtots-en.html>, Коряун. Жизнь Маштоца. <http://www.vehl.net/istoriya/armenia/korun/intro.html> Tavi meTvrmete.

მეც მიმაჩნია, რომ ეს ცნობა არ ასახავს ქართული ასომთავრული დამწერლობის წარმოშობის ისტორიას. ქართული ასომთავრული დამწერლობა ამ დროისათვის კარგა ხნის შექმნილი იყო. მხედველობაში მაქვს, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცალსახა ინფორმაცია მეფე ფარნავაზის დროს ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ³⁰ და კიდევ ის გარემოება, რომ ღღემდე ჩვენამდე მოღწეული ასომთავრული აღბეჭდილია წარმართული მსოფლხედვით ანუ შეუძლებელია, ის ქრისტიანი მოღვაწის შემოქმედების ნაყოფი იყოს. აღნიშნული თვალსაზრისი მრავალი წლის წინ საკმაოდ ვრცლად მაქვს გამოთქმული³¹ და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ.

ამავე დროს მე არ ვფიქრობ, რომ აღნიშნული ცნობა გვიანდელი ჩანართია, ან მესრობ მაშთოცის მოღვაწეობა და მისი ვიზიტები ქართლში გამოგონილი. ეს ფაქტები ამსახველია არა ქართული ასომთავრულის შექმნის (როგორ ვთქვი, ანბანი ამ დროისათვის უკვე არსებობდა და გვიანდელ პერიოდში ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ თუნდაც რამდენამდე დასაბუთებული თვალსაზრისი სპეციალურ ლიტერატურაში მე ჯერ არ შემხვედრია³²), არამედ იმ პროექტის განხორციელების ცდების, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურულად და პოლიტიკურად ერთიანი სამხრეთ კავკასიის ჩამოყალიბებას ბიზანტიის ეგიდით. მაშთოცი, აშკარად ბიზანტიის მიერ იყო ინსპირირებული. წარმოუდგენელია, რომ თავად სომხებს მათი უაღრესად შეჭირვებული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საერთოკავკასიური კულტურული სივრცის ჩამოყალიბების ამბიციები ჰქონოდათ. ქართლი, საკმაოდ მოქნილ, ხშირად სომხეთთან არათანხვდენილ პოლიტიკას აწარმოებდა, თუნდაც ირანთან მიმართებაში.

³⁰ ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 26.

³¹ მ. ჩხარტიშვილი. „წიგნი პირველი“. ჟურნ.: „მნათობი“. №5. 1988, გვ. 147-149. მ. ჩხარტიშვილი. ქართული ანბანის ისტორიიდან. ჟურნ. „მნათობი“. №6. 1989, გვ. 169-173.

³² იმ მკვლევართა შორის, რომლებიც ქართულ ასომთავრულ დამწერლობას ქრისტიანულ ეპოქაში შექმნილად მიიჩნევენ, თანამედროვე მკვლევართაგან შეიძლება დავასახელოთ თ. გამყრელიძე და ბ. ხურცილავა. თ. გამყრელიძეს ეს თვალსაზრისი არაერთ თავის ნაშრომში აქვს გამოთქმული. მისი ამ შეხედულების კრიტიკა მოცემული მაქვს ზემოთ დასახელებულ ჩემს სტატიებში. რაც შეეხება ბ. ხურცილავას ნაშრომს (დიდი ბაკური. ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი. თბ. 2003): მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდტანიანი წიგნი ბევრ სხვადასხვა სახის მასალას მოიცავს, მასში პასუხი არ არის გაცემული მთავარ კითხვებზე: რატომ უნდა უარყოფოთ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცალსახა ინფორმაცია ან რატომ უნდა ვივარაუდოთ მისი შექმნა ქრისტიანობის ხანაში დიდი ბაკურის მიერ.

ამ დროისათვის შვიდსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქართული ანბანი, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმართობის „ცოცხალი ნაშთი“ იყო, ქართველებს იდეოლოგიური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით არ ჩაუნაცვლებიათ მესროპისეული ასოებით. მაგრამ მესროპის პროექტის არგანზორციელება არ ნიშნავს იმას, რომ ქართლში მესროპ მაშოცი არ ყოფილა და რომ ის მისი რანგის მოღვაწის შესაბამისი პატივით არ იქნა მიღებული ქართლის მესვეურების, მათ შორის, არჩილის მიერაც.

ბიზანტიისა და ირანის დაპირისპირების ერთ-ერთი ფრონტის ხაზი სწორედ სამხრეთ კავკასია იყო. ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქაური სახელმწიფოების პოზიციას. იარაღის გარდა ორივე იმპერია იყენებდა კულტურულ-იდეოლოგიურ რესურსს. კავკასიური ერთიანობის გამოსაჭედად ბიზანტიას გააჩნდა ქმედითი იარაღი ქრისტიანობის სახით. პრობლემას წარმოადგენდა ჯერ კიდევ ძლიერი წარმართული კულტების გავლენა. ეს საშიში იყო არა მარტო იმიტომ, რომ ქრისტიანობას უპირისპირდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ კავკასიის ხალხების ერთ პლატფორმაზე გაერთიანების საშუალებას არ იძლეოდა. კავკასიის ხალხების ინსპირირებას ბიზანტიური კულტურით ესწრაფვოდა ბიზანტია. ქართული სინამდვილე ამის ბევრ მაგალითს იძლევა. ამის გამოხატულება იყო თუნდაც ქართლის ტახტის მემკვიდრეების გარკვეული დროით ბიზანტიაში სიციშიდანვე გაწვევა, საიმპერატორო კარზე მათი აღზრდა, ბიზანტიურ კულტურასთან მათი ზიარება. ირანიც არ აკლებდა ხელს. როგორც სტატიის დასაწყისში მოყვანილი ამონარიდიც ცხადყოფს, მოგვები დაუბრკოლებლად საქმიანობდნენ მცხეთაში, ერთ-ერთი მთავარეპისკოპოსი, რომელსაც მობიდანს უწოდებს „ქართლის ცხოვრება“ (რადგან მემკვიდრე ხედავს რომ სინამდვილეში ის მართლაც მობიდანს იყო ანუ მოგვების უფროსი), წერდა თურმე საცდურების წიგნებს. ვერ შეუტყვესო მეფე არჩილმა და მირდატმა. სინამდვილეში, ვფიქრობ, რომ ამ დროს ქართლის ხელისუფლებას იმის ძალა არ შესწევდა, რომ შეემჩნია ეს საქმიანობა და სათანადო ზომები მიეღო. ეს მხოლოდ მოგვიანებით შეძლო მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელმაც მობიდანის ნაწერები საჯაროდ დაწვა.³³

³³ „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „ამის არჩილის ზე გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი: იონა, გრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავით სპარსი და აწუნებდა იგი მართლმადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგკ უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერა უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰკონებდეს მორწმუნედ. და ვერცა განაცხა-

მესრობის მოღვაწეობა პრობიზანტიური იყო. ქართლში ის კარგად მიიღეს არა იმიტომ, რომ ანბანთან დაკავშირებით მისი პროექტის განხორციელებას აპირებდნენ, არამედ იმიტომ, რომ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნების ანტირანული კოალიციისაგან გამიჯვნა არ სურდათ, თუმცა ქართლის პოლიტიკა შეგნებულად ორჭოფული იყო და გულისხმობდა რევერენსებს ორივე იმპერიის მიმართ.

8.

ამით ამოიწურა წყაროები, რომლებიც არჩილის შესახებ გვაქვს და რომლებიც დიდი ხანია ცნობილია სპეციალისტებისათვის. მე ისინი განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოვადგინე და უკლებლივ ყველა მათგანის ერთიანობაში გააზრება ვცადე. შედეგად, ვფიქრობ, რომ ალგა ქართული გვიანანტიკურობის საერთო სურათი და ამ ფონზე გამოიკვეთა არჩილ მეფის მეტად დასამახსოვრებელი სახე.

მაგრამ არჩილზე და მისი ეპოქის ქართლზე საუბარი, ვფიქრობ, დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, თუ რამდენადმე ვრცლად არ შეგჩერდებით ამ მეფის ზეობაში მომხდარ ისეთ ფაქტზე, როგორც არის სტეფანწმინდას მშენებლობა მცხეთაში.

როგორც თავშივე მივუთითე, ეს ფაქტი ერთადერთი პოზიტივია არჩილის ზეობის „მოქცევა ქართლისადასეულ“ რეპრეზენტაციაში. იმ მძიმე ვითარებაში, რომელშიც იყო ქართლი არჩილის დროს, ტაძრის მშენებლობა თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ მან ჩემი ყურადღება განსაკუთრებით იმიტომ მიიპყრო, რომ არჩილის ზეობის ეპოქის კიდევ უფრო ღრმად გააზრების საშუალებას იძლევა. „მოქცევა ქართლისადას“ ცნობა ზემოთ უკვე იყო მოყვანილი. „ქართლის ცხოვრება“ რამდენადმე განსხვავებული ფორმულირებით გვამცნობს წმ.სტეფანე პირველმოწამის ტაძრის მშენებლობას მცხეთაში: „მაშინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგუსათა, სადა იყვნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მას-ვე აღუმენეს“. ანუ ეს ის ფაქტია არჩილის ზეობაში, რომელთან დაკავშირებითაც „მოქცევა ქართლისადას“ და „ქართლის ცხოვრებას“ ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაცია არა აქვთ. მართალია, პირველი მათგა-

დებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცდურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპოსკოპოსმან მიქაელ, რომელი განიკუთა კადრებისათვის ვახტანგ მეფისა“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 142).

ნი ტაძრის მშენებლობას აზნაურთა წამოწყებად თვლის, მეორე კი საკუთრივ მეფის ინიციატივად წარმოაჩენს, მაგრამ ის, რომ სტეფანწმინდა მცხეთაში სწორედ ამ მეფის დროს აშენდა, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ აქვს ამ ორ წყაროს.

არჩილის ზეობას სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს მონაკვეთი V საუკუნის ათიანი წლების მიწურულიდან ოცდაათიანი წლების მიწურულამდე. ანუ მცხეთის სტეფანწმინდის აშენების დრო ესაა. სწორედ აღნიშნული ქრონოლოგიაა განსაკუთრებით ფიქრის აღმძვრელი: თვით იერუსალიმშიც კი წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიის მშენებლობა 438 წლით თარიღდება. მცხეთის სტეფანწმინდა, ამგვარად, ამ წმინდანის სახელობის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ეკლესია იყო მთელს საქრისტიანოში.

წმინდა სტეფანე ქრისტიანული ეკლესიის სრულიად განსაკუთრებული ფიგურაა. ის არის პირველმოწამე, მისი მარტვილობის ისტორია აღწერილია „საქმენი მოციქულთაში“ (6, 7 თავები). აქ გადმოცემული ფაქტები შემდეგია: სტეფანე დიაკონი მოღვაწეობდა იერუსალიმში I საუკუნეში, ის იუდეველებს ასწავლიდა ქრისტეს რჯულს. ამან აღაშფოთა იუდეველთა რელიგიური ხელისუფლება და ის ღმერთის და მოსეს სჯულის გამოხატვის ბრალდებით წარდგენილ იქნა განსასჯელად სინედრიონზე. სტეფანეს თავის მართლება არც უცდია, არამედ თავისი სიტყვა გამოიყენა იმისათვის, რომ ვრცლად წარმოედგინა საკუთარი თვალსაზრისი იუდეველთა ისტორიაზე. მის სიტყვებს იქვე მყოფი ბრბო ღრტვინვით ხვდებოდა; ბრბოს აღშფოთებამ აპოგეას მიადწია, მაშინ, როცა სტეფანემ თქვა, რომ იუდეველთა მიერ ნაწამებ ქრისტეს ღმერთის გვერდით მდგომს ხედავს ზეცაში. გავრცელებული მსმენელები ყურებს იხშობდნენ, რომ ეს არ გაეგონათ. საბოლოოდ მოთმინებადაკარგულებმა სტეფანე ჩაქოლეს. ეს ეპიზოდი, გარდა იმისა, რომ აღწერს ქრისტეს მოწამეობისათვის პირველად დაღვრილი სისხლის ისტორიას, საინტერესოა იმიტაც, რომ წარმოაჩენს მომავალ პავლე მოციქულს, მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკ საველეს, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ მონაწილეობდა სტეფანე დიაკონის ჩაქოლვაში, მაგრამ ჩამქოლავთ კი გულით თანაუგრძობდა: ჩამქოლავებმა იმისათვის, რომ თავიანთი ავი საქმის კეთებაში ხელი არ შეშლოდათ, ზედა ტანისამოსი გაიხადეს. სწორედ ამ ნივთებს დარაჯობდა საველ და უცქერდა ჩაქოლვის სასტიკ სცენას. მართალია, რომაული სამართლით, ჩაქოლვა აკრძალული იყო, მაგრამ სტეფანეს გამო პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. სტე-

ფანეს მკვლელობა, ეტყობა, წარმოჩინდა არა როგორც სინედრიონის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაღწეული ქმედება, არამედ აფექტის მდგომარეობაში მყოფი ბრბოს ანგარიშსწორება. საოცარი დრამატიზმით სავსე ეს ეპიზოდური ბევრი ცნობილი ხელოვანის ინსპირაციის წყაროდ იქცა, მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ რემბრანტის ტილო „წმინდა სტეფანეს ჩაქოლვა“.

წმინდა სტეფანეს კულტი არსებობს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ქრისტიანობაში. და ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში არის მისი სახელობის ტაძრები. სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს რელიგიურ ცენტრში წმ. სტეფანეს სახელობის ტაძარი აუგიათ.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, ვითარება, როცა ეს ეკლესია ააშენეს. გავიმეორებ უკვე ნათქვამს: მეფე არჩილის წინამორბედი მეფე მირდატი სპარსელებს წაუყვანიათ და იქ მომკვდარა, სავარაუდოდ, არა თავისი ბუნებრივი სიკვდილით. ქართლის პირველი ეკლესია ანუ „ქუქომო ეკლესია“ – ცნობილი სვეტის დავანების ადგილი – დაქცეულა. ვეღარ აღუდგენიათ ამიტომ სვეტი გადაუბრძანებიათ გარეუბნის ეკლესიაში. ანუ იგივე „ზემო ეკლესიაში“, მერმინდელ სამთავროში. მთავარეპისკოპოსის რეზიდენციაც სწორედ ეს ანუ გარეუბნის ეკლესია გამხდარა. სიტყვა „გარდაცვალება“ ეპისკოპოსებთან დაკავშირებულ წინადადებაში აშკარად ნიშნავს „შეცვლას“, თუმც, ცხადია, არც ისაა გამორიცხული, რომ შეცვლა გარდაცვალების გამო მომხდარიყო. აღნიშნული ფაქტი (ერთი მეფის ზეობის პერიოდში ოთხი მთავარეპისკოპოსის შეცვლა) არასტაბილური ვითარების ამსახველია, რაც, ცხადია, ირანის პოლიტიკური ზეწოლით იყო გამოწვეული. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ მოგვთა საქმიანობა სრულიად შეუზღუდავია; მეორე, ნიშანდობლივია არჩილის მომდევნო მეფის – მირდატის – დროს აღსაყდრებული გლონოქორ მთავარეპისკოპოსის ვინაობაც: ის მთავარეპისკოპოსობას თურმე „უთავსებდა“ ირანის შაჰის მოხელეობას (ერისთავობას) ქართლსა და ჰერეთში. ეს ფაქტი კარგად აჩვენებს რა სურდათ ქართლის ეკლესიის მწყემსმთავრებისაგან ირანელებს: ის მათ სრულ დაქვემდებარებაში მყოფი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამიტომაც იცვლებოდნენ ჩანს, ქართლის ეკლესიის მესვეურები ასე ხშირად.

აი, ყოველივე ამის გათვალისწინებით ისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც ამ წმინდანის სახელობის ეკლესიის მშენებლობისათვის მოუკიდიათ ხელი ქართველებს მათთვის ამ გაუსაძლის ეპოქაში? თუ იმ ფრაგმენტის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელიც აღნიშნული ეკლესიისაგან დღემდეა შემორ-

ჩენილი, ეს ყოფილა მაღალხარისხოვანი, იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ზომის, შენობა.

თუ კი ასეთი მშენებლობისათვის საჭირო სახსრები და შესაძლებლობა ჰქონდათ, რატომ არ აღადგინეს, პირველ რიგში, დაქცეული „ქუეძო ეკლესია“, რომელიც ქართლში პირველი ეკლესია იყო და მეტიც: ქართლის მოქცევის ახლო ხანებში შექმნილი მესიანური იდეოლოგიის³⁴ მიხედვით, მსოფლიოს საკრალური ცენტრის დამაფიქსირებელი ნაგებობაც.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ აღნიშნულ ვითარებაში I საუკუნეში პალესტინაში მოღვაწე წმინდანის სახელობის ეკლესიის აგება მცხეთაში გარკვეულად არაორდინალური მოვლენაა. ზოგადად წმინდა სტეფანეს თაყვანისცემის გარდა ეს ქმედება უსათუოდ გულისხმობს რაღაც დამატებით, მშენებლობის ინიციატორთათვის უაღრესი მხნეობის მომნიჭებელ, მოტივაციას. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება ზოგადქრისტიანული კონტექსტი. საქმე ისაა, რომ მართალია, წმინდა სტეფანე I საუკუნეში აღესრულა, მან როგორც წმინდანმა თავისი საზოგადოებრივი „როლის“ შესრულება დაიწყო V საუკუნიდან, როცა სასწაულებრივ აღმოჩნდა მისი წმინდანაწილები. საეკლესიო ტრადიციით, ეს მოხდა 415 წელს: იერუსალიმელ სასულიერო პირებს ჩვენებაში ემცნოთ სტეფანეს (და რამდენიმე სხვა ქრისტიანის) დაკრძალვის ადგილი. ამ ჩვენების მიხედვით იპოვეს ეს ნეშტები. მხოლოდ ძვლები იყო დარჩენილი და, აგრეთვე, ის ქვები, რომლითაც სტეფანე ჩაქოლეს. მცირე ნაწილი დატოვეს ადგილზე, უმეტესი კი წაასვენეს და დააბრძანეს იერუსალიმის სიონის ტაძარში.

საზოგადოდ, წმინდა ნაწილებისადმი ქრისტიანების ინტერესი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან, I საუკუნიდან, იწყება.³⁵ წმინდა ნაწილის ფლობა ნიშნავდა ღვთაებასთან მეტ სიახლოვეს, მეტ დაცულობას, მეტ ძალას, როგორ ინდივიდის, ისე მთელი კოლექტივისათვის. ამიტომ ქრისტიანები ცდილობდნენ ყოველნაირი გზით მათ მოპოვებას. VI საუკუნისათვის საკმაოდ დიდ მასშტაბებს მიაღწია წმინდა ნაწილების მოპოვებით გატაცებამ და პილიგრიმოზამ მათი შენახვის ადგილების მოსახსნულებლად. პრესტიჟის და

³⁴ მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბ. 2009.

³⁵ Veronica Fitzpatrick. Finding the Middle Ages in the Twenty-First Century. A Quick Introduction to the Medieval Cult of Relics. <http://veronicafitzpatrick.com/a-quick-introduction-to-the-medieval-cult-of-relics/>.

ურთიერთქიშპის საგანიც კი იყო.³⁶ V საუკუნეში ამ ინტერესის გაღვივებას ხელი შეუწყო სწორედ წმ. სტეფანე პირველმოწამის ნაწილების აღმოჩენამ. შეიძლება უფრო სწორი იყოს შებრუნებულად ითქვას: წმინდანებისა და წმინდანთა ნაწილებისადმი განსაკუთრებულმა საზოგადოებრივმა ინტერესმა განაპირობა ეს აღმოჩენა. აღნიშნული ფაქტი და სასწაულები, რომელსაც ეს ნაწილები ახდენდნენ, მაშინვე მოექცა მთელი საქრისტიანოს ყურადღების ცენტრში. ამ პერიოდში მოღვაწე ცნობილი ქრისტიანი თეოლოგი ნეტარი ავგუსტინე (354-430) თავის „ღვთის ქალაქში“ (წიგნი 22, თავი 8)³⁷ დიდ ადგილს უთმობს წმინდა სტეფანეს ნაწილების მიერ მოხდენილ სასწაულებს. ათეული სასწაული მოჰყავს მაგალითად და მკითხველს ებოდიშება, რომ კიდევ ბევრი იცის და ვერ ახერხებს დაფიქსირებას. ნეტარი ავგუსტინე ასაბუთებს წმინდანებისა და მათი ნაწილების მნიშვნელობას ადამიანთა ხსნიის საქმეში. ანუ V საუკუნის I ნახევარი არის არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წმინდანების და მათი ნაწილების თუ რელიკვიების „პრაქტიკულიად“ გამოყენების პერიოდი, არამედ ამ საკითხის ასე ვთქვათ, თეორიულად დასაფუძვლების დროც.

წმ. სტეფანეს ნაწილების ისტორიის გადმოცემა საკმაოდ რთულია. რადგან ხშირად ერთმანეთში ირევა სხვადასხვა გადმოცემების არსებობა თავისთავად საინტერესო ფაქტია, რაც ნაწილების დიდ „სოციალურ წონაზე“ მეტყველებს. იმისათვის, რომ მკითხველს ზოგადი შთაბეჭდილება შეექმნეს ერთ ვერსიას მივყავები, რომლის მიხედვითაც იერუსალიმის სიონში ნაწილები ესვენა მანამ, ვიდრე რომელიღაც დელოფლის ევლოკიას მიერ აგებულ წმინდა სტეფანეს ტაძარში არ გადააბრძანეს 438 წელს. 439 წელს კონსტანტინეპოლში დაბრუნებულ ევლოკიას თან ჰქონდა აგრეთვე ნაწილი, რომელიც მისცა მის მულს – პულქერიას. პულქერიამ ის დააბრძანა წმ. ლავრენტის ტაძარში და საიმპერატორო სასახლეში წმინდა სტეფანეს სალო-

³⁶ წმინდა ნაწილების შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურიდან დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს: W. Bonser. The Cult of Relics in the Middle Ages. Folklore 73. no. 4, 1962; P. Brown. The Cult of the Saints: Its Rise and Function in Latin Christianity. Chicago: The University of Chicago Press. 1981; H. A. Klein. Eastern Objects and Western Desires: Relics and Reliquaries between Byzantium and the West. Dumbarton Oaks Papers. Vol. 58. 2004, გვ. 283-314; D. Krueger. The Religion of Relics in Late Antiquity and Byzantium, in: Treasures of Heaven: Saints, Relics, and Devotion in Medieval Europe, ed. Martina Bagnoli et. al. New Haven: Yale University Press. 2010;

³⁷ ტექსტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.newadvent.org/fathers/120122.htm>.

ცავი შექმნა. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ამ ნაწილებს კონსტანტინოპოლამდე უფრო ადრე, კერძოდ, 421 წლისათვის უნდა მიეღწია მაგრამ ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს ცნობა შეთხზულია, რადგან ამ გზით ევლოკიას პრიორიტეტი ამ ნაწილებთან მიმართებაში აღარ იკვეთებოდა. შესაძლოა, ეს გადმოცემა შეთხზეს პულქერიას მომხრეებმა, იმისათვის, რათა მისი ღვაწლი წარმოეჩინათ. ეს ორი მაღალი წრის ქალბატონი, როგორც ითქვა, რძალ-მული, ერთმანეთს ეცილებოდა გავლენას საიმპერატორო კარზე. ამ შემთხვევაში ჩემი ყურადღება მიიქცია გადმოცემაში დაფიქსირებულმა თარიღმა: 422 წელს დაქორწინდნენ თეოდოსი მცირე და ევლოკია. გადმოცემაში კი ნაწილების კონსტანტინოპოლში მიღწევის დროდ 421 წელია მითითებული. ანუ ეს ის დროა, როცა ევლოკია ჯერ კიდევ არ იყო სამეფო ოჯახის წევრი. შესაბამისად, ევლოკიას პრეტენზიები ამ ნაწილებთან მიმართებაში, ამ გადმოცემის ავტორთა აზრით, გამორიცხულია. დედოფალ ევლოკიას კი რომ ამ მხრივ სერიოზული პრეტენზიები, მართლაც, ჰქონდა, ეს კარგად ჩანს არა მარტო მის მიერ წმინდა სტეფანეს ტაძრის მშენებლობით იერუსალიმში, არამედ იმითაც, რომ გარდაცვალების მერე (მისივე სურვილით, ცხადია), ის სწორედ ამ ტაძარში დაკრძალეს.

მოკლედ, წმ სტეფანეს ნაწილების „მოგზაურობის“, ადგილსამყოფელის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს.³⁸ ამის დეტალური გადმოცემა და ამ ვერსიებს შორის ისტორიული სინამდვილის ამსახველი ვერსიის დადგენა ამჯერად ჩვენთვის არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რასაც ეს ისტორიები აჩვენებს: V საუკუნეში არსებობდა საზოგადოდ ნაწილებისადმი და წმინდანებისადმი დიდი ინტერესი, განსაკუთრებით ცხოველი ჩანს ეს ინტერესი წმ. სტეფანეს ნაწილების მიმართ იმის გამო, რომ მათი აღმოჩენის ფაქტი ამ ადამიანების თანადროული იყო. ამგვარად, მართალია, წმ. სტეფანე არის I საუკუნეში მოღვაწე პიროვნება, მაგრამ მისი ღვაწლი მთელი საქრისტიანოს მასშტა-

³⁸ V. Shalev-Hurvitz. Holy Sites Encircled. The Early Byzantine Concentric Churches of Jerusalem. Oxford University Press. 2015, გვ. 84; J. Wortley. The Trier Ivory Reconsidered. Greek, Roman, and Byzantine Studies. Vol. 21. No 4. 1980, გვ. 381-394 (<http://grbs.library.duke.edu/article/view/6791/5057>); C. Mango. A Fake Inscription of the Empress Eudocia and Pulcheria's Relic of Saint Stephen. http://nea-rhrome.uniroma2.it/wp-content/uploads/2016/01/nr01_mango.pdf; E. A. Clark. Claims on the Bones of Saint Stephen: The Partisans of Melania and Eudocia. Church History. 52. 2. 1982, გვ. 141-156; H. A. Klein. Sacred Relics and Imperial Ceremonies at the Great Palace of Constantinople. F. A. Bauer (Hrsg.). Visualisierungen von Herrschaft t. BYZAS 5. 2006, გვ. 79-99.

ბით რეზონასული გახდა მხოლოდ V საუკუნის ათიანი წლებიდან. ამ დროიდან ბიოლოგიურად კარგა ხნის გარდაცვლილი სტეფანე იწყებს სიცოცხლეს, როგორც წმინდანი. ეს კი სწორედ ის დროა, როცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვამცნობს მცხეთაში ამ წმინდანის სახელობის ეკლესიის მშენებლობას.

რა თქმა უნდა, დამთხვევა დროში, არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ეს საქრისტიანოს ცენტრში მიმდინარე მოვლენების ექვს ქართლის დედაქალაქში.

მაგრამ მიზეზი, რომელიც ამ საქმეს გადაუღებელს გახდიდა, შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ამ დროს ქართველებმა შეძლეს აღნიშნული წმინდანის რომელიღაც მნიშვნელოვანი ნაწილის (ან კონტაქტური რელიკვიის, მაგალითად, ქვების, რომელიც ამ წმინდანის გამოსახვისას ხშირად გვხვდება და ერთგვარად მისი სიმბოლოა) მოპოვება. როგორც ითქვა, ქრისტიანული თვალთახედვით ეკლესიის სტატუსს დიდად განსაზღვრავს სწორედ ის თუ რა მნიშვნელობის წმინდა ნაწილებს ან რელიქვიებს ფლობს ის. ეს დღემდე ასეა. მითუმეტეს, V საუკუნეში განსაკუთრებით ინტენსიური უნდა ყოფილიყო ეს განცდა: წმინდანთა ნაწილებს და რელიკვიებს, როგორც ითქვა, განხილავდნენ ეკლესიასა და მთელი ქვეყანის დამცველად. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ქართლის მესვეურებისათვის ძალიან აქტუალური უნდა ყოფილიყო ახლადგამოვლენილი ნაწილების მოპოვება. და რახან ეკლესიის მშენებლობა წამოიწყეს, ეს ნიშნავს, რომ კიდევაც შეძლეს წმ. სტეფანეს რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწილის ან კონტაქტური რელიკვიის მოპოვება.

წყაროებით კარგად დასტურდება ქართველი მმართველი წრეების დაინტერესება წმინდა ნაწილების მოპოვებით. როგორც ირკვევა, პეტრე იბერიის მამა ვარაზ-ბაკური ამისათვის საგანგებოდ ზრუნავდა. აი, რას ვკითხულობთ პეტრეს ქართულენოვან „ცხოვრებაში“: „ხოლო მათ ჟამთა იწამნეს მოწამენი სპარსეთს. ხოლო ქრისტანეთა მათ, რომელნი იყვნენ მუნ, წარმოგზავნეს ნაწილნი იგი წმიდათანი წინაშე მეფისა ვარაზ-ბაკურისა“.³⁹

ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ვარაზ-ბაკურს შეპირებული ჰყავდა ხალხი და მათაც მოუხერხეს და ნაწილები გამოუგზავნეს. ზოგჯერ ამ ნაწილებს ქრისტიანები უბრალოდ ჩუქნიდნენ ერთმანეთს. ასევე იქცეოდნენ ეკლესიებიც. მაგრამ იყო მათი ყიდვის შემთხვევებიც. ჩვენ არ ვიცით რა საფასური გაიღო ვარაზ-ბაკურმა. მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მთავარია, რომ ის ამაზე საგანგებოდ ზრუნავდა.

³⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II, გვ. 220.

აღნიშნულმა ნაწილებმა პეტრეს ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს. ისინი მას მოუშორებლად ჰქონდა. კონსტანტინოპოლში წასვლისას თან წაიღო, მერე კი იერუსალიმშიც წაიტანა. ჰაგიოგრაფის მითითებით, პეტრეს აზრით, სასახლიდან გაპარვის წარმატება სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ეს ნაწილები მიუძღოდნენ მას და მის თანამოღაწეს იოანე ლაზს. წმინდანთა ნაწილების ასეთი „ჩართულობა“ პეტრეს მოქმედებებში, დეტალურად არის გაშუქებული მის როგორც ქართულენოვან, ისე ასურულენოვან „ცხოვრებებში“. ბიოგრაფის სიტყვით, პეტრეს იმ ჰიმნის მელოდიაც ხსომებია, რომელსაც ეს ნაწილები გაქცეულების გასამხნეველად გამოსცემდნენ.⁴⁰

ეს ფაქტები იმის დასტურია, რომ არჩილისა და ვარაზ-ბაკურის თანამეფობის დროს ქართლის მმართველი წრეები წმინდანთა ნაწილებით საგანგებოდ ინტერესდებოდნენ. ისინი ამკარად ცდილობდნენ სწორედ ისეთი ატმოსფერო შეექმნათ სამეფო კარზე, როგორც იყო კონსტანტინოპოლში.

მაგრამ ეს ირიბად მიუთითებს, რომ ისინი წმ. სტეფანეს ნაწილების მოპოვებით განსაკუთრებით იქნებოდნენ დაინტერესებულნი. როგორც ვთქვი, არჩილისა და ვარაზ-ბაკურის ზეობა სწორედ იმ დროს ემთხვევა, როცა მთელს საქრისტიანოში წმ. სტეფანეს ნაწილების მოპოვება უადრესად აქტუალური გახდა. კითხვა ისმის ასე: ჰქონდათ კი იმდროინდელი ქართლის მესვეურებს, კერძოდ, არჩილსა და ვარაზ-ბაკურს რაიმე შანსი მოეპოვებინათ წმ. სტეფანეს ნაწილები? ეს არ იყო იოლი, ბიზანტიაში დიდი პოზიციის მქონე პიროვნებებიც ვერ ახერხებდნენ ამას, რადგან, როგორც ვთქვი, წმინდანის ნაწილის ფლობა გულისხმობდა ძალმოსილებას, თანაც ზებუნებრივს.

და მაინც ზემოთ დასმულ კითხვას მე დადებითად ვუპასუხებ. დიახ, ქართველებს ჰქონდათ ამგვარი შანსი და ეს უკავშირდებოდა მეფე არჩილის და მისი თანამმართველის ოჯახის წევრს – პეტრე იბერს.

მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს რას ვგულისხმობ, წარმოვადგენ ერთ ეპიზოდს პეტრეს „ცხოვრების“ ასურულენოვანი ვერსიიდან. სიტყვა ენება 438 წელს. ამ დროს პეტრე უკვე იერუსალიმშია. ეს წელი იმით არის გამორჩეული, რომ დედოფალი ევდოკია ესტუმრა იერუსალიმს. პეტრეც და ევდოკიაც, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, დიდგვაროვანმა მორწმუნე ქალმა მელანია (წმ. მელანია, მელანია უმცროსი) აღძრა

⁴⁰ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, გვ. 261. შდრ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II, გვ. 224-225.

იერუსალიმში წასასვლელად. ევლოკია, მიჩნეულია, რომ მოღვაწეობდა როგორც მეორე ელენე დედოფალი, და დიდი ძალისხმევა მოახდინა ქრისტიანული იერუსალიმის განვითარებას. მან ღვაწლი დასდი ეკლესიების მოწყობის საქმეს, წმ. სტეფანე ეკლესიის მშენებლობა სწორედ მის სახელს უკავშირდება. ამ ეკლესიის კურთხევის ცერემონიალის ჩასატარებლად ევლოკიამ სპეციალურად მიიწვია კირილე ალექსანდრიელი. კურთხევა ჩატარდა 438 წელს 15 მარტს. ამ დროს წმინდანის ნაწილები დაასვენეს ეკლესიაში. ცხადია, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პეტრე არ დააკლდებოდა მისი გამზრდელი დედოფლის მიერ ინიცირებულ ამ ღონისძიებას. ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს ის ფაქტი, რომელიც შემდგომ მოხდა. კურთხევიდან მეორე დღეს, მელანია კირილე იერუსალიმელი მიიწვია მის მიერ აგებულ მარტირიუმში, სადაც დაასვენეს სხვადასხვა წმინდანთა ნაწილები, მათ შორის, წმ. სტეფანეს ნაწილები და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, იმ სპარსელ წმინდანთა ნაწილებიც, რომლებიც პეტრემ ჩამოიტანა სამშობლოდან.⁴¹ ანუ პეტრეს აქ ყოფნა და მისი უშუალო კონტაქტი როგორც წმ.სტეფანეს ნაწილებთან, ისე იმ ქალბატონებთან (ვგულისხმობ მელანიასა და ევლოკიას), რომელთაც მსოფლიოში ყველაზე მეტად მიუწვევებოდათ წმ. სტეფანეს ნაწილებზე ხელი, კიდევ უფრო აშკარა ხდება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ პეტრეს უნდა ეთხოვა რომელიმე ამ ქალბატონისათვის წმ.სტეფანეს ნაწილი და მიეღო კიდევ ის მშობლიური ქვეყნის ეკლესიისათვის. ცნობილია, ორივე ამ ქალბატონის დიდი კეთილგანწყობა პეტრესადმი და ისიც, ამგვარ საქმეში პეტრე რაგვარ „პრაქტიკულობას“ იჩენდა. მაგალითად, პეტრეს ასურულენოვან „ცხოვრებაში“ აღწერილია მის მიერ ნამდვილი ჯვრის ანუ ძელი ცხორებისადს ნაწილის მოპოვების ისტორია. მაშინ ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იყო, როცა ეს რელიკვია მოიპოვა იერუსალიმელი სასულიერი პირებისაგან.⁴²

ასე რომ, პეტრე იბერი ნამდვილად შეიძლება იქნეს მიჩნეული იმ პიროვნებად, რომელმაც ქართლისათვის წმ.სტეფანეს რომელიმე ნაწილი მოიპოვა. ამ შემთხვევაში მისი დამხმარე, ვფიქრობ, რომ მაინც უფრო დედოფალი ევლოკია უნდა ყოფილიყო, რადგან ნაწილის პეტრესათვის მცხეთაში წარმო-

⁴¹ C. B. Horn. Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The Career of Peter the Iberian, გვ. 75-76.

⁴² H. A. Klein. Sacred Relics and Imperial Ceremonies at the Great Palace of Constantinople. გვ. 85.

საგზაუნად მიცემა არ უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ პიროვნული კეთილგანწყობის გამოხატულება, თუმც ამ ფაქტორის, გამორიცხვა, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ ქართლისა და ბიზანტიის ურთიერთობებში ამგვარი ტრადიცია ჯერ კიდევ ქართლის მოქცევის დროიდან არსებობდა. სწორედ მაშინ ქართლმა ბიზანტიისაგან მიიღო უძვირფასესი რელიკვიები: „ძელი ცხორებისა“⁴³ „ფეხის ფიცარნი მაცხოვრისა“⁴⁴, და „სამსჭუალნი“⁴⁴ პირველი, პირადად წმინნოსათვის იყო წარმოგზავნილი, მაგრამ ბოლო ორი ეკლესიათა დაფუძნებისათვის.

აი, ამიტომ მგონია, რომ მცხეთის სტეფანწმინდა გარკვეულად უკავშირდება პეტრე იბერს და მის მიერ მოპოვებულ წმ.სტეფანეს ნაწილს.⁴⁵ არჩილი, როგორც მკითხველს ახსოვს, იყო პეტრეს პაპა (პაპის ძმა). პეტრეს ასურულენოვან „ცხოვრებაში“ შემორჩენილია ნაწყვეტი არჩილის წერილიდან პეტრესადმი. ამ წერილიდან ჩანს, როგორ ეიმედება იერუსალიმში მყოფი პეტრე არჩილს.⁴⁶ ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულიადაც არა ტყუილად. მშობლიური ქვეყნისათვის წმინდა პირველმოწამის ნაწილის მოპოვება არ იყო უბრალო საქმე.

ამგვარად, სტეფანწმინდა მცხეთაში, ჩანს, იყო არა მარტო ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ეკლესია საქართველოში, არამედ განსაკუთრებული სიწმინდის საფუძველზე აღმოცენებული საკულტო კერაც. მიუხედავად იმისა,

⁴³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 86.

⁴⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 86-87.

⁴⁵ ამ შემთხვევაში არგუმენტად ვერ მოვიშველიებთ, თუმც თავისთავად საინტერესოა გადმოცემები საქართველოში წმ. სტეფანეს რელიკვიებისა და ნაწილების არსებობის შესახებ: მაგალითად, არსებობს ტრადიცია, რომ მცხეთის სტეფანწმინდას კედლებში მისი მოკვდინების ქვები იქნა ჩაშენებული. ურბნისის სტეფანწმინდაში ადგილობრივი სასულიერო პირები დღემდე აწვენიებენ იმ ქვების გროვას, რომლითაც ჩაქოლეს სტეფანე. მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ ეს უკანასკნელი ცნობა მომავლად კოლეგამ, ისტორიის დოქტორმა დავით მერკვილაძემ; რაც შეეხება პირველს, ის მომავლად ჩემმა ერთ-ერთმა სტუდენტმა, როცა ლექციაზე ამ საკითხზე ვსაუბრობდი. სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი არ ჩამინიშნავს, მაგრამ მადლობა, ცხადია, მასაც. ურბნისში წმ. სტეფანეს ნაწილის არსებობის შესახებ საუბრობენ იქური სასულიერო პირები, მიუთითებენ, რომ ტაძარში ინახება სტეფანე ნაწილებიანი ხატი. <http://www.goga.tv/78745-urbnis-stefane-pirvelmowamis-tazarshi-saswaulebi-dremde-aresruleba.html>. სამთავროს დელატო მონასტრის ხატში ჩაბრძანებულია ოცდაერთი წმინდანის წმინდა ნაწილი, მათ შორის, წმინდა სტეფანესი.

⁴⁶ „ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელსაც თესლი სიონში აქვს და სახლის შვილები იერუსალიმში – როგორც ჩვენ გვყავხარ, ამიტომ ვთხოვ, შვილო ჩემო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების წყალობით ვპოვო მოწყალება“ (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, გვ. 252).

რომ სტეფანწმინდა არ წარმოადგენდა არც საკათალიკოსო, არც სამთავარეპისკოპოსო რეზიდენციას, იგი განაგრძობდა არსებობას და მნიშვნელოვან ფუნქციასაც ასრულებდა საუკუნეების მანძილზე.

წმინდა სტეფანე უაღრესად პოპულარული წმინდანი ჩანს საქართველოში.⁴⁷ საინტერესოა, რომ იგი ქართლის მეორე და მეოთხე ერისმთავრების – სტეფანოზ პირველისა და სტეფანოზ მეორის სახელის წმინდანია. სტეფანოზ მეორეს სპეციალური კრებაც კი დაუწესებია წმინდა სტეფანე მოსახსენებელი. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ფაქტს „ქართლის ცხოვრება“:

„ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა და მთავართა მორწმუნე და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა. და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა, და აღაშენა დარბაზნი, და დაუწერა კრება ყოველთა პარასკევთა, და მუნ შეკრბიან ყოველნი ეპისკოპოსნი და მღვდელნი მის ადგილისა და არისანი კათალიკოსის თანა, წინაშე პატიოსნისა ჯუარისა; აღიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი ხოლო საკათალიკოსოსა არიან კრებანი ყოველთა ხუთშაბათთა და აღიდიან წმიდა სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა ოკორციითა და სისხლითა ქრისტესითა. ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსა არნ ყოველთა სამშაბათთა კრება და ოცნება პირველ-მოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა, დიდისა მისგან ძლიერებისა სპარსთასა რომელ წამებულ იყვნეს, და აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმან მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლეთნი. ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადევს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა. და დღესასწაულსა მისსა უფროს ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და აღიდებიან ღმერთსა“.⁴⁸

ჯვრის ტაძრის სამხრეთ ფასადზე არის წმ სტეფანე არქიდიაკონის რელიეფური გამოსახულება. სახე, სამწუხაროდ, მთლიანად წარხოცილია, თუმც ძალიან კარგად არის შემორჩენლი მისი ტანისამოსი. წარწერაც ახლავს: „წმინდაო სტეფანე ქობულ სტეფანოზი შეიწყალე“.⁴⁹ ბოლო სიტყვა დაქარაგმებულია და ზოგი აქ საკარისკაცი ტიტულის (სტრატელიატი ,სტრატეგოსი, სიკლიტოზი) ამოკითხვას მიიჩნევს შესაძლებლად, მაგრამ ალბათ მა-

⁴⁷ იხ. ლ. ხაჩიძე. სტეფანე პირველმოწამე და ქართული ქრისტიანული კულტურა. ჟურნ.: „ქართველოლოგი“. 2016. №26 <http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/lela-khachidze-Georgian.pdf>.

⁴⁸ ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 228-229.

⁴⁹ ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 160.

ინც უფრო მართებულია აქ საკუთარი სახელის – სტეფანოზის ამოკითხვა. რადგან ამ ქობულის ვედრება მიმართულია წმ. სტეფანესადმი. პირველმოწამე მისი სახელის წმინდანია.

აღნიშნული ფაქტები მაჩვენებელია წმ. სტეფანე პირველმოწამის მნიშვნელოვანი ადგილისა ქართლის რელიგიურ ცხოვრებაში არჩილის მომდევნო ეპოქებში, რაც ამ განსაკუთრებული ისტორიის მქონე ეკლესიითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული.

9.

თავისთავად ასე ადრეულ ეპოქაში წმ. სტეფანეს სახელობის ტაძრის მცხეთაში აგება დიდი მოვლენაა, რადგან ის კარგად აჩვენებს ქართული ეკლესიის უმჭიდროეს კავშირს დანარჩენ საქრისტიანოსთან. ამასთან ისიც მნიშვნელოვანია, რომ მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც. ეს ეკლესია დღემდე შემორჩენილია, მაშინ, როცა მისი თანადროული ეკლესია იერუსალიმში, აღარ არსებობს.

ამჟამად არქიტექტურული თვალსაზრისით მცხეთის სტეფანწმინდა ძალიან უცნაურ ნაგებობას წარმოადგენს. აშკარაა, რომ მისი ასეთი სახე დაფუძნების დროინდელი არაა. თავდაპირველი ეკლესიის ნაშთი უნდა იყოს სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილოეთის ნაგი, რომელსაც სამი კედელი აქვს. ეს კედლები, სწორი კვადრებით არის ნაშენი. ამავე ქვით არის ნაგები კარიბჭე მცირე გალერეით. ამ ერთადერთი ნავის მეოთხე კედელი (კედლის ადგილას თავის დროზე მეორე ნავში გამავალი არე იყო), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კარიბჭე ორსართულიანია. პირველ სართულს ადგას გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც ქმნის მეორე სართულს. ეკლესიის გვიანდელი სამხრეთ კედელი და კოშკი ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით. განიჩევა, აგრეთვე, თავდაპირველი ბაზილიკის საფუძვლის ნაწილიც, რომელიც გვიჩვენებს, რომ თავიდან შენობას ჰქონდა შესაბამისი ეპოქისათვის საკმაოდ შთამბეჭდავი ზომები. კარიბჭის გალერეას თავდაპირველი ადგილი ეს არ უნდა ყოფილიყო, თუმც თავად ეს გალერეა უძველესი შენობის ნაწილი ჩანს. ის მიაგავს ბოლნისის სიონის მცირე გალერეას. როგორც ითქვა, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ გვაქვს სრულიად ცალსახა ცნობას იმის თაობაზე, რომ ბოლნისის სიონი აიგო ბაკურ თრდატის ძის ზეობაში ანუ V საუკუნის ათიან წლებში. ამ ბაკურის ზეობა სულ რამდენიმე წლით უსწრებს არჩილის ზეობას. ამგვარად, ბოლნისის სიონი და მცხეთის სტეფანწმინდა თითქმის ერთი დროის ძეგლებია და, შესაძლოა, ერთი და იმ-

ავე არქიტექტორის მიერ შექმნილი. ყოველ შემთხვევაში ერთი და იმავე დიზაინით რომ იყვნენ ნაგებნი, მოულოდნელი სულაც არაა.

ტაძრის ზღურბლში აღმოჩენილია ქვა წარწერით, რომელშიც მოიხსენიება ავრელიოს აქოლისი. ეს ქვა აღმოჩნდა ტაძარში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს. ეს ავრელიოს აქოლისი წარწერის მცხეთაში აღმოჩენის მეორე შემთხვევაა. მისი ეპიტაფია 1938 წელს აღმოჩნდა სამთავროს ეზოში. მას IV საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევენ ამ წარწერის მიხედვით. არასწორია ტაძრის მშენებლობის ავრელიოს აქოლისის მოღვაწეობის წლების მიხედვით დათარიღება, რამდენადაც ზღურბლში ჩატარებული ქვა აშკარად მეორადი გამოყენებისაა. ავრელიოს აქოლისის წარწერიანი ქვაც და სხვა მრავალი ფაქტიც აჩვენებს, რომ ამჟამინდელი ნაგებობა შეკონსერვებულია სხვადასხვა დროის შენობების ფრაგმენტებისაგან.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აქ უკვე არჩილის დროს აიგო თავდაცვითი ნაგებობანი. ჩემი აზრით, აქ საუბარია სწორედ იმ კარზე, რომელსაც ამ ადგილას ვარაუდობს გ. ყიფიანი. მისი მითითებით, მცხეთას სამი კარი ჰქონდა. ერთი აღმოსავლეთისა ანუ არაგვის კარი იყო სწორედ აქ.⁵⁰ იმ მიზეზით, რომ კართან ასე ახლოს იყო და მტრის სამიზნეს წარმოადგენდა, ეკლესია უწყალოდ დაზიანდა და ამიტომაც გვაქვს დღეს შემორჩენილი ასე ფრაგმენტულად.

საბჭოთა პერიოდში ეს ეკლესია სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. დღეს იგი მოვლილია. XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქველმოქმედებით, შეიღესა და მოიხატა ტაძრის ინტერიერი (ხატმწერი ირაკლი ცინცაძე), შემოიზღუდა ეზო, აიგო საცხოვრებელი სახლი. 2002 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სტეფანწმიდის ტაძარი გადაეცა სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერს. ამავე წელს, მონასტრის წინამძღვრის, ილუმენია ქეთევანის და მოძღვრის, არქიმანდრიტ მიქაელის ძალისხმევით, დაფუძნდა წმინდა სტეფანე პირველმწამის დედათა მონასტერი.⁵¹

მიუხედავად იმისა, რომ სვეტიცხოველთან ძალიან ახლოს არის, წმინდა სტეფანეს ეკლესია თვალთახედვიდან როგორღაც მიმაღულია და ბევრმა

⁵⁰ გ. ყიფიანი. წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი. თბ. 2004.

⁵¹ ვსარგებლობ ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციით: <http://saunje.ge/index.php?id=127-&lang=ka>.

ტურისტმა თუ მომლოცველმა უბრალოდ არაფერი იცის მის შესახებ.⁵² ამ ეკლესიას ანტიოქიასაც უწოდებენ. „ანტიოქიად“ სახელდების ტრადიცია ზეპირსიტყვიერია. დღემდე ცნობილ წერილობით წყაროებში ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.

არაგვისა და მტკვრის შესაყართან შვერილ ადგილას, უფრო არაგვის მხარეს მდებარე მცხეთის სტეფანწმინდიდან შესანიშნავი ხელი იშლება: ერთი მხრივ, ეკლესია სვეტიცხოველს უყურებს, მეორე მხრივ – ჯვრის ეკლესიას. მეფე არჩილის დროსაც მტკვრისა და არაგვის შეყრის მიმდებარე ადგილი ასეთივე ლამაზი იქნებოდა, როგორც დღეს, ოღონდაც ხელი – სხვა: სვეტიცხოვლის წინამორბედი ქუემო ეკლესია მაშინ დაქცეული იყო, მთაზე აღმართული წმ. ნინოს ჯვარს კი ჯერ მხოლოდ რევის მიერ შექმნილი „კუბაი“ იფარავდა.

ადგილი წარმოსადგენია, როგორ ჩანდა ამ ფონზე ახლადაგებული სტეფანწმინდა.

⁵² ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივად მიმაჩნია, რომ მისი არსებობა გამორჩენია ს. რაპსაც კი, რომელსაც, საქართველოს ისტორიის დაკვირვებულ მკვლევარია: როცა ახსენებს არჩილის დროს მცხეთაში წმინდა სტეფანეს ტაძრის მშენებლობას, შენიშვნაში მიუთითებს, რომ ტაძარი არ შემორჩენილა. იხ. S. H. Rapp, Jr. *Imagining History at the Crossroads*, გვ. 401, შენ. 53.

Mariam Chkhartishvili

**Georgia in the first half of fifth century:
King of Kartli Archil**

Summary

Three kings by name Archil are mentioned in Georgian royal lists. The first one – he is a focus of my investigation - occupied the throne of Kartli Kingdom in ca. 420s-430s. The life of many Georgian kings, let say, Vakhtang Gorgasali, David the Builder, Queen Tamar etc are familiar to the widest strata of Georgian society (which is characterized with great interest in national past) in detail. As for Archil, he remains actually unnoticeable; text-books in Georgian history for primary schools are completely ignoring his reign, so do text-books for high schools. Only in exceptional cases they represent Archil's epoch at the best in two sentences.

Georgian historians, those not specialized concretely in the antique period, also have very uncertain knowledge about Archil, while the opinions of those directly involved in research of Georgian history in period of Late Antiquity, are dramatically divided.

I myself have published several investigations in which among the other themes attempted to outline political and personal profiles of king Archil, however, I am not sure that my representations had had any impact on subsequent study of the problem. They were neither accepted, nor criticized, but simply ignored.

This specific state of problem study served for me as motivation to direct my attention again to this complicated problem.

All the sources I am using for the present investigation are well known for specialists in field. The novelty of my research lies in new interpretations of these sources and new understanding of connections between information they are providing. The evidences, previously viewed as contradictory and mutually exclusive, harmoniously co-exist in my concluding narrative. Below I will display this narrative briefly.

Archil belonged to the royal house of Chosroids. Chosroids were Georgian kings of Persian origin. The founder of this house was Mirian – the illegal

son of Iranian Shah. Mirian had established Christianity as a state religion in Kartli Kingdom. Archil was Mirian's grandson. He was ascetic. He made royal apartments like church and retained his virginity even after being forcibly married. His father Rev also was of ascetic mood and refused to occupy the throne. The ascetic spirit was common among the Christian aristocracy in Late Antiquity. Very interesting examples of this kind might be found in history of imperial court in Constantinople. Georgian royal family was closely linked with the centers of Christendom and the ideal of ascetic ruler deeply persuaded worldview of Georgian political elite. Archil occupied the throne in rather old age after his two brothers (Bakur and Trdat) death; after his son-in-law (husband of his brother's daughter) Varaz-Bakur who lost the power because of Persian invasion; his brothers' and sister's sons (king Bakur, Parsman and Mirdat) also ruled before him. All of these kings, except Trdat and Varaz-Bakur, died without heir. Trdat's heir Bakur also died without heir. Finally, only Varaz-Bakur had son from Chosroid princess. This son was Murvanos (//Mirvan, Mirian) who by this time was as respected hostage in Constantinople. He is a well known Georgian ascetic Peter the Iberian. Thus, after the death of above mentioned king Mirdat, the royal house of Chosroids faced the crises occurred because of absence of heir. Archil had no chance to have his own kids. The only heir was Murvanos who inherited the throne in the maternal line. He was Arcil's grandson (Archil was brother of Peter's grandfather in maternal line). Evidently Archil was ignoramus in state affairs. It is why he needed Peter's father Varaz-Bakur as co-ruler. By occupying the throne Archil as Chosroid gave legitimacy to Varaz-Bakur. Actually both Archil and Varaz-Bakur were waiting returning of Murvanos. However, Murvanos who also was ascetic by nature from the very early years, escaped imperial apartments and fled to Palestine where he became monk and by this decision put end to the hopes of his father and grandfather. In the new circumstances Georgian ruling circles found alternative solution to the problem: Archil adopted Varaz-Bakur's son Mirdat from his first marriage. Later on Mirdat, became father of great Georgian king Vachtang Gorgasali. Thus, Vachtang Gorgasali actually was not Chosroid, however, he as well as all next Georgian kings until the eighth century ruled in name of Chosroids. This is quite understandable: adopted members of the family enjoyed all rights of real (based on actual kinship) members.

The epoch when Archil was in power represents one of the most unfavorable period in whole Georgian history: the pressure of Iran was too intensive and because of this political situation was characterized by instability. Four archbishops were changed, evidently because they were not able to please

Iran. Iranians tried to make archbishops like Shah's officials. At last they achieved this goal. Though this happened after Archil's death, however, it is clear that during Archil's reign Iranians permanently attempted to do this and the fact of changing of four archbishops reflects these sad reality.

The economical affairs of the country also were very far from perfection: the first church in the capital city of Mtskheta which was made from wood had been fallen down. According to Georgian tradition this was special church marking the sacral center of the Universe: church was built on the place where the most sacral thing – The Robe of Lord was entombed and kept Vivifying Pillar. As it was impossible to restore the church, archbishop who was residing here, had to be moved to another church and took with him the Vivifying Pillar.

However, at least one positive fact definitely happened during the Archil's reign. This was Church of Proto-martyr Saint Stephen built in this period. In 415 the remains of Stephen miraculously were obtained in Palestine. This fact echoed throughout the whole Christendom. From now on saints began to be treated as special agents in spread of Christianity; their relicts too had been endowed with great importance. Georgian Christian rulers even before these facts showed great interest in obtaining relicts. Especially vigorous in this was Varaz-Bakur whose efforts affected his son Peter; Peter admired the relicts of Persian Saints which were sent to his father from Persia by his men. These relicts indeed had played great role in life of Peter the Iberian.

The building of Saint Stephen Church in Mtskheta was almost synchronous with building of Church in Jerusalem where the greatest portion of relict had been deposited. By this time Peter the Iberian was in Jerusalem and even attended the consecration of the church in 438. He was very close to the persons who had direct access to these relicts. First of all I mean Melania the Younger and also Empress Eudocia. It is why I think that Peter was able to acquire some relicts of Saint Stephen for the Church in his native city. Thus, it is high probability that the church in Mtskheta possessed the relicts of Saint Stephen. Only by this fact might be explained the initiative of Georgian nobility to build Saint Stephen Church in Mtskheta in extremely unfavorable times when even restoration of Church of Vivifying Pillar (Svetitskhveli) was impossible.

Stephen's Church in Mtkheta should be considered as an important fact in history of Christianity. It was evidently one of the most ancient Churches of Saint Stephen with relicts from authentic source. This Church is preserved fragmentally until today and one can find it easily nearby the Church of Vivifying Pillar – Svetitskhoveli Cathedral.

ნესტან სულავა

**წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს
ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე
(წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების მიხედვით)**

ათონის საღვთისმეტყველო ცენტრისა და ლიტერატურული სკოლის დაარსების სათავეებთან ბერად აღკვეცილი ორი ქართველი მხედართმთავარი დგას, წმ. იოვანე მთაწმინდელი და იოვანე-თორნიკე. ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები მათ შესახებ დაცულია ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში, ივირონის აქტებში, რომელთა მეშვეობით ივსება თითოეულის სახე და უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგება მათი პოლიტიკური და საეკლესიოსასულიერო მოღვაწეობა. წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე წარმოჩენილია წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“.

1. წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ნათესაობის შესახებ. წმ. გიორგი მთაწმინდელი წმ. იოვანე მთაწმინდელის ვინაობისა და საქმიანობის შესახებ გვიამბობს: „ესე ნეტარი მამა ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მხნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისადათა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისკმისყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისადათა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად კსენებულისა დავით კურაპალატისა“.¹

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჟიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკვიციანი და ც. ჯღამაია ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 42.

როგორც ვხედავთ, წმ. გიორგი მთაწმინდელი წმ. იოვანე მთაწმინდელის სა-
ერო სახელსა და გვარ-ჩამომავლობას არ გვაუწყებს. კ. კეკელიძეს იგი იოვ-
ანე-ვარაზგაჩედ მიაჩნდა.² მაქსიმე ბერძნიშვილმა იოვანე-ვარაზგაჩეს ვინაობის
დადგენას სპეციალური წერილი მიუძღვნა და დოკუმენტების მონაცემთა მი-
ხედვით გაარკვია, რომ იოვანე-ვარაზგაჩე და იოვანე-აბულჰერიოთი ორი სხვა-
დასხვა პირია და მათი ნათესაური ურთიერთობაც დაადგინა. მ. ბერძნიშვილ-
მა ხელნაწერში A-134 მოიხილა ცნობა, რომლის მიხედვით ერისმთავრობისას
იოვანე აბულჰერიოთად მოიხსენიება, მისი საერო სახელია დამოწმებული სვი-
ნაქსრის მოსახსენებელშიც. სწორედ ამ წყაროების საფუძველზე გახდა ცნო-
ბილი, რომ ერისკაცად ყოფნისას წმ. იოვანე მთაწმინდელს აბულჰერიოთი
რქმევია. ამ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით გახდა ცნობილი, რომ წმ.
იოვანე მთაწმინდელის საერო სახელი აბულჰერიოთია: „იესო ქრისტე, შეამკვე
მადლითა და ნიჭითა შენმიერთა წმიდაი მამაი ეფთვიმე, ძე წმიდისა მამისა
იოვანე აბულჰერიისი, დამკვიდრებად სამოთხისა, რომელმან თარგმნა წმიდაი
ესე წიგნი, განმანათლებელი სულთაი და სხუანი ურიცხვნი ბერძულისაგან
ქართულად ჰლოცვათ“ (A-134, გვ. 424); „თვესა ივნისსა იდ. ამასვე დღესა
მიცვალება ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი, ეფთვიმეს მამისა, ჭეშმარიტი-
სა მის მონაზონისაი და ქრისტეს ნებისყოფელისაი, რომელსა პირველად
აბულჰერიოთ ერქუა ერისმთავრობასა“ (A-222, გვ. 359-360). სავსებით ნათე-
ლია, წმ. იოვანე მთაწმინდელის საერო სახელი აბულჰერიოთია.³

წმ. იოვანე მთაწმინდელის, იოვანე-თორნიკესა და იოვანე-ვარაზგაჩეს
სულიერი და ხორციელი ნათესაობის გასარკვევად საყურადღებოა 977 წელს
საბა უცხად მწერლის მიერ ათონზე გადაწერილი ჰომილეტიკური კრებულის
მომკვებლის წმ. იოვანე მთაწმინდელის ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „...მე,
იოვანე, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდისა ამის წიგნისა, რომელი თარგმნა
შვილმან ჩემმან ეფთვიმე ბერძულისაგან, და შრომაი დიდი ვაჩუენეთ ამას
ზედა საკსენებელად სულისა ჩუენისა. აწ ვინცა მიემთხვნეთ წმიდათა ამათ
სიტყუათა ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისთა, განმანათლებელთა სულისა-
თა, ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვასა მოგუკსენენით მე, იოვანე, და სული-

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960, გვ. 175.

³ მ. ბერძნიშვილი. იოანე-ვარაზგაჩესთვის. „ანალები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტო-
რიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ. 1947, გვ. 248-249; ნ. სულავა. ორი მიქაელი ძველ
ქართულ მწერლობაში. „მაცნე“. ენის და ლიტერატურის სერია. 2003. №1-4, გვ. 33-51; ნ.
სულავა. მიქაელ მორეკილის მოღვაწეობის ლოკალიზაციისათვის. „ანალები“. №8. თბ. 2011,
გვ. 383-397.

ერად და კორციელად ძმაი ჩემი იოვანე, თორნიკ-ყოფილი და შვილი ჩემი ეფთვიძე, რომელმან თარგმნა ესე, და სულიერნი ძმანი ჩემნი არსენი, თეოდორე (თ~ე) და გიორგი (გ~ი)“⁴ შევნიშნავთ, რომ არც ერთი სხვა დოკუმენტი წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ხორციელ ძმობას არ ახსენებს. მაქსიმე ბერძნიშვილმა იოვანე-თორნიკესა და წმ. ეფთვიძე მთაწმინდელის ძამის – წმ. იოვანეს ნათესაური კავშირის შესახებ გამოთქვა შეხედულება, რომლის მიხედვით ზემოთ დამოწმებული სიტყვები მათი ხორციელი და სულიერი ძმობის თაობაზე მიანიხიან „ფიგურალურ თქმად, ფიზიკური მახლობლის მნიშვნელობისად მხოლოდ, როგორც ამას ხშირად ვხმარობთ დღესაც: ძმას ვუწოდებთ ფაქტიურად არა ღვიძლ ძმასაც, ოღონდ სიყვარულით, მახლობლობით ძმის სადარსა და ტოლს. თორნიკეს კი, ჩვენ ვიცით, ათონში ჩასვლამდევე „ფრიალი სიყვარული აქუნდა იოანეს მიმართ“ (გიორგი მცირე). გარეშე ამისა მათ შორის არსებობდა ფიზიკური, არასისხლისმიერი, მახლობლობაც ანუ თვისობა, ე. ი. სწორედ ის, რასაც მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელი „ცხორებაში“ და რაც ერთგვარ ფორმალურ გამართლებასაც წარმოადგენს მათი „ხორციელად“ ძმობისას“.⁵

თუ რა ნათესაური კავშირ-ურთიერთობა იყო, ერთი მხრივ, ძმებს – იოვანე-თორნიკესა და იოვანე-ვარაზვაჩეს, მეორე მხრივ, წმ. იოვანე მთაწმინდელს შორის, შეიძლება დადგინდეს წმ. გიორგი მთაწმინდელის „წმ. იოვანესა და ეფთვიძეს ცხორებასა“ და სხვა ათონურ ხელნაწერებში დაცული ფაქტების მოშველიებით. იოვანე-თორნიკე და იოვანე-ვარაზვაჩე რომ ძმები, ჩორდვანელის ძენი არიან, კარგად ჩანს იმ მრავალრიცხოვან კოლოფონებში, რომლებიც შემოუნახავთ ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო ცენტრებში შექმნილ და ათონზე დაცულ ხელნაწერებს – Ath. 1; Ath.3; Ath.9, აგრეთვე, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის სინოდალური კოლექციის ხელნაწერს Gr.62.

პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად, წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან ერთად, განსაკუთრებული ღირებულებისა და კარგული ხელნაწერის „განძის“ შემონახული ანდერძი – Gr.62, რომელშიც იოვანე-თორნიკე ასახელებს იოვანე-აბულჰერიითს, როგორც თავის სულიერ მოძღვარს, და იოვანე-ვარაზვაჩეს, როგორც თავის ძმას. „... მე, იოვა-

⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია. ტ. I. თბ. 1986, გვ. 98-99.

⁵ მ. ბერძნიშვილი. იოვანე-ვარაზვაჩესთვის, გვ. 248.

ნე-თორნიკოფილმან, ძემან სულკურთხეულისა უფლისა ჩორდვანელისამან... დავწერე... წიგნი... განძი... აწ გევედრები... მოიკსენენით პირველად მოძღუარი ჩემი იოვანე აბულჰერით და ძმაი ჩემი იოვანე-ვარაზვანე და შვილნი ჩვენნი სულიერნი და კორციელნი მიქაელ და ჩორდვანელი ექუსოვიტი და ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი და მცირაი თორნიკ და სულნი მშობელთა ჩემთანი და ძმათა და ყოველთა თვისთა ჩემთა“.⁶ „განძის“ ანდერძი მართლაც ძვირფასი განძია იოვანე-თორნიკეს, იოვანე-ვარაზვანეს, იოვანე-აბულჰერითს შორის სულიერი და ხორციელი ნათესაობის დასადგენად. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებისა და წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ იოვანე-ვარაზვანე და იოვანე-აბულჰერითი ორი სხვადასხვა პიროვნებაა. იოვანე-ვარაზვანე იოვანე-თორნიკეს ძმაა, ხოლო იოვანე-აბულჰერითი, მამა წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა, მათი ბიძაშვილის – აბუჰარბის ასულის ქმარია, მათი სიძეა. მიუხედავად ამისა, ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში წმ. იოვანე მთაწმინდელი მაინც იოვანე-თორნიკეს ძმადაა მიჩნეული. ვფიქრობთ, ეს შეცდომა უთუოდ უნდა გასწორდეს.

წმინდა მამათა იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდელების „ცხოვრების“ დასაწყისშივე მოიხსენიებიან იოვანე და ეფთვიმე, რომლებიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ როგორც ათონზე, ასევე ბიზანტიისა და საქართველოს უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებში: „...ამათ ჟამთა შინა გამოაჩინნა ნეტარნი მამანი ჩუენნი: იოვანე და ეფთვიმე და იოვანე და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელის ძე და შემდგომითი შემდგომად სხუანი იგი მოწაფენი მათნი“...⁷ პირველად ნახსენები იოვანე წმ. იოვანე მთაწმინდელია, მეორედ ნახსენები იოვანე კი იოვანე-თორნიკეა. წმ. გიორგი მთაწმინდელი გვიამბობს წმ. იოვანე მთაწმინდელის, ეფთვიმეს მამის ვინაობისა და საქმიანობის შესახებ: „ესე ნეტარი მამაი ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპთაიგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოდ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მკნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისადთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულსკმისყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისადთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად

⁶ P. Peeters. Un colophon géorgian de Thornik le moine. *Analecta Bollandiana*. 50. fasc. 3-4. 1932, გვ. 360.

⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 38.

საყუარელი და საკუთარი კეთილად კსენებულისა დავით კურაპალატისა“.⁸ იოანეს მხედართმთავრობას მიუთითებს სვინაქსარის A-222-ის მოსახსენებელიც. იგი ოთხთა დიდებულ ლავრაში ეკურთხა მონაზვნად, შემდეგ მიაშურა ულუმბოს, ბოლოს ათონს. მაგრამ ათონზე წასვლამდე იოვანეს შვილი – ეფთვიმე ბაბუამ და დედის ძმებმა მძევლად მისცეს ბიზანტიის იმპერატორს. იოვანე მყის მიიწია კონსტანტინოპოლს შვილის წამოსაყვანად. გიორგი მთაწმინდელი გვიამბობს: „და ვინაოთგან მეფენი მეცნიერ იყვნეს აბუჰარბისა, რომელი იყო სიმამრი მამისა იოვანესი, და იოვანესდაცა ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთილად მოიკითხეს“.⁹ ე. ი. წმ. იოვანე მთაწმინდელის სიმამრი იყო აბუჰარბი, ბიძა ჩორღვანელის ძეთა იოვანე-თორნიკესი და იოვანე-ვარაზვანესი. აბუჰარბი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მიღებული და ცნობილი პიროვნება ჩანს. მან თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილის ეფთვიმეს მძევლად მიყვანის გამო სიძისაგან მკაცრი საყვედური მიიღო. წმ. იოვანე მთაწმინდელმა ეფთვიმე ათონზე წაიყვანა და სამუდამოდ იქ დარჩა.

წმ. გიორგი მთაწმინდელი თორნიკეს შემონაზვნების შესახებაც მოგვითხრობს: „მათ ჟამთა შინა თჳსი მისი დიდი თორნიკ თჳსსა ქუეყანად მონაზონ იქმნა და, რამეთუ ასმიოდა იოვანესთჳს, ვითარმედ ულუმბათა არს და ვინაოთგან ფრიადი სიყუარული აქუნდა მისსა მიმართ, მას მოჰმართა და ულუმბათა შთამოვიდა და, ვინაოთგან მუნ ვერ პოვა, ფარულად გამოიწულილა და ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს, და, თჳნიერ ცნობისა მეფეთაისა, იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევაჲ მონაზონებისაჲ კელთაგან იოვანესთა მიიღო... მთაწმიდას შთამოვიდა და ლავრასა დიდისა ათანასესსა მიიწია და, ვინაოთგან დაფარვაჲ არღარაჲ ეგებოდა, ურთიერთას გამოეცხადნეს და სიყუარულითა სულიერითა შეიტკბენეს და ფრიადი სიხარული იქმნა მონასტერსა შინა მას დღესა, რამეთუ არცა დიდი ათანასი უმეცარ იყო თორნიკის საქმესა და წარჩინებულობასა და ახოვნებასა...“.¹⁰ წმ. გიორგი მთაწმინდელმა იოვანე-თორნიკეს უწოდა წმ. იოანე მთაწმინდელის „თჳსი“;¹¹ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, ზემოთაც აღვნიშნეთ, „თჳსი“ დედის ნათესავია, ე. ი. ნათესავია ქალის ზაზით. ჩანს, აქ იგულისხმება ეფთვიმეს დედის ნათესაობა იოვანე-თორნიკესთან, ისინი ბიძაშვილები,

⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 42.

⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 43.

¹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 44.

¹¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 55.

ძმების – აბუჰარბისა და ჩორდვანელის შვილები არიან. აბუჰარბი კი, ზემოთაც აღვნიშნეთ, წმ. იოვანე მთაწმინდელის სიმამრია. ამავე თხზულებაში თვით წმ. იოვანე მთაწმინდელიც „თქსად“ იხსენიებს იოვანე-თორნიკეს.

ვფიქრობთ, საკითხის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორი ურთიერთობა იყო წმ. იოვანე მთაწმინდელსა და იოვანე-თორნიკეს შორის, რომლის ამსახველ ეპიზოდებს გადმოგვცემს წმ. გიორგი მთაწმინდელი. ნათლად ჩანს, რომ წმ. იოვანე მთაწმინდელი უდიდესი პატივისცემით, კრძალვითა და რიდით ეპყრობოდა იოვანე-თორნიკეს (იხ. 18, გვ. 49-51). ასევე, თვით იოვანე-თორნიკესაც დიდი რიდი და კრძალვა ჰქონდა თავისი სულიერი მოძღვრის მიმართ. წმ. იოვანე მთაწმინდელმა გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე წარმოთქვა ანდერძი და მოითხოვა, რომ ყოველწლიურად აღესრულებინათ იოვანე-თორნიკე სვინგელოზის სახელზე წირვა-მოსახსენებელი. „ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩუენსა იოვანე სვინგელოზსა... საცსენებელსა აღასრულებდნენ“.¹² ეს რიდი და კრძალვა ურთიერთშორის მათი სულიერი და ხორციელი სიახლოვის დამადასტურებელია. წმ. იოვანე მთაწმინდელი იოვანე-თორნიკეს თავის სულიერ ძმად იხსენიებს, რის წერილობითი საბუთიც დაუტოვებია, როგორც ამას წმ. გიორგი მთაწმინდელი გვამცნობს. იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდელების „ცხორებაში“ იოვანე-თორნიკე სვინგელოზი ყველგან სულიერ მოძღვრად მიიჩნევს წმ. იოვანე მთაწმინდელს.

წმ. იოვანე მთაწმინდელი იხსენიება, აგრეთვე, ივირონის ბერძნულ აქტებში.¹³ ამავე ივირონის ბერძნულ აქტებში იხსენიება იოვანე-თორნიკე სვინგელოზის სახელი (№№ 3, 4, 5, 24, 32, 42). ათონის მთის სააღაპე წიგნში იოვანე-თორნიკეს სახელზე განწესებულ ალაპს პირველი ადგილი უჭირავს. მისი განგება ნიმუშადაა მიჩნეული სხვათა ალაპებისათვის. ამავე ივირონის ბერძნულ აქტებსა (№№ 9, 10, 12, 23, 24) და სააღაპე წიგნში შეტანილია გიორგი I დიდის, ელენე მეტრეველის აზრით, იოვანე-ვარაზვაჩეს ძის, თორნიკეს ძმისწულის, იოვანე ქართველის „თქსის“ მოსახსენებელი.¹⁴

ამრიგად, იოვანე-ვარაზვაჩე და წმ. იოვანე მთაწმინდელი, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მამა, ორი სხვადასხვა პირია. წმ. იოვანე მთაწმინდელი X საუკუნის 70-იან წლებში უკვე ათონზე იმყოფება შვილთან ერთად, ხოლო

¹² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 59.

¹³ Actes d'Iviron. I. Éd. par J. Lefort, N. Oikonomidés, D. Papachryssanthou, avec la collaboration d' H. Métrévéli. Paris, 1985: ##7-10; შემდეგში აქტების ნომრები ტექსტშია მითითებული.

¹⁴ ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998.

იოვანე-ვარაზგანე ოშკის ლავრის მწიგნობრულ საქმიანობას უდგას სათავეში. ელენე მეტრეველის შეხედულებით, ოშკის ბიბლიის გადამწერი მიქაელი გიორგის სახელით აღიკვეცა ბერად და 981 წლის შემდეგ თავის ბიძასთან – იოვანე-თორნიკესთან ერთად ათონს მიაშურა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი და გიორგი I დიდი, მაშენებლად წოდებული, მიქაელ-ყოფილი, ძმების – აბუჰარბისა და ჩორდვანელის – შვილიშვილები არიან, როგორც წმ. გიორგი მთაწმინდელი ამბობს, ერთმანეთის „თჳსნი“ არიან. იოვანე-თორნიკესათვის წმ. იოვანე მთაწმიდელი სიძეა, ბიძაშვილის – აბუჰარბის ასულის ქმარია, ხოლო წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი – ბიძაშვილის შვილია.

2. წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე. წმ. გიორგი მთაწმინდლისეული დახასიათება წმ. იოვანე მთაწმინდელს წარმოაჩენს წმინდანისათვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებებით, რომლებითაც ჰაგიოგრაფიის იდეალური გმირი უნდა იყოს შემკული. წმ. იოვანე მთაწმინდელის გარეგნული და შინაგანი თვისებები შეზავებულია, იგი უთუოდ მოგვაგონებს წმ. გრიგოლ ხანცთელის ფრესკის დარად წარმოსახულ სახეს და კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ წმინდანის ამგვარად წარმოჩენა ჰაგიოგრაფიის სპეციფიკა და შუასაუკუნეობრივი სახისმეტყველების პრინციპია. თავის მხრივ, ეს პერსონაჟის ესთეტიური ხედვის საფუძველს ქმნის, ვინაიდან წმინდანთა სახეებში გაუთიშავადაა მოცემული რელიგიური და მხატვრული ფენომენი, ორივე ერთობლივად წარმოიდგინება, ოღონდ რელიგიურის დომინირება სრულიად ნათელი და უეჭველია.

წმ. იოვანე, მხედართმთავარი და დიდგვაროვანი ფეოდალური წრის წარმომადგენელი, გაურბოდა ნაცნობ გარემოს, ოჯახს, თავს არიდებდა სოფლურ ინტერესებს, კაცთა ყოფისათვის დამახასიათებელ შფოთს და ეძიებდა მარტოობას; ავტორი გვიამბობს, რომ მას ერისკაცობაშივე მძაფრად წაეკიდა „ცეცხლი იგი ქრისტჳს სიყუარულისად, ყოველი დიდებად ამა სოფლისად შეურაცხყო და ნაგევად შეჰრაცხა და მონაგები და სიმდიდრე და განსუენებად და მეუღლე და შვილნი და ნათესავნი... სიტყვისაებრ უფლისა, აღილო ჯუარი მჰართა თჳსთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლად იჰუმია და იჯჳნა ყოველთაგან და მხოლოდ ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა“.¹⁵ სულიერი სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვა, ვინაიდან მისი ვინაობა ბერ-მონაზონთა წინაშე, ხოლო ადგილ-სამყოფელი – საერო პირ-

¹⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 42-43.

თათვის მალე გაცხადდა. როდესაც თავის ხელდამსხმელთაგან, მამა მოსესა და მამა გელასისაგან კურთხევა მიიღო, ულუმბოს მთას მიაშურა, სადაც აწ უკვე სამშობლოს მოშორებულმა ბერმა „მონასტერსა ერთსა შინა“ დაივანა და სიმშვიდეში იმყოფებოდა. სულიერი სიმშვიდის ძიების გზაზე მყოფმა „ჟამთა არამცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუაწლი აკოვნად თავს იღვა“,¹⁶ სიმდაბლით აღასრულებდა შეურაცხ და უმნიშვნელო მსახურებას, მაგრამ ოლიმპზე მისი ამგვარი სულიერად ნეტარი ღვაწლი დროებითი აღმოჩნდა.

წმ. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ იმჟამად ბერძენთა იმპერატორმა დავით კურაპალატს დაუთმო „ზემონი ქუეყანანი“, სანაცვლოდ უფლისწულები და დიდგვაროვან ფეოდალთა (აზნაურთა) შვილები მძევლებად მოსთხოვა. მეფემაც მისცა. მძევალთა შორის წმ. იოვანეს მცირეწლოვანი ვაჟი ეფთვიმეც იყო, რომელიც პაპამ, წმ. იოვანეს სიმამრმა, ე. ი. აბუჰარბმა, და მისმა ცოლისძმებმა იმპერატორს მიჰგვარეს. როგორც კი გაიგო წმ. იოვანემ სიმამრისა და ცოლისძმებისაგან მცირეწლოვანი შვილის გამძევლების ამბავი, იძულებული გახდა კონსტანტინეპოლს გამგზავრებულიყო, ბიზანტიის იმპერატორს ზღებოდა, საკუთარი თავი გაემჟღავნებინა და შვილის ინტერესები დაეცვა. მან მკაცრად უსაყვედურა საიმპერატორო კარზე მყოფ სიმამრს, რომელსაც „არა ენება მიცემად მისი. და ფრთად აბრალა მას იოვანემ, ვითარმედ: „რაი არს ესე? ნუუკუე შვილ არა გესცნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თჯსთა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ! გარნა უფალმა შეგინდვენ თქუენ!“¹⁷ ღვთის განგებითა და მეფეთა თანხმობით შვილი წაიყვანა და კვლავ ულუმბოს მიაშურა.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. იოვანე მთაწმინდლის პიროვნების სრულყოფილად წარმოსახავად უადრესად მნიშვნელოვანია წმ. იოვანეს მიერ სიმამრისათვის ცოდვის შენდობის ეპიზოდი, – „გარნა უფალმა შეგინდვენ თქუენ!“ – ეს ქრისტიანული ცნობიერების უმაღლესი გამოვლინებაა. ეს ეპიზოდი მოწმობს, თუ როგორ ებრძოდა ერთმანეთს წმ. იოვანეს სულიერი სამყაროში ზესთასოფლური და სოფლური საწყისები. რეალობასთან ამგვარი ჭიდილი იოვანეს ნეკრესის ქარებით ლოგინად ჩავარდნამდე თან სდევდა. ულუმბოს მონასტერში ყოფნისას ღმერთმა იოვანეს უდიდესი გან-

¹⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 43.

¹⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 43-44.

საცდელი მოუვლინა, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ეფთვიმე, წმ. იოვანეს ვაჟიშვილი, მძიმედ დაავადდა, მამა მის გადარჩენას აღარც ელოდა და მღვდლის მოსაყვანად წავიდა, რათა ყმაწვილი ეფთვიმე ღვთის წინაშე უზიარებლად არ წარმდგარიყო; მაგრამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შემწეობით ეფთვიმე გადარჩა. ამ ეპიზოდის არაპირდაპირი ჰიპოდიგმა ისაკის მსხვერპლად შესაწირად აბრაამის მზადყოფნაა. იოვანემ, როგორც მშობელმა, შვილის ხორციელ და სულიერ მომავალზე შესაფერისად იზრუნა. თხზულებაში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ წმ. ეფთვიმეც, როგორც მშობლის დამფასებელი და მასზე მზრუნველი შვილი, ნიკრისით დაავადების შემდეგ მამას თავად უვლიდა და ტკივილებს უმსუბუქებდა. მამა-შვილის ამგვარი ურთიერთობა, სიყვარული და ურთიერთმზრუნველობა წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ იშვიათი სისადავითა და სიფაქიზითაა გადმოცემული, რაც ევანგელური მადლმოსილებითა და მშობლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობითაა შტაგონებული; ეს ევანგელური ჰიპოდიგმაა. ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა თავის ხორციელ დედაზე – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელზე იზრუნა და წმ. იოანე მახარებელს ჩააბარა: „ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაი თვისი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დელასა თვისსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი! და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაი შენი! და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თვისთა თანა“ (იოვანე, 19, 26-27).

წმ. იოვანე შვილთან ერთად ულუმბოდან ათონზე გადავიდა და წმ. ათანასეს ლავრაში დამკვიდრდა. მამამ ადრევე შეიცნო, რომ წმ. ეფთვიმეს ღვთიემიმადლებული ნიჭი ჰქონდა და მისი რჩევით შვილი შეუდგა კიდევ მთარგმნელობით საქმიანობას. მისი სიტყვები: „ქართლისა ქუეყანაი დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუძადლებია შენდა, აწ ილუაწე, რადთა განამრავლო სასყიდელი შენი ღვთისაგან“¹⁸ – ეროვნული ინტერესებით გამსჭვალული ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის ნათქვამია, რომელმაც იცის, რა სჭირდება მის ქვეყანას. მამამ წმ. ეფთვიმეს მიზნად დაუსახა ერის განათლება, სულიერი აღზრდა მისი სულიერი სიწვილის პერიოდში, როგორც ეს მოგვიანებით წმ. ეფრემ მცირემ შეაფასა. მამა-შვილის სახეებში ევანგელური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული ხატმეტყველება იკითხება: როგორც მაცხოვრის ამქვეყნად

¹⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 61.

მოსვლის წინაპირობები იოანე ნათლისმცემელმა მოამზადა, ისე მოამზადა წმ. იოვანე მთაწმინდელმა წმ. ეფთვიმე ქართველი ერის მომავალი სულიერ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. წმინდა მამის საბერო სახელი „იოვანე“ ღვთის მადლს ნიშნავს და, მართლაც, მისი საქმიანობა ულუმბოზეც და ათონზეც ღვთის მადლით განათდა. იოვანეს სახელის სიმბოლიკა იმ მხრივაც იკითხება, რომ პირველი ქართული ეკლესია ათონის მთაზე წმ. იოანე მახარებლის სახელზე ააშენეს, ხოლო შემდეგ იოვანე-თორნიკეს ქტიტორობით „ადგილსა შუენიერსა შუა მთაწმიდისა“ აღაშენეს ორი მონასტერი: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე.

წმ. იოვანე მთაწმინდელი თავად აღიარებდა, რომ საამქვეყნო განსაცდელი მას თითქმის არასოდეს ტოვებდა. ოშკის მონასტერში შემონაზუნებულმა იოვანე-თორნიკემ, ჩორღვანელის შთამომავალმა, იოვანეს მეუღლის ნათესავმა, ჯერ ულუმბოს მთაზე მოიკითხა იგი, ხოლო შემდეგ, რაკი იქ ვერ პოვა და გაიგო მისი ადგილსამყოფელი, ათონის მთას მიაშურა. როგორც წმ. იოვანე მთაწმინდელი თვითონ მიუთითებს, შფოთსა და განსაცდელში სწორედ იოვანე-თორნიკეს მხრიდან ჩავარდა. ამიტომ შვილთან ერთად ესპანეთის იბერიაში გამგზავრება გადაწყვიტა, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორმა მას ამის ნება არ დართო და ავიდოსიდან ათონზე დააბრუნა. რატომ ილტვოდა იოვანე ათონიდან, ნაწარმოებში დაზუსტებული არაა, თუმცა ის კი არის ნათქვამი, რომ წმ. იოვანე სულიერ სიმშვიდესა და სიმარტოვეს ეძიებდა, მას ეს მიზანი ბოლომდე მიუღწეველი დარჩა.

ავტორი წმ. იოვანე მთაწმინდელს აბრაჰამს ადარებს, რითაც მინიმუმბულია, რომ იოვანეს უდიდესი სულიერი მისია აკისრია: აბრაჰამ მრავალთა მამაა, წმ. იოვანე მრავალ წმინდა მამათა სულიერი მშობელი უნდა გახდეს, გაამრავლოს წმინდა მამები ათონის მთაზე, უცხოობაში, მწირობასა და სიგლახაკით ცხოვრებაში უნდა შეძლოს ქართველი ერის სულიერ აღორძინებაზე ზრუნვა, რისთვისაც ღმერთმა, ვითარცა აბრაჰამს ისააკი, ყოვლად სანატრელი და სათნოებით გამორჩეული შვილი – მომავალი წმინდანი ეფთვიმე მიანიჭა. მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი, ამისთვის აუცილებელია დიდი ლავრის შექმნა და ჩამოყალიბება, რათა ქართულ ენაზე გადმოთარგმნილიყო მთელი ის უზარმაზარი საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რომელიც ბერძნულად არსებობდა და ქართული მწერლობა, კულტურა გამდიდრებულყო; ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი წმ. იოვანე მთაწმინდელსა და მის ნათესავს, „თვისს“, იოვანე-თორნიკეს მიუძღვით.

დავით კურაპალატის მაგისტროსობისას ერთ-ერთი უდიდესი და ცნობილი მთავარსარდალი თორნიკე ტაოელი დიდგვაროვანი ფეოდალის ჩორდვანელის ჩამომავალი იყო, ენათესავებოდა წმ. იოვანე მთაწმინდელს, ერისკაცობაში – აბულჰერითს. წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ ამ პერსონაჟის სახეც წმ. იოვანე მთაწმინდელის მსგავსად არის წარმოჩენილი. მანაც ცოდვებით დაძმობულმა დატოვა საერო ცხოვრება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰაგიოგრაფიული გმირისაგან განსხვავებული ხატ-სახითაა წარმოსახული. წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდია მოთხრობილი: მისი ბერად აღკვეცისა და ათონის ქართველთა მონასტერში წასვლის ამბავი, იოვანე-თორნიკეს ადგილი და როლი ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში, იოვანე-თორნიკეს მიერ ივირონის მონასტერში გატარებული ცხოვრების ბოლო წლები.

ელ. მეტრეველი ვარაუდობდა, რომ თორნიკე „თქსსა ქუეყანასა“ უნდა შემონაზვნებულიყო ოშკის მონასტერში, რომელთანაც არის მისი სახელი დაკავშირებული.¹⁹ თუმცა წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულება თორნიკეს შემონაზვნების ამბავს ცოტა განსხვავებულად გვიამბობს. წმ. იოვანე მთაწმინდელის მსგავსად, არც მას სურდა სამშობლოში დარჩენა, მანაც უცხოებაში მწირად და გლახაკად ყოფნა აღირჩია, რისთვისაც უღუმბოს მთას მიაშურა. აქ ეგულებოდა თავისი სულიერი მეგობარი და ნათესავი, სამხედრო საქმეში თავისი წინამორბედი მთავარსარდალი წმ. იოვანე მთაწმინდელი, რომელიც ამ დროისათვის უკვე ათონზე იმყოფებოდა შვილთან – ეფთვიმესთან ერთად. იოვანე-თორნიკეც, „თქნიერ ცნობისა მეფეთაისა, იღუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევა მონაზონებისაჲ კელთაგან იოვანესთა მიიღო“,²⁰ რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ათონზე შემონაზვნდა და ბერად აღკვეცის კურთხევა იოვანესაგან მიიღო. თორნიკეს წმ. ათანასეც, ათონის მონასტერთა წინამძღვარიც, კარგად იცნობდა. იგი დიდი პატივით მიიღეს ათონზე. სწორედ მისი მისვლის შემდეგ ააგეს ქართველებმა იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესია და თავიანთი სადგომი სენაკები, სადაც ცხოვრობდნენ, „ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი“.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოგვითხრო იმის შესახებ, როგორ მომზადდა საფუძველი ათონის დიდებული ქართული ლავრის მშენებლობისათ-

¹⁹ ე. მეტრეველი. ნარკვევები. თბ. 1996.

²⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 44.

ვის. ამ ისტორიულ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ავტორი დეტალურად გვიამბობს ისტორიული ღირებულების მოვლენას, რათა სრულყოფილად წარმოაჩინოს ქართველთა სიძლიერე და ავტორიტეტი X საუკუნის 70-იან წლებში. სწორედ აქაა მოთხრობილი იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. აღმოსავლეთ ბიზანტიის ერთ-ერთი პროვინციის მმართველი ბარდა სკლიაროსი იმპერატორს აუჯანყდა და „კმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა“.²¹ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ბერძნებმა განიზრახეს, დახმარება დავით კურაპალატისათვის ეთხოვათ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“.²² წმ. გიორგი მთაწმინდელი იმ მიზეზს წარმოაჩენს, რის გამოც უშუალოდ დავით კურაპალატს ვერ მიმართა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა, – ტაოსკენ მიმავალი ყველა გზა ბარდა სკლიაროსს ეყვრა. ათონზე, ქართველთა მონასტერში, წარავლინეს სევასტოფორი, „კაცი წარჩინებული მათ ჟამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათა“²³ და მათთვის კარგად ნაცნობ წმ. ათანასეს, წმ. იოვანე მთაწმინდელსა და იოვანე-თორნიკეს სთხოვეს დახმარება; წმ. ათანასე და წმ. იოვანე იოვანე-თორნიკეს ევედრებოდნენ, რათა „ადვიდეს მეფეთა წინაშე“ და აღასრულოს ის უდიდესი მისია, რომელიც მას უნდა დაკისრებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის საქმეში. იოვანე-თორნიკეს დათანხმება ადვილი არ იყო, რადგან ცოდვათა შესანახებლად მოსულს კვლავ შფოთსა და ომში ჩართვა არ სურდა, მიაჩნდა, რომ ომში ჩაბმა და ბრძოლა ბერმონაზვნური ცხოვრების წესსა და ზნეობას ჩამოაცილებდა: „მე ცოდვათა ჩემთათვის მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვად, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათვის მივმოხევი, და ვინაითგან ღმერთმან ღირს-მყო და სახე მონაზონებისაი შევიძოსე, მე ამიერთგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა. აწ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, ღმრთისა სიყუარულისათვის შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათვის, რამეთუ, უკუეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგდებენ“.²⁴ სოფლის შფოთს განრიდებულ თორნიკეს მთაწმინდელი მამები წმ. ათანასე და წმ. იოვანე აიძულებდნენ, წასული-

²¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 45.

²² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 45.

²³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 45.

²⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 46.

ყო საიმპერატორო კარზე, ვინაიდან „უკუეთუ ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზელა და მონასტერსა ამას ზელა“.²⁵ ერთი კვირის მუდარამ ბოლოს მაინც გაჭრა და თორნიკე საიმპერატორო კარზე წარდგა. დედოფლის ბრძანებით მცირეწლოვანი ობოლი უფლისწულები ბასილი და კონსტანტინე იოვანე-თორნიკეს ფეხთ ჩაუვარდნენ. იოვანე-თორნიკემ „შინა-გამოღებით მრავალფერთა საქმეთათჳს ამხილა დედოფალსა“,²⁶ რომელიც ევედრა დავით კურაპალატთან შუამდგომლობას. იოვანე-თორნიკეს მხედართმთავრობით ქართველთა ლაშქარმა აოტა სკლიაროსი, სპარსეთამდე მისდია მას²⁷ და ბიზანტია სპარსთა თარეშს გადაარჩინა. იოვანე-თორნიკემ მოიპოვა „ნატყუენავი დიდძალი“, რომლის ნაწილი ჯარს გაუნაწილა, ხოლო ნაწილი თავად წაიღო ათონზე ივირონის მონასტრისათვის შესაწირად. წმინდა მამებმა დიდი პატივით მიიღეს ათონზე დაბრუნებული იოვანე-თორნიკე და ჰმადლობდნენ ღმერთს, რომ მშვიდობით დააბრუნა იგი წმინდა მთაზე.

იოვანე-თორნიკემ ათონზე „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“²⁸ წაიყვანა, ვინაიდან სურდა, რომ ათონის ქართველთა ლავრაში მხოლოდ ქართველები დამკვიდრებულიყვნენ, თუმცა ეს შეუძლებელი შეიქნა და მალე იძულებულნი გახდნენ, სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ბერძნებიც შემოეყვანათ. ათონის ქართველობა გაიზარდა, რის გამოც მხოლოდ იოანე მანარებლის სახელობის ეკლესია საკმარისი აღარ იყო, მათ სულიერ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. მათი სიტყვით: „აქა ყოფად ჩუენი შეუძლებელ არს, კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ“.²⁹ ამიტომ გადაწყდა კიდევ ერთი მონასტრის აშენება. თუმცა წმ. იოვანე მთაწმინდელს ეს საქმე უმძიმდა, მაგრამ „ქართველთა განსუენებისათჳს და უფროჲს ხოლო თორნიკის აშენებისათჳს თავს-იდვა ამისი ჳელ-ყოფა“.³⁰ სკლიაროსზე გამარჯვების შედეგად მოპოვებული განძით ქართველმა ბერებმა ათონის მთაზე შეისყიდეს „ადგილნი მრავალნი“ და ააგეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიები. დავით

²⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 46.

²⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 47.

²⁷ ბიზანტიის ომის შესახებ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე თავის ისტორიულ თხზულებაში „ისტორიული მიმოხილვა“ (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V. თბ. 1963).

²⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 49.

²⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 48.

³⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 49.

კურაპალატს კი მის სიცოცხლეში საგამგებლოდ ერგო „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი“, კურაპალატობის ხარისხიც ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ამ გამარჯვებასთან დაკავშირებით უბოძა.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა დეტალურად აღწერა ყოველივე, რაც იოვანე-თორნიკესთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან სწორედ მისი ქტიტორობით, მისი მოპოვებული განძეულით აიგო ათონის ქართული მონასტერი: „ლაგრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი, ცათა მობაძავნი, და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა“.³¹ წმ. იოვანე მთაწმინდელმა, წმ. ეფთვიმემ და იოვანე-თორნიკემ „მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და დასაყუდებულონი და განუწყესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოლად შუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და ჴელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის-მსახურთა მეფეთანი“.³² ნაწარმოების დასაწყისშივე წარმოდგენილი „ცათა მობაძავნი ეკლესიანი“ ის ადგილია, საიდანაც წმ. ეფთვიმეს საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა წარემართა. საგანგებოდაა მოთხრობილი იოვანე-თორნიკეს მიერ ბარდა სკლიაროსის დამარცხების ამბავი, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდია და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიებისათვის ცალ-ცალკე, ისე საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ურთიერთობისათვის, რელიგიური ცხოვრების მოსაწესრიგლად. ფაქტობრივად, ამ ამბავმა განსაზღვრა ქართველთა მონასტრის, ივირონის დიდი ლავრის დაარსება ათონზე.

წმ. იოვანე მთაწმინდელი, იოანე-თორნიკე, წმ. ეფთვიმე, გაბრიელი და სხვანი, – ცხოვრობდნენ მონასტერში, ხოლო მთელი მონასტერი ადასრულებდა ტიპიკონით განსაზღვრულ განგებას. მონასტერში მცხოვრები, ლავრული ცხოვრების მიმდევარი ბერები, მართალია, ტიპიკონის კანონებს ასრულებდნენ, მაგრამ აქვე ცხოვრობდნენ გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც თავიანთი დამოუკიდებელი ინდივიდუალური ცხოვრება ჰქონდათ. ამგვარი იყო იოვანე-თორნიკე, რომლის შესახებ წმ. გიორგი მთაწმინდელი გვაუწ-

³¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

³² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

ყებს, რომ იგი ცდილობდა თავისი ინდივიდუალობის დაძლევას. ამიტომაც გადასცა მთელი განძი თავის სულიერ მამას, წმ. იოვანე მთაწმინდელს, და „თავი თვისი სრულიად უარ-ყო და არცაჲ თუ მცირედი რაიმე დაუტევა კელმწიფებასა ქუეშე თვისსა, არამედ ეგვეითარმან მან განთქუმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაჲ თვისი მოიკუეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“.³³ ავტორს განთქმული და საჩინო კაცის, იოანე-თორნიკეს სურვილი ევანგელური ჰიპოდემურ-პარადემული სახისმეტყველებით შემოაქვს, რადგან ძნელად თუ შეძლებს მდიდარი ცათა სასუფეველის მოპოვებას: „ამინ გეტყვ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნელად შევიდეს სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 19, 23). „ნებაჲ თვისი მოიკუეთა“ გულისხმობს ნება-სურვილთა დათმენას, რაც, ევანგელური სწავლებით, სათნოებათა ყოველთა თავად არის მიჩნეული ღვთის მორჩილებასთან ერთად. იოვანე-თორნიკე აღიჭურვა ყოველივე სათნოებით, სიმდაბლით, სიწრფოებით, უმანკოებით და მთლიანად გადასცა საკუთარ სულზე მზრუნველობა დიდ იოვანეს შემდეგი სიტყვებით: „მამაო, თუთ იცი, რომელ დიდად ცოდვილ ვარ და სიკუდილი მოახლოებულ არს და უნებელი სიწმიდისა თქუენისაჲ არა ვარ, არამედ ნებაჲ ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია, ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი“.³⁴ წმ. მამა იოვანე მთაწმინდელი პატივისცემით ეპყრობოდა მის სიბერეს და ზრუნავდა მის სულიერ მომავალზე.

საგულისხმოა იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელსაც, აგრეთვე, რელიგიურ-აღმსარებლობითან ერთად, დიდი მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია ეკისრება. ავტორი მოგვითხრობს: „ხოლო ვინაითგან დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესევეითართა პირთათვის უბნობა და ჰამბავი უყუარდა“.³⁵ მონასტერში მყოფს მაინც არ ასვენებდა თავისი წარსული დიდი საბრძოლო გამირობები, განუწყვეტლივ ეხმიანებოდა მას, ვინაიდან მის პიროვნებაში ისტორიულ მოვლენათა ხსოვნა ძლიერი იყო; ამ თვალსაზრისით იოვანე-თორნიკე ჰაგიოგრაფიული გამირობისგან განსხვავებული პერსონაჟია; მიუხედავად იმისა, რომ ფიცხელი მონაზვნური ცხოვრებით, მორჩილებით და თავმდაბლად ზრუნავდა სულზე, მაინც წარსულის ტყვეობაში მოექცა; ჰაგიოგრაფის

³³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 50.

³⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 50.

³⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.

სიტყვით, ომებში გამობრძმედილი და დაბერებული იოვანე-თორნიკე გარს შემოისხამდა ბერ-მონაზვნებს და მათ იშვიათი ენაწყლიანობით, გატაცებით უყვებოდა განცდილისა და ნანახის შესახებ. ცხადია, ეს ბერმონაზვნურ ეთიკას, ტიპიკალურ კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მისი სულიერი მოძღვარი წმ. იოვანე მთაწმინდელი ამჩნევდა თვისიანის სისუსტეს, ბერისათვის შეუფერებელს. წმ. გიორგი მთაწმინდელი ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის თვისებებით ამკობს წმ. იოვანე მთაწმინდელს, როგორც თავის დაკარგულ ცხოვართა ღირსეულ მწყემსს, და წარმოაჩენს, როგორც უდიდესი ტაქტის მქონეს და ადამიანური დამოკიდებულებების ღრმად მცოდნეს. მართალია, მან გაუგო მრავლის მომსწრე მოხუც ბერს, რომელსაც თავისი დიდი წარსული, გადატანილი ომების ექო მონასტრის სიმყუდროვეშიც არ ასვენებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ იოვანე-თორნიკეს, დიდი სურვილის მიუხედავად, გაუჭირდა „ნებისა თვისისა განკვეთა“, რასაც თავადაც გრძნობდა. წმ. იოვანე მთაწმინდელი ერიდებოდა მას, რათა არ ეწყენინებინა. იგი იშვიათი ფსიქოლოგიც აღმოჩნდა, ვინაიდან გრძნობდა, რომ მთლიანად აკრძალვა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, გაეფრთხილებინა, რომ სხვა ბერების სულის დამაზიანებელი იქნებოდა და ამიტომ ნება დართო მხოლოდ გაბრიელ ბერთან საუბრისა, რომლისგან „მსოფლიო სიტყუად არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოდ და სულიერი“.³⁶ მწერლის უტყუარმა ალლომ შენიშნა, თუ როგორ უნდა განეცადა მოხუც იოვანე-თორნიკეს ეს დელიკატური საყვედური, მითითება, რის შემდეგაც იშვიათად, მხოლოდ ახალმოსულებთან თუ წაიცდენდა ორიოდ სიტყვას და „ესევითარსა სულიერსა ცხორებასა შინა აღასრულნა დღენი თქსნი და ღმრთისა მივიდა“.³⁷ ამ ეპიზოდის მხატვრული ფუნქციის განსაზღვრა ნაწარმოებს ჰაგიოგრაფიული ტრადიციების გაგრძელებად აღგვაქმევინებს, მაგრამ ამავე დროს, პარალელურად, მასში ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ჩანასახებსაც დაგვანახებს. ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი პერსონაჟის სულიერი მოძრაობის ჩვენება კი თვით მწერალს იშვიათი სამწერლო ღირსებების მქონედ, მხატვრული აზროვნების გამომხატველად მიგვანჩვენებს. ამ მხრივ წმ. გიორგი მთაწმინდელი გიორგი მერჩულის ლიტერატურულ-ესთეტიკურ და მხატვრულ ტრადიციათა გამგრძელებლად გვევლინება.

³⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.

³⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა არაერთგზის აღნიშნა, რომ იოვანე-თორნიკეს გამო ივირონის მკვიდრთ ბევრი უსიამოვნება და უკმაყოფილება შეხვედრიათ, მაგრამ კონკრეტულს არაფერს ამბობს. წმ. იოვანე მთაწმინდელის სიტყვებიდან გამოძინარე, ესპანეთის იბერიაში გამგზავრებაც იოვანე-თორნიკეს გამო ამტყდარმა შულმა და შფოთმა გადააწყვეტინა. მან ბიზანტიის მეფეთა წინაშე თავად განაცხადა „სპანიად“ წასვლის სურვილის მიზეზი: „ღმრთისმსახურნო და თვითმპყრობელნო მეფენო! გლახაკი ესე ერისკაცი ვიყავ სოფელსა შინა მყოფი და თანამდები ყოვლისა ბრალისად და მენება, რადთა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვრო და გლახაკებით ვიყოფებოდი. და თუ ვითა მოჰხდა, არა უწყი; მოვიდა თუკი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულთა შთავვარდი და ერის-კრებასა და მნებავს, რადთა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე“.³⁸

მიუხედავად ამისა, წმ. იოვანე მთაწმინდელმა იოვანე-თორნიკეს ჯეროვანი პატივი მიაგო. სწორედ იოვანე-თორნიკეს სახელზე დაიწერა პირველი ალაპი, მოსახსენებელი ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში. თითქოს იოანე-თორნიკე აკავებდა მას ათონზე, ვინაიდან მისი გარდაცვალების შემდგომ მალევე განიზრახა ესპანეთს წასვლა, რაც უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ავიდოსიდან მოაბრუნეს. იგი კვლავ ათონს დაუბრუნდა და ამიერიდან აღარსად წასვლა აღარ უცდია. იგი ღვთიებოძებული სამშობლოს სულიერად აღორძინებაზე ზრუნვას შეუდგა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა თავის შვილს, წმ. ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობაში, მან თავისი არსებობის აზრი ეროვნული იდეალების სამსახურში პოვა, ქართული მწერლობის გამდიდრებაზე, ქართული კულტურის აღორძინებაზე ფიქრობდა.

ძალიან დიდია იოვანე-თორნიკეს ღვაწლი ივირონის ისტორიაში, რადგან 980-983 წლებში მის მიერ 979 წელს ბიზანტიის იმპერიისათვის გაწეული დახმარების წილად მიღებული საგანძურით აშენდა კარის ღვთისმშობლის ტაძრის სახელით ცნობილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, სადაც დაბრძანებულია კარის ღვთისმშობლის ხატი. იოვანე-თორნიკეს, ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოამაგის ინიციატივით, ათონურ ხელნაწერთა კოლოფონების მიხედვით, მომზადდა ბიბლიის პირველი სრული ხელნაწერი, ოშკის მონასტერში გადაწერილი, ოშკური „სამოთხე“,

³⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 55.

„განძი“, რომლებიც შემდეგ ათონზე გადაიტანა; იგი მუდმივად ზრუნავდა ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე.

ამრიგად, წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ხატ-სახეები სამონასტრო ცხოვრების, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის, ეპოქის ვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინტერესების ფონზეა წარმონეწილი. ამას ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის სრულყოფილად ასახვის პრინციპი და მეთოდი მოითხოვდა.

Nestan Sulava

**THE HAGIOGRAPHICAL IMAGES OF ST. IOVANE ATHONITE
AND IOVANE-TORNIKE (ACCORDING TO THE NARRATIVE BY
ST. GIORGI ATHONITE)**

Summary

The foundation of the literary school and the theological center of Mount Athos is connected to the names of two military leaders: St. Iovane Athonite and Iovane-Tornike. The historical accounts about them are preserved in the old Georgian and Byzantine sources. In those sources their images are refined and their political and ecclesiastical activities are presented in detail. The images of St. Iovane and Iovane-Tornike and facts about their deeds are described in St. Giorgi Athonite's work named as *The Life of our Venerable Fathers Iovane and Eqvtime and the Account of their Worthy Citizenship Described by the Wretched Hieromonk, Giorgi*.

The aim of the author is full demonstration of life and activities of St. Iovane Athonite and Iovane-Tornike in order to present their perfect image. St. Iovane Athonite was committed to enhance the spiritual life of his country and he supported his son, St. Eqvtime in translation of various books, he found the meaning of his existence in service of national ideas, he took up a responsibility of enriching Georgian literature and thought about the promotion of Georgian cultural values.

Iovane-Tornike played great role in history of Iviron, since he built the church named after Holy Virgin in 980-983 with the treasury given to him as a response to his active support of Byzantine Emperor in 979. His initiative was to prepare full version of the Bible, rewritten at Oshki Monastery, named as "Paradise", "Treasure", which was later transferred to Mount Athos. He committed himself enrichment of library of Iviron monastery.

The hagiographical images of St. Iovane Athonite and Iovane-Tornike are displayed in cultural-educational context of their contemporary period, monastic and social life are also taken into consideration.

მიხეილ ბახტაძე

„დარბაზის“ არსებობის საკითხისათვის XI-XIV საუკუნეების საქართველოში

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „დარბაზი“ წარმოადგენდა მეფესთან არსებულ სათათბირო ორგანოს, რომელიც გარკვეული პერიოდულობით იკრიბებოდა. რა თქმა უნდა, სიტყვა „დარბაზს“ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა და ამას ყველა მეცნიერი აღიარებს.

პირველად „დარბაზის“ საკითხი სერიოზულად ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა. მეცნიერის აზრით, „ქართულში ეს სიტყვა ამირას, მეფის ან, საერთოდ, მბრძანებლის სასახლეს ნიშნავდა. ამასთანავე, დარბაზს სასახლის იმ ოთახსაც ეძახდნენ, რომელშიც სახელმწიფო საქმეების გამო მეფის თანდასწრებითა და მონაწილეობით სხდომა იმართებოდა ხოლმე. რაკი სპარსულში ეს სიტყვა კარს ნიშნავდა, საფიქრებელია, რომ მას ქართულშიც თავდაპირველად ასეთივე მნიშვნელობა ექნებდა და ჯერ ეს ტერმინი „სამეფო კარის მაგიერი“ და „სამეფო დარბაზის“ სახით გავრცელებული უნდა ყოფილიყო. რაკი „სამეფო კარი“ მეფის სასახლის აღსანიშნავადაც იხმარებოდა, ამიტომ „სამეფო დარბაზსაც“, ასევე, მეფის სასახლის მნიშვნელობა მიენიჭებოდა. თვით დარბაზობა მეფის თავმჯდომარეობით იმართებოდა. დარბაზობაში მონაწილენი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთ ჯგუფს შეადგენდნენ ხელისუფალნი, რომელთაც ჯდომის უფლება ჰქონდათ, მეორეს – ხელისუფალნი, რომელთაც ჯდომის უფლება არ ჰქონდათ, არამედ უნდა მდგარიყვნენ. ამას გარდა, ჯდომის უფლების მქონე ხელისუფალნიც, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ: ვაზირები ოქროჭედილ სელებზე ისხდნენ, დანარჩენი დიდი ხელისუფალნი ჩვეულებრივ დასაჯდომებზეც, მაგრამ უფროსი მათგანი „სასთაულითა“ ე.ი. ბალიშზე, უმცროსნი, ალბათ, უსასთაულოდ მსხდარან. დარბაზის წევრებს განსაკუთრებული საერთო სახელი ჰქონდათ: მათ ეწოდებოდათ „დარბაზის ერნი“. ქართული ენის ცნობილი ფონეტიკური კანონის წყა-

ლობით ამ ტერმინითგან წარმოიშვა „დარბაისელნი“. დარბაზის წევრნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდნენ: ერთ ჯგუფს შეადგენდნენ „კელოსანნი“, მეორე ჯგუფს – „უკელონი“. დარბაზობა ორნაირი სცოდნით: ან „დიდის წესითა“, ან „უმცროსითა“. თუ რომელი მათგანით უნდა ყოფილიყო დარბაზობა, ყოველ კერძო შემთხვევაში ეს მეფეს უნდა ებრძანებინა. დიდი დარბაზობა დარბაზის საზეიმო სხდომას წარმოადგენდა. საფიქრებელია, რომ დარბაზობა „უმცროსთა წესითა“ სახელმწიფო დარბაზის საქმიანი სხდომა უნდა ყოფილიყო. დარბაზობა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად იკრიბებოდა და დღესასწაულ-ზეიმისთვისაც. მისი განსაგებელი იყო: კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება; ომის გამოცხადების საკითხი; თამარ მეფესთან მაინც დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანაშინის საკითხი; არჩეული ხელისუფლების „დალოცვა“ და „კვლადსხმა“; საზეიმო სხდომა გამარჯვებული ლაშქრის შინ დაბრუნებისა და ზავის ჩამოგდების გამო; დარბაზობა მეზობელ და შორეულ სტუმრად თუ დახმარების სათხოვნელად მოსულ მეფე-მბრძანებლების, ან და მათგან წარმოვლენილი დესპან-მოციქულების მისაღებად და მოსასმენად; დიდი დღესასწაულების დროს“.¹

შემდგომი პერიოდის მეცნიერ-მკვლევართა უმეტესობამ გაიზიარა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება.

საქართველოს ისტორიის ნარკვევებში მ. ბერძნიშვილი წერდა, რომ „დარბაზი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. დარბაზი შედგებოდა დარბაზის ერისაგან. დარბაზის ერი (აქედან სიტყვა „დარბაისელი“) გულისხმობდა ყველა ვაზირს და მის ხელქვეით მოხელეს, აგრეთვე, საქვეყნოდ გამრიგე დიდ მოხელეებსა და სასულიერო მესვეურებს. „მეფის კურთხევის წესი“ და „გარიგება ხელმწიფის კარისა“ გვამცნობს დარბაზის ერის „დგომისა და ჯდომის წესს“. „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის სათანადო ადგილები გვიჩვენებენ დარბაზის წესის ზოგ საკითხს: დარბაზი – სახელმწიფო საბჭო – იკრიბებოდა მეფის თავმჯდომარეობით. დარბაზის შემადგენლობის ერთ ნაწილს ჯდომის უფლება ჰქონდა, მეორე ნაწილს კი არა, იგი ფეხზე უნდა მდგარიყო. მოხელეთა იმ ნაწილში, რომელსაც ჯდომის უფლება ჰქონდა, ყველა ერთი უფლებისა არ იყო. ვაზირები ოქროჭვდილ სელებზე ისხდნენ, მომღვენო რანგის ხელისუფალნი ჩვე-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 179-186.

ულერზე დასაჯდომებზე – ამათგან ზოგს „სასთაულიც“ (ბალიში) ელო, ზოგს კი – არა. ჯდომის წესის ამ გარეგნულ გამოხატულებაში ჩანდა თვით მოხელეთა იერარქიული წყობაც. დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება, ომის გამოცხადების, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანისშვნის, ზავის დადების და სხვა საკითხები. დავით აღმაშენებლის დროიდან, როდესაც მეფის ძალაუფლება სულ უფრო ძლიერდება, დარბაზის მნიშვნელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა გამუდმებული ცდები, მიმართული მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა და საკუთარი როლის გაძლიერებისაკენ, თანდათანობით იწვევენ დარბაზის, როგორც დიდგვარიანთა ნების გამომხატველი ორგანიზაციის, მნიშვნელობის გაზრდას. თამარის მეფობაში ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ მეფეს ჩამოსცილდა სახელმწიფო საკითხების ერთპიროვნული გადაწყვეტის უფლება და დარბაზი შეიქმნა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი საქმის გადაწყვეტის მონაწილე და ორგანიზატორი. დარბაზი იღებს მეფის თანამდგომელისა და ერთი ნების გამომხატულებას. მეფე ყოველ მნიშვნელოვან ღონისძიებას ატარებს მხოლოდ და მხოლოდ დარბაზის ერთა „თანადგომითა და ერთნებაობით“. ამ შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება ერთგვარ კომპრომისზე წავიდა; ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა „მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვის“ უფლებას. ამ დასმა ეს წადილი ვერ შეისრულა, მაგრამ არც სამეფო ხელისუფლება დარჩენილა წინანდელ პოზიციებზე – იგი ერთგვარ დათმობაზე წავიდა, რაც დარბაზის ერთა მნიშვნელობის გაზრდასა და სამეფო ხელისუფლების შედარებით შესუსტებაში გამოიხატა (დარბაზმა მიაღწია მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებისას მეფესთან „თანადგომას და ერთნებაობას“).²

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „მეფესთან არსებობდა ფეოდალების სათათბირო ორგანო, რომელსაც დარბაზი ეწოდებოდა. ის წარმოადგენდა საერო და საეკლესიო დიდმოხელე ფეოდალების (ერისთავები, კათოლიკოს-ეპისკოპოსები, სამეფო მონასტერთა წინამძღვრები და სხვ.) კრებას. დარბაზობა მეფესთან, თუ საგანგებო მოწვევა არ იყო, დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე (ნათლისღებას, აღდგმას და სხვ.) იმართებოდა ზოლმე“.³

² მ. ბერძენიშვილი. სახელმწიფო წყობილება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1973, გვ. 350.

³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VI. თბ. 1973, გვ. 87.

ა. კიკვიძე წერდა, რომ თამარის მეფობის დასაწყისში „იმართება ბრძოლა დიდგვარიანთა და უგვართა შორის. ეს არის დრო, როცა ქვეყნის მწარმოებელ ძალთა ხელთპყრობის სისტემა სამეურნეო ფისკალური, სასამართლო და სამხედრო უწყებათა სახით თავს იყრის მეფის კარზე ხელისუფლების უზენაეს ორგანოში – დარბაზში [სქოლიოში არის შენიშვნა, ამ მოვლენას ამ დროისათვის ორზე მეტი საუკუნის ისტორია აქვს გავლილი]. დარბაზი და მისი ცენტრი სავაზირო, ერთი მხრივ, როგორც ცენტრალური დაწესებულებები, ხოლო, მეორე მხრივ, საერისთავო, საციხისთავო, სახევისუფლო და სამამასახლისო, როგორც პერიფერიული დაწესებულებები, ქმნიან სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზებულ ქსელს. დარბაზი, რომლის სათავეში მონარქი დგას, შედგება დარბაზის წევრთა – წარჩინებულ-დიდებულთაგან ანუ „უხელოთა და ხელოსანთაგან“. ე.ი. დარბაზში შედიან და ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას ღებულობენ არა მარტო თანამდებობის პირნი, არამედ თანამდებობის არქმონე პირნიც, რომელნიც აღიარებული არიან პოლიტიკურ საყრდენ ძალად თავიანთი მდგომარეობის მიხედვით. ამიტომ თვით დარბაზობაც და დარბაზის მოწვევის წესიც განსაზღვრულია. როცა გადაუღებელი საქმეებია გადასაწყვეტი, მცირე დარბაზობა იწვევა, ხოლო საკანონმდებლო სხდომებისა თუ მაღალ ხელისუფალთა დანიშვნის შესახებ იმგვარადვე, როგორც სახეიმი სხდომებისა და საერთოდ სადღესასწაულო ზემისათვის – დიდი დარბაზობა“.⁴ მეცნიერი თვლიდა, რომ დარბაზში დიდი ვაჭრებიც შედიოდნენ.⁵

ივ. სურგულაძე აღნიშნავდა, რომ „მეფის შემდეგ ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო დარბაზი, საბჭო“.⁶ თუმცა უკვე შემდგომი ხანის ნაშრომში მეცნიერი წერდა, „ქართულ ისტორიულ წყაროებში დარბაზი არ არის განმარტებული, როგორც მსხვილი ფეოდალებისაგან შემდგარი სათათბირო, სახელმწიფო საბჭო; „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარ განმარტებას არც მოკვლით და არც არის“.⁷

ი. დოლიძე „დარბაზს“ განმარტავდა როგორც სამეფო საბჭოს, სამეფო კარს.⁸

⁴ ა. კიკვიძე. მე-12 საუკუნის საქართველო. თსუ შრომები. №9. თბ. 1939, გვ. 160.

⁵ ა. კიკვიძე. მე-12 საუკუნის საქართველო, გვ. 158.

⁶ ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სამართლისა და სახელმწიფოს ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1963, გვ. 15.

⁷ ივ. სურგულაძე. სახელწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. თბ. 1997, გვ. 143.

⁸ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბ. 1957, გვ. 130.

ჯ. სამუშია საგანგებოდ არ შეხება დარბაზის საკითხს, თუმცა ყუთლუ-არსლანის საკითხის განხილვისას აღნიშნა, რომ გამოსვლა მართალია მარცხით დამთავრდა, „მოგვიანებით, სამეფო კარზე მეფის ვიწრო სათათბირო საბჭოს გარდა, არაერთხელ შეკრებილა ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად წარმომადგენლობითი სახით მინისტრები, პროვინციებიდან წარჩინებულნი, ეპისკოპოსები, მონასტერთა წარმომადგენლები. ასეთ წარმომადგენლობით შეკრებას ქართული წყაროები დარბაზობად იხსენიებს“.⁹

ი. ანთელავამ საგანგებო ნაშრომი უძღვნა „დარბაზის“ საკითხს. მეცნიერის დასკვნები ასეთი იყო: „1. XI-XIII საუკუნეებში „დარბაზი“ მეფის სასახლეს აღნიშნავს. სხვა მნიშვნელობით ის წყაროებში არ დასტურდება; 2. სასახლეში, დარბაზში კიდევ სხვა „დარბაზი“, ფეოდალთა სათათბირო „ორგანიზაცია“ არ არსებობს; 3. ტერმინი „დარბაზის ერი“ სასახლის შტატს გულისხმობს დიფერენცირების გარეშე, უმაღლესი მოხელეებიდან უმდაბლესამდე. ამასთან, ეს ტერმინი, როგორც ჩანს, სპეციალურია და მასში ერისთავთერისთავები, ისევე როგორც სასულიერო ფეოდალები არ უნდა იგულისხმებოდნენ“.¹⁰

ი. ანთელავა მოგვიანებით კიდევ შეეხო „დარბაზის“ საკითხს და განავითარა ადრე გამოთქმული მოსაზრებები. მკვლევარი თვლიდა, რომ „სასახლის“, როგორც მონარქის რეზიდენციისა და მმართველობის ცენტრალური აპარატის ადგილსამყოფლის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ქართულ წყაროებში საკმაოდ მარავალრიცხოვანია. V-X საუკუნეთა ძეგლებში მას ეწოდება „ტაძარი, „პალატა“. X საუკუნიდან გვხვდება „დარბაზი“, „სრა“. „ტაძრისა“ და „პალატის“ სინონიმად გარკვეული პერიოდიდან იხმარებოდა, ასევე, ტერმინი „დარბაზი“. ზემოაღნიშნული ტერმინები ჩვენ გვაინტერესებს არა როგორც გარკვეულ ნაგებობათა, არამედ როგორც გარკვეული დაწესებულების აღმნიშვნელები. სასახლეები, როგორც აღვნიშნეთ კიდევ, საქართველოს მეფეებს ბევრი ჰქონდათ, მაგრამ „სასახლე“ (ტაძარი, დარბაზი, პალატა), როგორც დაწესებულება, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ერთი ჰქონდა და ეს „სასახლე“ მასთან ერთად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ერთი სასახლიდან მეორეში. ამდენად „სასახლე“ (ტაძარი, დარბაზი, პალატა) ერთიან მონარქიაში იყო მხოლოდ ერთი. ეს „სასახლე“ წარმოად-

⁹ ჯ. სამუშია. ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (ყუთლუ-არსლანი). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. X. თბ. 2016, გვ. 221.

¹⁰ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში. „მაცნე“ ისტორიის... სერია. № 4. თბ. 1976, გვ. 159.

გენდა მეფის უახლოეს გარემოცვას, სახელმწიფოს მართვის ცენტრალურ აპარატს“.¹¹ მეცნიერის აზრით, „დარბაზის ერი“ სასახლის პერსონალის აღმნიშვნელი ტერმინი იყო.¹² თავის სოციალური შინაარსით „დარბაზის ერი“ ჭრელ კატეგორიას წარმოადგენდა. „მასში შედიოდნენ როგორც წარჩინებული დიდგვარიანები, ისე წვრილი აზნაურები და მსახურები“.¹³ რაც შეეხება „დარბაზის ყმას“, მკვევარის თვალსაზრისით, „ეს კატეგორია იგივე იყო, რაც პაჟები, სამეფო სასახლის ახალგაზრდული დასი“.¹⁴

მსგავსი მოსაზრება „დარბაზთან“ დაკავშირებით ჰქონდა ნ. შოშიაშვილს. „დარბაზი არ წარმომადგენდა სახელმწიფო ორგანოს თავისი მუდმივი შემადგენლობით და სამუშაო წესდებით. ეს იყო მეფის სასახლისა და სამეფო კარზე არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა (საჭურჭლე, სააჯო კარი, სამწიგნობრო და სხვ.) ერთობლიობა. „დარბაზის ერი“ ეწოდებოდა არა სამეფო საბჭოს – დარბაზის წევრებს, არამედ დარბაზის – სამეფო სასახლის, სამეფო კარის მსახურ-მოხელეებს (საწოლის მწიგნობარი, ეჯიბები, ამირეჯიბი, მეჭურჭლე, საჭურჭლის ნაცვალი და სხვ.), ე.ი. კარისკაცებს და სასახლის მცველ რაზმს, სასახლის გვარდიას (მესაწოლეების, მესაწოლეთუხუცესი და სხვ.). XI საუკუნემდე დარბაზის ერის შესატყვისი იყო „ტაძრეულნი“.¹⁵ საენციკლოპედიო სტატიის სპეციფიკიდან გამომდინარე ნ. შოშიაშვილს არგუმენტაცია მოყვანილი არ აქვს. სამწუხაროდ, სხვაგან მის მოსაზრებებს „დარბაზთან“ დაკავშირებით ვერსად მივაკვლიეთ.

როგორც ვხედავთ, არსებობს ორი საპირისპირო მოსაზრება. ერთის მიხედვით, „დარბაზი“ სათათბირო ორგანო იყო, მეორეს თანახმად – კი არა. „დარბაზის“ რაობის გარკვევა მნიშვნელოვანია. ამას უკავშირდება ერთიანი ქართული მონარქიის სახელმწიფო წყობილებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, მაგ., დარბაზის უფლებების გაფართოება ან დარბაზის წევრთა შემადგენლობის ცვლილება, ყუთლუ-არსლანისა და მისი თანადასელების გამოს-

¹¹ ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. თბ. 2002, გვ. 14-16.

¹² ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, გვ. 24.

¹³ ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, გვ. 30.

¹⁴ ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, გვ. 28.

¹⁵ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. III, თბ. 1978, გვ. 379; ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. II. თბ. 2012, გვ. 319.

ვლის შემდეგ. თუ დარბაზი სათათბირო ორგანო არ იყო, მაშინ რისი უფლებები გაფართოვდა?

საკითხის კვლევას, იყო თუ არა „დარბაზი“ სათათბირო ორგანო, ის ართულებს, რომ წყაროებში არსებული ინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში, არ იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების საშუალებას და ყველაფერი მკვლევრის უფრო ინტერპრეტაციასზე დამოკიდებული. წყაროებში არის ცნობები, საიდანაც ერთმნიშვნელოვნად ირკვევა, რომ „დარბაზი“ აღნიშნავს სასახლეს, „დარბაზობა“ – შეხვედრას. თუმცა „დარბაზთან“, როგორც სათათბირო ორგანოსთან, დაკავშირებით ასეთი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება.

პირველ რიგში, ვნახოთ, თუ რა ცნობებია დაცული ნარატიულ წყაროებში. თავს დროზე ი. ანთელავამ დაწვრილებით შეისწავლა წყაროები, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთხელ განვიხილავთ წყაროებში დაცულ ჩვენთვის მნიშვნელოვან ცნობებს.

სუმბატ დავითის ძესთან ვკითხულობთ, „ბაგრატ მეფემან კურაპალატმან მოიყვანა ესე ორნი ძმანი, კლარჯთა კელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, **დარბაზობად** მის წინაშე, შეიპყრნა იგინი და აღიხუნა ციხენი და ქალაქნი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შინა თმოგვსასა, და მუნ ციხესა შინა გარდაიცვალნეს სუმბატ და გურგენ“.¹⁶ ვეთანხმებით ი. ანთელავას მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აუდიენციასთან, დაპატიუებასთან.¹⁷ „მოიყვანა დარბაზობად მის წინაშე“ უნდა ნიშნავდეს, მოიყვანა სასაუბროდ, სათათბიროდ ან უბრალოდ სანახავად. შესაბამისად, „დარბაზობა“ უნდა ნიშნავდეს საუბარს, თათბირს, შეხვედრას. ამ შემთხვევაში აშკარად არ იგულისხმება მეფესთან არსებული სათათბირო ორგანო.

„მატიანე ქართლისაჲში“ რამდენჯერმე გვხვდება ტერმინი „დარბაზი“. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. „გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუჭდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭველისა. გარდადგა თიანეთს და დაწუა **დარბაზი** ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კვრიკე მეფისა აგებული“.¹⁸ აქ დარბაზი აშკარად სასახლეს ნიშნავს.

¹⁶ ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბ. 2008, გვ. 370.

¹⁷ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 149.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, გვ. 282.

2. „ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს და მოვიდეს სხუანი მხმო-
ბელნი ბერნი ტფილელნი. წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის
ბერნი, **დარბაზის ყმანი**, ცხენოსანნი დიდმისა ველსა“.¹⁹ „დარბაზის ყმანი“
ვინ იყვნენ, ამას ცოტა ქვემოთ განვიხილავთ. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშ-
ნავთ, რომ ამ ფრაგმენტისადაც არ ჩანს, თუ რას წარმოადგენს საკუთრივ
„დარბაზი“. ი. ანთელავას აზრით, „დარბაზის ყმანი“ ამ კონკრეტულ შემ-
თხვევაში ამირას კარისკაცები არიან.²⁰

3. „შეიყვანეს და მოვლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა,
და მთართუნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამიაროსა **დარბაზსა**“.²¹
ამ შემთხვევაშიც დარბაზი სასახლეს უნდა აღნიშნავდეს.

4. „და ისნის ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთა-
ვი გოდერძი, და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი **დარბაზობად** ბაგრატ მე-
ფისა წინაშე და მშჯდობისა ძებნად“.²² ი. ანთელავა მიიჩნევდა, რომ ამ
ფრაგმენტში (ისევე როგორც მომდევნოში, რომელიც ოსთა მეფე ღორლო-
ლელს ეხება) იგულისხმება აუდიენცია.²³ „მოვიდეს დარბაზობად“, ჩვენი აზ-
რით, აქაც სათათბიროდ, სასაუბროდ მოსვლას უნდა გულისხმობდეს ან უბ-
რალოდ შეხვედრას და არა სათათბირო ორგანოს შეკრებას.

5. „ამისა შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან ღორლო-
ლელმან დისიძისა მათისა ბაგრატიისა სევასტოსისათვის, და ითხოვა **დარბა-
ზობა** ბაგრატიისგან. ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წარმოემართა
ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა და აღმოვლო გზა აფხაზეთისა
და მოვიდა ქუთათისს და ნახა დად მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპა-
ლატიისა. რამეთუ გიორგი კურაპალატი გებულ იყო უწინ და მოიყვანეს
ქართლს და მეფე დგა ტინისხიდის ჭალასა, ნადარბაზვეს და მოეგება წინა
დიდითა ზეიმითა და პატივითა. შეკრბეს ერთგან კეზუთა ზედა. და იყო სიხა-
რული და კმა ბუკთა და დუმბულთა საშინელი და მიუწდომელი. და დაყვეს
ერთგან დღე თორმეტი, და განისუენეს ყოვლითა განსუენებითა და სიხარუ-
ლითა. და მიზეზითა ზამთრისათა გაისწრაფეს, და მისცა ნიჭი და საბოძკარი
მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხა-

¹⁹ ქართლის ცხოვრება, გვ. 283.

²⁰ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 150.

²¹ ქართლის ცხოვრება, გვ. 283.

²² ქართლის ცხოვრება, გვ. 284.

²³ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 150-151.

რულითა“.²⁴ „ითხოვა დარბაზობა“ აშკარად შეხვედრას გულისხმობს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში დარბაზი ერთხელ გვხვდება – „კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა **დარბაზის კარით** მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილ-წესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“.²⁵ ი. ანთელავას აზრით, ამ შემთხვევაში „დარბაზი“ მეფის სასახლეს აღნიშნავს.²⁶ ჩვენ ასე ცალსახად ვერ ვიტყვით. ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ინტერპრეტაციას მივცემთ „დარბაზს“. შეიძლება ვიგულისხმოთ სასახლის კარიც და სათათბირო ორგანოც. თუმცა, ცხადია, რომ ცალსახად არც იმის თქმა შეიძლება, რომ „დარბაზი“ აუცილებლად სათათბირო ორგანოს ნიშნავს.

„ისტორიანი და აზმანის“ ტექსტიც, ასევე, შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ცნობებს.

1. „და ითაყუანა **დარბაზის ყმად** უმცროსი შვილი მისი ივანე. და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა, და მისცა არგანი ოქროსა ჴელთა მისთა, და შთააცუეს ტანსა მისსა სკარამანგი, და დასუეს ხელებითა ოქრო-ჴედლითა რომელნიმე მარჯუენით მისსა და რომელნიმე მარცხენით. და კუალად უბოძა მეჴურჴლეთ-უხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა, და მსახურთ-უხუცესობა ვარდანს დადიანსა, ჩუხჩარეხობა მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარეხისასა, ვინაცა მათ ორთავე მამანი მომჴცოვნებულ იყვნეს, და დასდვა მამისა პატივი მათისა და დასხნა სასთაულითა. და უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირსპასალარცა იქმნა შემდგომად სარგის მჴარგრძელისა“.²⁷ კვლავ არ ჩანს ნათლად, თუ რა არის „დარბაზი“. ი. ანთელავას აზრით, „დარბაზის ყმა“ არის იგივე, რაც პაჟი.²⁸

2. „და წესისაებრ სახლისა საჴელმწიფოსა მიეგებნეს დიდებულნი პატივითა და სიყუარულითა, მოიყვანეს სრად სამეფოდ, რომლისა პაპა სალდუხ ეზდინი პაპასა ამათსა დემეტრეს, ჴელმწიფესა დიდსა და სახელ-განთქმულსა, ჴაბუკსა გორგასლიანსა, ძალითა და ღუაწლთა სიმრავლითა

²⁴ ქართლის ცხოვრება, გვ. 295.

²⁵ ქართლის ცხოვრება, გვ. 336.

²⁶ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 151.

²⁷ ქართლის ცხოვრება, გვ. 407-408.

²⁸ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 153.

კელთ-ეგლო და მოყვანა. აწ ამან სიტყვთა, და ნუ უკუე არცაღა სიტყვსა ღირსებითა. მოყვანა, ვითარცა მონა მოხარკე. ნელიად და წყნარად და დაყოვნებითრე უღარბაზა, რომელმან ნახვასავე თანა რამინისებრი აჩუნა ცრემლთა ნაკადთ-მრავლობა. დასუა პატივითა ტახტსა თანა ხელითა, და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოქმეთა, უკლებლობასა მრავალგუართა სახეობათა, მუტრიბთა და მოთამაშეთა განწყობილობათა, ნიჭთა და საბოძუართა და შემოსათა, ვინაცა იქმნა უჰამრავი“.²⁹ „ღარბაზა“ უნდა ნიშნავდეს შეხვედრას.

3. „ხოლო შემდგომად ამისა რეცა **ღარბაზობისა** სახედ მოვიდა შარვანშა აღსართან, რომელი მიჰდილ იყო ცნობათა სიყუარულისაგან და, სჯულისაებრ ძუელისა და თვთ დღეთა ისლიმთასა, გუარისაგან განვლენილი, თვისისა სჯულისა დაგდებად განმზადებული, მოქენე იქმნა ყოველთა საქმის მოქმედთა, მოძღურისა და კათალიკოსისა, მიუწდომელისა ქრთამისა მძებნელი“.³⁰ ი. ანთელავა თვლიდა, რომ ამ შემთხვევაში ვიზიტი უნდა იგულისხმებოდეს.³¹ ჩვენც ასევე ვფიქრობთ.

4. „ოდესმე შარვაშეზ ლომისა ბოკუერი გამოეგზავნა, მათ გაეზარდეს. და ესდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაური გაზრდილი არცა-ვის უნახავს მისი არაკი. რაჟამსცა **ღარბაზს** მოიყვანიან, ესრეთ აქუნდა ტრელი, სურვილი და სიყუარული თამარ ღმრთივ-განათლებული-სა, რომელ მრჩობლთა ჯაჭუთა მიდა მოცალეობამან კაცთა კიდებისამან ვერ დაიჭირის, ვირე თავი უბეთა არა ჩაუდვის და ლოშნიდის, ვითარცა ძუელ ოდესმე მოწამეთა მეტაფრასები მოგუთხრობს“.³² ამ ფრაგმენტშიც ღარბაზი სასახლის სინონიმად უნდა გავიგოთ და ამ მხრივ მისაღებია ი. ანთელავას მოსაზრება.³³

5. „და შეიყარნეს ზრითა მით, გონებისა ზარგანკდილითა, და შეიქმნა **ღარბაზობა**. და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თვთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი, მადიდებელნი და მასახელებელნი ყოვლისა ულუმპიანობისა და შარავანდთ-მპყრობელობისა გუარფესუობისანი, და რომელთათვის მოქალაქობისა მოქმენი“.³⁴ ი. ანთელავას მიაჩნდა, რომ აქ საუბარია საზეი-

²⁹ ქართლის ცხოვრება, გვ. 417.

³⁰ ქართლის ცხოვრება, გვ. 418.

³¹ ი. ანთელავა. „ღარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 153.

³² ქართლის ცხოვრება, გვ. 433.

³³ ი. ანთელავა. „ღარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 153.

³⁴ ქართლის ცხოვრება, გვ. 295.

მო შეკრებაზე.³⁵ ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ყველაფერი დამოკიდებულია ინტერპრეტაციაზე. „დარბაზობა“ შეიძლება გავიგოთ როგორც ზოგადად თათბირი, ასევე, კონკრეტული სახელმწიფო მმართველობითი ორგანოს – სათათბიროს შეკრება.

6. „შეიქმნა **დარბაზობა**, და დასხნეს ამირ-მირმან და შარვანშა თვითელი თვსსა ადგილსა ეგრეთვე ვაზირნი: მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი და შემდგომნი წესისაებრ, რომელიცა აქუნდა წესი ჯდომისა და დგომისა, დასუეს“.³⁶ წინა ფრაგმენტის მსაგავსი ვითარება გვაქვს. ცხადია მხოლოდ, ის, რომ არსებობდა „წესი ჯდომისა და დგომისა“. ასეთი წესი შეიძლება ჰქონოდა სამეფო კარსაც და სათათბირო ორგანოსაც. თუმცა ი. ანთელავა აქაც ცალსახად მხოლოდ საზეიმო წვეულებებს გულისხმობდა.³⁷

7. „**დარბაზის კარს** მყოფი წირვად ვერვინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილელულ, სამხრი, ვითარცა თქმულ არს“.³⁸ აქ საუბარი უნდა იყოს სასახლის, ანუ სამეფო კარზე.

8. „და **დარბაზს მასერებელი** ზაქარია ამირსპასალარი მცირედ რასმე სიტყუასა ჰყოფდა ურწმუნოსა, რამეთუ სიტყუთა ჰგმობია სარწმუნოებასა ჩუენსა“.³⁹ ი. ანთელავას აზრით, „დარბაზის მასერებელი“ ნიშნავს „დარბაზს პურის მჭამელს, დარბაზს მოვანშმეს“.⁴⁰ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქაც სამეფო კარი უნდა ვიგულისხმოთ, ალბათ.

ბასილი ეზოსმოძღვარი წერს, რომ „მიიწივნეს განძად და გამოეგებნეს მოქალაქენი, თავთა თვსთა მშვდობა ითხოვეს და ქალაქი ნებსით შესწირეს. შეიყვანეს დავით **დარბაზსა** შინა, ტახტსა სასულტნოსა ზედა დასუეს, თანჯანობათასა სასულტნოსა უკრეს, და ღორის კორცითა დიდად ძალი პურობა გარდაიკადეს“.⁴¹ ი. ანთელავა თვლიდა, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სულტნის რეზიდენციაზე.⁴² ჩვენც ვთვლით, რომ აქაც დარბაზი სახლის მნიშვნელობით გამოიყენება.

„ლაშა-გიორგის დროინდელი მატთანეში“ ერთხელ არის გამოყენებული „დარბაზი“: „არ გაპატიუებულა, თვნიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდე. მას

35 ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 154.

36 ქართლის ცხოვრება, გვ. 443.

37 ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 154.

38 ქართლის ცხოვრება, გვ. 451.

39 ქართლის ცხოვრება, გვ. 452.

40 ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 153.

41 ქართლის ცხოვრება, გვ. 492.

42 ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 154.

თუალნი დასწუნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და **ღარბაზს** მოგუარეს“.⁴³ რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „ღარბაზი“ შეგვიძლია ორნაირად გავიგოთ: სასახლე და სათათბირო ორგანო. თუმცა ვითარებას არკვევს ბასილი ეზოსმოდღვრის ცნობა, რომ „გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით. ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა, და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალეობა თამარისი, ამისთვის მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა“.⁴⁴ აშკარაა, რომ გუზანის დასჯა დავით სოსლანმა გადაწყვიტა და არავის არ მოთათბირებია. ამიტომ „ლაშა-გიორგის დროინდელი მატთანეში“ დაცული ცნობა, რომ „ღარბაზს მოგვარა“, ჩვენი აზრით, უნდა გავიგოთ, რომ ზაქარიამ დავითს დატყვევებული გუზან ტაოსკარელი სასახლეში, უფრო ზუსტად კი იმ შენობაში მიჰგვარა, რომელშიც იმ დროს იმყოფებოდა დავით სოსლანი.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, „ამისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი, და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე განეყენებოდეს **ღარბაზს** ყოფისაგან“.⁴⁵ ამ შემთხვევაშიც „ღარბაზი“ შეიძლება გავიგოთ როგორც სასახლეც და როგორც სათათბირო ორგანოც. ყველაფერი მკვლევარის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში „განეყენებოდეს ღარბაზს“ ნიშნავს სამეფო კარის, სამეფო სასახლის დატოვებას.

„ღარბაზის“ რაობის გადასაწყვეტად, რა თქმა უნდა, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ დოკუმენტებს. ჩვენთვის ცოტა უცნაურია, რომ საკითხის კვლევისას ი. ანთელავამ არ გამოიყენა არც „ძეგლის დება“, არც „ხელმწიფის კარის გარიგება“ და არც ბექა-აღბუღას სამართალი. პირველ რიგში, განვიხილოთ „ძეგლის დება“ და ბექა-აღბუღას სამართალი.

გიორგი ბრწყინვალის ინიციატივით შექმნილი „ძეგლის დების“ ტექსტში არის მუხლები, რომლებიც ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში ღარბაზის ჩარევას გულისხმობენ.

მუხლი 1. „ერისთვის სიკვდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების. და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება აზომ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი, ვითა უმსგავსო არის და უსაზომო შეცო-

⁴³ ქართლის ცხოვრება, გვ. 353.

⁴⁴ ქართლის ცხოვრება, გვ. 506.

⁴⁵ ქართლის ცხოვრება, გვ. 526.

ლება, აგრეთვე დამატებული დიდი პატივი და გარდახდევინება **დარბაზით ეკითხოს**: გარდახუეწა, მამულის წრება და სისხლი მის გუარსა ზელა დაიურვოს და გარდაიხუეწოს“.⁴⁶

მუხლი 3. „თუ ერთს კაცს ეფათერაკოს განმგებელი, კაცი გაიპატუოს და მამულისგან გაიძოს და შეუნდობლად მამული სასეფოდ დადვას. და სისხლის დაურვება არ შეეძლოს, ანუ მამული ებოდოს მის კაცისა, სისხლის მქმნელისა, **დარბაზით** ანუ განმგებლის სახლს მეფისაგან სისხლი ებოდოს და მამული სასეფოდ დაიდვას“.⁴⁷

მუხლი 5. „მესამესა წელიწადსა მოვიდეს და ერისთავს შემოეხვეწოს; ერისთავმან ვეზირთ მოახსენოს და ვეზირთ **დარბაზთ ჰკადრონ** და **დარბაზით** მამული ებოდოს ხვეისბერსა. და თუ მის ხვეისბერის გუარის კაცი იყოს, ასეთი რომ განმგებლის სიკუდილს არ დახუედრიყოს და რას ერიოს არა ცხადად და არა იდუმალ, თვით მას ებოდოს ხვეისბერობა დარბაზით. და თუ არავინ იყოს მისი სახლის კაცი, ვინც ერისთავმან და ახალმან განმგებელმან გამორჩინონ ერთი კაცი, მეფის ერთგული იყოს და ქვეყანასაც უმჯობდეს, იგი დააყენონ დარბაზით ხვეისბერად“.⁴⁸

მუხლი 6. „ხვეისბერი თუ მოკლას ხვეისბერმან, სამს წელიწადს მამულისგან გაიძოს, ერისთავსა და განმგებლისგან თავადი სახლი დაეწინდნენ, მამული სამს წლამდის სასეფოდ დაეჭიროს. მესამესა წელიწადს ერისთავსა და განმგებელსა შემოეხუეწონენ და მათ ვეზირთ მოახსენონ. ვეზირთ **დარბაზთ იურვონ** და მამული ხელთ უბოდონ“.⁴⁹

მუხლი 7. „ხვეისბერის კაცის გაუყოფარი ... მოკლან ... იმავე ზომით განაჩენით ერისთვისა და განმგებლისგან **დარბაზთ ეურვოს** ვეზირთა და მორავთა პირითა, მამული ებოდოს“.⁵⁰

მუხლი 9. „ხვეისბერის განაყოფი და მის გარის კაცი მოკლას ... ორს წელიწადს უკან იურვოს ერისთვისა და განმგებლისა პირით, იმავე ვეზირთა საურავითა და **წესითა დარბაზისათა**, მაშინდა მამული ებოდოს“.⁵¹

მუხლი 11. „თუ **დარბაზისა ცნობასა ღირსი იყოს** იგი ჰეროვანი, თვით იმავე ზემოთ განაჩენით დარბაზს იკითხონ ერისთავმან და განმგებელმან და

⁴⁶ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 104.

⁴⁷ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 105.

⁴⁸ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 106.

⁴⁹ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 106.

⁵⁰ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 107.

⁵¹ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 107.

აგრეთვე უბოძონ მამული.⁵² და თუ დარბაზს არა ღირს იყოს ცნობასა, თვით ერისთავმან და განმგებელმან შეუშვან და მისცენ მამული“.⁵³

მუხლი 17. „ძმამ ძმა მოკლას ... მეათესა წელიწადსა ერისთავსა და განმგებელს შემოეხვეწოს, მათ ვეზირთ მოახსენონ. ვეზირთ დარბაზს ჰკადრონ და ესრეთ შემოუშვან. “

მუხლი 27. „დარბაზით უბრძანებლად ვისაცა ციხე დაუქციონ ... ვითა გაგვიჩინია, აღრე გარდასწყდეს“.⁵⁴

მუხლი 28. „ბეთაღმანად რაც პარტახი და მამული დარჩეს ... დარბაზით ებოდოს“.⁵⁵

ჩვენი აზრით, „ძეგლის დადების“ იმ მუხლების მიხედვით, სადაც ნახსენებია „დარბაზი“, ცალსახა დასკვნის გაკეთება რთულია. ყველაფერი დამოკიდებულია, თუ როგორ ინტერპრეტაციას მივცემთ. შეიძლება გავიგოთ, რომ საუბარია სამეფო კარზე, სამეფო სასახლეზე. თუმცა თავისუფლად შეიძლება ვიგულისხმოთ სათათბირო ორგანოც. ალბათ, ამითაა განპირობებული, რომ „ძეგლის დადების“ რუსულ თარგმანში ტერმინი „დარბაზი“ უცვლელად არის გადატანილი – «Дарбаз». ტექსტს თანდართულ შენიშვნებში კი შემდეგი სახის განმარტებაა – «Дарбаз – дворец, чертоги, палаты, царский двор, тронный зал, зал совета. Дарбазоба – аудиенция, визит, прием, но также – держать совет, совещаться, вести переговоры. В Грузии XI-XVIII вв. Дарбази кроме палат, царского двора означал также феодальную курию, затем царский совет – curia regis, палату иерархов, высших чинов центральной и местной администрации, феодальных владетелей. Влияние Дарбаза колебалось в зависимости от эпохи, устойчивости и мощи царской власти. В ходе истории Дарбазу противопоставляется визират как непосредственно монарший высший управленческий орган, правительство ... Высказано мнение, что Дарбазом именовались лишь дворцовые палаты, резиденция царя и его двор как средоточение всего управления строной, дарбазоба же означало лишь аудиенцию и парадный, царского же совета феодалов как органа с неким определённым составом и порядком деятельности не существовало».⁵⁶

⁵² ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 108

⁵³ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 110.

⁵⁴ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 113.

⁵⁵ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 114.

⁵⁶ Уложение Георгия V-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тб. 1988, гв. 134.

„ძეგლის დადება“ არ იძლევა საშუალებას, რომ ცალსახად განემართო „დარბაზის“ მნიშვნელობა. ეს კი ძალიან ართულებს ვითარებას.

ბექა-აღბუღას სამართალის 98-ე მუხლის თანახმად, „თუ **დარბაზის კაცსა** სისხლმცირე კაცი ყვეს და წავიდეს, მისარჩვლასა და გაუშვებლობასა არა ემართლების. რაცა შეუტანია, იგი და რაცა მოუგია, მისი ნახვეარი გაყვეს, სამამულოსა აქაითა“ (თუ დარბაზის კაცის ყმას მცირე სისხლით კაცი ჰყვეს, მისარჩლოს, გაუშვებლობასა არ ემართლების. რაცა შეუტანია, იგი და რაცა მოუგია, მისი ნახვეარი გაჰყვეს, სამამულოსა იქით).⁵⁷ „დარბაზის კაცი“ შეიძლება იყოს სასახლის მოხელეც და სათათბიროს წევრიც. ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება არც ამ შემთხვევაშია შესაძლებელი. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო სასახლის მოხელეზეა საუბარი.

მართალია, ოფიციალური სამართლებრივი დოკუმენტი არ არის, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესწავლისათვის უპირველესი წყაროა „ხელმწიფის კარის გარიგება“. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვეთანხმებით იმ მეცნიერთა თვალსაზრისს, რომლებიც ამ ძეგლს XIII საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილად მიიჩნევენ.⁵⁸

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ტერმინი „დარბაზი“ 11-ჯერ არის ნახსენები. ვნახოთ, თუ კონკრეტულად რა კონტექსტებთან გვაქვს საქმე თითოეულ შემთხვევაში.

1. **„დარბაზობა**, ვითარცა მეფეს ეპრიანოს, დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ვითარცაღა წესი იყოს, იქნას“.⁵⁹ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა. სწორედ აქედან ვიგებთ, რომ „დარბაზობის“ ორი წესი არსებობდა: დიდი და მცირე. თუმცა მთავარი საკითხის გარკვევაში ვერ გვეხმარება. „დარბაზობა“ შეიძლება იყოს ზოგადად შეხვედრაც, წვეულებაც და კონკრეტული სახელმწიფო ორგანოც – სათათბირო. საინტერესოა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის რუსულ თარგმანში „დარბაზობა“ თარგმნილია როგორც მიღება (приём).⁶⁰

⁵⁷ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 463.

⁵⁸ მ. ბახტაძე. საქართველო ერთიანი სამეფოს ორად გაყოფის შესახებ XIII საუკუნის 50-იან წლებში. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 2011.

⁵⁹ ხელმწიფის კარის გარიგება. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიხედები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 81.

⁶⁰ Распорядок царского двора. Перевод В. Д. Дондуа. Редактирование текста, введение, примечания, краткий комментарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тб. 1991, гв. 23.

2. „ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილახორსა არტყია **დარბაზობასა ზელა**, სადა ძელი ცხოვრებისა ასვენია, მართ ერთითა ტერფითა უკანარე ღვას. რა მისისა დაჯდომისა ჟამი მოვიდეს, კმალი კარგს მეაბჯრეს მისცეს, და იგი მკარს ჩამოიკიდებს. და ერთსა სეფესა ჯაჭვი აცვია უთოთრესი, ზურგით დგანან“.⁶¹ წინა ფრაგმენტის მსგავსად კვლავ გაურკვეველი ვითარებაა. ყველაფერი დამოკიდებულია ინტერპრეტაციაზე. „დარბაზობა“ ამ შემთხვევაშიც თარგმნილია, როგორც მიღება (приём).⁶²

3. „ჭყონდიდელსა ზედაძღომელი მეჭურჭლე მართებს და ეჯიბი, სხვა **დარბაზით მართებს**“.⁶³ „დარბაზი“ თავისუფლად შეიძლება გავიგოთ, როგორც სამეფო კარი. ასევეა ის თარგმნილი რუსულად – «двор» (სამეფო კარი).⁶⁴

4. „დიდი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი ... საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრები, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თუთ **დარბაზს მყოფნი** მეჭურჭლენი მისისა კელისა არიან“.⁶⁵ სათათბიროს შემადგენლობაში მყოფი მეჭურჭლენი ცოტა გაუგებარია. უფრო მისაღებია სასახლეში, სასახლის კარზე მყოფი მეჭურჭლენი. სურვილის შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სათათბირო ორგანოს მუშაობის შემდეგ გამართულ პურობას გულისხმობს ავტორი, მაგრამ არა გვგონია. რუსულ ტექსტში „დარბაზობა“ ამ შემთხვევაში არაა თარგმნილი და წერია «в самом дарбазе пребывающие».⁶⁶

5. „რაი მეფე ცხენსა ზელა ზის, ვისცა **უდარბაზებს** ვინგინდა იყოს, ათავანებს. თუ ვისი ძღვენი იყოს, შესძღვნის. თუ ოდესცა არა იყოს, ესე ოღენვე, ეგრევე უდარბაზებენ და ძღვენსაც შესძღვნიან“.⁶⁷ „უდარბაზებს“ უნდა ნიშნავდეს: შეხვდება, ნახავს. ამ შემთხვევაში „უდარბაზებს“ რუსულად თარგმნილია როგორც «наносит кому-либо визит».⁶⁸

6. „საწოლის მეკრე **დიდსა დარბაზობასა** ზელა ქვე ვერ დაჯდების, ითვალვენ და საწოლსა წავა [და მასაცა] და წინმწოლსაცა მიუა სათვალავი და მუნ სჭამენ“.⁶⁹ რუსულად „დიდსა დარბაზობას“ თარგმნილია, როგორც «во

⁶¹ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 81.

⁶² Распорядок царского двора, გვ. 23.

⁶³ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 82.

⁶⁴ Распорядок царского двора, გვ. 28.

⁶⁵ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 86.

⁶⁶ Распорядок царского двора, გვ. 38.

⁶⁷ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 86-87.

⁶⁸ Распорядок царского двора, გვ. 40.

⁶⁹ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 89.

время большого приёма» (დიდი მიღების დროს).⁷⁰ რეალურად აქაც ისევ და ისევ ინტერპრეტაციაზეა ყველაფერი დამოკიდებული. დიდი დარბაზობა შეიძლება იყოს დიდი მიღებაც და სათათბიროს შეკრებაც გაფართოებული შემადგენლობით.

7. „აქათ **დარბაზსაც** სდგმიდენ მწღე განალამცა თუთო ადგა“.⁷¹ აქ აშკარად ნიშნავს ოთახს. ამ შემთხვევაშიც „დარბაზი“ რუსულად თარგმნილი არაა – «в дарназе».⁷² ცხადია, მწღე სათათბიროს წევრი ვერ იქნებოდა.

8. „მწღე ჩვენთაცა **დარბაზით** ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვეზირთა: ათაბაგსა ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა“.⁷³ აქაც ოთახს უნდა აღნიშნავდეს. ამჯერადაც „დარბაზი“ თარგმნილი არ არის – «от дарназа».⁷⁴

9. „მოძღვართ-მოძღვარი **დარბაზს აწვიონ**, და შინაური დარბაზის ერი უნდა, და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვრისათვის და ორნი მისთა მოწაფეთათვის. მოძღვართ-მოძღვრისა, კათალიკოზთა და ჭყონდიდლისა, რაი დარბაზს მოვიდნენ, წვევა სამთა საბატითა და დარბაისელთა საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია, და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან“.⁷⁵ „დარბაზს“ არა თარგმნილი, თუმცა ასეა განმარტებული – «то есть ко двору».⁷⁶ „დარბაზის ერის“ საკითხს ცოტა ქვემოთ შევეხებით, რაც შეეხება „დარბაზს აწვიონ“ – კვლავ ინტერპრეტაციას ენიჭება გადამწვევები მნიშვნელობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ სამეფო კარი, სასახლე უნდა ვიგულისხმოთ.

10. „მტბევარსა ზედა **დარბაზს** მისსა საჯდომსა უკანით მისსა მოლარეთ-უხუცესსა ფარი და კმალი აქვს უკანით, ამაღ რომე ერისთავიც არის შავშეთისა“.⁷⁷ ლუსულად ამჯერადაც არაა თარგმნილი „დარბაზი“, დატოვებულია – «в дарназе».⁷⁸ ჩვენ ვთვლით, რომ კვლავ სამეფო სასახლე უნდა იგულისხმებოდეს, თუმცა საპირისპირო თვალსაზრისის გამოთქმაც შეიძლება.

⁷⁰ Распорядок царского двора, გვ. 46.

⁷¹ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 90.

⁷² Распорядок царского двора, გვ. 49.

⁷³ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 90.

⁷⁴ Распорядок царского двора, გვ. 49.

⁷⁵ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 90.

⁷⁶ Распорядок царского двора, გვ. 49-50

⁷⁷ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 91.

⁷⁸ Распорядок царского двора, გვ. 54.

11. „ორთა ძმათა ჳმა-კეთილთა და კარგთა მკითხველთა წინამძღვარი გამოარჩევს, **დარბაზს მივლენ** ორშაბათსა პირმარხვსასა და სამხრის ლოცვასა ზედა ფსალმუნსა აიღებენ. ორსავე სამწროსა თუთო იქნების. და რად სამხრისასა გამოილოცვენ, არცავენ უდარბაზებს. თუთ ივინი მეფეს კითხვენ, მეფე იჯრასა და სადგომსა გაუჩენს, ამოდ და საბატიოდ ამყოფებს. აღვსებისა ორშაბათსა რად გამოილოცონ, არცა დაეთხოვებიან, არცა რას იტყვან, შესხდებიან და წავლენ. როცა [წავლენ?] ასსა თეთრისა ჩაფლასა გაუგზავნის მეფე. დასრულდა **დარბაზის წესი**“.⁷⁹ „დარბაზს მივლენ“ რუსულად არაა თარგმნილი და წერია «в дарбаз».⁸⁰ რაც შეეხება „დასრულდა დარბაზის წესი“, ის თარგმნილია როგორც «Это конец придворного устава».⁸¹ მოტანილი ფრაგმენტის შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, აშკარაა რომ ფრაზაში „დარბაზს მივლენ“ იგულისხმება – მივლენ სამეფო სასახლეში. რაც შეეხება „დასრულდა დარბაზის წესი“ – ეს შეიძლება გავიგოთ სხვადასხვანაირად. შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ იგულისხმება – დასრულდა სამეფო კარის წესი, ანუ ეტიკეტი.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის რუსულ თარგმანს ახლავს მოკლე კომენტარები, რომლებშიც „დარბაზი“ და მასთან დაკავშირებული ტერმინები შეძლებნაირად არის განმარტებული: «Дарбази – род жилого дома-комплекса; зал, чертоги; царский двор; царская курия-совет. Дарбазоба – аудиенция, приём, собрание дарбаза. дарбазис ери – придворные, придворный люд, персонал, штат. дарбаисели – дарбазский человек, царедворец, персона дарбаза».⁸²

დ. ფურცელაძე „დარბაზს“ ასე განმარტავს: საცხოვრებელი სახლის-კომპლექსის ტიპი; დიდი ოთახი; სამეფო კარი; სამეფო სათათბირო. დარბაზობას – აუდიენცია; მიღება; დარბაზის შეკრება. დარბაზის ერი – სასახლის მოხელეები, სასახლის წარჩინებულები“.⁸³

„ხელმწიფის კარის გარიგებაც“ არ იძლევა საშუალებას, რომ ცალსახად განვმარტოთ „დარბაზის“ მნიშვნელობა.

საინტერესო ცნობებია დაცული ქართველ მეფეთა და დიდებულთა მიერ გაცემულ საბუთებშიც.

⁷⁹ ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 94-95.

⁸⁰ Распорядок царского двора, გვ. 55.

⁸¹ Распорядок царского двора, გვ. 56.

⁸² Распорядок царского двора, გვ. 71.

⁸³ Распорядок царского двора, გვ. 71.

ე.წ. ფაენელის დაწერილს აქვს ხელროვა, სადაც კვითხულობთ, „მითავისუფლებიან მეფეთა და დელოფალთაგან და დიოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან, მითავისუფლებიან ყოველთავე კელოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგორეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა კელოსანთაგან“.⁸⁴ ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში „დარბაზი“ სასახლეს უნდა ნიშნავდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „მითავისუფლებიან ... ყოველთავე დარბაზით გამოსულთა კელოსანთაგან“ უნდა გულისხმობდეს გათავისუფლებას სასახლის მოხელეთაგან.

„დარბაზი“ ამკარად სასახლის მნიშვნელობითაა გამოყენებული დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტშიც. „თქნიერ ერთი მიიცვალოს, ვითა თვით წესი არს მის წმიდისა შიოდს საფლავსა ზედა წილ-გდებად, ამით სხუად განაჩინონ და ჩუშნსა დარბაზსა მოიყვანონ და ჩუშნ არგანი მოვაკსენოთ და შევკვედროთ მონასტერი“.⁸⁵

ასეთივე ვითარება უნდა ვიგულისხმოთ 1263 წლის სიგელშიც: „აწ თუ ვის დავკრულავთ, გამოაჭენებს თქუნსა დარბაზსა და თქუნთა ვაზირთა მოჰმართებს, ბრძანებასა და კაცსა უბოძებთ – ჯუარი დასწერეო, გაწყრომისა და ჰავად გაკდისა ნაცვლად“.⁸⁶ ამ დოკუმენტში არის კიდევ ერთი საინტერესო ადგილი: „რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერს, ანუ გლეხსა აქუს სიგელი თქუნთა გუარათაგან ბოძებული“.⁸⁷ ჩამონათვალი იწყება საზოგადოების ზედა სოციალური ფენიდან და მოდის დაღმავლობით. „დარბაზის ერი“ მოხსენიებულია აზნაურთა შემდეგ, გლეხების წინ. თუ „დარბაზის ერის“ ქვეშ იგულისხმებინ სამეფო კარზე არსებული სათათბიროს წევრნი, მაშინ მინიმუმ დიდებულთა შემდეგ მაინც უნდა ყოფილიყვნენ დასახელებული. თუ „დარბაზის ერის“ ქვეშ უშუალოდ სამეფო კარის მოხელეები იგულისხმებიან, ცხადია მათი ნაწილი აზნაურიც იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში მათი მოხსენიება აზნაურთა შემდეგ და გლეხების წინ ბუნებრივია.

„დარბაზის ერი“ რომ სამეფო კარის წვრილი მოხელეები არიან, ეს ნათლად ჩანს გიორგი III-ის 1170 წლის სიგელიდან. „მეჯორენი ნუცა სადა მათსა შიგა დაღებთან, ნუცა შეესიძებთან, ნუცა მერემენი, ნუცა მეჯორენი, ნუცა მანდატურნი, ნუცა მესაწოლენი და ნუცა დარბაზისერი, ნუ რომელი,

⁸⁴ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I. თბ. 1984, გვ. 19.

⁸⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 58.

⁸⁶ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 172.

⁸⁷ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 172.

ყოველიურთ უწყინრად იყოს იგი წმიდაი უდაბნოი“.⁸⁸ შეძლებელია სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანოს წევრები მოხსენიებული იყვნენ: მესაწოლეების, მანდატურების, მეჯორეების, მერემეების ჩამონათვალში. დაახლოებით ასევე თვლიდა ი. ანთელავა, „მეჯორეები, მერემეები, მანდატურები და მესაწოლენი დარბაზის ერი არიან. ციტირებული ცნობიდან სწორედ ეს გამოდინარეობს. ჩამოთვლილი მოხელეები მეფის სასახლის კარის მოხელეები არიან და კონტექსტით დარბაზისერებიც სწორედ ასეთები ჩანან“.⁸⁹

ცალკე გვინდა შევეხოთ ბაგრატ IV-ის სიგელს, რომელიც ორ მონასტერს შორის მიმდინარე დავას ეხება. მეფის მიერ ოპიზართა და მიჯნადორელთა დავის განხილვასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა, „გასაოცარია, რომ ამ ცნობაში დარბაზში მოწვეულთა და შეკრებილთა შორის დარბაზის კარსა მყოფ მოხელეთაგან არც ერთი წევრი დასახელებული არ არის. რაკი სრულებით დაუჯერებელია, რომ ცენტრალურ ორგანოს უფროს წევრებს, რომელთაც XII საუკუნეში ვაზირები ეწოდათ, დარბაზის კარს შეკრებილთა ასეთ მსჯელობაში მონაწილეობა არ მიელოთ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მოუხსენებლობის მიზეზი ის გარემოება უნდა ყოფილიყო, რომ იმათი, ვითარცა დარბაზის კარს მყოფთა მუდმივი მონაწილეობა თავისთავად იგულისხმებოდა“.⁹⁰ ივ. სურგულაძე წერდა, რომ „ამ შემთხვევაში დარბაზთან უნდა გვეკონდეს საქმე“.⁹¹ ივ. ჯავახიშვილი მართებულად შეინიშნავდა, რომ საკითხის განხილვისას არ ჩანან „დარბაზის კარს მყოფი მოხელენი“ და ამ ვითარების ახსნაც სცადა. ვფიქრობ, ცოტა სხვა ახსნაც შეიძლება არსებობდეს. სათანადო ინფორმაციის სიმცირის გამო. ჩვენ არ ვიცით ბაგრატ IV-ის დროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა სრული ჩამონათვალი და რამდენად შეესაბამებოდნენ ისინი თავისი უფლება-მოვალეობებით შემდგომი ხანის ვეზირებს. ვარაუდი, ცხადია, შეიძლება გამოვთქვათ, მაგრამ წყაროთა უქონლობის გამო დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება რთულია. თუმცა, ეს არაა მთავარი. სავარაუდოდ, თათბირის დროს ხდებოდა იმ პირთა დაბარება, რომლებსაც: შეედლოთ კომპეტენტური მოსაზრების გამოთქმა; ხელეწიფებოდათ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა; ევალეობდათ გადაწყვეტილების

⁸⁸ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 70.

⁸⁹ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 151.

⁹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 181.

⁹¹ ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სამართლისა და სახელმწიფოს ისტორიიდან. ტ. I, გვ. 19.

აღსრულება და ა.შ. ანუ ესწრებოდნენ მხოლოდ ის პირები, რომელთაც გარკვეული სახის შეხება ჰქონდათ სამსჯელო საკითხთან. ყოველ შემთხვევაში, დავით აღმაშენებლის ეპოქამდე მაინც შესაძლოა ასე ყოფილიყო.

ბაგრატ IV-ის მიერ ორ მონასტერეს შორის არსებული დავის განხილვისას სწორედ ის პირები შეიკრიბნენ, რომლებიც კომპეტენტური იყვნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მეფის მიერ გაცემულ სიგელში ვკითხულობთ: „შევიკრიბებით კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღვდელთ-მოდღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჳევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და დავსხენით წინაშე ჩუენთა“.⁹² ამ ფრაგმენტში ორი რამაა საინტერესო. კირველი, ჩვენი აზრით, ნათქვამი „შევიკრიბებით კარსა დარბაზისა ჩუენისასა“ გულისხმობს რომ შეიკრიბნენ სამეფო სასახლის კარზე. ასევე ესმოდა ეს პასაჟი ი. ანთელავას.⁹³ მეორე, შეიკრიბნენ კონკრეტულად ის პირები, რომელთაც განსახილველი საკითხი ეხებოდა (მღვდელთ-მოდღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი, აზნაურნი) და ვისაც სათანადო ცოდნა ჰქონდა (მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი). ჩვენი აზრით, ბაგრატ IV-ის სიგელი მიჯნადორელთა და ოპიზართადმი უფრო „დარბაზის“, როგორც სათათბირო ორგანოს არარსებობას ადასტურებს, ვიდრე არსებობას. სწორედ ამიტომაც არ მოიხსენიებიან მასში დარბაზის, როგორც სათათბირო ორგანოს, წევრები. სამეფო კარის, ანუ დარბაზის მოხელეებს კი ამ მეტად სპეციფიკური საკითხის განხილვაში, სავარაუდოდ, მონაწილეობა არ მიუღიათ, ეს მათი კომპეტენცია არ იყო.

ძალიან საინტერესოა „მეგლის დადების“ შექმნის წინ მეფის მიერ შეკრიბილ პირთა ჩამონათვალის გათვალისწინებაც. გიორგი ბრწყინვალე წერს, „მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩუენსა დავდეგით, და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ხევისთავნი და ხევისბერნი და ჰეროვანნი. დავსხედით და დავსკუთ წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ევფთჳმე, დავსხით ვეზირნი და ებისკოპოზნი და მოურავნი“.⁹⁴ მართალია, არ წერია რომ გაიმართა „დარბაზობა“, მაგრამ ცხადია, შეკრება თავისი ფორმითა და შინაარსით სწორედ „დარბაზობაა“. მეფესთან გამართული თათბირის მონაწილეებად დასახელებული არიან ვეზირები, სასულიერო პირები, მოურავები და ადგილობრივი მმართველები (ერისთავები, ხევისთავები,

⁹² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 33.

⁹³ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 149.

⁹⁴ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 103.

ხევისბერები, ჰეროვანები) იმ რეგიონისა, რომლისთვისაც უნდა შექმნილიყო კანონთა კრებული. ბაგრატ IV-ის კარზე მოწყობილი შეკრების მსგავსად აქაც მხოლოდ ის პირები მონაწილეობენ, რომელთაც განსახილველ საკითხთან უშუალო შეხება ჰქონდათ.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი ორივე მაგალითი ცხადყოფს, რომ რაიმე საკითხზე სამსჯელოდ თუ საფიქრად მეფესთან ყოველთვის იკრიბებოდნენ მხოლოდ ის პირები ვისაც უშუალოდ ეხებოდა განსახილველი საკითხი. რაიმე ჩამოყალიბებული და განსაზღვრული შემადგენლობის მქონე სათათბირო ორგანო სავარაუდოდ არ არსებობდა.

ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო წყობილების შესწავლისას მეტად საინტერესო წყაროა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მართალია პოემაში ხშირად გვხვდება სიტყვა „დარბაზი“, მაგრამ არა როგორც სათათბირო ორგანოს აღმნიშვნელი ტერმინი. ი. ანთელავა იმეორებს ა. შანიძესა და ი. აბულაძეს, რომლებიც „დარბაზს“ განმარტავენ როგორც სასახლეს.⁹⁵ ა. შანიძე ჩვენთვის საინტერესო ტერმინთა შემდეგ განმარტებას იძლევა: „დარბაზი – სასახლე; დარბაზის ერი – სასახლის ხალხი, დიდებულები, მეფესთან დაახლოებული პირები, ხასები; დარბაზობა – მიღება სასახლეში“.⁹⁶ ი. აბულაძის თანახმად, „დარბაზი – სასახლე, კარი; საკრებულო სახლი, სადგომი; დარბაზობა – მეფესთან გინა დიდ ვინმესთან მისვლა სანახავად, აუდიენცია“.⁹⁷ გ. სოსელია, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენთვის საინტერესო კუთხით, წერდა, „აღსანიშნავია ის, რომ სიტყვა „დარბაზი“ სპეციალურად მეფესთან თათბირის აღსანიშნავად პოემაში ნახმარი არ არის. „დარბაზი“ მეფის სასახლეს აღნიშნავს. „დარბაზობა“ იხმარება მეფესთან სანახავად მოსვლის, აუდიენციის მნიშვნელობით“.⁹⁸ ივ. სურგულაძე თინათინის მეფეთ კურთხევასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ როცა შოთა რუსთაველი წერს, „მოვიდეს სრულნი არაბნი“, „აქ იგულისხმებიან მხოლოდ დიდებულნი და მსხვილი ფეოდალნი. მოსულთა შორის დასახელებულია სპასპეტი ავთანდილი და ვაზირი სოგრატი. აქ დარბაზობასთან გვაქვს საქმე და საფიქრებელია, რომ მოწვეულნი დარბაზის წევრები

⁹⁵ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 103.

⁹⁶ ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია; აღ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. თბ. 1956, გვ. 357.

⁹⁷ ვეფხისტყაოსანი. რედ. ი. აბულაძე. თბ. 1926, გვ. 252.

⁹⁸ გ. სოსელია. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. სოხუმი. 1956, გვ. 142-143.

არიან. მაგრამ ამ შემთხვევაში ტერმინი „დარბაზი“ „ვეფხისტყაოსანში“ არ არის ნახმარი.⁹⁹ მეცნიერი შენიშნავდა, რომ პოემაში „დარბაზი“ აღნიშნავს, „ზოგჯერ სასახლეს ქონთან დაპირისპირებით, ზოგჯერ მეფის დარბაზს, სასახლეს ... დარბაზი ეწოდება აგრეთვე ავთანდილის სასახლესაც. გვხვდება აგრეთვე „დარბაზის ერი“ ე.ი. კარისკაცები“.¹⁰⁰

ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ XI-XIV საუკუნეებში არ არსებობდა სათათბრო ორგანო, რომელსაც „დარბაზი“ ეწოდებოდა. დარბაზი იყო სამეფო კარი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ „დარბაზის ერი“ წარმოადგენდა სამეფო კარის მოხელეთა საერთო სახელწოდებას.

ჩვენ მიერ ნანახ წყაროებში გვხვდება „დარბაზთან“ დაკავშირებული რამდენიმე ტერმინი: „დარბაზის ერი“ (ხელმწიფის კარის გარიგება, 1170 წლის და 1263 წლის სიგელები), „დარბაზის ყმა“ (მატიანე ქართლისაჲ; ისტორიანი და აზმანი), „დარბაზის კაცი“ (ბექა-აღბუღას სამართალი), „დარბაზის კარის მოურავნი“ (რკონის დაწერილი 1260 წლის).

პირველ რიგში, გასარკვევია ტერმინები: „დარბაზის ერი“, „დარბაზის ყმა“, „დარბაზის კაცი“, „დარბაზის კარის მოურავნი“, აღნიშნავდნენ სამეფო კარზე მყოფ სხვადასხვა კატეგორიის თანამდებობის პირებსა და მომსახურე პერსონალს, თუ უბრალოდ სამეფო კარზე მყოფთა საერთო სახელწოდებებს წარმოადგენდნენ. ზუსტი პასუხის გაცემა აქაც რთულია, ისევე და ისევე წყაროთა სიმცირის გამო.

ი. ანთელავა ერთგან წერდა, რომ „სამეფო კარზე მყოფთ ერთობლიობას ეწოდებოდა არა „დარბაზი“, არამედ „დარბაზის ერნი“. მეფეს თავისი ტაძრეული, თავისი დარბაზის ერი ახლდა. XII საუკუნისთვის დარბაზის ერი დიფერენცირების გარეშე სასახლის მთელ შტატს გულისხმობს“.¹⁰¹ თუმცა შემდეგ აზუსტებდა, „მაშ ვინღა არიან ეს „უკელონი“ დარბაზის ერნი? ამ ტერმინით უნდა აღინიშნებოდეს სასახლის კარზე მყოფი გარკვეული სამხედრო ძალა, რომელთაც გვარი და მამული საშუალებას არ აძლევდათ რაიმე „კელზე“ განაცხადონ პრეტენზია. ისინი სამეფო დომენის წვრილი აზნაურები და მსახურები უნდა იყვნენ, უფრო სწორად, მათი ის ნაწილი, რომელიც მეფის კარზე იმყოფებოდა. ამდენად ისინი დარბაზის ერნი არიან“.¹⁰² მეცნიე-

⁹⁹ ივ. სურგულაძე. სახელწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, გვ. 140.

¹⁰⁰ ივ. სურგულაძე. სახელწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, გვ. 140-141.

¹⁰¹ ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 155.

¹⁰² ი. ანთელავა. „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 156.

რი თვლიდა, „დარბაზის ერი არის იგივე ტადრეული და სასახლის პერსონა-
ლის აღმნიშვნელი ტერმინია“.¹⁰³ დაახლოებით იგივე აზრი ჰქონდა ქ. ჩხატა-
რაიშვილს, „ტადარში (პალატაში, დარბაზში...) მეფესთან მუდმივად მყოფ
მსახურეულ პირებს „ტადრეულნი“, ანუ „ტადრობილნი“ ერქვათ“.¹⁰⁴

რაც შეეხება დარბაზის ყმებს, ი. ანთელავას მიხედვით, „დარბაზის ყმა
იგივეა, რაც პაჟები, სამეფო სასახლის ახალგაზრდული დასი. ეს დარბაზის
ყმები შეადგენენ დიდ სამეფოსკარო თანამდებობათა რეზერვს“.¹⁰⁵

„დარბაზის კაცი“ – გვხვდება მხოლოდ ბექა-აღბულას სამართალში და,
სავარაუდოდ, „დარბაზის ერის“ სინონიმად უნდა ჩავთვალოთ.

„დარბაზის კარის მოურავნი“ – რკონის დაწერილშია დაფიქსირებული
და „მოურავი“ „მოხელის“ სინონიმია. თანაც არ გვგონია „დარბაზის კარის
მოურავნი“ ოფიციალური ტერმინი ყოფილიყო.

„დარბაზის ყმა“ – ნარატიულ წყაროებშია დაფიქსირებული. ოფიციალ-
ურ იურიდიულ დოკუმენტებში არ გვხვდება და არც „ხელმწიფის კარის გა-
რიგებაშია“ ნახსენები. ჩვენი აზრით, არც „დარბაზის ყმა“ იყო ოფიციალური
ტერმინი.

ჩვენი აზრით, რეალურად არსებობდა ერთი ოფიციალური ტერმინი –
„დარბაზის ერი“ და ის აღნიშნავდა სამეფო სასახლის ყველა მოხელეს.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი, წყაროებში არ მოიპოვება
პირდაპირი ცნობები, რომლებიც დაადასტურებდა დარბაზის, როგორც ოფი-
ციალური სათათბირო ორგანოს არსებობას. თუმცა არის ცნობათა ერთი ნა-
წილი, რომლებიც სხვადასხვანაირად შეიძლება გავიგოთ და სურვილის შემ-
თხვევაში შეიძლება ისეთი ინტერპრეტაცია მივცეთ, რომ სათათბირო ორგა-
ნოს – დარბაზის – არსებობა ვივარაუდოთ. ამავე დროს, აუცილებლად აღსა-
ნიშნავია, რომ წყაროებში დაცულია ისეთი ინფორმაცია, რომელიც ცალსა-
ხად ეწინააღმდეგება დარბაზის, როგორც ოფიციალური სათათბიროს ორგა-
ნოს არსებობას. ამიტომ ჩვენ ვეთანხმებით იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომ-
ლებიც თვლიდნენ, რომ დარბაზი არ წარმოადგენდა მეფესთან არსებულ ოფ-
იციალურ სათათბირო ორგანოს.

¹⁰³ ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუ-
ნეების საქართველოში, გვ. 23.

¹⁰⁴ ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში.
თბ. 1979, გვ. 49.

¹⁰⁵ ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუ-
ნეების საქართველოში, გვ. 28.

Mikheil Bakhtadze

TOWARDS ISSUE OF EXISTENCE OF “DARBAZI” IN GEORGIA IN 11TH-14TH CENTURIES

Summary

According to widespread opinion in the Georgian historiography, “darbazi” was the royal council that was assembling during the certain periods. Of course, word “darbazi” has another meaning as well and this fact is recognized by all researchers. Ivane Javakhishvili was the first who thoroughly researched the issue of “darbazi”. According to his opinion, *“darbazoba” (meeting of darbazi) was held with the presidency of king. The members of darbazi had the special name and they were called as “people of darbazi” (darbazis eri). From this term “darbaiselni” (honored, gentle, genteel) was originated. Two types of “Darbazoba” were known: 1. with “major rule”; 2. with “minor rule”. King was responsible to order which kind of darbazoba he wanted in specific case... darbazoba with major rule was the banquet ceremony... supposedly, darbazoba “with minor rule” was operative state council... darbazoba was held for the discussion and decision of important state matters and for the ceremonial feasts as well. It decreed the following: laws and the highest justice; issue of announcement of war; at least during the rule of Tamar matter of appointment of high officials”.*

Ivane Javakhishvili’s opinion was shared by the most researchers of later period. But among the Georgian historians we see also the different opinion (Ilya Antelava, Nodar Shoshiashvili) that “darbazi” as royal council never existed. It is important to establish *raison d’être* of “darbazi”. A lot of matters of political system of the united Georgian monarchy are connected with this issue.

Narrative sources that we possess do not include accounts that could firmly establish the existence of “darbazi” as royal council. Some sources could be interpreted differently in order to prove the existence of “darbazi” as royal council. Legal texts are more important than narrative sources, namely, legal code of Giorgi V the Brilliant and a legal code of Beka and Aghbugha. The latter includes almost nothing about “darbazi”. Giorgi V the Brilliant’s legal code includes the passages about “darbazi”, but it hard to make any explicit decisions while analyzing them, everything depends on the interpretation. Term

“darbazi” in this document could be royal court, royal palace, but also we could assume royal council as well. “The Regulation of the Royal Court” is not an official legal document but it is the main source to study the Georgian political system of this period. We agree with those researchers who consider the 2nd half of the 13th century as a date of composition of this text. Term “darbazi” is mentioned eleven times in “The Regulation of the Royal Court”, but this document does not allow us strict definition of its meaning.

In the royal charters of the Georgian kings “darbazi” as royal council is not attested. Acts issued by Bagrat IV and Giorgi III and preface of legal code of Giorgi V the Brilliant preserves the accounts that make us to think that only those persons were assembling with the king for discussion and council who were responsible for the particular matter. Presumably, there was no established royal council with defined members. Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin” is important source for the study of the Georgian political system. The poem frequently mentions word “darbazi”, but never as a word for the council.

In conclusion we should assume that there are no direct accounts which would verify the existence of “darbazi” as an official royal council. But still we have some historical sources which could be interpreted as such. At the same time it must be admitted that sources preserve accounts that directly contradict existence of “darbazi” as official council. Hence we agree with those researchers who think that “darbazi” never was the official council of a king.

მაშუკა წურწუშია

ცნობა საქართველოს შესახებ ფულხერიუს შარტრელის ქრონიკაში*

1089 წელს აფხაზთა სამეფოს ტახტზე ავიდა დავით IV აღმაშენებელი, რომლის მეფობამ საქართველოსა და მთლიანად რეგიონის ისტორიაც რადიკალურად შეცვალა. თუმცა, იმხანად, ეს წელი საქართველოს მოსახლეობას საზარელი მიწისძვრით უფრო დაამახსოვრებოდა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელსაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. დავითის ისტორიკოსი საკმაოდ ვრცლად აღწერს ამ მიწისძვრას და მის დამანგრეველ შედეგს: „ამისთვისაა დღესა აღვსებასა, თვით მას აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო, მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკვდრთა. რომელთა თანა თმოგვცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ. და განგრძელდა ესევეთარი ძრვა ქუეყანისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ“.¹ 1089 წლით ათარიღებს ამ მიწისძვრას A-1110 ხელნაწერის კინკლოსიც, რომელსაც თ. ჟორდანიამ „აფხაზთ მეფეთა ქრონიკა“ უწოდა: „ქკსა ტთ: დასაბამითგან ხქჟგ: აქა ღ~თ [დავით] მეფე დაჯდა და ძრვა იყო“.²

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი HE15-025).

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 323; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 306.

² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონო-

სხვა ცნობა დავით აღმაშენებლის მეფობის წლებში მომხდარი რაიმე მიწისძვრის შესახებ არც ქართულ-სომხურ და არც სპარსულ-არაბულ წყაროებში არ იძებნება. სამაგიეროდ, ასეთი ცნობა გვხვდება ბალდუნ I-ის (1101-18) კაპელანის, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილისა და ახლადშექმნილი იერუსალიმის სამეფოს მკვიდრის, ფულხერიუს შარტრელის ქრონიკაში. ეს ლათინური მატრიანე იშვიათ და ლაკონურ, მაგრამ უნიკალურ ცნობებს შეიცავს ქართველებისა და საქართველოს შესახებ, რომლებიც ახლად შეძოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.³

ფულხერიუსის ქრონიკა სამართლიანად ითვლება თავისი ეპოქის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ. დ. მუნროს თქმით, „ის საინტერესო ამბავთა მოწმე იყო და მახვილი თვალი ჰქონდა“.⁴ ე. პეტერსი ფულხერიუსს მიიჩნევს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ყველაზე სანდო წყაროდ.⁵ ჯ. ბრანდიჯიც აღნიშნავს, რომ ფულხერიუსი ეპოქის „მთავარი და უჩვეულოდ სანდო წყაროა“.⁶ ს. რანსიმენი მას ყველაზე განათლებულსა და სანდოს უწოდებს ლათინ მემატრიანეთა შორის.⁷ კ. ფინკი წერს, რომ ფულხერიუსი სიმართლისძიებელი იყო და ეჭვითა და სკეპტიციზმით ეკიდებოდა ყოველ ინფორმაციას. ჩვეულებრივ, მისი ცნობები ემთხვევა სხვისას და ქრონოლოგიაც სანდოა.⁸

ფულხერიუსის (1059-1127) ბიოგრაფიიდან ცოტა რამ არის ცნობილი. როგორც ჩანს, მას საეკლესიო განათლება ჰქონდა მიღებული და შარტრიდან იყო, სადაც XI საუკუნეში განთქმული კათედრალური სკოლა ფუნქციონირ-

ლოგიურად დაწვობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფ. 1892, გვ. LV-LVI, 233; მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუშუბერ ოდიშელმა. თბ. 1968, გვ. 23.

³ ამის თაობაზე იხ. მ. წურწუშია. „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა და ქართველები“. *მცნე. იბეჭდება.*

⁴ Dana C. Munro. A Crusader. *Speculum*. Vol. 7. No. 3. 1932, გვ. 327. ფულხერიუსის მახვილი თვალი შექმნილი აქვთ მ. მაკინტის და ჯ. ტომპსონსაც. Fulcher of Chartres. *Chronicle of the First Crusade*. Trans. by Martha Evelyn McGinty. Philadelphia. 1941, გვ. 7; James W. Thompson. *The Latin Historians of the Crusades. A History of Historical Writing*. Vol. I. New York. 1942, გვ. 312.

⁵ *The First Crusade: The Chronicle of Fulcher of Chartres and Other Source Materials*. Ed. by Edward Peters. 2nd ed. Philadelphia. 1998, გვ. 47.

⁶ James A. Brundage. Fulcher of Chartres. *New Catholic Encyclopedia*. Vol. VI. New York. 1967, გვ. 217.

⁷ Steven Runciman. *A History of the Crusades*. Vol. 1. The First Crusade and the Foundation of the Kingdom of Jerusalem. London. 1951, გვ. 329.

⁸ Fulcher of Chartres. *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*. Trans. Frances Rita Ryan, ed. with an introduction by Harold S. Fink. New York. 1973, გვ. 42.

ებდა.⁹ თავისი ქრონიკის წერა ფულხერიუსმა 1101 წელს დაიწყო და მასზე გარდაცვალებამდე მუშაობდა.¹⁰ XVII საუკუნიდან მოყოლებული, ფულხერიუსის ქრონიკა ბევრჯერ არის გამოქვეყნებული. ლათინური ტექსტის ყველაზე საფუძვლიანი კრიტიკული გამოცემა ჰაინრიხ ჰაგენმაიერს ეკუთვნის.¹¹

თავის ქრონიკაში ფულხერიუსი მოგვითხრობს:

„მიწისძვრა, რომელიც მრავალგან იგრძნობოდა.

[1] 1114 წელს იერუსალიმის მიწას ურიცხვი მკალი შემოესია არაბეთიდან. სულ მცირე ხანში, აპრილსა და მაისში, მათ ძლიერ დააზიანეს ჩვენი ნათესები. [2] მოგვიანებით, წმ. ლავრენტის დღესასწაულზე,¹² მიწა იძრა. უფრო გვიან, ნოემბრის იღებზე, მიწისძვრამ დაანგრია ქალაქ მამისტრას ნაწილი. [3] ამავე მიწისძვრამ, ყველაზე საშინელმა რაც კი ოდესმე გვსძენოდა, შეძრა ანტიოქიის სანახები და დაანგრია მრავალი ქალაქი მთლიანად თუ ნაწილობრივ, სახლიან-გალავნიანად. უბრალო ხალხთაგან ზოგი ნანგრევებში გაიგუდა. [4] ამბობენ, ამ მიწისძვრამ დაანგრია ქალაქი მარაში, რომელიც ჩემი გამოთვლით, სამოცი მით ანტიოქიის ჩრდილოეთით მდებარეობს. სახლები და კედლები სრულად დაიქცა და იქ მცხოვრებნი, ვაი რომ, ყველანი დაიღუპნენ. [5] ასევე დაინგრა სხვა ქალაქიც, რომელსაც ეწოდება თრიალეთი [Trialeth], მდინარე ეფფრატთან ახლოს“.¹³

როგორც ვხედავთ, იერუსალიმში მყოფი ფულხერიუსი, სხვადასხვა მხარეში მომხდარი მიწისძვრის აღწერისას, სრულიად მოულოდნელად, ერთ-ერთ ასეთ ადგილად *თრიალეთს* ასახელებს. რიგი მცდელობის მიუხედავად, დასავლელი მკვლევრები თანხმდებიან, რომ თრიალეთის ადგილმდებარეობის დადგენა არ ხერხდება. ჰ. ფინკის მიხედვით თრიალეთის იდენტიფიკაცია შეუძლებელია.¹⁴ ჰაგენმაიერი აღიარებს, რომ თრიალეთი აბსოლუტურად უცნობი ადგილია.¹⁵ მიუხედავად ამისა, ის ფიქრობს, რომ თრიალეთი შეიძლება იყოს ბალისი (ბარ-

⁹ D. C. Munro. A Crusader, გვ. 322; Fulcher of Chartres. A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127, გვ. 6-7.

¹⁰ D. C. Munro, A Crusader, გვ. 327; Fulcher of Chartres, A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127, გვ. 18-24.

¹¹ იხ. Fulcheri Carnotensis. Historia Hierosolymitana (1095-1127). Ed. Heinrich Hagenmeyer. Heidelberg. 1913, გვ. I-X, 1-915.

¹² 1114 წლის 10 აგვისტო. Fulcheri Carnotensis. Historia Hierosolymitana (1095-1127), გვ. 579, შფნ. 4.

¹³ Fulcheri Carnotensis. Historia Hierosolymitana (1095-1127), გვ. 578-580.

¹⁴ Fulcher of Chartres. A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127, გვ. 210, შფნ. 5.

¹⁵ Fulcheri Carnotensis. Historia Hierosolymitana (1095-1127), გვ. 580, შფნ. 12.

ბალისუსი) ევფრატის მარჯვენა ნაპირზე, ანტიოქიიდან 100 მილით აღმოსავლეთით, სადაც სიბტ იბნ ალ-ჯაუზის მიხედვით საშინელი მიწისძვრა მოხდა.¹⁶

ქართველი მკვლევრისათვის თრიალეთის იდენტიფიკაცია სირთულეს არ წარმოადგენს. ამავე დროს, რიგი გარემოებანი ასახსნელი რჩება. ერთის მხრივ, ტოპონიმის ასეთი ზუსტი დასახელება გამორიცხავს ყოველგვარ შემთხვევითობას და ის შეუძლებელია შეცდომა იყოს, თუმცა, მეორეს მხრივ, რატომ ახდენს ავტორი თრიალეთის ლოკალიზაციას ევფრატთან? ცხადია, ფულხერიუსმა თავის ქრონიკაში შეიტანა ინფორმაცია შორეულ გეოგრაფიულ პუნქტში მომხდარი მიწისძვრის შესახებ, რომლის შესახებაც მხოლოდ გაგონილი ჰქონდა და არც ის იცოდა, რომ თრიალეთი მხარეა და არა ქალაქი. ფულხერიუსის ცოდნა გეოგრაფიაში შორს იყო სასურველისაგან.¹⁷ ბუნებრივია, მას ვერ მოვთხოვთ თრიალეთის ადგილმდებარეობის ზუსტად ცოდნას. ამავე დროს, ფულხერიუსმა იცის, რომ ევფრატის სათავე სომხეთშია.¹⁸ შესაძლოა, სომხეთის ჩრდილოეთით, მისთვის უცნობ საქართველოს სამეფოში მდებარე თრიალეთი მან საორიენტაციოდ ნაცნობ ევფრატს დაუკავშირა, რომლის სათავეც სომხეთის მთიანეთშია.

რა ვიცი 1114 წელს მომხდარი მიწისძვრის შესახებ? ამ ბუნებრივი კატაკლიზმის შესახებ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე, წერენ არაბი, ლათინი, სომეხი და სირიელი ავტორები. მათი მონათხრობი ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, გარდა ერთისა: სხვათაგან განსხვავებით, სომეხი მემატრიანები ნოემბრის ნაცვლად, მაისით ათარიღებენ მიწისძვრას, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს თავად მოვლენის ხანგრძლივობით, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდებოდა. სხვათა შორის, ფულხერიუსიც უფრო ადრე, ზაფხულით ათარიღებს მიწისძვრის დაწყებას.

მათეოს ურჰაელი ვრცლად მოგვითხრობს 1114 წლის მიწისძვრის შესახებ, რომელიც სომხური კალენდრით 12 მარერს, კვირადღეს მოხდა და რომლის დროსაც დაიქცა მრავალი ქალაქი, მხარე, სოფელი და მონასტერი. დანგრეულ

¹⁶ Fulcheri Carnotensis. *Historia Hierosolymitana* (1095-1127), გვ. 580, შენ. 12.

¹⁷ ის ხშირად ცდებოდა მისთვის კარგად ნაცნობ დასახლებულ პუნქტთა შორის მანძილის დასახელებისას. მაგალითად, ედესის მდებარეობის აღწერისას ფულხერიუსი მიუთითებს, რომ ქალაქი 20 მილითაა დაშორებული ევფრატს, ხოლო ანტიოქიას – 100 მილით. ამ დროს ედესა ევფრატისაგან 45 მილით აღმოსავლეთით იყო, ხოლო ანტიოქიიდან 160 მილით ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მისი გამოთვლით, მარაში სამოცი მილით ანტიოქიის ჩრდილოეთით მდებარეობდა. სინამდვილეში, მარაში ასე მილითაა დაშორებული ანტიოქიას. Fulcher of Chartres. *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*, გვ. 90, შენ. 7, გვ. 210, შენ. 4.

¹⁸ Fulcheri Carnotensis. *Historia Hierosolymitana* (1095-1127), გვ. 599-600.

ქალაქთა შორის მათეოსი ასახელებს სამოსატას, ჰისნ-მანსურს, კესუნს, რაბანს, მარაშსა და მამისტრას (მოფსუესტა), ასევე, შავი მთისა და სხვა მონასტრებს.¹⁹

ვარდან არეველცი მხოლოდ მოვლენის აღწერით კმაყოფილდება და მასთან, სამწუხაროდ, არ არის მოცემული მიწისძვრის გეოგრაფია: „563 (1114) წელს, მარერიის თვის²⁰ 12-ში მიწა იძრა. მთების მწვერვალთაგან და ჩამონგრეული კედლებიდან ისმოდა გამგმირავი ხმა. კვირა დღე იყო და ხმა გაძლიერდა, რის გამოც ფიქრობდნენ, რომ დადგა ქვეყნის აღსასრულის დღე. მრავალი ქალაქი დაინგრა და დაიღუპა 40 000 კაცი, ის რაც დაითვალეს“.²¹

ანტიოქიის კანცლერი გოტიე მოგვითხრობს საშინელ მიწისძვრაზე ანტიოქიასა და მის არემარეში, რომელმაც 1114 წლის 29 ნოემბერს დაანგრია ქალაქის გალავანი, კოშკები და სხვა შენობები. დაინგრა, აგრეთვე, მარაში და მამისტრა.²² გოტიეს მონათხრობიდან ცხადი ხდება, რომ მიწა კიდევ დიდხანს, ხუთი თვის განმავლობაში, არ წყნარდებოდა და ირხეოდა.²³

29 ნოემბერს მომხდარი მიწისძვრის შესახებ წერს ბარ ჰებრეუსიც: „ქალაქი მარაში მიწამ დანთქა და მის მცხოვრებთა სამარედ აქცია. მრავალი სახლი დაიქცა სამოსატაში... ჩამოიქცა ელესის გალავნის 13 კოშკი, ისევე როგორც, ჰარანის კედლების ნაწილი; დაინგრა 100 სახლი და ნახევარი ციტადელი ბალისში“.²⁴

1114 წელს მომხდარი მიწისძვრის საკმაოდ ვრცელ სურათს იძლევიან მუსლიმი ავტორები.²⁵ ქემალ აღ-დინის მიხედვით, „კვირა ღამეს (50)8 წლის

¹⁹ The Chronicle of Matthew of Edessa. Translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian. Lanham. 1993, გვ. 216-217. ამავე მიწისძვრის აღწერისას სმბატ სპარაპეტი ფაქტობრივად უცვლელად იმეორებს მათეოს ურჰაელს. Смбат Спаррапет. Летопись. Перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна. Ереван. 1974, გვ. 80-81.

²⁰ სომხური წელიწადის მეათე თვე, რომელიც იწყება მაისში და გრძელდება ივნისში.

²¹ ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბ. 2004, გვ. 137-138; Robert W. Thomson. The Historical Compilation of Vardan Arevelc'i. Dumbarton Oaks Papers. Vol. 43. 1989, გვ. 201.

²² Walter the Chancellor. The Antiochene Wars. Trans. by Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington. Aldershot. 1999, გვ. 80-82.

²³ Walter the Chancellor. The Antiochene Wars, გვ. 84, შენ. 44.

²⁴ The Chronography of Gregory Abû'l Faraj, the Son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus. Translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge. Vol. I. London. 1932, გვ. 247.

²⁵ ისლამური სამყაროში მომხდარი მიწისძვრების შესახებ ისტორიული ცნობები თავმოყრილია მუსტაფა ანვარ ტაპირთან. სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში 1114 წლის ნოემბერში მომხდარი მიწისძვრის აღწერისას ის ეყრდნობა იბნ აღ-კალანისს, სიბტ იბნ აღ-ჯაუზის, იბნ

28 ჯუმადა II (1114 წლის 29 ნოემბერი) ალუპოს, ჰარანის, ანტიოქიის, მარაში და სირიის საზღვრებთან ძლიერი მიწისძვრა მოხდა. დაიქცა ანტიოქიის ჩრდილოეთი კარიბჭის კოშკები და ზოგიერთი ახლომდებარე სახლი და დაიღუპა ადამიანები. დაინგრა სიმაგრე აზაზი... ალუპოს ციხე მსუბუქად დაზიანდა. ციხეების ათარიბისა და ზარდანის დიდი ნაწილი დაინგრა.²⁶ იბნ ალ-კალანისი მხოლოდ აღნიშნავს მიწისძვრის ფაქტს რაიმე დამატებითი დეტალის გარეშე: „ამ წელს [1114] ძლიერი მიწისძვრა მოხდა სირიაში“.²⁷ უფრო სიტყვაუხვია სიბტ იბნ ალ-ჯაუზი: „508 წელი [7 ივნისი 1114 – 26 მაისი 1115]. საშინელი მიწისძვრა მესოპოტამიაში. ედესისა და ჰარანის გალაენის დიდი ნაწილი ჩამოიქცა, მრავალ სახლთან ერთად. ადიდებულმა ევფრატმა გაანადგურა ასობით სახლი ბალისში, დაფარა ნახევარი ციტადელი და დატბორა სამოსატა, ისევე როგორც სხვა ადგილები“.²⁸

იბნ ალ-ასირი აღნიშნავს მიწისძვრის ვრცელ გეოგრაფიას და ამბობს, რომ მესოპოტამიისა და სირიის გარდა, მიწა სხვა მხარეებშიც იძრა: „1114 წლის ნოემბერში ძლიერი მიწისძვრა მოხდა ჯაზირასა და სირიაში და **სხვა მხარეებშიც**. მიწისძვრამ დაანგრია ედესა, ჰარანი, სამოსატა, ბალისი და სხვა ადგილებიც. მრავალი დაიღუპა ნანგრევებში“.²⁹ სამწუხაროდ, არაბი მემატიანე ამ *სხვა მხარეებს* აღარ აკონკრეტებს.

იბნ ალ-ასირს ეძღვნება გიომ ტვიროსელი, რომელიც მიწისძვრის კიდევ უფრო ვრცელ არეალზე მიუთითებს: „1114 წელს დიდმა მიწისძვრამ შეარყია მთელი სირია და სავსებით დაანგრია მრავალი ქალაქი და ციხე. მიწისძვრა ყველაზე დამანგრეველი იყო კილიკიაში, ისავრიასა და კელესირიაში. კილიკიაში მან შემუსრა მამისტრა, მრავალ სხვა სიმაგრესთან ერთად. მან, ასევე, დაანგრია ქალაქი მარაში შორეულ მხარეებთან ერთად, ისე, რომ

ალ-ასირსა და ბარ ჰებრეუსს. *Mustafā Anwār Tāhir. Les grandes zones sismiques du monde musulman à travers l'histoire. Annales Islamologiques*, 30. 1996, გვ. 89. უკანასკნელი ავტორი რატომღაც სტატიის სქოლიოში ვერ მოხვდა, თუმცა კი, ედესის 13 კოშკის დანგრევის შესახებ ინფორმაცია ტაპირს მისგან აქვს აღებული.

²⁶ Камал ад-Дин. Сливики, снятые с истории Халеба. Пер. Л.А. Семенова. Из истории средневековой Сирии. Москва. 1990, гв. 143.

²⁷ *The Damascus Chronicle of the Crusades. Extracted and translated from the Chronicle of Ibn Al-Qalanisi by H. A. R. Gibb. Mineola. 2002, гв. 149.*

²⁸ *Sibt ibn al-Jawzi. Extraits du Mirāt ez-Zèman. Recueil des historiens des croisades. Historiens orientaux. T. 3. Paris. 1884, гв. 551-552.*

²⁹ *The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fi'l-ta'rikh. Part 1. The Years 491-541/1097-1146. The Coming of the Franks and the Muslim Response. Translated by D. S. Richards. Aldershot. 2006, гв. 171.*

ზოგიერთის მხოლოდ კვალია დარჩა. კომპები და სიმაგრეები დაიქცა და დიდი ნაგებობების ჩამოქცევამ უამრავი იმსხვერპლა... ეს შემზარავი კატასტროფა მხოლოდ ერთ მხარეში არ მომხდარა. **ის გავრცელდა შორს, აღმოსავლეთის ყველაზე შორეულ რეგიონებშიც კი**“.³⁰

აღმოსავლეთის ყველაზე შორეულ რეგიონებში, ალბათ, საქართველოც უნდა ვიგულისხმოდ. როგორც ჩანს, 1114 წლის მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრიც სირიასა და მესოპოტამიაში მდებარეობდა, მოწვდა საქართველოსაც, თუმცა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არ იყო ისეთი მასშტაბის და ისეთი დამანგრეველი, როგორც 1089 წელს.

ყველაფერთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოსა და ჯვაროსნულ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა იმაზე უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე ეს აქამდე წარმოგვედგინა. ეს, ალბათ, ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო დასკვნაა, რომელიც ფულხერიუსის ამ ცნობიდან შეიძლება გამოვიტანოთ.

³⁰ William of Tyre. A History of Deeds Done Beyond the Sea. Vol. 1. Translated and annotated by Emily Atwater Babcock and A. C. Krey. New York. 1943, გვ. 500.

Mamuka Tsurtsunia

ACCOUNT OF FULCHER OF CHARTRES ABOUT GEORGIA

Summary

King David's Chronicler describes in lengthy details the terrible earthquake which hit Georgia in 1089 and continued throughout the year. This is all what we know about the earthquakes in the reign of David the Agmashenebeli and additional information is not available neither in Georgian-Armenian nor in Arabic-Persian sources. However, such account can be found in the chronicle of Fulcher of Chartres, who was chaplain of Baldwin I of Jerusalem (1101-1118), a participant in the First Crusade and the resident of newly established Kingdom of Jerusalem.

In 1114 an overwhelming earthquake shook the lands of the Near East, the fact well attested in writings of Arab, Latin, Armenian and Syrian authors. Describing the various places affected by earthquake of 1114 Fulcher gives us a name of one such place – Triaeth. Despite a number of attempts, the Western researchers agree that the location of Triaeth can not be established. H. S. Fink states that Triaeth can not be identified. Hagenmeyer recognizes that Triaeth is completely unknown place. Nevertheless, he suggests that Triaeth may have been Balis (Barbalissus) on the Euphrates, about 100 miles east of Antioch, the scene of a terrible earthquake recorded by Sibte ibn al-Jawzi.

For the Georgian researcher identification of Triaeth presents no problem. At the same time, a number of factors remain to be explained. On the one hand, such exact name of toponym excludes any possibility of mistake or coincidence but if so, why does the author place Triaeth near the Euphrates? Obviously, Fulcher of Chartres put in his chronicle information regarding an earthquake in the remote geographical area, about which he had only heard and neither knew that Triaeth was place and not the town. Here we must admit that his knowledge of geography was poor. It is clear that Fulcher did not know the precise location of Triaeth. At the same time, he knew that the Euphrates originates in Armenia. It is possible that Fulcher linked Triaeth, a place located north from Armenia and unknown to him, with the familiar Euphrates, which flows from the mountains of Armenia.

Apparently, an earthquake whose epicentre was located in Syria and Mesopotamia, hit also Georgia, however, in 1114 country's territory was not affected as gravely as it was in 1089.

Hence, we must recognize that the exchange of information between Georgia and the Crusader states was more intense than we ever imagined. It is, perhaps, the most interesting conclusion that can be drawn from this account of Fulcher of Chartres.

ეკვანი ჭანიშვილი

დავით IV აღმაშენებლის არაბულენოვანი მონეტის გარე წარწერა

დავითის მიერ გატარებული ეტაპობრივი საფინანსო ღონისძიებები უშუალოდ უკავშირდებოდა საქართველოს ეკონომიკურად დაწინაურებას.¹ არაბი ისტორიკოსისა და მოგზაურის ალ-ფარიკის პირდაპირი ცნობით, მეფე დავითს სამონეტო რეფორმა ჩაუტარებია და მუსულმანური ყაიდის სპილენძის მონეტები მოუჭრია. ასევე მან „დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არავის ყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან მოჭრა მათთვის მონეტა ხალიფასა და სულთნის სახელით და მისცა მათ უფლება აზანისა და თავისუფლად ლოცვისა...“. დიდი ალბათობით, ალ-ფარიკის მიერ აღწერილი მონეტა არის ქვემოთ წარმოდგენილი „უწესოდ“ მოჭრილი ცალი,

ვიძლევიტ მონეტის აღწერილობას:



სურ. 1 სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ცალი

¹ რ. მეტრეველი. საქართველო რუსთაველის ეპოქაში. თბ. 2016, გვ. 123-126.

შუბლი: ملك الملوك მეფეთ მეფე
 حسام المسح მესიის მახვილი
 بن داود كوركي დავითი ძე გიორგისი

ზურგი: محمود მაჰმუდი
 الساطان الاغظم სულთანი უზანაესი
 بن محمد ძე მუჰამედისა

დიდი ხნის განმავლობაში დავის საგანი იყო, თუ რომელი მეფის სახელს განეკუთვნებოდა ეს მონეტა. დ. კაპანაძე მას დავით აღმაშენებელს მი-აწერდა.² საკითხის სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ იმ დროისთვის ეს მონეტები სულ რამდენიმე ცალად იყო ცნობილი. მათი შენახულობა და აქედან გამომდინარე, მათი ინფორმაციულობა მეტად დაბალი იყო. თავდაპირველად სულთნის სახელი, რომელიც მონეტის მიახლოებით დათარიღებასა და პას-პორტიზირებისთვისაა მნიშვნელოვანი, შემდეგნაირად იქნა წაკითხული – „სულთანი ბარქიარუკი“ (1094-1105 წწ.). მისი მმართველობის წლები ემთხვევა დავითისას, მაგრამ არ ემთხვევა მონეტის გამოშვების სავარაუდო თა-რიღს (1122-1125 წწ.), რადგან დავითმა თბილისი 1122 წელს აიღო, ხოლო თვითონ მეფე კი 1125 წელს გარდაიცვალა. სრულიად გაუგებარია, თუ რა-ტომ უნდა მოეჭრა დავითს არაბულენოვანი მონეტა იმ პერიოდში, როდესაც იგი აქტიურად ებრძოდა სელჩუკ დამპყრობლებს. შემდგომში გონა ჯაფარიძემ თავიდან გამოიკვლია აღნიშნული მონეტა და სულთნის სახელი ახლებურად წაიკითხა – „მუჰამად ბ. მაჰმუდ“,³ ის დავით V-ს თანამედროვე იყო და 1153-1160 წლებში ზეობდა. მკვლევარმა ასევე გაამახვილა ყურადღება შემ-დეგ დეტალზე, რომ აღნიშნულ მონეტას თითქოს გააჩნდა გარეწარწერები, რომელთა ამოკითხვა მანამდე მონეტის შენახულობისდა გამო, ვერ ხერხდებო-და. ეს მოსაზრება მიღებულ იქნა მკვლევართა წრეში და დიდი ხნის მანძილზე ამგვარად მიიჩნეოდა. ბოლო წლებში გამოჩენილმა მონეტის ახალმა ეგზემპ-

² დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 70-71.

³ გ. ჯაფარიძე. ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონე-ტები). მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). 1989. 4. თბ., გვ. 91-93.

ლარებმა ეს ვარაუდი არ დაადასტურა, ი. ფალავამ გამოაქვეყნა ახალი ეგზემპლარები, გამოთქვა მოსაზრება და დაამტკიცა, რომ მონეტაზე არაბული ზედწერილი შემდეგნაირად იკითხება – სულთანი „მაჰმუდ ბ. მუჰამად“, რომელიც ერაციის და ჩრდილოეთ ირანის სელჩუქთა სულთანი იყო 1118-1131 წლებში.⁴ მისი მმართველობის წლები ემთხვევა, როგორც დავით აღმაშენებლის ეპოქას, ასევე აღნიშნული მონეტის მოჭრის სავარაუდო წლებს (1122-1125 წწ.).

ჩვენი ყურადღების ცენტრშია გარე წარწერა. დღემდე მოღწეულ პრაქტიკულად არცერთ მონეტას არ აქვს შერჩენილი გარე წარწერის მცირედი ფრაგმენტებიც კი, რაც სიქის თანაფარდობასთან და არმოხვედრასთანაა დაკავშირებული, რომელიც იმდროის „უწესოდ“ მოჭრილი მონეტებისთვის, განსაკუთრებით, პატარა ზომის მონეტებისათვის, სრულიად ბუნებრივია. ბოლო დროს გამოჩენილმა ზემოაღნიშნულმა ახალმა ეგზემპლარებმა, განსაკუთრებით ორი ახალი ეგზემპლარის შესწავლამ შესაძლებელი გახადა სულთნის სახელის მხარეს მყოფი გარე წარწერის ფრაგმენტების ნაწილობრივი გაშიფრვა. ეგზემპლარ №1-ზე 12-1 საათზე, ხოლო ეგზემპლარ №2-ზე 12 საათზე შემორჩენილია შემდეგი არაბული წარწერა – “الله لا” რაც დიდი ალბათობით ცნობილი ისლამური ფორმულის ნაწილია : لا اله الا الله (არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა).

ჩვენი აზრით, ამგვარი შინაარსის ფორმულის აღმოჩენა რევერსის გარე წარწერაზე არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან სწორედ რევერსზეა ამოტვიფრული სულთნის სახელი. სამწუხაროდ, ავერსის გარე წარწერის დადგენა მონეტების ცუდი შენახულობისდა გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება, შესაძლებელია ავერსის გარე წარწერაში მითითებული უნდა იყოს მონეტის მოჭრის წელი და ზარაფხანის ადგილი.

⁴ I. Pagava. The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering of the Specie of David IV the Builder(1089-1125), King of Kings and Sword of Messiah. 3rd Assemani Symposium on Islamic Coins, Roma. 2011, გვ. 18-22.

ეგზემპლარი №1

აღმოჩენილია თბილისთან, დაუზუსტებელ ადგილას
AE. წონა – 5.3 გრ. კვეთა – 17-23 მმ.



სურ. 2

შუბლი:

[ملك الملوك]
[حسا] م المم [سح]
داود
.....

ზურგი:

[محمود]
[الس] لطان [الاغظم]
[بن] م [حمد]

ვეგემპლარი №2

აღმოჩენილია თბილისთან, დაუზუსტებელ ადგილას
AE. წონა – 8.23 გრ. კვეთა – 18-19 მმ.




სურ. 3

შუბლი:

[ملك][المل [وك]
[حسام المسح]
[داود]
.....

ზურგი:

محم [ود]
[السلطان الاغظم]
[بن محمد]



სურ. 4

ღავით აღმაშენებლის არაბულენოვანი მონეტის სრული რეკონსტრუქცია*
(ახალი სახე)

* რეკონსტრუქციაზე შტრიხებით აღნიშნულია მონეტის ის ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოფრული.

Evgeni Tchanishvili

THE COINS OF DAVID IV WITH THE ARABIC LEGENDS

Summary

The financial reforms of king David were directly related to Georgia's economic promotion. According to the Arab historian Al-Fariq, David minted copper coins for Muslims. Certain coins come to this description. They have name David son of Giorgi and name of sultan inscribed. Those belong to "irregular" struck coins because they do not have standard form and weight. There was a dispute for a long time about the identity of the king who minted those coins. At the beginning the name of sultan was read as "sultan Barkiaruk" (1094-1105). Later, G. Japaridze explored those coins and read the name as sultan – "Muhammad b. Mahmud". Muhammad b. Mahmud was contemporary of king David V (1155) and reigned in 1153-1160. But in recent years new species were discovered which reject the latter opinion. I. Paghava published new species and put forward his own opinion that the name of sultan on the coins must be read as "Mahmud b. Muhammad". He was sultan of Iraq and North Iran and reigned in 1118-1131. The period of his rule coincides with the epoch of David the Builder, as well as the estimated years of minting of those coins (1122-1125).

None of those coins have even the smallest fragments of circle inscription. This is quite natural for small coins and especially for the coins of "irregular" struck.

Recently found two new species made it possible to read some of the fragments of circle inscription on reverse. We can read the Arabic inscription as – لا اله الا الله which is the part of the Islamic formula – لا اله الا الله (There is no God but Allah alone).

სამკარის ციხე

სამკარი (სამიკარი, სამაკარი) ტაოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ციხესიმაგრეა. თანამედროვე მდგომარეობით სამკარის ციხე სოფელ სამიკალეში მდებარეობს, ხოლო თავად სოფელი თურქეთის რესპუბლიკის არზრუმის პროვინციის ნარმანის რაიონის შემადგენლობაშია გაერთიანებული.

ციხესიმაგრე სოფლის თავში, ამაღლებულ კლდეზეა გაშენებული. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ თურქეთის ხელისუფლებამ ამ ციხეს კაპიტალური რემონტი ჩაუტარა. ის, ფაქტობრივად, ხელახლა ააგეს. ძველად ციხესიმაგრესა და ამჟამინდელ სოფელს სამკარს უწოდებდნენ, თუმცა ფიქსირდება მისი ოდნავ სახეცვლილი ვარიანტები – სამიკარი, სამაკარი და სხვ. ტერმინი „სამკარი“ ამ ციხესიმაგრის ყველაზე მისაღებ სახელწოდებად გვეჩვენება, რაზეც მსჯელობას ქვემოთ განვაგრძობთ.

სამკარის ციხე ოლთისის (ოლთუ) სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ოლთისიდან სამხრეთისკენ მიმავალ გზაზე დასავლეთით გადასახვევია, სადაც სულ რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ სოფელ სამიკალეში შევდივართ, ხოლო მის, ყველაზე ამაღლებულ წერტილში, კლდის წვერზე, საშუალო ზომის ციხესიმაგრეა აღმართული. სამკარის ციხე ზ.დ. 1755 მეტრზე მდებარეობს. აღნიშნული მაღალმთიანი ზონაა, ირგვლივ კიდეც გაშლილი ველები და საძოვრებია. სამკარის ციხის კოორდინატებია: N- 40°22'36.48"; E- 41°53'05.56".

ციხესიმაგრე კარგად აკონტროლებს როგორც ქვემოთ მდებარე სოფელს, ასევე, მიმდებარე სივრცეს. ციხეზე ასვლა მხოლოდ სოფლის მხრიდან შეიძლება, საიდანაც ციხესიმაგრის ერთადერთ კარიბჭეში შევდივართ.

აღნიშნული ციხესიმაგრის თანამედროვე რეკონსტრუქციიდან გამომდინარე, არ ჩანს, ჰქონდა თუ არა სამკარის ციხეს სხვა შესასვლელი, სავარაუდოდ, არც ჰქონია. შესასვლელში ციხესიმაგრის შიდა სივრცე საკმაოდ ვიწროა ხოლო, რაც უფრო ღრმად შევდივართ, მით უფრო ფართოვდება. ყველა-

ზე ფართო სამკარის ციხის ტერიტორია მის ყველაზე ამაღლებულ წერტილში, ჩრდილო-აღმოსავლეთშია.

სამკარის ციხესიმაგრეს რემონტის გამო ძველი იერსახე თითქმის თავიდან ბოლომდე დაკარგული აქვს, თუმცა გარკვეულ დონეზე ძველი ფენებისა და კონსტრუქციების დანახვა მაინც შეიძლება. რაც შეეხება ალდგენით სამუშაოებს, ის, ძირითადად, ციხესიმაგრის ძველი ფენის გაყოლებაზე ჩატარდა, თუმცა არის გარკვეული აცდენებიც. ძირითად შემთხვევებში ახალადგარემონტებული სიმაგრე იმეორებს იმ მასშტაბებს, რომელიც მას ძველად ჰქონდა, თუმცა კედლების სიმაღლეებისა და სისქის დადგენა თანამედროვეთა ჩარევის გამო, თითქმის შეუძლებელია.

შესწავლის ისტორია

სამკარის ციხის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არანაირი ნაშრომი არ მოგვეპოვება. არ არსებობს არც ვრცელი აღწერილობა, რომელიც ამ ციხესიმაგრის შესახებ რაიმე ხელშესახებ მასალას მოგვცემდა. სამკარის შესახებ სპეციალური სამეცნიერო კვლევა არავის უწარმოებია, უფრო მეტიც, არ ჩატარებულა არანაირი არქეოლოგიური გათხრები, ხოლო ბოლო წლებში სამეცნიერო ნორმების სრული დარღვევით ჩატარებულმა განახლებითმა სამუშაოებმა, პრაქტიკულად, დაუკარგა ციხესიმაგრეს თავისი ისტორიული იერსახე.

მასალის სიმწირის მიუხედავად, აუცილებელია აღნიშნული ციხესიმაგრის თანამედროვე მდგომარეობის დაფიქსირება და გარკვეული ცნობების მოძიება. ამ ციხის შესახებ ცნობა მოეპოვება რობერტ ელუარდსს, რომელიც მას სომხურ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ ბოლბერდის ციხეს უკავშირებს.¹ ნიკოლას ადონცის თქმით, წყაროების მიხედვით, ბოლბერდის ციხე თეოდოსიოპოლისთან (არზრუმი) ახლოს, ბასიანის მხარეში მდებარეობდა, ხოლო თავად თვლის, რომ ის, შესაძლოა, ტაოში იყოს და მას ბულათყურთან აიგივებს.² თუმცა, არც ერთი ეს გაიგივება არ ჩანს მართებული. ბოლბერდი, წყაროების მიხედვით, როგორც ნ. ადონცი აღნიშნავს, თეოდოსიოპოლის მახლობლად ბასიანში უნდა ვეძიოთ და არა ტაოს მხარეში.

¹ Robert W. Edwards. Medieval Architecture in the Oltu-Penek Valley: A Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey. *Dumbarton Oaks Papers*. Vol. 39. 1985, გვ. 36, tab. 1 (Map of Oltu-Penek Valley, Northeast Turkey).

² N. Adontz. Armenia in the Period of Justinian: The Political Condition Based on The Nakhhar System. Translated with Partial Revisions a Bibliographical Note and Appendices By Nina G. Garsoian. Lisbon. 1970, გვ. 22.

ოსმალურ დავთრებში მაძირვანი ლივის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია სოფელი სამკარი,³ რაც სრულიად მართებულად არის გაიგივებული სამიკალესთან. ასეთ გაიგივებას ვხვდებით ალ. ასლანიკაშვილის შედგენილ და ს. ჯიქიას რედაქტორობით შესრულებულ რუკაზე.⁴ ასევე, თემურ ხუციშვილის, გიორგი ბაგრატიონისა და დავით მაისურაძის მიერ შედგენილ „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების“ რუკაზე (ორივეზე დაფიქსირებულია, როგორც – სამიკარი).⁵

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამ ტერიტორიაზე არაერთი ქართული ექსპედიცია მოეწყო. შესწავლილ ძეგლებს შორის აღმოჩნდა მრავალი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და ეკლესია. სამკარის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი შესწავლა ითავა ჩვენმა ექსპედიციამაც.

ჩვენი ექსპედიცია 2014 წლის 13 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა. ის მოეწყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხესიმაგრეები“ – ფარგლებში.⁶ ექსპედიციის დროს ჯგუფის წევრები, სრული შემადგენლობით, სამკარის ციხეს 2014 წლის 15 ოქტომბერს მიაღწენ. ექსპედიციის მონაწილეებმა ჩაიწერეს გარკვეული ინფორმაცია ციხის შესახებ, მოისმინეს ადგილობრივების ნაამბობი ირგვლივ არსებული სიძველეების შესახებ და გადაიღეს ციხის ფოტოები. ადგილზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა მრავალი საინტერესო დეტალი. მოხდა ციხის ანაზომების აღება, გეგ-

³ ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ. თბ. 1979, გვ. 109, 125.

⁴ „გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკა შედგენილი XVI საუკუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ ქართული თარგმანის მიხედვით ალ. ასლანიკაშვილის მიერ. რედ. ს. ჯიქია. თბ. 1953.

⁵ თ. ხუციშვილი, გ. ბაგრატიონი, დ. მაისურაძე. ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები (რუკა). თ. ხუციშვილის რედაქტორობით. მეორე გამოცემა. 2008.

⁶ პროექტი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტის ეგიდით ხორციელდებოდა და მასში, უპირატესად, ამ ინსტიტუტის თანამშრომელი მონაწილეობდნენ. ეს იყო ამ პროექტის მიმდინარეობისას მოწოდებული მეორე სამეცნიერო ექსპედიცია. მასში პროექტის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ: პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ჯაბა სამუშია; პროექტის ძირითადი მონაწილეები: ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე, ასისტ. პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ხელოვნებათმცოდნე ასოც. პროფ. ნინო სილაგაძე, თურქოლოგი, ფილოლ. დოქტ. თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი მზისა ბუსკივაძე, დოქტორანტი აკაკი ჩიქობავა, ისტ. მაგისტრი ოქროპირ ჯიქური, მხატვარი ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე, თსუ ასისტ. პროფ. ლერი თავაძე; აზომვით სამუშაოებს აწარმოებდა არქიტექტორი გიორგი ბაგრატიონი.

მის შედგენა, ზოგადი მონახაზებისა და ჩანახატების გაკეთება. გადაღებულ იქნა ციხესიმაგრის პანორამული ფოტოებიც. საერთო ჯამში, ექსპედიციამ ადგილზე რამდენიმე საათი იმუშავა. სწორედ ამ სამეცნიერო ექსპედიციის მასალებისა და ადგილზე დაკვირვების შედეგად მომზადდა აღნიშნული ნარკვევი.

ისტორიული გეოგრაფია

სამკარის ციხე მდებარეობს ისტორიული ტაოს პროვინციაში. ტაო თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამოდინარე, ორად იყოფოდა: ამიერტაო და იმიერტაო. სამკარი სწორედ იმიერტაოს, ანუ სამხრეთ ტაოს შემადგენელი ნაწილია, რომლის პოლიტიკური ცენტრი შუა საუკუნეებში ქალაქი ოლთისი იყო. სამკარი ქალაქ ოლთისის სამხრეთით მდებარეობს, მდინარე ოლთისისწყლის აუზში.

ოლთისისწყალი სამხრეთიდან, ბასიანის მეზობელი მხრიდან მოედინება და ჩრდილოეთით ქალაქ ოლთისს ორად კვეთს. ამის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით სხვა მდინარეებთან ერთად მდინარე ჭოროხს უერთდება. სწორედ მდინარე ოლთისისწყლის ხეობის სამხრეთი ნაწილი, მდინარის სათავიდან ქალაქ ოლთისამდე, ისტორიულად მამირვანთან იყო დაკავშირებული და, გარკვეულწილად, მისი დაქვემდებარების ქვეშ იყო მოქცეული. ამ მხარის ცენტრი სწორედ მამირვანია.

მამირვანი ოლთისისწყლისა და მის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი შენაკადის კვეთაზე მდებარეობს ხოლო სამკარის ციხე აქედან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ოლთისისწყლის დასავლეთით არსებულ ერთ-ერთ შენაკადთან ახლოს, ამაღლებულ კლდეზე, არის განლაგებული. სამკარიდან გზები მიემართებოდა: 1) დასავლეთით მდინარის აფოლებზე, სივრიდაგის ქედის გავლით, სევრისწყლის ხეობაში; 2) სამხრეთით გზა მიემართებოდა იდისა და ბულათაყურის გავლით ბასიანისა და არზრუმის მხარეში; 3) ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის გზას შენაკადისა და თავად მდინარე ოლთისისწყლის გავლით მამირვანსა და ოლთისში მივყავართ.

ამგვარად, ციხესიმაგრის სახელწოდება „სამკარი“ სწორედ სამი გზის გასაყარს უნდა გულისხმობდეს, ერთი მხრივ, სევრისწყლის ხეობისკენ გადაშვალ გზას, ხოლო, სხვა მხრივ, ბასიანი-არზრუმისკენ მიშვალ გზასა და მამირვანი-ოლთისის ცენტრალურ გზას იმიერტაოში. აქედან გამომდინარე სამკარის ციხეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეჭირა, ის იცავდა სამი გზის გასაყარს, წარმოადგენდა საქართველოს სასაზღვრო მხარის

ციხეს, აკონტროლებდა მაძირვან-ოლთისისკენ მიმავალ გზას და წარმოადგენდა კარგად დაცულ თავშესაფარს ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ტოპონიმები

დღეს, თანამედროვე რეალობაში, სამკარის ციხე ცნობილია, როგორც „სამიკალე“. ტოპონიმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელწოდება, „სამიკალე“, ორი სიტყვისგან შედგება: „სამი“ ქართული რიცხვი „სამი“-დან წარმოდგება, ხოლო „კალე“ ადგილზე არსებულ ციხესიმაგრის თურქული აღმნიშვნელია. ყველაფერი ეს თითქოს სამი ციხის არსებობაზე მიანიშნებს. ისტორიულ წყაროებში, ადგილობრივ გადმოცემებსა და ეთნოგრაფიულ მასალაში სამი ციხის არსებობა ამ მხარეში არ დასტურდება.

ადგილობრივებმა ტოპონიმი „სამიკალეს“ წარმოშობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ტერმინი დაკავშირებული უნდა იყოს „სამკართან“, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა სოფლის ამჟამინდელ სახელწოდებად, „სამიკალედ“. რაც შეეხება თავად ტოპონიმს – სამიკალეს – იგი ქართულად სამციხედ შეგვიძლია გადმოვთარგმნოთ, ეს თითქოს სამი ციხის არსებობაზე მიანიშნებს, თუმცა, როგორც ფიქრობენ, ასეთი ტოპონიმი ქართულ სინამდვილეში ნაკლებად გვხვდება. ტერმინი „სამიკარი“ კი ტაო-კლარჯეთში საკმაოდ ხშირად არის დადასტურებული.⁷ როგორც ტერმინის ანალიზი და საისტორიო წყაროები გვიჩვენებს, სულ მცირე XV-XVIII საუკუნეებში მაინც ეს ციხესიმაგრე „სამკარად“ უნდა წოდებულიყო.

აღმოსავლელ ავტორთა შორის სამკარის ციხის შესახებ ცნობას გვაწვდის აბუ ბექრ თეჰრანი (XV ს. I ნახ.-1480-იან წწ.). მისი ნაწარმოები XV საუკუნის 60-70-იან წლებშია შესრულებული და ავტორი მოვლენების თვითმხილველია.⁸ აბუ ბექრ თეჰრანის მიხედვით, ციხის სახელწოდება სამაკარი ყოფილა.⁹ აღნიშნული სახელწოდება ქართული სამკარი/სამაკარის ბადა-

⁷ 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 2016, გვ. 218, 292; ჩილდირის ეილეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 128, 203.

⁸ О. А. Эфендиев. «Китаб-и Дйиарбакрийа» Абу Бакра Тихрани как исторический источник. Исторические разыскания 1982. Тб. 1985, გვ. 96-115; აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართულად თარგმნა და ტექსტის კრიტიკული ანალიზი დაურთო თეა ჯანაშიამ, ისტორიული ხასიათის შენიშვნები და დამატებები დაურთო მირიან მახარაძემ. თბ. 2010, გვ. 11-35.

⁹ О. А. Эфендиев. «Китаб-и Дйиарбакрийа» Абу Бакра Тихрани как исторический источник, გვ. 116; აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68.

ლია. აბუ ბექრ თეჰრანისთან კარგად ჩანს, რომ ციხის ავთენტურ სახელწოდებაში „კალე“, ანუ ციხე, არსად ფიგურირებს. უფრო მეტიც, ავტორი წერს, თეთრბატნიანების ჯარმა „მტკიცე ციხეს – სამაყარს მიაღწია“.¹⁰ აღნიშნული, იმისი დასტურია, რომ ციხესიმაგრის სახელწოდება თურქულ ტერმინ „კალეს“ არ შეიცავს.

ოსმალეთის იმპერიის მოხელეების მიერ შედგენილ გურჯისტანის ვილაიეთის დავთრებში ვპოულობთ აღნიშნული სოფლის შედარებით ზუსტ სახელწოდებას. ოსმალებმა აღნიშნული მხარის დაპყრობიდანვე დაიწყეს მათ მიერ დაკავებული სოფლების აღწერა. „გურჯისტანის ვილაიეთის მამირვანის ლივის“ დავთარი იხსენიებს მამირვანის ლივის სოფელ სამაღარს, რაც სამიკარის, ანუ სამკარის იდენტურია.¹¹ „მამირვანის ლივის ვრცელი დავთარის“ სარჩევში მისი სახელია სიმღარი,¹² ანუ სამკარი, ხოლო იმავე დავთრის ძირითად ტექსტში – სამაღარი.¹³

მნიშვნელოვანია იმისი აღნიშვნაც, რომ იდენტური ტოპონიმი ოსმალურ დავთრებში ტაო-კლარჯეთის სხვა ტერიტორიაზეც გვხვდება. მაგალითად, ასეთი სახის ტოპონიმი დაფიქსირებულია 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“ დიდი არტაანის ლივის ტერიტორიაზე.¹⁴

¹⁰ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68.

¹¹ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმნით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ. 2013, გვ. 220.

¹² ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 95

¹³ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 110

¹⁴ 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 218, 292. 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“ მოცემულია როგორც სოფლების სარჩევი, ასევე, კონკრეტული სოფლების ჩამონათვალი მასში მცხოვრები მოსახლეებისა და გადასახადების ჩათვლით. მნიშვნელოვანია იმისი აღნიშვნაც, რომ ზშირად სარჩევში დასახელებული სოფლის სახელწოდება არ ემთხვევა ძირითად ტექსტში აღწერილი სოფლის დასახელებას. ასეა სამკარის შემთხვევაშიც, თუმცა ამ შემთხვევაში სხვაობა მცირეა, სხვაგან საქმე უფრო სავალალოდაა. დიდი არტაანის ლივის სოფლების სარჩევში დაფიქსირებულია ამავე ლივაში შემავალი მიშეს ნაპიეს სოფლების ჩამონათვალი. მიშეს ნაპიეს სოფლებს შორის იხსენიება სოფელი სამკრავი (იქვე, გვ. 218). ძირითად ტექსტში, რომელშიც კონკრეტული სოფლების აღწერილობაა მოცემული, დასახლებულია სოფელი სამკურუ, რომელიც ცარიელია რეიასაგან და ექვემდებარება მიშეს (იქვე, გვ. 292). ზედმეტია მსჯელობა იმის შესახებ, რომ სარჩევში დაფიქსირებული სოფელი სამკრავი და ძირითად აღწერილობაში მოცემული სამკურუ ერთი და იგივეა. ტერმინების „სამკრავის“ და „სამკურუს“ ურთიერთმიმართება გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული სოფლის ნამდვილი სახელწოდება იყო სამკარი. პირველ შემთხვევაში თითქოს „სამკ(ა)რავი“-ს აღდგენაც შესაძლებელია, თუმცა ძირითად აღწერაში მოცემული „სამკურუ“ კიდევ უფრო ახლოს უნდა იყოს რეალურ სახელწოდებასთან, მით უფრო, რომ ძირითად აღწერილობაში, როგორც წესი, უფრო ზუსტადაა მოცემული ტოპონიმები. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორივეგან ტექსტს სიზუსტე აკლია, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო იმით, რომ ორივე მათგანს

ჩვენთვის საინტერესო მამირვანის ლივის სოფელი სამკარის ფორმით იხსენიება „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში“, რომელიც 1694-1732 წლებშია შედგენილი. ამ დავთრის მიხედვით, ერთ შემთხვევაში გვაქვს სამკარი,¹⁵ ხოლო ორ შემთხვევაში – სამიკარი.¹⁶ იგივე შეიძლება ითქვას მეორე, იდენტური სახელის მქონე სოფელზე, რომელიც ჯაბა დავთრის ცნობით, არტანუჯის ლივის ამავე სახელწოდების ნაპიეში ერთიანდება სოფელი სამკარი,¹⁷ ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე დასახლება იხსენიება, როგორც სამკარი.¹⁸ ვფიქრობთ, ამ სოფლების სახელწოდებას, ისევე როგორც მამირვანის ლივაში მდებარე ციხესიმაგრის სახელს, ყველაზე კარგად ტერმინი „სამკარი“ ასახავს, ჩვენც ამ საფორტიფიკაციო ნაგებობას სწორედ სამკარის ციხედ მოვიხსენიებთ.

სოფლის ძველი სახელწოდება „სამკარი“, იგივე „სამაკარი“/„სამიკარი“, მოგვიანებით გადაკეთდა „სამიკალედ“, რაც სოფელში ძველი ციხესიმაგრის არსებობის ხაზგასმა იყო. ტერმინ „სამიკალეს“ არაფერი აქვს საერთო ციხის ავთენტურ სახელწოდებასთან.

ამგვარად, მართებული იქნება, თუ ციხესიმაგრეს თავის ძველ სახელწოდებას დაუბრუნებთ და კვლავინდებურად სამკარის ციხედ მოვიხსენიებთ, ზუსტად ისე, როგორც ამ უკანასკნელთან არსებული დასახლებაა მოხსენიებული ოსმალურ დავთრებში. ციხესიმაგრის საგანგებო მოხსენიებას ოსმალურ დავთრებში ვერ ვხვდებით, ვინაიდან იმ დროს ის უკვე კარგავს თავის მნიშვნელობას.

ისტორია

სამკარის ციხის აგების შესახებ პირდაპირი ცნობები არ გავგაჩნია, თუმცა წყაროებში ის უკვე XIV-XV საუკუნეების მოვლენების აღწერის დროს იხსენიება. ამ დროს ციხე აგებულია და ქვეყნის თავდაცვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ვფიქრობთ, სამკარის ადგილმდებარეობამ სტრატე-

სხვადასხვა ავტორი ადგენდა, ხოლო მოსმენილი სოფლების სახელწოდებას არასწორად ინიშნავდნენ. ამგვარად, სოფლის სახელწოდება 1574 წლის დავთრის ძირითად აღწერილობაში მოცემული „სამკურუს“ გათვალისწინებით და მისი სარჩევში მოცემულ „სამკრავთან“ შედარებით ირკვევა, რომ სოფლის რეალური სახელწოდება სამკარი ყოფილა. აღნიშნული სახელი იდენტურია მამირვანის ლივაში დაფიქსირებული ტოპონიმისა, რაც იმისი მანიშნებელია, რომ სამიკარის ჩამკეტი ციხესიმაგრეები ან დასახლებები ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მრავლად იყო.

¹⁵ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 109.

¹⁶ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 125.

¹⁷ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 128.

¹⁸ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 203.

გული მნიშვნელობა განვითარებულ ფეოდალურ ხანაში შეიძინა. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა: 1) ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავება; 2) იმიერტაოს პოლიტიკური ცენტრის, ოლთისის, თავდაცვის საჭიროება მდინარე ოლთისისწყლის მარცხენა სანაპიროს მხრიდან; 3) ორჯოხისა და სხვა მიმდებარე ციხეების მშენებლობის თარიღი, რომლებიც უკვე X საუკუნეში აშენებული ჩანს. ამგვარად, მართებული იქნება სამკარის ისტორიის მიმოხილვა IX-X საუკუნეებიდან დაიწყოთ, როდესაც ტაოს მამირვანის მხარეში ქართველების მმართველობა განახლდა. საკუთრივ ციხესიმაგრის ისტორია უფრო გვიანდელი პერიოდით უნდა დაიწყოთ, ვინაიდან ამ ხანაში სამკარის ციხის არსებობის შესახებ ცნობები არ გაგვანია.

IX-X საუკუნეებში მამირვანის მხარე ქართველთა სამეფოში შედის. X საუკუნეში მას ბაგრატიონთა იმიერტაოს შტო აკონტროლებს, რომლის გამორჩეული წარმომადგენელი დავით III დიდა (961-1000 წწ.). დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ეს ტერიტორია ანდერძის წესით ბიზანტიის იმპერატორმა დაიკავა. ბიზანტიის 76-წლიანი (1000-1076 წწ.) მფლობელობის შემდეგ ის კვლავ საქართველოს უბრუნდება. თუმცა თურქ-სელჩუკების მიერ ამ მხარის დაპყრობის (1080-1083 წწ.) მერე ტაო ცილობის ობიექტია ქართველებსა და თურქებს შორის, ხოლო თამარის (1184-1210 წწ.) მეფობის დროს იგი საქართველოს შემადგენლობაში დამკვიდრდა.

თამარის მეფობის შემდეგ, გიორგი IV ლამას (1210-1223 წწ.) დროს, ტაო ქართველთა მფლობელობის ქვეშ არის მოქცეული. რუსუდანის (1223-1245 წწ.) დროს ქართველებს ჯალალ ად-დინ ხვარაზმშაჰის გამანადგურებელი შემოსევა დაატყდათ თავს, რომელიც მთელი ხუთი წლის განმავლობაში გაგრძელდა. ამის შედეგი იყო ქვეყნის დასუსტება და ოლთისის ციხე-ქალაქის დაკარგვა 1230 წელს, როდესაც მას ალ-აშრაფ აიუბიანი დაეუფლა; მასთან ერთად აიღეს მამირვანი.¹⁹

ოლთისის, ბუღაოფურისა და ამ სტრატეგიულ პუნქტებს შორის მოქცეული მამირვანის მხარე მალე აიუბიანებმა თურქული სახელმწიფოების სასარგებლოდ დათმეს. უმეფობის დროს (1245-1247 წწ.), მონღოლების ბატონობის პერიოდში, თურქების აგრესიული ქმედებით მესხეთის მოსახლეობა დიდად იყო შევიწროებული. ერთ-ერთი ასეთი შემოსევის დროს მოსახლეობამ დახმარებისთვის ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელს მიმართა. ტაოში, ავნიცა-

¹⁹ გ. ჯავახრიძე. საქართველო და მსხლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველი მესამედში. თბ. 1995, გვ. 192.

კის მინდვრებზე გამართულ ბრძოლაში, ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა შემოჭრილი მტერი. სამცხეში მოსულმა ყვარყვარემ თავისი შვილიშვილები, ივანე და სარგისი, ოლთისის, ბულათყურის და მათი მიმდებარე მხარეების ასაღებად გაგზავნა, რაც ახალგაზრდა ჯაყელებმა წარმატებით შეასრულეს.²⁰ ამავე დროს, ქართველები იბრუნებენ დაკარგულ მამირვანის ციხესიმაგრეს და მდინარე ოლთისისწყლის ხეობის იმ ტერიტორიას, რომელიც ბულათყურსა და ოლთისის ციხე-ქალაქს შორის იყო მოქცეული. მუსლიმებმა ეს მიწები დიდი ხნით დაკარგეს.

აბუ ბექრ თეჰრანის მითითებით, უზუნ ჰასანის (1452-1478 წწ.) მმართველობაში სამკარის ციხე არც ერთ მუსლიმ ხელმწიფეს არ დაუპყრია, ხოლო პირველ ასეთ მცდელობად თემურ-ლენგის შემოსევას ასახელებს.²¹ აქედან გამომდინარე, სამკარის ციხე XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეში აგებული გამოდის. არ არის გამორიცხული, რომ ჯაყელებს 1245-1247 წლებში დაკავებული ოლთისისწყლის ხეობის გამაგრება დამატებითი საფორტიფიკაციო ნაგებობებით XIII საუკუნის მეორე ნახევარშივე დაეწყო, რომ ეს მხარე კარგად ყოფილიყო დაცული მტრის შემოსევებისგან. აქედან შეგვიძლია დავიწყოთ სამკარის ციხის ისტორიაც.

სამკარის ციხე სტაბილურად მოექცა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში. ამ მხარეს საქართველოს სამეფოში სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით სამცხის სპასალარები აკონტროლებდნენ. ირანულენოვანი ისტორიკოსის, აბუ ბექრ თეჰრანის (XV ს. I ნახ.-1480-იან წწ.) მიხედვით, სამკარის ციხე აუღებელ ციხესიმაგრედ მიიჩნეოდა. ავტორის ცნობით, მისი აღება ჩალათაელთა დიდ ემირს, თემურ-ლენგს (1370-1405 წწ.) უცდია, თუმცა უშედეგოდ.²² აბუ ბექრ თეჰრანის არ აქვს დაკონკრეტებული, თუ როდის სცადა თემურ-ლენგმა სამკარის ციხის აღება, თუმცა არ შეგცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ეს უნდა მომხდარიყო თემურ-ლენგის 1402 წლის სამხედრო კამპანიის ფარგლებში, რომელიც მიმართული იყო ტაოს წინააღმდეგ.

გიორგი VII-ისა და თემურ-ლენგის დაპირისპირება დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. დაპირისპირებულმა მხარეებმა ბოლომდე მორიგება

²⁰ ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 565-566; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1966, გვ. 122-123;

²¹ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68-69.

²² О. А. Эфендиев. «Китаб-и Дийарбакрийа» Абу Бакра Тихрани как исторический источник, гв. 116-117; აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68-69.

ვერც 1401 წლის ზავის პირობებით შეძლეს, რომელიც მალევე ორივე მხარის მიერ დაირღვა. ოსმალების წინააღმდეგ მიმავალი თემურ-ლენგი, როგორც ცნობილია, გზად თორთუმის ციხე-ქალაქის აღებას შეუდგა. ტაოს ერისთავის, თაყა ფანასკერტელის, მიერ დატოვებულ ციხისთავ გორჯიკს უარი შეუთვლია მორჩილებაზე და თემურის ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა გაუმართავს. ხუთდღიანი ალყის შემდეგ თორთუმის ციხე-ქალაქი დაეცა, ხოლო იქ გამაგრებული ორასი ქართველი მეციხოვნე ჩალათაელებმა დახოცეს.²³ სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს თემურის ჯარები შემოეწყვინნენ ტაოს განაპირა მხარეების სხვა ციხესიმაგრეებსაც, მათ შორის, სამკარის ციხეს. აბუ ბექრ თეჰრანის მიხედვით, თემურ-ლენგი სამკარის მისადგომებთან დაბანაკებულა, თუმცა ციხე არ დაუპყრია.²⁴ როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, თემურ-ლენგი მას შემდეგ აიყარა ტაოს პროვინციიდან, რაც ამ მხარის ერისთავი თაყა ფანასკერტელი მიუვიდა და მორჩილება გამოუცხადა.²⁵

სამკარის ციხე გადაურჩა თემურ-ლენგის მრისხანებას, რამაც ამ ციხესიმაგრეს ისლამის მიმდევართა შორის აუღებელი ციხის სახელი დაუმკვიდრა. თემურ-ლენგის გარდაცვალების (1405 წ.) შემდეგ გიორგი VII-ს არ გასჭირვებია დაკარგული ქალაქებისა და ციხესიმაგრეების უკან დაბრუნება. უფრო მეტიც, მან ჩალათაელებს თავრიზამდეც შეუტია და ისინი მნიშვნელოვნად შეავიწროვა.²⁶ გიორგის მეფობის ბოლოს თორთომი და მისი სანახები უკვე საქართველოს შემადგენლობაშია, ხოლო სამკარი ჩალათაელებს, როგორც აღვნიშნეთ, არც დაუკავებიათ. თორთომის ციხის მისადგომებთან 1405 წელს რუი გონსალეს კლავიხომ გაიარა, როდესაც გიორგი აქტიურობდა.²⁷ თორთომი საქართველოს ციხედაა მოხსენიებული. გიორგი მეფის მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლა მომდევნო ხანებშიც გაგრძელდა.²⁸ მისი ბრძოლა

²³ კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბ. 1974, გვ. 159-160; დ. კაციტაძე. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით). თბ. 1975, გვ. 151-152.

²⁴ О. А. Эфендиев. «Китаб-и Дийнарбакрийи» Абу Бакра Тихрани как исторический источник, გვ. 116-117; აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68-69.

²⁵ კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბ. 1974, გვ. 160; დ. კაციტაძე. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით). თბ. 1975, გვ. 152.

²⁶ რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ე. მამისტოვალაშვილმა. თბ. 1992, გვ. 23-25, 36-37.

²⁷ რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 23-25.

²⁸ რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 27-33.

ჩალათაელების წინააღმდეგ გარკვეულწილად წარმატებული იყო, რასაც მოეწონებოდა ღონისძიებების გარდა, სამკარის თავდაცვაც ადასტურებს თემურ-ლენგის სიცოცხლეში, ხოლო მეფის შეტევითი ოპერაციები – თემურის სიკვდილის შემდეგ. გიორგი 1407 წელს ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.²⁹

XV საუკუნის პირველ ნახევარში სამკარის ციხე სტაბილურად ქართველთა ხელშია მოქცეული. მისი აღება ვერც თემურის შემდეგ მოსულმა თურქმანებმა შეძლეს. ამ პერიოდში ტაოს მეზობლად შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა თურქმანული სახელმწიფოები მძლავრობდნენ. საისტორიო წყაროს ჩვენებით, სამკარის ციხის აღება ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰს, ისკანდერს (1420-1438 წწ.), უცდია.³⁰

აბუ ბექრ თეჰრანის ცნობით, ისკანდერ ყარა-იუსუფის ძემ სამკარის ციხეს ალყა შემოარტყა. ისკანდერს აინტერესებდა, თუ რა გზით შეიძლებოდა ციხესიმაგრის აღება. მემატიანის ცნობით, ამ მიზნით მას ხალხი ყველა მხარეს გაუგზავნია,³¹ თუმცა, როგორც თხრობიდან ჩანს, ვერანაირი საიღუმლო შესასვლელი მას ვერ მოუძებნეს. ისკანდერის მეომრები ამოდ ეძებდნენ ციხის აღების შედარებით იოლ გზას. სამკარის ციხე მაღალ კლდეზეა დაშენებული, ხოლო კარიბჭისკენ მიმავალი ერთადერთი გზა კლდის ფერდობებზე გადის, რომელიც ციხეს ჩრდილოეთი კედლის მხრიდან მიუყვება. ციხესიმაგრის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ წერტილში მისი ერთადერთი შესასვლელი კარია განთავსებული. ვინაიდან კარიბჭესთან მისასვლელი ვიწრობებზე გადის და, ფაქტობრივად, მიუვალა, ისკანდერი ცდილობდა სამკარის ასაღებად რაიმე უფრო მარტივი გზა ეპოვა, თუმცა, როგორც აბუ ბექრ თეჰრანის ცნობიდან ჩანს, ეს ვერ მოახერხა. სპარსულ მემატიანესთან არ არის დაკონკრეტებული, თუ როდის მოხდა სამკარის ციხეზე თავდასხმა, შესაბამისად, არც თარიღია მითითებული.

ისკანდერ ფადიშაჰის შემოსევა, ჩვენი აზრით, 1430-1431 წლებში უნდა განხორციელებულიყო, როდესაც, ისკანდერის ბრძანებით, მისი უმცროსი ძმა, ჯაჰან შაჰი, საქართველოში შემოიჭრა და ლორე აიღო.³² ჯაჰან შაჰის

²⁹ ლ. თავაძე. გიორგი VII გარდაცვალების მიზეზის შესახებ. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. IX. თბ. 2008, გვ. 41-46.

³⁰ О. А. Эфендиев. «Китаб-и Дйиарбакрийа» Абу Бакра Тихрани как исторический источник, გვ. 116-117; აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68-69.

³¹ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 69.

³² ლ. თავაძე. ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობა საქართველოში. საისტორიო კრებული. ტ. 3. თბ. 2013, გვ. 26-27.

1430 წლის შემოსევა სომხური ანდერძ-მინაწერის ცნობით დასტურდება, რომელშიც ჩანს, რომ ლაშქრობა ქალაქ ლორეს წინააღმდეგ იყო მიმართული.³³ ვახუშტი ბაგრატიონი ამ შემოსევას ზოგადად სარკინოზებს, ანუ მუსლიმებს, მიაწერს და აღნიშნავს, რომ ლორეს მოულოდნელი აღების გარდა, „*მოარბიეს სომხითისანი სამცხემდე, უკუიქცნენ და წარვიდნენ, გარნა ავნეს დიდი ქართველთა*“.³⁴

ვახუშტის ცნობით დგინდება, რომ სარკინოზებმა (იგულისხმება შავბატკნიანები) აიღეს და დამკვიდრდნენ ლორეში, მოარბიეს სომხური მხარეები სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიებამდე. დიდი ზარალი, რომელიც ქართველებმა განიცადეს, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ლორეს დაკარგვით, აოხრდა სომხური პროვინციები, სარკინოზების ძარცვა-რბევა მესხეთსაც მისწვდა.

საქართველოში შემაჯავალ სომხურ მხარეებთან ერთად რომ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაც დაარბიეს, ვახუშტის ფრაზა, „*მოარბიეს სომხითისანი სამცხემდე*“, ამას მიანიშნებს, თუმცა, ვინაიდან სამცხის სპასალარის სამფლობელოს მცირედი ზიანი მიადგა, იქ მიმდინარე ბრძოლებზე მემატიანეს მეტი ყურადღება აღარ გაუმახვილებია. თუ გავითვალისწინებთ 1430 წლის საქართველო-შავბატკნიანთა ბრძოლების მასშტაბებს, ის საკმაოდ ფართო მოჩანს და მოიცავს ქვემო ქართლს, სომხურ მხარეებსა და სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიას. აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით უადრესად მნიშვნელოვნად გვეჩვენება აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები ყარა-ყოუნლუს მბრძანებელ ისკანდერის მიერ სამკარის წინააღმდეგ ლაშქრობაზე. აბუ ბექრ თეჰრანი წერს:

„ისკანდერ ყარა იუსუფისთვისაც ეს ციხე ერთ ხანს თავსატეხი იყო. [აინტერესებდა] თუ როგორ ხსნიან პატრონები ციხეს, [მან] ამის გასაგებად ყველა მხარეს ხალხი გაეზავნა“.³⁵

სპარსელი ავტორი მანამდე აღნიშნავს, რომ სამკარის ციხე ისლამის მიმდევრებს არასდროს დაუკავებიათ, ხოლო თემურ-ლენგისა და ისკანდერის შემოსევის მაგალითებს ამ კუთხით იშველიებს.³⁶ საინტერესოა ამ ლაშქრობის კონკრეტული დეტალები.

³³ სომხური ანდერძ-მინაწერები (ჰიშატაკარანები) საქართველოს შესახებ XIV-XV სს. ძველი სომხურიდან თარგმნა შესავალი და კომენტარები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბ. 1978, გვ. 46.

³⁴ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ამომც. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1973, გვ. 280.

³⁵ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 69.

³⁶ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68-69.

შავბატკნიანთა 1430 წლის ლაშქრობა საქართველოში ფადიშაჰ ისკანდერსა და მის ძმას, ჯაჰან შაჰს, ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ქართული, სომხური და სპარსული წყაროების შეჯერება გვაძლევს. ვახუშტის ცნობით, 1430 წელს მუსლიმებმა ლორე აღეს, სომხითი დაარბიეს და სამცხე-საათაბაგოს მიაღწიეს. სომხური ჰიშატაკარანის მიხედვით, ჯაჰან შაჰმა 1430 წელს ლორე გარემოიკცა, ხოლო აბუ ბექრ თეჰრანის ინფორმაციით, ისკანდერი სამკარის ციხის აღებას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. მთელ ამ მასალას თუ ერთმანეთს დავუკავშირებთ, ცხადი ხდება, რომ ძმებმა საქართველოს ორი მხრიდან შემოუტყიეს, ჯაჰან შაჰი სომხურ პროვინციებსა და ლორეს ციხე-ქალაქს ლაშქრავს, ხოლო ისკანდერი სომხებით დასახლებული მხარეების გარდა, სამცხე-საათაბაგოში შეიჭრა და სამკარის ციხე მოაქცია ალყაში.

ისკანდერი, როგორც ჩანს, თავისი ძმის წარმატებამ შეაგულიანა, თუმცა ჯაჰან შაჰისგან განსხვავებით, მან ვერ შეძლო მიზანში ამოღებული ციხესიმაგრის აღება. ჩვენ არ ვიცით, სცადა თუ არა მან სხვა ციხეების დაკავება. სამკარის ციხის დაკავების გარეშე ისკანდერს ოლთისის მიმართულებით წასვლა სერიოზულად გაუჭირდებოდა, შესაბამისად, მას შეეძლო მხოლოდ ტაოს განაპირა რაიონები მოერბია და შედარებით ადვილად ასაღები ციხესიმაგრეები დაეკავებინა, მაგრამ სპარსელი ისტორიკოსის ცნობებში მსგავსი არაფერი ჩანს. საქართველოსა და შავბატკნიანებს შორის მიმდინარე ბრძოლები 1431 წელსაც გაგრძელდა. ამის შესახებ ცნობები მოეპოვება როგორც ვახუშტი ბაგრატიონს, ასევე, სპარსელ ისტორიკოს ჰასან რუმლუს (1530/1-1577/8? წწ.), რომლის აღნიშვნით 1431 წელს „*მირზა ისკანდერმა საქართველოზე გაილაშქრა (და) საშინლად ააოხრა*“.³⁷ ჰასან რუმლუს ცნობის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ფადიშაჰი ისკანდერი საქართველოში 1431 წელს შემოიჭრა. მართალია, ჰასან რუმლუ საუბრობს საქართველოს საშინელ აოხრებაზე, მაგრამ მეორე ცნობის მიხედვით, მას სამკარის ციხესთან წარუმატებლობა განუცდია.

ყარა-ყოიუნლუს მეთაურთა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ ქართველი მეფის, ალექსანდრე I დიდისა და შაჰრუხის კავშირით უნდა აიხსნას.

³⁷ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 280; კ. კუცია. „აჰან ათ-თავარიხის“ ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლურ მასალები. ტ. II. თბ. 1979, გვ. 79.

1429 წ. 25 სექტემბერს გამართული საღმასის ბრძოლის შემდეგ,³⁸ ამავე წლის ოქტომბერიდან 1430 წ. 6 მაისამდე შაჰრუხი არანის ყარაბაღში რჩება ზამთრის გატარების მიზნით.³⁹ ამ ვრცელი პერიოდის განმავლობაში არსებული სიმშვიდე ქართველებსა და ჩალათაელებს შორის ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ალექსანდრე მეფემ გამარჯვებული შაჰრუხის მხარე დაიჭირა, ხოლო ამ უკანასკნელმა საქართველოს სამეფოს ხელშეუხებლობა აღუთქვა. ამგვარი სახის მოკავშირეობა ქართველებსა და ჩალათაელებს შორის ისკანდერიისთვის სერიოზული საბაბი იყო, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლები ეწარმოებინა.

ალექსანდრესა და შაჰრუხს შორის პოლიტიკური კავშირი მანამდეც დამყარდა. შაჰრუხ ყაენის პირველი აზერბაიჯანული სამხედრო კამპანიის ფარგლებში (1420-1421 წწ.) ის 1420 წლის აგვისტოში ყარა-ყოიუნლუს თურქმანთა წინააღმდეგ დაიძრა.⁴⁰ 1420 წლის ნოემბერში ჩალათაელთა ყაენმა ყარა-იუსუფის გარდაცვალებით ისარგებლა და ადარბადაგანი სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა. 1420-1421 წლების ზამთრის სეზონის გატარების მიზნით შაჰრუხი არანის ყარაბაღში დაბანაკდა.⁴¹ არაქსის მიდამოებთან შაჰრუხს 1421 წლის მაისში შარვანშაჰის, შაქის მმართველისა და ალექსანდრე მეფის ელჩები მიუვიდნენ. ალექსანდრეს დესპანს ყაენთან საჩუქრები მიუტანია,⁴² რაც მათ შორის პოლიტიკური კავშირის დამყარების მანიშნებელია. ეს თანამშრომლობა, როგორც ჩანს, 1429-1430 წლებშიც გაგრძელდა.

შავბატკინანთა და ჩალათაელთა ომის გათვალისწინებით, შესაძლებელია 1430-1431 წლების სამხედრო კამპანიის ქრონოლოგიური მიმდინარეობის შედარებით უფრო ზუსტი განსაზღვრა. როგორც ცნობილია, შაჰრუხი კავკასიას, მდინარე არაქსზე გადასვლის შემდეგ, 1430 წლის 6 მაისს, ტოვებს. ჩალათაელთა მბრძანებელი 30 მაისს უკვე ადარბადაგანის (აზერბაიჯანი) ერთ-ერთ ცენტრში, სულთანეაშია, ხოლო 24 ივნისს ტოვებს ქალაქს და ჰერათისკენ მიემგზავრება, სადაც 1430 წლის 28 აგვისტოს ჩადის.⁴³

შაჰრუხის არანის ყარაბაღში ყოფნის პერიოდში მისი ვაჟი, მუჰამედ ჯუჟი მირზა, ყოფილ შაჰ-არმენთა ტერიტორიაზე ისკანდერის დევნით არის

³⁸ Фасих Ахмад ибн Джалал ад-Дин Мухаммад ал-Хавафи. Фасихов свод [Муджмал-и Фасихи]. Перевод, предисловие и примечания Д. Ю. Юсуповой. Ташкент. 1980, გვ. 203.

³⁹ Фасих ал-Хавафи. Фасихов свод, გვ. 204.

⁴⁰ Фасих ал-Хавафи. Фасихов свод, გვ. 186.

⁴¹ Фасих ал-Хавафи. Фасихов свод, გვ. 187-188.

⁴² დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XV საუკუნეში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 1998, გვ. 10-11.

⁴³ Фасих ал-Хавафи. Фасихов свод, გვ. 204-205.

დაკავებული. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ჯუქი მირზას მეომრებმა ვერ შეძლეს ისკანდერის შეპყრობა, თუმცა ადგილობრივი სომხური და მუსლიმური მოსახლეობა სასტიკად გაძარცვეს და ეს მხარე დატოვეს.⁴⁴ ჩალათაელებთან კავშირში ისკანდერის სამფლობელოებს არბევს თეთრბატკნიანთა მეთაური ოსმან ბეგიც.⁴⁵ მუჰამედ ჯუქის მეომრები, როგორც ჩანს, ვანის ტბის მიდამოებს 1430 წლის მაისისთვის ტოვებენ, როდესაც შაჰრუხი არანის ყარაბაღიდან ადარბადაგანში გადადის. ამან ხელი შეუწყო ისკანდერს, რომ კვლავინდებურად გაემყარებინა პოზიციები აღნიშნულ რეგიონში. ჯვართამაღლების დღეს ის ქალაქ არწკეს დაეუფლა ვანის ტბის მიდამოებთან, ხოლო ამავე წლის მაის-ივნისის შემდეგ უკვე მზად იყო, თავისი გავლენა კიდევ უფრო შორს განეგრცო ჩრდილოეთის მიმართულებით. ვფიქრობ, შაჰრუხის მიერ ადარბადაგანის დატოვების შემდეგ, 1430 წლის მეორე ნახევარში, ფაღიშაჰი ისკანდერი შედარებით უფრო თავისუფლად შეძლებდა ჩაბმულიყო საქართველოსთან დაპირისპირებაში. ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლა მას ნაკლებად უქაღდა ჩალათაელთა მუსლიმი მბრძანებლების მხრიდან მომდინარე რისხვას. როგორც ცნობილია, შაჰრუხი ადარბადაგანში შავბატკნიანთა მმართველად ისკანდერის ძმას, აბუ საიდს, ტოვებს, რომელსაც ფაღიშაჰი ისკანდერი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1431 წელს, ამარცხებს და კლავს.⁴⁶

შაჰრუხის ჰერათში დაბრუნების (28 აგვისტო, 1430 წელი) შემდეგ, შემოღვომის სეზონის ახლო ხანებში, ძმებმა, ისკანდერ ფაღიშაჰმა და ჯაჰან მირზამ, საქართველოში ლაშქრობა დაიწყეს. 1430 წლის მიწურულისთვის ჯაჰანი ციხე-ქალაქ ლორეს იღებს, რასაც მოჰყვა ალექსანდრე I დიდის კუთვნილი ქვემო ქართლის, სამცხე-საათაბაგოსა და სომხური ტერიტორიების დარბევა. 1430-1431 წლის ზამთრის სეზონში ძმები არანის ყარაბაღში უნდა ყოფილიყვნენ დისლოცირებული გამოზამთრების მიზნით. როგორც ჩანს, საბრძოლო მოქმედებები და პოზიციური ბრძოლები სისტემატურად მიმდინარეობდა. ჰასან რუმლუს თარიღის გათვალისწინებით, თავისი ძმის წარმატებით შეგულიანებულ ისკანდერს 1431 წელს ხელახალი შეტევა უნდა მოეწყო საქართველოზე. ამჯერად ყარა-ყოიუნლუს თურქმანებმა სამკარის აღება სცადეს, თუმცა წარუმატებლად. არ ვიცით, თუ როგორც განვითარდა მოვლენები სხვა ტერი-

⁴⁴ T'ovma Metsobets'i', History of Tamerlane and His Successors, Translated by Robert Bedrosian, New York 1987, გვ. 75-78.

⁴⁵ T'ovma Metsobets'i', History of Tamerlane and His Successors, გვ. 75.

⁴⁶ Фасих ал-Хавафи. Фасихов свод, гв. 207.

ტორიებზე, თუმცა, იმისი თქმა დანამდვილებით შეუძლებელია, რომ 1430-1431 წლებში შავბატკნიანთა ძირითადი მონაგარი ლორე იყო, მათვე უნდა დაეკავებინათ ალექსანდრეს კუთვნილი სომხური პროვინციები ამბერდის ჩათვლით.

1431 წლიდან ყარა-ყოიუნლუს ფაღიშაჰი ისკანდერი ადარბადაგანში არსებული არეულობის მოწესრიგებით და შარვანის, აყ-ყოიუნლუსა და ჩალათაელების წინააღმდეგ ბრძოლებით იყო დაკავებული, რის გამოც საქართველოსთვის, ფაქტობრივად, არ ეცალა. სწორედ ამ პერიოდში, ვახუშტის ცნობით, 1431 წელს ალექსანდრე I დიდმა კვლავ დაიბრუნა კონტროლი კუთვნილ სომხურ პროვინციებზე და ამბერდი დაიკავა.⁴⁷ აღნიშნული 1431 წლის მიწურულს უნდა მომხდარიყო, როდესაც ისკანდერი ადარბადაგანში იბრძოდა. 1432 წელს, ვახუშტისვე ცნობით, ალექსანდრემ ციხე-ქალაქი ლორე აიღო და საქართველოს სამეფოს შეუერთა.⁴⁸ ქართველი მემატიანის მიხედვით, ამ სამხედრო კამპანიის ფარგლებში მეფე ალექსანდრემ „*მოხარკეჰყენა რანი, მოვაკანი და შარვანი; მოვლო სამეფო თვისი და მოვიდა კუალად ტფილისს*“⁴⁹ ჩამოთვლილ ქვეყნებში არანი, შაქი და შარვანი იგულისხმება. ცნობაში სამცხე-საათაბაგოზე არანაირი მინიშნება არ არის გაკეთებული, რაც იმას ადასტურებს, რომ მესხეთის ციხესიმაგრეთა შორის დასაბრუნებელი არაფერი იყო. ეს კი სამკარის ციხის სიმტკიცით უნდა აიხსნას, რომლის ალებაც შავბატკნიანებმა ვერ მოახერხეს. ამ ფაქტმა უპერსპექტივო გახადა სამცხე-საათაბაგოს სიღრმეში გამაგრებული ადგილების დაკავება. აქედან მოყოლებული გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენ არ გვაქვს ცნობა, რაც სამკარის ციხეზე თურქმანთა ლაშქრობას დაადასტურებდა.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით, სამკარის ციხე აღარ გამხდარა შავბატკნიანთა თავდასხმის ობიექტი. სამაგიეროდ, რაც ვერ მოახერხეს ყარა-ყოიუნლუს მეომრებმა, მოგვიანებით, შეძლეს აყ-ყოიუნლუს ჯარებმა. აღნიშნული მათი გამოჩენილი ფაღიშაჰის, უზუნ-ჰასანის (1452-1478 წწ.), მოღვაწეობას უკავშირდება.

სამკარის ალების ბრძოლის ისტორია აბუ ბექრ თეჰრანის უზუნ-ჰასანის მიერ ამ ციხესიმაგრის დაკავების დეტალური აღწერილობით აქვს დამთავრებული.⁵⁰ აღნიშნული ამბავი მემატიანეს 871 წლის (1466-1467 წწ.)

⁴⁷ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 280.

⁴⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 280.

⁴⁹ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 280.

⁵⁰ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68-69.

მოვლენებთან დაკავშირებით აქვს მოცემული,⁵¹ თუმცა, როგორც ჯ. ვუდსი შენიშნავს, აბუ ბექრ თეჰრანისთან მოყვანილი ეს ცნობა უნდა ეხებოდეს უზუნ-ჰასანის 1458 წლის შემოსევას და არა 1466-1467 წლებში მომხდარ რამე ლაშქრობას, რომელსაც რეალურად ადგილი არ ჰქონია.⁵² მისივე სამართლიანი შენიშვნით, საქართველოს წინააღმდეგ თეთრბატკნიანთა ფადიშაჰმა განახორციელა სამი ლაშქრობა და არა ოთხი ან ხუთი, როგორც ამას სხვა მკვლევრები ვარაუდობენ.⁵³ ამგვარად, როგორც ირკვევა, აბუ ბექრ თეჰრანის ცნობით, უზუნ-ჰასანის პირველი დაზავატი, ანუ საღვთო ომი საქართველოს წინააღმდეგ 1458 წელს დაიწყო, რომლის ფარგლებშიც თეთრბატკნიანთა ფადიშაჰმა სამცხე-საათაბაგოს შემოუტია.⁵⁴ საქართველოზე, როგორც ურ-

⁵¹ O. A. Эфендиев. «Китаб-и Дийარбакрийй» Абу Бакра Тихрани как исторический источник, გვ. 68-69.

⁵² J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire (Revised and Expanded Edition). The University of Utah Press. 1999, გვ. 88-89, 253-254.

⁵³ J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire, გვ. 253-254. ჯ. ვუდსის მიხედვით, უზუნ-ჰასანის სამი ლაშქრობა შეიძლება დათარიღდეს 1458, 1461 და 1476-1477 წლებით (იქვე, გვ. 254). ჩვენ ვიზიარებთ მის შეხედულებას მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი შესწორებით, მეორე ლაშქრობა უნდა განხორციელებულიყო 1462 წელს, როგორც ეს მითითებულია ქართულ და სომხურ ანდერძ-მინაწერებში. ამასთან, უზუნ-ჰასანის ეს ლაშქრობა მიმართული იყო არა ბაგრატ VI-ის, არამედ გიორგი VIII-ის წინააღმდეგ. ვუდსის ეს შეცდომა განპირობებულია მარი ბროსეს გადაჭარბებული ნდობით (იქვე, გვ. 90, 254). ქართული და სომხური წყაროებისა და საკითხის ისტორიოგრაფიის შესახებ იხ.: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თეოდორ დანიას მიერ. ტ. II (1213 დაწ-1700 მდე). ტფ. 1897, გვ. 281; სომხური ანდერძ-მინაწერები (ჰიმნოგრაფიები) საქართველოს შესახებ XIV-XV სს., გვ. 78; ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 285-286; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბ. 1967, გვ. 74-85. სომხურ ჰიმნოგრაფიებში დაცულია თბილისის მიდამოებში მტრის შემოსევის დეტალური თარიღი. თბილისში მცხოვრები საზარების სომეხი გადაწყვერის, დავითის ცნობით, 1462 წლის 22 აპრილი აღდგომის კვირის დღე ხუთშაბათი დღე იყო, როდესაც თურქები ავჭალის გლდანში მისულან, თბილისიდან გამოსული ორასი ქართველი მხედარი მათ დაღვენებია, ხოლო ლოჭინში მომხდარ ბრძოლაში ორასი ქართველი მეომარი მტრის ათასკაციან რაზმს სასტიკად დაუმარცხებია და დაუხოცავს (იქვე, გვ. 78). მართალია, აქ არ ჩანს, თუ რომელ თურქებზეა საუბარი, მაგრამ ქართულ წყაროებთან შეჯერებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ხდება უზუნ-ჰასანის 1462 წლის შემოსევის ფარგლებში მიმდინარე ბრძოლების დროს.

⁵⁴ M. Kuršanskis. Autour de la dernière princesse de Trébizonde: Théodora, fille de Jean IV et épouse d'Uzun Hasan. Archeion Pontou. T. 34. 1977/8, გვ. 81; J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire, გვ. 89, 254; P. M. Шукуров. Великие Комнены и Восток (1204-1461). СПб. 2001, გვ. 363; მ. მახარაძე. უზუნ-ჰასანის პირველი ლაშქრობა საქართველოში. ვალერიან გაბაშვილი 90 (საიუბილეო კრებული). თბ. 2003, გვ. 391-399; მისივე. უზუნ-ჰასანის პირველი ლაშქრობა საქართველოში. აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართულად თარგმნა და ტექსტის კრიტიკული ანალიზი დაურთო თეა ჯანაშიამ, ისტორიული ხასიათის შენიშვნები და დამატებები დაურთო მირიან მახარაძემ. თბ. 2010, გვ. 90-97.

წმუნო ქრისტიანების ქვეყანაზე, თავდასხმა უზუნ-ჰასანისთვის დიდების მოპოვების საწინდარი იყო, ამით მას ღაზის, ანუ ისლამისთვის მებრძოლი მმართველის სახელის მოპოვება სურდა.⁵⁵ ღაზავათს უზუნ-ჰასანის კარზე რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, კარგად ჩანს აბუ ბექრ თეჰრანის ცნობებშიც. სპარსელი ავტორის მიხედვით, ტრაპიზონის წინააღმდეგ ლაშქრობაში ოსმალებს თეთრბატნიანთა ელიტამ ხელი არ შეუშალა იმ განზრახვით, რომ ღაზავათის დროს შარიათის კანონი კრძალავდა მუსლიმის მიერ ისლამის მიმდევრისთვის წმინდა საქმის აღსრულებისთვის ხელის შეშლას.⁵⁶ სახელის მოხვეჭის გარდა, თეთრბატნიანთა ფადიშაჰის მიზანი ალაფის, ტყვეებისა და ტერიტორიების დაკავებაც იყო.

უზუნ-ჰასანის 1458 წლის ლაშქრობას დეტალურად აღწერს აბუ ბექრ თეჰრანი. მისი ცნობა უზუნ-ჰასანის ლაშქრობის იმ მონაკვეთს აღგვიწერს, რომელიც სამკარის ციხის აღებას ეხმიანება. როგორც ჩანს, სამკარის ალყა ამ ლაშქრობის ყველაზე თვალსაჩინო მომენტი გახლდათ.

აბუ ბექრ თეჰრანის გადმოცემით, ამიდიდან წამოსული ფადიშაჰი საქართველოში შემოვიდა, ცნობა უზუნ-ჰასანის ლაშქრობის შესახებ ციხეების, ქალაქებისა და სოფლების ყველა მოსახლემ შეიტყო.⁵⁷ ამ ინფორმაციიდან ჩანს, რომ უზუნ-ჰასანის ლაშქრობა არ ყოფილა მოულოდნელი, თეთრბატნიანთა მმართველი, როგორც ჩანს, ცდილობდა მის ლაშქრობას დიდი რეზონანსი გამოეწვია. ამისთვის მან ბევრი ცნობილი ამირა თუ შეიხი წამოიყვანა საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ. ავტორის ცნობით, მოსახლეობის ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო მეორე ნაწილი გამაგრებას იწყებს. გამაგრებულები, ძირითადად, ხანდაკების გათხრით იყვნენ დაკავებული ან მწვერვალებზე აღმართულ ციხესიმაგრეებს აფარებდნენ თავს.⁵⁸

სამკარის ციხესიმაგრეს აბუ ბექრ თეჰრანი სამაყარს (სამაკარი) უწოდებს. მისივე განცხადებით, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შიშისა და ძრწოლის გამო ციხეები მიატოვა და გაიქცა, ხოლო მეორე ნაწილი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.⁵⁹ როგორც ცნობილია, უზუნ-ჰასანმა საქართველოში სულ

⁵⁵ ვუდსი აღნიშნავს, რომ ამ ღაზავათების პირდაპირი მიზანი ნადავლის მოპოვება იყო, თუმცა იქვე ამატებს, რომ მუსლიმ მმართველებს სურდათ თავიანთი ძალაუფლების გაძლიერება ღაზის წოდების მოპოვებით, იხ.: J. E. Woods. *The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire*, გვ. 89.

⁵⁶ P. M. Шукуров. *Великие Комнены и Восток (1204-1461)*. СПб. 2001, გვ. 368.

⁵⁷ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68.

⁵⁸ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68.

⁵⁹ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68.

ექვსი ციხესიმაგრე აიღო,⁶⁰ მათ შორის, როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, ერთი ნაწილი უომრად აუღია. სამკარის ციხე, როგორც სპარსელ მემატრიანესთან არის აღნიშნული, ციხის სიმტკიცეს ენდობოდა და დანებებას არ აპირებდა, სწორედ ამის შემდეგ არის მოყვანილი მაგალითები იმისა, თუ როგორც სცადეს სამკარის აულებელი ციხესიმაგრის დაუფლება ჩალათაელთა დიდმა ემირმა თემურმა და ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰმა ისკანდერმა.⁶¹ აბუ ბექრ თეჰრანი ამით სამკარის აღების უკიდურეს სირთულეს უსვამს ხაზს და თავისი მბრძანებლის, უზუნ-ჰასანის, წარმოჩენას ცდილობს, რომელიც, მისივე ცნობით, პირველი ყოფილა მუსლიმ მბრძანებელთაგან, ვინც სამკარის ციხესიმაგრე დაიკავა.

აბუ ბექრ თეჰრანი სამკარის აღებას საკმაოდ ვრცლად აღგვიწერს, აქ მოგვყავს სპარსული ტექსტის თეა ჯანაშიასეული ქართული თარგმანი, ტექსტში ვკითხულობთ:

„საბოლოოდ, ხალხი თავისი აზრის მცდარობას, [ციხეში] შესვლისა და [მისი] განლაგების მიუვალობისა, მიხვდა. უძლეველმა მოციქულმა (უზუნ-ჰასანმა – ლ.თ.) ამ ცარიელი სიტყვების უტყუარობა არაფრად ჩაავლო. ისლამის საქმისთვის (იგულისხმება ღაზავათი – ლ.თ.), უშიშარი ახალგაზრდების, მოქნილი და მამაცი გოლიათების წამოსაყვანად, შეტევა წამოიწყო. ბოლოს, მათ ცას მწვდომელი ფრინველებით კოშკებსა და ციხის კედლებს გადაუფრინეს. ზავისა და ნდობის პერიოდშიც კი თუ ვერავის მოეხერხებინა იქიდან [ბურჯებიდან] ჩამოსვლა, [ამჯერად] რამდენიმე ბურჯზე ავიდნენ. პირველად ორი ახალგაზრდა ერთ ბურჯზე ავიდა. მათგან ერთმა, მსგავსად შაჰიდისა, თავი გასწირა. მეორემ კი თავშესაფარს შეაფარა თავი. ამასობაში ერთმა შენაკადმა ქვემოთ ციხის კარებს შეუტია და იქაურობა დაიკავა. ურწმუნოები [ქართველები] სხვა კედელზე შემომტევეთა მხარეს, ციხის კედელზე ავიდნენ. იმ ახალგაზრდამ, როგორც კი კოშკზე გამოვიდა, ხმალი იშოშვლა. ახალგაზრდა ხმალამოწვდილი მტრისკენ გაემართა და სანამ შაჰიდი (ისლამისთვის აღსრულებული – ლ.თ.) არ გახდებოდა, ურწმუნოებს ებრძოდა. ამ დროს, უეცრად, სხვა ჭაბუკი გამოჩნდა. ისიც მოკლეს. სხვა რვაც ერთად ამოვიდა. აქედან ორმა თავი გასწირა. ასე მიჰყვებოდნენ ერთმანეთს ციხის კედლებზე ასული დახოცილები. ბოლოს ძნელად ასაღები და მძლავრი და მტკიცე ციხე

⁶⁰ J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire, გვ. 89, 255; მ. მახარაძე. უზუნ-ჰასანის პირველი ლაშქრობა საქართველოში, გვ. 396-397; აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 96-97.

⁶¹ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 68-69.

აიღეს. უთვალავი ნდაველი და ბედნიერება მოიხვეჭეს. ციხეში დამალული მოღვაწეები დახოცეს ბავშვები და ქალები შეიპყრეს და დაატყვევეს“⁶²

სამკარის ციხის ალების ეს დეტალური აღწერილობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ციხესიმაგრის დაცემის ისტორიის შესასწავლად, არამედ მისი ავთენტური აგებულების გარკვევის კუთხითაც. როგორც ციხის ალების აღწერილობიდან ჩანს, ამ ციხეს ჰქონდა რამდენიმე კოშკი, რომლებიც დღეს საერთოდ აღარ იკითხება. ანალოგიური შეიძლება ითქვას ბურჯებზე, დღეს სახეზეა მხოლოდ მართკუთხა კედლები, რომელთა ადგილზეც ადრე ბურჯების არსებობა შეგვიძლია ვივარაუდოთ. ის, რაც აბუ ბექრ თეჰრანის აღწერილობასა და ამჟამინდელ რეალობას კარგად ემთხვევა, არის შესასვლელი კარი. ავტორის მიხედვით, ის ქვემოთაა.

სამკარის კარიბჭე ციხის ჩრდილო-დასავლეთით, სიმაგრის ქვედა, ყველაზე დაბალ ზონაში მდებარეობს. აქედან ციხესიმაგრე ნელ-ნელა მალდება, ვიდრე მის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთის წერტილამდე. სამკარის ზედა ნაწილი, ანუ მისი აღმოსავლეთი ნაწილი, საკმაოდ ფართოა. ხოლო სიმაგრის დასავლეთი ნაწილი, საიდანაც აღინაარ ყველაზე ამადლებულ წერტილში – საკმაოდ ვიწროა. აღნიშნული ვიწრო ასასვლელი, რომლის ირგვლივ დღეს თანამედროვე კედლებია, დაახლოებით მიუყვებოდა ძველი კედლების წყობას. ეს ვიწრო ორმხრივი კედელი ზემოთ მიახლოებით ორი ათეული მეტრის სიმაღლეზე მიემართება. მთელი ამ ოცი მეტრის მანძილზე ყველგან შეიძლება მისი ჩაკეტვა დამატებითი კედლით, რაც, როგორც აბუ ბექრის ცნობიდან ჩანს, მართლაც ჩაკეტილი ყოფილა. აღნიშნული ქმნიდა ციხესიმაგრის ორ დამოუკიდებელ ნაწილს, ანუ, ფაქტობრივად, ორ ციხეს. აქედან აყ-ყოიუნლუს ერთ-ერთმა რაზმმა აიღო მხოლოდ ქვედა ნაწილი მთავარ კარიბჭესთან ერთად. საჭირო გახდა მისი მეორე, ანუ ციხესიმაგრის ცენტრალურ ნაწილში არსებული გამყოფი კედლის აღებაც. თეთრბატკნიანი თურქმანები ციხესიმაგრის კედლებზე ყველა მხრიდან მიძვრებოდნენ, ხოლო დამცველები შიდა კედლის (რაც დღეს აღარ იკითხება, თუმცა აბუ ბექრ თეჰრანის ცნობის მიხედვით ივარაუდება) დაცვით იყვნენ დაკავებული. ციხესიმაგრის ქვედა ნაწილის ალებამ თურქმანებს საშუალება მისცა, კლდეზე აღმართული კედლების ორივე მხრიდან დაეწყოთ შეტევა. სამკარი მისი ყველაზე ამადლებული აღმოსავლეთი ნაწილის დაკავების შემდეგ მხრიდან დაეცა.

⁶² აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 69.

ციხეში თავშეფარებული მოსახლეობა სიმაგრის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო მოგროვებული, ამათგან ქალები და ბავშვები პასიურ როლს თამაშობდნენ ციხესიმაგრის თავდაცვაში, ხოლო თავშეფარებული მამაკაცები მეციხოვნეებთან ერთად იცავდნენ პოზიციებს. სწორედ ამით უნდა აიხსნას აბუ ბექრ თეჰრანის ჩვენება, რომლის თანახმად, თურქმანებმა დახოცეს ყველა ციხეში მყოფი, გარდა ქალებისა და ბავშვებისა. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალები და ბავშვები შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს. სამკარის ციხეში დაცული იყო დიდძალი ქონება, რომელიც აქ მოსახლეობას უნდა ამოეტანა. ეს ქონებაც მტერს ჩაუარდა ხელში, რასაც საგანგებოდ უსვამს ხაზს სპარსელი მემატიანე.

სამკარის ციხესიმაგრის დაკავების შემდეგ უზუნ-ჰასანის არმია წინ წავიდა, როგორც ჩანს, ჩრდილოეთის მიმართულებით, მაგრამ მამირვანი და ოლთისი ვერ უნდა აეღო. ამის შემდეგ, უკან მობრუნებისას, ოლთისისწყლის ხეობის სოფლების დარბევა დაიწყო. აბუ ბექრ თეჰრანის ცნობით, თეთრბატკნიანებმა ეთრეკერად წოდებულ სოფელს მიაღწიეს და მისი შემოგარენი, ვიდრე ინჰანისა და თავაილის ეკლესიებამდე, ძარცვა-რბევით გაიარეს, ქრისტიანები შეიპყრეს და მრავალი ნაღავლი ჩაიგდეს ხელში.⁶³ ვფიქრობ, სოფლის სახელწოდებაში ეგრექი (თურქ. ექრექი, ახლანდელი იენიქთაში არზრუმის პროვინციის ნარმანის რაიონში) უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც სამკარის სამხრეთით მდებარეობს იმავე ხეობაში. ეკლესიების სახელწოდებებში ამავე რეგიონის ირგვლივ მდებარე დიდი ეკლესიები უნდა ვიგულისხმოთ. „ინჰანი“ იშხანი უნდა იყოს, ხოლო „თავაილი“, რომელიმე ახლომდებარე ეკლესია. იშხანის მიმდებარე ტერიტორიის დაკავებისთვის თურქმანებს თორთომისა და აზროდის ციხეების წინააღმდეგობა უნდა გადაელახათ, რომელთა აღება სპარსელ ისტორიკოსთან არ დასტურდება. ამდენად, იშხანის მიდამოების მორბევა უფრო მარბიელი ლაშქრობა იყო, ვიდრე დაპყრობითი. აქედან ჩანს, რომ ოლთისისწყლის ხეობის გარდა, ისინი მესხეთის სხვა სასაზღვრო თემებსაც შეესივნენ.

უზუნ-ჰასანის ამ ძლევამოსილი ლაშქრობის მიმდინარეობისას კემახისა და ყარა-ყისარის მმართველები, რომლებიც თეთრბატკნიანთა ამ ლაზავათში იღებდნენ მონაწილეობას, ფადიშაჰის სხვა ქვეშევდომებთან ერთად უეცრად წყვეტენ მონაწილეობას ბრძოლებში და უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ იწყებენ

⁶³ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 69-70.

მოქმედებას.⁶⁴ მათი გამოსვლა ოსმალეთის სულთნის მეჰმედ II-ის (1451-1481 წწ.) მხარდაჭერით იყო გამყარებული.⁶⁵ აბუ ბექრ თეჰრანი მათ ინტრიგებისა და შუღლის ჩამოგდებაში სდებს ბრალს, რამაც უზუნ-ჰასანს არ მისცა საშუალება, ახალციხეზე გაელაშქრა.⁶⁶

აბუ ბექრ თეჰრანის მიხედვით, უზუნ-ჰასანის მთავარი მიზანი ახალციხის დაპყრობა ყოფილა, თუმცა აღნიშნული მიზანი ფაღიშაჰს განუხორციელებელი დარჩა. როგორც უზუნ-ჰასანის ეგვიპტის სულთნისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში ჩანს, რომელმაც 1459 წლის 5 თებერვალს ჩააღწია კაიროში, თეთრბატკნიანთა ფაღიშაჰმა საქართველოში ექვსი ციხესიმაგრის გასაღები მოიპოვა.⁶⁷ ეს იყო უზუნ-ჰასანის მთავარი მონაგარი მისი 1458 წლის ლაშქრობისას საქართველოში. ამ ექვსი ციხესიმაგრიდან ერთ-ერთი სამკარის ციხეა, ხოლო დანარჩენილი ხუთი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, სამკარის ირგვლივ მდებარე ციხეები უნდა იყოს ოლთისისწყლის ხეობაში. ვფიქრობ, უზუნ-ჰასანს არ უნდა დაეკავებინა არც ოლთისი და არც მამირვანი, რომლებიც უფრო მსხვილი, დაცული და გაცილებით მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობებია, ვიდრე სამკარის ციხე. მათი ალების შემთხვევაში ისინი დასახელებული იქნებოდნენ. დაკავებულ ციხესიმაგრეებს შორის შეიძლება ყოფილიყო ბუღაოყურის ციხე, ბაშკალე (პირველთან ახლოს, ძველი სახელი უცნობია), შექერლის ციხე, ახას ციხე, ერგაზის ციხე (ძველი სახელი უცნობია) და სხვა ის სიმაგრეები, რომლებიც ქალაქ ოლთისისა და მამირვანის სამხრეთით, ოლთისისწყლის ხეობაში მდებარეობდნენ. დასაშვებად მიგვაჩნია თორთომის მხარის რომელიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრის ალებაც, მაგრამ ისეთი დიდი ციხეები, როგორებიც თორთომი და აზორდია, ალებულ სიმაგრეთა შორის არ ჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამკარზე უწინარეს ისინი იქნებოდნენ მოხსენიებული.

უზუნ-ჰასანის მიერ სამკარის ციხისა და სხვა ხუთი ციხის დაკავებისა და საკუთარ მფლობელობაში დატოვების ამბავი არ იწვევს არანაირ ეჭვს. სხვა საქმეა, თუ რამდენი ხანი შეინარჩუნეს თეთრბატკნიანებმა ეს ციხესიმაგრეები. 1462 წელს უზუნ-ჰასანის საქართველოში მეორე ლაშქრობის

⁶⁴ P. M. Шукуров. Великие Комнены и Восток, გვ. 363.

⁶⁵ J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire, გვ. 89.

⁶⁶ P. M. Шукуров. Великие Комнены и Восток, გვ. 363; აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 70.

⁶⁷ J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire, გვ. 89, 255.

დროს, როგორც ვარაუდობენ, მან ლორეს ციხე-ქალაქი აიღო, ხოლო აღნიშნული სამხედრო კამპანია სამცხის ათაბაგ ყვარყვარე ჯაყელის თხოვნით აწარმოა.⁶⁸ როგორც ზემოთ ვიხილეთ, თეთრბატკნიანებმა ექვსივე ციხესიმაგრე სამცხე-საათაბაგოში დაიკავეს. არც ჩანს მათი გამოსხნის ფაქტი 1462 წლამდე, ხოლო ამ წელს ათაბაგი და უზუნ-ჰასანი მოკავშირეობენ, რაც იმისი მანიშნებელია, რომ ყვარყვარე II-მ სცნო ეს ციხეები აყ-ყოიუნლუს შემადგენლობაში. ასე უნდა ყოფილიყო უზუნ-ჰასანის გარდაცვალებამდე (1478 წ.).

თეთრბატკნიანთა გამოჩენილი ფადიშაჰის გარდაცვალებისთანავე, 1478 წელს, ქართველებმა კვლავინდებურად დაიბრუნეს უზუნ-ჰასანის მიერ მიტაცებული ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები, რამაც საქართველო თეთრბატკნიანებისთვის შეუვალი გახადა მორიგი დიდი ფადიშაჰის იაყუბ ყაენის ლაშქრობამდე.⁶⁹ ბუნებრივია, ამავე წელს ქართველებს უკან უნდა დაებრუნებინათ სამკარის ციხესიმაგრეც.

სამკარის ალების შესახებ არანაირი ცნობები არ გვაქვს იაყუბ ყაენის (1478-1490 წწ.) მმართველობის პერიოდში. თუმცა ცნობილია იაყუბ ყაენის ლაშქრობა სამცხე-საათაბაგოში, როდესაც ყაენის არმიამ სამი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი დაიკავა, ესენია: ახალქალაქი, ახალციხე და აწყური.⁷⁰ ზემოთ დასახელებული ციხე-ქალაქების ალების გათვალისწინებით, საგულისხმოა, რომ იაყუბ ყაენის ლაშქარი მოდიოდა არა ტაოს მხრიდან, არამედ სხვა მიმართულებიდან, უფრო კონკრეტულად კი სომხეთის გზით. ვახუშტის ცნობით, ისინი შემოვიდნენ ქვემო ქართლში და ქვეშისხევსა და ღმანისს შეუტოვეს.⁷¹ ქვემო ქართლიდან მოდიან უკვე ჯავახეთის მიმართულებით სამცხე-საათაბაგოში. სამკარის ციხე ამჯერად თეთრბატკნიანთა ამ ლაშქრობას გადაურჩა. თუმცა საქართველოს ტერიტორიასთან აყ-ყოიუნლუს თურქმანები დიდი ხნის განმავლობაში სისტემატურ ბრძოლებს აწარმოებდნენ.⁷²

იაყუბ ყაენის გარდაცვალების შემდეგ თეთრბატკნიანთა სახელმწიფო აირია, მათ უკვე საქართველოსთვის აღარ ეცალათ, რამაც ქართველებს ხელი გაუხსნა. ქართველებმა ფაქტობრივად ყველა ის ტერიტორია დაიბრუნეს, რო-

⁶⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 285-286; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. IV, გვ. 74-84.

⁶⁹ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 385-386.

⁷⁰ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 386-387; J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire, გვ. 134, 138, 274.

⁷¹ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 386-387.

⁷² J. E. Woods. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire, გვ. 134.

მელიც თავის დროზე აყ-ყოიუნლუს თურქმანებმა დაიკავეს. უფრო მეტიც, 1491 წელს კონსტანტინე II-მ სომხეთის ტერიტორიების მორბევა და იქიდან თურქმანების განდევნაც დაიწყო.⁷³ სამკარი ამ დროს მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდაა და სამცხე-საათაბაგოს მმართველებს ემორჩილება.

სამკარის ციხე მნიშვნელოვნად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქალაქ ოლთისთან, რომელიც, როგორც ოსმალური წყაროებიდან ვიცით, ათაბაგების უშუალო დომენს წარმოადგენდა, ხოლო ქალაქში ჯაყელების ერთ-ერთი რეზიდენცია იყო განთავსებული. როგორც ერთ-ერთი თურქი მზვერავის წერილიდან ვგებულობთ, ოლთისი უშუალოდ ათაბაგ ყვარყვარე III-ის (1516-1535 წწ.) დომენია,⁷⁴ ხოლო მამირვანის ციხე, რომელიც იმავე ყვარყვარეს ეკუთვნის, დროებით ჩაბარებული აქვს ადგილობრივ აზნაურ ნარიმანს, რომელიც იმ მხარის მოურავია.⁷⁵ როგორც ჩანს, მოურავი ნარიმანი გახლდათ სამკარის მმართველიც. ყვარყვარე III-ის მმართველობის პერიოდში სამცხე-საათაბაგოში დიდი არეულობა სუფევდა.⁷⁶ მალე ყვარყვარემ მთლიანად დაკარგა სამცხე-საათაბაგოს მმართველობა.

1535 წელს სამცხე-საათაბაგო იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ.) დაიკავა და ყვარყვარე III ჯაყელი ტყვედ აიყვანა.⁷⁷ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს ერთიანობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა, მალე ოსმალების დახმარებით ჯაყელებმა კვლავ დაიბრუნეს ხელისუფლება. ათი წლის შემდეგ ახალციხე თურქებისა და მესხი დიდებულების ერთი ნაწილის დახმარებით ქაიხოსრო III (1545-1573 წწ.) ყვარყვარეს ძემ აიღო იგი. მესხეთის მთავარი სულთნის ვასალი და მოკავშირე გახდა.

ოსმალთა ბატონობამ სამცხე-საათაბაგოში თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ქაიხოსრო ათაბაგი მიხვდა, რომ ოსმალეთის სულთნის ხელისუფლება მალე სამცხე-საათაბაგოს სრულ დაპყრობას დაიწყებდა, რასაც შეიძლებოდა მისი ხელისუფლებაც ემსხვერპლა.⁷⁸ ამ ამან ძველი მოკავშირეები ერთმანეთთან დააპირისპირა.

⁷³ სომხური ანდერძ-მინაწერები (ჰიშატაკარანები) საქართველოს შესახებ XIV-XV სს., გვ. 98.

⁷⁴ თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ. თბ. 1983, გვ. 55.

⁷⁵ თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 54-55.

⁷⁶ თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 11-18.

⁷⁷ ვანუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 401-402, 712-713, 811-812.

⁷⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 107.

XVI საუკუნის შუა წლებში ოსმალთა ექსპანსია სამკარის ციხესაც მისწვდა. თურქების სისტემატურმა ლაშქრობებმა ამ მხარეში ქართველთა ბატონობა შეარყია. მალე სამკარის ციხეც დაიპყრეს, რითიც იქ ქართველების მფლობელობა დასრულდა. ოსმალთა ისტორიკოსი იბრაჰიმ ფენევი წერს:

„იგივე [955=1548/9] წელი. ამას წინეთ ტახტბედნიერი ფადიშაჰი ჯიუტ არნაბუდელთა დასაპყრობად მიემგზავრებოდა; ქართველ არნაბუდელთაგან რამდენიმე ათასი წყეული მოულოდნელად დაესხა თავს არზრუმის ბეგლარბეგს მუსა ფაშას, მოჰკლა იგი და კიდევ ბევრი ისლამის სარწმუნოებისათვის მებრძოლი გმირი გაუყენა სამარადისო ბედნიერების [სამოთხის] გზას. ამ დროიდანვე ისლამის ფადიშაჰმა განიზრახა ეპოვა შემთხვევა და შური ეძია წყეულებზე. ამიტომ ამავე კურთხეულ წელს ზემოხსენებულ მირმირანს ებრძანა გაემგზავროს [მაგ მხარეში]. ციხესიმაგრეები, რომელიც მან ფადიშაჰის მზრუნველობით დაიპყრო, შემდეგია: ალება ციხე ბარაკანისა, ალება ციხე კომკისა, ალება ციხე ბანაკისა და ციხე პერნაკისა, ციხისა ქურუკისა, სამალარისა, ციხისა ახასი. ამ ჩამოთვლილი ციხეებიდან ზოგი ბრძოლით იქნა აღებული, ზოგი კიდე თვითონ დანებდა“.⁷⁹

ქართველებისა და თურქების ეს კონფლიქტი უკავშირება ირან-ოსმალეთის ომის განახლებას, რომელიც 1547 წელს დაიწყო, როდესაც სამცხის მთავარმა ირანის მხარე დაიკავა.⁸⁰ იბრაჰიმ ფენევის მიხედვით, ოსმალეთის არმიის შემოსევა ქართველების თავდასხმის საპასუხო რეაქცია ყოფილა. ქართველებმა არზრუმის ბეგლარბეგი, მუსა ფაშა მოკლეს, და ოსმალეთს დიდი მარცხი აწვნიეს. ოსმალთა საპასუხო რეაქციამ დიდი ხანი არ დააყოვნა.

ოსმალეთის სულთნის, სულეიმან კანუნის (1520-1566), ბრძანებით, მირმირანის სარდლობით ოსმალთა არმიამ დაღუპულ მეომრებზე შურისძიების საბაბით სამცხე-საათაბაგო დალაშქრა. 1548 წელს ოსმალების არმიის ერთი ნაწილი მდინარე ოლთისისწყლის ხეობაში შემოიჭრა. ხეობაში შემოსულმა თურქებმა ორი ძლიერი ციხესიმაგრე დაიკავეს, სამკარი და ახა. აღნიშნული ოლთისისწყლის ხეობის დაპყრობის დასაწყისი იყო. ამ ციხესიმაგრეებთან ერთად, როგორც ვიხილეთ, თურქები კიდევ უფრო ჩრდილოეთით, ტაოს სიღრმეში შეიჭრნენ და სხვა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეების ალება დაიწყეს.

⁷⁹ იბრაჰიმ ფენევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გამომც. სერგი ჯიქია. თბ. 1964, გვ. 26-27.

⁸⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 109.

ოლთისისწყლის ხეობაში ახას ციხესთან ერთად ოსმალეთის არმიამ სამკარის ციხეც აიღო, რომელიც წყაროში სამადარის, ანუ სამაკარის ფორმით არის დაფიქსირებული. ეჭვი არ არის, რომ იბრაჰიმ ფეჩევი „სამადარში“ სამკარს გულისხმობს, ამას ადასტურებს ისიც, რომ ამ ციხესთან ერთად ახას ციხეცაა დასახლებული. ორივე, სამკარი და ახა, მამირვანის მხარის დაქვემდებარებაში და ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ.

ამდენად, ოსმალების 1548 წლის ლაშქრობა იმისი დამადასტურებელია, რომ იმპერიამ უკვე აქტიურად დაიწყო არა მძარცველობითი ლაშქრობების, არამედ დაპყრობითი ომის წარმოება. დაპყრობები მათ მომდევნო წელსაც გააგრძელეს, როდესაც თურქულმა არმიამ კიდევ მრავალი ციხესიმაგრე დაიკავა სამცხე-საათაბაგოში. იბრაჰიმ ფეჩევი გადმოგვცემს:

„956 წელი [=1549]. ამ ხანებში საქართველოს ურჯულოები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ. როდესაც უზენაესმა ფაღიმაჰმა შეიტყო ზოგი მათი დასაგმობი საქმიანობის შესახებ [საქართველოზე გალაშქრება] მიანდო აჰმედ ფაშას არზრუმის, ყარამანის, ზურყადირლისა და სივასის ბეგლარბეგებთან, მათი სანჯაყების ბეგებთან და ანიჩარის ქეთხუდასთან ერთად, რამდენიმე ათასი ანიჩარისა და ლურებას ბოლუქი ალათა თანხლებით. მათ მიიღეს ფაღიმაჰის ხელზე მოხვევის პატივი და დიდებული შაბანის [თვის] პირველ დღეს [ჩვ.წ.=1549 წ. 25. VIII.] გაუდგენენ გზას. ჯერ დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმის ციხე. ნიხახისა და ამირახორის ციხეები დაგვინებდნენ. ახჩაყალა ბრძოლით იქნა აღებული... ხსენებულ მხარეში (აღებული ციხეებიდან – ლ.თ.) დატოვებულ იქნა თხუთმეტი ციხე; დანარჩენი მიწასთან იქნა გასწორებული. შემდეგ თორთუმი, თალხისი, ახჩაყალა და დივანას ხევი განსაზღვრულ იქნა როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს. ამის შემდეგ მშვიდობითა და სიუხვით დაბრუნდნენ და პატიოსანი შეგვალის [თვის] მეორე დღეს [=1549 წ. 24.X.] ჯოლუქად წოდებულ ადგილას უავგუსტოეს ჯარს შეუერთდნენ“⁸¹

1549 წლის აგვისტო-ოქტომბერს მიმდინარე სამხედრო კამპანიის დროს აღებული ციხესიმაგრეების რიცხვი ორ ათეულს აჭარბებდა, რომელთაგანაც ოსმალებმა თხუთმეტი დატოვეს, ხოლო დანარჩენი მიწასთან გაასწორეს.⁸² სამკარის ციხე იმ საფორტიფიკაციო ნაგებობებს შორის მოხვდა, რომლებიც გადაურჩა სრულ დანგრევასა და განადგურებას. ამავე დროს, ოს-

⁸¹ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 27-28.

⁸² იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 27-28.

მალემა საკუთარი ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბებაც დაიწყო. როგორც თურქ მემატიანესთან ჩანს, თორთუმის ირგვლივ ცალკე სანჯაყი ჩამოყალიბდა, რომელიც, როგორც ჩანს, არზრუმის ვილაიეთში გააერთიანეს. ოსმალებმა დაიკავეს მამირვანის ციხეც და ოლთისისწყლის ხეობაში მამირვანის ლივა (სანჯაყი) ჩამოაყალიბეს, რომელშიც გაერთიანდა სამკარის ციხე.⁸³

1555 წლის 29 მაისს დადებული ამასიის საზავო ხელშეკრულებით სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია ოსმალეთის სასულთნომ და სეფიანთა ირანმა ორად გაიყვეს: ჭოროხის აუზის მხარე ოსმალეთს ერგო, ხოლო საათაბაგოში შემაგალი მტკვრის ხეობა – ირანს.⁸⁴ აღნიშნული დაყოფის მიხედვით, სამკარის ციხე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ამასიის ზავის შემდეგ ოსმალეთმა მნიშვნელოვნად გაიმყარა პოზიციები დაპყრობილ ტერიტორიებზე, მათ შორის, სამკარის ციხეზე. დაკავებულ ტერიტორიებზე ოსმალურ მიწისმფლობელობას ამყარებდნენ, ხოლო ციხესიმაგრეებში თურქულ გარნიზონებს აყენებდნენ. ამ კუთხით გამონაკლისი არც სამკარის ციხე გახლდათ. ოსმალეთის იმპერიის მესვეურები, სანამ ახალ ომს წამოიწყებდნენ სეფიანთა ირანის წინააღმდეგ კავკასიის დარჩენილი მიწებისთვის, დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციული სისტემის მოწესრიგებას შეუდგნენ.

მამირვანის ლივა ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“ შეიტანეს. დაპყრობილი ქართული პროვინციების აღწერა სულთან სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) 1574 წლის 23 მარტის ბრძანებით სპეციალურ დავთარში შეიტანეს. ესაა ე.წ. 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.⁸⁵ მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დავთარში არ არის შეტანილი მამირვანის ლივის აღწერილობა.

მამირვანის ლივა გურჯისტანის ვილაიეთის დავთარს მოგვიანებით დაუმატეს სულთან მურად III-ის (1574-1595 წწ.) დროს. ცნობილია მურად III-ის დროინდელი ე.წ. „მამირვანის ლივის ვრცელი დავთარი“,⁸⁶ თუმცა ამაზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს დავთარი სახელწოდებით „მამირვანის ლივა გურჯისტანის ვილაიეთში“, რომელსაც მისი გამომცემელის ნოდარ შენგე-

⁸³ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 95, 110, 220,

⁸⁴ ვ. გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ. 1973, გვ. 113.

⁸⁵ 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 10-12.

⁸⁶ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 16-19, 95-213.

ლიას მიხედვით, თარიღი არ უზის.⁸⁷ ორივე დავთრის ქეთხულების სახელე-
ბისა და პატრონიმების შედარება საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ „მა-
მირვანის ლივა გურჯისტანის ვილაიეთში“ დაახლოებით ერთი თაობით ადრე
უნდა იყოს შედგენილი, ვიდრე ე.წ. მამირვანის ლივის ვრცელი დავთარი.⁸⁸

„გურჯისტანის ვილაიეთის მამირვანის ლივის“ დავთარი, ვიფიქრობთ,
ასევე, მურად III-ის (1574-1595 წწ.) დროს უნდა იყოს შედგენილი, რო-
გორც ჩანს, მისი მმართველობის დასაწყისში, რათა შეეცნოთ მისი მამის, სე-
ლიმ II-ის დროს შესრულებული 1574 წლის 23 მარტის აღწერილობა. ამ
დავთრის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო სოფელს სამალარი ეწოდება.⁸⁹
სოფელში სულ 34 ოჯახია აღწერილი, ხოლო გადასახადების სახით შეწე-
რილია გამოსაღები ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, წისქვილზე, ბენაქზე, ჯარი-
მებზე, ბოსტანზე, ოსპზე, მუხულოზე, ცერცვზე, იონჯაზე, თივაზე და ა.შ. სა-
ერთო ჯამში 13 000 ახჩა.⁹⁰ აღნიშნულიდან კარგად ჩანს, თუ რა სახის მე-
ურნეობები იყო განვითარებული სოფელ სამკარში. გადასახადები არ უნდა
ყოფილიყო ძალიან მძიმე, შესაბამისად, ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობ-
და ეს მხარე რაც შეიძლება მალე მოეშენებინა იმისთვის, რომ შემოსავალი
მოძავალში კიდევ უფრო გაზრდილიყო. დღის წესრიგში იდგა, ასევე, სოფ-
ლის ისლამიზაციაც. აღნიშნული ძლიერ შესამჩნევია იმავე სულთან მურად
III-ის დროს შესრულებულ „მამირვანის ლივის ვრცელი დავთარში“, რომე-
ლიც სულთნის სიცოცხლის ბოლოს უნდა შედგენილიყო.

⁸⁷ ნ. შენგელია. „მამირვანის ლივა გურჯისტანის ვილაიეთში“. ქართული დიპლომატია (წე-
ლიწოდებული). თბ. 2013, გვ. 355; ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის
შესახებ, გვ. 24.

⁸⁸ სოფელ შექერლის ქეთხულა მურადი დასახელებულია ძმებთან, მარქართან და ჰალამთან
ერთად „გურჯისტანის ვილაიეთის მამირვანის ლივის“ დავთარში (ოსმალური ვრცელი და
მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 215), ხოლო „მამირვანის ლივის ვრცელ
დავთარში“ კვლავ ინარჩუნებს ქეთხულობას, მაგრამ აღარ მოიხსენიებიან მისი ძმები. შამაგიე-
როდ, დასახელებული არიან მისი შვილები, ავაქი და აზარშა, რომლებიც უკვე იმდენად
ზრდასრულები არიან, რომ ცალკე ოჯახის თავებად არიან დასახელებულნი ვრცელ დავთარში
(იქვე, გვ. 103); „გურჯისტანის ვილაიეთის მამირვანის ლივის“ დავთრის მიხედვით, სოფელ
ოლურნუის ქეთხულაა ისფენდიარისი, მასვე ჰყავს ძე, კვალითი, და ძმა, გელ ბაქი (იქვე, გვ.
216), ხოლო „მამირვანის ლივის ვრცელი დავთრის“ ცნობით, იხსენიება მხოლოდ იასონ ძე
ისფენდიარისა, ხოლო ქეთხულა ავენდ ომიქის ძეა (იქვე, გვ. 120-121). როგორც ჩანს, ისფენ-
დიარისი გარდაიცვალა და ქეთხულობა სხვამ მიიღო, ხოლო ისფენდიარის ვაჟიშვილი, იასონი,
გაზრდილია და ოჯახის თავად იწოდება. რა ბედი ეწია ისფენდიარის უფროს ძეს, კვალითსა
და ძმას, გელ ბაქს, არ ჩანს. ისინი ან გარდაიცვალნენ, ანდა სოფელი დატოვეს.

⁸⁹ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 220.

⁹⁰ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 220.

სულთან მურად III-ის (1574-1595 წწ.) მმართველობის ბოლოს შედგენილ „მამირვანის ლივის ვრცელი დავთრის“ სარჩევში ჩვენთვის საინტერესო სოფელი მოიხსენიება, როგორც სიმღარი.⁹¹ ძირითადი აღწერილობის მიხედვით მისი სახელია – სამღარი.⁹² აღნიშნული სოფელი აქაც მამირვანის ლივაშია წარმოდგენილი და ამავე სახელწოდების ნაჰიეშია გაერთიანებული.⁹³

„მამირვანის ლივის ვრცელი დავთრის“ მიხედვით, სოფელ სამღარში, რომელიც აშკარად სამკარია, 101 კომლი მოსახლეობს, ამათგან უმეტესობა მუსლიმია.⁹⁴ ჩვენი აზრით, დიდი ნაწილი ჩასახლებული მუსლიმია, ხოლო მცირე ნაწილი კი – გამუსლიმებული ქართველები და სომხები. შეინიშნებიან ქრისტიანი მოსახლეობიც, რომლებსაც არ მიუღიათ ისლამი, ნაწილი, შესაძლოა, სოფლის ტერიტორიაზე დააბრუნეს.

აღნიშნული დავთრის მიხედვით, გარკვეული მონაცემები გვაქვს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებაც. გადასახადთა ნაირსახეობების სიმწირე გვაფიქრებინებს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა შესუსტებული იყო. სოფელზე დაწესებული საერთო გამოსაღები 18 000 ახნა ყოფილა,⁹⁵ რაც ოდნავ მაღალია წინა მჩვენებელთან, როდესაც მოსახლეობა შემცირებული ჩანს.⁹⁶ ამ დროს კი უკვე 101 კომლია დაფიქსირებული და ისინი იხდიან გამოსაღებს ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, ბოსტანზე, იონჯაზე, სკაზე, იალაღზე, ღორზე, ცხვარზე და ა.შ. გადასახადია დაწესებული ერთ წისქვილზე და სამ ახალ წისქვილზეც.⁹⁷ ცხვარზე დაწესებული გამოსაღები შესაძლოა იქ მომთაბარე მოსახლეობის ჩასახლებასაც გულისხმობდეს. ამგვარი სახის გადასახადი წინა შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვიხილეთ, დაწესებული არ ყოფილა.⁹⁸ ღორზე დაწესებული გამოსაღები ქრისტიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობრუნებაზე უნდა მიანიშნებდეს.

„ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის“ მიხედვით, ჰიჯრით [1]116 წელს (1704-1705 წწ.) მამირვანის ლივის ახას ნაჰიეში ვინმე ჰასანს სოფელი სამკარი ექვემდებარება. ჰასანს მისი სამფლობელოდან 12 000 ახნა, ოს-

⁹¹ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 95.

⁹² ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 110.

⁹³ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 95.

⁹⁴ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 110-111.

⁹⁵ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 111.

⁹⁶ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 220.

⁹⁷ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 111.

⁹⁸ ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 220.

მალური ვერცხლის ფული აქვს შემოსავალი.⁹⁹ იმავე ჯაბა დავთრის მიხედვით, ჰიჯრით 1118 წელს (1706-1707 წწ.) მამირვანის ლივის ამავე სახელწოდების ნაპიეში სოფელი სამკარი ექვემდებარება ვინმე მეჰმედს, რომელსაც მიწიდან შემოსავლის სახით 3500 აჩხა აქვს განსაზღვრული.¹⁰⁰ კვლავ, იმავე ჯაბა დავთრის მიხედვით, ჰიჯრით [1]118 წელს მამირვანის ლივის იმავე სახელწოდების ნაპიეს სოფელ სამკარის მფლობელად იხსენიება ჯიბრაელი, რომელსაც 3000 აჩხა აქვს შემოსავალი.¹⁰¹ როგორც ჩანს, სოფელი სამკარი გაყოფილი იყო რამდენიმე მფლობელს შორის, მათგან დასახელებულნი არიან მეჰმედი და ჯიბრაელი, მათ ჰიჯრით 1118 წლისთვის (1706-1707 წწ.) სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიწა აქვთ მიღებული და ამ სოფლის დროებით მფლობელებად გვევლინებიან. რაც შეეხება კიდევ ერთ მფლობელს, ჰასანს, რომელიც სამკარს ჰიჯრით 1116 წელს (1704-1705 წწ.) ფლობდა, იგი სოფელს ან ზემოხსენებულ ორ მფლობელთან იყოფს, ანდაც ჰიჯრით 1118 წლისთვის (1706-1707 წწ.) უკვე გარდაცვლილია, ან ჩამოშორებულია მიწის მფლობელობას და მიწა უკვე სხვის ხელშია. არც ერთი ვარიანტის გამორიცხვა არ შეიძლება. ჯაბა დავთრის მიხედვით, ჰიჯრით 1116 წლის (1704-1705 წწ.) შემდეგ ჰასანის ბედი უცნობია.

ამ შემთხვევაში სამკარის მფლობელების ვინაობა იმდენად საინტერესო არ არის რამდენადაც ოსმალური მიწისმფლობელობის წესის მოქმედება სამკარის ტერიტორიაზე, აღნიშნული წესის მიხედვით, მიწა და, შესაბამისად, სოფელი ეძლევა იმ კონკრეტულ პირს, რომელიც ოსმალეთის იმპერიის სამხედრო სამსახურშია. ის მფლობელად ითვლება იქამდე, სანამ არმიაში მსახურობს. მიწის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ, თუ მისი მემკვიდრე იმავე სახის სამსახურს აღარ გასწევს იმპერიის მიმართ, მიწას მას ართმევენ და გადასცემენ სხვა პიროვნებას, რომელიც იმავე სამსახურს შესთავაზებს ხელმძღვანელობას, რასაც მიწის წინა მფლობელი სთავაზობდა. გამორიცხული არ იყო მიწის ჩამორთმევა ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროსაც. ეს იმ შემთხვევაში, თუ მფლობელი არ ასრულებდა მისადმი დაკისრებულ ვალდებულებას. ამდენად, ქართული მიწის მფლობელობის წესისგან განსხვავებით, როდესაც ქართველი ფეოდალი მიწას მამულის, ანუ სამემკვიდრეო სახით ფლობდა, ჩამოყალიბდა მიწის ფლობის ახალი, ოსმალური

⁹⁹ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 109.

¹⁰⁰ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 125.

¹⁰¹ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.), გვ. 125.

წესი, როდესაც მიწას აღარ ჰყავს რეგულარული მფლობელი ერთი საგვარეულოს სახით და ის, როგორც წესი, ხელიდან ხელში გადადის.¹⁰²

მიწის მფლობელობის ოსმალური წესი, ერთი მხრივ, უპირატესი იყო ქართულზე, თუმცა, სხვა მხრივ, მას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც ჰქონდა. უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მიწა მხოლოდ იმ პირებს გადაეცემოდა, რომლებიც თავდადებული იქნებოდნენ ქვეყნისა და ოსმალეთის სულთნისთვის. ამისთვის კი აუცილებელი წინაპირობა ისლამის მიღება იყო. იმპერიის სიმტკიცისა და სტაბილურობისთვის მიწის მფლობელობის ასეთ სისტემას რეალურად მნიშვნელოვანი უპირატესობები ჰქონდა. რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ისინი არანაკლები იყო, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მიწაზე პირადი საკუთრების მოსაპოვებლად გულისხმობდა, რაც ამცირებდა მამულზე ზრუნვისა და მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობას მეპატრონის მხრიდან. დროებითი შესაკუთრე, მუდმივი შესაკუთრისგან განსხვავებით, მიწის განვითარებისა და იქ ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის ნაკლებ დანახარჯებს წვედა და, ძირითადად, ორიენტირებული იყო მის ექსპლუატაციაზე და მისგან რაც შეიძლება დიდი სარგებლის მიღებაზე ნაკლები ინვესტირების პირობებში. მემამულე-მფლობელი საკუთრებაზე შედარებით უფრო მეტად არის მიჯაჭვული და, შესაბამისად, მის განვითარებასა და დაცვაზე მაქსიმალურად ზრუნავს. სხვა არის ის, რომ ფეოდალი-მემამულე ცენტრალურ ხელისუფლებაზე შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული, რაც მისი ურჩობის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის.

ამგვარად, მესხეთის ტერიტორიაზე მიწის მფლობელობის ორივე წესს თავისი უპირატესობები ჰქონდა. თუმცა საერთო შედეგი იყო ის, რომ ფეოდალური ქართული სამეფო-სამთავროები წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ოსმალეთის ცენტრალიზებულ იმპერიას და კარგავენ კონტროლს ისეთ მდიდარ რეგიონზე, როგორც მესხეთია. შესაბამისი სოციალური ცვლილებებიც სწორედ ასეთი პოლიტიკური ცვლილებების ნაყოფია.

სამკარის ციხის ოსმალთა მმართველების ხელში გადასვლამ იქ არა მხოლოდ პოლიტიკური რეჟიმის, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებსაც დაუდო სათავე, რაც, საბოლოოდ, ამ მხარის ეთნიკური, რელიგიური და დემოგრაფიული ცვლილებების მომასწავებელი გახდა. ოსმალური სოციალური

¹⁰² მიწისმფლობელობის შეცვლილ წესთან დაკავშირებით იხილეთ: თ. ღუნდუა, აპ. თაბუაშვილი, გ. ჟუჟუნაშვილი. კონსტიტუციური ცვლილებები „ოსმალის საქართველოში“ (ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI-XIX საუკუნეებში). თბ. 2013.

სისტემის გაბატონებამ ციხის ფუნქციის დაკარგვა გამოიწვია. ახალ მფლობელებს, სიფაჰებს, ციხესიმაგრის განვითარებისთვის ზრუნვა ნაკლებად უწევდათ, ვინაიდან ეს ციხე არ წარმოადგენდა მათ სამემკვიდრო, მამისეულ მიწას.

ამდენად, სამკარის ციხის სტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვისთანავე მისი ფუნქცია დაიკარგა და ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ძველი სამკარის ციხე უკვე ნაციხარია. ოსმალურ დავთრებში იგი აღარ იხსენიება, ვინაიდან მისი მნიშვნელობა იმდენად დაცემული იყო, რომ სპეციალურ აღნიშვნას არც საჭიროებდა. ამ კუთხით უფრო მნიშვნელოვანი გახდა სოფელი და მისი შემოსავალი, რომელიც კონკრეტული სამხედრო მოსამსახურის დროებით მფლობელობაში გადადიოდა, სადაც დროებით მფლობელ-ადმინისტრატორის ფუნქციას თიმარიოტი სიფაჰი ასრულებდა.

თიმარი, ანუ დროებით სარგებლობაში გადაცემული 20000-მდე აჩხის შემოსავლის მქონე მიწა ეძლეოდა მხედარს, ანუ სიფაჰს, იმ სამსახურის სანაცვლოდ, რომელსაც იგი სწევდა ოსმალეთის არმიის სასარგებლოდ.¹⁰³ ამდენად, თიმარიოტი სიფაჰები XVI საუკუნიდან ქართველ ფეოდალებს ანაცვლებენ, როგორც მიწის მფლობელები. განსხვავებით ქართველი ფეოდალებისაგან, ოსმალთა თიმარიოტები მიწის დროებითი მფლობელები იყვნენ. ხშირი იყო სოფლისა თუ მამულის გაყოფის შემთხვევები სხვადასხვა სიფაჰს შორის. თიმარის წესით, მიწის გადაცემა შესაძლებელი იყო ქართველებზეც, ოღონდ ამისთვის კონკრეტულ პიროვნებას ისლამი უნდა მიეღო. რელიგიის შეცვლა, ქრისტიანობის უარყოფა და ისლამის მიღება XVI საუკუნიდანვე დაიწყო, თუმცა გარკვეული რაოდენობის ქრისტიანი ფეოდალები მორჩლების სანაცვლოდ მაინც ინარჩუნებდნენ მამულებს. მათი რაოდენობა მცირე იყო. XVII საუკუნიდან მოყოლებული მიწის დაუფლებისთვის ისლამის მიღება აუცილებელი წინაპირობა გახდა. აღნიშნულმა მოვლენამ მესხეთის ისლამიზაცია მნიშვნელოვნად გააძლიერა.

მოგვიანებით ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებამ გაცილებით იაფი გახადა მეომრის შეიარაღება. ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ქვეითის გამოყვანა იაფი იყო, ვიდრე მძიმედ შეიარაღებული მხედრის აღჭურვილობა. ცეცხლსასროლ იარაღზე მასიურმა გადასვლამ თიმარიოტი სიფაჰების საჭი-

¹⁰³ თიმარული სისტემისა და მისი კრიზისის შესახებ ქართულენოვანი ლიტერატურიდან იხ.: მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბ. 2007, გვ. 69-83, 181-186. იქვე, წიგნის ბოლოში, იხილეთ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობებისა და, ზოგადად, თურქეთის ისტორიის შესახებ (იქვე, გვ. 558-574).

როება ნელ-ნელა გააქრო. შესაბამისად, სულთნის ხელისუფლება უფრო მეტად იყო დაინტერესებული თიშარიოტების ხელში არსებული მიწებისაგან შემოსავლის მიღებით, ვიდრე მიწაზე ძვირად შესანახი სამხედრო პირის მიმაგრებით. ამის გამო თიშარიოტები ნელ-ნელა გააუქმეს, ხოლო მიწები სახელმწიფოს პირდაპირ დაქვემდებარებაში მოაქციეს.

აღწერა

ციხესიმაგრე, როგორც ადგილობრივებმა გვიაბგეს, XX საუკუნის 80-იან წლებში მიწისძვრამ დაანგრია, ხოლო 2000-იან წლებში საფუძვლიანად აღადგინეს და ფაქტობრივად, ძველი იერსახე დაუკარგეს.

ტერმინი „სამკარი“, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამი ხეობის ჩამკეტ ციხესიმაგრეს გულისხმობს, თუმცა თავად ამ ციხესიმაგრეს ერთი მისასვლელი აქვს და, შესაბამისად, ერთი კარიბჭე.

ციხესიმაგრე აშკარად შუა საუკუნეების პერიოდისაა, რომელიც თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით მამირვანის მხარის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ცენტრია. სხვაა ის, რომ სამკარის ციხეს თავისი ისტორიული იერსახე მთლიანად აქვს შერყვნილი, რის გამოც მისი ძველ, ისტორიულ, ციხესიმაგრედ აღქმა ძნელია.

თანამედროვე გადაკეთების მიუხედავად, ციხესიმაგრის ძველი ფორმები გარკვეულწილად შენარჩუნებულია. ზემოდან თუ დავაკვირდებით, ციხესიმაგრეს საინტერესო ფორმა აქვს და რელიეფს მიუყვება. ციხე სოფლის ყველაზე ამაღლებულ წერტილშია აგებული. იქიდან ის მთელ სოფელსა და ირგვლივ არსებულ პერიმეტრს გადაჰყურებს. აკონტროლებს იმ სამ გზაშესაყარს, რის გამოც მიიღო სახელწოდება – სამკარი.

ციხესიმაგრის როგორც შიდა, ასევე, გარე კედლები საგანგებოდაა აშენებული აგურისა და ცემენტის გამოყენებით, მთელი ეს კონსტრუქცია თანამედროვე მშენებლების ნახელავია და XXI საუკუნის დასაწყისშია შესრულებული. ერთადერთი „დადებითი“, რაც ამ ახალ კონსტრუქციას აქვს, არის ის, რომ იგი ძირითადად მიუყვება ძველი ციხესიმაგრის ნაკვალევს და ფორმის მიხედვით თითქმის იმეორებს გალავნის იმ წყობას, რომელიც მას ადრეულ ხანაში ჰქონდა.

სამკარის ციხის ამჟამინდელი მაქსიმალური სიგრძე 64 მეტრია, ხოლო სიგანე 18 მეტრი. ციხესიმაგრის მთლიანი ფართობი დაახლოებით 660 მ. დღეს არსებული კედლის მაქსიმალური სიმაღლე კი 4 მეტრს აღწევს. ხო-

ლო, რაც შეეხება კედლების სისქეს, ის 1,2 მეტრია. ბუნებრივია, აღნიშნული ზომები დღევანდელი რეალობის გათვალისწინებითაა აღებული, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად განსხვავებული არ უნდა იყოს იმისგან, რაც შუა საუკუნეებში იყო.

ციხესიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის ქვედა ფენაში შეიმჩნევა მუქი ფერის აგურის წყობის გამოყენება. აღნიშნული, ბუნებრივია, არ წამოადგენს თანამედროვეთა ნახელავს, ის ოსმალური პერიოდის შემოქმედებაა, როდესაც ციხესიმაგრეებს ამგვარი წყობით ამაგრებდნენ. მსგავსი წყობა გამოყენებულია არდაგანის ციხე-გალავნის მშენებლობისას. როგორც ჩანს, ციხესიმაგრე ოსმალებს საგანგებოდ განუახლებიათ, ხოლო მას შემდეგ, რაც ის სტიქიურმა უბედურებებმა დააზიანა, თურქეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ხელახლა ააშენა.

ოსმალური ფენის ნაშთები იმავე ჩრდილოეთის კედლების სხვა მონაკვეთშიც შეიმჩნევა, განსაკუთრებით კედლის გარე ფასადზე დაკვირვებისას. რაც შეეხება ინტერიერს, ანუ შიდა სივრცეს, იგი თითქმის თავიდან ბოლომდე თანამედროვეთა ნახელავია. აქ ოსმალური კედლების ნაშთები იმავე ჩრდილო-აღმოსავლეთით შეიმჩნევა, მსგავსად ექსტერიერისა. ძველი აგურები შესამჩნევად მუქია და ინარჩუნებს ძველ იერსახეს. გალავნის კედლებს კონსერვაციის მიზნით ზემოდან ცემენტი აქვს დასხმული და ის საგანგებოდაა გაბრტყელებული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ციხესიმაგრეს ქართული კვალი თითქმის აღარ სცხია. ის სამკარის ციხეში, ფაქტობრივად, ბოლომდე წარსოცილია. აღნიშნული, უპირატესად, თანამედროვეთა უხეში ჩარევით არის გამოწვეული. თუმცა არის სხვა მიზეზიც, როგორც ჩანს, ოსმალურ პერიოდში ციხესიმაგრეში საგანგებო გადაკეთება-რესტავრაცია განხორციელდა. აღნიშნული უფრო 1548 წლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო, როდესაც ოსმალეთის ხელისუფლებას სამკარის ციხე განსაკუთრებით ესაჭიროებოდა რეგიონის კონტროლისა და ხელისუფლების განმტკიცების მიზნით.

სამკარის ციხეს ამჟამინდელი მდგომარეობით საკმაოდ დიდი სივრცე უკავია. განსაკუთრებით ვრცელია ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. მისი უკიდურესი ჩრდილოეთ წერტილი ციხის ყველაზე ამაღლებულ მონაკვეთს ქმნის. აქედან ციხესიმაგრის ნახევარზე ოდნავ მეტი მანძილის გავლისას ციხის შიდა სივრცე საკმაოდ განიერია, რის მერე, რაც უფრო ქვემოთ ჩადინარ, გასასვლელისკენ, სივრცე მით უფრო ვიწროვდება და ყველაზე ვიწრო

წერტილს შემოსასვლელ კარიბჭესთან ქმნის. ციხესიმაგრეს შემოსასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს. შესასვლელი კარის სავარაუდო აღვილას ღიობის სიგანე 1,8 მეტრია.

ციხესიმაგრის შემოსასვლელი კლდეზე გადის და მასზე ამოსვლა საკმაოდ რთულია. ციხეზე მისასვლელი ჩრდილოეთის კედლის მხრიდან მიუყვება ფერდობს და ციხესიმაგრის კედლის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთი წერტილიდან შემოვყავართ სამკარის ციხის შიდა სივრცეში. ძველი კარიბჭის კვალი შემოსასვლელთან ერთად თავიდან ბოლომდე წაშლილია. ორი კედელი, რომლებიც თანამედროვე კარიბჭის ილუზიას ქმნის თანამედროვეთა ნახელავია. თუმცა ეჭვი არ არის, რომ შემოსასვლელი სწორედ ამ მხრიდან უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ფერდობზე ამოსასვლელ გზას სწორედ აქ მოვყავართ. სხვა გზა, რომლითაც ციხესიმაგრეზე ამოსვლა შესაძლებელი, უბრალოდ არ არსებობს.

სამკარის ციხის შიდა სივრცე პირწმინდად მოსუფთავებულია და იქ მხოლოდ ბალახი ხარობს. არანაირი ნიშანსვეტი რაიმე ძველი ნაგებობისა აქ არ არის. როგორც ჩანს, ციხესიმაგრის გაწმენდაზე მშენებლებს საგანგებოდ უზრუნიათ. ამ ე.წ. „სარესტავრაციო“ სამუშაოების დროს აღმოაჩინეს თუ არა რაიმე ფასეული არქეოლოგიური არტეფაქტი, ჩვენთვის უცნობია.

ციხესიმაგრე, როგორც აღვნიშნეთ, ამაღლებული კლდის წვერზეა აგებული. მისი მდებარეობიდან გამომდინარე, ის ბატონობს ირგვლივ არსებულ სივრცეზე და კარგად აკონტროლებს ციხისკენ მომავალ გზებს. ციხესიმაგრე-დან ოლთისისწყლის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩანს, რაც ამ არეალის თვალთვალის საშუალებას იძლევა.

ზემოთ აღწერილის გარდა, როგორც აბუ ბექრ თეჰრანის ცნობებით დგინდება, მას უნდა ჰქონოდა რამდენიმე ბურჯი.¹⁰⁴ ზუსტი რაოდენობის შესახებ მონაცემები არ გვაქვს. კედლებს შორის ყოფილა ჩატანებული კოშკებიც. არც კოშკების ზუსტი ოდენობა დგინდება, თუმცა მათი არსებობა, სპარსელი ავტორის მიხედვით, დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს.¹⁰⁵ დღევანდელ სამკარის ციხეზე კოშკები და ბურჯები აღარ იკითხება, სამაგიეროდ, მათ ნაცვლად საფეხურებრივი გალავნის კედელი გვაქვს წარმოდგენილი. მას რაიმე საერთო შუა საუკუნეების კედელთან, არ უნდა ჰქონდეს. გვიანდელი,

¹⁰⁴ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 69.

¹⁰⁵ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 69.

ოსმალური ნახელავი უნდა იყოს, ხოლო ძირითადი ნაწილი მაინც თანამედროვეების ჩარევის შედეგია.

აბუ ბექრ თეჰრანის თხზულებაში განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები ციხესიმაგრის შესასვლელი კარების შესახებ. ავტორის ცნობით, უზუნ-ჰასანის მოლაშქრეებმა „ქვემოთა ციხის კარს“ შეუტყეს და შტურმით აიღეს, მაგრამ ამით ბრძოლა არ დამთავრებულა და იგი გრძელდებოდა.¹⁰⁶ სპარსელი ისტორიკოსის მიხედვით, ციხესიმაგრე საბოლოოდ დაეცა მას შემდეგ, რაც ციხის ზედა ნაწილი აიღეს. ცნობაში ისე ჩანს, რომ თითქოს სახეზეა ორი ციხე, ზედა და ქვედა, თუმცა, რეალურად, უნდა არსებულიყო მხოლოდ ერთი ციხესიმაგრე, რომელსაც ორი ნაწილი ჰქონდა. ჩვენი ვარაუდით, მათ ერთმანეთისგან ჰყოფდა კედელი და შიდა კარი.

აღნიშნული შიდა კარი დღეს არსებული ციხესიმაგრის ტერიტორიაზე, კონკრეტულად, ინტერიერის ცენტრალურ ნაწილში არსებულ ვიწრობზეა სავარაუდებელი. ამგვარად, უზუნ-ჰასანის მოლაშქრეების მიერ აღებული ე.წ. „ქვემოთა ციხის კარი“ ამჟამინდელ შესასვლელს უნდა გულისხმობდეს, ხოლო სხვა კარი, ანუ „ზედა კარი“, რომელიც, მართალია, ნახსენები არაა, მაგრამ იგულისხმება (რახან არსებობს „ქვედა ციხის კარი“ უნდა იყოს ზედაც), რეალურად არსებული უნდა იყოს. ის, როგორც აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, მდებარეობდა სამკარის ციხის ინტერიერის ტერიტორიაზე. გიორგი ბაგრატიონის შენიშვნით, თუ არსებულ გეგმას დავყვრდებით, სავარაუდოდ, მეორე კარი ქვედა კარიდან 15-ოდე მეტრში უნდა ყოფილიყო, სადაც შიდა სივრცე მნიშვნელოვნად ვიწროვდება და შემდეგ ისევ გაფართოებას იწყებს.¹⁰⁷

საინტერესოა, რატომ გახდა საჭირო შიდა კარის აგება? სამკარი არ არის ისეთი მასშტაბების ციხესიმაგრე, რომ მასში ციტადელი ყოფილიყო გამოყოფილი. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო სამკარის ციხის რელიეფი შუა საუკუნეებში, მათ შორის XV საუკუნეში, მაგრამ საგულისხმოა, რომ ციხის შემოსასვლელის რელიეფი აიძულებდა ხუროთმოძღვრებს, ციხის შესასვლელ კართან ერთად შიდა კართაც გამოეყოთ ციხესიმაგრის ორი ნაწილი.

აღსანიშნავია თავად სამკარის სახელწოდება. ტერმინი „სამკარი“, როგორც აღვნიშნეთ, სამი გზის გასაყარზე მდებარე ციხესიმაგრეს ნიშნავს.

¹⁰⁶ აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 69.

¹⁰⁷ ამ და სხვა საგულისხმო შენიშვნებისთვის დიდ მადლობას მოვასწავებ.

თუმცა ამ შემთხვევაში ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ ციხესიმაგრეს ჰქონდა სამი კარი, რის გამოც იწოდა ამ სახელწოდებით? წყაროებში იკვეთება, სულ მცირე, ორი კარი, რაც სახელის გათვალისწინებით არ გამორიცხავს მესამესაც. ანუ ვგულისხმობთ ერთი ამჟამინდელი შემოსასვლელი კარის ადგილზე არსებულ კარს, ხოლო ორ სხვა კარს ციხესიმაგრის ინტერიერში, ვიწრო ასასვლელში, რომელსაც მივყავართ სამკარის ციხესიმაგრის ყველაზე ამაღლებულ წერტილში. რა თქმა უნდა, ასეთი დაშვება ჰიპოთეტურია, თუმცა მომავალში თუ დადასტურდა, გამოდის, რომ ციხესიმაგრემ სახელწოდება სამი კარიბჭის გამო მიიღო და არა სტრატეგიული მდებარეობის გამო. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, სამკარის ციხე, როგორც ზემოთ მივუთითეთ, მართლაც სამი მნიშვნელოვანი გზის გასაყარზე მდებარეობდა.


დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს ის, რომ სამკარის ციხეში ქართული კვალის წაშლის მიუხედავად, ამ ტერიტორიის შესწავლას საქართველოს ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საისტორიო ნარატივით დადასტურებულია ქართველთა მფლობელობაში მყოფი ძლიერი ციხესიმაგრის ხანგძლივი არსებობა. აღნიშნული უსათუოდ ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ ამ ადგილზე არსებული ციხესიმაგრე დიდი ხნის განმავლობაში იცავდა ქვეყნის შემოსასვლელს. სამკარის ციხის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიკრორეგიონული ისტორიის კვლევის კუთხით, არამედ საქართველოს ისტორიული საზღვრების დადგენის თვალსაზრისითაც. სამკარის ციხესიმაგრის არსებობა და სიმტკიცე შუა საუკუნეების საქართველოს საზღვრების ურდევობის ერთ-ერთი გარანტი გახლდათ.




1. სამკარის ციხე
(გიორგი ბაგრატიონის ფოტო)



2. სამკარის ციხის შესასვლელი
ხედი ციხის ჩრდილო-დასავლეთის კედელზე (ავტორის ფოტო)



3. სამკარის ციხის გეგმა. ავტორი გიორგი ბაგრატიონი



4. სამკარის ციხის კრილი. ავტორი გიორგი ბაგრატიონი

SAMKARI FORTRESS

Summary

Samkari Fortress is situated in Narman ilçe of Erzurum Vilayet (Republic of Turkey). The name of contemporary village is Samikale (Geo. “sami” means three; Turk. “kale” denotes fortress). Old name of Samikale attested in historical sources is the Georgian term “Samkari” (Samikari). “Samkari/Samikari” lit. means three (sami) gate (kari); term “kari” (gate, entrance) in this case indicates the gateway that locks three roads, as three roads are merging each other at this place. Hence the old name of the village as well as the fortress that is attested by numerous historical sources is Samkari.

Tao (south-western part of historical Georgia, now in Republic of Turkey) is divided in two parts: Amiertao and Imiertao. Samkari was the part of Imiertao and was closely linked with Mamirvan, they both are situated in Oltisistskali gorge (Oltu Brook Valley, a tributary of Çoruh River). This gorge was the Georgian frontier with southern neighbors. This valley as well as the fortresses that are located there played important role in the defense of Oltisi (Oltu), political center of Imiertao. Thus this part of Tao became significant for the defense of city of Oltisi from the 10th century.

Samkari Fortress was probably constructed in the second half of the 13th century, or in the 14th century. Accounts of **Abū-Bakr Ṭīhrānī** (1st half of 15th c.-1480s) lead us to this conclusion. Samkari Fortress was considered to be **in-accessible from Muslim rulers**. **Abū-Bakr Ṭīhrānī** mentions Timur the Lame’s incursion and his failure to capture Samkari Fortress. The date is not mentioned, but most probably the attempt from Chagatai troops to conquer the fortress took place in 1402. The next invasion was led by Qara Qoyunlu ruler Iskander. We have assumed 1430-1431 as the possible date for this invasion when Iskander had tried to capture Samkari, but again, that attempt proved to be failure. Once again, according to the same author, another Turkomans, Aq Qoyunlu leader Uzun Hassan and his army besieged Samkari Fortress in 1458 and now Muslims managed to seize it. They also captured five other fortresses in Meskheta, most probably, in Oltisisthkali gorge and in adjacent areas.

The Georgians recaptured all conquered territories of Aq Qyunlu in 1478, when Uzun Hassan died. Samkari Fortress was secured from Muslim invasions before the appearance of Ottomans. Sultan Suleiman the Magnificent in 1548-1549 sent his army against Samtskhe-Saatabago and the Ottomans seized Samkari as well as the other strongholds of Meskheta. After that Samkari was united in Mamirvan nahiye of Oltisi (Oltu) sanjak. Later this sanjak became part of Akhaltsikhe Vilayet (also known as Childir Eyalet). Fortress lost its importance and only village Samkari appears in Ottoman defters (Census Books).

გიორგი სოსიაშვილი

საქართველოს საპატრიარქო და სოფელი ქორდი

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი მამულები ჰქონდა პატარა ლიახვის ხეობაში. ეს იყო როგორც სამეფო ხელისუფლების, ისე წარჩინებულ საგვარეულოთა მიერ შეწირული ქონება. ეკლესიის აქტიურ ურთიერთობას პატარა ლიახვის ხეობის სოფლებთან არაერთი დოკუმენტური წყარო ადასტურებს. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული საბუთებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძველი დოკუმენტი 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარია, სადაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული არაერთი სოფელი იხსენიება: „გორს, რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თვისითა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლაგი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მელვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირშას მონასტერი მთავარანგელოზისა-თვისითა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა“.¹

¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 177; აღსანიშნავია, რომ ამ სიგელს თ. ჟორდანიას იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ გაცემულად მიიჩნევდა. მკვლევარი წერდა: „ეს სიგელი XV საუკუნის პირია ძველის გუჯრისა, 1392 წელს დაწერილისა ალექსანდრე მეფის სახელით. ამავე გუჯრის მე-17 საუკ. პირი ჩართულია ნუსხაში №506 (სიბ:) პირველი სიგელი (ასლი) დაწერილი ყოფილა მეფის კარის მწიგნობრის იოსებისაგან, რომელიც მართლა სწანს 1399 წელს (იხ, 1399 წ. ქვეშე), ხოლო მისგან გადაწერილი პირი ეკუთვნის სვიმონ მეფის დროს, როდესაც დაუმტკიცებიათ ეს პირი... რადგან 1392 წ. ქართლში არ მეფობდა ალექსანდრე, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უნდა იყოს იმერეთა მეფე ალექსანდრე, რომელიც მეორედ გამოეგებულა 1392 წელს, როდესაც მოჰკლეს გიორგი მეფე, მმა მისი, თუმცა შინაარსი გუჯრისა თითქმის მხოლოდ ქართლ-კახეთ-მესხეთს ეხება და არა იმერეთს“ (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ. 195). მწიგნობარი იოსები 1399 წლის დოკუმენტში მართლაც იხსენიება, ეს არის გიორგი მეფის მიერ მცხეთისადმი გაცემული შეწირულობის დოკუმენტი (პირთა

საკათალიკოსო მამულების ნუსხაში ყურადღებას იპყრობს „ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი თვისითა შესავლითა“. აღსანიშნავია, რომ ვირშის მონასტერი თავისი „შესავალი“ მამულებით XV საუკუნის I ნახევრის დოკუმენტშიც გვხვდება. საქართველოს მეფემ ალექსანდრე I დიდმა ვირშის მთა და მონასტერი თავისი კუთვნილი სოფლებით განახლებულ სვეტიცხოველს შეწირა. 1431 წლით დათარიღებულ სიგელში ვკითხულობთ: „და ვითარ გუმართებს, და ჩუენგან სათანადო არის, ეგრეთ კუალადვე ვინებეთ შემატება და გაზედაება და შევსწირეთ და მოვასხენეთ ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი და აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და **ქორდი**; და მას აქათ, ანუ მზღვარი ჰქონებიან მისითა მიმდგამითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მითთა და ბართთა, მზღურითა, სამხრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა ყუალათა ერთობ უნაკლულოდ, მოგუიხსენებია თქუენ, დიდისა და ცათა მომბაძავისა მცხეთისა საყდრისათუის და თქუენისა მპყრობელისა ჩუენისა სულისა მოძღურისა და მეოხისა კათალიკოზისა თეოდორესათუის: მოგუიხსენებია ძუელითგან ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან გადიდებული და შემკობილი **ვირშა მთა და მონასტერი და მისნი შესავალნი, ქორდი და ბადასშვილნი** და მას აქათ, რაცა ძუელითგან მთას და ანუ მამულნი, ანუ გლეხნი და ზღვარნი, და პარტახტნი ჰქონებიან, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მითთა და ბართთა, სახმრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგამითა, სამართლიანითა ყუალათა, ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ... არას ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათვის არ მოგეშალლოს და ვერვინ იკადროს ამისად სარჩლად და ცილებად, ვითა ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან აღშენებულისა და გადიდებულისა და პატივცემულისა და აწ ჩუენგან ახლად შემოწირულისა და სამკუიდროდ მოხსენებულისა დაცი-

ანოტირებული ლექსიკონი. ტ. II. თბ. 1993, გვ. 458). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით იოსები გიორგი მეფის მწიგნობარი და არა იმერეთის მეფის ალექსანდრესი. ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები სიგელი, რომელიც მცხეთის მამულების ნუსხას წარმოადგენს, ალექსანდრე I დიდის დროს უნდა იყოს შედგენილი. ცნობილია აღნიშნული მეფის განსაკუთრებული დამოკიდებულება სვეტიცხოვლისადმი, რასაც მის მიერ გაცემული არაერთი სიგელი ადასტურებს. სიგელი, რომელსაც ალექსანდრე მეფე ამტკიცებს, იოსებ მწიგნობრის მიერ არის დაწერილი. ალექსანდრეს მიერ გაცემული სიგელებიდან ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი, მათ შორის, ვიგრი ქადაგისძე, კლიმი კაკალაჩასძე, დემეტრე მარკოზისშვილი (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. თბ. 2014, გვ. 210, 213, 115). არ არის გამორიცხული, რომ იოსები ალექსანდრეს სამეფო კარის ერთ-ერთი მწიგნობარი ყოფილიყო.

ლება არავის მართებს აგრე. და ვინცა დაგეცილოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და ვირშისა მთისა და მონასტრისა და მისთა შესავალთა, ვითა არვინ ღირსა, ყოვლისაგან კაცისაგან უაჯო არის. და დაღათუ ვისმე შემოტყუვილითა ანუ მამული ანუ გლეხი და ანუ ზღუარი და ყანა და ვენახი ღიდი, გინდა მცირე გამოეაჯოს, იგი ყუალა ამა დაწერილითა გაგუციუდებია და მტკიცე ესეოდენ არის. ამა **ვირშისა სახლისა** ულუფა ძუელითგანვე ჩუენტა მეფეთაგან ამოკუეითილი და გაშუებული არის და მას აქეთ, როგორცა სხუანი მცხეთისა მამულნი, შეუვალნი არიან, აგრეთვე ესე შეუვალად და თარხნად მოგუიხსენებია და არასთანა სათხოვარი არაოდეს ეთხოვოდეს“.²

ზუსტად ძნელია ვირშას მთის და მონასტრის ლოკალიზება, თუმცა, ჩვენი აზრით იგი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა, სოფელ ქორდთან ახლოს, რადგან ვირშის „შესავალნი“ იყვნენ სოფელი ქორდი და ბადასშვილნი, რომლებიც ვირშასთან ერთად სამეფო ხელისუფლებას კათალიკოს თეოდორესთვის გადაუცია. როგორც საკათალიკოსო მამულების 1392 წელის სითარხნის გუჯარიდან ჩანს, ქორდი საკათალიკოსო სოფლებში შედიოდა, თუმცა, მოგვიანებით, აღნიშნული სოფელი სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა, რადგან როგორც აღინიშნა, ალექსანდრე I ქორდი ვირშის მონასტერთან ერთად კვლავ სვეტიცხოველს გადასცა. ცნობილია, რომ სოფელი ქორდი პატარა ლიახვის ხეობის შუა წელზე მდებარეობს.³ ქორდში დღემდე ცხოვრობენ ალექსანდრე I სიგელში მოხსენიებული ბადაშვილები. ბადაშვილთა საგვარეულო ჯინჯიხისძეთა საგვარეულოდან მომდინარეობს და როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ჯინჯიხისძე-ბადაშვილები ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის საგანძურის მცველები ყოფილან. ამას ადასტურებს 1453 წლის მცხეთის სიგელი.⁴ აღნიშნული სიგელი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას მიერ, თუმცა გამოცემულია ამ დოკუმენტის ოდნავ განსხვავებული ვარიანტიც. დოკუმენტი დათარიღებულია 1459 წლის 28 ნოემბრით და წარმოადგენს სვეტიცხოვლისადმი ფავნელ უჯარმელის შეწირულობის წიგნს.⁵ ბადაშვილე-

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II. XIV-XV საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბლინა ლომინაძემ. თბ. 2013, გვ. 171-172.

³ გ. სოსიაშვილი. პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი). თბ. 2007, გვ. 7.

⁴ ქრონიკები. ტ. II, გვ. 272.

⁵ აღსანიშნავია, რომ ფავნელ-უჯარმელები XVI საუკუნის II ნახევარში თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილებად იწერებოდნენ. 1569 წლით დათარიღებულ დოკუმენტში გვხვდება ნიქოზში დამკვიდრებული თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილები (იხ. ს. კაკაბაძე. თმოგველთა გვარის

ბი შედარებით გვიანდელი პერიოდის დოკუმენტური წყაროების მიხედვით კათალიკოსის ყმები იყვნენ. 1694 წლის დოკუმენტის თანახმად, ნიკოლოზ კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს ქორდში მცხოვრები ბადაშვილების მამული გადასცა.⁶ XVIII საუკუნის დოკუმენტში გვხვდება სოფელი „ბადაანი“. ანტონ I კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს უბოძა „ჩვენის ეკლესიის ყმების მოურავობა, ბადანისა და ხოდელისა“.⁷ ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ 1687 წლით დათარიღებული სიგელში, სადაც საუბარია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეულ ღვაწლზე, აღნიშნულია, რომ „კიდევ ნასოფლარი ბადანი ავაშენე“.⁸

როგორც ჩანს, ვირშის მთავარანგელოზის „მეგანძურნი“ ჯინჯიხასძე-ბადასშვილნი, „ბადანის“ ნასოფლარად გადაქცევის შემდეგ ქორდში გადმოსახლდნენ. XVI საუკუნის დასაწყისში მართლმადიდებელი ეკლესია პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში, მათ შორის ქორდშიც ფლობდა ქონებას, თუმცა, 1529-1530 წ.წ სიგელში (თ. ჟორდანიას ვარაუდით, დოკუმენტი ბასილი კათალიკოსის დროს არის შედგენილი), პატარა ლიახვის ხეობაში არსებული კათალიკოსის კუთვნილი ყმა-გლეხები დაკარგულად იხსენიება: „აქუს რატიშვილს წირი... კორინთელს ველური...⁹ ამილახორს თაჯუაშვილები... ზემო-ერისთავსა ქუეში და სათივარი¹⁰ და ქორდი... აქუს ვაჩნაძესა წოდლი, ფავენლიშვილსა ზაკვ და ერედუს გლეხები... კიდე კუნელთ სამზღუარშივა ბატონმა ბაგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქუა“.¹¹

პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთი სოფელი (ქორდის ჩათვლით) 1532-1548 წლებში დაწერილი სიგელის თანახმად ლევან კახთა მეფემ ქარ-

ისტორიისათვის. ტფ. 1913, გვ. 6-7); ჩვენი ვარაუდით, XIV საუკუნის ბოლოს ჯავახეთიდან გადმოსახლებული თმოგველები უჯარმაში დამკვიდრდნენ და თმოგველთა საგვარეულოში გვარის მეორე ნაწილი – უჯარმელი გაჩნდა. მოგვიანებით, თმოგველ-უჯარმელები ქართლში, კერძოდ, ფაენისში გადმოსახლდნენ. მათ ფაენელთა ფეოდალური საგვარეულოს ტერიტორია დაიკავეს და თმოგველ-უჯარმელ-ფაენელებად იწოდნენ (იხ. გ. სოსიაშვილი. საქართველოს წარჩინებულ საგვარეულოთა ისტორიიდან. თბ. 2008, გვ. 38).

⁶ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 603-604.

⁷ გ. სოსიაშვილი. ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან. თბ. 2011, გვ. 78.

⁸ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 592.

⁹ ამ სახელით სოფელი იხსენიება 1559 წლის ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. „ზერტი მისითა მზღურითა, ლეხონი და მამულნი არიან, მათითა მზღურითა, ველური სოფელი მისითა მზღურითა“ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 265).

¹⁰ არ არის გამორიცხული, რომ უნდა ეწეროს სათიხარი, ამ სახელწოდებით პატარა ლიახვის ხეობაში დღესაც არსებობს სოფელი.

¹¹ ქრონიკები. ტ. II, გვ. 373.

თლის მთავარეპისკოპოს მალაქიას¹² შესწირა.¹³ „კათოლიკე ეკლესიასა და თქნსა საჭეთმპყრობელსა... კწხსა პატრიარქსა მალაქიას (მოგახსენე) ტფილისის ქალაქს მეტეხთა მონასტერი წინამძღურითა და მეტეხლითა ხელ-შეუვალად, ქორდს ყანდიაშვილი... მამულითა, თრიალეთს სოფელი ეძანი... უკანა ბეშქენაშენი, ერთი ვაჭარი გორს და ერთი ქალაქს... მეფობისა ჩწისა წარსამართებლად... სხუა რაც ჟამთა-ვითარებისაგან ძუეეღნი შეწირულნი და გაჩენილნი მოშლილ იყუნეს, თქნგან წყალობად გომნი ნასიძესა ჰპოძებოდეს ამითა ემსახური (უმსახური), ჩწ ჯავახიშვილს როინს და ელიზბარს აღარა გამოვართვთ გომნი და გემსახუროს ასე რომე ერთი მის სახლისა არ გაგეყაროს (და სხ.) (არა გეთხოვებოდეს რა) სათათროსა საურსა გარეთ, ეზროშვილი ვირშელი წინუბნი“.¹⁴

ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის 1559 წლის გუჯარში მოხსენიებულია პატარა ლიახვის ხეობაში ეკლესიის საკუთრებაში არსებული მამულები: „ტირძისს გელდიაშვილი, გუდაძე, უტიძე და ფილიპაშვილნი მათითა მამულითა, ზემო მეღვრეკის ერთი მრთელი მამული საგლეხო, ცოტა მეღვრეკისი¹⁵ ნასოფლარი მისითა სამართლიანითა მზღურითა, ერეთს ორი კუამლი კაცი გაბრიელაი და მისი განაყოფი, მათითა მამულითა, სოფელი ქორდი მისითა მზღურითა, ზაკუი მისითა მზღურითა, სათიხარი მისითა მზღურითა, სოფელი დისევი და მონასტერი მისითა შესავლითა და მზღურითა, ფლავს მრუვლისშვილი მისითა მონასტრითა და მამულითა, ჭინჭველიძე მისითა მამულითა, ჭარებელიძე მისითა მამულითა, ცალყუელიძე მისითა მამულითა, კულბითს სამი საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი, და მიქ-

¹² ქართლის მთავარეპისკოპოსი მალაქია, რომელსაც შეწირულობის სიგელი გადაეცა, შემდგომში ლევან კახთა მეფის დანმარებით ქართლის კათალიკოსი გახდა (იხ. ქრონიკები. ტ. II, გვ. 375). ხოლო მოგვიანებით, 1561 წელს, კათალიკოსის ტახტი ლევანის ძემ ნიკოლოზმა დაიკავა.

¹³ როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ – გიორგი VIII-მ საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოს. ქართლის სამეფომ დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა, თუმცა კახთა მეფეები XV-XVI საუკუნეებში ქართლის ტერიტორიაზე გარკვეულ უფლებებს ინარჩუნებდნენ, მათ შიდა ქართლში თავიანთი მამულებიც ჰქონდათ. გარდა ამისა, კახეთის მესვეურთა უფლებები ვრცელდებოდა ქართლის საკათალიკოსოს ადმინისტრაციულ აპარატის წარმომადგენლებზე – „მცხეთისშვილებზე“, კერძოდ კი „ქადაგებზე“. კახთა მეფეებს (როგორც ჩანს, მათ ეს პრივილეგია გიორგი VIII-დან გადმოჰყვათ). „სამცხეთისშვილო წილის“ განკარგვა და „ქადაგის“ დანიშვნაც შეეძლოთ (იხ. ქრონიკები. ტ. II, გვ. 370).

¹⁴ ქრონიკები. ტ. II, გვ. 376.

¹⁵ ზოგიერთ ლოკუმენტში გვხვდება „პატარა მეღვრეკისი“ (იხ. გ. სოსიაშვილი. ლიახვის ხეობის ნასოფლარები. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული. №10. 2016, გვ. 154).

ლუტაური, ვირმა მისითა შესავლითა, წიასწყალთა ერისთვისაგან შემოწირული არჩვაძეები მათი მამულითა“.¹⁶

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პატარა ლიახვის ხეობაში ეკლესიის საკუთრებად ითვლებოდა: სოფელ ერედვში ორი კომლი (დოკუმენტში დამახინჯებით წერია ერეთი, ჩვენი აზრით, უნდა ეწეროს ან ერედვი, ან მერეთი), სოფელ ტირძისში – ოთხი კომლი, სოფელ კულებითში სამი კომლი, ასევე სოფლები: ქორდი, ზაკვი, სათიხარი, ვირმა. 1559 წელს, სიმონ I სვეტიცხოველს შეწირულობის სიგელი განუახლა, მათ შორის პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ქონება. ჩამონათვალში გვხვდება სოფელი ქორდიც.¹⁷ 1574 წლის 14 მარტით დათარიღებული წყალობის წიგნის თანახმად, ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზმა სოფელ ყურისუბნის სანაცვლოდ ვახტანგ ბატონიშვილს რამდენიმე სოფელთან ერთად ქორდში სვეტიცხოვლის საკუთრებაში არსებული ქონება გადასცა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწვევითა ღმრთისათა, კითხვითა, მოწმობითა და ბრძანებითა მეფისა პატრონისა სუიმონისითა და დედოფლისა პატრონისა ნესტანდარეჯანისითა ჩუენ, ქართლის კათალიკოზ-პატრიაქმან ნიკოლაოზ და ყოველთავე მცხეთის-შვილთა მოგახსენეთ და მოგეცით თქუენ, პატრონიშვილსა პატრონსა ვახტანგს ყურისუბნის სანაცვლოდ: მონასტერი და სოფელი ვირმა მისითა შესავლითა რარიგადცა სვეტიცხოველს შემოსწირვია; წიასწყალს არჩვაძეები ერისთავსა რომ შემოუწირავს, მითვე წესითა; ერეთს გილაშვილი მისითა მამულითა; ზაკუი მისითა მზღურითა; სათიხარი მისითა სამართლიანითა მზღურითა; ქორდს, რაც სუეტის ცხოვლისა ყოფილა, მათითა სამართლიანითა; ტ[ი]რძის[ს] რაც სუეტის ცხოვლისა ყოფილა, მათითა სამართლიანითა; ცოტა მეღურეკისი მისითა სამართლიანითა; მეღურეკის ვენახნი და სხვა, რაც საჩუენო იყო; ახალდაბას ფალავანდიშვილის შემოწირული საგლეხობები, რაც ვარდანს შემოუწირავს, მისითა სამართლიანითა; ყელქცეულს ვირშის შეწირულნი მიწანი რარიგადცა აქამდი ჩუენ გუქონებია; ესე მოგუიბარებია და დაგუინებებია ყურისუბნის სანაცვლოდ“.¹⁸

¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 265. დოკუმენტში გაურკვეველად წერია: „წიასწყალთა“, არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო სოფელ ქორდის ერთი უბანი, ან ქორდთან ახლოს არსებული მცირე დასახლება, სადაც არჩვაძეები ცხოვრობდნენ. წიასწყალზე, რომელიც, შესაძლებელია, პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი იყო სავარაუდოდ ქსნის ერისთავთა უფლებები ვრცელდებოდა.

¹⁷ ქრონიკები. ტ. II, გვ. 401.

¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 277-278. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი

პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები, საპატრიარქო სამეფო კარისაგან რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა გამოითხოვა. კათალიკოსმა დომენტიმ მუხრანთან ახლოს არსებული სოფელი ყურისუბანი ვახტანგ ბატონიშვილს დაუბრუნა და სოფელ ქორდთან ერთად, სვეტიცხოვლის ქონების გადაცემა მოითხოვა. 1595 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „წიგნი დომენტი კათალიკოზისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი სოფელ ქორდის სვეტიცხოველისადმი დანებების შესახებ“ ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს თქუენის ძმის მეფის პატრონის სუიძეონისგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამაძულოდ და სამკუიდროდ მოგცემოდა. ამას წინათ კურთხეულს კათალიკოზს პატრონს ნიკოლოზს ზემო ქართლს ქორდი და **რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო**, თქუენთვის ყურისუბანზედ გაეცვალა; ამისთვის, ვითა ყურისუბანი საყდარსა უფრო ახლო ახლდა. აწე არცა თქუენ მოგხდომოდა კარგად და არცა სუეტმან ცხოველმა იპრიანა. აწე თქუენივე ყურისუბანი თქუენვე დაგიდევით და საყდრისა მამული საყდარსავე დაანებეთ“.¹⁹ როგორც ჩანს, პატარა ლიახვის ხეობის არაერთი სოფელი, მათ შორის ქორდიც ძველი დროიდანვე ეკლესიის საკუთრებაში იყო, ამიტომ კათალიკოსმა ყურისუბანს ძველი მამულები არჩია. XVII საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოველს ეკუთვნოდა ასევე სოფლები: გერი, გერისთავი და არბო. როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ეს სოფლები უწინ არაგვის ერისთავთა საკუთრება ყოფილა, ხოლო შემდეგ სამეფო ხელისუფლებას სვეტიცხოვლისთვის გადაუცია. ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ აღნიშნული სოფლები ნუგზარ არაგვის ერისთავმა უკან დაიბრუნა და

ოდნავ განსხვავებული სახით აქვს გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას. საბუთს თან ახლავს მკვლევრის მინაწერი: 1574 წ. ნუსხა მცხეთისა № :მ სვიმონ მეფე სწერს: „...მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რა გვარადაც სვეტი-ცხოველს შემოსწირვია წასწყალს(?) (სავარაუდოდ, უნდა ეწეროს წიას-წყალს, აღნიშნული ტოპონიმი, როგორც ვნახეთ, იხსენიება 1559 წლის დოკუმენტში). არჩვაძეები ერისთავს რომ შამოუწირავს მითვე წესითა, ერეთს გლაშქლი (sic) (უნდა ეწეროს გილაშვილი – გ. ს.) მისითა მამულითა, ზაკვ მისითა ზღურითა, სათახი... (უნდა ეწეროს სათიხარი – გ. ს.) ქორდს... ხომატე, ღუკერისი. „მელეკერის ვენახი... ახალდაბას... საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს, ყელქცეულს ვირშის შეწირულნი... ესე მოგვბარებია და დაგვენებია ყურის უბანის სანაცვლოდ.. ქკ: სიბ: თუესა მარტსა: იდ.“ (ქრონიკები. ტ. II, გვ. 415). ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი უნდა წარმოადგენდეს პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ზემოთ დამოწმებული ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის იმ სიგელის ასლს. რომელიც მან ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა და სვეტიცხოვლის მამულების სანაცვლოდ ყურისუბანი გამოართვა. თ. ჟორდანიამ, ჩვენი აზრით, ამ დოკუმენტის დაზიანებული ასლი ამოიკითხა და სიგელი სიმონ I-ს მიაწერა.

¹⁹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 348.

სანაცვლოდ ეკლესიას ქორდში მცხოვრები თავისი ყმები გადასცა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „1617 წ. ქ. ~კს:ტე: ქ. ესე წიგნი მოგახსენე... სუეტსა ცხოველსა... მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ (და ძეთა ბაინდურ და გ-იმ).. ასრე, რომ ჩუენი სამკვდრო გერი და გერისთავი სუეტიცხოვლისათვის შეწირა (შეეწირა) მეფეთა. კიდევ არბო, სგენასმანი (სუეტის ცხოვლისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ და ამისად სამუქმოდ ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკვიდრო კვამლი საში ბექნიაშვილი ირემა (და სხვ.)“.²⁰

1616 წელს ქორდში მცხოვრები რამდენიმე კომლი გლეხი საპატრიარქოს ქსნის ერისთავებმა შესწირეს: „...და მოგახსენეთ ქორდს კაცი[კუა]ქლი ექვს[ი]: არჩვაძე შოში[ტა, ბერიკასშვილი ნინია, ხხევსური საგინა, მუჭაური გამიხარდ[ი] და ჩუბინასშვილი ფრიდონა და გივ[ი]სშვილის მამული“.²¹ როგორც ზემოთ მივუთითებდით, 1559 წლის საკათალიკოსო გუჯარის თანახმად ქსნის ერისთავებს ქორდთან ახლოს, წიასწყალს, მცხოვრები არჩვაძეები ეკლესიისთვის შეუწირავთ. როგორც ჩანს, ერისთავებმა, რომელთა საკუთრებას პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები წარმოადგენდა,²² ქორდზეც გარკვეული უფლებები მოიპოვეს. კათალიკოსმა ზაქარიამ ერისთავების მიერ ბოძებული ყმებიდან რამდენიმე კომლი გედევანისშვილებს უწყალობა. 1616 წლის მამულის წყალობის წიგნში, რომელიც ზაქარია კათალიკოსის მიერ გედევანისშვილებს ებოძათ ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღ[უ]თისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან პატრო[ნ]მან ზ[აქ]არია, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ, გედევანისშვილთა დავითს, გაბრიელს, როსებს, პეტრეს, გიორგის, აბიათარს და პაპუნასა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოხუედით კარსა დარბაზისა ჩუენისათა და მამულის წყალობის გუეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ ქორდს მამული კუამლი კაცი ათი: ირემა ბექნიაშვილი, გამეხარდი... უჭაური, შალ(ულაძე?)დათი, არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე გიორგი, არლუნაშვილი გიორგი, აფხაზაშვილი ნადირა, ხხევსური საგინა... (შვილი) ჩუბინაშვილი ფრიდონა, გუიბოძებია მკუიდრად და მოუშლელად“.²³

²⁰ ქრონიკები. ტ. II, გვ. 441-442.

²¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 482-483.

²² ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბ. 1983, გვ. 68.

²³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I. თბ. 1940, გვ. 16, №18. ამ დოკუმენტს ნ. ბერძენიშვილი 1616 წლით (თუმცა საბუთს კითხვის ნიშანი აქვს) ათარიღებდა, იგივე დოკუმენტი გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს,

ქსნის ერისთავებმა მოგვიანებით კიდევ გადასცეს სვეტიცხოველს ქორდიში არსებული მამული. ამას ადასტურებს 1766 წლით დათარიღებული დოკუმენტი: „ქ. ეპა შენ ყოველთა ქრისტიანეთა სიქადულო და საქართველოთა ერთა განმანათლებო, სვეტო ღთივ აღმრთებულო, კვართო საუფლო და მირონო ღთ მყოფელო, რომელი კურნებ სულთა და სხეულ-აღნაგთა კაცთასა, ჩვენ შენ მიერ ცვა ფარვათა მონღობილმან და მსასოებელმან, ქსნის ერისთავმან პატრონმან დავით, და ძმამან ჩვენმამ იოვანმან და იესემან, ბიძაშვილმან ჩვენმან გიორგი ყულარალასმან, და ძეთა ჩვენთ შალვმ, როსტომ დ ბიძანამ, შემოგწირეთ და მოგახსენეთ და გიძღვისმრთმეველთ თქვენ ცათა მობაძავსა კათოლიკე ეკლესიასა, სვეტსა ცხოველსა და მას ზედა მჯღომარესა ყდ სანატრელს უწმიდეს ვზ-პატრიარქს (სიც), მეფის ძეს ანტონის, ასე რომე სურვილითა და ჩვენის ნებადართვით ძველადვე მამა-პაპათა ჩვენთაგანაც შეწირულობა იყო და სხვა სოფელნი და აგარაკანი და ჩვენც აწე ესე ვინებეთ და შემოგწირეთ იქავე თქვენს სოფელს ქორდს ჩვენისავ კაცის ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები, ჩვენ ესენი სხვათა სამოქვოთი შევიჯერეთ და სამკვიდროთ და საბოლოთ შემოგწირეთ და მოგახსენეთ, რომ არს ღროსა და ჟამსა არცა ჩვენ და ჩვენი შვილნი და შვილის შვილნი და ნათესავნი არავინ გეცილებოდესთ და, თუ ვინმე ამისად ცილებად ხელყოს ვინმე, შერისხდი შწ დაუსაბამო ღთო და ყოველნი მისნი წმიდანო და შწცა, ცათა მობაძო საქართველოს განმანათლებელნი სვეტო ცხოველო, და ნურართამცა იხსნება სული მისი ჯოჯოხეთისაგან, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღთნ აკურთხოს. აღიწერა ქრისტესიოვან წელსა ჩღივ, ხოლო ქართულს ქორონიკონს უნდ. დაიწერა ხელითა მდივნისა ჩვენის ქარელი თამაზისითა“.²⁴

ინტერესს იწვევს დოკუმენტში ნახსენები „ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები“. სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს, რომ ქორდიში არსებულ მამულებს პატარა ლიახვის ზემო წელზე არსებულ მცირემიწიან სოფლებში მცხოვრები გლეხები ყიდულობდნენ. ერთ-ერთი საბუთით ირკვევა, რომ ქორდიში ბელოთელ გლეხებს ბერი ჩიფჩიურსა და გიორგი ფისაძეს ჰქონდათ ნაყიდი ვენახები, რომლებსაც გედევანიშვილები ედავებოდნენ.²⁵ ელიოზიძე-გედევანიშ-

რომელიც აღნიშნულ საბუთს 1626 წელს შედგენილად მიიჩნევდა (იხ. საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედ. ტ. I, გვ. 251, №209). ამავე დოკუმენტს 1626 წლით ათარიღებდა პროფ. ი. დოლიძე (იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 393).

²⁴ საქართველოს სიძველენი. ტ. I. გვ. 274, №, 224.

²⁵ ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ ტ. V. თბ. 1974, გვ. 220. პატარა

ვილებს, რომლებიც ეკლესიასთან ძალზე დაახლოებულნი იყვნენ, ქორდში საპატრიარქოს მიერ ბოძებული მამული კათალიკოსმა ევდემონმა 1638 წელს კვლავ განუახლა: „პირველადცა გქონებოდა და წიგნიცა გქონდა. აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ელიოზიძეთა გედენის შვილთა დავითს, გაბრიელს, პეტრეს, პაპუნასა და ქაიხოსროს და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქუენისათა. მოგეცით ქორდს მამული, აფხაზაშვილის ნაქონი მოზუერაული მამული... ვენახხი ბექნიაშვილის ნაქონი; ამას წინად ეს მამული ბადაშვილს შოშიტას მივეცით და წიგნიცა ჰქონდა. აწე იმ ჩუენს წყალობას მამულსა სხუაგან ჰყიდდა. და რაც შოშიტამა ჩუენ ფეშქაში მოგვიტანა, ეს ფეშქაშის ფასი ისრევე მიგაცემინეთ და მამულის წყალობა თქვენ გიყავით“.²⁶

სოფელ ქორდში გედევანიშვილებმა, როგორც კათალიკოსის დაქვემდებარებაში მყოფმა „მცხეთიშვილებმა“ მყარად მოიკიდეს ფეხი. ამას ადასტურებს როსტომ მეფის მიერ 1652 წელს გედევანიშვილებისადმი ბოძებული წყალობის წიგნი: „ვითარმედ წილხვდომილ ვიქმნენით ჩვენ ქართველნი დედოფლისა მის ღთი მშობლისა. ჩვენ შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდეგომთა ძლიერმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატონიანმან, შანშა და შირვანშა, ყოვლისა აღმოსავლეთისა მპყრობელ-მქონებელთამან, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ, და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ და პირმშომან და სასურველ-საწადელთა ძეთ ჩვენთა, პატრონმან ლუარსაბ, და ძეთა ჩვენთა თანა მეცხედრემან პატრონმან თამარ, და ძემან მათმან პატრონმან გიორგი, შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირავი სოფელი ქორდი თქვენ სვეტ-ცხოველსა, კვართსა საუფლოსა და მი-

ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლებიდან გლეხთა ბარში ჩამოსახლების ფაქტები არაერთ დოკუმენტში გვხვდება. XVIII საუკუნის II ნახევრის ლიახვის ხეობის აღწერის დავთრების მიხედვით სოფელ ფლაეში იხსენიება: საური ოთარა საცხენელი, საცხენელი ტატაშვილი ქრისტესია, ფლაეში იხსენიება ასევე აწერისხველი ტატალაშვილი ქრისტესია (ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). თბ. 2013, გვ. 97-99).

²⁶ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 495-496. ყურადღებას იპყრობს დოკუმენტში მოხსენიებული „მოზუერაული მამული“, სოფელ ქორდში „მოზუერაული“, როგორც ტოპონიმი, შემორჩენილი არ არის. არ არის გამორიცხული, რომ „მოზუერაული“ საკუთარ სახელს, ან მეტსახელს – მოზუერას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ საქართველოში გავრცელებული იყო ასეთი ტიპის საკუთარი სახელები. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვება ჰქონდა აკად. ივ. ჯავახიშვილს: „კახეთში ძველადვე ცნობილი გვარის ვაჩინაძეს სახელის მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ წინათ ვაჩინა ქართულში მამაკაცის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც ტოტემურების ნიადაგზე იყო გაზრდილი, დათვას, კურდღელსა და ქურციკას მსგავსად, შესაძლებელია ცხოველის სახელი ყოფილიყო“ (ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. X. თბ. 1992, გვ. 179).

რონსა ღთმყოფელსა, კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა, მას ჟამსა ოდეს ჩვენთა მამა-პაპათა ღიახვის პირს სოფელი ქორდი შემოეწირა, ყოვლის კაცისაგან მოუდევარ-მოუსარჩლელ, მით ბარამდი, ასრე რომე ძველათგანცა შემოგწირვოდა თქვენ სვეტსა ღთივ აღმართებულსა, კვართსა საუფლოსა და მირონსა ღთმყოფელსა და მას შინა საჭეთ მპყრობელსა პატრიაქსა კათალიკოზსა პატრონსა ქრისტეფორეს, ასრე რომე ჩვენის ნება ღართულობითა და ბრძანებითა დიასამიძეს კათალიკოზს გედაონისშვილის გაბრიელისა და მისთა ძმისწულთა პაპუნასათვის და ქაიხოსროსათვის და შვილთა და მომავალთათვი ებოძებინა, ამად რომე მათის საქონლითადა საფასოთა გრაცალი ეყიდათ, და ჩვენისავე ბრძანებით ეს ჩვენის სასაფლაოს შეწირული სოფელი ქორდი მისდა სანაცვლოდ კათალიკოზს ებოძებინა. აწე ავისა და ცუდის კაცისაგან სხვარიგად გაგ ესინჯვა, რომე ხუთი-ექვსი კვამლი შეწირული არ არისო და ტყველათ უჭირავსო, და ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულსმოღვინეთ და ვჰქენით მოკითხული და ბატონის პაპის ჩვენისა და ბატონის ბიძის ჩვენის შეწირულობის წიგნიც გინახეთ და ჩვენცა ჩვენათ სადღეგრძელოთ და მეფობისა ჩვენისა წარსამარტებლად, და სულისა ჩვენისა საოხად, და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოთ, ჩვენცა ელახლად კადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ თქუენ ცათა მობაძავს სვეტსა ცხოველსა და მაზედან საჭეთ მპყრობელს კათალიკოზსა სოფელი ქორდი ერთობით, ასრე რომე ბადაშვილებს გარდაის ისრევე ელშეუალათ და ყოვლის კაცისაგან უცილებლათ დაგიმკვიდრენ ჩვენგან შემოწირული 1) საყდრის შემოწირული ქორდი და გიბოძეთ თქუენ ჩვენის სასაფლაოს ჯარის უფროსს გედაონისშვილს ბატონს გაბრიელსა და ძმისწულსა შენსა პაპუნასა და ქაიხოსროს და შვილთა მათთა გიორგის და ღავითს და მომავალთა სახლისა შენისათა, და გიბოძეთ სოფელი ქორდი ყოვლის მისის სამართიანითა მზღურითა, მითთა, ბართა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენა ითა, ჭალითა, საწყლისპიროთა, სათიბითა და უთიბრითა, ქვევრ-მარნითა, სასახლითა და ეკლესიითა და ყოვლის მისის სამართლიანითა მზღურითა: ზემოთ დიცურს რუმდი, იმას ჩამოსწორ ქვაჯირას ფონამდი, ისრე ჩატანებით ტრძნისას რუმდი, თერგუისის სამძურამდი, კიდევ მოკარგულს რუს აქეთ ჩამოტანებით ჭალითა, ველითა და წყლითა, ესე ყოვლითურთ შეგვიწირავს და შენთვი სამკვიდროთ და საბოლოთ გვიბოძებია საფიცართა, საწყვეტის წყლითა და ჭალითა. აწე გაავითაოს და გიბედნიეროს ღთნ ჩვენსა და საყდრისა ერთგულად სამსახურსა შინა.²⁷

²⁷ საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 337, №281.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ქორდი სვეტიცხოვლისათვის საქართველოს სამეფო ხელისუფლებისაგან ძველი დროიდანვე იყო გადაცემული და როსტომმა ის ეკლესიის სამსახურში მყოფ გედევანიშვილებს განუახლა. 1694 წელს კათალიკოსმა ნიკოლოზმა მცხეთის ჯარის სარდალს გიორგი გედევანიშვილს ქორდში ბადასშვილის ბახუტას მამული და გლეხი ჯალაბაძე „თვისის უნაკლულს მამულითა“ უბოძა. ირკვევა, რომ ბახუტა ბადასშვილი ეკლესიის ყმა იყო, თუმცა იგი „ბევრის კაცის კვლ[ა]სა და ტყვის გასყიდვაში გ[ა]ერევა და გაათორდა“.²⁸

სოფელ ქორდის საპატრიარქოსადმი კუთვნილება დასტურდება უფრო გვიანდელი დოკუმენტებითაც. 1720 წლის საბუთში, რომელიც წარმოადგენს სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის ყმების ნუსხას ვახტანგ VI ოქმით, ვკითხულობთ: „ქ. არის სვეტის - ცხოვლისა და ბატონის კათალიკოზის ყმა თრიალეთზედ. ქ. საბროწლეთს კომლი ხუთი, ბოგანო ორი. ქ. ერედვს სამი. ქ. ქვაბო (?) სამი. ქ. მელვრეკს თაწმინდისა თორმეტი. ქ. ტრძნის სამი. ქ. ქორდას თექვსმეტი, აზნაური ორი...რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვონოს, ბოგანომ ფარხმალი და საფთე მშვილდი წამოიღოს. რაც სახლში საბატოს კაციშვილი და აზნაურშვილია, ვერ დაგვაკლდება. ვისაც შეეძლოს თოფიც იქონიოს და შუბიცა, ვისაც არა და თოფი წამოიღოს...“.²⁹

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ამ დროისთვის ეკლესიის დაქვემდებარებაში პატარა ლიახვის ხეობაში 31 კომლი გლეხი და 2 კომლი აზნაური ყოფილა. აქედან ყველაზე მეტი საეკლესიო გლეხი ცხოვრობდა ქორდში. აღნიშნულ სოფელში ეკლესია ფლობდა 2 კომლ აზნაურსაც, მათი ვინაობა არ წერია, თუმცა, ჩვენი აზრით, ისინი გედევანიშვილები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ამ დროისთვის მათ როგორც „მცხეთიშვილებს“ და კათალიკოსის ჯარის სარდლებს ქორდი საპატრიარქოსაგან ჰქონდათ გადაცემული და სწორედ აღნიშნულ სოფელში სახლობდნენ.³⁰ XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში სოფელ ქორდში მცხოვრები 13 კომლი გლეხი იყო: „ქ. ქორდს [ქ.] გედევანიშვილის შოშიას ყმა ბურნაძე შიო, ქ. ამისივე მახათაძე მღვდელი იოანე ქ. ამისივე ლომაური ივანე ქ. ამისივე ჯალაბაძე პაპუნა ქ. ამისივე ჯალაბაძე გოგილა ქ. აქავ ქარსიდის გლახას ყმა კახიაშვილი რევაზა ქ. გედევანიშვილის იოსების ყმა არჩ-

²⁸ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 603-604.

²⁹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I, გვ. 184.

³⁰ დოკუმენტში ქორდის ნაცვლად წერია „ქორდა“.

ვაძე ზაზუნა ქ. გედევანიშვილის სარდლის ბეციას ყმა მარტოყოფელა სვიმონა ქ. ამისივე ლომაური გლაზა ქ. ამისივე ლაშაძე გლაზა ქ. ამისივე რაზმაძე დავითა ქ. ამისივე სვიმონიკა ქ. ამისივე ხევსური პაკუნა.³¹ ქორდში საეკლესიო გლეხების არსებობა დასტურდება 1802 წლის აღწერითაც.³²

³¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 990-991.

³² Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК). Архив Главного Управления Наместника Кавказского. Под ред. А. П. Берже. Т. I. Тифлис. 1866, гв. 461, №575.

Giorgi Sosiashvili

GEORGIAN PATRIARCHATE AND THE KORDI VILLAGE

Summary

For centuries the Georgian patriarchate owned lands in the Patara Liakhvi Gorge. The lands were donated to the patriarchate by the king's family, as well as noblemen. The active relations between the church and the villages of the region are proved in various documents and sources. One of the oldest historical documents that has reached us is the tax exemption charter of 1392 of the patriarchate villages of Kartli-Kakheti-Meskheti, where various villages of Patara and Didi Liakhvi Gorges are mentioned. Among them was the Kordi village. In the charter of Alexandre I the Great (dated 1431) the king gave Virsha monastery and the Kordi village to Svetitskhoveli church. The Kordi Village is also mentioned in the charter dated by 1532-1548, according to which, Levan, king of Kakheti, gave to archbishop of Kartli, Malakia, lands in Shida Kartli, including the Kordi village. It is interesting that the kings of Kakheti had significant rights over the villages in Shida Kartli, which is attested by various historical sources. It seems that for some time the Kordi village, along with some other villages, was not owned by the patriarchate, which is proved by the document of the first half of the 16th century, which refers to the lost lands of the patriarchate. According to the documents of the later period, the Kordi village was given to the house of Gedevanishvili by the patriarchate. The Gedevanishvilis were regarded as "Mtskhetishvilebi" and they even commanded the catholicos' army. During the 2nd half of the 18th century the Georgian Orthodox Church controlled 13 peasant families in the Kordi village. The presence of the ecclesiastic peasants is attested by the 1802 census.

მაია შაორშაძე

**ქართლის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ჩხეიძე)
(XVII ს. 60-80-იანი წწ.)**

საისტორიო დოკუმენტებში ნიკოლოზ ჩხეიძე ქართლის მთავარეპისკოპოსად ჩანს 1661; 1662; 1663; 1666; 1670; 1671; 1678-1688 წლებში. ის არის შვილი გორგასალ ჩხეიძისა, რომელიც იყო ანა დედოფლის (სვიმონ მეფის დედის) მამიდაშვილი. ცნობილი ისტორიული პირებიდან ნიკოლოზის ძმა არის ბეჟან ჩხეიძე (1633-1653, 1678 წწ.), ხოლო ძმისწული ქაიხოსრო ჩხეიძე (1653-1700 წწ.). აღსანიშნავია, რომ „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“ ძმასა და ძმისწულთან მიმამართებასა და კონტექსტში ნახსენებია მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, მაგრამ, რატომღაც, ცალკე მის შესახებ მონაცემები გამორჩენილია. ბეჟან ჩხეიძეზე მითითებულია, რომ იგი იყო როსტომ მეფის მამიდაშვილი (1633 წ. 1450-35/92). ჰყავს ძმები: ქაიხოსრო, დავით, ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსი, შვილი ქაიხოსრო, შვილიშვილი თეიმურაზ. იგი იყო პაპუნა თუხარელის ბიძა ([1658-1675 წწ.], 1450-35/100).¹

რაც შეეხება ბეჟან ჩხეიძის შვილს და, შესაბამისად, მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის ძმისწულს – ქაიხოსროს (1653-1700 წწ.) ჰყავს შვილები: თეიმურაზ (1688-1700 წწ. 1450: 25/61, 25/62, 35/122, Hd-3199, Ad-1610, Hd-801), სეხნია, პაატა (1688-1700 წწ. 1450: 25/61, 25/62, Ad-1610), ფარეშუზ, გორგასალ, დავით (1700 წ. Ad-1616).

აღსანიშნავია, რომ ლექსიკონში მოიხსენიება აგრეთვე ორი სეხნია ჩხეიძე, ერთია ძმისწული მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძისა, ხოლო მეორეა შვილი ქაიხოსრო ჩხეიძისა, ანუ მთავარეპისკოპოსის ძმისწულის შვილი.²

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. V. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდლობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ. ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ. თბ. 2015, გვ. 233.

² პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. V, გვ. 235.

სხვა პირია აგრეთვე ისტორიკოსი, მოღარეთუხუცესი და მეფე გიორგი XI-ის ძმის, ლევანის, გაზრდილი, სეხნია ჩხეიძე – (1670-1745 წწ). მისი ცნობილი თხზულება „ცხოვრება მეფეთა“ 1653 წლიდან 1739 წლამდე მოდის.

ნიკოლოზ ჩხეიძე ქართლის მთავარეპისკოპოსად პირველად ჩანს 1661 წლის ერთ სიგელში. მიწის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია პაპუნა სააკაძის მიერ პაპუნა თუხარელისადმი, მოწმეებში დასახელებული არიან: **მთავარეპისკოპოსი ჩხეიძე**, თბილელი სააკაძე, ჩხეიძე ბეჟან, რევიშვილი გივი. დოკუმენტის დამწერია ქვათახევის ღვთისმშობლის ტაძრის მღვდელი გიორგი.

საბუთს აქვს ხელრთვა: მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ. ბოლოს ახლავს ერთი ბეჭედი ლეგენდით და ჯვრები.³

„ანჩაფ ტულურუნაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნში“, რომელიც გაცემულია 1662 წელს, მოწმეებში კვლავ იხსენიება მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ჩხეიძე). შემდეგი შინაარსისაა ტულურუნაშვილი ანჩაფისა და მისი შვილის, იორამის ნასყიდობის სიგელი: „...მოგვიდე ჩემი მკუვიდრი ყმა რუის ღვინია და მისი ძმა გიორგი და შვილნი მათნი და მომაგალნი სახლისა მათისანი... არიან ამისნი მოწამენი: **ჩხეიძე მთავარეპისკოპოზი ბატონი ნიკოლოზ**, ამილახორიშვილი ბარძიმ, თაქთაქიშვილი არდაშელ“. სხვა ხელით სიგელს ამოწმებს მღვიანბეგი ელიშერიც.⁴

1663 წლითაა დათარიღებული „ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ თარხან იორამ მოურავისშვილისათვის მიცემული დამოყვრებისა და ფიცის წიგნი“, რომლის მოწმეცაა მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზი.

ჯავახიშვილი ქაიხოსრო და მისი შვილები ბახუტი, ბერი, ბეჟან და ძმა რევაზ, სიგელს აძლევენ დიდი მოურავის შვილს თარხანს, იორამს და მათ შვილებს: გიორგის, ავთანდილს, წინამძღვარ ქრისტეფორეს, დათუნას, შიოშს და ჯანზურაბს იმის შესახებ, რომ მეფე შაჰნავაზის ბრძანებით, ჯავახიშვილებს თავიანთი ქალი სააკაძე გიორგისთვის მიუთხოვებიათ და დამოყვრებულან. სამკვიდრო ოძისის ნახევარი მამული ამ მოყვრობის აღსანიშნავად მათთვის მიუციათ, რადგან სრულად ამ მიწებს თვითონაც არ ფლობდნენ.

„არიან ამისი დამხდურნი და შუამავალნი: **მთავარეპისკოპოზი ჩხეიძე ბატონი ნიკოლოზ**, სარდალ სალთხუცესი ციციშვილი ბატონი პაპუნა, ბარა-

³ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). კოლექცია Sd, დოკუმენტი №50.

⁴ ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წ. IV. თბ. 1913, გვ. 37; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა (1213 წლიდან 1700 წლამდე). შერჩეული, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ. 480; საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), ფონდი 1449, საბუთი №2661.

თაშვილი, ყოვლის სიბრძნით სრული, ბიძა ჩემი პატრონი რევაზ. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქკს ტნა, კელითა იმერელთ მეფის მდივნის მწიგნობრის ფეშანგისათა“.⁵

1664 წელს ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსის დაკვეთით, ფარემუხ და იესე ბელისმწერლიშვილებმა გადაწერეს „კურთხევანი“.⁶

ასეთი შინაარსისაა „კურთხევანის“ ანდერძი (გადამწერისა): 1. „...ვიწყეთ წმიდად ესე და უნაკლულო წიგნი კურთხევანი ბრძანებითა და გულსმოდგინებითა ქართლისა მთავარეპისკოპოზისა ჩხეიძის პატრონის ნიკოლოზისითა, მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი და საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევა მისი. აღესრულა წ(მიდა)ი ესე წიგნი თუჴსა აპრილსა ა, დღესა პარასკევსა, ქორონიკონსა ტნბ, ამისსა მწერაილსა ფარემუხს და იესეს შეუნდოს ღ(მერთმა)ნ და მამა-მშობელთა ჩ(უე)ნთა... და მამანო და ძმანო, ვინცა ბრძანოთ, თქ(უე)ნცა შეგინდნეს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ, ა(მი)ნ“.⁷

მინაწერი: „უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ, ა(მი)ნ“.⁸

1670 წელს ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსმა დომენტი კათალიკოსთან, გივი ამილახორთან და სხვებთან ერთად გაარიგა ბარათაშვილებსა და პაპუნა ვირშელიშვილს შორის სამამულო დავა: „...მოვიკმეთ სრულიად საქართველოსა მაკურთხეველი ქართლისა და კახეთისა კათალიკოზნი, ბატონიშვილი ბატონი დომენტი, ბატონიშვილი პატრონი გიორგი, ბატონიშვილი პატრონი ლევან, მთავარეპისკოპოზი ჩხეიძე, ბატონი ნიკოლოზ, ამილახორი ბატონი გივი, ბატონიშვილი ბატონი აშოთან, სახლის უხუცესი ბატონი ზაზა, ტფილელი ბატონი იოსებ, ბოგნელი ბატონი იოსებ, ჩხეიძე ბეჟან, ბარათაშვილი მეჯინიბეთუხუცესი პაპოა, და დავსხედით ბარათაშვილის ბატონის ყაფლანისა და მისის შვილების პაპუნასა, ასლანისა, ვახტანგისა, თამაზისა და გიორგისა და ვირშელიშვილის პაპუნასი, შანშესი და მათის შვილის ასლანისა, ზურაბისა და რევაზის სასამართლოდ...“

დამწერი: კარის მდივან-მწიგნობარი შანშეიან მარტიროზაშვილი ბეგთა-

⁵ საქართველოს სიძველენი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. II. ტფ. 1909, გვ. 89-90; ხეც, Hd-14435.

⁶ ხეც, H-1742, 316 რ.

⁷ ხეც, H1742, 314 v - 316 რ.

⁸ ხეც, H1742, 224 რ; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. IV. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). კ. კეკელიძის საერთო რედაქციით. შედგენილია და დასაბუჯდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ. თბ. 1950, გვ. 175-176.

ბეგი. ამტკიცებენ: ვახტანგ V შაჰნავაზი და კათალიკოსი.⁹

1671 წელს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე მოწმეა დომენტი კათალიკოსის მიერ ზაზა და ზაალ ციციშვილებისათვის მიცემული საყდრის კურთხევის და ღვინის გარდაწვევების წიგნისა.

დომენტი კათალიკოსი წიგნს აძლევს თავის დისწულებს, ციციშვილ ზაზასა და ზაალს: როდესაც მისი და, დედისიმედი გარდაცვლილა, შვილებს მისი დასაფლავება ყინწვისში გადაუწვევებიათ. კათალიკოსს კი მოუწოდებია ნიჩბისში, მათი სასახლის ახლოს აეშენებინათ საყდარი და დედაძისი იქ დაეკრძალათ. ციციშვილებიც დათანხმებულან და კათალიკოსს ამ საქმეში მათთვის ხელიც გაუმართავს. როცა საყდრის თითქმის მესამედი უკვე აშენებული იყო, მათი განაყოფი ციცი ციციშვილი შემოდავებიათ, ჩემი ყმის მიწაზე აშენებთო. გამოუკითხავთ ეს საქმე და დაუშტკიცებიათ, რომ ციციის ყმის მიწაზე კი არა, თავისი ყმის მიწაზე აშენებდნენ, ამიტომ მათთან ხელი არავის ჰქონდა.

სიგელს ამტკიცებს კათალიკოსი დომენტი, ბატონიშვილები ბაგრატ და აშოთან. აგრეთვე ამტკიცებენ ქართლის მთავარეპისკოპოსი და თბილელი ეპისკოპოსი: „ჩვენ, მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზ ჩხეიძე ამ საყდრის საძირკვლის კურთხევაში დავხვდი და ამ სამართალში და მოწმე და გარდამწყუეტელნი ვართ“. ხელრთვა: მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზ და თბილელი ეპისკოპოსი იოსებ.¹⁰

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ერთ უთარილო სიგელში მთავარეპისკოპოზი მოხსენიებულია როგორც „ქართლისა და დედაქალაქისა მთავარეპისკოპოზი ჩხეიძე პატრონი ნიკოლოზ“. როგორც ჩანს, გარკვეული დროის მონაკვეთში ნიკოლოზი დროებით თბილისისა და ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას ერთდროულად განაგებდა.

ამ სიგელის სავარაუდო თარიღი „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ V ტომში არის 1658 წელი. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ჩუმათელიძეთა ხუთი კომლი, მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზ ჩხეიძემ შეაწირვინა როსტომ მეფეს იტრიის სიონის ღვთისმშობლის მონასტრისათვის. ბეგრის გარდა მათ არაფერი ევალებოდათ ([1658 წ.] 1449-1935).¹¹

საქმე ისაა, რომ როსტომ მეფეს იტრიის ტაძრისთვის ჩუმათელიძეები, შესაძლოა, შეეწირა მხოლოდ 1658 წლამდე, რადგან ეს წელი მისი მეფობის

⁹ საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 132-134; ქრონიკები. ტ. II, გვ. 486-487.

¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 569.

¹¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. V, გვ. 230.

ბოლო ზღვარია, მაგრამ ამ დროს ქართლის მთავარეპისკოპოსი ჯერ კიდევ არ არის ნიკოლოზ ჩხეიძე, ამ წელს ის ტაძრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო და სიგელშიც წარსულ დროზეა საუბარი. უფრო მეტიც, ცნობილია, რომ როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა იტრიის მონასტერს ყმები და მიწები 1645 წელს შესწირეს.¹² შემდგომ წლებში, როგორც ჩანს, ხდება ამ შეწირულობის განახლება. ამიტომ ეს სიგელი XVII საუკუნის 60-70-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

„...ამა ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა ჩუენ, ღ(მრ)თის მიერ მინდობილმან სასწაულითა მისითა კურთხევით კურთხეულმან **ქართლისა და დედაქალაქისა მთავარეპისკოპოზმან ჩხეიძემან პატრონმან ნიკოლოზ,** ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და გუჯარი გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, საშინელო და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელო და მხსნელად მათად გამოჩენილო ყოველად უბიწოვო დედაო ღ(მრ)თისაო იტრიისა სიონთა ღ(მრ)თისმშობელო, თუით მინდობილმან შენმან მთავარეპისკოპოზმან ჩხეიძემან პატრონმან ნიკოლოზ, ძმამან ჩემან პატრონმა ბეჟან და ძმისწულმა ჩემან ქაიხოსროვ და მოძავალთა სახლისა ჩუენისამან... საბძანისი ალაგი თქუენი ღიად დანგრეულდაქცეულიყო, შეწვენითა ღ(მრ)თისითა და ძლიერებითა შენითა, რაცა ოდენ ძალგუედვა, აღვაშენეთ [] მონარღუევი თქუენი სამრეკლო, სენაკები და გალაგანი და სხუა, რომელიცა აკლდა, ავაშენეთ და შევამკევით, პწყინვალებსა სახელსა შენსა ზედან...“ ამას გარდა, წარსულში მათ მეფე როსტომისთვის გლეხ ჩუმათელიძეთა ხუთი კომლი შეუწირვინებიათ იტრიის ტაძრისათვის. მათ მხოლოდ „თავთავის ბეგარა“ ევალებოდათ: „ჩუენის დიდის ქრთამითა მირთმევითა და შეხუეწნითა, მეფესა როსტომს ხუთი კომლი ჩუმათელიძე შემოვაწირვინეთ და მტკიცე და შეუცილებელი ძეგლი და სიგელიცა დავადებინეთ...“ ამასთანავე „წიფას ერთი გლეხი მამულზე მცირედ იყუნენ ლომსაძენი, პატაშუილები თევდორა და ღონია და მათი შუილი ზეროაი და პაატაი და ტაძარსა თქუენსა წინა სანთელი მცირედ იყო, ამისთუის... ამა ლომსაძესა დავდევით თქუენს წინ მოსადებლად წელიწადში სამი ჩარეჟი სანთელი და ორს შაურს დეკანოზს ჟამს აწირვინებდეს და იმისთუის მისცემდეს“.¹³

სიგელის ქორონიკონი არ ჩანს, ხელს აწერს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე.

¹² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5. თბ. 1990, გვ. 435.

¹³ სეა. ფ. 1449. საბ. 1935.

ცნობილია, რომ იტრიის ტაძრისათვის (XVI-XVII სს.) სამრეკლო, სენაკები და გალავანი 1656 წელს ბეჟან ჩხეიძისა და წინამძღვარ ნიკოლოზის დაკვეთით აუშენებიათ. სწორედ ეს წინამძღვარი ნიკოლოზია შემდგომში ქართლის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე, ბეჟან ჩხეიძის ძმა. იტრიაში მიმდინარე მშენებლობაზე საუბარი აქვს აგრეთვე თ. ჟორდანიას თავის გამოუქვეყნებელ ერთ-ერთ „უბის წიგნაკში“, სადაც მოცემულია სხვადასხვა ეკლესიათა და ხელნაწერთა აღწერილობა (№466) (№69). იტრიის ტაძრისთვის შეწირული ერთი ხატის მინაწერში მოიხსენიება ქართლის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე. „მე, სასოებით მინდობილმან საფარველთ შენთამან ბეჟან და ძეთა ჩ(უე)ნთ(ა) ქაიხოსრო, მოვაჭედინეთ და შევაძკევით ხატი ესე მრავალ-ნაწილიანი დღეთა ჩვენთა სადღეგრძელო... []თჳს, საყდრის მეტი შენობა არა დაგვხვდომია რა, ყველა ჩ(უე)ნის მოღვაწებით მოვრთვეით, რაც ოდენ ძალ გვედვან, ექვსი კვამლი ჩუმათელიძენი ჩხეიძე[თ] (?) შევაწირვინეთ. ქ(ორონიკონს) ტნდ (1666 წ.).“

„ჩ(უე)ნ მთავარეპისკ(ოპო)ზი ჩხეიძე.“¹⁴

ბ-ნი გ. ჯანდიერის ვარაუდით, ნიკოლოზ ჩხეიძე ქართლის მთავარეპისკოპოსად გვხვდება 1661-1671 წლებში,¹⁵ მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ, გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებისა, იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია კიდევ ორი სიგელი, რომლებშიც მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე იხსენიება. პირველი თარიღდება 1671 წლით და წარმოადგენს „მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის, მისი ძმისა და ძმისწულების წყალობის წიგნს, მიცემულს ბაქრაძე ნასყიდასათვის“ და მეორე „პირობის წიგნი მეფე გიორგი XI-სა, ნიკოლოზ კათოლიკოზისა და ქართლის ეპისკოპოს-დარბაისელთა ანტიოქიის პატრიარქ დოსითეოსისადმი, ქართული მონასტრების დახსნის თაობაზე“ (1678-1688 წწ.). რადგანაც ამ უკანასკნელ საბუთში იხსენიება მეფე გიორგი XI (1676-1688; 1703-1709 წწ.) და ნიკოლოზ კათალიკოსი (1678-1688; 1692-1695 წწ.), სავარაუდოდ, ნიკოლოზ ჩხეიძე გიორგი XI-ის მეფობის პირველ ვადაში მაინც უნდა ყოფილიყო აღნიშნულ კათედრაზე და რადგანაც, ერეკლე I-მა (ქართლში 1688-1703; კახეთში 1703-1709 წწ.) ტახტზე ასვლისთანავე გადააყენა კათალიკოსი ნიკოლოზი და კათედრებზე თავისი ერთგული მღვდელმთავრები დანიშნა, მათ შო-

¹⁴ ხეც, თ. ჟორდანიას პირადი არქივი. „უბის წიგნაკი“. №466 (69), გვ. 201-202.

¹⁵ გ. ჯანდიერი. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). „მრავალთავი“. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ტ. I. თბ. 1971, გვ. 333.

რის უნდა ყოფილიყო ნიკოლოზ ჩხეიძეც. ამასთანავე სიგელებში 1690 წლიდან მოჩანს ქართლის მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე და, შესაბამისად, XVII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აღნიშნულ კათედრას, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ნიკოლოზი უნდა განაგებდეს.

კერძოდ, ამ უკანასკნელ სიგელში, რომელიც გამოქვეყნებულია „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში, გიორგი მეფის (1676-1688; 1703/09 წწ.), მისი ძის ბაგრატის, ძმების ლევანისა და სულეიმანის, კათალიკოს ნიკოლოზის, ბატონიშვილი თეიმურაზისა და აშოთანის, გივი ამილახვრის, დავით ერისთავისა და ერისთავის შვილის იასონისა და სხვების შემდგომ, ანტიოქიის პატრიარქ დოსითეოსისადმი მიმართვის წერილის თანამონაწილეა **მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ**, თბილელი ეპისკოპოსი იოსებ, მანგლელი და მროველი. სიგელში ნათქვამია, რომ „სრულად ჩვენის საბატონოს ეფისკოპოზთა და დარბაისელთა, დიდმა და ცოტამ“ თავს იღვა ამ საქმის მოგვარებაო. „...რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა სრულ ყველას გარდასაწყვეტლად მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი და გავგზავნეთ ჩვენი კაცები გილანს აბრაშუმი უნდა იყიდონ და ცხრას თვეში უნდა იზმირს მივიდნენ და როდისაც გაყიდონ აბრაშუმი, ფასი ბატონმა პატრიარქმა უნდა გამოართვას... სულ სამოცი ათასი მარჩილი ქართლიდამე უნდა პატრიარქმა ამით მონასტრები დაიხსნას-ო“ – აღნიშნულია დოკუმენტში.¹⁶

რაც შეეხება მეორე სიგელს, „მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის, მისი ძმისა და ძმისწულების წყალობის წიგნს, მიცემულს ბაქრაძე ნასყიდასათვის,“ რომელიც გამოუქვეყნებელია, შემდეგი შინაარსისაა: **ჩხეიძე ბატონი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ**, ძმა მისი ბეჟან, ძმისწული ქაიხოსრო, თეიმურაზ, სეხნია აძლევენ წიგნს ბაქრაძე ნასყიდას გალატოზს, მის შვილს თამაზას, სეხნიას, რომ სახლის და მამულის წყალობა გვთხოვეთ, გიბოძეთ სასახლის ალაგი ჩვენ დოლაბს გაღმა მლაშეს იქით რომ გზა შეექცევაო – იქამდი. „ჭინაძემ რომ ტყე გაკაფა, ისიც გიბოძეთ, შუა ტყეზე რომ გზა გარდმოვიღოს იქამდი, ჟამისადის მიწის სახნავამდი, შენ რომ ესახლები, შენახვით რომ თეთრი მიწის გზა ჩამოვა იქამდი, ავთანდილი რომ მიწას ხნავდა, ისიც გიბოძეთ, როსაფ მაჭავარიანის წისქვილამდი, დიდ ხევამდი, ჩვენი კონდაკით მოგებულთ თეთრით გიყიდეთ შოშია ბლიაძისაგან, ძეგამს მამული დაგიდევით, სააღაპო შეგწირეთ ზემთა სახიერსა სიონთა ღ(მრ)თისმშობელსა სულისა ჩვენისა საოხად... დაიწერა ქორონიკონს ტნთ (1671 წ.), კელითა ხარანიძის პაატასითა“.

¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 592-593; სეა. ფ. 1448. საბ. 1283.

ხელთვა: მთავარეფისკოპოზი ნიკოლოზ (ადგილი ბეჭდისა).¹⁷

საინტერესოა ერთი უთარილო სიგელი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ექ. თაყაიშვილს თავის „საქართველოს სიძველენის“ I ტომში. მკვლევარი ფიქრობდა, რომ ვინაიდან „ფიცის წიგნში“ იხსენიება ლიპარტიანი გიორგი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გრიგოლ, სიგელი უნდა განეკუთვნებოდეს გრიგოლ მეორის დროს, ანუ 1680-1710 წლებს.

ისტორიოგრაფიაში, ამჟამინდელი მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლ II ლორთქიფანიძის მოღვაწეობა 1696-1742 წლებით განისაზღვრება.

სიგელის მიხედვით, ლიპარტიანი გიორგი, ერისთავი შოშიტა, წულუკიძე გიორგი, მიქელაძე გიორგი, პატა და შაქარი, ჭილაძე გიორგი, ჩიჯავაძე ვახუშტი და პატა, ჩხეიძე გიორგი, აბაშიძე გიორგი, ბოქაულოუხუცესი მამუკა, იაშვილი ქაიხოსრო და ბაკა, მხეიძე ქაიხოსრო, გიორგი და ფირან, წერეთელი ქველი და პაპუნა, მოურავი ოტია და ვახტანგ, ლორთქიფანიძე ქაიხოსრო და ხახუტა, ნიჟარაძე გიორგი, ბასილ, მამუკა და **თ[ავად] ჩხეიძე მთავარეპისკოპოსი, მისი ძმა ხოსია და მისი ძმისწული პატა**, ქვარიანი გიორგი, ფიცის წიგნს აძლევენ ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოსს გრიგოლს, ქუთათელ ე[ვდემონს] და გენათელ ნიკოლაოზს... იმის თაობაზე, რომ იმერეთის ასაოხრებლად მოსულ თათრებს არ უწინამძღვრებდნენ და ხელს არ გაუძარბავდნენ. ასევე იმერეთის ციხის ალების საქმეში ხელს არ შეუწყობდნენ.¹⁸

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ხომ არ გააგრძელა თავისი მოღვაწეობა ნიკოლოზ ჩხეიძემ დასავლეთ საქართველოში? მაგრამ ამ ფაქტს საფუძველს აცლის სიგელში მოხსენიებული მისი ძმა ხოსია და ძმისწული პატა. როგორც ჩანს, აქ საუბარია დასავლეთ საქართველოში მოღვაწე სხვა მთავარეპისკოპოსზე, რომელიც გვარად ჩხეიძეა, ან უნდა ჩავთვალოთ, რომ ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსს ჰყავდა კიდევ ერთი ძმა ხოსია და ძმისწული პატა, რაც ნაკლებ სავარაუდოა.

ამდენად, ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ნიკოლოზ ჩხეიძე ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას განაგებდა დაახლოებით, 1661-წლიდან XVII საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე, შესაძლოა, 1688 წლამდეც კი, როცა ქართლის ტახტზე ერეკლე I ნაზარალიხანი ავიდა

¹⁷ სეა. ფ. 1450, საბ. №35. საქმე 89.

¹⁸ საქართველოს სიძველენი. ტ. I. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. გამოცემა მეორე. წ. I. ტფ. 1920, გვ. 43-45.

(1688-1703, კახეთში 1703-1709 წწ.) და გიორგი XI-ის მომხრე სასულიერო დასი თავისი ერთგული კათალიკოსითა და მღვდელმთავრებით ჩაანაცვლა.

ვახუშტი ბატონიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს: „...არა იცვალბოდნენ კათალიკოზი და ეპისკოპოსნი საყდართა თუსთაგან. ამან შესცვალა და დასხნა თუსნი, კათალიკოსად დიასამიძე იოანე, მთავარეპისკოპოზად ნაცვლიშვილი, ტფილელად ყაფლანისშვილი დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსებ...“¹⁹

რაც შეეხება იტრიის ტაძარს, იგი მღებარეობს შიდა ქართლის ერთ-ერთ უძველეს და უმშვენიერეს სოფელ იტრიაში, ხაშურის რ-ნის დაბა სურამის ჩრდილო-დასავლეთით. სოფლის დასავლეთით, ლიხის მთის კალთის ძირში აღმართულია ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლი – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მიძინების ეკლესია. კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც ეზოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, სამრეკლო, გალავანი და სენაკები.

იტრიის ამ შესანიშნავი ძეგლის შესახებ გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სურამს ზეით, სამკრიდამ, მოერთვის ამ წყალს ურთხვის-კვევი. მას ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლადწმიდისა, უგუმბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად“²⁰

იტრიის ეკლესიის აღმშენებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კათალიკოს-პატრიარქ ღვთისმშობლის III-ის (1589-1595 წწ.) სახელთან. კერძოდ, იტრია სახელმწიფო მამულია. კათალიკოსი ამ მამულს სამეფო კარისაგან, კერძოდ კი, მეფე გიორგი IX-საგან (სიმონ I-ის ძე) (1525-1527 წწ.) იძენს. სიგელიდან, რომელიც კათალიკოს-პატრიარქის მიერ არის შედგენილი და გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა, ჩანს, რომ იტრიის დღევანდელი მონასტრის ადგილზე „ძველთაგან ყოვლად წმიდის ეკლესია“ მდგარა, რომელიც ღვთისმშობლის დროს უკვე დაქცეული, დაძველებული ყოფილა და კათალიკოსს აღუდგენია.

საგულისხმოა, რომ მონასტრის მშენებლობა დაემთხვა შაჰ-თამაზ I-ის შემოსევებს (1541-1554 წწ.). (როგორც ცნობილია, იგი იყო ირანის შაჰი 1524-1576 წლებში, სეფიანთა დინასტიიდან, ისმაილ I-ის ვაჟი). მშენებლობის პროცესში ტაძარი „ურუმთ დაუწვავთ“, მაგრამ კათალიკოსს მონასტრის მშენებლობა მაინც დაუმთავრებია და მრავალი საეკლესიო ნივთიც შეუწირავს. კიდევ მრავალჯერ იქნა დარბეული და გადაამწვარი იტრიის მონასტერი. ასე რომ, კათალიკოსს იგი 1589-1595 წლებს შორის უნდა განეახლებინა.

¹⁹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 464.

²⁰ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 377.

არსებობს კათალიკოს-პატრიარქ ღვთისმშობლის შეწირულობის წიგნი იტრიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრისადმი (1592-1600 წწ).²¹ საბუთის შემამკობელ მინიატურას, რომელზეც გამოსახულია საყდარზე დაბრძანებული ჩვილადი ღვთისმშობელი და მის წინ მდგომი იტრიის ეკლესიის მამულებელი, შარავანდომოსილი კათალიკოს-პატრიარქ ყოფილი ღვთისმშობლის, ახლავს შავი მელნით, ნუსხურით შესრულებული მხატვრის წარწერა: „მხატვრისა აკაკისთვის შენდობად ბრძანე მეუფეო.“

ქართლის მეფე როსტომს (1632-1658 წწ.) და მის მეუღლეს მარიაჰს იტრიის მონასტრისთვის ყმები და მიწები უბოძებიათ.

როგორც ირკვევა, იტრიის მონასტერი ღვთისმშობლის კათალიკოსის დროსვე, მისივე მონღოებით, უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი მამულებისა და ყმა-გლეხების მფლობელი ყოფილა. თვითონ ეკლესიაში ინახებოდა ოქროთი მოჭედილი იტრიის ღვთისმშობლის ხატი და ასევე 94 წმიდა ნაწილიანი ხატი, რომელიც „12 ვერშოკი სიგრძისა და 6 ვერშოკი სიგანისა“ ყოფილა.²² ეს ხატი ბეჟან ჩხეიძის ოჯახის შემოწირულობას წარმოადგენდა, რაზეც წარწერა მიანიშნებს.

ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა (19, 95 X 13, 3 მ.) და ნაშენია თეთრი თლილი ქვიშაქვის კვადრებით. წყობაში გვხვდება აგურიც. აქვს ორი შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთით. შუა ნავი გვერდით ნაგებისაგან განსხვავებით მაღალია. იგი ორ წყვილ სვეტს და საკურთხეველს ეყრდნობა. მონასტერი არ არის ორნამენტებით და სარდაფებით მდიდრულად შემკული. ნახევარწრიულ აფსიდში სამი სარკმელია, შუა სარკმლის ქვეშ დიდი ნიშია. აქ სარკმლების, კარების და კედლების მორთულობა დახვეწილია, რაც მონასტრის საერთო არქიტექტურულ მთლიანობას ერწყმის და შესანიშნავ ელფერს აძლევს.

სამრეკლო აგებულია 1656 წელს ბეჟან ჩხეიძისა და ეკლესიის წინამძღვარ ნიკოლოზის დაკვეთით. იგი ზევით შევიწროებული, კოშკისებრი სამსართულიანი ნაგებობაა (6, 25 X 4, 95 მ.). ამუშავებულია უხეშად დაკუთხული თლილი ქვის კვადრებით. XIX საუკუნის ბოლოს სამრეკლო შეუკეთებიათ.

გალავანი (40 X 25 მ.) ამუშავებულია 1656 წელს კირქვის კვადრებით. წყობა ირეგულარულია. გალავანი ფერდობის რელიეფს მიჰყვება. შესასვლე-

²¹ სეა. ფ. 1448, საბ. 5008.

²² სამი ისტორიული ხრონიკა. გამოცემული ვრცელის წინა-სიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. ტფ. 1890.

ლი გალაგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია გაჭრილი.²³

აღსანიშნავია ისიც, რომ ტაძარი გარედან მთლიანად მოჩუქურთმებული ქვით ყოფილა მოპირკეთებული, რაც ჟამთა სიავეს წაეშალა და დაენგრია. ამიტომ ტაძარი გარედან მთლიანად გაუთლიათ, რაც იმის წარმოდგენას იძლევა, რომ თითქოსდა იგი შედარებით გვიან პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ ეს აზრი მცდარია. იტრიის მონასტრის შესახებ კვლევები შეკრებილი აქვს და წიგნად გამოსცა ისტორიკოსმა თამარ ლაცაბიძემ.²⁴

იტრიის ტაძარი ჩხეიძეთა სალოცავად ითვლებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, ეკლესიამ მრავალ ჟამთა მსვლელობას გაუძლო. 1889 წლის ზაფხულში სურამში იმყოფებოდა ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც იტრიის მონასტერი მოინახულა. 1890 წელს გამოცემულ წიგნში „სამი ისტორიული ხრონიკა“ იგი ვრცლად აღწერს იტრიის მონასტერს.

1960-61 წლებში იტრიის ტაძრის აღმოსავლეთ კედლის ნაწილი ჩამოინგრა. 1964 წელს ძეგლთა დაცვის მიერ ხელახალი რესტავრაცია მომხდარა ტაძრის სამხრეთის ნავისა და ამ სახით შემორჩა იგი დღევანდლობას. დღეს აქ მოქმედებს დედათა მონასტერი. ტაძარი, ადრინდელისგან განსხვავებით, მოხატულია. მხატვრობა ეკუთვნის დავით ხიდაშელს. ტაძარში 100 წმინდა ნაწილი ინახება მათთვის განკუთვნილ სანაწილეში. აქვე ვხვდებით ჯვარს, რომელშიც ჩაბრძანებულია „ძელი-ცხოველის“ წმინდა ნაწილი. ტაძარში მრავლადაა წმინდა ნაწილიანი ხატებიც: წმ. ბარბარეს, წმ. მატრონას, წმ. გიორგის, წმ. თეოდორე სტრატელატის, წმ. იოანე ნათლისმცემლის და სხვ. აქ დედათა მონასტერი ფუნქციონირებს 1997 წლის 29 დეკემბრიდან და იგი შედის რუის-ურბნისის ეპარქიის შემადგენლობაში.

²³ მ. მგალობლიშვილი, თ. სანიკიძე, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5, თბ. 1990, გვ. 435-436.

²⁴ თ. ლაცაბიძე. იტრია. ხაშური. 2010.

Maia Shaorshadze

**NIKOLOZ (CHKHEIDZE) ARCHBISHOP OF KARTLI
(60-80s OF 17TH CENTURY)**

Summary

Nikoloz Chkheidze, Archbishop of Kartli, was son of Gorgasal Chkheidze, his brother was Bezhan Chkheidze and the nephew – Kaikhosro Chkheidze. It should be mentioned that in the Annotated Dictionary of Persons, in relation to his brother and nephew Archbishop Nikoloz is mentioned but data about him, individually, is missing for some reasons.

It is assumed that Nikoloz Chkheidze was Archbishop of Kartli in 1661-1671, as he was mentioned in the documents of this period. However, it should be taken into consideration that in the Central Historical Archive of Georgia two more documents are preserved where Archbishop Nikoloz Chkheidze is referred. The first one is dated by 1671 and the other – by 1678-1688 as the latter document also mentions king Giorgi XI (1676-1688; 1703-1709) and Catholicos Nikoloz (1678-1688; 1692-1695). Supposedly, Nikoloz Chkheidze should be at the mentioned cathedra at least in the first period of the reign of Giorgi XI. In addition to this, in the documents dated from 1690 Christophore Archbishop of Kartli is mentioned, hence, in the late 80s, supposedly, above-mentioned episcopal see was still held by Nikoloz Chkheidze.

It should be noted that in Itria monastery (16th-17th cc.) the belfry, cells and the external wall was built in 1656, by order of Bezhan Chkheidze and hegumen Nikoloz. Later, brother of Bezhan Chkheidze, hegumen Nikoloz became Archbishop of Kartli.

აკოლონ თაბუაშვილი

XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სოციალური ისტორიიდან („სოფლის ნასყიდის“ გაგებისათვის)

1801-1802 წლების კახეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის აღწერის დავთარში ფეოდალური გარემოსათვის არადადამახასიათებელი საინტერესო ინფორმაციაა დაფიქსირებული. საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ „სოფლის ნასყიდ“ ყმებს.¹

1801-1802 წლების დავთარი, როგორც მისი გამომცემელი აღნიშნავს, შედგენილია ძველი დროის (იგულისხმება ქართველ მეფეთა ეპოქის – ა.თ.) ხალხის აღწერის დავთრების მსგავსად² და, შესაბამისად, მასში მოცემული ინფორმაცია ასახავს XVIII საუკუნის II ნახევრის რეალობას. სულ დავთარში შეყვანილია 34 სოფლის მოსახლეობა – 2274 კომლი. დავთარი ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად.

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით სოფელ ბახტრიონის მოსახლეობის აღწერისას. სახასო ყმების ჩამონათვალში სხვა გლეხებთან ერთად აღნიშნულია:

„...ქ. სოფლის ნასყიდი. კალატონიშვილი დავითა. კომლი ა, თავი ა.

ქ. სოფლის ნასყიდი. ამ დავითას გაყრილი. ბიძაშვილი აბრამ. კომლი ა, თავი ა...“.

დავთრის მიხედვით, ბახტრიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი სახასო ყმა იყო (28 კომლი). აქვე ცხოვრობდა ხუთი კომლი სამეფო აზნაური. ბახ-

¹ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა პროფ. როლანდ თოფჩიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხეუნებთ.

² გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. წიგნი III. ტფ. 1927, გვ. 121.

ტრიონში ცხოვრობდნენ საბატონო ყმებიც – თადია სუფრაჯიშვილის (13 კომლი) და ალათანგ პეტრიაშვილის (9 კომლი) ყმები.³

ჩვენთვის საინტერესო „სოფლის ნასყიდი“ კომლები შეყვანილია სახასო ყმების რიგებში, რადგან დავთრის ამ ნაწილს თავში გარკვევით აწერია – „ბახტრიონს მსახლობელი სახასონი“. ჯერ აღწერილია სახასო აზნაურთა სახლები, შემდეგ კი ყმა-გლეხები. სახასო ყმების ჩამონათვალის შუა ნაწილში ვხვდებით „სოფლის ნასყიდ“ კომლებს. ხოლო საბატონო ყმები აღწერილია ცალკე, ამის შემდეგ, და აქაც ვხვდებით დასათაურებას, პირველ შემთხვევაში – „თადია სუფრაჯიშვილის ყმა“, მეორე შემთხვევაში კი – „პეტრიაშვილი ალათანგის ყმა“.

როგორც კონტექსტიდან ჩანს, აღნიშნული ორი კომლი გლეხი სოფელმა შეიძინა და კოლექტიურად ფლობდა. დავთრის შედგენის ზემოთ განხილული კონფიგურაციიდან თუ გამოვალთ, კოლექტიურ მიწებზე უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ სოფლის სახასო, ანუ სამეფო, მფლობელობაში მყოფი მოსახლეობა. ამავე სოფელში, როგორც აღვნიშნეთ, ხუთი კომლი სამეფო აზნაურიც სახლობდა და შესაძლებელია, რომ ეს ორი კომლი გლეხი სოფლის სხვა სახასო გლეხებთან ერთად აზნაურებსაც შეეძინათ – ისინიც თანამფლობელები ყოფილიყვნენ. თუმცა გამორიცხულია, რომ ეს გლეხები მხოლოდ აზნაურებს შეეძინათ – ამ შემთხვევაში მათი კუთვნილების საკითხი სხვაგვარად იქნებოდა განმარტებული.

იმის გასარკვევად, თუ რა გარემოებებში შეიძლება ჩამოყალიბებულიყო ყმების მფლობელობის ასეთი ფორმა, თვალი გაგადევნოთ მეტ-ნაკლებად მსგავს ფაქტებს. ქართული ისტორიოგრაფიისათვის ცნობილია ფეოდალური ეპოქისათვის ერთგვარი ანომალური მოვლენები – ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ გვიან ფეოდალური ეპოქისთვის დამახასიათებელ მოვლენას, როდესაც გლეხი გლეხის მეპატრონედ გამოდის. „ასეთი მოვლენა (გლეხის გლეხი), რომელიც ნაწილობრივ ადრეცაა დადასტურებული (იგულისხმება XVIII საუკუნეზე ადრინდელი ვითარება), მაინც საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი და მისი მსგავსი ფაქტები ბატონყმურ ურთიერთობათა გადაგვარების მაჩვენებელია,“ – აღნიშნავდა მ. ღუმბაძე თავის ნაშრომში „თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში“.⁴

³ გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. წიგნი III, გვ. 154-155.

⁴ მ. ღუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 391.

გლეხებისა და ვაჭრების მიერ ყმების ფლობის ფაქტები წყაროებში მართლაც გვხვდება. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს: 1781 წლის მოსახლეობის აღწერის დავთარში აღნიშნულია: „(სოფელ ქვემო ნიქოზში) ოთარ მინბაშის (ამილახორის) საუფლისწულო ყმა ყამაზაშვილი ტეგია, ბერი და თევდორე კომლი ა, თავი გ. აქავ ამ ყამაზაშვილის ყმა სომხიშვილი ბერი და გოგია კომლი ა, თავი ბ“⁵; ზემოთ განხილულ 1801-1802 წლების კახეთის დავთარში აღნიშნულია ასეთი ფაქტები, მაგალითად, მარტყოფში „მამჭკუაშვილის ნასყიდი ზურაბა, ძმა გიორგი“⁶ და სხვ. ამ ეპოქაში ხშირად ვხვდებით ვაჭარების მიერ ყმების ფლობის ფაქტებს. მაგალითად, 1780-82 წლების თბილისის მოსახლეობის შესახებ არსებულ ცნობაში მითითებულია, რომ მოქალაქეები (ძირითადად ვაჭრები) თბილისში ფლობდნენ 46 კომლ ყმას.⁷

სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა (მესამე წოდების) მიერ ყმების ფლობის ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას იძლევა 1780 წლის 10 იანვრით დათარიღებული ალექსანდრე ექიმის არზა ერეკლე მეორისადმი, რომელსაც ახლავს მეფის ოქმი. მასში აღნიშნულია:

„ღმერთმან ბენიერის ხელმწიფის ჭირი მათს მონას ექიმ ალექსანდრეს მოსცეს.

ჩემო მოწყალევ, მოგეხსენება, მე ამ ქვეყანაში ყარიბი გახლავარ და შემწე არავინა მყავს, რომ ამ ჩემს ხელობაში მამეხმაროს. ერთი ბიჭი არის, სოფლებიდან მოსულა აქა, საბი წელიწადია და ვალი დაზღებია აქა, თავის სხვაზე გასყიდვას აპრობოს. ჩემო მეწყალევ, თქვენის წყალობით სხვანი უთერთოთაც ყმას შოულობენ, მე ჩემის ოფლის ფასით მინდა ის ბიჭი ვიყიდო, რომ მარტოხელობა[მ], ღიად, შემაწუხა.

წყალობას ვითხოვ, რომ ქალაქის მოხელე[ებს] უბძანოთ – სიგელი დამიწერონ; მეც თქვენი ყმა გახლავარ და ეს ჩემი ნასყიდი ბიჭიც თქვენი ყმა იქნება. ვიცით, ჩვენზე მოწყალე ბრძანდებით, წყალობა მოიღვეით. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის 3, ქორონოკონს უღს“.

არზას თავში ახლავს ერეკლე II-ის ოქმი თანხმობის შესახებ.⁸

⁵ ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები. თბ. 2013, გვ. 54.

⁶ გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. წიგნი III, გვ. 136.

⁷ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. ტ. I. თბ. 1967, გვ. 142.

⁸ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. სასამართლო არზა-ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1981, გვ. 460-461.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ თავისუფალ გლეხს, რომელიც ქალაქში დასახლებულა, დაგროვილი ვალის გამო თავის „გასყიდვა“ გადაუწყვეტია. მისი შეძენა კი ყარობ (ანუ უცხოობაში მყოფ, მოხეტიალე, უთვისტომო) ექიმს გადაუწყვეტია და მეფისაგან თანხმობაც მიუღია. თუმცა აღსანიშნავია, რომ არაფეოდალური კლასის წარმომადგენელს ყმის შესაძენად მეფის სპეციალური ნებართვა ესაჭიროებოდა და მხოლოდ მატერიალური შესაძლებლობა არ იყო ამისათვის საკმარისი. მაგრამ ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ამას ექიმი მარტივად ახერხებს და აცხადებს, რომ „სხვანი უთეთროდაც ყმას შოულობენ“. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება არა ფეოდალთა მიერ ყმის ყიდვის ფაქტი, რაც ისედაც ჩვეულებრივი ნორმა იყო, არამედ მისი ვითარების მსგავსი შემთხვევები და არზის ავტორი ამ შემთხვევების სიმრავლეზე მიუთითებს. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნეში ვხვდებით ფაქტებს, როდესაც ყმების მფლობელებად გვევლინებიან არაფეოდალური კლასის წარმომადგენლები.

როგორც ჩანს, ვაჭრებისა და ქალაქის სხვა ფენის მოქალაქეების მიერ ყმების ფლობა ამ ეპოქაში თანდათანობით ნორმად მკვიდრდება და, როგორც ვნახეთ, ასეთი შემთხვევების ლეგიტიმაციას მეფის თანხმობა ესაჭიროებოდა.

ფეოდალური ურთიერთობისათვის კიდევ უფრო ანომალურ მოვლენად მოჩანს გლეხების მიერ ყმა-გლეხის ფლობის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ქართული ფეოდალური სამართალი მფლობელობის ასეთ ფორმას არ იცნობს. ასეთი ფაქტის ახსნას ვერ ვნახავთ ვერც ვახტანგის სამართალში და ვერც სხვა საკანონმდებლო ძეგლებში, ამიტომაც მივიჩნევთ ფეოდალური სამართლისათვის ანომალურ მოვლენად.

როგორც ზემოთ ითქვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ასეთი და მისის მსგავსი ფაქტები ბატონყმურ ურთიერთობათა გადაგვარების მანიშნებელია“.⁹ ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ გვიანფეოდალურ ეპოქაში გარკვეულწილად ირღვეოდა ფეოდალური ნორმები, თუმცა XVIII საუკუნეში ქვედა სოციალური ფენის მიერ ყმების ფლობის ფაქტების გახშირებას მხოლოდ ბატონყმობის კრიზისს (თუ ასეთი საერთოდაც არსებობდა?) ვერ დავუკავშირებთ. ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ასახსნელად სხვა გარემოებებია გასათვალისწინებელი.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ნორმების გვერდის ავლით გლეხის მიერ სხვა გლეხის ყმობაში მოქცევა რაიმე არაორდინალურ

⁹ მ. ლუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, გვ. 391.

ვითარებაში უნდა განხორციელებულიყო. ელემენტარულად იმ ეპოქის საქართველოში იმ რაოდენობის თავისუფალი გლეხი არ იყო, რომ სხვა, მდიდარ გლეხებს, ფეოდალების კონკურენციის პირობებში, შეეძინათ ისინი. ხოლო, ფეოდალის მიერ ყმის გლეხისათვის მიყიდვის ფაქტი, განსხვავებით მიწისაგან, არც წყაროებით დასტურდება და თეორიულადაც არაა შესაძლებელი.

ამ პროცესის ხელისშემწყობ არაორდინალურ ვითარებად მიგვაჩნია „ლეკიანობის“ შედეგად შექმნილი რეალობა. გლეხების ყმათა მფლობელად გადაქცევა შესაძლებელია ნადავლის მოპოვების გზითაც მომხდარიყო, რაც, ასევე, დიდწილად დადესტნელი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლასთან იყო დაკავშირებული. XVIII საუკუნეში ლეკიანობამ იძენდა მასშტაბური სახე მიიღო, რომ ტყვეების სამშობლოში დაბრუნების ხელშესაწყობად სამეფო კარი იძულებული გახდა, ფეოდალების ინტერესების საწინააღმდეგო კანონი მიეღო. ცნობილია, რომ 1765 წელს ერეკლე II-მ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც გლეხები, რომლებიც ტყვეობიდან თავს დაიხსნიდნენ, თავისუფალნი იყვნენ – ვისთანაც მოისურვებდნენ, იმასთან მივიდოდნენ, ძველ ბატონს ეკრძალებოდა მათი დაყმევება.¹⁰ ამ კანონის მიხედვით, ერთი მხრივ, ძალიან გაიზარდა ტყვედ ნამყოფი თავისუფალი გლეხების რაოდენობა და მათ შეეძლოთ გარკვეული პირობის სანაცვლოდ (მაგ. ვალის დაფარვის შემთხვევაში) თავის მებატონედ აერჩიათ თუნდაც გლეხი, მეორე მხრივ, ნებისმიერ პირს, მათ შორის გლეხსაც, შეეძლო დაეხსნა გლეხი ტყვეობიდან და ის მისი ყმა გახდებოდა. ძველი მებატონე მასზე პრეტენზიას ვეღარ აცხადებდა. ერეკლე II-ის განჩინებებში კანონის ასეთი გაგება ხშირია, მაგ., 1775 წლის ერთ-ერთ არზაზე მიწერილ მეფის ოქმში აღნიშნულია: „... თქვენ თუ თქვენი ბატონი დაგიხსნის (საუბარია ტყვეობიდან თავის დასახსნელად აღებული ვალზე) და შეუძლიან, ხომ ის არის. თუ არადა, ვინც დაგიხსნის, იმისი ყმა შეიქმნები“.¹¹ ერთი სიტყვით, ამ კანონის ძალით შეძლებულ გლეხებს შეეძლოთ ტყვეები დაეხსნათ და მათ მესაკუთრებად ქვეუღიყვნენ.

ჩვენი აზრით, „სოფლის ნასყიდი“ ორი კომლი გლეხიც ამ პროცესის შემადგენელი უნდა იყოს. დიდია იმის ალბათობა, რომ ტყვეობაში მყოფი ორი კომლი გლეხი სოფლის მოსახლეობას საერთო ძალით გამოეხსნა.

¹⁰ Д. Пурцеладзе. Грузинские крестьянские и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ, Тифл. 1882, გვ. 17.

¹¹ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. სასამართლო არზა-ოქმები, 293.

„სოფლის ნასყიდი“ გლეხების საქმიანობა მიწასთან იქნებოდა დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმავე სოფლის ძველი მკვიდრნი იყვნენ, თავისავე ფუძეზე დაბრუნდებოდნენ, ხოლო თუ გამოსყიდვის შემდეგ იქნებოდნენ მისული, შესაძლებელია, სოფლის მოსახლეობას მათთვის სათემო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი გამოეყო, რომლის დაშუშავება ავტომატურად გამოიწვევდა სახელმწიფო გადასახადებით მათ დაბეგვრას. დიდი ალბათობით, ტერმინი „სოფლის ნასყიდი“, უმეტესად, ამ გლეხთა კუთვნილების მანიშნებელი უნდა იყოს და არა ბატონყმური ურთიერთობის განმსაზღვრელი. ისიცაა დასაშვები, რომ სტატუსი „სოფლის ნასყიდი“, ამ შემთხვევაში, თანასოფლელების წინაშე არსებული ვალის აღმნიშვნელი იყოს და ტყვეობიდან თავის დასახსნელი თანხის დაფარვის შემდგომ მათი ეს სტატუსი გაუქმებულიყო.

როგორც ზემოთ ითქვა, შესაძლებელია, გლეხებთან ერთად „სოფლის ნასყიდი“ ყმების მესაკუთრე იმავე სოფელში მცხოვრები სახასო აზნაურებიც ყოფილიყვნენ. თანადროულ წყაროებში კოლექტიური მფლობელობის ფაქტებიც დასტურდება. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ-ერთ საბუთს, სადაც მსგავს ანალოგიას ვაწყდებით. საბუთი წარმოადგენს ზაქარია ბიჭიკაშვილის არზას ყმის თაობაზე, რომელიც შედგენილია 1766 წლის 7 მაისს. არზას ახლავს მდივანბეგთა განჩინება.

არზაში აღნიშნულია:

„ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მათს მიწას ხოვლელს ბიჭიკაშვილს ზაქარიას მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: ხოვლეს წისქვილი მქონდა, ნიადაგმა მოვიდოდენ ლეკები, ფქვილი გაქონდათ; დიად, შევლონდით. მერე ჩემ[მა] შვილმა ივანემ თქვა: მოვაგვარებ რასმე; ერთი დიდი თოფი დაუღა კელელში ფეხზე შესმ[უ]ლი, ალაში რომ ფქვილს კელს ახლებდა, სწორეთ იმას მოხვდებოდა. ღამით რომ თოფი გავარდა, გაჭრა, მოვიდენ ორნი ჩემი შვილი წინდაწინ, ნახეს ლეკი გღია, იარაღი აყარეს, კლავდენ. ეთქვა ლეკს: დიად, ბევრი შემიძლია, ნუ მომკლავთო. მას უკან სოფლის კაციც ჩავიდა, მქარში იყო დაჭრილი.

თეიმურაზ ჯავახიშვილმა გვითხრა: მე დავაყენებ აქიმსა, რაც მოვატანოთ — ნახევარი შენი, ნახევარი ჩემი იყოსო; რადგან ბატონის ჩემის ბიძაშვილი იყო, ბატონი ხარ მეთქი; ნახევარ ხანს ის აჭმევდა, ასმევდა, ნახევარს მე. გამთელდა, ტანთ ჩავაცვი. მე იმ ლეკმა მითხრა: შენი შვილი რომ დაგკარგ[ვ]ია, იმას მოგ[ვ]კვრიო, მეც იმისთვის ვინახავდი; თუ რამ მაგისი დამე-

დებოდა, პასუხი უნდა გამეცა. მაგან თავისი ყმის შვილი ყარაღაჯელი დემეტრაშვილი დაიხსნა, თორმეტ თუმნათ იყო დაფასებული. ახლა აღარას მამლევს, სამართლონო. მოწყალევე კემწიფევე, ამისი სამართალი მიყავით.

მაისის ზ, ქორონიკონს უნდ.

ჩემი შვილი აგების დავიხსნა“.

არზას თავში ახლავს ერეკლე II-ის 8 მაისს მიწერილი ოქმი: „ქ. ყორიასაულბაშო ზაზავ! მერმე ამ არზის პატრონი ჯავახიშვილს თეიმურაზს ამ არზით რომ უჩივის, თუ სიტყვა არა ჰქონდეს, გამოურთვი, მოეც და თუ სიტყვა აქვს რამე, მდივანბეგებთან ალაპარაკე და სამართალი იმათ უყონ. აღიწერა მაისის , ქორონიკონს უნდ“.

22 მაისის მდივანბეგთა განჩინებაში აღნიშნულია:

„ქ. ბელნიერის მეფეს ამ არზის პატრონისა და ჯავახისშვილის თეიმურაზის სამართალი ჩვენ, მდივანბეგებისათვის ებრძანებინა. ჩვენ ესენი ორნივე ერთად ვალაპარაკეთ. ამათი საჩივარი გავიგონეთ.

ეს ბიჭიკაშვილი რომ ამ ლეკზე ჩივის, ამისი მოწმობა გიორგი მღვდელსაც მოეწერა ამ ბიჭიკასშვილის მართლობა. მაგრამ ამ თეიმურაზს რომ ის ლეკი ტყვეში მიუცია და ქრისტიანი ტყვეობილად და ურჯულოს ხელილადამ გამოუხსნია, მოკითხული ვქენით. რომელიც ტყვე ამ თეიმურაზს იმ ლეკით დაუხსნია, მართალია, თეიმურაზის ყმა არის. მაგრამ, დიად, ღარიბი და საბრალლო არის სადმე. და რადგან ტყვე გამოხსნილია, ამისი სამართალი ასე განვაწესეთ, რომ ერთი თუმანი თეიმურაზს დავადევით; რომ ეს ერთი თუმანი თეიმურაზმა ამ ბიჭიკაშვილს უნდა მისცეს და ამაზედ მეტს ეს ბიჭიკასშვილი ამ საქმეზედ თეიმურა[ზ]ს ველარას ედავება.

ყორიასაულბაშო ზაზავ, ასე გა[ა]რიგე. მაისის კბ, ქორონიკონს უნდ“.

კიდებე არსებული მინაწერით ირკვევა, რომ სამდივანბეგო გადასახადი ნ აბაზი დაეკისრა თეიმურაზ ჯავახიშვილს.¹²

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საქმე „ლეკიანობას“ ეხება. სასამართლომ ჯავახიშვილის ყმა თავისი ბატონის ბიძაშვილთან, თეიმურაზ ჯავახიშვილთან, ერთად ლეკის მესაკუთრედ აღიარა და თავადს ერთი თუმანის გადახდა დაავალა. მართალია, გლეხი ბიჭიკაშვილი 12 თუმნის ნახევარს ით-

¹² კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Hd 9655; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972, გვ. 496-497.

ხოვდა, მაგრამ, ჩანს, სასამართლომ იმდროინდელი პრაქტიკა გაითვალისწინა, რის მიხედვითაც, გატაცებული გლეხის საფასურად ლეკები 2 თუმნის გადახდას ითხოვდნენ და მას მხოლოდ 1 თუმანი არგუნა. ჩვენთვის ამ დოკუმენტიდან საინტერესო ისაა, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის პირობებში სასამართლო გლეხს მესაკუთრედ აცხადებდა.

საბოლოოდ აღენიშნავთ, რომ, მართალია, „სოფლის ნასყიდი“ ყმების არსებობის ზუსტი ანალოგიები თანადროულ წყაროებში არ გვხვდება, თუმცა, როგორც ვნახეთ, გლეხებისა და მოქალაქეების მიერ ყმათა მფლობელობა არც თუ იშვიათი გამონაკლისია.

ყმა-გლეხების მფლობელობის ასეთი ფორმები, როგორც ჩანს, მრავალ გაუგებრობას ქმნიდა. სწორედ ამის შედეგია, რომ ერეკლე II-ს აღნიშნული მოვლენა საკანონმდებლო ჩარჩოში მოუთავსებია. ერეკლე II-ის მიერ შედგენილ 1791 წლის „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსთადმი სამეფოდსათვის საქართველოდსას“ 55 პუნქტში, რომელიც ეხება სახელმწიფო გადასახადებს, აღნიშნულია:

„რომელიც საქვეყნო და მტრისა, თუ მეზობლის ხარჯი იქნებოდეს, ყველას უნდა შესწერდეს, სამეფოსაც, საუფლისწულოსაც, საუფროსოსაც, სადედოფლოსაც, საეკლესიოსაც, სათავადოსაც და სააზნაუროსაც“.

ამის შემდეგ საუბარია ჩვენთვის საინტერესო საკითხზე და მეფე შემდეგ ნორმას აწესებს:

„და იქნება, რომ ვაჭარსა და მოხელე კაცსაც ჰყვანდეს ყმა, ის ყმებიც უნდა საქვეყნო გამოსაღებში გარიონ. თუ საერთოდ ქვეყნის ზიზანი გარიონ, ის ვაჭრისა და ან გლეხის კაციც უნდა გარიონ. და იმისი ბატონიც იმ საქვეყნოს ხარჯს ვერ გაექცევა.“

და სხვა, რაც თავის მებატონისა იმ ვაჭარსა და იმ გლეხს აძევს, იმას ხომ თავის მებატონეს ემსახურება, მაგრამ ამათს ყმასთან ბატონს სასამსახუროდ საქმე არა აქვს; თუ საქვეყნოს გამოსაღებში ზიზანს არ გარევენ, არც ეს გლეხისა და ვაჭრის ყმანი უნდა გარიონ, უსამართლო იქნება (ხელახლა აზუსტებს მეფე ზემოთ ჩამოყალიბებულ დებულებას).

თუ იმ ვაჭრებისა გლეხების ყმებს მამული აქვსთ, ხანდახან ცოტათი სოფელს უნდა შეეწეოდნენ, თუ დიდად შეუძლებელნი არიან და ჩანს იმათი შეუძლებლობა, არა ეთხოვებათ რა. იქნება ცოტა რამ შეეძლოსთ და საეკლესიოს კაცის, როცა თავაზის ილაჯი იყოს და ან ძველადგან ამ გვარებში თავაზა შეენახოსთ საქვეყნოში, კიდევ თავაზა შეუნახონ.

ეს ეჭირებოდა საქმეს, რომ დავწერე. ამ საქმის ლაპარაკს ბევრჯელ შეუწუხებივარ და ამისთვის დავზღვევ აქა...“.¹³

როგორც ვხედავთ, ვაჭრისა და გლეხის ყმობაში გლეხების არსებობას სამეფო ხელისუფლება ცნობს. ამ კანონიდან ისიც ჩანს, რომ ასეთი ყმები უკიდურესად გაჭირვებულნი, ანდაც მცირე შეძლების ყოფილან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლებოდა მათ მამულიც ჰქონოდათ. მეფის განმარტებიდან ის ნაწილიც საინტერესოა, სადაც ჩანს, რომ გლეხისა და ვაჭრის მებატონეებს ამ გლეხის და ვაჭრის ყმები არ უნდა მომსახურებოდნენ: „რაც თავის მებატონისა იმ ვაჭარსა და იმ გლეხს აძევს, იმას ზომ თავის მებატონეს ემსახურება, მაგრამ ამათს ყმასთან ბატონს სასამსახუროდ საქმე არა აქვს“.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის მიწურულს ქვედა ფენების მიერ ყმა-გლეხთა ფლობის პრაქტიკა იმდენად განშირებულა, რომ მან საკანონმდებლო ნორმაში ჰპოვა ასახვა. სხვა ფაქტორებთან ერთად პროცესის გააქტიურების უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, „ლეკიანობა“ და მოსახლეობის ხშირი დატყვევება იყო.

¹³ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 526.

Apolon Tabuashvili

**FROM SOCIAL HISTORY OF THE 18TH CENTURY EAST GEORGIA
(TOWARDS THE EXPLANATION OF “OBTAINED BY VILLAGE”)**

Summary

1801-1802 Census Book of Kakheti’s population contains interesting information uncommon to feudal environment. The account is about serfs who were “obtained by village” (*soplis naskidi*). In the Census Book alongside with the list of royal serfs of village Bakhtrioni we read following:

“Ch. obtained by village. Kalatozishvili David. Household 1, head 1.

Ch. obtained by village. Separated from (the household of) this David. Abraham cousin (of David). Household 1, head 1...”.

As we see from the context of the text, those two serfs were obtained by village and the villagers owned those serfs collectively.

The precise analogies of this occasion are not attested in the historical records. But in the Late Feudal Period we see uncommon facts for feudalism when peasant was owner of peasant. Generally, the Georgian feudal law is not familiar with this kind of ownership and this process must be connected with uncommon occurrence.

This sort of occurrence should be the “Lekianoba” (The raids of people of Dagestan). The “Lekianoba” was immense in the 18th century. The royal court was forced to issue the law against feudal interests. It is well known that in 1765 king Erekle II issued an edict that allowed freedom to those peasants who managed to release themselves from captivity, they were able to make free choice of new suzerain and the old lord was not permitted to exploit them again. On the behalf of this edict number of free peasants was increased. They were allowed to choose their future lord even among the peasants, also any person even the peasants could release other peasants from captivity to make them serfs. The old lord was not allowed to protest against it. In our opinion, those two peasant families who are referred as “obtained by village” are the part of this process. It is highly probable that those two captive peasant households were released from captivity by the entire village folks.

დიმიტრი შველიძე

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის წარმოშობის შესახებ

უკანასკნელ წლებში ქართულ სამეცნიერო წრეებში კვლავ აქტუალური გახდა საკითხი ერების რაობის, მათი ჩამოყალიბების გარემოებების, დროის, მათ შორის – ქართველი ერის წარმოშობის შესახებ.

პრობლემის აქტუალიზაცია სავსებით ბუნებრივმა გარემოებამ გამოიწვია. ერების წარმოშობის პრობლემით თითქოს ხელახლა დაინტერესდა დასავლური მეცნიერება. განსაკუთრებით ბოლო ოცდაათწლეულის განმავლობაში უამრავი ნაშრომი გამოიცა, რომლებშიც გადაისინჯა ერის შესახებ ადრინდელი თეორიები, გაჩნდა ახალი კონცეფციები, ფორმულირებები და შეხედულებები, გაჩნდნენ ახალი მეცნიერული ავტორიტეტები.

აღრე ამგვარ პროცესებს, რომლებიც დასავლეთში მიმდინარეობდა, საბჭოურ იზოლაციაში მოხვედრილი ქართველი სამეცნიერო საზოგადოება იძულებითი დუმილით ხვდებოდა. იდეოლოგიური ხუნდებისაგან განთავისუფლებული ქართული სამეცნიერო აზრი ახლა აქტიურად დახვდა დასავლურ სამეცნიერო სივრცეში გაჩენილ ახალ ტალღას ერების ინოვაციური გააზრების შესახებ. ითარგმნა მრავალი დასავლელი ავტორი დაიწერა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, ჩვენშიაც შეეცადნენ ახლებურად გაეაზრებინათ ერების წარმოქმნა-ჩამოყალიბების პრობლემა.

2007 წლის 26-27 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ერის პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია სახელწოდებით: „ქართველი ერის დაბადება“. 2009 წელს კონფერენციის მასალები კრებული სახით გამოიცა იმავე სახელწოდებით. ავტორთა უმრავლესობა ასაბუთებდა აზრს, რომ ქართველი ერის დაბადება მოხდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ამ ისტორიულ მოვლენაში დიდი როლი მიუძღოდა ილია ჭავჭავაძეს.

ამავდროულად, ავტორები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ერისა (ნაციონალისა) და ნაციონალიზმის, ანუ ერისა და ეროვნული იდეის წარმოქმნის დროსა და პროცესს აიგივებდნენ და თან, რატომღაც, ილიასაც ამგვარი მოსაზრების თანამოზიარედ ხდიდნენ. მაგ., ერთ-ერთი ავტორი წერდა: „ილია აცნობიერებდა, რომ XIX საუკუნემდე ეროვნულობის იდეა არ აერთიანებს ერთის გვარტომის ერს. ეროვნების, ნაციონალური იდეა რელევანტური მხოლოდ XIX საუკუნეში ხდება. ერი თანამედროვე პოლიტიკურ ერთობას წარმოადგენდა, შესაბამისად, მას მომავალიც ჰქონდა“.¹ ილია ჭავჭავაძეს სხვა ავტორებიც ხშირად იმოწმებენ, მის ნაწერებს განიხილავენ და, როგორც წესი, ქართველი ერის დაბადების შემოქმედად თვლიან.

ჩვენ ამ მოსაზრებას არც უარვყოფთ, არც ვეთანხმებით; გვინდა სხვა გზას დავადგეთ: თვით ილია ჭავჭავაძეს მოვუსმინოთ და ის თავად გაგვცემს პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე: რა არის ერი; როდის „დაიბადა“ ქართველი ერი და ა. შ. ჩვენ გვგონია, რომ ამგვარ არჩევანს არც ჩემი პატივცემული კოლეგები დამიწუნებენ, რადგან ჩვენ ერთი და იგივე საკვლევი პრობლემა გვანტერესებს და ჩვენს ნაშრომსაც არა ვინმეს განჭიქება აქვს მიზნად, არამედ საკითხის კვლევა.

წინამდებარე კვლევის მიზანია დაადგინოს ილია ჭავჭავაძის აზრი და შეხედულებები რამდენიმე საკითხის შესახებ:

1. რა არის ერი; როგორია ერის ილიასეული განმარტება; განიცდიდა თუ არა ილიას შეხედულება ამ მხრივ ევოლუციას.

2. რა მახასიათებლები, ნიშან-თვისებები ჰქონდა, ზოგადად, ერს და კონკრეტულად – ქართველ ერს.

3. როდის, რა პირობებში წარმოიშვა ქართველი ერი და რა იყო მისი ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორები. ბუნებრივია, გზადაგზა შევეხებით ხოლმე იმ საკითხებსაც, რომელნიც ზემოაღნიშნულ პრობლემებთან პირდაპირ თუ რამენაირ კავშირშია.

ერი და მისი მახასიათებლები

ქართული აზროვნების ისტორიაში ილია ჭავჭავაძე პირველია, ვინც ერის რაობითა და მახასიათებლებით დაინტერესდა. 1863 წელს გამოქვეყნე-

¹ ს. რატანი. „სარწმუნოებით ქართველი“. სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება. კრებ.: „ქართველი ერის დაბადება“. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი. 2007). რედ. გიგა ზედანია. თბ. 2009, გვ. 41-42.

ბულ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ილიას მიერ რუსულიდან თარგმნილი სტატია: „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“. სტატია ეკუთვნოდა ცნობილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატს, ნიკოლაი დობროლუბოვს.

რატომ დაინტერესდა „საქართველოს მოამბის“ ახალგაზრდა რედაქტორი ალექსანდრე გავაცის პიროვნებით? ეს კაცი იყო იტალიელი მოქადაგე მღვდელი და ჯუზეპე გარიბალდის დიდი თაყვანისმცემელი. იგი იტალიის ქალაქიდან ქალაქში, რეგიონიდან რეგიონში დადიოდა და პატრიოტულ იდეებს, ქვეყნის გაერთიანებას და გარიბალდის მხარდაჭერას ქადაგებდა. ილია სწორედ ამ პატრიოტული იდეებით დაინტერესდა.

იყო მეორე გარემოებაც, რამაც ილიას გავაცის შესახებ სტატიის თარგმანისაკენ უბიძგა. როცა მომავალი ჟურნალის პროგრამას გაეცნო, კავკასიის საცენზურო კომიტეტმა ჟურნალის გამოცემის ნებართვა გასცა, თუმცა ერთი პირობით: „საქართველოს მოამბეში“ არ უნდა გამოქვეყნებულიყო „არავითარი პოლიტიკური ამბები და მსჯელობანი“.² საკუთარი მოსაზრებების გადმოსაცემად და ცენზურის თვალის ასახვევად ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა, იტალიელი მოღვაწის ქადაგებები გამოეყენებინა, ასეც მოიქცა. ცენზურისათვის იტალიელთა ბრძოლა თავისუფლებისათვის მისაღები იყო, ქართველებისა – არა. ამ მიზნით თარგმნა ილიამ ნ. დობროლუბოვის სტატია. ასე გაეცნო ქართველი მკითხველი იტალიელთა ცნობილი მოქადაგე ბერის თავისუფლებისმოყვარე იდეებს, მათ შორის, მის შეხედულებებს ერის შესახებ.

გარდა ამისა, ილიამ თარგმანს დაურთო საერთაშორისო პოლიტიკური ტერმინებისა და ინსტიტუტების განმარტებები, ისეთებისა, როგორებიც იყო: კონსტიტუცია, დემოკრატია, ავტონომია, ფედერაცია და ა. შ. ასე გაჩნდა ქართულ პრესაში ტერმინ – ნაციის განმარტებაც. გავაცის ნახსენები ჰქონდა ტერმინი: „ნაციონალური გვარდია“. ილიამ განმარტა: „ევროპაში ჯარს, შედგენილს რომელიმე ქალაქის მოქალაქეებისაგან, ეძახიან ნაციონალურ გვარდიას“ და იქვე მიამატა: „ნაცია ნიშნავს ხალხს (ლათინურად natio – ხალხს)“.³

მოკლედ გადმოვცემთ მამა ალექსანდრე გავაცის ქადაგებების მთავარ აქცენტებს, რომელნიც ერის რაობას ეხება და რომლებსაც ილია სავსებით

² „საქართველოს მოამბე“. 1863 წელი. ფაქსიმილური გამოცემა. ტ. I. თბ. 1991. რედ. ნ. სარჯველაძე. გურამ შარაძის შესავალი წერილით. გვ. 3.

³ „საქართველოს მოამბე“. ტ. I; „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“. დობროლიუბოვის თხზულებიდან. გვ. 98.

იზიარებს. ეს ვარაუდი არაა. ამ შეხედულებებს შემდგომ პერიოდების ნაწერებში ილია ადასტურებდა კიდევ და ასაბუთებდა კიდევ.

ალექსანდრე გავაცის ქადაგებების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იმდროინდელი იტალია ჯერ კიდევ დაშლილ-დანაწევრებულ სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდა. ამგვარ ვითარებაში – იტალიელი ერთიანი ხალხი ჯერ არ არსებობდა. იმისათვის, რომ იტალიელი „ხალხობა“, ანუ ერი, ნაცია შემდგარიყო, იტალია უნდა გაერთიანებულიყო, გავაცის სიტყვებით, „ალპებიდან ლილიბეამდინ, სიცილიიდან ტრიდენტამდინ“. უნდა შემდგარიყო იტალიელთა ერთობა: „ჩვენ უნდა ვიყვნეთ ან ერთი ოჯახი, ან სულ არაფერი“.⁴

გავაცი კატეგორიულად უარყოფდა ცალკეული იტალიური პოლიტიკური ერთეულების ფედერაციისა თუ კონფედერაციის იდეას, რასაც „შეკრულობას“ უწოდებდა. ეს არ იქნება ქვეყნის გაერთიანება. გავაცი ხალხს მოუწოდებდა: „შეკრულობა – თავის დღეში, თავის დღეში ნუ გვენდომება... ერთობა, ერთობა, ერთი იტალია კი ყოველთვის!“

ილია ჭავჭავაძემ მოახერხა ცენზურისთვის თვალი აეხვია და იტალიელი ბერის ქადაგების გადმოცემის გზით მიეთითებინა ქართველი საზოგადოებისათვის, ეროვნული ერთიანობისაკენ, რაც აუცილებელი პირობა იყო თავისუფლების მოპოვებისათვის. „საჭიროა ყველა შევერთდეთ ერთ ნაციონალური გრძნობით... ხოლო ჩვენი ნაციონალური გრძნობა მდგომარეობს ამ ლოზუნგში: იტალია თავისუფალი ალპებიდან ლილიბეამდე... მთელი იტალია, მთელი, მთელი...“.

იტალია იყო ერთ დროს ერთიანი და თავისუფალი. ამიტომ ბერი გავაცი მოუწოდებს მოსახლეობას, ადადგინონ იტალია: „საერთო საქმე ჩვენი ყველასათვის ერთია. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ იტალია! მაშ ერთ პირზედ დავდგეთ ყველანი, შევადგინოთ ერთი ხალხი“. ილიაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მუდამ აღნიშნავს ქართველი ხალხის ვინაობისა და თვითცნობიერების, ერთ დროს არსებული და დღეს დაცემული ვინაობის აღდგენის საჭიროებას. ეს არსებითი და პრინციპული საკითხია, არსი.

მაშ, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ნაციას უწოდებს ხალხს, „ხალხობას“. იგი ჯერჯერობით არ ხმარობს ტერმინს – ერი. ნაცია არ წარმოადგენს ხალხის ან ხალხების უბრალო კრებულს, „შეკრულობას“, არამედ ის – ერ-

⁴ „საქართველოს მოამბე“. ტ. I, გვ. 102.

თობაა. ნაცია ნიშნავს ერთი ნაციონალური გრძნობით შემდგარი ხალხისა და ქვეყნის ტერიტორიულ ერთობას. აი, იტალიელი ბერი-მქადაგებლის აზრი, რომელსაც იზიარებს ახალგაზრდა ჭავჭავაძე.

ბერი გავაცი საუბრობს ერთობის, ერთიანობის, ნაციის, როგორც ერთ დროს უკვე არსებულის, „აღდგენაზე“, რასაც ილია შემდგომი პერიოდის ნაწერებში არა ერთგან და ორგან მიუთითებს, აღნიშნავს და დაბეჯითებით იმეორებს.

ჩვენ კი ხაზს გავუსვამთ ერთ არსებით გარემოებას, რომელიც განასხვავებდა XIX საუკუნის საქართველოსა და იტალიის რეალობას და ჩვენც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ჯერ ერთი, იტალია იყო ტერიტორიულად და სახელმწიფოებრივად უაღრესად დაშლილ-დაჩეხილი ქვეყანა, რომლის დიდ ნაწილებსაც ავსტრიის იმპერია აკონტროლებდა. რა თქმა უნდა, არც საქართველოს ულხინდა, მაგრამ რუსეთის იმპერიაში შეძველებილი ჩვენი ქვეყანა, ტერიტორიულად მაინც, ერთიან მთლიან ტერიტორიას წარმოადგენდა, ძირითადად, მაინც.

ამ გარემოების გამო ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც იტალიელების წინ იდგა, ქართველ საზოგადოების ნაკლებად აწუხებდა. გარდა ტერიტორიული საკითხისა, ქართულ-იტალიურ რეალობას ერთმანეთისაგან განასხვავებდა საეკლესიო ენის პრობლემაც. იტალიურ ქვეყნებში წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა ლათინურ ენაზე, რომელიც არ ესმოდა იტალიელ მრევლს. ბერი გავაცი უკმაყოფილოდ ეკითხებოდა იტალიელებს: რას და რაში გვეხმარება ეს ლოცვები, რომელნიც არც სამღვდლოებს და არც ჩვენ არ გაგვეგება?

ჩვენში კი, მართალია, ქართული წირვა-ლოცვა მნიშვნელოვანწილად შეიზღუდა რუსეთის გაბატონების შემდეგ, ის მაინც მიმდინარეობდა.

ცოტა უფრო გვიან, 1870-იან წლებში, ილიას ლექსიკაში მტკიცედ მკვიდრდება ტერმინი „ერი“. იგი ავტორის მიერ იხმარება როგორც ხალხის, ისე ნაციის მნიშვნელობით. ეს სამი ტერმინი ილიასთვის სინონიმებია.

იმას, რომ ერი, პირველ რიგში, ერთობას, ხალხის ერთიანობას ნიშნავს, ილია ჭავჭავაძე არაერთხელ აღნიშნავს. მისი აზრით, ერი – ხალხის ცალკეული ნაწილების, ინდივიდების ერთობაა. „მე სახეში მყევხართ ყველანი ერთად, ყველანი ერთად ხომ ერია, ქვეყანა... ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია“.⁵

⁵ „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“. გაზ.: „ივერია“. 1886 წელი. №1. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. VII. თბ. 2005, გვ. 238.

კიდევ ორიოდე მაგალითს ვიკმარებთ. ერთგან წერს, პროგრესი რომელიმე ერთი წოდების წინსვლა კი არაა მხოლოდ, არამედ „მთელი იმ კრებულისა, რომელსაც ერი ჰქვია, განურჩევლად დიდისა და პატარისა“.⁶

მეორე შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე ერის თავისებურ განმარტებას იძლევა, რომელშიც მახასიათებლებსაც ასახელებს: „ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა“. ანუ გავათანამედროვოთ: ერი არის მკვიდრი მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური ისტორიული ერთობა.⁷

გარკვეულ პერიოდში ილია ჭავჭავაძე კიდევ ერთ ტერმინს ხმარობდა ერის, ხალხისა თუ ნაციის სინონიმად – „გვარტომობას“. ამ ტერმინს ნიკო ნიკოლაძე და სხვა მოღვაწეებიც ხმარობდნენ ამ მნიშვნელობით. „გვარტომობის დედააზრმა“, ანუ ერის აზრმა, იდეამ, ილიას დასაბუთების მიხედვით, დიდი მნიშვნელობა იქონია ევროპის სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ ამ იდეამ, ანუ „დედააზრმა“, გააერთიანა იტალიაო, სამართლიანად დაასკვნის ავტორი, 1888 წლის 18 თებერვალს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში: „იტალია“.

ამ აზრს ილია იმავე წლის 24 მარტის წერილშიც შეეხო და უფრო ძარღვიანად დაასაბუთა, თანაც ჩვენ მიერ ზემონახსენები ტერმინების სინონიმურობა აღნიშნა: 1852 წლის შემდეგ, წერდა ი. ჭავჭავაძე, ნაპოლეონ III-ის წყალობით, ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში წინ წამოიწია „ევრეთ წოდებულმა ეროვნობამ, „ნაციონალობამ“, გვარტომობამ ერისამ“. ამ პრინციპმა გააერთიანა იტალია, გერმანია, უფლებები მოაპოვებინა უნგრელებს ავსტრიის იმპერიაში. ახლა ამ უფლებებისათვის იბრძვიანო ჩეხები, ირლანდიელები და სხვ. სტატიას ეწოდებოდა: „ირლანდია და ინგლისი“.

კიდევ: „ივერიის“ რედაქტორი 1888 წლის სტატიაში, „ავღანისტანის საქმე“, მიესალმებოდა ბულგარეთის გაერთიანებას და განმარტავდა, რომ ორად გაყოფილმა „ერთი გვარტომობის“ ხალხმა ერთმანეთთან შეერთება მოიწადინა და განახორციელა კიდევო. ან კიდევ: ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში „სამი გვარტომობის“ ხალხი ცხოვრობსო: გერმანელები (ნემენცები), უნგრელები (ვენგერები ანუ მაღიარები) და სლავიანებიო. ეს სტატიაც 1888 წელს იყო დაბეჭდილი და „ავსტრია-ვენგრია“ ეწოდებოდა.

⁶ „შინაური საჭირბოროტო საქმეები და თავად-აზნაურთა უფლება-მოვალეობა“. გაზ. „ივერია“. 1897 წ. 2 მარტი. ხელმოუწერელია. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. XIII. თბ. 2007, გვ. 277.

⁷ „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. 1899 წ. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. XIV. თბ. 2007, გვ. 179.

ამჯერად ჩვენ ეროვნული პრინციპის მნიშვნელობა ევროპული ქვეყნების მოძრაობებში არ გვანტერესებს. ჩვენთვის საინტერესოა ერის აღმნიშვნელი სინონიმური ცნებების ხმარება ილიას ნაწერებში და გავიმეორებთ, რომ ესენი იყო: ხალხი, ერი, ნაცია, გვარტომობა, ეროვნობა და ხალხობა – ყველა მათგანი, ერს აღნიშნავდა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ერი“, როგორც ტერმინი და ცნება, საყოველთაოდ ილიას ლექსიკაში 1880-იანი წლებიდან შემოდის.

აქვე განვმარტავთ, რომ ტერმინ „ერს“ ილია ჭავჭავაძე ორი მნიშვნელობით ხმარობდა: ერთ შემთხვევაში „ერი“ ზოგადად – ხალხს ნიშნავდა და ყველა ეპოქასა და პერიოდს მიესადაგებოდა. მეორე შემთხვევაში „ერი“ – ისტორიული კატეგორიის მნიშვნელობით მოიხსენიებოდა და ნიშნავდა გარკვეული სოციო-კულტურული მახასიათებლების მატარებელ ერთობას, თანამედროვე მნიშვნელობით.

მაგრამ პირველსავე სიტყვას დაუბრუნდეთ ერის რაობის შესახებ, რომელსაც ილია ისე ვერ ჩამოაყალიბებდა, თუ მისი მახასიათებლებს არ დაადგენდა. ჩვენ აღარ მოვიყვანთ სახელგანთქმული ტრიადის ციტირებას ერის ისეთი მახასიათებლების შესახებ, რომელნიც 1860 წელს ჯერ კიდევ სტუდენტმა ჭავჭავაძემ დაასახელა: მამული, ენა, სარწმუნოება. მაშინდელი გაუწვრთნელი ქართველი არისტოკრატიული ინტელიგენცია ისე გააგულისა ახალგაზრდა სტუდენტის კადნიერებამ, რომ ვერც კი შეამჩნია ერის შემადგენელი „სამი ღვთაებრივი საუნჯე“.

ამის შემდეგ ილია მრავალგან და მრავალჯერ შეეხო და დაასახელა ერის ნიშან-თვისებები, მახასიათებლები თუ კომპონენტები. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. 1882 წლის ჟურნალ „ივერიის“ მეათე ნომრის „შინაურ მიმოხილვაში“ იგი ყურადღებას ამახვილებს იმ კომპონენტებზე, რომლებითაც სხვადასხვა „ერი“ და „ხალხი“ განსხვავდება ერთმანეთისაგან: ქვეყანა, მიწა-წყალი, ჩვენი ვინაობა, „თვისება“ (თვისცნობიერება, თვითმყოფადობა), სარწმუნოება... ეკონომიური, პოლიტიკური, სამოქალაქო, საერო თუ სასულიერო „წესები“, ანუ წეს-წყობილება. ცოტა ქვემოთ, იქვე, კვლავ ჩამოთვლის: ენა, თვისებები, ზნე-ხასიათი, წეს-ჩვეულებანი, ისტორია და აწმყო, „შინაგანი და გარეგანი ბუნება“ და სხვ.

უფრო გვიან, 1897 წელსაც, 19 მარტის სტატიაში: „ტფილისში სომხობამ ხელთ იგლო ქალაქის თვითმმართველობა“, ავტორი კვლავ იმეორებს: ყველა ერს აქვს უფლება იქონიოს „თავისი რჯული, თავისი ენა, თავისი სარწმუნოება, თავისი ისტორიული სულთასწრაფვა“.

1880 წელს ქართველ თერგდალეულთა თავკაცის ყურადღება მიიპყრო პოლემიკამ, რომელიც ატყდა თბილისის ორ სომხურ გაზეთს – „მშაკას“ და „მელუ ჰაიასტანს“ შორის. რაზე კამათობდნენ? რომელი იყო ერის ის განსაკუთრებული თვისება, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორის როლს თამაშობდა ერების ერთმანეთისაგან განსხვავებაში. ე. ი. ისეთი რამ, რაც ერის იდენტობაში განმსაზღვრელი იყო. ილიამ თავისი დაკვირვების ანალიზი 1880 წლის 14 ოქტომბერს გაზეთ „დროების“ მკითხველს გაუზიარა წერილში: „სომხური გაზეთების პოლემიკა“.

„მშაკის“ აზრით, ერის უმთავრესი ნიშანი იყო ენა და „სამშობლო მიწა“ (ე. ი. ქვეყნის ტერიტორია – დ. შ). ავტორს ციტირებაც მოჰყავს „მშაკის“ აზრისა: „მხოლოდ ენა არჩევს ერთს გვარს (ხალხს) მეორისაგან, ენაა მხოლოდ საფუძველი გვარტომობისა“. მეორე სომხური გაზეთი „მელუ ჰაიასტანი“ არ ეთანხმება „მშაკს“ და მიიჩნევს, რომ უმთავრესი თვისება ერისა სარწმუნოებააო.

ი. ჭავჭავაძე არ ეთანხმება არც ერთ და არც მეორე თვალსაზრისს. ორივე სომხური გაზეთი ცდება: ერთი ან ორი ნიშან-თვისება არაა საკმარისი ერის განსაზღვრისათვის, მიუხედავად მათი დიდმნიშვნელოვნობისა. „არც მართო ენა, არც მართო სარწმუნოება და არც სხვა რამ ერთი თვისება ცალკე აღებული, არ შეადგენს ისეთ თვისებას რომელისაჲმე ერისას, ურომლისოდაც ამ ერს ერი არ დაერქმევა, რომელიც შეიქმს ამ ერს სხვებისაგან განრჩეულ, განსაკუთრებულ ერად“.

ამის შემდეგ ილია წარმოგვიდგენს ნიშან-თვისებათა ჩამონათვალს, რომელთა ერთობლიობაც შეადგენს „ხალხს, გვარ-ტომობას, ნაციას“. ის წერს: „განსაკუთრებულ ხალხს, გვარ-ტომობას, ნაციას შეადგენენ ყველა ის თვისებანი, ერთად აღებული, რომელიც იმას სხვა ხალხისაგან განასხვავებს, და ის პირობანი, რომლებშიაც იმას უცხოვრია. ამ შემთხვევაში ერთს სამშობლო ენასა და ქვეყანას იქნება სხვა თვისებებზე უფრო მომეტებული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ, უეჭველია, რომ ამათ გარდა ერთის ხალხის მეორისაგან გარჩევისთვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს: საერთო ისტორიას, ამ ხალხის ყველა შვილებისას, ერთგვარ ხასიათს, ზნეს, ჩვეულებას, ერთგვარ ჭკუისა და გონების მიმართულებას, თითქმის ერთ ტანისამოსსა და სხვა და სხვ“.⁸

⁸ „სომხური გაზეთების პოლემიკა“. გაზ. „დროება“. 1880 წ. 14 ოქტომბერი. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. XV. თბ. 2007, გვ. 165-166.

ჩვენ წინაშეა ილია ჭავჭავაძის მიერ მოცემული ერის განსაზღვრება. ერის, ხალხის, გვარტომობის თუ ნაციის ცალკეულ ნიშან-თვისებებს ის ადრეც არაერთხელ ასახელებდა, მაგრამ ამჯერად მან ყველაზე ამომწურავად მოუყარა თავი ერის მახასიათებლებს და მოგვცა მასზე დაყრდნობით – ერის განმარტება, ამ ცნების საკუთარი განსაზღვრება. გარდა ერის მახასიათებლების მნიშვნელობის ხაზგასმისა, ილიამ მიუთითა კიდევ ერთი კომპონენტის არსებობას ერისათვის: „ის პირობანი, რომლებშიც მას უცხოვრია“. „პირობებში“, ცხადია იგულისხმებოდა საერთო წარსული. ასეც წერს: „ამათ გარდა ერთი ხალხის მეორისაგან გარჩევისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ისტორიას, ამ ხალხის ყველა შვილებისას“.

ქართველი ერის წარმოშობის დრო და ფაქტორები

ერის რაობის განმარტების გარდა, ილია ხშირად ამახვილებდა ყურადღება, ერის რომელიმე ნიშნისა თუ მახასიათებლის მნიშვნელობის ან ერის წარმომავლობის სხვა პირობების შესახებ. „ივერიის“ რედაქტორის ღრმა რწმენით, ერის ჩამოყალიბება სერიოზულმა პროცესებმა განაპირობეს და არა მეორეხარისხოვანმა მოვლენებმა. მეორე – ერის ჩამოყალიბება და, კერძოდ, ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი, ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში – ძველი პერიოდიდან მიმდინარეობდა. მესამე – ერის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, ეკონომიკურ ფაქტორს.

სწორედ ამ არაერთგვაროვანი სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული მიზეზების ერთობლიობაზე მიუთითებს, ერის ფორმირების ილიასეული განმარტება 1886 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: „სახასო გლეხთა მამულების შესახებ“. მასში ავტორი ქართველი ერის წარმოქმნის სავარაუდო დროსაც მიანიშნებს, გარემოებებსაც.

კვითხულობთ: „ერი ორი ათასი წელიწადია სცხოვრებს ისტორიულად და ნუთუ ჰგონია ვინმეს, რომ მისი ყოფა-ცხოვრება შემთხვევის საქმეა და არა ისტორიულ მომჭირნეობისა, ჭირნახულობისა და გამონაცადისა, თუ ესეა ნუთუ ჰგონია ვისმეს, რომ მის ეკონომიურს თუ სხვაფერს ყოფა-ცხოვრებას ღრმად გაჭრილი არა ჰქონდეს თავისი საკუთარი, თავისებური საძირკველი, რომელზედაც ერს დულაბ-კირად უნმარია თავისი გამოცდილება და ქვად – თავისი სულიერი და ხორციელი მიდრეკილება“.⁹

⁹ „სახასო გლეხთა მამულების შესახებ“. გაზ. „ივერია“. 1886 წ. 3 მარტი. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. VII, გვ. 413.

როგორც ვხედავთ, ილია ავითარებს აზრს, რომ ქართველ ერს ისეთი საკუთარი ეკონომიკური და სამეურნეო სისტემა ჰქონდა ჩამოყალიბებული, რომელიც მისი არსებობის შენარჩუნებას და კეთილდღეობას შეესაბამებოდა და ხელს უწყობდა. ილია ჭავჭავაძის მოსაზრებას სრულიად ადასტურებს თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების მონაცემები.

ეს საკითხი საკმაოდაა შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში და აღარ გავამახვილებთ მასზე ყურადღებას. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელ ხანს ისტორიულ წარსულში ქართველი ხალხის სამეურნეო სისტემას და ჩვენი ქვეყნის ცალკეული ეთნოგრაფიული კუთხეების ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებს შეეხო როლანდ თოფნიშვილი. მკვლევარმა სამეცნიერო ლიტერატურის, განსაკუთრებით კი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების მოხმობით და საკუთარი კვლევის შედეგად მიღებული კონკრეტული მონაცემებით, კიდევ ერთხელ დაასაბუთა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან სპეციფიკური სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე.

ეს კავშირები, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერი იყო მაშინ, როცა ქვეყანა პოლიტიკურად ძლიერი და გაერთიანებული იყო. მაგრამ სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთმიჯავჭვულობა მყარი იყო საქართველოს დამლილობის ხანაშიც. ამას ადასტურებს მრავალი წყარო და ფაქტები, რომლებიც მკვლევარს მოჰყავს. სამცხე-ჯავახეთის, კოლა-არტაანის, აჭარის, მთიანი რეგიონების, იმერეთის, რაჭის, სვანეთის, სამეგრელოს, ქართლ-კახეთისა თუ სხვა მხარეთა მოსახლეობა აუცილებელი სამეურნეო-ეკონომიკური დამოკიდებულებით იყო დაკავშირებული ერთმანეთზე და ქმნიდა „ერთიან კულტურულ-სამეურნეო ორგანიზმს“, ერთ სამეურნეო ერთეულს. მეტიც, „პოლიტიკურ გაერთიანებამდე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, ქართველთა განსახლების სხვადასხვა არეალები ერთ სამეურნეო ერთობას წარმოადგენდნენ“.¹⁰

მკვლევარი დაასკვნის, რომ თვით ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიცაა „ქართველი ერის ჩამოყალიბების საკითხის გარკვევა“ – სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ სამეურნეო-ეკონომიკური ერთობა იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა „ადრე შუა საუკუნეებში“ ქართველი ერის ჩამოყალიბება.

¹⁰ რ. თოფნიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. თსუ საქართველოს ისტორიის შრომების სპეციალური გამოშვება: „შოთა მესხია – 100“. თბ. 2016, გვ. 397.

სწორედ სპეციფიკური სამეურნეო-ეკონომიკური სისტემა ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა ოპონენტების მისამართით შენიშნავდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ: ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ეკონომიკურ ყოფაცხოვრებას ღრმა საძირკველი არ ჰქონდა ერის სულიერ და ხორციელ ცხოვრებაში და „დუღაბ-კირის“ და „ქვის“ მნიშვნელობა არა ჰქონდაო? დუღაბ-კირი – ერის ერთობას უზრუნველყოფდა, ხოლო ქვა – ამ ერთობის სიმტკიცის სიმბოლო იყო.

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები მშვენივრად ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმმა, ალებ-მიცემობამ, რკინიგზებმა ძირეულად შეცვალა ცხოვრება. ახალმა ეპოქამ რეალობის ყველა სფეროს განვითარება და აჩქარა და გარდაქმნა. ცხადია კაპიტალიზმმა ხელუხლებლად არ დატოვა ერიც, ეროვნული სფეროც, მან გააღრმავა ეროვნული ერთიანობის, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესიც. ამავე დროს, ახალმა სისტემამ ახალი ერები გამოიყვანა ისტორიის სარბიელზე და ამ პროცესსაც შესანიშნავად აცნობიერებდნენ თერგდალეულები.

სწორედ ამიტომ გამოიჩინა ილია ჭავჭავაძემ ერთმანეთისაგან ძველი და ახალი ერები და შემოიღო ე. წ. ისტორიული ერის ცნება. კაპიტალიზმმა ძველი ერები, მათ შორის ქართველი ერი – ახალი ამოცანების წინაშე დააყენა: მას უნდა აღედგინა ის, რაც ძველ ისტორიულ ხანაში გააჩნდა – ეროვნული ერთობა, ეროვნული თვითობა, ეროვნული თვითცნობიერება, მას უნდა განეხორციელებინა დიდი ამოცანა – აღედგინა დაცემული ვინაობა, ის, რაც მას გააჩნდა დიდი ხნის წინ.

ქართველი თერგდალეულების ლიდერი საქართველოს იმ ქვეყანათა რიცხვს და ქართველ ხალხს იმ ხალხთა რიცხვს აკუთვნებდა, რომლებსაც ადრე „ჰქონია თავისი ისტორიული ეროვნობა“. ამ, ჩვენის აზრით, დიდმნიშვნელოვან დასკვნას მოსდევს კიდევ უფრო საფუძვლიანი და დიდმნიშვნელოვანი მოსაზრება, რომელიც „ისტორიულ ერებს“ ლამის უძლეველობის სტატუსს ანიჭებს:

„ისტორიულ ერთა მოსობა შეუძლებელია – ეს აზრი რომელიდაც რუს მწერალს ეკუთვნის და ილიაც მის ავტორიტეტს ეყრდნობა, მის ციტირებას ეწევა, – დიდი უბედურობისა და დამცირების შემდეგაც კი, იგინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ შეურიგებელს სიმბულვარეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ“.¹¹

¹¹ „შინაური მიმოხილვა“. ჟურნ.: „ივერია“. 1883 წ. №9. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. VII, გვ. 161.

აღნიშნული დასკვნა იმდენად ღია განაჩენი იყო ყოველი ჯურის დამპყრობელთათვის და ამ შემთხვევაში რუსეთის მონარქიისათვის, რომ ილიას არ უშველა „რუსის მწერლის“ ავტორიტეტმა, ცენზურამ ამოიღო ფრაზა და არ დაბეჭდა, მაგრამ უპირველესი თერგდალეულის აზრი აზრად დარჩა და დარჩება, რომ იგი ქართველ ერს „ისტორიულ ერად“ მიიჩნევდა და მსგავსი ერების ასიმილაციას – შეუძლებლად. ცხადია, ისტორიულ ერში იგულისხმებოდა, პირველ რიგში, ის გარემოება, რომ ქართველი ხალხის „ერად“ ფორმირება მოხდა ისტორიულ დროში – საუკუნეების წინ. ამ აზრს ილია მრავალგზის აფიქსირებდა.

ამის შემდეგ „ივერიის“ რედაქტორი იმ ინკოგნიტო რუსი მწერლის აზრს თვითონ ავითარებს და დამატებითი არგუმენტით აქვითვირებს: „ისტორიულ ერთა მოსპობა კიდევ უფრო შეუძლებელი გახდა „ეხლანდელ დროში“ ე. ი. XIX საუკუნეში, „როცა ასე საყოველთაოდ განმტკიცებულია და აღვზნებული ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, ესევეთარი საქმე უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს. მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თავისებისა და შერაცხვა მისი სხვა ერთა შინა – ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავისთავზე ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება...“. მერე ჩამოთვლის ყველაფერ იმას, რაც უნდა დაივიწყოს ან რის დავიწყებასაც ერს აიძულებენ: „...თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა... ეს საქმეც აღემატება კაცთა შემძლეობას“.

ქართველი ერი რომ ი. ჭავჭავაძეს წარსულ საუკუნეებში არსებულად და ჩამოყალიბებულად მიაჩნდა, დიდი მოღვაწის არაერთ ტექსტშია დადასტურებული, ნახსენები და გამეორებული. მას არსად არა აქვს თქმული, თითქოს ქართველი ერი XIX საუკუნეში ჩამოყალიბებულიყო, „დაბადებულიყო“ და ამ პერიოდის პროდუქტი ყოფილიყო. ის სავსებით გასაგებად ამბობს და მრავალჯერ იმეორებს, რომ „დღეს (ე. ი. XIX საუკუნეში – დ. შ), ცხადად და უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები ერის გამოფხიზლებისა, ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენისა“.¹²

„ივერიის“ რედაქტორი კიდევ უფრო ნათლად გადმოგვცემს თავის აზრს ძველი და ახალი ერების შესახებ, ერთ საყურადღებო წერილში „ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის“, რომელიც 1886 წლის 16 აპ-

¹² ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. VII, გვ. 161.

რილის „ივერიაში“ გამოქვეყნდა. ეხება რა ზნეობრიობის ფაქტორს, ავტორი ეყრდნობა „საფრანგეთის მეცნიერის სახელგანთქმულ რენანის“ ავტორიტეტს.

ამჯერად ზნეობრიობის ფაქტორი არ გვანტერესებს. ამ წერილში ილიამ კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთა აზრი, რომ არსებობენ ძველი და ახალი ერები. ძველ ერებად მას მიაჩნდა რომის დაცემის ეპოქაში წარმოქმნილი ერები, ხოლო ახალ ერებად ის მიიჩნევდა მოწინავე კაპიტალისტურ ევროპულ ერებს. „...რომი დაეცა, ვითარცა თვითმპყრობელი მაშინდელის ქვეყნისა და მის გასამძლეო ნაშთზედ აშენდა ახალი ქვეყანა, წარმოდგენენ სხვა, ახალნი თუ ძველნი ერნი, რომელთაც დღეს სვე-ბედი ქვეყნიერობისა ხელთ უჭირავთ და კაცობრიობას წინ უძღვებიან“.

ძველი და ახალი ერების თემას ი. ჭავჭავაძე თავის განმარტებულ წერილშიც „აი ისტორია“, ეხება. აკრიტიკებს რა ივანე ჯავახიშვილს და ერების „დაბერების“ დრეპერისეულ თეორიას, „ივერიის“ რედაქტორი წერს, „რას გვიქვიათ ერების სიბერე?“ შემდეგ ის ჩამოთვლის სხვადასხვა ერს: ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს, ამერიკელ-ინდიელებს, აფრიკელებს, „აბაშის ეთიოპელებს“ და მიუთითებს, რომ ჩამოთვლილთა შორის „არიან ძველნი და ახალი...“ შემდეგ ავტორი განმარტავს კიდევ, როგორ ესმის ერის სიძველე და სიახლე: „ეგ ძველ-ახლობა მართო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზე და მეორე გვიან“.¹³

მაინც როდისაა საგულვეტელი ილიასთვის ქართველი ერის ფორმირება და ჩამოყალიბება? იგი კონკრეტულ პერიოდს არ ასახელებს, მაგრამ ადრე შუა საუკუნეებს გულისხმობს. მას უყვარს ერის არსებობის „ორიათასწლოვანი ისტორიის“ მოხსენიება. ქართველი ერი „ორი ათასი წელია ცხოვრობს ისტორიულად“, წერს ის ზემოთ დამოწმებულ სტატიაში: „სახასო გლეხთა მამულების შესახებ“.

„ქართველ ერს აიღებთ თუ სომხისას, ათასის წლების ისტორია აქვთ“, წერს „ივერიის“ რედაქტორი თავის გაზეთში 1897 წლის 26 აპრილს სტატიაში: „ჩვენში დიპლომა ნიშანი მეკურნალის ცოდნისა და არა თვით ცოდნა“.

„ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა XVIII საუკუნის დასასრულამდე, შეირჩინა რჯული, ენა, ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა“, 1899 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, „ასის წლის წინათ“, ავტორი ერს თავისი კომპონენტებით ასახელებს.

¹³ „აი ისტორია“. გაზ.: „ივერია“. 1889 წ. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. XI, გვ. 142-143.

„ქვათა ღაღადში“ ილია იშველიებს დიუბუა დე მონპერეს ავტორიტეტს, რომელიც „იხსენიებს ქართველებს, ვითარცა ძველისძველ ერს“.

„ორი ათასი წელიწადზე მეტია, ჩვენ ვცხოვრობთ, მტერსა და მოყვარეს გავძლივართ, ქვეყანა, მიწა-წყალი, ჩვენი ვინაობა, თვითება, სარწმუნოება შეგვინახავს, გვქონია ჩვენი წესები – ეკონომიური, პოლიტიკური, სამოქალაქო, საერო თუ სასულიერო...“.¹⁴

ილია ჭავჭავაძე ხშირად წერდა ეროვნული პრობლემის რომელიმე ასპექტზე. და თუ ქართველ ერს ახსენებდა, მასზე მსჯელობდა, როგორც დიდი ხნის წინ არსებულ-ჩამოყალიბებული ფენომენის შესახებ. ერთგან მან ყურადღება გაამახვილა ერისათვის დამახასიათებელ ისეთ საერთო თვისებაზე, როგორცაა – ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი, ფსიქოლოგია, ფსიქო-ასპექტი.

1881 წლის 4 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება ილიას წერილი: „ქართველები საქართველოში“. ავტორის განმარტებით, ხალხთა გადასახლება-გადმოსახლებების დროს ჩვენ „ისეთი კუნჭული“ გვერგო, რომელიც „ქვეყნის თვალათ“ ითვლება, ამიტომ ყველას აქეთ ეჭირა თვალი. ქართველებს ამ ქვეყნის დასაცავად მუდმივი ომი უხდებოდათ. სწორედ ამ მუდმივმა ომმა ჩამოაყალიბა ქართველი კაცის ხასიათი. „ომის კაცებად“ შევიქნით. ყველას იარაღი გვეჭირა ხელში. ყველა ციხეებში ვიდექით და გადავყურებდით მტერს, როდის მოვა, როდის დაგვესხმის თავს და როდის დაგვეჭირდება იმასთან შებმა.

შემდეგ ავტორი განგვიმატავს, რომ „ერის ცხოვრება და ხასიათები ხომ საუკუნობად სდგება, საუკუნოებით მაგრდება და იმის გამოცვლა, ძველი ზნის, ხასიათის, ჩვეულების დატოვება და ახლის მიღება, იმისთვის ძნელია, ამას დრო უნდა და მარჯვე გარემოება“. მაშ, ავტორის დაკვირვებით, ერის ხასიათი და ერის დროთა, საუკუნეთა, ისტორიის ხანგრძლივი სვლის მანძილზე ყალიბდება, მას ცხოვრების გარემოებანი და პირობები აყალიბებს, ერსაც, როგორც ერთობის სახე-ფორმას, ის ქმნის.

შეცვლილი ცხოვრების პირობები ერის ხასიათსაც ცვლის. ჩვენი დიდი მოღვაწე ქართველი ერის ზნე-ხასიათისა და ფსიქოლოგიის ტრანსფორმაციის პროცესსაც აკვირდებოდა. მას ქრონოლოგიური სიზუსტით ჰქონდა შემუშავებული-სისტემატიზებული ქართველი ერის ევოლუციის ეტაპები. მივადევნოთ ყურადღება მის მსჯელობას.

¹⁴ „შინაური მიმოხილვა“. 1882 წ. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. VII, გვ. 15.

ქართველმა ერმა, როგორც „შეკუმშულმა ეროვნობის ჯგუფმა“, XVIII-XIX საუკუნეებამდე მოაღწია. ისეთ მიმე ისტორიულ პერიოდში, როგორც XVIII საუკუნე იყო, კავკასიაში ცხოვრობდნენ „წვრილი ერები“, მომთაბარე ტომები, ელები – ლეკების, ჩერქეზების თუ სხვათა სახით. მათ ხანები, ბეგები, იმამები განაგებდნენ. იყვნენ სომხებიც, რომლებიც აქა-იქ ცხოვრობდნენ და ნაკლებად შეადგენდნენ „შეკუმშულ და ერთ ალაგას დასახლებულ“ ხალხს.

კავკასიელი ხალხებისაგან განსხვავებული ხარისხის მდგომარეობა ეკავა „ქართველ ერს“. ის, მართალია, დაღლილი და ილაჯგაწყვეტილი იყო, მაგრამ „მედგრად მებრძოლ“ ერთობას წარმოადგენდა „...როგორც სჯულის, ისე დამოუკიდებლობის, თვითების დასაცავად“.

შემდგომ უფრო აზუსტებს: „ხოლო საქართველო, რაც უნდა დაუძლეურებული და გახრწნილი ყოფილიყო, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების აგებულება წარმოადგენდა თვითმდგომარე სამეფოს, მისი ხალხი, ერთმორწმუნე და ერთენოვანი, წარმოადგენდა შეკუმშულს ეროვნობის ჯგუფს...“¹⁵

როგორი იყო „ქართველი ერის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნეში: ის იყო დასუსტებული და დაშლილი; მაგრამ ის „ერთობას“ ინარჩუნებდა; გააჩნდა და იბრძოდა ეროვნული „თვითმყოფადობის“ (თვითების) დასაცავად; ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და განვითარებული საზოგადოებრივი სტრუქტურული აგებულება; იყო ერთმორწმუნე და ერთენოვანი და ყოველივე ჩამოთვლილისა და ადრე დაფიქსირებულის გათვალისწინებით, წარმოადგენდა „შეკუმშულს ეროვნობის ჯგუფს“, – ანუ ერს.

მაშ, მერე რა მოხდა, მერე რაღატომ გახდა ილიასა და მისი თანამებრძოლებისათვის საზრუნავი: „დაცემული ვინაობის აღდგენა“; ეროვნობის გრძნობის გაძლიერება, ზოგადქართულის გამარჯვება პირადულ-პიროვნულზე და ა. შ. ანუ ნაციონალური პრინციპის აღორძინება, ისე როგორც ეს ხდებოდა იმდროინდელ ევროპის ქვეყნებში?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო (მასში, ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფო იგულისხმება – დ. შ.) მრავალი ასპექტით გამოირჩეოდა კავკასიურ სივრცეში, იგი მაინც დასუსტებულ-მოღლილ ქვეყანას წარმოადგენდა და რუსეთის იმპერიის „ინკორპორაციის“ მსხვერპლი აღმოჩნდა. ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ, რომ ავტორი ამ წერილში რომელიღაც გამოჩენილი რუსი „მწერლის“ ავტორიტეტს ეყრდნობა. „მწერალში“ აუცილებელი არაა მხატვრული

¹⁵ „სხვადასხვა ერების უცნაური მდგომარეობა კავკასიაში“. გაზ.: „დროება“. 1882 წ. 9 იანვარი. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. XV, გვ. 299.

სიტყვის ოსტატი იგულისხმებოდას, პირიქით, ამ შემთხვევაში რომელიმე რუსი პუბლიცისტი ან ინტელექტუალი იგულისხმება, რომელიც ხშირად წერდა ეროვნულ პრობლემებზე.

ინფორმაციისათვის აღვნიშნავთ, რომ იმ „ერთი რუსი მწერლის“ შემდეგ ილია სხვა რუს მწერლებსაც ასახელებს და „ეროვნული პრინციპების მოსარჩლეებს“ უწოდებს მათ: გრადოვსკის, პიპინს და სხვებს. გრადოვსკის რომ ასახელებს ჩვენი ავტორი, ეს ცნობილი რუსი სამართალმცოდნე და პუბლიცისტი ალექსანდრე გრადოვსკია. ილიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, ალბათ, ა. გრადოვსკის ცნობილი ნაშრომი: «Национальный вопрос в истории и литературе», რომელიც გამოქვეყნდა 1876 წელს.

ილიას მოჰყავს რუსი ავტორის სიტყვები, რომ, საზოგადოდ ქვეყნის ინკორპორაცია, რომელსაც ჰქონია თავის „ისტორიული ეროვნობა“, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა.

ილია განაგრძობს: მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ერმა ინკორპორაციის შედეგად სახელმწიფოებრიობა დაკარგა და „ძნელ“ მდგომარეობაში ჩავარდა, XIX საუკუნის პირველ მესამედში მაინც ძლიერ ეროვნულ ერთობას წარმოადგენდა. ამ პერიოდის ქართველობაც სხვანაირი ხალხი იყო. ავტორის აზრით, მაშინდელი ქართველები უფრო „საქმის ხალხი“ იყო, სამუშაო ბევრი ჰქონდათ, „ბოზბაშისა და ჩიხირთმისათვის“ არ ზრუნავდნენ და საამისო დროც არა ჰქონდათ.

აქ ავტორი საქართველოს დაპყრობის შემდგომ აურზაურთან ოცდაათწლიან პერიოდს გულისხმობს, მათ შორის, ანტირუსულ აჯანყებებსაც, მაგრამ, საცენზურო პირობების გამო ვერ ახსენებს მათ. თუმცა ამ შფოთიან ხანას მოჰყვა 40-50-იანი წლების უმოდრაობის ხანა. დადგა დრო მიძინებისა, ჩვენი „ეროვნულის მიმდინარებისა, მოქანცულობისა... ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივის სამსახურის ასპარეზი“.¹⁶ საქმეს ვერ შევლოდა ორიოდე დიდი ქართველის მოღვაწეობა: ნიკო ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, სხვათა.

აი, სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ქართველი ერისათვის დამახასიათებელ მანკიერებებს, მავნე წეს-ჩვეულებებს. პირველ რიგში, ჩვენს ავ-

¹⁶ „შინაური მიმოხილვა“. 1882 წ. სექტემბერი. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. VII, გვ. 159.

ტორს, რა თქმა უნდა, ეროვნული ერთიანობის რღვევა და ეროვნული თვითშეგნების დასუსტების პრობლემა აწუხებდა. 1883 წლის ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ პუბლიცისტი სავალალო გარემოებას უსვამს ხაზს, რომ თანამედროვე ქართველებში დაირღვა საერთო, ზოგადქართველობის შეგნება და გამარჯვებულია პირადული ინტერესის გრძნობა. პუბლიცისტის რწმენით, ადრე, წარსულ ისტორიულ დროში ასე არ იყო. მაშინ სხვაგვარად იყო. მაშინ „ჩვენობის“ შეგნება სჭარბობდა „ჩემობის“ ანგარიშს.

ძველ დროში რომ „ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აღიგებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“.

ახლა როგორ არის ამ მხრივი მდგომარეობა ქართველი ერისა? ისე, რომ „მე“ დაიჭირა „ჩვენობის“ ადგილი. რა არის ერის დღევანდულობის ამოცანა და მიზანი? „ჩვენი ერის სურვილია – ხელახლად „ჩვენობას“ ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, დაიძლიოს ჩვენში არსებული თვითვეულობა განცალკევებით განზედ დგომა და საკუთარი „მე“.¹⁷ როგორც მრავალჯერ, ჩვენი პუბლიცისტი ჩვეული სიჯიუტით კვლავ წარსულში არსებული ერის ერთიანობაზე მიგვითითებს და მიზნად სახავს ადრე არსებული ეროვნული ერთიანობის აღდგენის აუცილებლობას. ერთიანობა და ერთობა კი, როგორც აღვნიშნეთ, ერის არსებობის ერთ-ერთ მძლავრ კომპონენტად ჰქონდა ილიას წარმოდგენილი. ის ძველებური სიმტკიცით უნდა აღორძინებულიყო. აქ და სხვაგანაც, კიდევ ერთხელ, არაა საუბარი რაღაც ახლის და არარსებული შექმნაზე, არამედ საუბარია – ძველად არსებულის აღდგენაზე.

ქართველი ერის ქმნალობის კიდევ ერთ ფაქტორს უსვამდა ხაზს თავის ნაწერებში და ზეპირ გამოსვლებში ილია ჭავჭავაძე – სარწმუნოებას. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ შექმნა კიდევ ერთი მტკიცე ფაქტორი ქართული ერის ჩამოყალიბებისათვის. ამ ფაქტორის მნიშვნელობა მეტისმეტად გაზარდა საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელიც ლამის VII საუკუნიდან XIX საუკუნემდე თითქმის ერთნაირი იყო – იგი იყო, ჯერ ერთ-ერ-

¹⁷ „შინაური მიმოხილვა“. „ივერი“. 1883 წ. თებერვალი. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. VII, გვ. 95.

თი, ხოლო შემდეგ კი თითქმის ერთადერთი სახელმწიფო, კავკასია-წინა აზიის სივრცეში, რომელიც აქტიურად, იარაღით ხელში, უპირისპირდებოდა გამუდმებულ მუსლიმურ ექსპანსიას, რადგან სომხური სახელმწიფოები მალე ჩამოსცილდნენ ანტიმაჰმადიანურ ქრისტიანულ ფრონტს.

1882 წლის ჟურნალ „ივერიის“ მეათე ნომრის „შინაური მიმოხილვის“ მიხედვით, ილია ჭავჭავაძის აზრით, ქართველი კაცი სარწმუნოებაში ხედავდა თავის სამშობლოს, თავის გვარტომობას, ქართველობას. დღესაც კი ქრისტიანი და ქართველი სინონიმები იყო მთელი კავკასიელი არაქრისტიანი ხალხებისათვის.

გარდა ამისა, ქრისტიანობა აერთებდა ქართველ ერს. ის არ იყო მხოლოდ სარწმუნოება ქართველებისთვის, ის პოლიტიკური „ქვითკირი“ იყო, რომელიც საქართველოსა და ქართველი ერის სხვადასხვა ნაწილს აერთებდა. სარწმუნოებრივი ერთობა იმავდროულად ერის ერთობასაც ნიშნავდა. სხვათა შორის, ეს ქართველი ერი ამ მიზეზით უფრო ხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც „ღუღაბის“ როლს ასრულებდა ერის ერთობაში. სწორედ ამგვარი თვალსაზრისით უყურებდნენ სარწმუნოებას, საქართველოს მეფეები და „სახელგანთქმული კაცები“, დასაკვნის ილია, რომელიც თავის ამ ცნობილ სტატიაში ივანე ჯავახიშვილს და ერების ე. წ. „დაბერების“ თეორიას აცამტკვერებდა.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ილია ერის ჩამოყალიბების პირობებზე რამდენიმე კომპონენტის ერთობლიობას ასახელებდა და არა ერთ რომელიმე ნიშან-თვისებას. ყველა მათგანს თავისი უნიკალური როლი შეჰქონდა ისეთი ერთობის ფორმირებაში, როგორც ერი იყო. ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1883 წელსაა გამოქვეყნებული გაზეთ „დროებაში“, იგი კვლავ ხაზს უსვამს ქრისტიანული სარწმუნოების გამაერთიანებელ რესურსს ქრისტიანული რელიგიის გავრცელების აღრინდელ ეტაპზე.

ამ წერილში „ივერიის“ რედაქტორი ქართველი ერის ფორმირების საგულვეტელ პერიოდსაც მიანიშნებს. ესაა დაახლოებით ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და ოფიციალურ რელიგიად ქცევის ახლო ეპოქა. სწორედ ამ დროს, ამ ეპოქაში უნდა შექმნილიყო, ილიას აზრით, ქართველი ერის ჩამოყალიბების გამაერთიანებელი საფუძველი.

სტატიაში „წმინდა ნინოს დღესასწაული“ იგი იმგვარ კონტექსტს ქმნის, რომელშიც იგულისხმება, რომ სხვადასხვა ნიშან-თვისება ერისა, უკვე, ძირითადად, ჩამოყალიბებული იყო ერის ფორმირებისათვის და მისი საბოლოო დასრულება მოხდა ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად ქცევის ახლო ხა-

ნემი: წმინდა ნინოს მოძღვრებამ „შეაერთა ჩვენი ერი ერთს მკვიდრ ოჯახად, რომელიც მთელის ევროპის ოჯახებში შეირაცხა ერთ მოძმე ოჯახად...“.¹⁸

ილია ჭავჭავაძის რწმენით, ქრისტიანობის ქადაგება ქართველობის ერთიანობის ქადაგებასთან ერთად და საერთო კონტექსტში მიმდინარეობდა, ერთი მეორესთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და სინონიმურ ერთიანობას წარმოადგენდა: „ცხოვლად შეკავშირებული სწავლა ქრისტიესი ქართველ ერობასთან“ – აი, რა იყო მიზეზი, რომ დღემდე შეურყევლად რჩებოდა ქრისტიანობა ჩვენში. „ქართველობა და ქრისტიანობა საქართველოში ერთსა და იმავეს ნიშნავდა, იგი ერთმანეთისაგან არ იყო განშორებული“, აი, რა ესმოდა ხალხს, მრევლს ყოველდღიურად ეკლესიებში, – განმარტავდა ილია ჭავჭავაძე და ეს ყველაფერი, მისი წარმოდგენით, სწორედ ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების ადრეულ ეტაპზე ხდებოდა, ქართულ ერთობასთან, ქართველი ერის ფორმირებასთან ერთად.

საკმარისია, შევაჯამოთ. ილია ჭავჭავაძის ნააზრევი ქართველი ერის რაობის, მახასიათებლებისა და ფორმირების შესახებ, შესაძლებელია შემდეგი თეზისების სახით ჩამოვაცალიბოთ:

1. ერი იყო ხალხის ერთობის ფორმა. ქართველი ერი წარმოადგენდა ერთობას. ილია ჭავჭავაძე „ქართველ ერს“ ხმარობდა ორი მნიშვნელობით. ერთ შემთხვევაში, მისთვის „ქართველი ერი“ იყო ქართველი ხალხის მნიშვნელობის მქონე. მეორე შემთხვევაში, „ქართველი ერი“ გამოიყენებოდა როგორც ქართული ერთობის, ერად ფორმირებული ხალხის მნიშვნელობის მქონე ტერმინი.

2. ი. ჭავჭავაძემ მრავალგან და მრავალჯერ ჩამოთვალა და დააფიქსირა ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: ენა, ქვეყანა (სამშობლო, მიწა-წყალი), სარწმუნოება (რჯული), ზნე-ხასიათი, წეს-ჩვეულებანი, საერთო ისტორია; საერთო სამეურნეო-ეკონომიკური სისტემა; საერთო პოლიტიკური, სამოქალაქო, საერო თუ სასულიერო წესები და წეს-წყობილება; საერთო აწმყო, კიდევ ილიასეული ტერმინებით: „შინაგანი და გარეგანი ბუნება“, „ისტორიული სულთასწრაფვა“, „ჭკუისა და გონების მიმართულება“ და „სხვ. და სხვ“.

3. „ერის“ სინონიმებად ი. ჭავჭავაძის ნაწერებში გამოიყენებოდა ტერ-

¹⁸ „წმინდა ნინოს დღესასწაული“. 1883 წ. 13 იანვარი. გაზ.: „დროება“. თხზულებანი. ტ. XV, გვ. 391-392.

მინები: ხალხობა, გვარ-ტომობა, ეროვნობა, ხალხი, ნაცია. ილიამ პირველმა ან, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთმა პირველმა, ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში ჩამოაყალიბა ერის თანამედროვე განსაზღვრება. მისი განსაზღვრება წარმოადგენდა ერის მახასიათებლების ერთობლიობას. ერი იყო სამშხრივი პროცესის: ერის ცალკეული მახასიათებლების, ქართველი ხალხის ცალკეული ჯგუფებისა და ქვეყნის ნაწილების გაერთიანება-ერთობის შედეგი.

4. ერი შეიქმნა სერიოზული მიზეზებისა და გარემოებების შედეგად. ჯერ მოხდა ცალკეული მახასიათებლების ერთობის ჩამოყალიბება და, ბოლოს, შეიქმნა ყოვლისმომცველი დიდი ერთობა – ქართველი ერი, როგორც შედეგი.

5. წარმოქმნა-ჩამოყალიბების დროის მიხედვით, ერები იყოფილნენ ორ ნაწილად – ძველი და ახალი ერები. ქართველი ერი იყო ერთ-ერთი „ძველისძველი“ ერი. სიძველის ხაზგასასმელად და ახალი ერებისაგან გასამიჯნად, ილიამ ქართველ ერს არაერთხელ უწოდა „ისტორიული ერი“.

6. ილია ჭავჭავაძემ გაიზიარა რუსულ დემოკრატიულ ლიტერატურაში არსებული აზრი და დამატებითი არგუმენტებით დაასაბუთა, რომ „ისტორიულ ერებს“ აქვთ განსაკუთრებული გამძლეობა და მათი ასიმილირება ძნელია. განსაკუთრებით ძნელი განსახორციელებელი იყო ეს XIX საუკუნეში, როცა ილიას აზრით, ეროვნული გრძნობები და მოძრაობა დიდ აღმავლობას განიცდიდა ევროპაში.

7. ილია მუდმივად მიუთითებდა, რომ უნდა მომხდარიყო ძველად უკვე არსებული ქართველი ერის გამოღვიძება; ოდესღაც არსებული და დღეს დაცემული ვინაობის აღდგენა; დანაწილებული, დაკარგული და დაქსაქსული ეროვნული ერთიანობის გამრთელება და აღდგენა.

8. ილია ჭავჭავაძის ნაწერებისა და ნააზრევის საერთო კონტექსტისა და ცალკეული მინიშნებების მიხედვით, ქართველი ერი ჩამოყალიბდა ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში, განსაკუთრებით კი – საქართველოში ქრისტიანობის ყოვლისმომცველი გავრცელება-დამკვიდრების ეპოქაში.

Dimitri Shvelidze

**ILIA CHAVCHAVADZE
ON THE ORIGIN OF THE GEORGIAN NATION**

Summary

Ilia Chavchavadze had been dealing with the problems of origination and evolution of Georgian nation in his publications frequently. His views have been formed on the basis of data of Georgian history and Russian-European theoretical heritage.

According to Ilia's thought-out, the nation was a unity that had been created over the centuries. The Georgian nation seemed to be the result of gradual union of kindred Georgian tribes speaking in one language, their significant features and settlement areas.

On the basis of merging these three components, Ilia Chavchavadze has formed definition for the nation: **“special people, tribal origins, nation consists of all the features together that distinguish them from other people, and the conditions in which it has lived. In this case one homeland language and country perhaps have much more sense than other features, but no doubt that besides these factors the following has a great importance in order to distinguish one nation from another: common history of all the children of this people, a kind of character, temper, custom, a kind of wit and mind direction, almost the same cloth and etc. and etc.”**

However, at what period of history did the Georgian nation form? According to Ilia's thought-out, this should have happened in the early middle ages - in the epoch of spreading and establishing Christianity. Christian religion has strengthened the tendency of the unity and played a role of “mortared stone” in the unity of Georgians.

Ilia Chavchavadze does not deny any major changes in Europe, Russia and Georgia as a result of the development of capitalism. He frequently wrote about the current process of awakening the nations in Europe, unification of Italy or East Europe Slavs. These people have been formed as nations in XIX century.

However, according to Ilia's position, there were the so called "historical nations," i.e. the nations having "historical nationality" – they were nations in earlier centuries.

According to Ilia Chachavadze's substantiation, Georgian nation seemed to be such a historical nation.

ელენე გოგიაშვილი

**გაზეთ „კავკაზის“
ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებიდან
(1846-1918)**

პროექტი „ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები: XIX-XX საუკუნეების წყაროები და თანამედროვე ნარატივები“,¹ რომლის ნაწილსაც შეადგენს წინამდებარე სტატია, მიზნად ისახავს, საერთაშორისო სამეცნიერო წრესა და ფართო საზოგადოებას გააცნოს ქართული და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორული ურთიერთობები ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ინტენსიური კულტურული კავშირების გათვალისწინებით. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფოლკლორულ მასალებს, რომლებიც 1846-1900 წლებში დაიბეჭდა პერიოდულ გამოცემაში «Кавказ».

გაზეთი „კავკაზი“, რომელიც მ. ვორონცოვის ინიციატივით დაარსდა 1846 წელს, ოფიციალური სტატუსით, კავკასიის სამმართველოს სტრუქტურების სამთავრობო ღონისძიებათა გავრცელება-პროპაგანდის ბეჭდვითი ორგანო უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, გაზეთი მალე მოექცა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გავლენის ქვეშ. თავდაპირველად გაზეთს კერძო გამომცემელი ო. კონსტანტინოვი ჰყავდა, რომელმაც ის „უსახსრობის გამო“ სახელმწიფოს გადასცა. „კავკაზის“ ახალ რედაქტორად კავკასიის კარგი მცოდნე, სამხედრო პირი ი. სლივიცკი დანიშნეს. იგი „კავკაზს“ 1850-1854 და 1868-1872 წლებში რედაქტორობდა.²

„კავკაზს“ სხვადასხვა წლებში უამრავი დამატება ჰქონდა. აქ უმეტესად მოცულობითი, კვლევითი ხასიათის პროდუქცია იბეჭდებოდა.

¹ პროექტი ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (FR/532/2-154/13).

² თ. ჯაგოდნიშვილი. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია. ტ. I. თბ. 2004, გვ. 149.

1854-1855 წლებში გამოვიდა ლიტერატურული დამატება „ზურნა“ ე. ვერდერევსკის რედაქტორობით.

1864 წელს ჰქონდა დამატება „ლიტერატურნი ლისტოკი“ (რედაქტორი ე. შვარცი).

1867 წელს გამოვიდა დამატება „ბროშური გაზეთი კავკაზ“ (რედაქტორი ე. შვარცი).

1902-1905 წლებში გამოვიდა დამატება «Иллюстративное приложение к газете Кавказ», რომელსაც რედაქტორობდა კ. ბეგიჩევი, შემდეგ ა. ბელინსკი. ეს დამატება დიდ ადგილს უთმობდა ქართველი პოეტებისა და მწერლების ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. კლდიაშვილის თხზულებათა თარგმანების ბეჭდვას.³

„კავკაზმა“ 1918 წლამდე იარსება და უამრავი რედაქტორი გამოიცვალა. გაზეთს ერთხანს გ. დ. ერისთავიც რედაქტორობდა, ხოლო რედაქციასთან თანამშრომლობდნენ რ. ერისთავი, ნ. ბერძნიშვილი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, ი. ევლახიშვილი, ი. სლივიცკი, ე. ვერდერევსკი, გ. წერეთელი, მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი, ა. ვესელოვსკი და სხვები. მათი სტატიები უმეტესად ეთნოგრაფიულ ხასიათს ატარებს, რომლებშიც კავკასიის ხალხთა ყოფის ამსახველი სხვადასხვა ასპექტია განხილული.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოლკლორული ჩანაწერები ამ წლების „კავკაზში“ მეტად მწირია, სამაგიეროდ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ნარკვევებს დიდი ყურადღება ეთმობა. განხილული მასალა შეიძლება რამდენიმე თემატურ ჯგუფად დაიყოს: ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები; ქალაქური ყოფა; კავკასიის მთიელთა ყოფის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ წლებში გამოქვეყნებული რ. ერისთავის, ნ. ბერძენოვის სტატიები. მათი წერილები იმდენად მრავლისმომცველი და პროფესიონალურია, დიდ შექებას იმსახურებს პეტერბურგიდან. „კავკაზის“ 1854 წლის 18 აგვისტოს №64-ში იბეჭდება «Санкт-Петербургские ведомости»-ის გამოხმაურება, რომელშიც მაღლობას უხდიან ნ. ბერძენოვს სტატიებისთვის „ჭონა“ და „კუდიანობა“, რ. ერისთავს – თუშ-ფშავ-ხევსურეთის მხარის ჩანაწერებისთვის: „ეს კაპიტალური ნაშრომი რეცენზენტის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ის, ჩვენი აზრით, უვრცესი ეთნოგრაფიული მონოგრაფიის პირობებს აკმაყოფილებს“.

³ თ. ჯაგონიშვილი. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია. ტ. I, გვ. 152-153.

რუს ავტორთა, კერძოდ, ს. პუმკარევის, ნ. ღუნკელ-ველინგი, კ. ჩერნი-შევი, კ. დაიუბინსკისა და სხვათა ეთნოგრაფიული ხასიათის სტატიები, ძირითადად, მოგზაურობის გადმოცემას წარმოადგენს. განხილულია გენდერული საკითხებიც, სოციალური ფენების განსხვავებანი. ყურადღება ეთმობა სტუმარმასპინძლობის ტრადიციას, სიმღერებისა და ცეკვების შესრულებას, დღეობებისა და თამაშობების აღწერას და ა. შ.

უმეტეს შემთხვევაში რუს ავტორთა ცნობები ტენდენციურია. ისინი არც ფარავენ იმპერიალისტურ დამოკიდებულებას პერიფერიაში მცხოვრები ხალხებისა და მათი შემოქმედების მიმართ. გაზეთი „კავკაზი“ კოლონიალიზმის სურათის აღსადგენად ერთ-ერთ პირველწყაროს წარმოადგენს.

მაგალითისთვის მოვიყვან ვრცელ სტატიას „საშობაო დღესასწაული თბილისში და ხალხური ცრურწმენები საქართველოში“ (დაბეჭდილია 1847 წელს, №3, 18 იანვარი). სტატია ანონიმურია, სავარაუდოდ, რედაქტორ ო. კონსტანტინოვს უნდა ეკუთვნოდეს, სტილისტურად გადმოცემულია პირველი პირით, სიბუღვილით სავსე ტონით, თუ რაოდენ არასაინტერესოა ქართული ხალხური დღესასწაულები. თუმცა ეს „არასაინტერესო“ დღეობა დაწვრილებით არის აღწერილი.

ავტორი ადარებს რუსულ და ქართულ საშობაო სამზადისს:

„ამაოდ დავდიოდი თბილისის უბნებში, ამაოდ ვინედებოდი სანლებში, ყველაფერი ისე ჩუმად და წყნარად მიმდინარეობდა, როგორც ჩვეულებრივ დღეებში. მხოლოდ დღისით, როცა იანვრის მზე მხიარულად ანათებს და ჰაერი გაზაფხულისას გვაგონებს, ქართველი ქალები ფერად კაბებში დასეირნობენ ეზოებში და ლეკურს ცეკვავენ, ან გრძელუღვაშა ქართველი თავის მინაახეებთან ერთად მღერის და კახურს მიირთმევს. მაგრამ ეს ჩვეულებრივ დღეებშიც ხდება. საკუთრივ დღესასწაულს არაფერი განსაკუთრებული არა აქვს. მკითხაობა, ჯადოქრობა, ტანსაცმელი და ა. შ., თამაშობები, რუსებისთვის დამახასიათებელი, აქ უცხოა“.

ავტორი ჩამოთვლის საშობაო ტკბილეულს – გოზინაყი, ალვახი (ალბათ, ალვახაზი – ე. გ.), ბასილა. აღწერს მეკვლის შემოსვლას, ავლებს პარალელს რუსეთთან და დასავლეთ ევროპასთან. მოცემული აქვს შედარება სლავური და ქართული მითოლოგიებისა:

„ქართველებს არ ჰყავდათ სლავური და დასავლური მითოლოგიის ის წვრილ-წვრილი, მეორეხარისხოვანი ღმერთები, რომლებიც არ ერეოდნენ ქვეყნიერების ძირითად მმართველობაში, ისე მზრუნველად და სიყვარულით

იღებდნენ თავის თავზე ჩვენი წინაპრების მეურნეობის, საქონლის, ტყეებისა და წყლების მფარველობას, და რომელთა პატივსაცემადაც ქმნიდნენ სიმღერებს და აწყობდნენ დღესასწაულებს [...] და რამდენადაც ქართველები იმ ეპოქაში (იგულისხმება ადრექრისტიანობის პერიოდი – ე. გ.) ფრიად გაუნათლებლები იყვნენ და მითოლოგიაც, შესაბამისად, უადრესად უხეში, დაუბუშავებელი სახით ჰქონდათ – მაშინ ისინი ვერც შეძლებდნენ რაიმე წარმართული გადმოცემა და წეს-ჩვეულება დაეტოვებინათ შთამომავლებისთვის“.

ავტორი წერს, თუ როგორი უსიცოცხლო და მონოტონურია ქართული დღესასწაულები, რაც უსიამოვნო გავლენას ახდენს ევროპელზე. იქვე გამოთქვამს „ვარაუდს“, რომ ამაზე გაუთავებელმა ომებმა იმოქმედა. მაგრამ ეს არის მაინც მთავარი მიზეზი, ქართველებმა რომ გართობა არ იცინან:

„აი, სომხებიც ხომ მათ ბედს იზიარებდნენ, მაგრამ მათი უბრალო ხალხის ცხოვრება გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ქართული [...] კერძოდ იმიტომ, რომ მათმა დეტალურად განვითარებულმა მითოლოგიამ, როგორც განათლებულ ხალხს შეეფერება, დატოვა უამრავი ნაკვალევი, დღემდე შემორჩენილი რწმენებში, გადმოცემებსა და წეს-ჩვეულებებში [...] თუმცა გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ქართველებს ამგვარი კვალი საერთოდ არ დაუტოვებიათ, მაგრამ ის ნაკლებმნიშვნელოვანია, ძირითადად, დემონოლოგიას, უწმინდურ სულებსა და ძალებს ეხება“.

დასკვნაში ავტორი წერს: „უეჭველია, რომ ყველაფერი ჩემ მიერ მოთხრობილი მოკლე, არასრული და არასაკმარისია აქაური ხალხის ბნელი მხარის გამოსაკვლევად. დაე, სხვებმა, ჩემზე მეტად დაკვირვებულებმა მიჰყონ ხელი ამ საქმეს“.

საგანეთო სტატიებს შორის ვხვდებით ისეთ ტექსტებსაც, რომლებშიც რუს ავტორთა დამოკიდებულება კავკასიელი ხალხის მიმართ არ არის შოვინისტური და, პირიქით, სიმპათიით განაწყოფს მკითხველს. მაგალითად, 1847 წლის მე-17 ნომერში (26 აპრილი) ე. ვილემსის სტატიაში «Грузинские очерки и типы» ვკითხულობთ:

„ქართველები თავისებურად ულხენენ, როგორც არცერთი სხვა ხალხი ქვეყანაზე. მათ საზოგადოებაში მხიარულება არ არის ნაძალადევი, რადგან აქ ვერ იპოვი გაბერილ პედანტიზმსა და ყალბ პოლიტიკას, არ იცინან თანამედროვე ვნებები: პრეფერანსი, ქუჩის ჭორები, პირფერული ლიტერატურული კამათები და სხვა.“

სტატიის ავტორი ქართულ სუფრაზე და ტოლუმბაშზეც საუბრობს.

ქართული ლხინის დაწვრილებითი აღწერა არის მოცემული „კავკაზის“ 1854 წლის №84-ში (27 ოქტომბერი). ტექსტის სათაურია „წერილი კახეთიდან გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს. ქ. სიღნაღი. 18 ოქტომბერი 1854“ (ავტორი მ. გ.). წერილი იწყება ფაქტის აღნიშვნით, რომ 1854 წლის დასაწყისში თბილისის სამხედრო გუბერნატორის, გენ.-ლეიტენანტ თავად ანდრონიკოვის წინადადებით ჩამოყალიბდა ცხენოსან მონადირეთა ქართული გაერთიანება (Грузинская дружина конных охотников). ამ გაერთიანებამ გურიაში ჩოლოქის ბრძოლებში თავი გამოიჩინა. 16 სექტემბერს ეს რაზმი კახეთში იმყოფებოდა, სადაც თავადმა ჯანდიერმა ლხინი გაუმართა. ლხინი დაწვრილებით არის აღწერილი, ჩამოთვლილია ცეკვები: ლეკური, ქართული, კახური, იმერული, აფხაზური, ოსური, „წმინდა მთიულური ლეკური“ (ალბათ, საერთო კავკასიური მხედრული ცეკვები – ე. გ.), ზემყრელო. ავტორი წერს, რომ ერთდროულად შვიდასამდე კაცი ცეკვავდა.

„ერთად, ერთდროულად შვიდასამდე კაცმა დაიწყო ცეკვა, ყველამ თავისებურად. ცდილობდნენ, ერთმანეთის წინ ფეხებით რაღაც იღეთები გაეკეთებინათ. აღმაფრთოვანებული სურათი იყო. მისი წარმოდგენა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც იცის, რა მრავალფეროვანია კავკასიაში ადგილობრივ ტომთა ტანისამოსი, საუბრის კილო, გარეგნობა, ჩვეულება და ხასიათი. სიმღერებისა და ცეკვების შემდეგ თამაშები გაიმართა: შეჯიბრი რბოლაში, ადგილიდან ხტომა, ართურმის თამაში. პირველ თამაშში ოსებმა გაიმარჯვეს, დანარჩენში – თუშებმა: ორმა მათგანმა დაუჯერებელი ნახტომი გააკეთა, ორი საყენის სიგრძეზე გადახტა! მზის ჩასვლისას ლხინი შეწყდა, რომელიც მშვიდობიანად, უჩხუბრად და ყოველგვარი იმის გარეშე დამთავრდა, რაც ხშირად ხდება ხოლმე თვით განათლებული ერების წვეულებებზე“, – წერს მ. გ.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ავტორების საერთო დამოკიდებულება ქალის სილამაზის აღწერისადმი. ნარკვევების ავტორები შესაძლებლობას არ უშვებენ ხელიდან, ქალთა საზოგადოებას რომ არ დაუთმონ ვრცელი კომენტარი. მაგალითად, „კავკაზის“ 1854 წლის №70 (8 სექტემბერი) სტატია „14 აგვისტო ზონის მონასტერში“ (ავტორი პ. ბივიკოვი) დღესასწაულს ეძღვნება, მაგრამ ჭარბობს გატაცება მეგრული და იმერული ქალების სილამაზის აღწერით. „კავკაზის“ 1883 წლის 59-ე ნომერში რუბრიკას «Воскресный дневник» ხელს აწერს ვინმე ავტორი ფსევდონიმით Невольный юморист. სტატია წარმოადგენს კავკასიელი ქალის სილამაზის ხოტბას. დამოწმებულია ალ. დიუმა და ალ. პუშკინი. ავტორი კომენტარს აკეთებს ვინმე ინგლისელის

განცხადებაზე, რომელსაც ქართველი, კერძოდ, მეგრელი ქალის ცოლად მოყვანა სურდა.

„მის აღმატებულებას, ბატონ ზ-ს გუბერნატორს

ბ-ნ კავალერ ლეველინ ვილიამისგან.

თქვენო აღმატებულებაგ,

მსურს, დაქორწინდე ქალზე, რომელიც ჩვენს ინგლისელ ქალებს არ ჰგავს. თუ ვინმე ლამაზი მეგრელი ქალი დათანხმდება ჩემთან ინგლისში ჩამოსვლას, ცოლად შევირთავ. შეგიძლიათ, მომწეროთ, შესაძლებელად მიგაჩნიათ თუ არა ჩემი თხოვნა? მგზავრობის ხარჯებს ავანაზღაურებ.

ვრჩები თქვენი აღმატებულების უმორჩილეს მსახურად.

თქვენი ძმა და მეგობარი ლეველინ ვილიამი.

ჩემი მისამართი: გლოსტერ-როუდი. ბ. ს. პეკამ. ლონდონი (ინგლისში).

მეგობრის პასუხი:

მივიღე თქვენი წერილი. თქვენ უნატიფესი გემოვნება გაქვთ. მეგრელი ქალები მართლაც კარგები არიან. ბუნებას ისინი კლასიკური სილამაზით დაუჯილდოებიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტად გონიერი და საქმეში ჩახედულნი არიან და მანამდე არ დათანხმდებიან ცოლობაზე, სანამ წინასწარ თქვენს ფოტოგრაფიას და ზუსტ ცნობებს არ მიიღებენ თქვენი ქონების შესახებ.

ვრჩები თქვენს უმორჩილეს მსახურად.

ი. მ.

ჩემი მისამართი: ზ-ი, ქ-ს გუბერნიაში, კავკასიაში. ზ-ს მაზრის უფროსს და კავალერს მ.“

სტატის ავტორი Невольный юморист-ი თავის მხრივ დასძენს, რომ გაწონასწორებული ხასიათის ინგლისელის ასეთ აღტყინებას მხოლოდ კოლხი ქალები შეძლებდნენ:

„აღაგზნოს თავქარიანი ფრანგი, დაანთოს ცეცხლი ვნებიანი ესპანელის სულში, სერენადა ამღეროს პოეტ იტალიელს, აცთუნოს ავხორცი თურქი, ფეხქვეშ გაიგოს მეოცნებე გერმანელი – ყოველივე ეს ადვილია, მაგრამ კეთილგონიერი, სოლიდური და პროზაული ინგლისელის შეცდენა ცხრა მთას იქით, ამას, დაძეთანხმებით, მხოლოდ მშვენიერი ელენე შეძლებდა, ისიც მხოლოდ ვენერას თანამშრომლობით. თქვენ კი, კოლხეთის მშვენიერო ასულებო, ეს შეძელით!“

ჩრდილკავკასიური ფოლკლორული მასალები XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან უფრო მატულობს. მაგალითისთვის ერთ-ერთ მათგანს მოვიყვან, რომელშიც ოსების, ყაბარდოელებისა და ჩეჩნების ზოგიერთი ჩვეულება არის აღწერილი (კავკაზი 1876, №148, ავტორი ი. კ.).

წერილი წარმოადგენს სტერეოტიპული ნიშნების ჩამონათვალს, მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველია. კავკასიელ ხალხთა სტერეოტიპების ჩამოთვლისას მუდმივი შედარებაა ევროპულ ტრადიციებთან, მაგალითად: „მთიელები ხორცს ხელით ჭამენ, ევროპელები კი დანა-ჩანგლით“; „მთიელები თავს იპარსავენ, ევროპელები კი წვერს“ და მისთ.

„ოსები და საერთოდ კავკასიელი მთიელები ქოხებში უფაფახოდ არ სხდებიან. ოსი მხოლოდ მაშინ მოიხდის ქუდს, როცა უფროსი ლოცულობს, წვეულების ან ჭამის დაწყების წინ. უფროსის ლოცვის დროს ოსი ქუდს იხდის და რამდენჯერმე წარმოთქვამს სიტყვას „ამინ“ – ქრისტიანობის გადმონაშთი“.

სტატიის სქოლიოში ახსნილია, რომ ამ წეს-ჩვეულებების აღწერა კულტურული ურთიერთობების კვლევას ემსახურება: „აქ წარმოდგენილი ჩვეულებები ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ სხვა მთიელებსაც ახასიათებთ, როგორც, მაგალითად, ოსების უახლოეს მეზობლებს: ყაბარდოელებს, ჩეჩნებსა და ინგუშებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყაბარდო უძველესი დროიდან დიდ გავლენას ახდენდა ოსების წეს-ჩვეულებებზე. ოსებს, თავის მხრივ, გავლენა ჰქონდათ ჩეჩენ-ინგუშებზე“.

მთიელთა ხალხური სამართლის შესახებ საინტერესოა სტატია (ავტორი პ. პ-ოვ), რომელშიც ავტორი ავითარებს აზრს ხალხური სამართლის აღკვეთის შესახებ. აღნიშნავს: მთიელები ამაყობენ თავანთი სასამართლოებით და რუსულ სასამართლოზე მაღლა აყენებენო (კავკაზი 1883, №178 და №227).

1850-იან წლებშივე გაზეთში იბეჭდება უშუალოდ ადგილობრივ მკვიდრთა დაწერილი ნარკვევებიც. გარდა ქართველი ავტორებისა, რომლებიც თანამშრომლობდნენ „კავკაზის“ რედაქციაში, ვხვდებით აფხაზ სოლომონ ზვანბაის სტატიას „აფხაზური მითოლოგია და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები აფხაზეთის მცხოვრებლებში (ძირძველი აფხაზის ჩანაწერებიდან)“ (კავკაზი 1855, №81-82).

XIX საუკუნის შუა წლების სრული სოციოლოგიური სურათის აღსადგენად, გარდა ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალისა, უაღრესად საინტერესოა ყოველდღიური ყოფის ამსახველი ფელეტონების გაცნობა (მაგალითად, ქალაქური სცენები) და ლოკუმენტური ფაქტები თბილისის კულტურული ცხოვრების შესახებ.

კავკაზის 1855 წლის №37-ში გადმოცემულია სეირნობა ორთაჭალის ბაღებში ამაღლების დღესასწაულზე 1855 წლის 5 მაისს (კ. დაიუბინსკი). წერილში აღწერილია ქალაქური დღეობა, ახალგაზრდების თამაშობები, ერთმანეთის გაცნობა, ქალის „გადანახულება“.

კავკაზის 1855 წლის №61-ში დაბეჭდილია წერილი „ზაფხულის დღე ტფილისში, ანუ ტფილისი მოგზაურის თვალთახედვით“ (ე. ვერდერეესკი). წერილი წარმოადგენს შთაბეჭდილების გადმოცემას თბილისის ქუჩების, ბაზრის, არქიტექტურის შესახებ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1854 წლიდან გაზეთ „კავკაზის“ თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება კრიტიკული რეცენზიები თეატრალური წარმოდგენებისა და მუსიკის შესახებ. ყოველ მეორე ნომერში წინა დღით ნაჩვენები სპექტაკლის განხილვას ეხვდებით (ოპერები „ლუნია დელამერმურ“, „რიგოლეტო“, „სიყვარულის ნექტარი“ და ა.შ.).

ინტერესმოკლებული არ არის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც კავკასიის მთიელთა ცხოვრების ამსახველია. ავტორები მოთხრობებს ხშირად გადმოცემას უწოდებენ. სავარაუდოდ, სიუჟეტები ყოფიდან არის აღებული და მათ მიერ მხატვრულად გადაამუშავებული. მაგალითად, „კავკაზის“ 1847 წლის 15 მარტის №11-ში დაბეჭდილია მოთხრობა „ჩერქეზის ცოლი (სცენა ჩერქეზთა ცხოვრებიდან)“. ტექსტი მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს, მისი მთავარი თემა ჩერქეზი ქალის პატიოსნებაა, რომელიც მოძალადეს დანით განგმირავს.

მსგავსი ტიპის ნაწარმოებია „ბაბალე“ (ავტორი ნ. მონაენკო), დაბეჭდილი „კავკაზის“ 1855 წლის №70-ში. ტექსტის დაზუსტებული სათაურია „ლეკების მიერ კახეთზე თავდასხმის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ეპიზოდთან“.

კოლონიალიზმის კვლევისას საინტერესოა არა მხოლოდ ცალკეული ეპოქები, არამედ მთელი ურთიერთდამოკიდებულებათა ამბივალენტობა: კოლონიზატორებსა და დაპყრობილ ხალხებს შორის ურთიერთობები არა მარტო დაპყრობებსა და აჯანყებებს მოიცავს, არამედ კულტურულ ურთიერთობებსა და სიმბიოზს. მიუხედავად ძლიერი იდეოლოგიური ტენდენციებისა, გაზეთ «Кавказ»-ში გამოქვეყნებული მასალები და გამოკვლევები მეტად ღირებულთაა ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესწავლაში. ეს ეხება როგორც ტექსტების ფიქსაციას, ისე მეცნიერებას.

ჰუმანიტარული დარგებიდან კოლონიალიზმის კვლევის თვალსაზრისით ფოლკლორისტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერებაა. ფოლკლორული მასალის შესწავლა განსაკუთრებით ფართო სპექტრს შლის დისციპლინათშორისი კვლევებისათვის. ხალხური გადმოცემები წარმოადგენს, ერთი მხრივ, წყაროს ისტორიული ეპოქების შესასწავლად, მეორე მხრივ კი, სამყაროს სურათის აღქმის ქრონიკას.

Elene Gogiashvili

FOLKLORIC AND ETHNOGRAPHICAL MATERIALS IN THE NEWSPAPER “KAVKAZ” (1846-1918)

Summary

This paper is a part of the project *Georgian-Caucasian Folklore Relations: 19th-20th Century Sources and Modern Narratives* (sponsored by Shota Rustaveli National Science Foundation, FR/532/2-154/13). Research of Georgian-Caucasian folklore relations is closely connected with political-ideological issues, as the authors of folklore-ethnographic descriptions of Caucasian people were militaries in the service of the Russian Empire from the second half of the 19th century.

Data collected by Russian authors, provide rich material about the countries included in the Russian Empire for study of separate historical, ethnographic, folklore, literary and culturological issues, as well as from the viewpoint of research of imperialism in general. Important part of the folklore studies of the 19th century are the works of Georgian and Russian historians, linguists, ethnographers, literary critics, public opinion researchers, as well as foreign travelers, where folkloric material is used, as folkloric studies as a field of science, is based on these sciences.

This paper deals with folkloric and ethnographical sources published in the newspaper “Kavkaz” [Caucasus], periodical of the Russian geographical society’s Caucasian department. Throughout its existence, this collection largely contributed to accumulation and publication of issues of the Caucasian culture, ethnography, archaeology, language, literature and folklore. In various years, many authors had collaborated with “Kavkaz”: R. Eristavi, N. Berdznishvili, P. Ioseliani, D. Qipiani, I. Evlakhishvili, G. Tsereteli, M. Janashvili, A. Khakhana-shvili, S. Pushkarev, N. Dunkel-Welling, K. Chernishev, K. Dayubinsky etc.

People of various social and educations levels provided materials for the “Kavkaz”: teachers of gymnasiums and schools, students of high grades, travelers etc. The purpose of publication of the collection was to study and become familiarized with the Caucasian peoples, which had political-state background. Knowledge of customs and mentality of newly joined peoples had a great importance for the Russian Tsarism for their assimilation.

The folkloric and ethnographical materials published in “Kavkaz” describe various aspects of Caucasian folk life: social shifts, tradition of hospitality, folk festivals, gender problems etc.

ნინო სიმონიშვილი

**ისტორიას, კოლექციონერებს, მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის:
შუა საუკუნეების ქართული სახარების ყდის იდენტიფიკაციისათვის
საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმის ფოტოარქივიდან***

საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული დოკუმენტებიდან მინის ფოტონეგატივების კოლექცია მნიშვნელოვანი სამეცნიერო რესურსია მკვლევართათვის როგორც ქრისტიანული და ისლამური კულტურული მემკვიდრეობის შემდგომი კვლევისათვის, ასევე მსოფლიოს მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში საქართველოდან სხვადასხვა დროს მოხვედრილი ხელოვნების ნიმუშების იდენტიფიკაციისა და მათი შემდგომი ისტორიის დადგენისათვის. ასეთი მაგალითია მუზეუმის არქივის ერთ-ერთი ფოტო და მასზე აღბეჭდილი ობიექტი, რომელიც, დართული წარწერის მიხედვით, ხახულის სახარების ყდად არის იდენტიფიცირებული (სურ. 1).¹ ფოტოზე, ტახტზე დაბრძანებული, ორანტის ჟესტით ხელაპყრობილი ღვთისმშობელია გამოსახული, ტახტს უკან მდგომ მთავარანგელოზთა ორ ფიგურასთან ერთად. მუზეუმის დიგიტალურ არქივში ეს ფოტო, ნუმერაციის მიხედვით, ერთ ჯგუფად არის გაერთიანებული რამდენიმე ფოტოსთან ერთად, რომლებზეც აღბეჭდილია ხახულის კარედის ფრაგმენტები, მცირე ზომის მინანქრებისა და დეკორატიული მოტივების გამოსახულებით. საარქივო მასალის მიხედვით, ეს ფოტოები 1910-იან წლებშია შესული

* ავტორის მიერ ეს კვლევა განხორციელდა საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო პროექტის: „კოლონიალური მუზეუმიდან ნაციონალურ მუზეუმამდე“ (შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი: FR/409/2-150/14) ფარგლებში.

¹ მუზეუმის საინვენტარო ნომერია: საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (ხგდ) 4/158.

ჯერ კავკასიის კუსტარული კომიტეტის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი ამ კომიტეტის ბაზაზე, 1913 დაარსებული საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.² ფოტოებს დ. ერმაკოვის შტამპი აქვს, რაც მიუთითებს, რომ ისინი მის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ ჩასმულია ა. როინაშვილის ჩარჩოებში და, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის მიერ არის გადაღებული XIX საუკუნის 60-80იან წლებში. ა. როინაშვილის ფოტოებზე არის ისინი იდენტიფიცირებული ახლახან გამოსულ პუბლიკაციაში „ალექსანდრე როინაშვილი და მისი მუზეუმი,“ სადაც ჩვენთვის საინტერესო ფოტოზე გამოსახული ობიექტი, ასევე, ხახულის სახარების ყდად არის იდენტიფიცირებული.³

ამ ფოტოზე აღბეჭდილი ობიექტისადმი ინტერესს რამდენიმე ფაქტი განაპირობებს: ამკარად ჩანს, რომ ის ტიხრულ მინანქარშია შესრულებული, რომელიც მდიდრულად ორნამენტირებულ, ძვრიფასი ლითონისაგან დამზადებულ ჩარჩოშია ჩასმული. გარდა ამისა, აქ ღვთისმშობლის საკმაოდ იშვიათი იკონოგრაფიული ტიპია წარმოდგენილი: ტახტზე დაბრძანებული, ორანტის ჟესტით ხელაპყრობილი მარიამის გამოსახულება, თითქმის უცნობია ცალკე კომპოზიციის სახით. განსაკუთრებით საყურადღებო კი, ამ ფოტოს იდენტიფიკაციაა, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ცნობილი ხახულის სახარებისა და, მით უმეტეს, მისი მინანქრით შემკობილი ყდის შესახებ. ღვთისმშობლის მინანქრისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ ღვთისათვის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ქართული სახარების ყდა, რომელსაც მინანქარი ამკობს, ალავერდის ცნობილი ოთხთავია (1054წ), რომლის ახლანდელ, XVII ს-ის ყდის შემკულობაში, XI-XII სს-ით დათარიღებული, წმ. გიორგის გამოსახულებიანი ტიხრული მინანქრის ლორფინია ჩართული.⁴

საინტერესოა, რომ ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მინანქრის ფოტო არ გვხვდება ქართული მინანქრის შესახებ არსებულ პუბლიკაციებში, თუმცა, იგი ილუსტრირებულია გ. ჩუბინაშვილის ქართული ოქრომჭედლობის შესახებ გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომის II ტომში, სადაც ღვთისმშობლის იმავე გამოსახულებას ვხვდებით, მის გვერდზე კი ასევე მინანქარში შესრულებული, თითქმის იდენტურ ორნამენტულ ჩარჩოში ჩასმული ორანტის პო-

² კავკასიის კუსტარული კომიტეტი 1899 წელს დაარსდა რუსეთის იმპერიის მიერ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე.

³ ალექსანდრე როინაშვილი და მისი მუზეუმი. თბ. 2016, გვ. 108.

⁴ ქართული ხელნაწერების ჭეღური ყდები. თბ. 2015, გვ. 30.

ზაში წარმოდგენილი წმინდანის სრული ფიგურის ფოტოა მოცემული (სურ. 2).⁵ ორივე ფოტოზე გამოსახული მინანქრები კი ავტორის მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც გელათის სახარების ყდა. ამავე გამოცემის I ტომის ძირითად ტექსტში, გ. ჩუბინაშვილი მხოლოდ ამ მინანქრების ჩარჩოების ორნამენტაციას ეხება და მათ მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, XI-XII სს-ის ძეგლთა ჯგუფში ათავსებს.⁶ რაც შეეხება თავად მინანქრებს, ავტორი მათ შესახებ მწირ, თუმცა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ტექსტთან დართულ მცირე შენიშვნაში: მკვლევრის მითითებით, ღვთისმშობლისა და წმ. დემეტრეს გამოსახულებიანი მინანქრები, დ. ერმაკოვის XIX ს-ის 60-70-იანი წლების ფოტოებიდანაა ცნობილი და გელათის მონასტერში დაცულ ერთ-ერთი სახარების ყდას ამკობდა. მისივე ცნობით, მინანქრიანი ფირფიტები XIX ს-ის 80-იან წლებში გაიტანეს გელათის მონასტრიდან, რუსი ფოტოგრაფის, ი. საბინ-გუსისა და ადგილობრივი ექზარხათის კრიმინალური საქმიანობის შედეგად. ამავე შენიშვნაში ავტორს მითითებული აქვს ამ მინანქრების შესახებ: არსებული შემდეგი პუბლიკაციები: ნ. კონდაკოვის ორი ცნობილი ნაშრომი: «Византийские эмали. Собрание А. В. Звенигородского. История и памятники византийской эмали» (1892) და «Иконогафия Богоматери», II ტომი (1915). ასევე, იმავე ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ერთობლივი გამოცემა, «Опись памятников в некоторых храмах и монастырях Грузии» (1890). აქვე ვხვდებით მეტად საყურადღებო ინფორმაციას მინანქრების მონასტრიდან გატანის შემდგომ ისტორიაზე. გ. ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მინანქრის ფირფიტა ცნობილი გახდა XIX ს-ის პეტერბურგელი კოლექციონერის, ი. ბალაშოვის, კოლექციიდან და ამჟამად ა.სტოკლეს კერძო კოლექციაში ინახება ბრიუსელში, ხოლო წმ. დემეტრეს გამოსახულებიანი ფირფიტა მ. ბოტკინის კოლექციაში ინახებოდა, რომელიც მასთან, სავარაუდოდ, ი. ბალაშოვისგან მოხვდა, ამჟამად კი ბერლინის სასახლის მუზეუმის (Schlossmuseum) საკუთრებას წარმოადგენს.⁷

⁵ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომჭვლობა. რკვევანი ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიისათვის. თბ. 1959. ტ. II. ფიგ. 414. აქ ილუსტრირებული მერვე ფოტო, ორანტის უესტით ხელაპყრობილი წმ. დემეტრეს გამოსახულებით, ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი ერმაკოვის კოლექციაშია დაცული.

⁶ გ. ჩუბინაშვილი. რკვევანი ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიისათვის. თბ. 1959. ტ. I, გვ. 617. მინანქრების ორნამენტთან ჩარჩოთა შესახებ ახალი ცნობების თაობაზე იხ. ქვემოთ, გვ. 33-36.

⁷ ცხადია, აქ გ. ჩუბინაშვილის ნაშრომის თანადროულ ინფორმაციაზეა საუბარი. გ. ჩუბინაშვი-

როგორც ვხედავთ, გ. ჩუბინაშვილის მიერ არ არის ზუსტად იდენტიფიცირებული ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მინანქრის წარმომავლობა და იგი გელათის მონასტრის ერთ-ერთი სახარების ყდად არის მხოლოდ განსაზღვრული. ამასთანავე, ფოტოების ავტორად მითითებულია არა ა. როინაშვილი, არამედ დ. ერმაკოვი, რაც ცოტა უცნაურია, რადგან მუზეუმის არქივში დაცული ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი უდავოდ ა. როინაშვილის გადაღებულია. უცნობია, თუ რას ემყარება მუზეუმის მიერ ამ ფოტოს ხაზულის სახარების ყდად იდენტიფიცირება – მას, რომ ფოტო ხაზულის კარედის ფრაგმენტების ფოტოებთან ერთად შევიდა მუზეუმის ფონდებში და მაშინდელმა თანამშრომლებმა ფოტოზე უკვე არსებული საიდენტიფიკაციო წარწერა მხოლოდ გადაიწერეს, თუ რაიმე სხვა ცნობაზე დაყრდნობით განსაზღვრეს ამ ობიექტის წარმომავლობა.

მინანქრებით შემკული სახარების ყდა უკვე არა გელათის ერთ-ერთ, არამედ გელათის სახარების ყდად აქვს მოხსენიებული შ. ამირანაშვილს 1966 წელს გამოცემულ ნაშრომში «Грузинская Миниатюра», სადაც მხოლოდ აღნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, ქართული სახარებების ყდები მინანქრებითაც იმკობოდა, როგორც ამას მოწმობს გელათის სახარების ყდა, ი. ბალაშოვის კოლექციიდან. ეჭვს არ იწვევს, რომ აქ ავტორს მხედველობაში სწორედ ჩვენი მინანქრებით დამშვენებული სახარების ყდა აქვს, თუმცა იგი არც მინანქრებს აკონკრეტებს და არც რაიმე ლიტერატურა აქვს მითითებული მათ შესახებ.⁸ იმავე ავტორის 1971 წელს გამოცემულ „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ კი მეტი ინფორმაციაა მოცემული. კერძოდ, განიხილავს რა გელათის განძეულობის დაკარგვის ისტორიას, შ. ამირანაშვილი შენიშნავს, რომ 1932 წელს, გელათის მონასტრის საარქივო მასალების აღმოჩენის შედეგად, გაირკვა, რომ ქუთაისის ყოფილმა გუბერნატორმა, გრაფმა ვ. ლევაშოვმა, მითვისა გელათის სახარების მოჭედილობა, რომელიც შესრულებული იყო ოქროზე და შემკული იყო მინანქრებით. მისგან სახარების მოჭედილობა მინანქრებითურთ შეიძინა პეტერბურგელმა კოლექციონერმა ი. ბალაშოვმა და „მოურიდებლად გამოიტანა 1915 წ. საეკლესიო სიძველეთა გამოფენაზე“. ავტორის ცნობით, ამ მინანქრების ბედი მხოლოდ 1958 წელს გაირკვა: ისინი ორ ნაწი-

ლი. რკვევანი ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიისათვის. ტ. I, გვ. 617, შენ. 4. აქვე ავტორს მითითებული აქვს წმ. ღემეტრეს მინანქრისა (15X9) და მთლიანად სახარების ყდის (24X18) ზომები.

⁸ Ш. Амиранашвили. Грузинская миниатюра. М. 1966, გვ. 12.

ლადაა გაყოფილი და მათგან ერთი ნაწილი, წმ. დემეტრეს გამოსახულებით, ბერლინის სასახლის მუზეუმშია, ხოლო მეორე, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ანგელოზებით, ბელგიაში, კერძო კოლექციაში ინახება. აქვე აღნიშნულია, რომ ეს მინანქრები ორჯერაა გამოქვეყნებული ნ. კონდაკოვის მიერ.⁹ გაკვრით აქვს მოხსენიებული გრაფ ლევაშოვის მიერ მინანქრებით მორთული სახარების ოქროს ყდის გატანა გელათის მონასტრიდან რ. ყენიასაც, 1972 წ. ხაზულის კარედის მოჭედილობისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში.¹⁰

მთავარი შეკითხვები, რომლებიც ქართულ პუბლიკაციებში ჩვენთვის საინტერესო ღვთისმშობლის მინანქრის შესახებ არსებული ინფორმაციების გაცნობისას ჩნდება ის არის, თუ რამ გამოიწვია მინანქრებით შემკული სახარების ყდის ასეთი სხვადასხვაგვარი იდენტიფიკაცია მკვლევართა მიერ? სად არის თავად ძვირფასი ლითონის ჩარჩოებით შემკული ყდა, რომელსაც მინანქრები ამკობდა? როგორ მოხვდნენ მინანქრები ბრიუსელსა და ბერლინში და რა არის მათ შესახებ ცნობილი დღეისათვის?

ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად ისევ გ. ჩუბინაშვილისა და შ. ამირანაშვილის მიერ მინანქრების შესახებ დასახელებულ ნ. კონდაკოვის პუბლიკაციებს უნდა გავყვეთ, რომელთა კვალს, როგორც დავინახავთ, როგორც სახარების, ასევე მისი ყდის და მინანქრების ისტორიასთან ერთად, საქართველოდან დაწყებული არა მხოლოდ პეტერბურგში, ბრიუსელსა და ბერლინში, არამედ პარიზსა და სხვა ევროპულ თუ ამერიკულ ცნობილ სამუზეუმო და საგამოფენო ცენტრებში მივყავართ.

გ. ჩუბინაშვილის მიერ მინანქრების შესახებ დასახელებული პუბლიკაციებიდან უადრესი, 1890 წელს გამოცემული ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრადის ერთობლივი ნაშრომია, რომელიც შ. ამირანაშვილს არა აქვს მითითებული. გ. ჩუბინაშვილის შენიშვნით კი, ამ პუბლიკაციაში არა მხოლოდ მინანქრების, არამედ იმ სახარების შესახებაც არის დაცული ცნობები, რომლის ყდასაც ეს მინანქრები ამკობდა.¹¹ თუმცა, ვიდრე უშუალოდ ამ წიგნსა და მასში მინანქრებზე არსებულ ცნობებს შევეხებით, არანაკლებ საინტერესოა მოკლედ გავიხსენოთ ის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ეს ნაშრომი შესრულდა.

⁹ შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1971, გვ. 308-309.

¹⁰ რ. ყენია. ხაზულის ღვთისმშობლის ზატის კარედის მოჭედილობა. თბ. 1972, გვ. 32, შენ. 89.

¹¹ Н. П. Кондаков, Д. З. Вакрадзе. Описание памятников в некоторых храмах и монастырях Грузии. СПб. 1890, гв. 42-43.

ნ. კონდაკოვის გამოსვლა სამეცნიერო ასპარეზზე, იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც XIX საუკუნის 70-იანი წლების რუსეთის იმპერიის საერთაშორისო პოლიტიკას ორი საკვანძო ტრაექტორია განსაზღვრავდა: ბალკანეთი და კავკასია. ხელოვნების ისტორია, როგორც აკადემიური დისციპლინა, სრულ უნისონში იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ვექტორთან. სწორედ ამით აიხსნება ნ. კონდაკოვის დაინტერესება როგორც მაკედონიისა და ბულგარული კულტურული ორბიტის ხელოვნებით, ასევე კავკასიის ქრისტიანული სიძველეებით. რუსი მკვლევრის კავკასიისადმი ინტერესი იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ანონიმი ქართველი ფოტოგრაფი, 1880-იან წლებში, საქართველოს ეკლესიის სინოდის საკონტროლო კომისიას ნებართვას სთხოვს, შესაძლებლობა მიეცეს ძველი საეკლესიო ნივთების მოძველებული ყდებისა და საფარველის ახალი დეკორაციებით შეცვლისათვის. ამ ნებართვის შემწეობით, ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცული, შუა საუკუნეების ძვირფასი ქვებითა და მინაჩრებით შემკობილი ნივთების „გაახლება“ უნდა მომხდარიყო. ძნელი სათქმელია, უცოდინრობის თუ გარკვეული პირების კერძო ინტერესების გამო, ასეთი შეთანხმება სინოდთან მიღწეული იქნა და ნებართვა გაიცა. ახალი ყდები და დეკორაციები რუსეთიდან 400 რუბლად შეიძინა, მაშინ როდესაც საქართველოდან გატანილი შუა საუკუნეების ორიგინალები, რუსეთში 5000-იდან 30 000 რუბლამდე ფასობდა. ცხადია, ამ ნივთების ღირებულება კიდევ უფრო მაღალი იყო დასავლეთ ევროპაში. საქართველოდან ამ დროს გატანილ სიძველეთა შეძენით არაერთი რუსი კოლექციონერი დაინტერესდა. მათ შორის იყო საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის წევრი და რომანოვების დინასტიის უკნასკნელი წლების ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ალექსი ბობრინსკი (1852-1927), რომელსაც საფრანგეთში ემიგრაციამდე რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობები ეკავა. ა. ბობრინსკი ნ. კონდაკოვის ახლო მეგობარი იყო და სწორედ მას გააცნო თავისი კოლექციისათვის ახლად შეძენილი ნივთები. ნ. კონდაკოვმა მაშინვე ამოიცნო ნივთების ქართული წარმომავლობა და მიხვდა, რომ ასეთი მნიშვნელობისა და ფასეულობის საგანძური შეუძლებელია ოფიციალური გზებით გაეტანათ საქართველოდან. ნ. კონდაკოვის მიერ ნივთების ნახვიდან სულ რამდენიმე საათში ფოტოები წარუდგინეს სამეფო მინისტრს, ილ. ვორონცოვ-დაშკოვს, და მისი მეშვეობით იმპერატორ ალექსანდრე III-ს (1881-1894), რომლის მმართველობის პერიოდშიც განასაკუთრებით მომძლავრდა ნეო-რუსული ინტონაციები კულტურის სფეროში.

ცნობილია, რომ რუსეთის ხელმწიფე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანული რუსეთის ძველ ფესვებთან მიბრუნებას. როგორც ჩანს, ქართული მონასტრებიდან გატანილ განძეულობას იმპერატორი რუსეთის იმპერიის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად მიიჩნევდა და დიდ ყურადღებას აქცევდა ანიტიკვარული კრიმინალური საქმიანობის აღკვეთას. ნ. კონდაკოვის რჩევითა და იმპერატორის განკარგულებით, გადაწყდა მომზადებულიყო ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა მაქსიმალურად სრული აღწერილობა, რომელიც უნდა გაეგრძელებინათ სხვადასხვა მონასტერსა და ეკლესიაში, გაქურდვის პროცესის შესაჩერებლად და სიძველეთა შემდგომი დაცვისათვის. ამ ამოცანის შესრულება თავად ნ. კონდაკოვს დაეკალა, რომლის მოგზაურობის ხარჯები სახელმწიფო ხაზინამ გაიღო. მკვლევარი 1889 წ. საქართველოს ესტუმრა და დაიწყო ნაშრომის მომზადება. როგორც გამოცემის სატიტულო ყდა გვამცნობს, იგი თვით ალექსანდრე III-ის დაკვეთა იყო. ცხადია, ენობრივი ბარიერის გამო, კონდაკოვი ამ რთული ამოცანის შესრულებას მარტო ვერ შეძლებდა და ამ მიზნით, ქართული წარწერების და ისტორიული ცნობების წაკითხვისა და გამოყენებისათვის, დ. ბაქრაძე მიიწვიეს, რომელიც იმ დროისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი მეცნიერი იყო მთელი იმპერიის ფარგლებში. სამწუხაროდ, XIX-ის 80-იანი წლების მიწურულს, ადგილზე სიძველეთა გაცნობისას, მკვლევარებს ბევრი ნივთი უკვე დაკარგული დახვდა.¹² როგორც დასახელებული ნაშრომიდან ვგებულობთ, ამ დროისათვის უკვე დაკარგული იყო გელათის მონასტერში დაცული ჩვენთვის საინტერესო სახარების მინანქრებიანი ყდაც. კონდაკოვისა და ბაქრაძის პუბლიკაციაში არ გვხვდება მინანქრების ან თავად სახარების ფოტოები, მაგრამ გვხვდება საყურადღებო ცნობები როგორც სახარების, ასევე მისი შემკულობის შესახებ.

როგორც ავტორები შენიშნავენ, მათი ვიზიტის დროისათვის, სახარების ორიგინალური ყდა უკვე გამოცვლილი, ანუ „გაახლებული“, იყო XIX ს-ის ცნობილი რუსი იუველიერის, ი. საზიკოვის, სახელოსნოში დამზადებული მოოქროვილი ვერცხლის ყდით. კონდაკოვისა და ბაქრაძის ვარაუდით, სახარებას თვადაპირველად სხვა ყდა უნდა ჰქონოდა, რომელიც მოგვიანებით შეცვა-

¹² ამ სკოტების ირგვლივ იხილეთ I. Foletti. The Russian View of a “Peripheral” Region. Nikodim P. Kondakov and the Southern Caucasus, in: *The Medieval South Caucasus, Artistic Culture of Albania, Armenia and Georgia*. ed. by. I Foletti & E.Thuno, Brno, 2016 (Convivium, Supplementum). 2016, გვ. 22-23.

ლეს ორნამენტირებული ყდით, რომელსაც ამკობდა რომელიღაც სხვა ხატებიდან მოხსნილი ბიზანტიური მინაწერები, ერთზე ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზების, მეორეზე კი წმ. დემეტრეს გამოსახულებებით. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია პუბლიკაციის ავტორებმა თავად გელათის მონასტერში მიიღეს. აქვე მითითებულია, რომ ხელნაწერი დასურათებული იყო ოთხი მახარებლის გამოსახულებიანი, „ნაკლებად ოსტატურად შესრულებული მინიატურით,“ რომელთაგან ერთი, წმ. ლუკას გამოსახულებიანი მინიატურაც, მათი ვიზიტის დროისათვის ასევე გატანილი იყო გელათის მონასტრიდან.

განსაკუთრებით საყურადღებოა კონდაკოვ/ბაქრაძის მიერ ამ ნაშრომში გამოქვეყნებული სახარებაში არსებული სამი მინაწერი, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის მისი იდენტიფიკაციისა და სახარების ისტორიის რეკონსტრუქციისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ამ მინაწერთა პირველი პუბლიკაცია, რომელიც ჯერ კიდევ მ. ბროსემ გამოაქვეყნა 1852 წელს¹³ და თითქმის კონდაკოვ/ბაქრაძის პუბლიკაციის თანადროულად გამოიცა გ. წერეთლის მიერ, რომელმაც სახარების მინაწერები, გელათის მონასტრის წარწერების სრულ კორპუსში ჩართო.¹⁴

ჩვენი სახარების მინაწერებიდან უადრესი, მკლევართა ვარაუდით, გვამცნობს, რომ იგი გადაწერილია წმ. ექვთიმეს სახარებიდან.¹⁵ ყველა ზემოთ მოხსენიებული მეცნიერის იდენტიფიკაციით, აქ საუბარია წმ. ექვთიმე მთაწმინდელზე, ათონის ივერთა მონასტრის პირველ წინამძღვარზე.¹⁶ ეს მინაწერი უდავოდ შემდგომ კვლევას მოითხოვს, თუმცა იგი ძალზე საყურადღებოა,

¹³ M. E. Brosset. Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans L'Arménie. SPb. 1851. XI, გვ. 24-25, a.

¹⁴ Г. Церетели. Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря. Труды Восточной комиссии Императорского Московского Археологического общества, под ред. М. В. Никольского. М. 1891. Т. 1. В. 2, гв. 262-263.

¹⁵ „სახარებით უამთანი: დიდსა სვინაქსარსა: სხვებ სწერია: და იგიცა: კეთილ არს: და შვენიერ: გარნა ჩვენ გლახაკნი: ვინათგან წმიდისა კათოლიკე: ეკკლესიისა: სამაკაულსა: წმინდასა: ამას სახარებასა: შევეკიდებით და წყალობამან ღვთისამან აქამდე მოგვაწვივნე: არ ჯერ ვიზინეთ: სრულიად: მცონარებასა: მოცემა: თავთა: ჩვენთა: ამისთვისცა: ესერა მამისა: ევთიმის სახარებისაგან ესე წმინდანი: სახარებანი დაუნუსხევით: ვითარცა: ღმერთმან: ძალი მოგვცა.“ სახარების მინაწერების ეს და მომდევნო ქართული ტექსტები მოყვანილია გ. წერეთლის მიხედვით (იხ. Г. Церетели. Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря).

¹⁶ გ. წერეთლის აზრით, ეს შესაძლებელია ყოფილიყო წმ. ექვთიმეს მიერ შესრულებული თარგმანი, კონდაკოვ/ბაქრაძე კი მიუთითებენ, რომ აქ საუბარია უნდა იყოს მხოლოდ წმ. ექვთიმეს პირად საკუთრებაში მყოფ ოთხთავზე, რომელიც ჩვენი სახარების გადამწერებს გამოუყენებიათ დედნად.

რადგანაც ცხადი ხდება, თუ რა მნიშვნელობის ძეგლთან გვაქვს საქმე იმ სახარების სახით, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ღვთისმშობლის მინანქრიანი ფირფიტა ამკობდა, რადგან შესაძლოა მის კვალს ათონის ივერთა მონასტერსა და წმ. ექვთიმე მთაწმინდელთან მივყავდეთ.

მეორე მინაწერის მიხედვით, რომელიც უფრო გვიანდელია, სახარება ლევან მეფის ვაჟმა, იესემ, გამოისყიდა თათრებისაგან იმ დროს, როცა ირანის შაჰმა ააოხრა ჯავახეთი და ნანგრევებად აქცია ვარძიის მონასტერი. ვარძიაში დაბრუნებული სახარება კი, ვარძიის ღვთისმშობლის ხატს შესწირეს.¹⁷

განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული აქ მოხსენიებულ ისტორიული პირების იდენტიფიკაციისას. დღეისათვის მიღებულია მ. ბროსეს იდენტიფიკაცია, რომელიც იესეს ლევან კახთა მეფის (1503-1574) ძე მიიჩნევს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ტყვედ საფავიდების მმართველ თამაზ I-ის კარზე (1513-1574).¹⁸ ამ შემთხვევაში, ადვილი ასახსნელია, თუ ირანელთა რომელ თავდასხმაზეა საუბარი, რადგან ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ირანელებმა 1551-1553 წწ, რამდენჯერმე ააოხრეს საქართველო, მათ შორის ვარძიის მონასტერიც. ეს ეპიზოდი აღწერილი აქვს საფავიდების დინასტიის მემკვიდრეს, XVI საუკუნის ცნობილ ისტორიკოს ჰასან ბეგ რუმელუს თავის ნაწარმოებში: „უმშვენიერესი ისტორიათაგანი“ („აჰსან-ათ-თავარიხი“).

„ქართველთა ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა მალალ მთებსა და მკვარ გამოქვაბულებს, ზოგი გამაგრდა ვარძიის ციხეში და ეკლესიაში, რომელიც ღვთის მიერ შექმნილ საკვირველებას წარმოადგენს. მუსულმანურმა ჯარებმა დაიწყეს გამოქვაბულებში დაგროვილი ქონების ძარცვა და იმ ჭაბუკების ჯგუფ-ჯგუფებად გამოყვანა, რომელნიც დატყვევების და გამარცხვის შიშით

¹⁷ „ნებითა და შეცვენითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან პატრონმან მეფეთ მეფის ლეონის ძემან იესე ვიყიდე ოთხთავი ესე თათართაგან, ოდეს ყვენმა ჯავახეთი ააოხრა და ვარძიის საყდარი დაღუწა და ესე ოთხთავი დატყვევდა. მას ჟამსა დავიხსენით და შევსწირეთ ვარძიის ღვთისმშობელსა საოხად და სალოცველად და ცოდვით ჩვენთა შესანდობელათ: ღმერთო და ვარძიისა ღვთის მშობელო პატრონი იესე დღეგრძელებით და გამარჯვებით ამყოფე უკუნუისამდე. ამინ“.

¹⁸ კონდაკოვ/ბაქრაძე და გ. წერეთელი ლევან მეფის ვაჟს, იესეს, XVIII ს-ის ცნობილ ისტორიულ პირთან იესე – იმავე ალი ყული ხანთან, აიგივებდნენ, რომელიც 1727 წელს გარდაიცვალა. Н. П. Кондаков, Д. З. Вакрадзе. Описание памятников в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 43; თუმცა, ასეთი იდენტიფიკაცია სადავოა, რადგან ამ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია, თუ ირანელთა რომელ თავდასხმაზეა საუბარი ჯავახეთზე, რომლის დროსაც აოხრებული იქნა ვარძიის მონასტერი.

ქვაბებში იმალებოდნენ .. ძლევაძოსილმა ლაშქარმა დახოცა ურწმუნონი, ხოლო მათი ცოლები და შვილები დაატყვევა. შაჰი დიდებულ ამირებთან ერთად ეკლესიაში მივიდა. ოცი ძღველი მოკლეს იქ. ზარი კი, რომელიც სამოცდაათ მანს იწონიდა და შეიღვზის იყო ჩამოსხმული, დაამსხვრიეს. რკინისა და ოქროს კარები მოვლიჯეს და ბედნიერ ხაზინას გადასცეს. შაჰმა დიდძალი სიმდიდრე და აუარებელი ქონება იგდო ხელთ“.¹⁹

როგორც ჩანს, სწორედ ვარძიის ამ გამარცხვულ საგანძურს შორის აღმოჩნდა ჩვენი სახარებაც. ირანელი ისტორიკოსის ზემოთ აღწერილი მოვლენების დროს მოკლეს ქართლის მეფე ლუარსაბ I (1502/9-1556/58), რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია მუსულმანურ ჯარს. ამ შეტაკების დროს ირანელთა ბევრი მეთაურიც დაიღუპა. ირანელთა ახალი თავდასხმებისაგან თავდასაცავად, ლევან კახთა მეფემ დიპლომატიურ ხერხს მიმართა და 1558 წელს თავისი ვაჟი, იესე, დიდძალ ძღვენთან ერთად მიავლინა შაჰის კარზე, რათა დაერწმუნებინა ირანის მმართველი, რომ მას არაფერი აკავშირება დატრიალებულ მოვლენებთან. შაჰმა იესე ტყვედ დაიტოვა და ქართველი უფლისწული, რომელმაც სარწმუნოებას არ უღალატა, მხოლოდ 1580 წლისთვის დაბრუნდა სამშობლოში.

როდის უნდა შეეძინა უფლისწულს ჩვენთვის საინტერესო სახარება ირანში? სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო მის სპარსეთში ჩასვლასა და 1578 წელს შორის, როდესაც ირანსა და თურქეთს შორის ინტენსიური კონფლიქტის შედეგად, ჯავახეთი უკვე თურქების ხელში აღმოჩნდა და გამარცხვული და გაჩანაგებული ვარძიიდან გადარჩენილი საგანძური, ოდიშისა და იმერეთის სამთავროებში გადაიტანეს. სავარაუდოდ, სახარების დაბრუნება ვარძიის მონასტრისთვის უფრო იესეს ტყვეობის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, როდესაც ჯერ კიდევ ახსოვდათ ამ ძვირფასი მინაქრებით დამშვენებული ოთხთავის წარმომავლობა.²⁰

როგორც აღნიშნული მინაწერი გვამცნობს, დაბრუნების შემდეგ სახარება ვარძიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს შესწირეს. ეს ის სახელგანთქმული ხატია, რომელიც მონასტრის მთავარ სიწმინდეს წარმოადგენდა და რომლის სახელსაც უკავშირდება ქართველთა არაერთი ძლევაძოსი-

¹⁹ გ. გაფრინდაშვილი. ვარძია. ლენინგრადი. 1975, გვ. 48-49.

²⁰ გ. გაფრინდაშვილის ვარაუდით, სახარება 1551 წელს გაიტანეს აღმოსავლეთში და სწორედ ამ დროსთან ახლო წლებში უნდა შეეძინა იგი ირანის ერთ-ერთ ბაზარზე იესეს (გ. გაფრინდაშვილი. ვარძია, გვ. 56).

ლი გამარჯვება მაჰმადიანთა მრავალრიცხოვან ჯარებთან წარმოებული ომებში. სწორედ ამ ხატის წინაშე დალოცა თამარმა ბასიანის ომში მიმავალი ქართველთა ჯარი და მას მიუძღვნა იოანე შავთელმა ცნობილი იამბიკო „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისადმი“.²¹ სავარაუდოდ, სახარება თვალდაპირველად ამ ხატისადმი უნდა ყოფილიყო შეწირული და ეს ცნობაც ჯერ კიდევ არსებობდა ვარძიაში სახარების დაბრუნების დროისთვის.

სახარებაში დაცულ მესამე მინაწერში კი მოხსენიებულია ვინმე მამია დადიანი, მისი მეუღლე ელენე-ეკატერინე და ბედიელი მიტროპოლიტი, მთავარებისკოპოსი ანტონ ჟვანიძე.²² ასევე, ამ უკანასკნელის მშობლები და ძმები. მკვლევართა ვარაუდით, აქ საუბარია მამია III დადიანზე, რომელიც 1532 წელს გარდაიცვალა და რომლის კარზეც ცხოვრობდა XVI ს-ის საეკლესიო მოღვაწე, ბედიელ-ცაიშელი მიტროპოლიტი, ანტონ ჟვანიძე, რომლის სახელიც ძმის, კირილე ჟვანიძესთან ერთად, ცნობილია ბედიის მონასტრის მიტროპოლიტის პალატისა და ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერებიდან რამდენადაც მინაწერი მოხსენიებული პირების სულებს მოიხსენიებს, მამია დადიანი და ანტონი ამ დროს გარდაცვლილები უნდა ყოფილიყვნენ. რადგან წარწერა ანტონის ძმებსაც მოიხსენიებს, ვარაუდობენ, რომ მინაწერი ანტონის ძმას, კირილეს, უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ასევე ოდიშის მთავართა კარზე ცხოვრობდა.²³

თუკი ჩვენ ერთად შევკრებთ ყველა იმ მონაცემს, რომელთაც კონდაკოვ-ბაქრაძის ერთობლივ ნაშრომში ვხვდებით, ასეთ სურათს მივიღებთ: სახარება წმ. ექვთიმე მთაწმინდელის სახარებისგანაა გადაწერილი, მოგვიანებით მისი თავდაპირველი ყდა სხვა დიდი ზომის ხატიდან მოხსნილი ბიზანტიური მინაწერებით დამშვენებული ყდით შეცვალეს. სავარაუდოდ, სახარება სამეფო დაკვეთა უნდა ყოფილიყო და, ასევე, სამეფო ძღვენი მონასტრისადმი. XVI ს-ში ირანელთა შემოსევების დროს აოხრებული ვარძიის მონასტრიდან სახარება ირანში მოხვდება, სადაც მას გამოისყიდის იმჟამად საფავიდების კარზე

²¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედ. თბ. 2008, გვ. 464-466. გ. გაფრინდაშვილი. ვარძია, გვ. 57. ხატი ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული.

²² „სულკურთხეულსა, დადიანსა მამიას შეუნდოს ღმერთმამ; მათსა მეუღლესა დედუფალთ დედუფალსა ელენესე, ეკატერინეს: შეუნდენეს ღმერთმან სულსა კურთხეულისა ბედიელ მთავარ ებისკოპოსისა ჟვანიას ანტონიესსა შეუნდოს ღმერთმან. მისთა დედათა, ძმათა შეუნდოს ღმერთმან.“

²³ Ю. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии. Труды Государственного Эрмитажа. LXXIV. Византия в контексте мировой культуры. Материалы конференции посвященной памяти А. В. Банк (1906-1984). СПб. 2015, гв. 152.

ტყველ მყოფი ლევან კახთა მეფის ძე იესე და მას ვარძიის მონასტერს უბრუნებს, ვარძიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის შენაწირის სახით. XVI ს-ის მიწურულიდან, ვარძიის მონასტრის დაცარიელების შემდეგ, იგი მონასტრის სხვა საგანძურთან ერთად ოდიშის სამთავროში გადააქვთ, მაძია დადიანის კარზე, საიდანაც როგორც ჩანს, XVII ს-ის II ნახევარში, თურქების თავდასხმებისაგან დასაცავად სხვა სიწმინდეებთან ერთად, კათოლიკოს ზაქარიას ხელმძღვანელობით გელათის მონასტერში გადაინაცვლებს“.²⁴

ამდენად, ამ მინაწერებზე დაყრდნობით, ცხადი ხდება, რომ ეს სახარება ვარძიის მონასტრის საკუთრება იყო. ამავე დროს, კონდაკოვ/ბაქრაძის ცნობის მიხედვით, XIX ს-ის 80-იანი წლების მიწურულისთვის, სახარების მინანქრებიანი ყდა და ერთ-ერთი მინიატურა, წმ. ლუკა მახარებლის გამოსახულებით, უკვე გატანილია გელათის მონასტრიდან.

XII-XIII სს-ებით დათარიღებულ ვარძიის სახარებად არის იდენტიფიცირებული ღვთისმშობლის მინანქრით შემკული სახარება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც. 2010 წელს ცენტრის მიერ გამოცემულ ელექტრონულ ალბომში, ილუსტრირებულია სახარების ერთ-ერთი მინიატურა, მათე მახარებლის გამოსახულებით, ხოლო თანდართულ ტექსტში აღნიშნულია, რომ საზეიმო ხასიათის ხელნაწერი, სავარაუდოდ, თამარ მეფეს ეკუთვნოდა. XVI საუკუნემდე წიგნი ვარძიაში ინახებოდა, სპარსელების მიერ ვარძიის მარცვის შემდგომ იგი გამოუსყიდა ლეონ კახთა მეფის ვაჟს და კვლავ ვარძიისათვის შეუწირავს. წიგნს ჰქონია ვერცხლის ყდა ღვთისმშობლის მინანქრიანი ხატით, რომელიც შემოუძარცვათ.²⁵

სულ ახლახან, ვარძიის სახარება ჩაერთო საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების ახალ ექსპოზიციაში, სადაც განმარტებით წარ-

²⁴ დ. ლამბაშიძე. გელათის მონასტერი. მეორე გამოცემა. ქუთაისი. 1988, გვ. 7.

²⁵ „მაღალი ხარისხის თეთრ ეტრატიზე შესრულებული ხელნაწერი წიგნი ყურადღებას იქცევს მდიდრული, ნატიფი ორიგინალური მორთულობითა და კლასიკური კალიგრაფიული ნუსხურით, სათაურები – სინგურითა და მთავრულით. საზედაო ასოები და ტექსტის მნიშვნელოვანი ადგილები ნაწერია ოქრომელნითა და ფერადებით. მახარებლების გამოსახულებანი ტექსტიან ფურცლებზეა შესრულებული და მცირე ადგილს იკავებს. მინიატურები შემკულია ორიგინალური ორნამენტებით.“ აქვე თარიღთან ერთად (XII-XIII სს) მითითებულია მასალა, ზომები და საიდენტიფიკაციო ნომერი (ეტრატი, 289 ფ. ზომა: 23×18სმ. Q 899). იხ. კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ელექტრონული ალბომი: ქართული ხელნაწერი წიგნი V-XIX სს. შეადგინეს მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ, თამარ აბულაძის მონაწილეობით. ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით. თბ. 2010, გვ. 74. ვარძიის სახარების მინიატურა მათე მახარებლის გამოსახულებით, გამოქვეყნებულია ასევე: გ. გაფრინდაშვილი. ვარძია, ილ. 140. ე. მაჭავარიანი. ქართული დამწერლობა. თბ. 2008, ილ. 82.

წერაში თითქმის იგივე ინფორმაციაა მოწოდებული, თუმცა აქ არაფერია ნათქვამი მისი მინანქრით შემკობილი ყდის შესახებ.²⁶

როგორც ჩანს, ამ ხელნაწერი წიგნის ვარძიის სახარებად იდენტიფიცირება აქ დაცული მეორე მინაწერის მიხედვით მოხდა. სწორედ ამიტომ არ უნდა იყოს მითითებული სახარების პირველი და მესამე მინაწერები. მართალია, ელექტრონულ ალბომში აღნიშნულია, რომ წიგნს ვერცხლის ყდა ჰქონია ღვთისმშობლის მინანქრიანი ფირფიტით, თუმცა არაფერია ნათქვამი წმ. დემეტრეს გამოსახულებიან მეორე მინანქარზე. განსაკუთრებით საყურადღებო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში გამოთქმული ვარაუდია, რომ ეს სახარება, თამარ მეფის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, რომ ეს ვარაუდი ლოგიკურია და ეს სახარება მართლაც თამარ მეფის მიერ უნდა ყოფილიყო თავდაპირველადაც ვარძიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისადმი შეწირული. გარდა თამარისათვის ამ ხატის განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი საზეიმო, მდიდრულად გაფორმებული სახარება, უთუოდ უმაღლესი რანგის პირის საკუთრება შეიძლებოდა ყოფილიყო და ღიდ ღირებულებას წარმოადგენდა სამეფო ოჯახისათვის. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, თამარის მეფობის ხანაში, ღვთისმშობლის გამოსახულებას, ისევე როგორც წმ. ნინოს გამოსახულებებს, მეფე-ქალის ლეგიტიმაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რასაც ადასტურებს კიდევაც ამ ეპოქის კედლის მხატვრობის ნიმუშები, სადაც თამარის პორტრეტებია დაცული.²⁷ აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ თამარის მიერ ვარძიის ღვთისმშობლის ხატისადმი მადლიერების ნიშნად მირონძეული ამ გამორჩეული სახარების ყდის გასაფორმებლად, ძვრიფას ჩარჩოში ჩასმული, ღვთისმშობლის მადიდებელი მინანქრის ფირფიტა შეერჩიათ.

²⁶ როგორც ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების ახალ ექსპოზიციაში ჩართული ვარძიის სახარების განმარტებითი წარწერა ვგამცნობს: „საზეიმო“, მდიდრულად შემკული ხელნაწერი, გადაწერილია კლასიკური კალიგრაფიული ნუსხურით, მნიშვნელოვანი ადგილები და საზედაო ასოები შესრულებულია ოქრომელნით და ფერადი საღებავებით. გამოირჩევა ორიგინალური გაფორმებით. ფურცლოვან ოქროზე გამოსახული მახარებლები ტექსტშია ჩართული და ორნამენტით შემკული. ხელნაწერი XVI საუკუნემდე ვარძიაში ინახებოდა და, სავარაუდოდ, თამარ მეფეს ეკუთვნოდა. ოთხთავი გაიტაცეს სეფიანი შაჰის თამაზ პირველის შემოსევის დროს 1551 წელს. ლევან კახთა მეფის ძის იესეს მიერ ხელნაწერის გამოსყიდვისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი საქართველოში გელათში ინახებოდა.“

²⁷ ამ ტაძრების ეკლესიის აბსიდის კონქი, თითქმის ყოველთვის ღვთისმშობლის მონუმენტურ გამოსახულებას ეთმობა. ასეა ვარძიის, ყინცივისა თუ ბერთუბნის მონუმენტულობებში.

გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციასა და მის მიერ მითითებულ ლიტერატურას თუ მივუბრუნდებით, ლოგიკურად იბადება შემდეგი შეკითხვა: თუკი მკვლევარი უკვე იცნობდა კონდაკოვ/ბაქრაძის მონაცემებს და იცოდა, რომ სახარება ვარძიის მონასტრის კუთვნილება იყო, რაც დასტურდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის იდენტიფიკაციითაც, რატომ არ ითვალისწინებს იგი ამ ინფორმაციას და რატომ აქვს მითითებული მინანქრებიანი ფირფიტები, როგორც გელათის ერთ-ერთი სახარების ყდა? ასევე საინტერესოა, რატომ უსვამს იგი ხაზს, რომ ეს მინანქრები დ. ერმაკოვის ფოტოებიდანაა ცნობილი? თუ დავუშვებთ, რომ მას ა. როინაშვილის ფოტოები ჰქონდა მხედველობაში, რომლებიც როგორც ცნობილია, სხვა მის ფოტონეგატივებთან ერთად დ. ერმაკოვის გადაეცა საკუთრებაში,²⁸ მაშინ რატომ არ აღნიშნავს იგი, თუნდაც ირიბად, ა. როინაშვილის ავტორობას? ასევე საინტერესოა, რატომ აქვს სახარება იდენტიფიცირებულია გელათის სახარებად შ. ამირანაშვილსაც? მასაც ხომ საკმაო ინფორმაცია ჰქონდა გელათის მონასტრის არქივების აღმოჩენის შემდეგ? მით უმეტეს, რომ როგორც გ. ჩუბინაშვილი, ასევე შ. ამირანაშვილი საკმარის ინფორმაციას ფლობდნენ არა მარტო სახარებისა და მისი ყდის, არამედ მინანქრების გამარცხვის და მათი შემდგომი ბედის შესახებაც.

ამ საკითხებში მეტი სიცხადის შესატანად, მივყვით ისევ გ. ჩუბინაშვილის მიერ დასახელებულ დანარჩენ ორ პუბლიკაციას, რომლებიც უკვე შ. ამირანაშვილთანაც არის აღნიშნული. მათაგან მომდევნოა 1892/94 წლებში გამოცემული ნ. კონდაკოვის «Византийские эмали. Собрание А. В. Звенигородского. История и памятники византийской эмали». მაგრამ, ვიდრე უშუალოდ მინანქრების შესახებ აქ დაცულ ცნობებს შევეხებით, ჩვენი კონტექსტისთვის ძალზე საყურადღებოა ამ უნიკალური გამოცემის ისტორიაც.

ზვენიგოროდსკის კოლექციის ეს პუბლიკაცია თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული გამოცემაა, რომელიც XIX ს-ის წიგნის მხატვრული გაფორმების მსოფლიო შედეგად არის აღიარებული. თეთრი შაგრენის ტყავის ყდით, ოქრო-ვერცხლითა და ფარჩით გაფორმებული წიგნი, რომელსაც უძვირესი და ურთულესი ქრომოლიტოგრაფიული ტექნიკით დამზადებული 28 ფერადი ილუსტრაცია ამკობდა, ზვენიგოროდსკის პირადი სახსრებით გამოიცა და მის საკუთრებას წარმოადგენდა.²⁹ დაიბეჭდა მხოლოდ

²⁸ იხ. ლ. მამაცაშვილი. კავკასიური მოძრაობა მუზეუმი. ალბომში: ალექსანდრე როინაშვილი და მისი მუზეუმი. თბ. 2016, გვ. 28.

²⁹ მაღლობას ვუხდი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანაშრომლებს ლ.

600 სასაჩუქრე ექზემპლარი (200 რუსულ, 200 ფრანგულ და ასევე 200 გერმანულ ენებზე). წიგნი გაყიდვაში არ შესულა და საჩუქრად გადაეცემოდა სხვადასხვა ქვეყნის მხოლოდ უმაღლესი ჩინის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მათ შორის მეფეებს, იმპერატორებსა და სულთნებს. ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა ვ. სტასოვმა, რომელმაც წიგნის გამოცემას სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა, მას „რუსული საოცრება“ უწოდა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მის სატიტულო ყდაზე, თავად ზვენიგოროდსკის პორტრეტთან ერთად, სწორედ ჩვენი ღვთისმშობლისა და წმ. დემეტრეს გამოსახულებიანი მინანქრებია გამოტანილი ვარძიის სახარების ყდის შემკულობიდან (სურ. 3). აქვე შევნიშნავთ, რომ ეს არის ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მინანქრის დღემდე გამოცემული ერთადერთი ფერადი ილუსტრაცია, რის შესახებაც მიუთითებდნენ კიდეც, როგორც კონდაკოვ/ბაქრაძე, ასევე შ. ამირანაშვილიც.³⁰

მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი ჩაფიქრებული იყო ა. ზვენიგოროდსკის მინანქრების პირადი კოლექციის პუბლიკაციისა და პოპულარიზაციისათვის,³¹ საჭირო იყო ამ მასალის მეცნიერული დამუშავება და ტიხრული მინანქრის განვითარების მთელი ისტორიის კონტექსტში კოლექციის განხილვა, რისთვისაც სპეციალურად მიიწვიეს ნ. კონდაკოვი, რომელიც ზვენიგოროდსკმა დააფინანსა და მიავლინა რუსეთის რეგიონებსა და ევროპაში, მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული მინანქრების ნიმუშების გასაცნობად და შესასწავლად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წიგნის გამოცემის შემდეგ თავად კონდაკოვს არც ერთი ექზემპლარი არ გადასცეს, რამდენადაც ეს მასთან დადებული ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული. კიდეც უფრო საინტერესოა მეცნიერთან დადებული კონტრაქტის შემდეგი პუნქტი: ზვენიგოროდსკის მოთხოვნით, კონდაკოვს კონფიდენციალურად უნდა დაეცვა მისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია მინანქრებისა და მათი წარმომავლობის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ამ ინფორმაციის გასაიდუმლოებას სერიოზული

თაქთაქიშვილსა და შ. ოსიპოვს ამ გამოცემის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ეგზემპლარზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

³⁰ შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 308, შენიშ. 3.

³¹ ა. ზვენიგოროდსკის ინტერესი შუა საუკუნეების ხელოვნებისადმი 1864 წლიდან იწყება, როდესაც იგი ესპანეთში გაეცნო ამ პერიოდის ხელოვნების ნიმუშებს. XIX ს-ის დასასრულისათვის მისი კოლექცია შედგებოდა 43 ბიზანტიური, საქართველოდან და კიევის რუსეთიდან გატანილი უმაღლესი რანგის ტიხრული მინანქრის ნიმუშებისაგან, რომლებიც მისი დროის საუკეთესო კოლექციად ითვლებოდა.

მიზეზი ჰქონდა, რამდენადაც კოლექციის უმეტეს ნაწილს საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან გაძარცვული და საეჭვო გარემოებებში შექმნილი მინანქრები წარმოადგენდა. საარქივო დოკუმენტებისა და ზოგი არაპირდაპირი ცნობებით, ცხადი ხდება, რომ კონდაკოვი სრულად ფლობდა ინფორმაციას ამ მინანქრების წარმომავლობაზე, მაგრამ კონტრაქტის მიძივ პირობების გამო, იძულებული გახდა არ გაესაჯაროებინა ეს ინფორმაცია.³² როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ეს თავად ნაშრომსაც დაეტყო, რადგან აღნიშნული ფაქტის გამო კონდაკოვი ტექსტში არაფერს ამბობს ამა თუ იმ მინანქრის წარმომავლობასა და მიკუთვნებულობის შესახებ მისთვის ცნობილი ძეგლებისადმი, რამაც პუბლიკაციაში ამ საუცხოო მკვლევრისათვის არადადამახასიათებელი, ბუნდოვანი განმარტებები გამოიწვია. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საინტერესოა, რა ცნობებს გვაწვდის იგი ჩვენი მინანქრების შესახებ.

უცნაური ფაქტია, რომ ღვთისმშობლისა და წმ. დემეტრეს მინანქრების ანალიზისას მკვლევარი დასაწყისშივე ხაზს უსვამს, რომ ისინი ი. ბალაშოვის კოლექციიდან არის და მისი კეთილი ნებართვით არის გამოტანილი ზვენიგოროდსკის წიგნის სატიტულო ყდის ილუსტრაციად. ეს გარემოება ბევრ შეკითხვას ბადებს: როგორ მოხდა, რომ თავისი კოლექციის პოპულარიზაციისათვის მომზადებული ამ ძვირფასი გამოცემის სატიტულო ყდის ილუსტრაციად ზვენიგოროდსკიმ სხვისი კოლექციის მინანქრების გამოტანის ნებართვა გასცა?³³

რაც შეეხება თავად მინანქრებს, მათი ტექნიკური შესრულების მეთოდისა და კოლორიტის ანალიზი, ნ. კონდაკოვის საშუალებას აძლევს განასხვა-

³² Ю. А. Пятницкий. О происхождении некоторых перегородчатых византийских эмалей из коллекций Эрмитажа. Эрмитажные чтения памяти Б. Б. Пиотровского. Тезисы докладов. СПб. 2000, გვ. 42-43.

³³ როგორც ცნობილია, ა. ზვენიგოროდსკი თვითონ ხელმძღვანელობდა წიგნის ყდის გაფორმებას, რისთვისაც მან საუკეთესო ფრანგი და რუსი სპეციალისტები მიიწვია. რუსი მკვლევრების მიერ გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ბალაშოვის კოლექციის მინანქრების გამოტანა ამ წიგნის სატიტულო ყდის ილუსტრაციად, ნ. კონდაკოვის დაჟინებული მოთხოვნით უნდა მომხდარიყო (А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 143) არცთუ ისე არგუმენტირებულად გამოიყურება, თუკი გავითვალისწინებთ ნ. კონდაკოვიან დადებული მიძივ კონტრაქტის პირობებს და იმ ფაქტს, რომ მეცნიერს თავისი ნაშრომის არცერთი ექზემპლარიც კი არ გადასცეს. ამ კონტექსტში, გაუგებარია, რატომ უნდა გაეწია ზვენიგოროდსკის ანგარიში კონდაკოვის მოთხოვნისთვის და მისივე დაფინანსებით გამოცემული წიგნის სატიტულო ყდაზე რატომ უნდა გამოეტანა სხვისი კოლექციის მინანქრების ილუსტრაცია? ჩვენი აზრით, აქ უფრო სავარაუდოა გარკვეული ფინანსური გარიგება, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ზვენიგოროდსკისა და ბალაშოვის შორის.

ოს ამ მინანქრების დამზადების თარიღი. ავტორის დაკვირვებით, ისინი სხვადასხვა პერიოდის ბიზანტიური ტიხრული მინანქრის ნიმუშებია. წმ. დემეტრეს მინანქარი X ს-ის მეორე ნახევარში ან XI ს-ის I ნახევარში უნდა იყოს შესრულებული და მინანქრის ძალზე თხელი ფენით თუ ვიშნაველებით, საუკეთესო ბიზანტიელი ოსტატის ნახელავია (სურ. 4), ხოლო ღვთისმშობლის ორიგინალური გამოსახულება კი უფრო გვიან, XII ს-ის მიწურულით ან XIII ს-ის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს. ავტორისეული ვერსიით, თავდაპირველად ეს მინანქრები უთუოდ რომელიღაც მონუმენტურ ბიზანტიურ ობიექტს ამშვენებდა, მაგრამ კავკასიაში მათი ტრანსპორტირების შემდეგ გამოიყენეს სახარების ყდის გასაფორმებლად, სავარაუდოდ, XVIII ს-ში. ეს არის მოკლედ ის ძირითადი ინფორმაცია, რომელსაც ჩვენს მინანქრებზე ვიგებთ ამ გამოცემიდან.³⁴

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ნ. კონდაკოვმა იცოდა ამ მინანქრების წარმომავლობა, რაც დასტურდება მისი და ბაქრადის ერთობლივი პუბლიკაციიდან, მკვლევრის რევით მეორე ნაშრომში ავტორის მიერ ბიზანტიური ტიხრული მინანქრის ნიმუშებად მიჩნეული წმ. დემეტრესა და ღვთისმშობლის მინანქრების მხოლოდ ზოგადი, კავკასიური წარმომავლობა აღნიშნული, ასევე გამოთქმულია მოსაზრება მათი დამზადების განსხვავებული თარიღის და სახარების ყდის ღეკორში მინანქრების XVIII საუკუნეში ჩართვის შესახებაც. ცხადია, ზემოთ აღნიშნული კონტრაქტიდან გამომდინარე, აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მინანქრები ვარძიის სახარების ყდას ამკობდა და მოგვიანებით გელათის მონატერში ინახებოდა.

გ. ჩუბინაშვილსა და შ. ამირანაშვილის მიერ მითითებული მესამე პუბლიკაცია ვარძიის სახარების მინანქრებზე, იმავე ნ. კონდაკოვის ფუნდამენტური ნაშრომის, 1915 წ. პეტერბურგში გამოცემულ «Иконография Богоматери»-ის II ტომია. აქაც გვხვდება ღვთისმშობლის მინანქრის ამჯერად შავთეთრი ფოტო, ხოლო რაც შეეხება პუბლიკაციის ტექსტს, ამ შემთხვევაშიც განსხვავებული ინფორმაციაა მოცემული მინანქრის წარმომავლობის შესახებ.

³⁴ აქვე მკვლევარი მიუთითებს, რომ წმ. დემეტრეს ოქროს ფირფიტაზე არსებული ნახვრეტები, რომლითაც იგი სახარების ყდაზე იყო მიმაგრებული, აჩვენებს, რომ მინანქარი თავისი ოქროს ფირფიტით მოხსნეს თავდაპირველი ობიექტიდან, ხოლო ღვთისმშობლის მინანქრის შემთხვევაში, ეს ნახვრეტები უკვე თავად მინანქარზეა, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ამ შემთხვევაში თავად მინანქარი აცალეს მისი პირველი ლოკაციის ადგილიდან ანუ დიდი ბიზანტიური ზატიდან. Н. П. Кондаков. Византийские эмали. Собрание А. В. Звенигородского. История и памятники византийской эмали. СПб. 1892, გვ. 149-151.

ცხადია, ნაშრომის მთავარი მიზნიდან გამომდინარე, ავტორი აქ მხოლოდ ღვთისმშობლის მინანქარს განიხილავს, ამ კონკრეტული კომპოზიციის იკონოგრაფიული სქემის განვითარების კონტექსტში. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ხატმებრძოლეობის შემდეგ, IX საუკუნიდან, ბიზანტიაში ვრცელდება ღვთისმშობლის ორიგინალური იკონოგრაფია, რომელიც მდგომარე ან ტახტზე მჯდომარე მარიამს წარმოადგენს ორანტის პოზაში. ეს იკონოგრაფიული ტიპი განსაკუთრებით XI-XII საუკუნეებში გვხვდება და, სავარაუდოდ, ისეთი კომპოზიციებიდან იღებს სათავეს, როგორებიცაა „ქრისტეს ამაღლება“ და „სამინელი სამსჯავრო“, რომლებშიც ხშირადაა ჩართული ფეხზე მდგომი ან ტახტზე დაბრძანებული, ორანტის ჟესტით ხელაპყრობილი ღვთისმშობლის გამოსახულება. როგორც მკვლევარი მიუთითებს, ეს კომპოზიცია არ გვხვდება ცალკე ხატის სახით, თუმცა, სავარაუდოდ, უნდა არსებებოდა ამ იკონოგრაფიის სასწაულმოქმედი ხატი ბიზანტიაში, რომელიც საფუძვლად დაედო აღნიშნულ სქემას.

კონდაკოვის დაკვირვებით, ღვთისმშობლის ასეთი იკონოგრაფიული ტიპი განსაკუთრებით ხშირადაა მოცემული მინიატურულ ხელოვნებაში და XI-XII საუკუნიდან არაერთხელ გვხვდება ტიხრული მინანქრის მედალიონებსა და საიმპერატორო საბეჭდავებზე. XII-XIII სს-ში კი უკვე ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობლის სახითაც არის გამოსახული, რომელსაც მთავარანგელოზები იცავენ. მისივე ვარაუდით, ეს იკონოგრაფიული სქემა ბიზანტიიდან ვრცელდება დასავლურ ხელოვნებაშიც, სადაც „ღვთისმშობლის დიდების“ კომპოზიციად ყალიბდება.

სწორედ ამ კონტექსტში აღნიშნავს მკვლევარი, რომ ბიზანტიაში, ტახტზე დაბრძანებული ღვთისმშობლის გამოსახულება მთავარანგელოზებთან ერთად, გვხვდება შესანიშნავ მინანქარზე საქართველოდან, რომელიც ამჟამად ი. ბალაშოვის კოლექციაში ინახება პეტროგრადში. ავტორის აზრით, ძნელი სათქმელია, რა იდეურ-რელიგიურ დატვირთვას ატარებდა მინანქრის ეს კონკრეტული კომპოზიცია, რამდენადაც, სავარაუდოდ, იგი თავდაპირველად რომელიღაც სხვა დიდი ზომის ძეგლს ამკობდა და მისი აზრობრივი მნიშვნელობა მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, თუ როგორ კონტექსტში იყო მინანქარი მოთავსებული ორიგინალურ ანსამბლში: მაცხოვრის, ღვთისმშობლის თუ, თუნდაც, დიდი ჯვრის გამოსახულებასთან ერთად. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევრის ატრიბუცია მინანქრის ორიგინალური წარმომავლობის შესახებ: იგი აღნიშნავს, რომ მინანქრის სქელი

ფენისა და ნახატის არასწორი ფორმით თუ ვიმსჯელებთ, ღვთისმშობლის მინანქარი ქართული ძეგლია.³⁵

რამდენადაც მკვლევარს ღვთისმშობლის მინანქარი XII-XIII სს-ის ქართულ ძეგლად მიაჩნია, საინტერესოა ამ იკონოგრაფიის როგორც ბიზანტიური, ასევე ქართული, XII-XIII სს-ის პარალელები. ასეთ მაგალითებად შეიძლება დასახელდეს დასავლური ძეგლებიდან მინიატურა ცნობილ ვინჩესტერის ფსალმუნში ბრიტანეთის ბიბლიოთეკიდან, რომელიც დაახ. 1150 წლით თარიღდება და ახლავს ლათინური წარწერა: „აქ არის იგი, ზეციერი დედოფალი.“ მკვლევართა დაკვირვებით, „ღვთისმშობლის დიდების“ ეს კომპოზიცია, ფსალმუნის მეორე მინიატურასთან ერთად, რომელიც ღვთისმშობლის მიძინებას გამოსახავს, აშკარად ბიზანტიური გავლენებით გამორჩევა ფსალმუნის სხვა დანარჩენი ილუსტრაციებისაგან.³⁶ რაც შეეხება XII-XIII სს-ის ქართულ პარალელებს, ყველაზე ახლოს ჩვენი მინანქრის კომპოზიციასთან ტიმოთესუნის XII ს-ის საშინელი სამჯავროს კომპოზიციის ფრაგმენტი, სადაც ტახტზე დაბრძანებული ღვთისმშობელი იდენტური ქრისტიანთა გამოსახულები ანგელოზებთან ერთად.³⁷ მინანქარზე ღვთისმშობლის უკან მთავარანგელოზთა გამოსახულება კი ძალიან ჰგავს მთავარანგელოზთა გამოსახულებას წილკნის ცნობილ ღვთისმშობლის ხატზე (IX-XII-XVIII სს).³⁸

ამდენად, ჩვენი მინანქრების შესახებ არსებული ნ. კონდაკოვის ბოლო პუბლიკაციით, რომელიც ჩუბინაშვილ/ამირანაშვილთანაა მითითებული, რამდენიმე ახალ ინფორმაციას ვგებულობთ. კერძოდ, დასტურდება, რომ 1915 წლისათვის ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მინანქარი ჯერ კიდევ პეტერბურგშია, ი. ბალაშოვის კოლექციაში. ამავე დროს, როგორც კონდაკოვი აკონკრეტებს, მინანქარი საქართველოდანაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მკვლევრის ვარაუდია იმის შესახებ, რომ ღვთისმშობლის მინანქარი მთავარანგელო-

³⁵ ავტორის შენიშვნით, ამ მინანქრისთვის დამახასიათებელი ფირუზისფერი ფონი ჯერ კიდევ ძველ ბერძნული, აღმოსავლური მინანქრისთვის იყო დამახასიათებელი და შემდგომში, X ს-დან როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში ვრცელდება. Н. П. Кондаков. Иконография Богоматери. Т. II. Петроград. 1915, გვ. 357-370, ილ. 208.

³⁶ The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era. A. D. 843-1261. ed. by H. Evans and W. D. Wixom. New York. 1997, გვ. 474-475. ილ. 312. Ю. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 168.

³⁷ ე. პრივალოვა. ტიმოთესუნის მონასტრული ხატის აღწერა. თბ. 1980, ტაბ. XXVI.

³⁸ წილკნის ღვთისმშობლის ხატის ფერადი ფოტო ილუსტრირებულია კატალოგში: საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურები. თბ. 2009, გვ. 60.

ზებთან ერთად, ქართველი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული. თუმცა, არც აქ არის ნახსენები, თუ რომელ ქართულ ძეგლს ამკობდა იგი.

ვეფქრობთ, რომ დასახელებულ პუბლიკაციებში მინანქრების წარმომავლობის შესახებ არსებული განსხვავებები ადვილად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ აარდეს თავი გ. ჩუბინაშვილმა და შ. ამრანაშვილმა თავიანთ ნაშრომებში სახარების ზუსტ იდენტიფიკაციას. ცხადია, ერთსა და იმავე ძეგლზე სხვადასხვა პუბლიკაციაში ერთი და იმავე ავტორის მიერ მოწოდებული ასეთი განსხვავებული ინფორმაციები ძნელად დასამოწმებელი არგუმენტი იქნებოდა სახარების წარმომავლობისა თუ მინანქრების რომელიმე კონკრეტულ ძეგლზე მიკუთვნებულობისათვის.

თუკი ჩვენ სამივე პუბლიკაციაში მოყვანილ ცნობებს შევაჯერებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნ. კონდაკოვისა და ბაქრაძის ვიზიტისათვის, XIX ს-ის 80-იანი წლების მიწურულს, მინანქრები უკვე გატანილია გელათის მონასტრიდან, ხოლო 1915 წელს ისინი ჯერ კიდევ პეტერბურგში, ი. ბალაშოვის კოლექციაში ინახება. საინტერესოა, რა მოხდა ამ თარიღებს შორის და როგორ მოხვდა მინანქრები ი. ბალაშოვის კოლექციაში?

როგორც ზემოთ აღინიშნა, გ. ჩუბინაშვილის ცნობითაც, ჩვენი მინანქრები XIX ს-ის 80-იან წლებში გაიტანეს გელათის მონასტრიდან. ამავე დროს, კონდაკოვ/ბაქრაძის გელათის მონასტერში ვიზიტის დროისათვის, 1889 წელს, სახარების ყდა უკვე გამოცვლილია საზიკოვის სახელოსნოში დამზადებული რუსული ყდით. რამდენადაც ნ. კონდაკოვის ნაშრომი ზვენიგოროდსკის მინანქრის კოლექციის შესახებ 1892 წლით თარიღდება, ისიც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვარძიის სახარების მინანქრები ბალაშოვს უკვე შეძენილი აქვს ამ დროისათვის. საინტერესოა, რამდენადაა შესაძლებელი მინანქრებით შემკობილი სახარების ყდის გელათის მონასტრიდან გატანის თარიღის დაზუსტება და რა კავშირი აქვს ამ ფაქტთან თავად ი. ბალაშოვს?

როგორც ცნობილია, XIX ს-ის II ნახევარში ქართული ეკლესია-მონასტრები და მათ შორის გელათის მონასტერიც, არაერთხელ გაიძარცვა. განსაკუთრებით დრამატულია 1859 წელს მომხდარი ხაზულის კარედის გაძარცვა, რომლის დროსაც ხატის შემამკობელი ძვირფასეულობა პირდაპირ მოაგლიჯეს კარედიდან, მისი ნაწილები კი მძარცველების მიერ სიჩქარის გამო, ეზომიც კი ნახეს მეორე დღეს მიმობნეული. ძარცვის ამ ფაქტში მთავარი ბრალი კავკასიის მთავრამართებლის ადიუტანტ, შემდგომში (1867-1874 წლებში), ქუთაისის გუბერნატორ გრაფ ვ. ლევაშოვს ედებოდა, თუმცა, ბოლო

კვლევებით, ეს ფაქტი არ დასტურდება.³⁹ როგორც ზემოთ აღინიშნა, მასვე ბრალდებოდა მონასტრის სხვა საგანძურის დაკარგვაც, რომელთა შორის სახელდებოდა სახარება, რომლის ყდასაც ღვთისმშობლისა და წმ. დემეტრეს მინანქრები ამკობდა. როგორც ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საარქივო ფოტოდან შეიძლება დავასკვნათ, ა. როინაშვილს, ღვთისმშობლის მინანქრის ფოტო სახარებიდან მინანქრებიანი ყდის მოხსნის შემდეგ უნდა გადაეღო, რამდენადაც ფოტოზე აშკარად ჩანს, რომ ორნამენტულ ჩარჩოში ჩასმული მინანქარი ყდის ამ ნაწილთან ერთად უკვე განცალკევებულია სახარებიდან (სურ. 1). როგორც აღვნიშნეთ, მუზეუმის არქივში, ღვთისმშობლის მინანქრის ფოტოსთან ერთად, ხახულის კარედის ფრაგმენტების ფოტოებიცაა დაცული, რომლებიც მათი ჩარჩოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასევე ა. როინაშვილის გადაღებულია. რამდენადაც ა. როინაშვილი 1898 წელს გარდაიცვალა, მას ხახულის კარედის ფრაგმენტების გადაღება მხოლოდ გელათის მონასტერში შეეძლო, რადგან კარედი ჯერ კიდევ მონასტერში იყო დაცული.⁴⁰ აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვარძიის სახარების მინანქრების ფოტოებიც იქვე, გელათის მონასტერშია მის მიერ გადაღებული, მას შემდეგ რაც სახარების ყდა უკვე გამოცვლილია.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, სახარების ყდის შეცვლა რუსული ყდით ძალიან ოსტატურად განხორციელდა, რამაც თავად სახარება დაზიანებას გადაარჩინა. ეს ფაქტი უდავოდ მოწმობს, რომ მძარცველებს კარგად ესმოდათ მისი ღირებულება და მნიშვნელობა. ძარცვაში ბრალდებულ პირთა შორის, გრაფ ლევაშოვის გარდა, რუსი ფოტგორაფი ი. საბინ-გუსიც სახელდებოდა. ასევე საეჭვო რეპუტაციის ადგილობრივი ექზარხი პალადი, რომელმაც გასცა ნებართვა სიძველეთა ფიქსაციისა და ყდების გამოცვლისათვის.⁴¹ ზოგიერთი პუბლიკაცია თავად ა. როინაშვილსაც ასახელებს, რამდენადაც როგორც ი. საბინ-გუსს, ასევე ა. როინაშვილსაც უდავოდ ნანახი ჰქონდათ

³⁹ როგორც უახლესი პუბლიკაციებიდან ირკვევა, ხახულის კარედის გაძარცვის მომენტისათვის გრაფი ლევაშოვი ჯერ კიდევ არ იყოფებოდა საქართველოში. იხ. მ. კეზევაძე, ხახულის ხატის გაძარცვის საიდუმლოება. გელათის მონასტრის 1859 წლის 18 მაისის გაძარცვა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 3. 2006, გვ. 3-20.

⁴⁰ ხახულის კარედი 1952 წელს გადმოიტანეს გელათის მონასტრიდან საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. შ. ამირანაშვილი. ხახულის კარედი. თბ. 1972, გვ. 1.

⁴¹ ეს ფაქტი სწორედ ნ. კონდაკოვმა 1889 წელს, საქართველოში მოგზაურობისას აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ შემდგომში, მინანქრებით ვაჭრობისას, ა. ზენიფიგოროდსკი ხშირად იყენებდა ამ ნებართვას მინანქრების წარმომავლობის ლეგიტიმურობის დასამოწმებლად. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероангелия из Вардзии, გვ. 142.

გელათის მონასტერში ვარძიის სახარება და ამავე დროს, ორივეს სახელი დაკავშირებული იყო საეკვო წარმომავლობის ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობასთან რუსეთში.⁴² იქნებ სწორედ ამიტომ არ ასახელებს გ. ჩუბინაშვილი ა. როინაშვილს ფოტოების ავტორად და ხაზს უსვამს, რომ ჩვენი სახარების მინანქრები დ. ერმაკოვის ფოტოებიდან გახდა ცნობილი? ამ კონტექსტში ისევ ამოტივტივდება ზემოთ ხსენებული ანონიმი ქართველი ფოტოგრაფის ვინაობა, რომელმაც პირველმა მიიღო ნებართვა ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცული შუა საუკუნეების ხელნაწერების ყდების ახალი რუსული ყდებით გამოცვლის შესახებ. ვინ უნდა ყოფილიყო ეს პიროვნება?

ისევ ვარძიის სახარების მინანქრებიანი ყდის გელათის მონასტრიდან გატანის თარიღს თუ დაუზღუბლებით, ჩვენს ხელთ არსებული ბოლო მონაცემები საშუალებას გვაძლევს, უფრო დავაზუსტოთ ეს თარიღი. როგორც უკვე ვიცით, ვარძიის სახარების მინანქრებიანი ყდა XIX ს-ის რუსული, იუველიერ ი. საზიკოვის სახელოსნოში დამზადებული ყდით შეიცვალა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ახლახან გამოცემულ ალბომში, რომელიც ქართული ხელნაწერების ჭედურ ყდებს ეხება, მოცემულია ცნობები იმ დამღების შესახებ, რომლებიც ამ ყდებზეა გამოვლენილი. როგორც აღმოჩნდა, ერთადერთი ქართული ხელნაწერის ყდა, რომელსაც საზიკოვის დამღა აქვს, სწორედ ვარძიის სახარების ყდაა და მას თარიღიც ახლავს – 1871 წელი.⁴³ აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი მინანქრები 1871 წლის ახლო ხანებშია გატანილი გელათის მონასტრიდან. აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზეც, რომ ვარძიის სახარების რუსული ყდის ოსტატი საზიკოვი სწორედ ის ოსტატია, რომლის სახელოსნოშიც დამზადდა ხახულის კარედის ღვთისმშობლის მინანქარში შესრულებული ხატის შემცველი, ვერცხლის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც გაძარცვის შემდეგ ღვთისმშობლის მინანქრის ფრაგმენტების დაბრუნებამდე იყო კარედში ჩასმული. საინტერესოა, რომ მასაც ახლავს საზიკოვის სახელოსნოს დამღა, რომლითაც ამ ვერცხლის ხატის დამზადების თარიღი დგინდება – 1864 წ.⁴⁴

⁴² კერძოდ, ცნობილია, რომ 1887 წელს მოსკოვში „კავკასიური მუზეუმის“ წარდგენის შემდეგ, ა. როინაშვილმა ამ მუზეუმის კოლექციების ნაწილი ა. ბობრინსკის მიჰყიდა, რომელთა შორის საეკვო წარმოშობის ნივთებიც იყო, რაც განიხილეს კიდევ მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე. ამ საკითხებზე А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 174, შენ. 33.

⁴³ ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები, გვ. 17, ილ. 52-53.

⁴⁴ რ. ყენია. ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭვიდილობა, გვ. 32, 33, შენიშვნა 98.

ამკარაა, რომ ხახულის კარედის 1959 წლის ძარცვის შემდეგ მომდევნო ოპერაცია გელათის სიწმინდეების გასაქურდად, უფრო დახვეწილი და კარგად ორგანიზებული გეგმით მომზადდა და, როგორც აღინიშნა, სახარების ყდა ფრთხილად შეიცვალა, სპეციალურად ამ მიზნით წინასწარ მომზადებული რუსული ყდით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საზიკოვის სახელოსნოს დამლა მხოლოდ ორ, განსაკუთრებული ღირებულების ქართულ ძეგლზე – ხახულის კარედსა და ვარძიის სახარებაზეა დადასტურებული. ხომ არ უნდა ვიგულისხმობთ, რომ ამ ორი ძეგლის გაძარცვის ოპერაცია ერთი და იმავე ჯგუფის მიერ განხორციელდა, კარედის შემთხვევაში საკმაოდ მოუშვადებლად, სახარების ყდის გატანისას კი უკვე ზუსტად გააზრებული გეგმით? იქნებ სწორედ კვალის დაფარვისა და ყურადღების გადატანის მიზნით დააწერეს ა. როინაშვილის ფოტოს ხახულის სახარების ყდა? ფოტოს გადაძებეს ხომ უდავოდ უნდა სცოდნოდა, რომელ სახარებას აფორმებდა ეს ყდა? ასევე საინტერესოა, რამდენად იყო ამ მოვლენებთან დაკავშირებული თავად ი. ბალაშოვი? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ამჯერად პეტერბურგში უნდა გადავინაცვლოთ და თვალი გავადევნოთ ვარძიის სახარების მინანქრებიანი ყდის ისტორიას 1892 წლის, ანუ ზვენიგოროდსკის მინანქრის კოლექციის პუბლიკაციის შემდგომ, უკვე რუსეთში.

როგორც აღმოჩნდა, ზვენიგოროდსკის კოლექციის ექსკლუზიურმა გამოცემამ დ იმ ფაქტმა, რომ ვარძიის სახარების ღვთისმშობლისა და წმ. დემეტრეს მინანქრები ამ წიგნის სატიტულო ყდაზე იქნა ილუსტრირებული, მთლამი მუზეუმებისა და კოლექციონერების დიდი ინტერესი გააჩინა. უკვე 1897 წელს მინანქრები ჩაერთო პეტერბურგის საიმპერატორო მუზეუმის ექსპოზიციაში, 1898 წელს არქეოლოგიური ინსტიტუტის ექსპოზიციაში, ხოლო 1915 წელს კი ბარონ შტიგლიცის მიერ პეტერბურგში დაარსებული ტექნიკური ხატვის ცენტრალური სასწავლებლის მუზეუმის საგამოფენო ექსპოზიციაში. სამივე შემთხვევაში საგამოფენო საინვენტარო მასალებში მითითებულია, რომ მინანქრები ი. ბალაშოვის კოლექციიდან არის.⁴⁵ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მინანქრები თავიდანვე ი. ბალაშოვთან მოხვდა ქუთაისიდან, უკვე XIX ს. 80-იან წლებში, შესაძლოა, მესამე პირის, გრაფ ლევაშოვის თანამონაწილეობით ან თავად ბალაშოვის კავშირით ძარცვის ორგანიზატორებთან.⁴⁶

⁴⁵ А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 175, შენ. 42, 43.

⁴⁶ А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 143.

ცხადია, რომ ამ გამოფენებისადმი სპეციალისტთა და ანტიკვარების დიდი ინტერესის გამო, საექსპოზიციო დარბაზებში ნივთების არაერთი ფოტო იქნებოდა გადაღებული. ამიტომ შესაძლებელია დაგუშვათ, რომ მინანქრების ფოტოები მხოლოდ ა. როინაშვილს არ გადაუღია გელათის მონასტერში და არსებობდა მათი პეტერბურგში დაფიქსირებული ვერსიებიც.⁴⁷

შემდეგი დოკუმენტური ცნობა ი.ბალაშოვის კოლექციასთან დაკავშირებით, რომელიც კონკრეტულად ვარძიის სახარების ყდის მინანქრებს ეხება, დაცულია 1917 წლის 6 ნოემბრით დათარიღებულ რუსი ანტიკვარის, მ. სავოსტინის წერილში მოსკოველი ანტიკვარის, ი. ოსტროუხოვისადმი.⁴⁸ რო-

⁴⁷ ა. როინაშვილი ბოლო ორ გამოფენას ვერ მოესწრო, რადგან იგი 1898 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ამ დროს ცოცხალი იყო დ. ერმაკოვი, რომელიც 1916 წელს გარდაიცვალა. მას უთუოდ ექნებოდა ინფორმაცია პეტერბურგის გამოფენებსა და იქ წარდგენილი ქართული ნივთების შესახებ, განსაკუთრებით ბოლო გამოფენაზე, რადგან ი. სტრაუშე, იმჟამად საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, სადაც როინაშვილის გადაღებული ღვთისმშობლის მინანქრის ფოტო ინახება, სწორედ ბარონ შტიგლიცის სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო და, ცხადია, აქტიური ურთიერთობა ჰქონდა თავის სასწავლებელთან. არც ის უნდა გამოვრცხობთ, რომ ერმაკოვსაც შეეძლო გადაეღო ეს ნივთები. ამ რაკურსითაც შეიძლება თითქოს აიხსნას, თუ რატომ იმოწმებს ჩუბინაშვილი ზაზგასმით ერმაკოვის და არა როინაშვილის ფოტოებს. თუმცა, როგორც რუსი მკვლევარი ი. პიატნიცკი მიუთითებს, პეტერბურგის ერმიტაჟში ინახება ქართული ფოტოების ალბომი, რომელთა შორის არის ვარძიის სახარების ყდის ფოტოებიც, დამზადებული დ. ერმაკოვის ნეგატივებიდან. ეს ალბომი, 1888 წლით არის დათარიღებული, მაგრამ ავტორის მითითებით, მასში უფრო ადრეული თარიღის ნეგატივებიც არის ჩართული. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 176, შენ. 58. ამ შემთხვევაში კი უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფოტოები ა. როინაშვილის გადაღებულია, რომლებიც შემდეგ ერმაკოვს გადაეცა სხვა ფოტონეგატივებთან ერთად საკუთრებაში. საინტერესოა, რომ პიატნიცკის პუბლიკაციაში გვხვდება უკვე 1915 წლით დათარიღებული ღვთისმშობლისა და წმ. დემეტრეს მინანქრების ფოტოებიც (ილ. 20, 21), უკვე ორნამენტული მონარჩოების გარეშე. სავარაუდოდ, ეს ფოტოები უკვე პეტერბურგშია გადაღებული, მას შემდეგ, რაც მინანქრები რუსეთში აღმოჩნდა და ყდისა და მისი ორნამენტული დეკორისაგან იქნა განცალკევებული.

⁴⁸ პირველი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის მინანქრების შესახებ უკვე ი. ბალაშოვის კოლექციაში, არის 1909 წლის პეტერბურგის სპეციალური სხდომის ჩანაწერი, რომელზეც განიხილებოდა ა. ზენინგოროდსკის მინანქრის კოლექცია და მისი საეჭვო წარმომავლობა. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, 9 მაისის სხდომაზე ნ. კონდაკოვმა წამოჭრა საკითხი ამ კოლექციის კრიმინალურ წარმომავლობაზე და აღნიშნა, რომ როგორც ამ კონკრეტული, ისე სხვა რუსულ კოლექციებში არსებული მინანქრების უმეტესობა ნამარცხია საქართველოდან და აუცილებელია მათი დაბრუნება კანონიერი მფლობელისთვის – ქართული ეკლესიისათვის. იგივე საკითხი დაისვა ა. ბობრინსკისა და ი. ბალაშოვის კოლექციებთან დაკავშირებითაც. აღნიშნული კოლექციონერებიდან მხოლოდ ა. ბობრინსკი იყო თანაშა დაებრუნებინა ნივთები საქართველოსთვის, იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ადგილზე სათანადოდ დაცული იქნებოდა. ი. ბალაშოვის კოლექციის შესახებ კი ითქვა, რომ მან უკვე უნადერმა თავისი კოლექცია ნატიფი ხელოვნების საიმპერატორო საზოგადოებას (თუმცა, როგორც აღმოჩნდა,

გორც წერილის ავტორი ადრესატს უზიარებს, თავის კოლქციაში დაცული ორი ბიზანტიური მინანქრისათვის, რომლებზეც წმ. დემეტრესა და ღვთისმშობლის გამოსახულებებია, ი. ბალაშოვმა მას საფასურად ნახევარი მილიონი ფრანკი (!) მოსთხოვა და აცნობა, რომ ეს მინანქრები მას გაუცვალეს გელათის მონასტრის სახარებისთვის დამზადებულ ახალ ყდაში.⁴⁹ როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტით ცხადი ხდება, თუ როგორ მოხვდა ჩვენი მინანქრები რუსეთის იმპერიის სამეფო კარის კამერგერთან და ცნობილ კოლექციონერთან, ი. ბალაშოვთან. აქვე, ისიც დასტურდება, რომ მინანქრები 1917 წლისთვის ჯერ კიდევ პეტერბურგშია. უკვე 1925 წელს კი დ. გორდეევის პუბლიკაციაში: «Материалы к обследованию гелатских древностей», მითითებულია, რომ მისი ინფორმაციით, მინანქრები წმ. დემეტრესა და ღვთისმშობლის გამოსახულებით ბალაშოვის კოლექციიდან უკვე გატანილია საზღვარგარეთ.⁵⁰ ი. ბალაშოვი 1919 წელს გრადაიცვალა და, მისი ანდერძის მიხედვით, მინანქრები ნატიფი ხელოვნების საიმპერატორო საზოგადოებას (როგორც მოგვიანებით დაზუსტდა, საიმპერატორო ერმიტაჟს) უნდა გადასცემოდა, თუმცა მინანქრები არც საზოგადოებისა და არც ერმიტაჟის კოლექციებში არ მოხვდა, რადგან ისინი არალეგლურად გაიტანეს რუსეთიდან 1921 წელს. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ კიდევ შევეხებით, თუმცა მანამდე ისევ ჩვენს მინანქრებს დაუბრუნდეთ, რომელთა შესახებაც შემდეგ ცნობას, უკვე 1931 წელს ვხვდებით, პარიზის ცნობილი ბიზანტიური გამოფენის კონტექსტში.

მას ეს ნივთები საიმპერატორო ერმიტაჟისთვის უნდა გადაეცა). სწორედ ამ სხდომაზე სამხატვრო აკადემიის წევრმა და არცთუ ისე სახარბიელო რეპუტაციის მქონე მ. ბოტკინმა განაცხადა, რომ ბალაშოვის კოლექციაში დაცული მინანქრები, ასევე, ნაძარცვია საქართველოდან და ქუთაისიდან გრაფ ლევაშოვმა გაიტანა. ძნელი სათქმელია, რამდენად სარწმუნო და ზუსტია ბოტკინის ცნობა, რადგან ცნობილია, რომ თავად ბოტკინიც არ იყო დაინტერესებული კოლექციების თვდაპირველი მფლობელებისადმი დაბრუნებით და, უფრო მეტიც, ხშირად სწორედ მას ადანაშაულებდნენ სიძველეთა ძარცვის ორგანიზებაში ფოტოგრაფ ი. საბინ-გუსთან ერთად. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ, 175, შენ. 45. როგორც ჩანს, სწორედ ბოტკინის ამ ცნობას ეყრდნობა შ. ამირანაშვილი, როდესაც სახარების გელათიდან გატანაში გრაფ ლევაშოვს ადანაშაულებს

⁴⁹ Ю. А. Пятницкий. Из истории антикварного рынка России в предреволюционные и послереволюционные годы: Михаил Михайлович Савостин, Studii de Muzeologie. Volum dedicat aniversarii a XXX-a Muzeului National de Istorie (II). Cishinau. 2013, გვ. 185.

⁵⁰ Д. Гордеев, Материалы к обследованию гелатских древностей, საისტორიო მოამბე. თბ. 1925, გვ. 129, შენ. 11. საინტერესოა, რომ დ. გორდეევიც აღნიშნავს, რომ სწორედ დ. ერმაკოვის ფოტოებია პირველწყარო, რომელთა საშუალებითაც გახდა ცნობილი წმ. დემეტრესა და ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მინანქრები, რომლებიც ი. ბალაშოვის კოლექციაში ინახებოდა და ორჯერ გამოიცა კონდაკოვის მიერ.

თუმცა, ვიდრე კონკრეტულად ამ ბიზანტიურ გამოფენას შევეხებით, მისი მნიშვნელობის გამოსაკვეთად, მცირე ხნით 1931 წლის პარიზის კულტურულ სივრცეში უნდა გადაინაცვლოთ, სადაც 6 მაისს, ქალაქის გარეუბანში, ცნობილ Bois de Vincennes პარკში, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის გამოფენა გაიხსნა სახელწოდებით: „კოლონიალური ხელოვნება,“ რომელიც 6 თვეს გრძელდებოდა და უპრეცედენტო რაოდენობის, თითქმის 9 მილიონამდე მნახველი ჰყავდა. გამოფენას დიდი საერთაშორისო კონტექსტი ჰქონდა იმ მოვლენებიდან გამომდინარე, რომლებიც ამ პერიოდის ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ჩნდება. 1930 წლიდან იწყება ძირეული ცვლილებები საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ ცხოვრებაში. 20-30-იანი წლების NEP-ის ლიბერალური ექსპერიმენტები ხელოვნებაში სოციალური რეალიზმითა და სტალინის კულტის პროპაგანდით იცვლება. უკვე ახლოვდება ადოლფ ჰიტლერის მოსვლა გერმანიის ხელისუფლების სათავეში. მანამდე კი განსაკუთრებულად იძაბება ურთიერთობა საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებს შორის, რადგან გერმანელები მკვეთრად აკრიტიკებენ ფრანგების კოლონიალურ პოლიტიკას. სწორედ ამ კრიტიკის პასუხად იხსნება პარიზის გამოფენა, რომლის მთავარი მიზანი იყო, რაც შეიძლება პოზიტიურად წარმოეჩინა საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკა, უმთავრესად, როგორც კულტურათა ურთიერთკავშირისა და დიალოგის დამადასტურებელი ვიზუალური დოკუმენტი. გამოფენის ექსპოზიცია ძალზე შთამბეჭდავი იყო, რადგან ღია ცის ქვეშ გაშლილ უზარმაზარ საგამოფენო სივრცეში საფრანგეთის სხვადასხვა კოლონიის არქიტექტურის ამსახველი, ორიგინალის ზომის დეკორაციები აიგო. ამ გამოფენას უდიდესი რეზონანსი მოჰყვა მსოფლიო პრესაში, რასაც ადასტურებს გამოფენისადმი სპეციალურად მიძღვნილი 100-მდე კონგრესი და 3000-მდე რეპორტაჟი, რომელთა მთავარი სადისკუსიო თემა კოლონიალიზმი და მისი პოლიტიკური-ისტორიული და კულტურული შედეგები იყო. ამ პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოფენას არაერთი ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო პირი სტუმრობდა.⁵¹

და აი, ასეთ ფონზე, კოლონიალური გამოფენის გახსნიდან რამდენიმე კვირაში, 1931 წლის 28 მაისს, პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში, მსოფლიოში სიდიდით პირველი, ბიზანტიური ხელოვნებისა და კულტურის გამოფენა გაიხსნა, რომელიც 9 ივლისამდე გაგრძელდა. საგამოფენო

⁵¹ C. Hodeir. 1931, l'exposition colonial. Paris: Editions Complexe. 1991.

კომიტეტის პრეზიდენტი ცნობილი ბიზანტიოლოგი შარლ დილი იყო. გამოფენის ორგანიზატორთა შორის კი იყვნენ: ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე, ჰენრი მატისის სიძე და მხატვრის შემოქმედების აღიარებული ექსპერტი ჟ. დუტუი, ამერიკელი დიპლომატი, ბანკირი და სიძველეთა მცოდნე რ. ტაილერი და ამერიკელი დიპლომატი და შეერთებული შტატების საგარეო უწყების თანამშრომელი, შემდგომში ჰარვარდის უნივერსიტეტის დუმბარტონ ოქსის ცნობილი სამცნიერო ცენტრისა და მუზეუმის დამაარსებელი რ. ბლისი მეუღლითურთ.⁵² როგორც აღმოჩნდა, ორგანიზატორებმა სწორი გათვლა გააკეთეს და პარიზის მსოფლიო ყურადღების ცენტრში ყოფნამ ბიზანტიურ გამოფენაზეც დიდი გავლენა იქონია.

გამოფენას, რომლის ექსპოზიციაშიც 750-მდე ბიზანტიური ხელოვნების ნიმუში იყო ჩართული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებისა და კერძო კოლექციებიდან, სენსაციური წარმატება ხვდა წილად და თითქმის მილიონამდე მნახველი ესტუმრა, რამაც ბიზანტიური ხელოვნებისადმი ანტიკვარის მოყვარულთა და ამერიკელი კოლექციონერების არნახული ინტერესი გამოიწვია. მნახველთა განსაკუთრებულ ფოკუსში გამოფენაზე ექსპონირებული ტიხრული მინანქრების ნიმუშები მოხვდა, რომელთა უმრავლესობა ზვენიგოროდსკისა და ბოტკინის კერძო კოლექციებიდან იყო ცნობილი და საქართველოდან არალეგალურად გატანილი.⁵³ ამ მინანქრების უმეტესობა პარი-

⁵² Exposition Internationale d'art Byzantine. Paris, Musée des Arts decoratifs. Paris. 1931.

⁵³ დასავლურ სამცნიერო ლიტერატურაში 1931 წლის ბიზანტიური გამოფენის ასეთი მოულოდნელი წარმატება, უმეტესად, სწორედ პარიზული ანტიკვარული ბაზრისა და ამერიკელი კოლექციონერების შუა საუკუნეების, განსაკუთრებით კი, ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებისადმი გაზრდილი ინტერესის კონტექსტშია გაანალიზებული (იხ. R. Nelson. "Royal Tyler and the Bliss Collection of Byzantine Art." in James N. Carder, ed., A Home of the Humanities: the Collecting and Patronage of Mildred and Robert Woods Bliss. Washington, DC. Dumbarton Oaks Research Library and Collection. 2010, გვ. 27-50). რასაკვირველია, ეს ფაქტორი, მართლაც, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ პროცესში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ინტერესს ამ პერიოდის პარიზული მოდის ინდუსტრიაც არანაკლებ უწყობდა ხელს. სწორედ ამ დროს გამოდის ცნობილი ფრანგი დიზაინერის, კოკო შანელის, ბიზანტიური ხელოვნებით ინსპირირებული სამკაულის პირველი ნიმუშები. თუმცა „კოლონიალური გამოფენის“ მკაფიო პოლიტიკური კონტექსტი, ბიზანტიური გამოფენის სენსაციური წარმატების უფრო ფართო რაკურსში გაანალიზებას მოითხოვს, რადგანაც ექსპოზიციაზე წარდგენილი ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებიდან, დამოვალიერებელთა განსაკუთრებულ ფოკუსში, საქართველოდან არალეგალურად გატანილი და რუსი კოლექციონერების მიერ წარდგენილი „ბიზანტიური“ ტიხრული მინანქრები ხვდება. ეს იმ დროს, როდესაც წარმოშობით ქართველი, ისტალინი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურია, საქართველოდან ბოლშევიკებისაგან დასაცავად გატანილი საგანძური საფრანგეთშია, ხოლო ბიზანტიური გამოფენის ორგანიზატორთა შორის რამდენიმე ამერიკის საგარეო უწყების თანამშრომელია.

ზის გამოფენაზე გერმანიიდან მოხვდა, სადაც ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ კოლექციათა ნაციონალიზაციის გვერდის ავლით, სხვადასხვა მაქინაციებით აღმოჩნდა და გაიყიდა ბერლინის ანიტკვარულ ბაზარზე.⁵⁴ პარიზული გამოფენის ექსპონატთა შორის აღმოჩნდა ვარძიის სახარების ყდის ორივე მინანქარიც, წმ. დემეტრესა და ღვთისმშობლის გამოსახულებით. სამწუხაროდ, მათი ეს მსოფლიო პრემიერა პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, როდესაც ქართული სახარების შემამკობელი ეს ორი მინანქარი, ერთად იყო ექსპონირებული მსოფლიო მნიშვნელობის გამოფენაზე. როგორც გამოფენის მასალებიდან ირკვევა, ღვთისმშობლის მინანქრიანი ფირფიტა გამოფენაზე ბელგიელმა კოლექციონერმა, ა. სტოკლემ, წმ. დემეტრეს ფირფიტა კი ბერლინის მუზეუმმა წარადგინა.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ვარძიის სახარების ყდის ორივე მინანქარი, თოთქოსდა, რუსეთის მოშიმშილეთა დასახმარებლად მოწყობილ აუქციონზე გასაყიდად მოხვდა ბერლინში. თუმცა, მინანქრები აუქციონზე არ გაუტანიათ, რადგან ისინი, როგორც ჩანს, შენახული ჰქონდათ სარფიანი მყიდველების გამოჩენამდე, რომელთაც, ცხადია, საკმაოდ მაღალი საფასური გადაიხადეს მათ შესაძენად.⁵⁵ ერთ-ერთი ასეთი მყიდველი აღმოჩნდა ბელგიელი კოლექციონერი ა. სტოკლე, რომელმაც ღვთისმშობლის მინანქრიანი ფირფიტა შეისყიდა.⁵⁶ რაც შეეხება წმ. დემეტრეს მინანქარს, იგი ბერლინის სასახლის მუზეუმმა (Schlossmuseum) შეიძინა 1927 წლის 30 მაისს, ბერლინის ცნობილი ანიტკვარული სახლის Heilbronner & Goldschmidt-ისგან.⁵⁷

⁵⁴ Ю. А. Пятницкий. Из истории антикварного рынка России в предреволюционные и послереволюционные годы, გვ. 182-186.

⁵⁵ А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 145.

⁵⁶ ა. სტოკლე (1871-1949) ბელგიელი ინჟინერი, ბანკირი და კოლექციონერი იყო, რომელიც დაქორწინებული იყო ცნობილი ხელოვნებათმცოდნის, კოლექციონერისა და ანიტკვარის, არტურ სტივენსის (1825-1956) ქალიშვილზე. მეუღლის ოჯახის გავლენით, სტოკლე XX ს-ის დასაწყისის პარიზისა და ვენის ავანგარდული ხელოვნების მოღვაწეთა წრეში აღმოჩნდა. ვენაში ყოფნისას წყვილმა „იუგენდსტილის“ ცნობილი არქიტექტორი, ი. პოფმანი გაიცნო, რომელსაც დაუკვეთეს თავისი სასახლის პროექტი ბრუსელში. ეს სასახლე, სადაც სტოკლეს ეკლექტური კოლექცია ინახებოდა, თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი, ასევე ეკლექტური არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაა ცნობილი და 2009 წელს, UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიტანეს. სასახლის არქიტექტურა და დიზაინი განსაკუთრებით პოპულარული, სასაფილო ოთახისათვის სპეციალურად შესრულებული, გუსტავ კლიმტის ფრიზის გამოც გახდა, რომელიც ამჟამად ვენის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში ინახება. სასახლისა და ფრიზის სტილის შესატყვისი იყო სტოკლეს კოლექციაც, სადაც ეკვიპტური, ჩინური, იაპონური და სხვა ხელოვნების ნიმუშებთან ერთად, ბიზანტიური რელიკვიები და მინანქრებიც ინახებოდა, მათ შორის იყო ვარძიის სახარების ღვთისმშობლის მინანქარიც.

⁵⁷ А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 145.

პარიზული გამოფენის შემდეგ, ღვთისმშობლის მინანქარი კვლავ სტოკ-ლეს სასახლეში ბრუნდება, თუმცა მას შემდეგ არცერთ გამოფენაში აღარ მონაწილეობს. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი იგი 1956 წელს დაიკარგა სტოკლეს სასახლიდან და შესაძლოა მიითვისა ერთ-ერთმა მემკვიდრემ ა. სტოკლეს გარდაცვალების (1949) შემდეგ დაწყებული ოჯახური დავის მიმდინარეობის პროცესში.⁵⁸ როგორც ჩანს, ეს ფაქტი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი არც გ. ჩუბინაშვილისა და არც შ. ამირანაშვილისათვის, რადგანაც 1959-1971 წლებში მათ მინანქარი კვლავ სტოკლეს კოლექციაში ეგულებათ.⁵⁹ სამწუხაროდ, ღვთისმშობლის აღარაფერია ცნობილი ღვთისმშობლის მინანქრის შემდგომი ბედის შესახებ.

თუკი ღვთისმშობლის მინანქრის ლორფინის კვალი პარიზული გამოფენის შემდეგ იკარგება, XX ს-ის 60-იანი წლებიდან წმ. დემეტრეს მინანქრის ლორფინი ტრიუმფალურ სვლას იწყებს მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებსა თუ საგამოფენო ცენტრებში, განსაკუთრებით ხშირად იგი ჩართული ბიზანტიისადმი მიძღვნილ გამოფენებში XX ს-ის 80-იანი წლებიდან, რაც გასაკვირი არაა, თუკი გავითვალსწინებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ ამ პერიოდში, მსოფლიო სამეცნიერო თუ საგამოფენო ობიექტივში კვლავ ბიზანტია და მისი ხელოვნება იძენს განსაკუთრებულ აქტუალურობას. წმ. დემეტრეს გამოსახულებიანი მინანქარი ჩაერთო ბიზანტიის ხელოვნებისა და კულტურისადმი მიძღვნილ ისეთ წარმატებულ საგამოფენო ექსპოზიციებში, როგორებიცაა 1982 წელს ბრიუსელის ხელოვნებისა და ისტორიის სამეფო მუზეუმის გამოფენა „ბიზანტიის ბრწყინვალეობა“ (Splendeur de Byzance) ბელგიაში, 1997 წლის ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის გამოფენა „ბიზანტიის დიდება“ (The Glory of Byzance) აშშ-ში, 2001 წლის თესალონიკის თეთრი კოშკის მუზეუმის გამოფენა: „ყოველდღიური ცხოვრება ბიზანტიაში“ (Everyday Life in Byzantium), საბერძნეთში, ხოლო 1998 წელს, გერმანიის ქალაქ ჰილდესჰაიმის კათედრალში წარდგენილი ცნობილი გამოფენის: „ბიზანტია: სურათთა ძალაუფლება“ (Byzanz: die Macht der Bilder) მიმდინარეობისას, წმ. დემეტრეს მინანქრის ლორფინი არათუ ჩართული იყო ექსპოზიციაში, არამედ გამოფენისადმი მიძღვნილი ამავე სახელწოდების კატალოგის ყდაზეც გამოიტანეს,

⁵⁸ Everyday Life in Byzantium. Exhibition catalogue. ed. by D. Papanikola-Bakirtzi. Athens. 2002, გვ. 506.

⁵⁹ გ. ჩუბინაშვილი. რკვევანი ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიისათვის. ტ. I, გვ. 617, შენ. 4. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 308.

როგორც გამოფენის სახელწოდების ყველაზე მკაფიო ილუსტრაცია.⁶⁰

წმ. დემეტრეს მინაქრის ლორფინისდამი ასეთი ინტერესი გასაკვირი არ არის, რადგანაც იგი ბიზანტიური ხელოვნების ერთ-ერთ შედევრად არის აღიარებული. ორანტის პოზით ხელაღმართული, ფერდოვან კვარცხლბეკზე, მუქ ცისფერ ტუნიკასა და ტაბლონიან მოსასხამში წარმოდგენილი წმინდანი, რომელსაც ზურმუხტისფერი შარავანდი ამკობს, მინაქრის ტექნიკური და მხატვრული სრულყოფილებით კონსტანტინეპოლის საიმპერატორო წრის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა რიცხვში განიხილება (სურ. 4). მიჩნეულია, რომ ამ გამოსახულების იკონოგრაფია თესალონიკის წმ. დემეტრეს სახელობის ეკლესიაში ჯერ კიდევ VII-VIII სს-ში ჩამოყალიბებულ სქემას მიჰყვება, რაც გასაკვირი არაა, რადგან გადმოცემით წმ. დემეტრეს ნეშტი სწორედ ამ ეკლესიაში იყო დაცული. ფერადოვანი კოლორიტითა და სტილით, წმ. დემეტრეს მინაქარი შედარებული იქნა ბიზანტიური ტიხრული მინაქრის ისეთ შედევრებთან, როგორებიცაა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055) XI ს-ის შუა ხანებში დამზადებული გვირგვინის მინა-

⁶⁰ Splendeur de Byzance ed. by J. Lafontaine-Dosogne (Catalogue de exposition: Nr. E. 3). Bruxelles. 1982; The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era. A. D. 843-1261 (Catalogue of the exhibition: Nr. 107); Everyday Life in Byzantium (Catalogue of the exhibition: Nr. 696); Die Macht der Bilder. Herasugegeben. von M Brandt and A. Effenberger (Katalog zur Ausstellung in Dom-Museum Hildesheim: Nr. 58). Hildesheim. 1998. როგორც ზემოთ დასახელებულ გამოფენებზეა აღნიშნული, წმ. დემეტრეს მინაქარი ბერლინის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმიდან არის წარდგენილი, რომელიც ბერლინის სამუზეუმო გაერთიანების ნაწილია (Kunstgewerbemuseum, Staatliche Museen zu Berlin Preussischer Kulturbesitz), თუმცა, ჩუბინაშვილ/ამირანაშვილთან მითითებულია, რომ მინაქარი ბერლინის სასახლის მუზეუმში შეიძინა XX ს-ის 20-იან წლებში. ეს განსხვავება ადვილად შეიძლება აიხსნას, თუკი ამ მუზეუმების ისტორიას გადავხედავთ. ბერლინის სასახლის მუზეუმი, რომელიც გერმანელ იმპერატორთა ისტორიულ რეზიდენციაში 1918 წელს გაიხსნა, მეორე მსოფლიო ომის დროს დაბომბვისგან დაზიანდა და 1950 წელს დეკონსტრუირებული იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. გერმანიის გაერთიანების შემდეგ გადაწყდა მისი აღდგენა, რომელიც ახლაც მიმდინარეობს. რაც შეეხება გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს, იგი ბერლინის ინდუსტრიული ხელოვნების მუზეუმის ბაზაზე, 1879 წელს დაარსდა, 1921 წელს კი კოლექციებთან ერთად ბერლინის სასახლის მუზეუმში გადაინაცვლა. მეორე მსოფლიო ომის დროს ამ კოლექციების ნაწილი დაზიანდა, ომის შემდეგ კი გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინის მუზეუმების კოლექციებად. დასავლეთ ბერლინის კოლექციები ჯერ ბერლინის შარლოტენბურგის სასახლეში გადავიდა, 1985 წელს კი კულტურფორუმის მუზეუმში, რომელიც დღეს, რეკონსტრუირებული სახით, ბერლინის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმია. ამდენად, ჩუბინაშვილ/ამირანაშვილის ცნობა მართებულია, რადგან ბერლინის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი წმ. დემეტრეს მინაქრის შექმნის დროისთვის სასახლის მუზეუმში იყო განთავსებული, ხოლო რამდენჯერმე ადგილმდებარეობის მონაცკელობის შემდეგ, უკვე საკუთარ შენობაში განთავსდა, საიდანაც მინაქარი მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმის დროებით საგამოფენო ექსპოზიციებში ჩასართავად.

ქრები⁶¹ და XII ს-ის სოლომონ და დავით წინასწარმეტყველების მინანქრის ლორფინები, ვენეციის ცნობილი პალა ღოროს შემკულობიდან. ამავე დროს, ვარძიის სახარების წმ. დემეტრეს მინანქრის შედარებამ X ს-ის მიწურულით დათარიღებულ ამავე წმინდანის გამოსახულებიან მინანქრის ენკოლპიონთან გერმანიის ჰალბერშტატის კათედრალიდან,⁶² საშუალება მისცა მკვლევრებს მეტი სიზუსტით განესაზღვრათ მისი შესრულების თარიღი, რომელიც დღეისათვის ტიხრული მინანქრის აღიარებულ სპეციალისტთა მიერ XI ს-ის პირველი ნახევრის ძეგლთა ჯგუფში თავსდება. თუმცა განსხვავებულია მოსაზრება მისი დამზადების ადგილის შესახებ.⁶³ მეცნიერთა ნაწილის აზრით, წმ. დემეტრეს ეს საუცხოო მინანქარი, რომელიც დღემდე მოღწეული ბიზანტიური ტიხრული მინანქრის უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნება, უფრო კონსტანტინეპოლის საიმპერატორო სახელოსნოში უნდა იყოს დამზადებული. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მინანქრის არც ქართული წარმომავლობაა მთლიანად გამორიცხული, თუმცა ამ კონტექსტში ხაზგასმულია, რომ მინანქრის ფერადოვანი გამა მას საკუთრივ ქართული ტიხრული მინანქრებისათვის დამახასიათებელი კოლორიტისგან განასხვავებს.⁶⁴

ქართულ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესოა, წმ. დემეტრეს გამოსახულების გარკვეული მსგავსება ჯუმათის წმ. გაბრიელის ხატის ერთ-ერთ მინანქრის მედალიონთან, ამავე წმინდანის გამოსახულებით, რომელიც ამჟამად ლუერშია დაცული და XI-XII სს-ით თარიღდება. თუმცა, როგორც ცნობილია, დღეისათვის, ჯუმათის წმ. გაბრიელის ხატის მინანქრებიც ბიზანტიურ ტიხრული მინანქრის ნიმუშებად და კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარის წრის ხელოვნების ძეგლებად განიხილება.⁶⁵

ჩვენ არ გავამახვილებდით ასეთ ყურადღებას წმ. დემეტრეს მინანქრის მნიშვნელობაზე, თარიღსა და წარმომავლობაზე, რომ არა ერთი უნიკალური

⁶¹ The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era, ილ. 145.

⁶² The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era, ილ. 108.

⁶³ მკვლევართა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის სიდიდით მეორე უმნიშვნელოვანეს ცენტრში – თესალონიკშიც არაერთი საუკეთესო ტიხრული მინანქრის ნიმუშია შექმნილი, ეს არ არის საკმარისი ამ შესანიშნავი ძეგლის თესალონიკური წარმომავლობის დასადგენად. მათი ვარაუდით, ვარძიის სახარების წმ. დემეტრეს მინანქრის ლორფინის შესრულების განსაკუთრებული მხატვრული და ტექნიკური სრულყოფილება უფრო კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარის სახელოსნოზე უნდა მიუთითებდეს. The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era, გვ. 160-161.

⁶⁴ The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era, გვ. 160-161.

⁶⁵ The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era, გვ. 160-146.

აღმოჩენა, რომელიც სულ ახლახან, 2015 წელს, გახდა ცნობილი ფართო სამეცნიერო წრეებისათვის, რუსი ბიზანტილოგის, ი. პიატნიცკის პუბლიკაციიდან, რომელიც პეტერბურგის ერმიტაჟის შრომების კრებულში დაიბეჭდა, ამავე კრებულის სატიტულო ყდაზე გამოტანილი ვარძიის სახარების ღვთისმშობლის ჩვენი მინანქრის ფოტოსთან ერთად.

როგორც ზემოთ აღვნიშეთ, დღემდე ერთ-ერთი პასუხგაუცემელი შეკითხვა იყო, თუ რა დაემართა თავად ვარძიის სახარების ყდას, რომელიც ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ორნამენტული დეკორით მორთული ჩარჩოებით იყო შემკული, რომელშიც ჩვენი მინანქრები იყო ჩასმული. როგორც საზღვარგარეთ გატანილი ვმ. დემეტრეს მინანქრის ფოტოებზე ვხედავთ, იგი უკვე აღარ არის ამ დეკორირებულ ჩარჩოში. საბედნიეროდ, 2001 წელს, ეს ყდა ი. პიატნიცკიმ აღმოაჩინა პეტერბურგის ერმიტაჟის სამეცნიერო ბიბლიოთეკის იშვიათ წიგნთა განყოფილებაში, სადაც იგი ძველი რუსული და დასავლეთ ევროპული ყდების კოლექციაში იყო ჩართული. მკვლევრის მიერ ყდის წარმომავლობის ამოცნობის შემდეგ იგი გადაეცა ერმიტაჟის აღმოსავლეთის ბიზანტიურ განყოფილებაში, სადაც იგი ამჟამადაა დაცული.

ახლად აღმოჩენილი ვარძიის სახარების ყდა ორი ხის დაფისაგან შედგება (სურ. 5, 6),⁶⁶ რომლის შიგა, ტყავის ყდის დეკორი, ამოტვიფრულ, წრეში ჩასმულ ხვეულ ორნამენტს წარმოადგენს, რომელიც კიდეებში სხვადასხვა ორნამენტით შემკული ჩარჩოებითაა შემოფარგლული. ეს ორნამენტაცია აშკარად უფრო ადრეულია და განსხვავდება ხის დაფის ოქროს ფირფიტების ორნამენტისაგან.⁶⁷ ვარძიის სახარების ყდის ამ ადრეული დეკორის ატრიბუცია სამომავლოდ სპეციალურ კვლევას მოითხოვს, თუმცა რამდენადაც ამ ფოტოებზე დაკვირვებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ეს ამოტვიფრული ორნამენტაცია ძალიან ჰგავს სინას მთის ვმ. ეკატერინეს მონასტრის იმ ქართულ ხელნაწერთა ყდების ორნამენტაციებს (Sin.Geor.26 და Sin.Geor. 32-57-33), რომლებსაც სინას მთის ცნობილ ქართველ მოღვაწეს, იოანე-ზოსიმეს, სახელს უკავშირებენ და X ს-ის ბოლო ათწლეულებით ათარიღებენ.⁶⁸

⁶⁶ თითოეული პანელის ზომაა – 26X20სმ.

⁶⁷ А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 147, 152.

⁶⁸ ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის შემკულობის შესახებ ამ პერიოდში იხ. მ. კარანაძე. ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბ. 2002, გვ. 9-16; მ. კარანაძე. X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერის ყდა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციიდან. მრავალთავი. 22. თბ. 2007, გვ. 346-350, ილ. 2, 4.

რამდენადაც ტყავის ყდა სახარების აკინძვის თანადროული უნდა იყოს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვარძიის სახარების ახლანდელი დათარიღება XII-XIII ს-ის დასაწყისით გადასახედია და ხელნაწერი X-XI ს-ის დასაწყისის ძეგლს შეიძლება წარმოადგენდეს, რომელიც მოგვიანებით, XII ს-ის მიწურულისთვის ჩაისვა ახალ ყდაში. შესაბამისად, შესაძლებელია იგი არაა წმ. ექვთიმე მთაწმინდელის სახარების ასლს, არამედ სწორედ მის კუთვნილ სახარებას წარმოადგენდეს.⁶⁹ ამ შემთხვევაში, წმ. ღემეტრეს მინანქარი, შესაძლოა, თავიდანვე, ამ სახარების თავდაპირველი ყდის დეკორში იყო ჩასმული.⁷⁰ როგორც ვკვიქსონი მიიჩნევს, ვარძიის სახარების პირველი ყდის დეკორი, წმ. ღემეტრეს მინანქრიანი გამოსახულებით, შესაძლოა ვენეციის მარციანას ნაციონალური ბიბლიოთეკის ბიზანტიური ხელნაწერის მინანქრებით გაფორმებული ყდის მსგავსი ყოფილიყო, რომელსაც ერთ მხარეს ქრისტე პანტოკრატორის, მეორეზე კი ღვთისმშობლის მინანქრების მსგავსი ფორმატის გამოსახულებები ამკობს.⁷¹ სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ღვთისმშობელის სრული ფიგურა ამ ხელნაწერის ყდის მინანქარზეც ორანტიის ქუსტით ხელაპყრობილია წარმოდგენილი.

თუ ჩვენი დაკვირვება მართებულია, ვარძიის სახარების ტყავის ამოტვიფრულ დეკორზე დაყრდნობით, შესაძლოა გამოითქვას ვარაუდი, რომ იგი სინას მთის ქართული სკრიპტორიუმიდან უნდა მოხვედრილიყო ათონის ივერთა მონასტერში, საიდანაც შესაძლოა ტაო-კლარჯეთის გავლით აღმოჩნდა თამარის სამეფო კარზე. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდებია და ამ საკითხის გასარკვევად ეს ხელნაწერი დარგის სპეციალისტების ლეტალურ დაკვირვებასა და ანალიზს მოითხოვს.

ის ფაქტი, რომ სახარების თავდაპირველი ყდა სწორედ XII ს-ის ბოლოს ან XIII ს-ის დასაწყისში უნდა შეემკოთ ახალი, ღვთისმშობლის მინანქრით შემკობილი ყდით, ხის დაფებზე მიმაგრებული ოქროს ორნამენტირებული ფირფიტების დეკორითაც დასტურდება (სურ. 5, 6).⁷² როგორც სტატიის

⁶⁹ А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 152.

⁷⁰ А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 166. ამ მოსაზრების არგუმენტად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ წმ. ღემეტრეს მინანქრიანი ფირფიტა, ღვთისმშობლის მინანქრიანი ფირფიტისაგან განსხვავებით, არ აკვებს ვარძიის სახარების მოგვიანებით შესრულებული ორნამენტური ოქროს ჩარჩოს მთლიან არეს.

⁷¹ The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era. გვ. 160-161, ილ. 41.

⁷² სახარების ყდის ხის თითოეული დაფა, ოთხ-ოთხი ოქროს ორნამენტირებული ფირფიტით იყო გაფორმებული. მათგან წმ. ღემეტრეს ჩარჩოს ერთ-ერთი ფირფიტა დაკარგულია, თუმცა

დასაწყისში აღინიშნა, სწორედ ამ ოქროს ფირფიტების ორნამენტაციაზე აქვს გამახვილებული ყურადღება გ. ჩუბინაშვილს ქართული ოქრომჭედლობისადმი მიძღვნილ ნაშრომში. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ფირფიტების ორნამენტი თავისი სტილითა და შესრულების მანერით ძალიან ახლოსაა XI-XII სს-ის ქართული ჭედური ძეგლების ორნამენტაციასთან, განსაკუთრებულ მსგავსებას კი ამჟღავნებს წმ. ანდრიას ხატის სამ შემორჩენილ ორნამენტულ ფრაგმენტთან, რომლებიც ზუსტად თარიღდება ხატის დამკვეთის აღმნიშვნელი წარწერით (სურ. 7).⁷³ აქ მოხსენიებულია XII ს-ის მიწურულის ქართული სამეფო კარის ცნობილი მოღვაწე, ერისთავთერისთავი და თამარის მეჭურჭლეთუხუცესი, აბულასანი. როგორც ცნობილია, სწორედ აბულასანის რჩევით ჩამოიყვანეს თამარს პირველ მეუღლედ, ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი, იური ანდრიას ძე საქართველოში. აბულასანის მოღვაწეობა, 1186-1191 წლებით შემოიფარგლება, რადგანაც თამარის რუსი მეუღლის განდევნის შემდეგ, მეფემ აბულასანი შერისხა და მას მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ჩამოართვა.⁷⁴ ვარძიის სახარების ყდისა და წმ. ანდრიას ხატის ჭედური ორნამენტის მსგავსება იმდენად დიდია, რომ, სავარაუდოდ, ეს ძეგლები ერთსა და იმავე სახელოსნოშია დამზადებული. შესაბამისად, ვარძიის სახარების მინანქრების ორნამენტული ჩარჩო სწორედ აბულასანის მოღვაწეობის ან მასთან ახლო წლებით შეიძლება დავათარილოთ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვარძიის სახარების ყდის XII საუკუნის მიწურულით დათარიღებული მეორე დეკორი თანხვედრაშია ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მინანქრის დათარიღებასთან, XII ს-ის მიწურულისა და XIII ს-ის დასაწყისით. ცხადია, ეს დამთხვევა შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს და ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ: როგორც ჩანს, სახარების მეორე ყდის დეკორის შემკობა სამეფო დაკვეთა უნდა ყოფი-

ერმიტაჟში დაცულ ფოტოზე ეს ფირფიტა ჯერ კიდევ ადგილზეა. პეტერბურგის ერმიტაჟის სამეცნიერო-რეკონსტრუქციული განყოფილებაში ჩატარებულმა ექსპერტიზამ გამოავლინა, რომ შვიდივე ოქროს ფირფიტის შემადგენლობა ერთნაირია და 80% ოქროს, 10-15% ვერცხლისა და 3-5% სპილენძისაგან შედგება. ამდენად, ეს ორნამენტული ჩარჩოები შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის იმ იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც ძირითადად ოქროშია შესრულებული. იხ. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии, გვ. 157.

⁷³ წმ. ანდრიას ხატის ორნამენტული ფრაგმენტები ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის ფონდებშია დაცული.

⁷⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 411; ივ. ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2002, გვ. 95. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I. თბ. 1975, გვ. 44.

ლიყო და, სავარაუდოდ, დამკვეთი თამარ მეფეა, რომელმაც ღვთისმშობლისა და წმ. დემეტრეს მინანქრებით ახლად შემკობილი სახარება, ვარძიის მონასტერსა და მის მთავარ სიწმინდეს – ვარძიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს შეწირა.

როგორც დავინახეთ, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცული ღვთისმშობლის მინანქრის ფოტო შუა საუკუნეების კიდევ ერთ უნიკალურ ქართულ ძეგლს-ვარძიის სახარების ყდას წარმოგვიდგენს, რომელიც XII საუკუნის ბეშქენ და ბექა ოპიზრების ბრწყინვალე ჭედური ყდებით გაფორმებული ბერთის, წყაროსთავის და ტბეთის ქართულ ოთხთავთა რიგში, ჯერჯერობით ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ძეგლია, რომლის ყდის დეკორიც ტიხრული მინანქრებით იყო შემკობილი. სამწუხაროა, რომ ვარძიის სახარების ერთ ღროს დიდებით დაწყებული ისტორია ასე სევდიანად ირეკლავს თავად ქვეყნის ისტორიასაც: ოდესღაც ერთიანი და ძლიერი ქართული სამეფოს კიდევ ერთი სიმბოლო დღეს დანაწევრებული და მიმოფანტულია საქართველოში, რუსეთსა თუ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ილუსტრაციები



1. სახელის სახარების ყდა. ა. როინაშვილის ფოტო
საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივი



2. გელათის სახარების ყდა წმ. დემეტრესა და ღვთისმშობლის მინანქრებით.
ფოტო: გ. ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომჭდლობა. რკვევანი ქართული შუა საუკუნეების
ხელოვნების ისტორიისათვის. თბ. 1959, ტ. 2, ფიგ. 414



3. სატიტულო ყდა ღვთისმშობლისა (XII-XIII სს-ის დას.) და წმ. დემეტრეს მინანქრების
(XI ს-ის I ნახევ.) ილუსტრაციებით, ვარძიის სახარების ყდის დეკორიდან.
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ფოტო: Н. П. Кондаков. Византийские эмали. Собрание А. В. Звенигородского. История и
памятники византийской эмали. СПб, 1892.



4. წმ. დემეტრეს მინანქრის ლორფინი (XIს-ის I ნახ.) ვარძიის სახარების ყდის დეკორიდან.

ბერლინის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმი

ფოტო: The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era, A.D. 843-1261.



Ed. by H. Evans and W. D. Wixom (გამოფენის კატალოგი, Nr.107).



5. ღვთისმშობლის მინანქრის ორნამენტული დეკორით შემკული ოქროს ჩარჩო. ვარძიის სახარების XIII-ის ყდა. პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟი
ფოტო: Ю. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии. Труды Государственного Эрмитажа. LXXIV. Византия в контексте мировой культуры. *Материалы конференции посвященной памяти А. В. Банк (1906-1984)*. СПб, 2015, ил. 22.



6. წმ. დემეტრეს მინანქრის (XI ს-ის I ნახ) ორნამენტული დეკორით შემკული ოქროს ჩარჩო. ვარძიის სახარების XII ს-ის ყდა. პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟი
ფოტო: Ю. А. Пятницкий. Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии. Труды Государственного Эрмитажа. LXXIV. Византия в контексте мировой культуры. *Материалы конференции посвященной памяти А. В. Банк (1906-1984)*. СПб, 2015, ил.23.



7. წმ. ანდრიას ხატის ორნამენტული ფრაგმენტები აბულასანის საქტიტორო წარწერებით (1181-1191). საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ფონდები.

ფოტო: გ. ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომჭედლობა. რეკვიანი ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიისათვის. თბ. 1959, ტ. 2, ფიგ. 421-422

Nino Simonishvili

**BETWEEN HISTORY, COLLECTORS, SCIENCE AND POLITICS:
*The Identification of a Medieval Book Cover of the Four Gospels in the Photo
Archive of Georgian State Museum of Folk and Applied Art***

Summary

In the rich archives of the Georgian State Museum of Folk and Applied Art there is a collection of photographs acquired in 1910-1913. This is an important material for the identification and history of the precious objects taken out of Georgia during political volatility and now kept in various museums and private collections around the world. The present paper begins with one of the Museum's archival photographs of a cloisonné image of the Enthroned Virgin with Archangels in a richly-decorated chased frame. On the mount, the work is identified as the book cover of the Khakhuli Four Gospels.

The same image of the Virgin paired with another enamel image of a standing figure of St. Demetrius in a similarly richly-decorated chased frame was identified by the Georgian scholars G. Chubinashvili and Sh. Amiranashvili as the Medieval period book cover of Gelati Four Gospels. As they showed, this book cover, one decorated with the gold-chased plaques and two cloisonné enamels, was kept until the 1880s at the Gelati monastery near Kutaisi until the enamels attracted collectors and antiquarians from the 19th century Russia, who, with the support of the local authorities, robbed the treasury of the monastery. The precious cover was removed from the manuscript and replaced by a modern Russian cover executed in the workshop of a famous Russian jeweler I. Sazikov. The original cover was sold to the Kamergers of the Russian Imperial court I. Balashev. Later on, the enamels were dismantled from the cover by I. Balashev who then lent them to different exhibitions organized between 1897-1915 in St. Petersburg. After the Bolshevik Revolution, the enamels were illegally taken to Berlin where they appeared on the antiquarian market and were sold separately, St. Demetrius to the Berlin Museum and the Virgin to a Belgian collector, A. Stoclet. The two Georgian scholars also point out that the publications of the famous Russian scholar N. Kondakov is the only source of information about the enamels. Kondakov considered the enamel plaque of St.

Demetrius as one of the best Byzantine enamels dated by the end of the 10th and beginning of the 11th century and the enamel of the Virgin as a work produced in Georgia by a Georgian artist at the end of the 12th and beginning of the 13th centuries.

Based on a critical analysis of the Georgian and Russian publications on the enamels in a broader historical and political context as well as of the inscriptions on the page margins, the Museum's photo can be identified as the book cover of the Vardzia Four Gospels, which once belonged to the Queen Tamar (1186-1212). It was probably donated to the Vardzia monastery and its main relic, the miraculous icon of the Virgin of Vardzia.

ქეთევან ნადირაძე

**მეცნიერება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა
და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლის სამსახურში***

ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში სამი ახალი მიმართულება გამოიკვეთა: 1. საეკლესიო ცხოვრების შესახებ არსებული წყაროების მოძიება, შესწავლა და გამოცემა; 2. შექმნილი წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძველზე ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნა; 3. ავტოკეფალისტა მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა შეესწავლათ და დაეწერათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორია. ამავე დროს, რჩებოდა საკითხისადმი ტრადიციული მიდგომა, საქართველოს ისტორია და კერძოდ, ქართული უძველესი საისტორიო ძეგლი „ქართლის ცხოვრება“ განეგრცოთ და გაემდიდრებინათ საეკლესიო ისტორიის საკითხებით.

XIX საუკუნის ქართულ მეცნიერებაში ამგვარ მოვლენას, გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა, იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. რუსეთმა საქართველოს სახელმწიფოს შეერთების შემდეგ (1801 წელს გააუქმა ქართლ-კახეთის, ხოლო 1810 წელს იმერეთის სამეფოები) თანმიმდევრულად დაიწყო ქართული ეკლესიის შევიწროება.

მიუხედავად აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II ბაგრატიონის (1788-1811) ლოიალობისა, რუსეთის ხელისუფლების მიმართ,¹ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური წეს-წყობილების დამყარების შემ-

* წაკითხულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. 2017 წ. 23 მარტი, თსუ.

¹ 1801 წელს საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ რუსეთის ტახტის ერთგულებაზე ანტონ II ხალხი დააფიცა, რის გამოც მიიღო თეთრი ბარტყულა სერაბიმები და ბრილიანტის ჯვრით შემკული ალექსანდრე ნეველის ორდენი. ასევე იგი დათანხმდა სასულიერო დიკასტერიის დაარსებას.

დეგ, ანტონ II და ავტოკეფალური ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველობა რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი შეიქნა. ამდენად, მთავარმართველები (კნორინგი, ციციანოვი, ტორმოსოვი) ხშირად ერეოდნენ საეკლესიო საქმეებში. ცდილობდნენ შეეზღუდათ კათოლიკოსის უფლებები, კონტროლი დაეწესებინათ საეკლესიო შემოსავალზე, მოითხოვდნენ მათთან შეთანხმებით სასულიერო პირთა თანამდებობაზე დანიშვნას, ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ, რათა ეპისკოპოსებს ნებაყოფლობით უარი ეთქვათ საწესოზე.

ბუნებრივია, ანტონ II ასეთ წრეგადასულ ბრძანებებს ვერ ეგუებოდა. იგი ეკლესიის მმართველობის რუსულ წესებზე გარდაქმნის წინააღმდეგ გამოდიოდა. მას დინასტიური ჩამომავლობისა (ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II ვაჟი) და პირადი თვისებების წყალობით დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე. რუსეთის მთავრობა საბაბს ეძებდა, რათა იგი მშვიდობიანად ჩამოეცილებინა საკათალიკოსო ტახტისათვის. მას ბრალი დასდეს ქართული სამართლის მიხედვით მიწისმფლობელობის წესის დარღვევაში. დაუპირისპირეს თბილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელმაც პირადი ინტერესებიდან გამოძინარე, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I (1801-1825) გაუგზავნა წერილობითი აპელაცია, რამაც რუსეთის მთავრობას საშუალება მისცა ანტონ II რუსეთში გაეწვია და მის არყოფნაში ავტოკეფალია და კათოლიკოსობა გაეუქმებინა, რაც 1811 წლისთვის აღასრულა კიდეც. უფრო ტრაგიკულად დამთავრდა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებლის ქუთათელი მიტროპოლიტის დოსითეოს წერეთლის (1795-1814) ცხოვრება. იგი ერთ-ერთი სულისჩამდგმელია 1820 წლის იმერეთის აჯანყებისა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ საეკლესიო რეფორმის ჩატარების წინააღმდეგ (ავტოკეფალია აქ 1814 წელს გააუქმეს და უშუალოდ შეუერთეს იმპერიის ეკლესიას). დოსითეოსი დააპატიმრეს და რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ უდიერი მოპყრობის შედეგად მგზავრობის დროს გარდაიცვალა.

რუსეთის იმპერიამ გააუქმა რა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა, მოახდინა ადმინისტრაციულ-სტრუქტურული და ეკონომიკურ-სოციალური ცვლილებები, ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეზარქოსოდ გადაკეთდა. ეგზარქოსებად ნიშნავდნენ რუსეთიდან მივლინებულ მღვდელმთავრებს. წირვა-ლოცვა შემოიღეს რუსულ ენაზე, ჩაატარეს საეკლესიო ქონების აღწერა, რათა იგი რუსეთის ხაზინას გადასცემოდა. ამით, რუსეთის მთავრობამ ეკლესიას წაართვა არა მხოლოდ თვითმმართველობა, არამედ მოუსპო ეკონომიკური საფუძვე-

ლიც. ყველაფერი ეს კი გარანტია იყო იმისა, რომ ქართული ეკლესიის როლი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში და ქართული ეროვნული სულიერების შენარჩუნებაში.²

ქართული მოწინავე საზოგადოება კარგად ხედავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, მეცნერული შესწავლის გზით, მისი ათასწლოვანი ისტორიის წარმოჩენას. სწორედ ეს იყო სამეცნიერო კვლევების იდეოლოგიური მხარე.

უპირველეს ყოვლისა, გრძელდებოდა ჯერ კიდევ ვახტანგ VI მიერ XVIII საუკუნეში დაწყებული საქმე, საქართველოს ისტორიას ამდიდრებდნენ საეკლესიო ისტორიით. ამის დამადასტურებელია ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ იძულებით რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონების შემოქმედება, რომლებიც პეტერბურგში შექმნილი სამეცნიერო ატმოსფეროდან გამომდინარე, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ: დავით ბატონიშვილის (1767-1819) რუსულ ენაზე დაბეჭდილი საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, იოანე ბატონიშვილის (1772-1836) ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა“, ბაგრატ ბატონიშვილის (1776-1841) „ახალი მოთხრობა“, სადაც შეტანილია წმინდანთა სასწაულები და განსაკუთრებით თეიმურაზ ბატონიშვილის (1782-1846) მიერ „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწორებები. აქ წარმოდგენილია მასალები ქრისტიანობის მიღების დათარიღებისათვის, მოთხრობები წმინდანთა ცხოვრების შესახებ, საეკლესიო მოღვაწეთა ბიოგრაფიები და სხვ.

XIX საუკუნის მე-2 ნახევრის ქართველმა ისტორიკოსებმა ინტენსიურად დაიწყეს (ეს პროცესი უკვე წარმატებით მიმდინარეობდა ევროპასა და რუსეთში) საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი წყაროების მოძიება, რომელთა შორის მრავლად იყო საეკლესიო წყაროები. ისტორიოგრაფიას მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა წერილობითი წყაროების გამოვლენის, პირველადი დამუშავებისა და გამოცემის საქმეში. ამ პერიოდის თითქმის ყველა გამოჩენილი ისტორიკოსი წყაროთმცოდნეც იყო: მ. ბროსე, დ.ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, ალ. ცაგარელი, ალ.ხახანაშვილი, მ.ჯანაშვილი, თ.ჟორდანი და სხვ. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს აგროვებდნენ ხელნაწერებს, ხელნაწერების ქრონიკალურ მინაწერებს, გენეალ-

² ქ. ნადირაძე. ანტონ II. წგნ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2002, გვ. 130-133.

ოგიურ ცნობებს, გუჯრებს, ეკლესიების სიძველეთა აღწერილობებს, საფლავის ქვების წარწერებს, სხვადასხვა სამახსოვრო ჩანაწერებს. აღწერდნენ ქართულ ლაპიდარულ, ჭედურ და ფრესკულ წარწერებს, ეტებდნენ მივიწყებულ და უცნობ ეკლესიებს, აღწერდნენ მათ.³

საჭირო გახდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ტიპის არსებობა, სადაც მოპოვებული მასალები თავს მოიყრიდა და დაიწყებოდა მათი მეცნიერული შესწავლა-გამოცემა. ამ მიზნის განხორციელება რუსეთში, ითავა ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ(1802-1880), რომლის განკარგულებაში იყო აკადემიის აზიური მუზეუმი. მისი პირდაპირი მოვალეობა იყო აქ ქართული მასალების თავმოყრა. ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა დახმარებით, განსაკუთრებით ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო თეიმურაზ ბატონიშვილმა, ბროსემ თავი მოუყარა მრავალ ხელნაწერს, სიგელ-გუჯარსა და ეპიგრაფიკულ წარწერებს. მისი მეცადინეობით აზიური ინსტიტუტის ფონდი ძალიან გამდიდრდა. აქ წარმოდგენილი მასალიდან ბროსემ მრავალი ხელნაწერის გამოცემა მოახერხა.⁴

1888 წელს თბილისში დაარსდა საეკლესიო მუზეუმი, რომლის მიზანი იყო ისტორიულ სიძველეთა შეკრება. მის წესდებაში ეწერა: საჭიროა შეიკრიბოს 1. ძველი ხელნაწერები, ძველად დაბეჭდილი წიგნები, გუჯრები ანუ მონასტრების აქტები; 2. საეკლესიო ავეჯეულობა; 3. ყველა ძველი ნაშთები, რომლებიც მოიპოვება საქართველოს საეგზარქოსოს მონასტრებსა თუ ეკლესიებში და ა.შ. ამგვარი საშუაოს შედეგად, მუზეუმში მოგროვდა უძვირფასესი, როგორც ლიტერატურული, ასევე საეკლესიო-ისტორიული ხელნაწერი მასალები.

საეკლესიო მუზეუმის დაარსებაში დიდი როლი ითამაშა დ. ბაქრაძემ. მუზეუმის დირექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ თ. ჟორდანიას და მ. ჯანაშვილი. ამავე საქმეს ემსახურებოდა ნაწილობრივ საერო მუზეუმი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (დაარსდა 1879 წ.).⁵

ქართველ ისტორიკოსთა ძალისხმევით შედეგად მივიღეთ შემდეგი გამოცემები: თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ (3 წგნ. 1892, 1897, 1969), «Описание рукописей Тифлиского церковного музея Карталино-Кახетинского духовенства» (1902); მ. ჯანაშვილის „ბასილი ზარზმელისა და სერაპიონ ზარზ-

³ ქ. ნადირაძე. ქართული ისტორიოგრაფია. თბ. 2012, გვ. 77-101.

⁴ შ. ხანთაძე. მარი ბროსე. თბ. 1966.

⁵ ლ. ლვოდერიძე. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 2005, გვ. 166.

მელის ცხოვრება“; ნ. მარის „პეტრე იბერის ცხოვრება სამეცნიერო კომენტარებით, ლექსიკონითა და რუსული თარგმანით(1896), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (1911); დ. ბაქრაძის «Опись памятников древности в некоторых храмах и монастыры Грузии»; პ. იოსელიანის «Жизнеописание святых прославляемых православною грузинскою церковію» (1850), ექ. თაყაიშვილის „ხელნაწერთა აღწერილობანი“ (ტ. 1-4, 1902-1912), „საქართველოს სიძველენი“ და მრავალი სხვა. აღსანიშნავია ალ. ცაგარელის 1883 წ. მოგზაურობა პალესტინაში, ათონისა და სინას მთაზე ქართული კერების მოსანახულებლად. შედეგად გამოქვეყნდა: „ცნობები საქართველოს მწიგნობრობის ძეგლებზე“ (1888, რუსულად), „ქართული ძეგლები წმ. მიწაზე და სინაზე“ და ა.შ.

წყაროთა ბაზის შექმნის პარალელურად დიდი ყურადღება დაეთმო ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნას. ამ ნაშრომებში ძირითადად ქართული ეკლესიის ისტორია წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დასაბამიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811-1814). წამოწეულია ეკლესიის ისტორიის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორებიც არის: 1. მოციქულების ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგებანი, 2. წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, 3. ეკლესიის ორგანიზაცია, 4. წმ. კვართის მობრძანება ქართლში, 5. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, 6. ასურელ მამათა მოსვლა საქართველოში, 7. ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ და აქ მოღვაწე მამები, 8. სამონასტრო ცხოვრების განვითარება და სხვ. საკითხები წარმოდგენილია და განალიზებულია პოლიტიკური ისტორიის ფონზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ პერიოდის ავტორი, ხაზს უსვამს დასახული მიზნის სირთულეს, რადგან მათ პირველად უხდებოდათ ასეთი ნაშრომების შექმნა და ერთდროულად ეწეოდნენ წყაროების მოძიებას, შეგვერებას, მათ ანალიზს, ხოლო შემდეგ მწყობრად ეკლესიის ისტორიის გადმოცემას.

ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკოსმა პ. იოსელიანმა გამოაქვეყნა პეტერბურგში რუსულად, „საქართველოს მოკლე ისტორია“ (1843), სადაც ქართული და უცხოური წყაროების გამოყენებით გადმოცემულია ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია. სერიოზული წვლილი შეიტანა ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში მიქაელ საბინინმა, რომელმაც 1877 წ. ასევე რუსულად გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (1877), რომელშიც თხრობა VI საუკუნემდე მოდის, ხოლო მის წიგნს „საქართველოს სამოთხე“ (1882), სა-

დაც შეტანილია ქართველ წმინდანთა ცხოვრებები, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მ. ჯანაშვილმა, პირველად ქართულ ენაზე, 1888 წელს, თბილისში გამოსცა „საქართველოს საეკლესიო ისტორია“, სადაც მოკლედ არის მოთხრობილი ეკლესიის მთელი ისტორია, დაარსებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე. ასევე საინტერესოა ახალი წყაროებით გამდიდრებული მ. თამარაშვილის ნაშრომი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ (1910, რომი).

ცალკე ნაშრომები მიედღვნა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს ისტორიას. მ. ბროსემ შეადგინა აფხაზ კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგი «Essai chronologique sur la série des catholiques d'Apkhazeth» (1857), თ. ჟორდანიამ დაწერა გამოკვლევა რუსულ ენაზე „აფხაზეთის კათოლიკოსები“ (1893), სადაც გადმოცემულია აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს წარმოქმნის მოკლე ისტორია, შედგენილია XIII-XVIII სს. აფხაზთა კათოლიკოსების ქრონოლოგიური რიგი, მოკლე ანოტაციებით. თემა დღესაც მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. საერთოდ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა სიის შედგენასა და სრულყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დასავლეთ საქართველოში კათოლიკოსთა არსებობის დადასტურება არის ერთ-ერთი მტკიცებულება, რომ აქ არსებობდა საკათალიკოსო მმართველობა. ხოლო, რაც უფრო ადრეულ ხანაში იქნება მათი მოღვაწეობა მითითებული, მით უფრო ადრეული ხანით განისაზღვრება აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს ჩამოყალიბების ანუ ბიზანტიის მორჩილებიდან მისი განთავისუფლებისა და შემდგომში მცხეთის საკათალიკოსოზე დაქვემდებარების თარიღი. რადგან წყაროებში აფხაზთა საკათალიკოსოს წარმოქმნის თარიღი პირდაპირ მითითებული არ არის, ხოლო არსებული მონაცემები ძალიან მწირია და მხოლოდ ვარაუდების გაკეთების საშუალებას იძლეოდა, აფხაზთა საკათალიკოსოს დაარსების დრო მკვლევართა მიერ VIII, IX, X თუ XII-XIII საუკუნეებით განისაზღვრა. ამ საკითხისადმი აზრის სიჭრელეს კიდევ უფრო მეტად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ კათოლიკოსთა სიები არსენით იწყებოდა, რომლის მოღვაწეობის პერიოდი XIV საუკუნის 90-იანი წლებით თარიღდება (მ. ბროსე, პ. კარბელაშვილი, მ. თამარაშვილი).⁶ მეცნიერები მონაცემთა უქონლობის გამო, უფრო ადრეულ ხა-

⁶ მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბ. 1995.

ნაში მოღვაწე კათოლიკოსებს ვერ ასახელებდნენ.⁷

პირველად თ. ჟორდანიამ მიაკვლია⁸ ახალციხური ტყავის სახარებას, რომლის მინაწერებშიც იხსენიება „სვიმონ აფხაზეთის კათოლიკოსი“.⁹ პალეოგრაფიული ნიშნების შესწავლის საფუძველზე, თ. ჟორდანიამ მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული სახარება „ყოველ ეჭვს გარეშე გადაწერილია XI საუკუნის დამღვეს ან XII საუკუნის დამღვეს. აღნიშნული მინაწერი, IX-XII საუკუნეების ჩვენამდე მოღწეულ საკათალიკოსოს წყაროებს შორის, ერთადერთია, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული „აფხაზეთის კათოლიკოსის“ შესახებ და ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს არსებობას XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე. სამწუხაროდ, დიდხანს ამ აზრმა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. დღეს ამ ცნობის საფუძველზე თანამედროვე ისტორიოგრაფიას მყარი საფუძველი შეექმნა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს არსებობა XI-XII საუკუნეთა მიჯნით დაათარილოს.¹⁰

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი ნაშრომები, ძირითადად სქემატურობით ხასიათდებიან და მეცნიერების თანამედროვე დონის მოთხოვნებს აღარ აკმაყოფილებენ, მაგრამ ისინი შექმნის დროისათვის მიზანს ამართლებდნენ. ჯერ ერთი, ამ ნაშრომებით პოპულარიზაცია გაეწია ქართული ეკლესიის ისტორიას, მეორე – დაიწყო ისტორიოგრაფიული ბაზის შექმნა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთხელ შემდეგ გარემოებას: ამ ნაშრომთა უმრავლესობა წყაროებზე დაყრდნობითაა შექმნილი.

ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1904-1905 წლებიდან, როდესაც ქართულმა სასულიერო საზოგადოებამ რუსეთის საიმპერატორო კარისა და წმინდა სინოდის წინაშე დასვა საკითხი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ეს მოთხოვნა

⁷ ქ. ნადირაძე, თელო ჟორდანიამ – საქართველოს ისტორიის მკვლევარი. თბ. 2004, გვ. 106-107.

⁸ კათოლიკოსი სვიმონი თ. ჟორდანიას ნაშრომში «Абхазские каталикосы» შეტანილი არა აქვს. როგორც ჩანს, საბუთი მისი არსებობის შესახებ მერე აღმოაჩინა და „ქრონიკების“ II წიგნში (1897) შეიტანა.

⁹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. II. ტფ. 1897, გვ. 90.

¹⁰ თ. ქორიძე. XI-XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგია. ჟურნ. „კლიო“. №15, თბ. 2002, გვ. 5; ბ. კუდავა. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორიიდან (IX-XIII სს.). ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 9, თბ. 2002, გვ. 4; ქ. ნადირაძე, თელო ჟორდანიამ – საქართველოს ისტორიის მკვლევარი, გვ. 147-148.

დაუკავშირდა, თავად რუსეთში დაწყებულ მოძრაობას, რომლის მიზანი იყო რუსეთის ეკლესიის გათავისუფლება სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის გავლენისაგან. ითხოვდნენ პატრიარქობის აღდგენას, რომელიც პეტრე I გააუქმა და წმ. სინოდის რეორგანიზაციას. 1700 წლიდან რუსეთს აღარ ჰყოლია უმაღლესი საეკლესიო იერარქი – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი. 1721 წლიდან რუსეთის ეკლესიას განაგებდა უწმინდესი სინოდი. სინოდს (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) თავმჯდომარეობდა საერო პირი ობერ-პროკურორი. სინოდის წევრებსა და ობერ-პროკურორს იმპერატორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა. რუსეთში დე ფაქტო – დე იურე იმპერატორი ითავსებდა უმაღლესი საეკლესიო იერარქის ფუნქციას.¹¹ აქვე უნდა აღინიშნოს ერთიც: საეკლესიო წყობაში პრინციპულმა განსხვავებამ რთული ვითარება შეუქმნა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების ირგვლივ გამართულ მოლაპარაკებებში ქართულ ეკლესიას. როდესაც ერეკლე II 1771 წლის 30 დეკემბერს ხელი მოაწერა მფარველობითი ხელშეკრულების პროექტს, მეფე კატეგორიულად ითხოვდა სამეფო ხელისუფლების „უცვალეზლად“ შენარჩუნებასთან ერთად „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“.¹² მიუხედავად ამისა, გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წლის 24 ივლისი) მერვე მუხლის ძალით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (1744-1755, 1764-1788) გახდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი და სინოდში დაიკავა მერვე ადგილი, რაც მის წევრებთან გათანაბრებას ნიშნავდა. უფრო მეტიც, მასზე დიდი პატივით სარგებლობდა შვიდი მღვდელთმთავარი.¹³ ეს თავისთავად კათოლიკოს-პატრიარქის ღირსების შელახვაზე მიუთითებდა, რაც იძლევა საფუძველს ფიქრისა, რომ რუსეთის იმპერიის მესვეურებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იმთავითვე მიზნად ჰქონდათ დასახული.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას მხარს უჭერდა, როგორც ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა, ასევე ქართული მოწინავე საზოგადოება, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. 1905 წლის მაისის სამღვდელოების კრებამ შეიმუშავა პეტიცია, სადაც ითხოვდნენ: სასკოლო რეფორმას, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლებას, ჩამორთმეული მამუ-

¹¹ ვ. გურული. ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. 1811-1814. თბ. 2010, გვ. 38-100.

¹² ვ. მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. თბ. 1983, გვ. 59.

¹³ ვ. მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი, გვ. 69.

ლების დაბრუნებას, ავტოკეფალიის აღდგენასა და ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯვნას. პეტიციას ხელს აწერდა 412 სასულიერო პირი. ასლები გაეგზავნათ კავკასიის მეფისნაცვალს, სინოდის ობერ-პროკურორსა და სინოდის თავმჯდომარეს მიტროპოლიტ ანტონს. ყრილობის საპასუხოდ პოლიცია შეიჭრა სემინარიის შენობაში და დაუნდობლად ცემეს იქ მყოფი დელეგატები. მოგვიანებით, აგრეთვე დაიწერა მიმართვა, ავტოკეფალიის მოთხოვნით და გაეგზავნა კონსტანტინოპოლის პატრიარქს.¹⁴

ქართველმა თავად-აზნაურობამ დარბეულ სამღვდელოებას სოლიდარობა გამოუცხადა და მწვავე პროტესტი გამოხატა. მოითხოვეს ამ საქმის სასწრაფო გამოძიება. ექვთიმე თაყაიშვილი ამის შესახებ წერდა: „გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა, თან უნდა წავკვლო ბაირალები და პლაკატები წარწერებით: აღვიდგინეთ ავტოკეფალია და სხვ. წამოიჭრა საკითხი ვინ უნდა გაძლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას. ილიამ გვითხრა: თუ საჭიროა მე წავიძლებითო!“, შემდეგ ისევ დელეგაცია გააგზავნეს მოსალაპარაკებლად მთავარმართებელთან.¹⁵ ამავე პერიოდში, ილია აქტიურად იყო ჩაბმული ახალი პოლიტიკური პარტიის ორგანიზების საქმეში და მონაწილეობა მიიღო საპროგრამო დოკუმენტის შედგენაში, სადაც პარტიის უპირველეს ამოცანად დასახულია „განახლება ივერიის ავტოკეფალიის უფლებისა და აღდგენა მცხეთა-ივერიის ქათალიკოსობისა საქართველოს ადრინდელ საზღვრებს შორის კათალიკოსის მეთაურობით, რომელიც უნდა ამორჩეულ იქნას უკვე ყოფილ წესისამებრ და დამტკიცებულ უმაღლეს მთავრობის მიერ.“ აგრეთვე, პეტერბურგში მყოფი ილია შეხვდა სინოდის თავმჯდომარესა და ობერ-პროკურორს. იგი ცდილობდა დაერწმუნებია რუსეთის ეკლესიის წინამძღოლები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებაში. ამისათვის ილია ისტორიულ არგუმენტებსაც იშველიებდა და ქართული ეკლესიის მძიმე მდგომარეობასაც ასაბუთებდა, მაგრამ უშედეგოდ.¹⁶ ავტოკეფალიის აღდგენის სა-

¹⁴ აღნიშნული პეტიცია 1907 წელს ჰააგის კონფერენციის დელეგატებს დაურიგდათ. 1912 წელს კი დაიბეჭდა (ვარლამ ჩერქეზიშვილისა და დეკანოზ დავით ღამბაშიძის ძალისხმევით) ლონდონში და აშშ-ს პრესის ფურცლებზე. ჩერქეზიშვილი. თხზულებანი. ტ. I. რედ. დ. შველიძე. თბ. 2011, გვ. 29.

¹⁵ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ. 2009, გვ. 108.

¹⁶ ო. გოგიაშვილი. ილია დღეს. თბ. 2008, გვ. 291.

კითხს მხარს უჭერდა მთლიანად თერგდალეულთა მოძრაობა და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა.

აღნიშნულ საკითხს ბუნებრივია უყურადღებოდ ვერ დატოვებდა ივ. ჯავახიშვილი. მან პეტერბურგში, რუსულ ენაზე გამოსცა ნაშრომი, სადაც აღნიშნულია: კათოლიკოსის (ანტონ II – ქ. ნ.) რუსეთში გაწვევის შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა. საქართველოს რუსეთთან შეერთების 10 წლის შემდეგ, ქართველებს მოესპოთ შესაძლებლობა, საკათედრო ტაძარში ქართულად ღვთისმსახურების მოსმენისა...¹⁷ ხოლო, 1907 წელს პეტერბურგში გამოცემულ «Политическая Энциклопедия»-ში მან დაბეჭდა სტატია – «Автокефалия Грузинской церкви», სადაც აღნიშნულია ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების ისტორიული, სამართლებრივი და პოლიტიკური უსაფუძვლობა.

ქართველ ავტოკეფალისტებს ყოველმხრივი ბრძოლა გამოუცხადეს. რუსმა მოღვაწეებმა დაიწყეს ტენდენციური ხასიათის სტატიების გამოქვეყნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. განსაკუთრებით, აღსანიშნავია არქიმანდრიტ ნიკანდრის სტატია, რომელიც, ისტორიული წყაროების არასწორი ინტერპრეტაციის გზით ცდილობს დაამტკიცოს ის, რომ საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი არასოდეს ყოფილა და ადრეულ საუკუნეებშიც ანტიოქიის მორჩილებაში იმყოფებოდა. სწორედ, ეს გახდა შემდგომში რუსული მხარის ძირითადი არგუმენტი, რომლითაც ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ქართული მხარის მოთხოვნის უსაფუძვლობა. ნიკანდრის სტატიაზე პასუხმა არ დააყოვნა და ჟურნალ Духовный вестник-ში სერგი გორგაძემ არგუმენტირებულად, წყაროებზე დაყრდნობით გააბათილა ეს პოლიტიკურად მოტივირებული „პასკვილი“.¹⁸

ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1905 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარებული საქართველოს ეკლესიის სამღვდელთა დელეგატთა კრება, რომელმაც შეიმუშავა „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი.“ პროექტი შედგებოდა 26 პარაგრაფის-

¹⁷ И. Джавахов. Политическое и социальное движение в Грузии XIX веке. СПб. 1906, гл. 21.

¹⁸ Архимандритъ Никандръ Об Автокефальности Грузинской Церкви и Церковной жизни в Грузии при Католикосахъ. Журн. «Духовный вестник Грузинского ексархата», 1905, 1. №13-14; С. Горгадзе. Автокефальность Грузинской Церкви. Журн. «Духовный вестник Грузинского ексархата», 1905, №21-22.

გან, რომელშიც განსაზღვრული იყო საეპარქიოს საბჭოს, ეპისკოპოსის, სა-
ოლქო სამო კრების და საბჭოს, სამრევლო საბჭოს, სამრევლო კრებისა და
საკრებულოს წევრთა უფლება-მოვალეობანი და არჩევის წესი. სწორედ ეს
პროექტი დაედო საფუძვლად 1917 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკე-
ფალიის აღდგენას.¹⁹

1906 წლის მარტიდან დეკემბრამდე პეტერბურგში მიმდინარეობდა რუ-
სეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი, რის შემდეგაც ჩატარდებოდა სა-
ეკლესიო კრება. წინარე თათბირს უნდა გადაეწყვიტა რუსეთში პატრიარქო-
ბის აღდგენისა და საეკლესიო კრების მოწვევის განახლება. ეს თავისთავად
ითხოვდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. თათბირზე იხილებოდა
არაველიკორუსულ მხარეებში, მათ შორის კავკასიაში, საეკლესიო ცხოვრე-
ბის მოწყობის პირობები, კერძოდ რა სახით უნდა დაქვემდებარებოდა კავკა-
სია, მათ შორის, საქართველო რუსეთის პატრიარქსა და საეკლესიო კრებას.
სწორედ ამის შედეგად მოხვდა თათბირის დღის წესრიგში საქართველოს ეკ-
ლესიის ავტოკეფალიის საკითხი.

საეკლესიო კრების წინარე თათბირში სულ მონაწილეობას იღებდა 10
ეპისკოპოსი და 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უწმინდესი სინოდის
ობერ-პროკურორი ა. დ. ობოლენსკი. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ეპის-
კოპოსები: კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), ექვთიმე (ელ-
იაშვილი); პროფესორები: ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი.

ქართული დელეგაცია ბრწყინვალედ იყო მომზადებული, რათა დაეცვა
ქართველი ერის ინტერესები და მეცნიერულად, წყაროებზე დაყრდნობით დაესა-
ბუთებინა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლიანობა.

დელეგაციის მოქმედების გეგმა წარმოადგენდა შემდეგს: პირველი-სა-
ქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გა-
უქმების უკანონობის აღიარების მიღწევა; მეორე- ავტოკეფალიის აღდგენის
სამართლიანობის დასაბუთება. ბუნებრივია, თუ პირველის აღიარებას მიაღ-
წევდნენ, მეორე თავისთავად დადებითად უნდა გადაწყვეტილიყო.

სწორედ ამიტომ რუსი მღვდელმთავრები (ვოლინის ეპისკოპოსი ნიკან-
დრი, მოვილევის ეპისკოპოსი სტეფანე), რუსეთის სამღვდელეობის წარმო-
მადგენლები (დეკანოზები: ტ. ბუტკევიჩი, თ. ტიტოვი, ი. ვოსტორგოვი...),

¹⁹ ლ. ტყეშელაშვილი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკით-
ხები. ქუთაისი. 2014, გვ. 258-259.

ეკლესიის ისტორიის და სამართლის ცნობილი სპეციალისტები (პროფესორები: ნ. გლუბოვოცკი, ი. ბერდიაევი, ი. სოკოლოვი...) ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის უძძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე (სპარსელები-სა და ოსმალების მიერ ეკლესია-მონასტრების განადგურება, იძულებით გამაჰმადიანებული მრავალი ქართველი, დაკარგული ტერიტორიები და სხვ.). ავტოკეფალიის გაუქმება კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. თუმცა იმის აღნიშვნაც არ ავიწყდებოდათ, რომ ისტორიულად ქართული ეკლესია დამოუკიდებელი არასოდეს ყოფილა.

ქართველ მოღვაწეებს მოხსენებები თემატურად ჰქონდათ გადანწილებული, რათა ამომწურავი პასუხები გასცემოდა ყველა იმ საჭირობოროტო საკითხს, რომლებიც სხდომებზე დაისვა.

ეპისკოპოსმა კირიონმა ქართულ, ბერძნულ, ასურულ და არაბულენოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით აჩვენა მოციქულთა მიერ საქართველოს გაქრისტიანების ფაქტი, დაასაბუთა VIII საუკუნის შუახანებში ანტიოქიის მიერ საქართველოს ავოკეფალობის ცნობა და 1811 წლამდე მისი სრული თავისუფლება.²⁰

ეპისკოპოსმა ლეონიდემ გააკრიტიკა ეგზარქოსების მმართველობა ყოველივე ქართულის დათრგუნვაში, ტრადიციების, რიტუალების დევნაში, ეკლესიის წმინდა სიძველეთა მოსპობაში, სასულიერო განათლების დონის დაცემაში და სხვა.

ნიკო მარმა დაადასტურა შემდეგი: ქართული ენის დევნა, უმდიდრესი ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლებისა და საეკლესიო სწავლების უგულვებელყოფა, ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა და შესაბამისად მისი საწყისშივე ავტოკეფალურობა და სხვ.

ალექსანდრე ცაგარელი გამოვიდა მოხსენებით,²¹ სადაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით დაირღვა არა მხოლოდ მსოფლიო და ადგილობრივი კრების კანონები, არამედ საქართველოს ეკლესიის განჩინებები. შეიბღალა საქართველოს სამოქალაქო კანონები, სა-

²⁰ კირიონ III სინოდის სხდომებზე წარსადგენად დაწერა ოთხი მოხსენება: «Грузинский церковный вопрос (историко-каноническое основания)»; «Что вынуждает Грузию добиваться восстановления автокефалии своей церкви»; «Какой Иверии дарована автокефалия в XI веке»; «Национальный вопрос в церкви».

²¹ მოხსენება პროფ. ალ. ცაგარელისა. ნათარგმნი სინოდის ორგანოს «Церковныя Ведомости»-დან 1906 წ. „მოწმობანი მე-XVII-XVIII საუკ. ოფიციალურ მიწერ-მოწერებისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“. ქუთაისი. 1911.

ხელდობრ ვახტანგ VI სჯულდებისა, რომელშიც მოცემული იყო „საკათალიკოსო კანონების“ მთელი განყოფილება, შეეხო რუსეთის მიერ ქართული ეკლესიისათვის ქონების ჩამორთმევის საკითხს და მოითხოვა ერთი საკათალიკოსოს უწყების აღდგენა, ერთი კათოლიკოს-პატრიარქით სათავეში და სხვ.

ალექსანდრე ხახანაშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო კულტურული საკითხების მიმოხილვას და მის როლს ქართველი ერის განვითარებაში. ვრცლად ისაუბრა ქართველ მოღვაწეთა ნაშრომთა მნიშვნელობაზე.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. პირიქით, მათ მიერ შემუშავებული პროექტი კიდევ უფრო ამძიმებდა ეკლესიის მდგომარეობას. პროექტი ითვალისწინებდა საეგზარქოსოს გაუქმებას და ეპარქიების შექმნას. საბედნიეროდ აღარ დასცალდათ.²²

დაიწყო რეაქციის ხანა, შესაბამისად ავტოკეფალისტურად განწყობილ სამღვდლო პირთა მასიური დევნა-გადასახლება. კირიონ ეპისკოპოსი 1907 წელს რუსეთში გადაასახლეს კოვნოს ეპარქიაში. 1908 წელს კი საერთოდ დაითხოვეს და სასულიერო წოდება ჩამოართვეს. ასევე არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) 1905 წელს გადაასახლეს რუსეთში, ხოლო 1908 წელს მასაც აუკრძალეს მღვდელმსახურება. ორივეს უსაფუძვლოდ დადეს ბრალი 1908 წელს საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობისათვის და სხვ.

მართალია, ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ისტორიოგრაფიას შემორჩა ამ საკითხისადმი მიძღვნილი არაჩვეულებრივად საინტერესო და საჭირო ნაშრომები. ამ პერიოდში შეიქმნა კ. ცინცადის, ნ. დურნოვოს, მ. კელენჯერიძის, ნ. მარის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ს. გორგაძის გამოკვლევები, რომელთა მიზანი იყო მეცნიერულად, ყველა არსებული წყაროს გამოყენებით მოეთხროთ ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების ისტორია და დაესაბუთებინათ მისი აღდგენის კანონიერება.²³

²² გ. ბურდული. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე. თბ. 2012, გვ. 170-382.

²³ К. К. Цинцадзе. Автокефалия церкви Грузинской. 1905; К. К. Цинцадзе. Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской церкви. 1906; Кирион. Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие. 1901; Н. Дурново. Исторический очерк Автокефальных церквей Иверской и Имеретинской. М. 1910; Т. Жордания. Краткие исторические сведения об автокефалии Грузинской церкви. 1905; Н. Марр. Исторический

ავტოკეფალიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში წამოჭრილია მთელი რიგი პრობლემები: ქართველთა მოქცევის ქრონოლოგია, გაქრისტიანების ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური პირობები, ქართული ეკლესიის იერარქიული მდგომარეობა, საეკლესიო სტრუქტურის ჩამოყალიბება, ქართული ეკლესიის დამოკიდებულების საკითხი ბიზანტიის ტერიტორიაზე არსებულ საპატრიარქოებთან, მირონის მოხარშვის წესი და სხვ. მართალია არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ თითქმის ყველა მკვლევარი თანხმდება ერთ საკითხში: საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა საკმაოდ შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

თამამად შეიძლება ითქვას, ავტოკეფალიის თემაზე შექმნილ შრომებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გადაწყდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 1917 წლის 12 მარტს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ლეონიდესა და სხვა ქართველი მღვდელმთავრების თაოსნობით, შესრულდა საგანგებო ღვთისმსახურება. მათ ქართველ ერს მიულოცეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ამავე წლის 29 დეკემბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა საქართველოში გამოაგზავნა ეპისტოლე, სადაც გამოდიოდა ქართველ მღვდელმთავართა ბრალდებით, თითქოსდა მათ ავტოკეფალიის გამოცხადებით დაარღვიეს საეკლესიო კანონები, რის საფუძველზეც ყოველგვარი კავშირი გაწყდა რუსულ ეკლესიასთან.²⁴

1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში სიონის საკათედრო ტაძარში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, რომელსაც სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი უნდა აერჩია. კანდიდატებად წარდგენილები იყვნენ – ეპისკოპოსი კირიონი და მიტროპოლიტი ლეონიდე. ფარული კენჭისყრით თერთმეტი ხმის უპირატესობით გაიმარჯვა კირიონმა. პირველ ოქტომბერს მცხეთობას, სვეტიცხოვლის ტაძარში იგი აკურთხეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. კურთხევა ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა.

უპირველეს ყოვლისა კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ III (1917-1918)

очерк Грузинской церкви. Журналы и протоколы заседаний предсоборного присутствия. 1907. Т. III. СПб, №5; Ал. Цагарели. Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу. 1912; ს. გორგაძე. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი. 1905 და სხვ.

²⁴ ქ. ნადირაძე. ლეონიდე. წგნ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 186.

წერილები დაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, რომელშიც მოკლედ, მაგრამ დასაბუთებულად გადმოსცემდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას და მოითხოვდა საქართველოს ავტოკეფალიის ცნობას.²⁵

სწორედ აქედან იწყება ის დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელსაც ქართული ეკლესია XX საუკუნის 90-იან წლებამდე აწარმოებდა კუთვნილი უფლებებისა და ადგილის მოსაპოვებლად მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში.

ძალიან დიდ დაბრკოლებას უქმნიდა რუსეთის ეკლესია, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებას. კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (1921-1927) წერილობით მიმართვას კონსტანტინოპოლის, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქების მხრიდან პასუხი არ მოჰყოლია. როგორც კალისტრატე ცინცაძე სამართლიანად მიუთითებდა – სავსებით გასაგებია მათი პოზიცია. კონსტანტინოპოლის ეკლესიას არ სურს ქართული ეკლესიის აღიარებით გააღიზიანოს რუსეთი.

მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა 1943 წლიდან, როდესაც რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის, როგორც ტერიტორიული ავტოკეფალია, ასევე საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული და VI ადგილი მსოფლიო დიპტიხში. რუსეთის პატრიარქმა წერილობით მიმართა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს და აცნობა, რომ ამიერიდან რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებს საქართველოს ავტოკეფალიას.²⁶ 1943 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის მიერ ოფიციალურად წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (1932-1952) სიონის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღასრულა ანტონთან ერთად. მომავალში ამას მოჰყვა საერთაშორისო აღიარებაც.²⁷

უდიდესი წვლილი მიუძღვის კათოლიკოს-პატრიარქს ილია II (1977 წლიდან) ქართული ეკლესიის კუთვნილი ადგილის დასაკავებლად მართლმადიდებელ სამყაროში. ქართველი ისტორიკოსების დახმარებით (მ. ლორთქიფანიძემ, ბ. ლომინაძემ, ნ. ლომოურმა, ა. ბოგვერაძემ და სხვებმა ჯერ კიდევ 1963 წლიდან, პატრიარქის თხოვნით, დაიწვეს საქართველოს სამოციქულო

²⁵ ქ. ნადირაძე. კირიონ III. წგნ. საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქები, გვ. 181.

²⁶ აღნიშნული ფაქტის პოლიტიკური მოტივების შესახებ იხ. მ. ბენდელიანი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში. თბ. 2002, გვ. 108-158.

²⁷ ქ. ნადირაძე. კალისტრატე. წგნ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 200.

ეკლესიის ისტორიაზე მუშაობა)²⁸ და ბუნებრივია სასულიერო საზოგადოების აქტიურობითა და დიდი თანადგომით, მიღწეულ იქნა დიდიხნის ოცნება: 1990 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტმა გამოსცა „საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“. ამრიგად, დაკმაყოფილდა 1979 წელს ილია II მიერ მსოფლიო საპატრიარქოს წინაშე წაყენებული მოთხოვნები: 1. საქართველოს ავტოკეფალიის ცნობა V საუკუნიდან; 2. ეკლესიის მეთაურისთვის პატრიარქის წოდების დადასტურება, რომელსაც ქართველი კათოლიკოსები XI საუკუნიდან ატარებენ.²⁹

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი განხილვიდანაც კარგად გამოჩნდა თუ, როგორ დაუღალავად იბრძოდა თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ქართული ეკლესია, რუსეთის სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგ, საკუთარი უფლებების დასაცავად და ამ ბრძოლაში მუდამ გვერდით ედგა საერო საზოგადოება, რადგან მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული: ქართული ეკლესიის სიძლიერე ქვეყნის სიძლიერის, ხოლო დამოუკიდებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობის ტოლფასი იყო.

²⁸ აკად. მ. ლორთქიფანიძე ივონებს: კონსტანტინოპოლის მხარე მოითხოვდა წარგვედგინა მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება ან პირადად მსოფლიო პატრიარქის ბრძანება V საუკუნიდან ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების. ასეთი დოკუმენტები კი ჩვენ ხელთ არ გვქონდა. ჩვენი მხარის მიერ წარდგენილი ცნობები ქართული ნარატიული საისტორიო წყაროებიდან, ქართული დოკუმენტებიდან, როგორც თვითონ ბრძანებდნენ, მათთვის საბუთი არ იყო. როდესაც წარუდგინეთ რომის ერთ-ერთი პაპის წერილი ჩვენი კათოლიკოსისადმი, რომელშიც ის მას ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურის ტიტულით მიმართავდა, ცინიკურად გაიღიმეს და გვითხრეს, უნდა გესმოდეთ, რომ ეს მხოლოდ ზრდილობიანი მიმართვის ფორმაა და არა დოკუმენტური დადასტურება. მათთან დისკუსია ძნელი იყო, რადგან ცინიკური იყო მათი ტონი, მიუღებელი მათი დამოკიდებულება ქართული საისტორიო წყაროებისადმი, მაგრამ თავს ვიკავებდით ურთიერთობის გართულების შიშით. საბოლოოდ მიზანი მიღწეულ იქნა და ვფიქრობ ჩვენი კომისიის საბუთიანობასაც გაუწიეს ანგარიში. რაღა თქმა უნდა გადაწვევები ფაქტორი ილია II-ის დიდი ავტორიტეტი იყო, რომელიც ჩვენს პატრიარქს ქრისტიანულ სამყაროში ჰქონდა. წგნ. საქართველოს დიდი ქალბატონი. რედ. ნ. ხაზარაძე. თბ. 2013, გვ. 43.

²⁹ ქ. ნადირაძე. ილია II. წგნ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 217.

Ketevan Nadiradze

**SCIENCE FOR SUPPORT OF RESTORATION AND
STRENGTHENING OF AUTOCEPHALY OF GEORGIAN CHURCH**

Summary

In Georgian historiography dealing with history of Georgian Church three new directions emerged since forties of 19th century: 1. finding, collection and publication of the historical sources dealing with ecclesiastic life; 2. based on these sources, writing the works on history of Church; 3. movement of autocephaly supporters intending to study and write history of Georgian Church. At the same time, the approach to the issue remained traditional, enlargement and enrichment of historical monument “Kartlis Tskhovreba” (Life of Katli/History of Georgia) with the issues of the Church history.

Such phenomenon in the Georgian science of the 19th century had certain ideological foundation as well. After annexation of Georgia by Russia, the Russians abolished autocephaly of the Georgian Church and the position of Catholicos-Patriarch (in 1811 in the Eastern Georgia and in 1814 in the Western Georgia). Administrative and socio-economic changes were performed. The Georgian Church became the exarchate of the Russian Synod. As a result, Church has lost its historical function in the nation’s life. The Georgian scientists were well aware in significance of presentation of the millennium-long history of a Georgian Church through scientific research for strengthening of its authority.

Study of history of Georgian Church became of particular significance in 1904-1905, when the Georgian society offered the issue of restoration of autocephaly of the Georgian Church to Russian imperial court and Holy Synod of Russia. This requirement gained actual basis after the movement for liberation of the Russian Church from the influence of the state bureaucratic administration had started. They requested restoration of patriarchy and reorganization of Holy Synod. The Georgian priests actively started to struggle at the Synod sessions for achievement of this goal. At that time numerous researchers were conducted with the purpose of presentation of a history of gaining autocephaly by the Georgian Church.

After restoration of autocephaly (1917. 01. 10) the studies dealing with the autocephaly had significant role in the struggle of the Georgian Church for recognition of the rights of the Georgian nation by the world's autocephalous Churches.

Фархад Джаббаров

Князь М. А. Накашидзе: организатор армяно-азербайджанской резни 1905 г. или жертва клеветы?

Одной из наиболее острых проблем в истории Российской империи начала XX в. являлось обострение межнациональных противоречий, выливавшихся порой в кровопролитные столкновения и длительную вражду между народами. Периодически давали о себе знать такие этнофобии, как антисемитизм, взаимная армяно-азербайджанская и армяно-грузинская неприязнь, враждебность ко всему русскому у части населения Польши, Прибалтики и некоторых других районов, а также русский «черносотенный» шовинизм. К числу самых «проблемных» с точки зрения межнациональных отношений регионов империи относился Кавказ, где этноконфессиональные противоречия исторически переплетались с социально-экономическими проблемами края, и периодически усугублялись явными перегибами национальной политики правительства.

В условиях продолжающейся войны с Японией и начавшейся в стране революции, в 1905 г. власти империи столкнулись с ещё одной проблемой: с февраля практически во всех населённых пунктах Южного Кавказа, где проживали армяне и азербайджанцы, начались кровавые столкновения. Первый конфликт произошёл в Баку 6-9 февраля, затем волна насилия захлестнула и другие города. Получив в истории известность под названием «армяно-татарской резни»,¹ эти столкновения продолжались до конца 1906 г. и унесли жизни тысяч людей, а также оказали самое негативное влияние на социально-экономическую жизнь края.

В истории армяно-азербайджанского конфликта 1905-1906 гг. одной из наиболее драматических страниц является убийство бакинского губернатора князя Михаила Александровича Накашидзе, совершённое 11 мая

¹ Татарами называли азербайджанцев, живущих на Южном Кавказе.

1905 г. Назначенный в 1904 г. бакинским губернатором, он пробыл в этой должности всего год. М. А. Накашидзе (1844-1905) происходил из княжеского рода Кутаисской губернии. Окончил юридический факультет Санкт-Петербургского университета. В 1869 г. был назначен кандидатом на должность помощника мирового судьи Бакинского окружного суда, затем помощником мирового судьи в г. Лянкяран. В 1871-1880 гг. являлся мировым судьёй в гг. Шамахи и Лянкяран, членом Бакинского окружного суда. После увольнения был назначен правителем канцелярии начальника Дагестанской области. В 1888-1892 гг. исполнял обязанности временного военного губернатора Дагестанской области. В 1892-1903 гг. – вице-губернатор Эриванской губернии. 27 февраля 1904 г. назначен губернатором Бакинской губернии. Являлся действительным статским советником, неоднократно награждался высшими орденами империи.²

Личность князя М. А. Накашидзе с первых же дней резни стала предметом пристального внимания и общества, и правительства. С одной стороны, он являлся представителем высшей власти в Бакинской губернии и, естественно, нёс главную ответственность за всё происходившее в пределах вверенного ему региона. С другой стороны, М. А. Накашидзе превратился в основную мишень критики со стороны оппозиционных сил (в основном это были социал-демократы, армянские националистические партии «Дашнакцутюн» и «Гнчак»), обвинивших его не только в неспособности предотвратить резню, но и в непосредственной подготовке её и провоцировании беспорядков. Многочисленные прокламации, резолюции митингов, обращения изобиловали огульными обвинениями, обличающими «фактами» причастности бакинского губернатора к резне. Основу обвинений составляло то, что губернатор являлся организатором резни, сознательно закрывал глаза на избивание армян, поддерживая изначально противоположную сторону конфликта, не использовал вовремя и в должном количестве полицию и войска для предотвращения резни.

Эти обвинения позже были взяты на вооружение советскими историками, которые в своих работах следовали установившейся в официальной историографии версии о том, что, развязав резню, правительство хотело тем самым предотвратить намечавшуюся на 19 февраля политическую демонстрацию и отвлечь внимание от начавшейся в стране револю-

² «Каспий», 13 мая 1905 г., № 88, с. 3.

ции. Вот некоторые примеры. Историк Н. Саркисов в своей работе писал, что идея спровоцировать армяно-азербайджанскую резню была подсказана князю М. Накашидзе ещё в Петербурге. Возвратившись в Баку в январе 1905 г., он, сообщая с азербайджанской и армянской буржуазией, стал разрабатывать план реализации этого замысла.³ Подобного взгляда придерживался также З. Ибрагимов, который писал: «Проводниками этой гнусной политики царизма [имеется ввиду натравливание народов друг против друга – Ф.Д.] в Азербайджане были: бакинский губернатор Накашидзе, полицмейстер Деминский и другие царские сатрапы, которые вкупе с азербайджанскими и армянскими капиталистами спровоцировали в Баку армяно-мусульманскую резню».⁴ Схожую оценку давал и Г.Галоян, который в привычном для литературы того периода духе утверждал: «Армяно-татарская резня была органической частью внутренней политики царизма в Закавказье. Самодержавие рассчитывало этим путём отвлечь внимание народов Закавказья от русской революции, поднять друг против друга не только народы-братья, но и сломить интернациональное единство пролетариата России».⁵

Все эти обвинения в адрес М.Накашидзе, а в его лице – в адрес властей не опирались на какую-либо серьёзную доказательную базу и ссылки на достоверные источники, следовательно, они преследовали единственную цель – объявить имперское правительство главным виновником резни, скрыв более глубинные причины конфликта.

Сегодня, по прошествии более чем ста лет после резни 1905-1906 гг., когда исследователям доступны ранее закрытые архивы, и есть возможность выдвигать альтернативный взгляд на события прошлого, можно с полным основанием утверждать, что версия о запланированной правящими кругами России армяно-азербайджанской резне не выдерживает критики. Имперское правительство являлось наименее заинтересованной стороной в развязывании межнациональной резни. Вспомним, что это было время, когда на территории всей страны полыхал пожар революции:

³ Саркисов Н. Борьба бакинского пролетариата в период первой русской революции. Баку: Азгосиздательство, 1955, с. 48.

⁴ Ибрагимов З. Революция 1905-1907 гг. в Азербайджане. Баку: Азгосиздательство, 1955, с. 88.

⁵ Галоян Г. А. Сила интернационального единства (к событиям в Закавказье начала 1905 года). // Историко-филологический журнал, 1969, № 1, с. 69-70.

повсюду вспыхивали рабочие забастовки, крестьянские восстания, началось брожение в среде интеллигенции. Власть с каждым днём теряла авторитет в обществе, демонстрировала свою неповоротливость, неспособность к коренным реформам. Не стоит забывать, что в это время Россия ещё продолжала воевать с Японией, терпя значительные поражения. При таком крайне сложном и противоречивом положении могла ли власть быть заинтересована в расшатывании политических и экономических устоев страны посредством межнациональной резни? Притом где – в Баку, центре нефтяной промышленности? Ведь армяно-азербайджанская резня привела к уничтожению сотен промыслов, гибели рабочих и служащих, дезорганизации нефтяного дела.

Вывод напрашивается один: царская администрация не была заинтересована в дестабилизации ситуации, тем более методом межнационального конфликта. В тогдашних условиях ей нужно было меньше «горячих точек» на пространстве империи, да ещё в таком противоречивом регионе, как Кавказ. Все слова о том, что правительство, развязав резню, хотело тем самым предотвратить намечавшуюся на 19 февраля демонстрацию, не более чем домысел. Если бы это было так, то невольно напрашивается вопрос: почему царизм не предпринял этот шаг в июле 1903 г. и в декабре 1904 г., когда произошли мощные бакинские стачки, потрясшие всю Россию? Почему на такую непопулярную меру, чреватую ещё большим падением авторитета в обществе, власть пошла именно в смутном 1905 г.? Почему губернатор М. А. Накашидзе, которого обвинили в организации резни и жестоко убили в мае 1905 г., неоднократно запрашивал у вышестоящей власти на Кавказе дополнительные военные подкрепления для усмирения враждующих сторон? Кстати, М. А. Накашидзе в ответ на обвинения в его адрес в провоцировании резни, раньше своих оппонентов обратился в Тифлис и Петербург с просьбой прислать в Баку комиссию для расследования событий 6-9 февраля и неоднократно повторял свою просьбу. Мог ли «тайный вдохновитель и организатор резни», как его бичевали недоброжелатели, быть заинтересован в скорейшей присылке комиссии, могущей раскрыть факты его потворства азербайджанцам в организации резни армян?

Сегодня ответы на эти вопросы кажутся очевидными. Но в то время престиж власти в обществе упал настолько сильно, что подброшенная радикальными партиями версия была принята на веру и многими либеральными кругами, а также демократической интеллигенцией. Нельзя не признать, что разговоры о правительственном «следе» в разжигании межна-

ციональных конфликтов на пространстве империи, о братстве и дружбе народов, изнывающих под ярмом царского деспотизма были весьма популярны в обществе, и в случае с армяно-азербайджанской резнёй оно тоже поверило (или хотело верить), что два народа были рассорены третьей силой – правительством. Главным виновником же был обозначен губернатор М. А. Накашидзе. Правда, однозначно отрицать ошибки властей и лично самого бакинского губернатора тоже нельзя. Некоторая растерянность и замешательство, проявленные ими, сыграли на руку провокаторам, обернувшись тем, что город в течение четырёх дней резни оказался в руках погромщиков и грабителей. На неспособность губернской администрации предотвратить резню серьёзно повлияло также неудовлетворительное состояние бакинской полиции, её слабое вооружение, малочисленность. В самый разгар кровопролития в городе между губернатором и военными властями возникли противоречия: как впоследствии выяснило следствие, пререкания между князем М. А. Накашидзе и начальником Бакинского гарнизона адмиралом В. Балем явились во многом причиной бездействия или неслаженности действий войск.

Архивные документы, имеющиеся в распоряжении историков, позволяют проследить события февральской резни 1905 г. в Баку, её причины и предпосылки, а также непосредственное участие в этих событиях губернатора, приводя к заключению, что он во все дни кровавых столкновений предпринимал активные попытки прекратить резню и примирить враждующие стороны. Представляет интерес эпизод, когда 6 февраля, в первый день резни, М. Накашидзе инициировал проведение встречи представителей армянской и азербайджанской общин Баку для умиротворения населения, возложив её организацию на двух влиятельных лиц – армянина А. С. Меликова и азербайджанца Г. З. Тагиева. Однако встреча не состоялась по причине отказа Меликова от встречи с Тагиевым, и шанс прекратить резню в первый же день был упущен.⁶

Исторические факты свидетельствуют, что негативное отношение армянских националистических партий к М. А. Накашидзе уходит корнями намного раньше событий 1905 г., а именно в 1903 г., когда он, ещё не будучи губернатором, принимал деятельное участие в осуществлении царского указа о секуляризации имущества армяно-григорианской церкви.

⁶ Государственный исторический архив Азербайджанской Республики (далее: ГИА АР): ф. 185, оп. 11. д. 77, лл. 107-108; ф. 484, оп. 3, д. 4, л. 114.

Как известно, 12 июня 1903 г. император Николай II утвердил положение Комитета министров, предусматривавшее секуляризацию имущества армяно-григорианской церкви и переход под контроль государства тех имуществ и капиталов, которые не были связаны непосредственно с религиозной деятельностью. Этот закон вызвал противодействие как армяно-григорианского духовенства, так и большинства армянского общества, усмотревшего в этом ущемление прав церкви и лишение её источников дохода. По всему Кавказу прокатилась серия терактов против правительственных чиновников, участвовавших в процессе отбирания церковного имущества. 23 сентября 1903 г. комиссия по приёму церковных имуществ и капиталов прибыла в Эчмиадзин – резиденцию армянского патриарха-католикоса. Возглавлял комиссию тогдашний вице-губернатор Эриванской губернии князь М. А. Накашидзе. Когда он заявил о необходимости видеть католикоса, тот ответил отказом. Ситуация была напряжённой и М. А. Накашидзе, в виду непредъявления никаких документов и ключей от сейфов, приказал войскам взломать ящики и шкафы, в которых находились деньги. В результате было изъято 300 тыс. руб., которые привезли в Эриван.⁷ Эпизод с Эчмиадзинским монастырём продемонстрировал решимость М. А. Накашидзе, на которого была возложена секуляризация, беспрекословно исполнить правительственное распоряжение. Но она дорого стоила самому М. А. Накашидзе. Армяне тотчас занесли его в разряд своих врагов, как посягнувшего на главный оплот их национал-сепаратизма и терроризма – Эчмиадзинский монастырь. Февральская резня 1905 г. же стала дополнительным стимулом в усилении негативного отношения к М. А. Накашидзе, объявленного врагом всего армянского народа.

Против губернатора началась самая настоящая травля и, судя по архивным документам, общество постепенно осознавало, что М. А. Накашидзе ожидает физическая расправа. По свидетельству бакинского полицмейстера П. П. Шубинского, сам М. А. Накашидзе тоже понимал, что против него будет организован теракт, и вопрос этот является лишь вопросом времени.⁸ С другой стороны, как показывают факты, губернатор до конца своих дней продолжал сохранять хладнокровие, не просил об от-

⁷ Архив политических документов Управления делами Президента Азербайджанской Республики: ф. 276, оп. 8, д. 60, л. 3.

⁸ Шубинский П. П. Убийство князя М.А. Накашидзе (из воспоминаний очевидца). / Исторический вестник. Т. XXXV. Февраль, 1914, с. 553.

ставке или переводе на службу в другой, более безопасный, регион. Несмотря на раскрытие в феврале и марте 1905 г. покушений на его жизнь, М. А. Накашидзе упорно игнорировал все предостережения об опасности, пренебрегая дополнительной охраной. Складывалось впечатление, что он смирился с неизбежностью своей участи и достойно принимал вызов, брошенный ему смертью.

Несмотря на широко растиражированные оппозиционными партиями и рядом газет «свидетельства» участия местной администрации и лично бакинского губернатора в организации резни, следствие о февральской резне 1905 г. так и не нашло ни одного доказательства в пользу этого обвинения. Следует сказать, что обвинения эти строились на свидетельских показаниях очевидцев бакинской резни, состоявших, в основном, из числа лиц, по своим политическим взглядам настроенным нелояльно к существующему строю. Во многих подобных свидетельствах приводились совершенно бездоказательные факты, с явным оттенком предвзятости и сознательной клеветы. Например, в целом ряде показаний есть такие фразы: «губернатор разрешил убивать армян», «губернатор сказал: “Можете резать четыре дня”» и т.п. Свидетели, как правило, ссылались на то, что слышали эти фразы от неких азербайджанцев, оговариваясь при этом, что не запомнили их имена.⁹ Понятно, что подобные аргументы, основанные на явных слухах, которые невозможно было подтвердить серьёзными доводами, не могли составить доказательную базу обвинений против губернатора. Значительная доля показаний против М. А. Накашидзе приходилась на свидетелей из числа армян, что, по понятным причинам, тоже не могло считаться беспристрастной оценкой. Одним из самых громких обвинений, выдвинутых против бакинского губернатора, было якобы его сознательное бездействие во время поджога дома и убийства армянского миллионера Б.Лалаева. Вот что писал по этому поводу в воспоминаниях П.П.Шубинский: «Так, например, распушена была клевета, будто во время пожара дома богатого и влиятельного армянина Лалаева, убитого со всей семьёй осаждавшими его дом татарами, когда он из горящего дома умолял о спасении проезжавшего мимо губернатора, то этот последний, сидя верхом на лошади, с сигарой в зубах (князь Накашидзе никогда не курил), в ответ только пригрозил ему пальцем и обругал его; находившийся же поблизости с пятидесятью казаками полицмейстер Д. не принял никаких

⁹ ГИА АР: ф. 185, оп. 11, д. 73.

мер, чтобы остановить татар и освободить из горящего дома семью Лалаева. Само собой, что как этот рассказ, так и все другие ему подобные, составляли сущую клевету на князя Накашидзе и на чинов бакинской полиции. В действительности, как тот, так и другие сделали всё возможное, чтобы остановить армяно-татарское побоище, продолжавшееся три дня, но не в состоянии были достигнуть этого немедленно вследствие неимения в их распоряжении достаточных сил и средств».¹⁰

В фондах Российского государственного исторического архива сохранился любопытный документ – прошение в Гражданский кассационный департамент Правительствующего сената присяжного поверенного А. С. Зарудного, выступавшего в качестве доверенного опекунов малолетних Лалаевых. А. С. Зарудный выступал с иском против бакинского губернатора, обвиняя М. А. Накашидзе в том, что он виновен в смерти и поджоге дома Лалаева, которые произошли из-за «нерадения, неосмотрительности и медленности главного руководителя административной власти в Баку». А. С. Зарудный просил взыскать с М. А. Накашидзе 50 тысяч рублей с процентами и судебными издержками в пользу доверителя. Однако иск не имел последствий в виду убийства губернатора.¹¹

Сенатор А. М. Кузминский, ревизовавший Баку и Бакинскую губернию и составивший по итогам ревизии отчёт, назвал «чудовищной» версию о провокационной роли правительства, популярную в определённых общественных кругах.¹²

Несмотря на это, трагическая драма близилась к финальной развязке. 11 мая 1905 г. М. А. Накашидзе был убит от бомбы, брошенной террористами в фаэтон. Вместе с ним погибли есаул, двое горожан, находившихся в это время на улице, а кучер фаэтона был тяжело ранен и впоследствии тоже скончался. Ответственность за убийство губернатора взяла на себя партия «Дашнакцутюн», выпустившая в связи с этим прокламацию.¹³ Прокламация содержала набор традиционных обвинений в адрес М. А. Накашидзе и указание на то, что данное решение вотировано также другими революционными партиями. Следовательно, бакинский губернатор

¹⁰ Шубинский П. П. Убийство князя М.А. Накашидзе, с. 545.

¹¹ Российский государственный исторический архив: ф. 857, оп. 1, д. 1479, лл. 73-77.

¹² Всеподданнейший отчёт о произведенной в 1905 году, по Высочайшему повелению, сенатором А. Кузминским ревизии города Баку и Бакинской губернии. СПб., 1906, с. 347.

¹³ «Армянский вопрос» на Кавказе. По материалам российских архивов и изданий. 1724-1914. В 3-х т. Т. 2: 1905-1906. СПб.: Академия исследования культуры, 2011, с. 293-294.

воспринимался, как виновник армяно-азербайджанской резни не только армянскими, но и всеми оппозиционными партиями, что подтверждается и другими фактами. В частности, в архивных документах удалось обнаружить информацию о том, что ещё 19 февраля 1905 г., т.е. буквально через 10 дней после окончания резни, в Баку были задержаны террористы, принадлежащие к партии эсеров и готовившие покушение на М. А. Накашидзе.¹⁴ Сенатор А. М. Кузминский в своем отчёте привёл факты тесного сотрудничества дашнаков и эсеров, коснувшись и упомянутой попытки покушения на М. А. Накашидзе: «1904 и 1905 годы ознаменовались в деятельности армянских революционеров тем, что в это время произошло сближение их с русскими революционными партиями. В марте 1904 года, на конгрессе дрошакистов [«Дрошак» – печатный орган партии «Дашнакцутюн», в связи с чем в документах дашнаков часто называли дрошакистами – Ф.Д.] было, между прочим, постановлено предложить Кавказскому ответственному комитету партии и провинциальным комитетам стремиться к установлению солидарности с другими революционными организациями, борющимися на Кавказе с русским абсолютизмом, и особенно с партией социалистов-революционеров, которые признаются дрошакистами наиболее соответствующими их программе, как по теоретическим воззрениям, так и по способам борьбы. Со своей стороны и бакинские социалисты-революционеры стремились к союзу с дрошакистами и, в целях наиболее тесного сближения с ними, после событий 6-9 февраля замыслили убить бакинского губернатора князя Накашидзе, убийство которого входило также в их планы и было действительно осуществлено впоследствии дрошакистами. По поводу этого союза, в письме одного из бакинских социалистов-революционеров, посланном 12 февраля 1905 г. в Женеву на имя Виктора Чернова, между прочим, говорится: «Альянс с дрошакистами целиком зависит от ближайшей удачи одного акта. Если да, они, прохвосты, должны окончательно обтаять и пойти по нашей указке и, кроме того, давать деньги. Гм., это было бы очень недурно». Вследствие ареста нескольких соц. революционеров 18 февраля 1905 г., им не удалось привести в исполнение свой замысел об убийстве князя Накашидзе, о котором, как о совершившемся уже факте, ими была даже отпечатана прокламация».¹⁵

¹⁴ ГИА АР: ф. 484, оп. 3, д. 4, л. 190.

¹⁵ Всеподданнейший отчёт..., с. 363-364.

Таким образом, как явствует из приведённого факта, радикальные партии подходили к вопросу о причинах армяно-азербайджанской резни и роли в ней бакинского губернатора с одинаковых позиций. В пользу этого мнения говорят также листовки другой оппозиционной партии – РСДРП, которая, как и дашнаки, гнчакисты, эсеры, обвиняла правительство в развязывании резни, а губернатора в том, что он якобы «разъезжал между вооружёнными мусульманами, называл их «молодцами», хвалил их меткость и вооружение».¹⁶

Похороны М. А. Накашидзе состоялись 13 мая, при громадном стечении народа. На церемонии большинство присутствующих отмечали необоснованность возводимых на князя обвинений в причастности к событиям 6-9 февраля. Православный протеирей А.Юницкий, в частности, сказал: «Праведный Судья, общественная совесть вынесет свой приговор, и тогда оклеветавшие тебя увидят, что, если твоё имя не было очищено от клеветы при жизни, то она коснётся твоей памяти. Мир праху твоему, вечная память!»¹⁷

1 октября 1905 г. Кавказский военно-окружной суд рассмотрел дело об убийцах князя М. А. Накашидзе. Все пятеро обвиняемых были признаны виновными, четверо из них – С. Зилянц, Г. Мейрамов, Г. Сахакянц и Л. Арутюнов приговорены к смертной казни через повешение с лишением всех прав на состояние, а в отношении 16-летнего М. Агасянца суд нашёл смягчающие обстоятельства и составил отдельное постановление для представления начальству. Как сообщала пресса, «приговор был выслушан подсудимыми с удивлением».¹⁸

Но приговор этот не был приведён в исполнение. Подсудимые подали кассационную жалобу. Пока шло её рассмотрение, последовало издание Манифеста 21 октября 1905 г., на основании которого главный военный суд заменил смертную казнь подсудимых на каторжные работы по 15 лет каждому. Приговор о несовершеннолетнем М.Агасянце был отменён и «обращён к доследованию для выяснения его разумения». М. Агасянец был судим лишь в 1907 г. и по суду оправдан.¹⁹

¹⁶ Листовки Кавказского союза РСДРП. 1903-1905 гг. М.: Государственное издательство политической литературы, 1951, с. 276.

¹⁷ «Каспий», 14 мая 1905 г. № 89, с. 3.

¹⁸ «Баку», 4 октября 1905 г., № 134, с. 3.

¹⁹ Шубинский П.П. Убийство князя М.А. Накашидзе, с. 578; «Баку», 13 декабря 1905 г., №182, с. 3.

В архиве сохранилось обращение находящегося в бакинской тюрьме С.Зиальянца к бакинскому градоначальнику, поданное в апреле 1907 г., с просьбой о пересмотре обвинительного акта против него и других осуждённых за убийство М. Накашидзе. Однако просьба была оставлена без последствий. В 1908 г. С. Зиальянц, а в 1910 г. – Г. Мейрамов и Л. Арутюнов были отправлены в ссылку в Херсонскую губернию.²⁰

Убийство М. А. Накашидзе в мае 1905 г. стало не только очередной трагической страницей в истории армяно-азербайджанской резни. Оно явилось новым звеном в длинной цепи покушений и террора против представителей власти, с размахом прокатившихся по всей России. Напомним, что именно в этот период свыше 20 губернаторов были убиты либо разъярённой толпой, либо в результате терактов. Как отмечают исследователи, Первая русская революция легла главным образом на плечи местных властей и, прежде всего, губернаторов. В начале революции они (за редким исключением) оказались не готовы пойти на жёсткие репрессивные действия с применением оружия против зачинщиков беспорядков.²¹ Сказанное вполне может быть отнесено и к бакинскому губернатору М. А. Накашидзе.

²⁰ ГИА АР: ф. 46, оп. 5, д. 22, лл. 5-5 об., 17, 40.

²¹ Лысенко Л. М. Губернаторы и генерал-губернаторы Российской империи (XVIII – начало XX века). М.: Изд-во МПГУ, 2001, с. 105.

Farhad Jabbarov

KNYAZ M. A. NAKASHIDZE: MASTERMIND OF ARMENIAN-AZERBAIJANI SLAUGHTER IN 1905 OR A VICTIM OF SLANDER?

Summary

1905 is marked as the first year in a history of Armenian-Azerbaijani ethnic conflict affecting a number of cities in the South Caucasus. It should be noted, that only in 1905 in the city of Baku bloody clashes erupted three times, in February, August and October. Thousands of people were killed during this year. In the historical literature long-standing concept has prevailed that ruling political elites of the Russian Empire had triggered the violent clashes of Armenian-Azerbaijani population in 1905, in order to distract attention of the masses from revolutionary struggle. Governor of Baku, M. A. Nakashidze was charged as being the main organizer of inter-ethnic conflict. First of all, due to introduction into scientific usage a wide range of archival and documentary sources, their reinterpretation, and critical analysis made possible a new approach to the problem of ethnic conflicts between Azerbaijanis and Armenians in the early 20th century. The documents and material contained in current publication are associated with Nakashidze's activities during Armenian-Azerbaijani massacre in February, 1905. In particular, the paper examines the participation of M. A. Nakashidze in prevention of massacre and demonstrates the absurdity of accusations against him. The article shows that measures had been taken to prevent further clashes including the reconciliation of conflicting parties. Special attention is given to the use of particular measures and political methods for the prevention of further conflict. Some of published documents deal with the assassination of Baku governor by terrorists, which was one of the most tragic pages in the history of 1905.

ლელა სარალიძე

არისტიდ ბრიანი და კავკასიის ერთიანობის იდეა

არისტიდ ბრიანი (1862-1932წ.წ.), საფრანგეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ადვოკატი და დიპლომატი, სხვადასხვა დროს 11-ჯერ იყო საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ხოლო 26-ჯერ საფრანგეთის სხვადასხვა სამინისტროს (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, საგარეო საქმეთა) პორტფელი ებარა. იგი 1862 წელს, საფრანგეთის ქალაქ ნანტში დაიბადა. ა. ბრიანმა დიდი როლი შეასრულა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. მან, სხვა ფრანგ პოლიტიკოსებთან ერთად, ემიგრაციაში მყოფ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებს დიდი დახმარება გაუწია. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ა. ბრიანის მოსვლით საქართველოს მიმართ საფრანგეთის პოლიტიკის ახალი ორიენტაცია დაიწყო. 1918-1921 წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობდა სპეციალური განყოფილება, სადაც საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს აქტიურად შეისწავლიდნენ. საფრანგეთის ხელისუფლებას, ანტიბოლშევიკური პოლიტიკის მხარდასაჭერად, თავისი საფუძველი ჰქონდა. საფრანგეთი იყო ის ქვეყანა, რომელმაც რუსეთის ხელისუფლებაში საბჭოთა მთავრობის მოსვლის გამო, ბევრი რამ დაკარგა. ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს, ეცნოთ მეფის რუსეთის დროინდელი ვალები, რამაც მეტად მძიმე დარტყმა მიაყენა მილიონობით ფრანგ აქციონერს, რომელთა ფინანსური მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეირყა.¹

ევროპის სახელმწიფოები მეფის რუსეთის ხელისუფლების აღდგენას ემხრობოდნენ. თეთრგვარდიელთა დამარცხებისა და რუსული ანტიბოლშევიკური, ცენტრალური ხელისუფლების აღდგენის იმედგაცრუების შემდეგ, არ-

¹ J.-P. Duroselle. Histoire diplomatique de 1919 à nos jours. Paris. 1990, გვ. 68.

ისტიდ ბრიანმა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას დაუჭირა მხარი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრომ თავის თავზე აიღო, რომ მის ჯერქვეშ და მისი პოლიტიკური დირექტორის თანდასწრებით განხილულიყო საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე რუსეთის წითელი არმიის თავდასხმამდე ერთი თვით ადრე, 1921 წლის 20 იანვარს, არისტიდ ბრიანმა გააკეთა განცხადება და ევროპის ქვეყნების ლიდერებს მოუწოდა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ე. წ. „სანიტარული კორდონი“ შეექმნათ, რითაც რუსეთის აგრესიას წინ აღუდგებოდნენ. ამასთან დაკავშირებით ა. ბრიანმა საკუთარი ხელვა წარმოადგინა: „ბოლშევიზმი რუსული საქმეა, რომელიც საკუთარი საზღვრებით შემოიფარგლება და ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ რუსეთის საშინაო საქმეებში, თუმცა შეუძლებელია იმის დაშვება, რომ მოკავშირეებზე თავდასასხმელად საბჭოთა არმია საკუთარი ტერიტორიიდან გამოვიდეს“.² ბოლშევიკების დასასუსტებლად ა. ბრიანი მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ქვეყნების გაერთიანების იდეას, რათა საბჭოთა ხელისუფლებისთვის ერთიანი ძალით შეეგტათ.

1921 წლის 27 იანვარს მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი იყო, „დე იურე“-დ აღიარა. საფრანგეთის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი არისტიდ ბრიანი, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ – კარლო სფორცასთან ერთად, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს – ევგენი გეგეჭკორს პირადად შეატყობინა. ოფიციალურ ტელეგრამაში ნათქვამია: „ვამცნე რა თქვენი თავაზიანი წერილი კონფერენციას, უკანასკნელმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ეცნო საქართველოს მთავრობა იურიდიულად. მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან, კიდევ ერთხელ დაგიდასტურონ თავიანთი თანაგრძნობა, რომლითაც ისინი ყოველთვის ხვდებოდნენ ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ“.³

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 16 მარტს, საქართველოს დამ-

² G. Suarez. Briand Sa vie – son oeuvre avec son journal et de nombreux documents inédits. Vol. V. L'Artisan de la Paix 1918-1923. Librairie Plon, Paris, 1941, გვ. 111.

³ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლები. საქმე 1025, ფურც. 28.

ფუნქციონირება კრებამ დაადგინა მთავრობის წევრთა ემიგრაციაში გამგზავრება. გადაწყდა – ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად უცხოეთიდან გაეგრძელებინათ. ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ბოლშევიკურ რეჟიმს გაერიდა და უცხოეთში, ემიგრაციაში, ჰპოვა თავშესაფარი. ისინი ძირითადად იყვნენ საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრები, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები, ქართული არმიის და გვარდიის გენერლები, ოფიცრები, კოჯორ-ტაბახმელასთან რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, კონსტანტინოპოლის გავლით საფრანგეთში წასულიყო, საიდანაც აქტიურად მუშაობდა ბოლშევიკური უღლისგან საქართველოს გასათავისუფლებლად. აკაკი ჩხენკელი, საფრანგეთის მთავრობის მეთაურის მხარდაჭერით, ვეროპის ქვეყნებში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო.

ქართველი ემიგრანტები აქტიურად მუშაობდნენ უცხოეთში მყოფ სვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დასამყარებლად. ნ. ჟორდანიას საზღვარგარეთ ქართველი სოციალ-დემოკრატების მუშაობის პრინციპებს ასე აყალიბებს: „...ბრძოლა დემოკრატიისათვის ჩვენ გვაერთებს ამ დაჩაგრულ ხალხებთან, თვით ველიკოროსებთანაც, ხოლო ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის ჩვენ გვაერთებს ყველა დაჩაგრულ ერებთან, ველიკოროსების გამოკლებით, პირველ ყოვლისა, ჩვენ მოსაზღვრე ერებთან. სამწუხაროდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატია არ აწარმოებს ამ რევოლუციურ ბრძოლას. მას სურს დარჩეს ლოიალურ ოპოზიციად. ჩვენ ამ ოპოზიციონიზმთან არა გვაქვს რა საერთო... ჩვენ ვართ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ტერმინი „მენშევიზმი“ ჩვენი ტერმინი არ არის. ის მივიღეთ მაშინ, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ალიანსში ვიყავით, მაგრამ უკვე მაშინ ნათელი იყო ორგვარი მენშევიზმი – რუსული ოპორტუნისტულ-ლიკვიდატორული, ქართული – რევოლუციურ-პარტიული. ახლა, როცა ჩვენი პარტია მოეწყო საქართველოს ფარგლებში, როცა მენშევიკობა, რუსის სოციალ-დემოკრატია ოპორტუნიზმის და პოლიტიკური უხსნაითობის აშკარა სინონიმად გადაიქცა, ჩვენ მენშევიკები არა ვართ, ვიყავით და ვართ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ჩვენ ვუბნებით ყველა ხალხს და პარტიას – ებრძოლეთ საბჭოთა ტირანიას ისე და იმ გზით, როგორც ებრძვის საქართველოს სოციალ-დემოკრატია, მთელი ქართველი ერი...“⁴

⁴ სცსა. ფ. 2113. აღწ. 1. საქმე 33, ფურც. 16.

ლელა სარალიძე.
არისტიდ ბრიანი და კავკასიის ერთიანობის იდეა

საფრანგეთში მყოფ საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ საფრანგეთის იმდროინდელ მმართველებთან. საფრანგეთის ხელისუფლება და ხალხი ქართველი ხალხის მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფაქტს თანაგრძნობით შეხვდა. ქართველი ემიგრანტების ძალისხმევით, საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ საქართველოს საკითხის შესახებ არაერთი რეზოლუცია მიიღო, რომლებშიც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ფაქტი დაგმობილი იყო.

ა. ბრიანი, ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზნით, საქართველოს ოსმალეთთან დაახლოების მომხრე იყო. იგი თანახმა იყო ევროპის ქვეყნებს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მომავლის საკითხი, მათი დამოუკიდებლობის საფუძველზე გადაეწყვიტათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, საფრანგეთში ჩასვლისთანავე, მეზობელ რესპუბლიკათა წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო დაახლოების საჭიროება დაინახა. იმავეს ფიქრობდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების ემიგრანტებიც. 1921 წლის 10 ივნისს, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, ხელი მოეწერა „საკავშირო დეკლარაცია“.⁵ დაარსდა მუდმივი ორგანო „კავშირის საბჭო“, რომელშიც შედიოდნენ კავკასიის რესპუბლიკათა დელეგაციების მეთაურები. საქართველოს მხრიდან წარმომადგენლად დაინიშნა ა. ჩხენკელი. მსგავსი ორგანიზაციები დაარსდა ლონდონსა და სტამბულშიც. „საკავშირო დეკლარაცია“ ითვალისწინებდა 4 ძირითად საკითხს: 1) სადავო ტერიტორიული საკითხების სავალდებულო არბიტრაჟით გადაჭრა. 2) საბაჟოს საზღვრის გაუქმება და მთელი კავკასიის ეკონომიკურ ერთეულად გადაქცევა საერთაშორისო მიმოსვლისათვის. 3) სამხედრო კავშირი – თავდაცვისათვის. 4) შეთანხმებული გეზი საგარეო პოლიტიკაში.

კავკასიელ ემიგრანტთა შორის განსაკუთრებული როლი ქართველებს ჰქონდათ, რომლებიც გამაერთიანებელ ფუნქციას ასრულებდნენ. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან წამყვანი სახელმწიფოების მიერ იურიდიულად, მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო აღიარებული (ბოლშევიკებმა, 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანი, ხოლო 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთი გაასაბჭოეს – ლ. ს.) 1921 წლის 2 ივნისს არისტიდ ბრიანმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ემიგრაციაში მყოფი საქართველოს

⁵ Г. Г. Мамулия. Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей». Сборник документов, М. 2012, гл. 41.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური – ნოე ჟორდანია და საგარეო საქმეთა მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი მიიღო. შეხვედრა 15 წუთს გაგრძელდა. ა. ბრიანმა მათ გააცნო საფრანგეთის ხელისუფლების განზრახვა – ჯერ ოსმალეთი რუსეთისგან ჩამოეცილებინა და შემდეგ იგი საქართველოს და სხვა კავკასიური რესპუბლიკების კომბინაციებისთვის გამოეყენებინა. საფრანგეთის მთავრობის სურვილი იყო ბოლშევიკური რუსეთი კავკასიის სახელმწიფოების ალყაში მოექცია, რისთვისაც კავკასიელი ერის გაერთიანების იდეას აქტურად უჭერდა მხარს.

1921 წლის 3 აგვისტოს არისტიდ ბრიანი ემიგრაციაში მყოფი კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებს შეხვდა და მათ დახმარება აღუთქვა. საფრანგეთის მაშინდელი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიას, რადგან მიაჩნდა, რომ მას რუსეთისა და ოსმალეთის გათიშვის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო. ამიერკავკასიის ქვეყნების ემიგრანტებთან თანამშრომლობას ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური – ნ. ჟორდანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, თუმცა ითვალისწინებდა წარსულ შეცდომებსაც. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „...საომარი ხაზის კავკასიის ქედზე გადატანა და იქ ჩვენი შეერთებული ძალით გამაგრება თავდება გამარჯვების. მხოლოდ ამ შემთხვევაში ევროპა მოგვაქცევს სერიოზულ ყურადღებას და დახმარებას აღმოგვიჩენს; რომ არ მოვტყუვდეთ, საჭიროა ნათელი წარმოდგენა გვექონდეს ჩვენს მოკავშირეებზე. აზერბაიჯანი პოლიტიკურად ვერ აღმოჩნდა სანდო. მან პირველად მოიწვია ოსმალთ, ხოლო შემდეგ რუსეთი. ამიერკავკასიის ფრონტი მან დაარღვია ორჯერ. სამხედრო თვალსაზრისით, აზერბაიჯანელები ვერ წარმოადგენენ სასურველ ძალას რეგულარული ბრძოლისათვის, ვინაიდან სამხედრო სამსახური არ გამოუცდიათ. სამაგიეროდ, აჯანყების საქმეში, ისინი დიდად გამოსადეგი არიან, თავისი მასით და უშიშრობით... საუკეთესო მებრძოლი ელემენტებია მთიელნი და მათ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. სომეხი ხომ ჩვენთან არ წამოვა, ყოველ შემთხვევაში თავში, ხოლო შემდეგ, იძულებული იქნება ბრძოლაში ჩაებას ჩვენს გვერდით... როცა ჩვენ მოსკოვი შემოგვესია, აზერბაიჯანში და მთაში უცებ შეწყდა მოძრაობა და ამით დავრჩით სრულიად განმარტოვებულნი. მთავარია არა მარტო საქართველოს გაწმენდა ბოლშევიკებისაგან, არამედ სტრატეგიული საომარი ხაზის მოპოვება...“⁶

⁶ სცსა. ფ. 2113. აღწ. 1. საქმე 33, ფურც. 21.

აღსანიშნავია, რომ სომხებმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, უარყოფითი როლი ითამაშეს. მათ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაციის დისკრედიტაციისთვის ყველაფერი გააკეთეს. მათი მიზანი იყო ევროპელთა თვალში ქართველები არასაიმედო დელეგატებად წარმოეჩინათ. კონსტანტინოპოლში გამომავალ სომხურ გაზეთში – “Enaissance”, სომხებმა ანტიქართული სტატია დაბეჭდეს, სადაც სომხეთ-საქართველოს ომის (1918 წლის დეკემბერი) დამწყებად საქართველოს ხელისუფლება გამოიყვანეს. წერდნენ, თითქოს ქართველებმა ომის დროს თბილისი დაცალეს, თითქოს მათ შეუშალეს ხელი სომხებს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში და ქართველების ბრალი იყო ერზერუმის, ყარსის დაცლა. ყველაფერი ეს იმისთვის იყო გათვლილი, რომ ქართული დელეგაციის ავტორიტეტი დაეკნინებინათ.⁷

1922 წლის 6-12 იანვარს საფრანგეთის ქ. კანში გამართულ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრი ქვეყნების შეკრებას არისტიდ ბრიანი ხელმძღვანელობდა. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლის VI მუხლი მოითხოვდა საბჭოთა რუსეთს ჯარები გაეყვანა საქართველოდან. ვაშინგტონის კონფერენციაზე (1922 წლის იანვარ-თებერვალი) არისტიდ ბრიანმა რუსეთის განიარაღების საკითხი დააყენა. ამით ისარგებლა საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მეთაურმა გიორგი ჩიჩერინმა და რათა შემდეგში გენუის კონფერენციაზე, თავიდან აეცილებინა მთავარი კითხვები, განიარაღების საკითხი წამოაყენა, რითაც ევროპელი ლიდერების, მათ შორის ლიდ ჯორჯის, აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც მას სიტყვა შეაწყვეტინეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ემიგრაციული გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ წერს: „ჩიჩერინმა თავის სიტყვაში საზღვრებს პირველ დღესვე გადააბიჯა. მან სადემოგოგიით უფრო, ვინემ სამოქმედოდ, განიარაღების საკითხი წამოაყენა, აზრათ გვაქვს კონფერენციაზე შევიტანოთ წინადადება შეიარაღების საერთო შემცირების შესახებ და ხელი შევუწყოთ ყოველივე ზომას, რომელიც მილიტარიზმის სიმძიმეს შეამსუბუქებსო, განაცხადა მან. ამით მას ერთგვარად ევროპის საზოგადოებრივი აზრის მოგება უნდოდა და საფრანგეთის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება; თორემ ვინ არ იცის, რომ წითელი ჯარის გარეშე რუსეთის კომისრები თავისი ხალხის რისხვასაც ვერ გადაურჩებიან...“⁸

⁷ სცსა. ფ. 1864. აღწ. 2. საქმე 148, ფურც. 41.

⁸ რა მოგვიტანა გენუამ. გაზ.: „თავისუფალი საქართველო“. №23. პარიზი, 1922. 10 ივნისი, გვ. 5.

1922 წლის 1 აპრილს, საფრანგეთის პარლამენტში გამოსვლის დროს, ა. ბრიანმა მხარი დაუჭირა ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დელეგაციას, დასწრებოდა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, სადაც იგი საქართველოს სახელით იქნებოდა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ წინააღმდეგობაში მოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებთან, ბრიანი ამ გადაწყვეტილებას იმით ამართლებდა, რომ თავის დროზე ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა „დე იურე“ აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას სრული უფლება ჰქონდა, დასწრებოდა საერთაშორისო თავყრილობას. საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ საქართველოს საკითხის შესახებ სპეციალური რეზოლუცია მიიღო, რომელშიც აღნიშნულია: 1. ამიერკავკასიის ევაკუაცია უნდა იქნეს მოლაპარაკების დაწყების პირველ და მთავარ პირობად საფრანგეთსა და მის მოკავშირეთა შორის, ერთის მხრივ და საბჭოთა საბჭოთა რუსეთსა და ანგორას შორის, მეორეს მხრივ. 2. როდესაც მოწვეული იქნება კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, იქ აუცილებლად უნდა იქნეს განხილული საქართველოს და ამიერკავკასიის საკითხი. 3. კონფერენციაზე უნდა იქნეს მოწვეული რუსეთისა და ანგორის წარმომადგენლებთან ერთად თანასწორი უფლებით ევროპის მიერ კანონიერ მთავრობად ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი. იმავე ხასიათის რეზოლუცია მიიღო დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამაც. ორივე რეზოლუცია საფრანგეთის მთავრობის მაშინდელ თავმჯდომარეს რაიმონ პუანკარეს გადასცეს.⁹

საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი ერნესტ უტრიე ფრანგული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს: „ჩვენ ვიღებთ თავზე სითამამეს განვაცხადოთ, რომ წითელი რუსეთი კავკასიაში იქცევა, როგორც უზურპატორი... ბატონმა პუანკარემ განაცხადა, რომ რუსეთს არ მიეცემა უფლება წარმოადგინოს გენუაში კავკასიის ფსევდო დელეგატები. ძალიან კარგი! მაგრამ ეს არ არის საკმარისი, კავკასიის საკითხი უნდა დაისვას გენუის კონფერენციაზე. თუ ეს არ იქნა, უდიდესი წარმოებანი ბაქოს და გროზნოს რაიონებისა, რომლებიც ჩამორთმეული აქვთ მათ კანონიერ მესაკუთრეთ და საბჭოების ხელში იმყოფებიან, ისევ მათ დარჩებათ და ბოლშევიკებს მიეცემათ

⁹ საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში. გაზ.: „თავისუფალი საქართველო“. №20. პარიზი. 1922. 15 აპრილი, გვ. 16.

უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისთვის“.¹⁰

1920-1921 წლებში კაპიტალისტური სახელმწიფოები ომის შემდგომმა პირველმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ამ გარემოებამ ანტანტის ქვეყნები აიძულა, ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებზე ევროპის კონფერენცია მოეწვია. კონფერენცია გენუაში (იტალია) 1922 წლის აპრილ-მაისში, შედგა. კონფერენციაზე, სადაც 34 სახელმწიფოს წარმომადგენელი იმყოფებოდა, საბჭოთა რუსეთიც მიიწვიეს. ამერიკის მთავრობამ მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მაგრამ იქ თავისი მეთვალყურე მაინც გაგზავნა. გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ პარიზიდან არაოფიციალური დელეგაცია გაგზავნა. მასში შედიოდნენ: ა. ჩხენკელი, ი. წერეთელი, ს. მდივანი, გ. ვეშაპელი და ზ. ავალიშვილი. გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხის წამოწევას საფრანგეთის პოლიტიკური წრეების მხრიდან აქტიური გამოხმაურება მოჰყვა.¹¹

ა. ბრიანი მიიჩნევდა, რომ გენუის კონფერენცია ვალდებული იყო შეესრულებინა კანის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის მექვეყნე მუხლი და ბოლშევიკებისთვის საქართველოდან ჯარის გაყვანა მოეთხოვათ. საფრანგეთის ხელისუფლება, როგორც დემოკრატიული პრინციპების ტრადიციული დამცველი, გენუის კონფერენციაზე ბოლშევიკების წარმომადგენლის დაშვების წინააღმდეგი იყო. მართალია, გენუის კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობის არაოფიციალური დელეგაციის მუშაობამ ვერ შეძლო რუსეთის ხელისუფლება აეხულებინა საქართველოს ტერიტორიიდან ჯარი გაყვანა, თუმცა ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს საკითხის დასმა და მასზე მსჯელობა ქართველი დიპლომატებისთვის მაინც დიდი მიღწევა იყო. გენუის კონფერენციის შედეგებს ქართული ემიგრაციული პრესა ასე აფასებს: „გენუამ ვერ აუარა გვერდი საქართველოს, ვერ გაუდგა განზე მის საკითხს. მაგრამ მან შეიძლება ვერ მოგვცა ის, რაზედაც ოცნებობდა ბევრი: თავის დახსნა ბოლშევიკური ბარბაროსებისგან, მან ვერ გააყვანინა ჯარი რუსეთს, ვერც კი შეაჩერა სვანეთზე თავდასხმა, თუმცა მოსთხოვა იგი ჩიჩერინს. დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობა სამართლიანობის პრინციპზე კიდევ ლაპარაკობს, მაგრამ მის განხორციელებ-

¹⁰ დეპუტატი ერნესტ უტრეი კავკასიის და საქართველოს შესახებ. გაზ.: „თავისუფალი საქართველო“. №21. პარიზი. 1922, გვ. 9-10.

¹¹ Manvelichvili Alexandre, Histoire de la Géorgie. Nouvelles éditions de la Toison d'or. Paris. 1951, გვ. 449.

აზე ღიდად თავს არ იტკივებს. მისი მამოდრავებელია არა ეს ჰუმანური პრინციპი ადამიანთა კულტურის შემუშავებული, არამედ მშრალი ეგოიზმი – ანგარიშიანი დაცვა თავის ინტერესების და მხოლოდ ამის. სხვა ქვეყანასა და ერზე ზრუნავენ და ლაპარაკობენ იმდენად, რამდენადაც ეს მათ საკუთარ ინტერესებს ემსახურება, ეთანხმება, ისე მაგალითად, როგორც მექარხნე ზრუნავს თავის მუშებზე“.¹²

რუსეთის მზაკვრულმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა, ქ. ლოზანის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1922 წლის ნოემბერში გაიხსნა, საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა რაიმონ პუანკარემ წინადადებით მიმართა ინგლისისა და იტალიის მმართველებს, რათა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობა მიეწვიათ, თუმცა მოკავშირეთაგან თანხმობა ვერ მიიღო. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი საქართველოს მიწვევის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ, ასევე ფაქტობრივ, ე. ი. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის დაშვებასაც მოითხოვდა. ლორდ კერზონი ასე ასაბუთებდა თავის წინადადებას: „ინგლისმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ მას არ უცვნია იურიდიულად არც ერთი მთავრობა, არც ეროვნული და არც ბოლშევიკური. მე არ შემიძლია ამიტომ დაგეთანხმოთ ისეთი მთავრობის მოწვევაზე, რომელიც არ განაგებს თავის ტერიტორიებს“.¹³ რ. პუანკარემ ინგლისის წარმომადგენელს დაუსაბუთა, რომ ინგლისმა სხვა მოკავშირეებთან ერთად სცნო, როგორც საქართველო, ისე მისი ეროვნული მთავრობა. ამის შემდეგ, კერზონი იძულებული გახდა ელიარებინა თავისი შეცდომა, თუმცა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს მოწვევის საკითხში ის მაინც ურყევი დარჩა. რადგან შეთანხმებას ვერ მიადწიეს, გადაწყდა არც ეროვნული და არც საბჭოთა რუსეთის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობა მოეწვიათ. კონფერენციაზე გამოიკვეთა ოსმალეთის სურვილი, დაახლოებოდა ინგლისს. ოსმალეთის დელეგატმა – ისმეთ ფაშამ რუსეთის პოზიციების მხარდაჭერაზე უარი თქვა, რის გამოც რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ არა თუ ვერ მოიპოვა ახალი პოზიციები ლოზანაში, არამედ ძველიც კი დაკარგა.

კონფერენციის გადაწყვეტილებით, შავი ზღვა გადაიქცა საერთაშორისო ზღვად, სადაც შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოებისთვის როგორც სავაჭ-

¹² გაზ.: „თავისუფალი საქართველო“. №23. პარიზი. 1922, გვ. 3.

¹³ მეზარი საქართველოს სრულყოფილიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური მუშაობის შესახებ. სცსა. პარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლი. ს. 694, ფურც. 34.

რო, ისე სამხედრო გემების მიმოსვლა უზრუნველყოფილი იქნებოდა. საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ წარგზავნილი არაოფიციალური დელეგაციის ძალისხმევით, საქართველო შეტანილი იქნა კონფერენციის ოქმებში. გარდა ამისა, კონფერენციამ სრუტეების კონვენციის XII მუხლში საქართველოს ადგილი დაუტოვა. აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომელსაც სრუტეების საკითხში ახალი წესების შესრულებაზე მეთვალყურეობა ევალებოდა. იმავე მუხლის III აბზაცში, რომელსაც მეტსახელად „ქართველების აბზაცს“ უწოდებდნენ, აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს – საქართველოსა და უკრაინას, რომელთაც ლოზანის კონფერენციის მუშაობაში ოფიციალურად მონაწილეობა არ მიუღიათ, უფლება ჰქონდათ საერთაშორისო სრუტეების საკითხის შემსწავლელ კომისიაში საკუთარი წარმომადგენელი გაეგზავნათ.¹⁴ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, შემდგომში ეს პოზიცია ქართულმა ემიგრაციამ ვერ შეინარჩუნა. 1936 წლის 20 ივლისს შვეიცარიის ქალაქ მონტრეში საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა, სადაც შავი ზღვის სრუტეების ზონაში თურქეთის სრული სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ სპეციალური დადგენილება მიიღეს. კონფერენციაზე ხელი მოეწერა ახალ – მონტრეს კონვენციას, რომლის ძალითაც სრუტეების საერთაშორისო კომისია გაუქმდა, აღდგა თურქეთის სრული სუვერენიტეტი აღნიშნულ ზონაზე. ყველა ქვეყნის საკაჭრო გემებს როგორც მშვიდობიან, ასევე ომის დროსაც სრუტეების თავისუფალი გავლის უფლება ეძლეოდათ. მშვიდობიან პერიოდში ყველა შავიზღვისპირა სახელმწიფოს შეეძლო თავისუფლად გაეტარებინა თავისი გემები სრუტეებში.

კონფერენციაზე კამათი გაიმართა არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების სრუტეებში გატარების უფლების გარშემო. არაშავიზღვისპირა სახელმწიფოთა უფლებები მკვეთრად შეიზღუდა. მშვიდობიან დროს მათ შეეძლოთ შეეყვანათ შავ ზღვაში მხოლოდ მსუბუქი წყალზევითა გემები, სამი კვირის ვადით. ამასთან, არაშავიზღვისპირა ყველა სახელმწიფოს გემების საერთო ტონაჟის მოცულობა მკაფიოდ განისაზღვრა. ომის დროს, თურქეთის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში, სრუტეები დახურული უნდა ყოფილიყო მეომარი სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის, ხოლო საომარ მოქმედებებში თურქეთის ჩაბმის შემთხვევაში, სახელმწიფოებს უფლება ეძლეოდა ემოქმედათ

¹⁴ G. Mamoulia. Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945). éditeur Harmattan. Paris. 2009, გვ. 70.

სრუტეების ზონაში საკუთარი შეხედულების მიხედვით. მონტრეში ხელი მოეწერა სრუტეების ახალ კონვენციას, რომელმაც, ფაქტობრივად, შეცვალა 1923 წელს მიღებული ლოზანის კონვენცია, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც უძღურნი აღმოჩნდნენ საკუთარი წარმომადგენლის საშუალებით დაეცვათ საქართველოს ინტერესები მონტრეს კონფერენციაზე, იმედს არ კარგავდნენ, რომ სრუტეების საკითხის განხილვისას, საქართველოს უფლება, როგორც შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოსი, დაცული იქნებოდა, რადგან აქამდე მას ეს უფლება ლოზანის კონვენციამ შეუნარჩუნა.

რუსეთის წარმომადგენელი გიორგი ჩინერიანი შეეცადა სრუტეები დაეკეტა ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის, გარდა თურქეთის გემებისა, თუმცა ეს მამინ ვერ განახორციელა. რუსეთს სურდა შავი ზღვის გამოცხადება მონაპირე სახელმწიფოების დაკეტილ ზღვად, რაც გამოიწვევდა რუსეთის გაბატონებას დანარჩენ სახელმწიფოებზე.¹⁵

თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება, ნაცადი დიპლომატიური ხრიკებით, ერთმანეთისთვის ევროპის სახელმწიფოების გადაეკიდებას ცდილობდა. საფრანგეთს, რომელიც თავიდან ბოლშევიკების მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიმართ ორჭოფული პოზიცია ეკავა. რუსეთის ხელისუფლება საფრანგეთის მთავრობის მოსყიდვას ცდილობდა, რისთვისაც მას ვალების ცნობას, ძველი მეგობრობის განახლებას, კავკასიის და სპარსეთის ნავთის საბადოებში წილის მიღებას, ასევე, ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე დროებით გაჩუმებას ჰპირდებოდა. მოგვიანებით, რუს ხელისუფალთა ზეწოლით, საფრანგეთმა საკუთარი პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიმართ შეცვალა. 1924 წლის ოქტომბერში საფრანგეთმა საბჭოთა ხელისუფლება სცნო. მიუხედავად ამისა, ქართულმა ლეგაციამ პარიზში ოფიციალურად 1933 წლის ივლისამდე არსება. ქართული საელჩოს გაუქმების მოთხოვნით, პარიზში, საბჭოთა ელჩმა ქრისტინ რაკოვსკიმ, ა. ბრაინს ოფიციალურად არაერთხელ მიმართა.

1926 წელს არისტიდ ბრაინს 1925 წელს გერმანიასთან გაფორმებული ლოკარნოს ხელშეკრულების გამო, რომლის არსი ახალი მსოფლიო კონფლიქტის თავიდან აცილება იყო, გერმანიის კანცლერ გუსტავ შტრეზემანთან (1878-1929 წ.წ.) ერთად, მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა. არ-

¹⁵ ლ. სარალიძე. მონტრეს კონფერენცია და ქართული ემიგრაცია (1936 წ.). კრებულში: ქართული ემიგრაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, გიორგი მაჩაბლის ფონდი. კრებული I. თბ. 2010, გვ. 61-62.

ისტიდ ბრიანი ევროპის გაერთიანების სათავეებთან იდგა, რის გამოც მას სა-მართლიანად „ევროპის მამას“ უწოდებენ.¹⁶

1928 წლის 27 აგვისტოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არისტიდ ბრიანმა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ფრენკ კელოგმა საერთა-შორისო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომელიც 1929 წლის ივნისიდან შევიდა ძალაში. პაქტის ხელმძღვანელთა შორის იყვნენ საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ბელგია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია. პაქტის ხელმძღვანელ ქვეყნებს უარი უნდა ეთქვათ ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის გატარების მეთოდზე და ყველა სახის უთანხმოება მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ. პაქტის მესამე მუხლით ცხადდებოდა, რომ მასთან შეთანხმება ყველა სახელმწიფოს შეეძლო. 1929 წელს მას სსრკ-ც შეუერთდა. ეს ფაქტი ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ მკაცრად გააკრიტიკა. ქართველმა პოლიტიკოსებმა ხელშეკრულებაზე სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ლიტვინოვის ხელმოწერა მის დასუსტებად მიიჩნიეს.

ა. ბრიანმა პიერ ლავალის მთავრობაში (1931 წლის 27 იანვრიდან 1932 წლის 12 იანვრამდე), საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნით დაასრულა თავისი პოლიტიკური კარიერა. ა. ბრიანი, 1931 წლის სექტემბერში სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს – მაქსიმ ლიტვინოვს შეხვდა. მოლაპარაკება პარიზში გაიმართა. შეხვედრის ძირითადი საკითხები იყო სავაჭრო ხელშეკრულებისა და სსრკ-საფრანგეთის თავდაუსმელობის პაქტი. სავაჭრო ხელშეკრულება ვერ იქნა მიღწეული, თუმცა დაიწერა თავდაუსმელობის პაქტის პროექტი. არისტიდ ბრიანი 1932 წლის 7 მარტს გარდაიცვალა. მოგვიანებით ერთ დროს ქართული ინტერესების დამცველმა საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა, ედვარდ ერიომ, 1932 წლის 29 ნოემბერს, საფრანგეთის მთავრობის სახელით, საბჭოთა კავშირთან თავდაუსმელობის პაქტს მოაწერა ხელი, რასაც შედეგად პარიზის ქართული ლეგაციის გაუქმება მოჰყვა.¹⁷ საფრანგეთში ქართული საელჩოს გაუქმება, როგორც ფრანგულმა პრესამ, ასევე, საზოგადოებამ შეცდომად შეაფასა.

XX საუკუნის 30-იან წლებში პარიზში ქართველ ლტოლვილთა რაოდენობა 1500 კაცს აღწევდა. 1931 წლის მარტში საფრანგეთის საგარეო

¹⁶ G. Unger. Aristid Briand le Ferme conciliateur. éditeur: Fayard. Paris. 2005. გვ. 35.

¹⁷ ლ. სარალიძე. რუსეთ-საქართველოს 1932 წლის თავდაუსმელობის პაქტი და ქართული ემიგრაცია. კრებ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბ. 2010/2011, გვ. 380-385.

საქმეთა სამინისტრომ სპეციალური ინსტრუქცია მიიღო, რომლის ძალითაც, საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა კავშირის მოქალაქეებთან იყვნენ გაიგივებულნი. შესაბამისად, საფრანგეთში გადასაადგილებლად მათ ან საბჭოთა, ან კიდევ ნანსენის¹⁸ პასპორტი უნდა ჰქონოდათ.¹⁹ შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიაში და სტამბოლში საელჩოები „ოფისის“ ფილიალებად გადაკეთდა, რომლებიც იმ ქვეყნებში ქართველთა უფლებების დაცვასა და დასაქმებაზე ზრუნავდნენ.²⁰

ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკოსების დაქსაქსვა და პატრიოტი ემიგრანტების ლიკვიდაცია საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო.²¹ საბჭოთა უშიშროების თანამშრომლებიდან განსაკუთრებული აქტიურობით ს. ფირუშოვი²² გამოირჩეოდა.

¹⁸ ფრიტიოვ ნანსენი Fridtjof Nansen (1861-1930 წწ.) – ნორვეგიელი მეცნიერი, სწავლული-ზოოლოგი, ახალი მეცნიერების – ფიზიკური ოკეანოგრაფიის დამაარსებელი, პოლიტიკური მოღვაწე, ჰუმანიტი, ფილანტროფი. 1922 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი. ლტოლვილთა საკითხებში ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, წარმოქმნილი კონფლიქტების შედეგად, უცხოეთში გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად, მისი ინიციატივით, „ნანსენის პასპორტი“ შემოიღეს, რომელიც 50-ზე მეტ ქვეყანაში იყო აღიარებული. 1930 წლის 13 მაისს, ფ. ნანსენი 68 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ერთა ლიგამ, ფ. ნანსენის საქმის გაგრძელების უზრუნველსაყოფად, ნანსენის საერთაშორისო ოფისი დააფუძნა. აღნიშნულმა ოფისმა 1938 წელს, მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ჯერ კიდევ 1918 წელს, რუსეთის ტერიტორია სამმა მილიონმა ადამიანმა დატოვა. სამოქალაქო ომმა, რუსეთის მიერ შუა აზიის და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ოკუპაციამ, ერთა ლიგის წინაშე ლტოლვილთა საკითხი მთელი სიმწვავეით დააყენა. პრობლემის გადასაწყვეტად, 1921 წლის ზაფხულში, ჟენევის კონფერენციაზე, „ლტოლვილთა კომისარიატი“ შეიქმნა. ლტოლვილები უცხოეთის ქვეყნებში, „ნანსენის პასპორტით“ გადაადგილდებოდნენ.

¹⁹ სცსა. ფ. 1864. აღწ. 2. საქმე 877, ფურც. 1-2.

²⁰ რ. დაუშვილი. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში. თბ. 2007, გვ. 47.

²¹ ლ. სარალიძე. პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. წგნ.: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით). წ. II. ავტორები: დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, თბ. 2016, გვ. 312.

²² სიმონ გრიგოლის ძე ფირუშოვი (1889-1937 წწ.) – ერევნის გუბერნიის სურმაღინის მაზრაში დაიბადა. სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ეკონომიკურ განყოფილებაზე. პარალელურად რსდმპ-ს ინტერნაციონალისტთა ფრაქციაში ირიცხებოდა, რის გამოც 1911 წელს, მოსკოვიდან გაასახლეს. 1920-იან წლებში სომხეთის რესპუბლიკისთვის სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 1922-1925 წლებში, ბერლინში, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო წარმომადგენელი იყო, ხოლო 1925-1927 წლებში, სსრკ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მდივნი პარიზში. პარალელურად, სიმონ ფირუშოვი, რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სპეციალური დავალებით, ევროპაში მოქმედი ამიერკავკასიის ემიგრაციის წარმომადგენლების წინა-

ლელა სარალიძე.
არისტიდ ბრიანი და კავკასიის ერთიანობის იდეა

კავკასიელმა ემიგრანტებმა შემდგომშიც აქტიურად გააგრძელეს მუშაობა და კავკასიის კონფედერაციის პაქტიც კი მიიღეს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. საბჭოთა უშიშროების თანამშრომელთა აქტიურობა ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ ემიგრაციაში კავკასიელი პოლიტიკოსების გაერთიანების მცდელობა მხოლოდ იდეის დონეზე დარჩა.

აღმდეგ, აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებდა. 1925 წელს სკპ(ბ) წევრად მიიღეს. 1927 წელს სსრკ-ში დაბრუნდა და ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მუშაობდა. 1936 წელს ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის საგეგმო კომისიაში, ხოლო მოგვიანებით, ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. მალე იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა დააპატიმრეს. 1937 წლის ივნისში გამოძიებას სასურველი ჩვენება მისცა. 1937 წლის 25 ივნისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ სიმონ ფირუძოვს ტროცკისტულ-ზინოვიევისტურ დივერსიულ-მაკინებლური, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით, დახვრეტა მიუსაჯა, ქონების კონფისკაციით.

Lela Saralidze

**ARISTIDE BRIAND AND THE IDEA OF UNITY
OF THE CAUCASUS**

Summary

On the basis of the archive and emigration press materials, the fight of Georgian political emigration with the Caucasians emigrants, against the Bolshevik regime, discussed in this work. The idea of unification of the Caucasian forces, for to stop Russian aggression, was actively supported by the chairman of the Government and foreign minister of French - Aristide Briand.

After the occupation of Georgia, in March 1921, main part of the Georgian politicians went to foreign countries because of Bolsheviks regime. They take their refuge in emigration. Most of them were from Georgian Government also from Constituent Assembly and some of them were leaders and members of political parties. Georgian Generals and officers who fought in Kodjori and Tabaxmela also were in emigration.

On 16 March in 1921, Georgian Constituent Assembly decided to go to emigration because they wanted to continue their fight for freedom of Georgia. The leader of French government and minister of foreign affairs Aristide Briand (1862-1932) was one of the first, who gave the information to minister of foreign affairs Evgeni Gegechkori about the juridical acknowledgement of Georgian Democratic Republic which was made by leading countries of Europe.

Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgian Democratic Republic in European Countries - Akaki Chxenkeli, in the letter which he sent to Aristide Briand, talks in detail about the relationship of Georgia and France. On 3 august in 1921, Aristide Briand officially met the representatives of Caucasian republic, who were in emigration and promised to help them. At that time Caucasia had a great meaning to the French authority, because they thought that it would play an important role for disconnecting Russia and Ottomans. Members of Georgian Government, who were in France, had a close relationship with French leaders. French authority and people expressed

compassion because to failure of Georgia. With the efforts of Georgian immigrants, the French committee of foreign affairs, received many resolutions about the occupation of Georgia. In one of the Senate's session Astrid Brian requested to sent Georgian emigrated Government delegation to Genoa conference, as full-fledged representatives. He reminded to French deputies, that at this time French Government agreed the juridical acknowledgement of Georgian Democratic Republic. Russia, with its diplomatic intrigues, was trying to make a bad relationship between France and Other European countries, because the French government strictly criticized Russia's foreign policy,

Russia was also trying to persuade French government for that it was offering the renovation of old friendship, notification of debts also part of Caucasian and Persian oil layer and stopping, Versailles agreement revision. Later with the help of Russians pressure France changed his politic towards Georgian Democratic Republic and its immigration government. On October of 1924, French Government recognized the The Russian government Soviet power. Nevertheless, Georgian legation in Paris continued his existence. Soviet ambassador in Paris, Christian Rakovski officially addressed several times to A. Briand, demanding the cancellation of the Embassy of Georgia in France . In 1926, A. Briand awarded by the Nobel Peace Prize. A. Briand finished his political career on the position of minister of foreign affairs. He was on that position from 27 January 1931 to 12 January 1932. On September 1931, A. Briand met the Soviet foreign affair public commissioner Maxim Litvinov in Paris. The main issues were trade agreements and non-aggression Pact between France and Soviet Union. Trade agreement was not accepted, but non-aggression Pact was signed later, by Edouard Herriot on 29 November in 1932. Early, Edouard Herriot was the defender of Georgian Interests in Europe. However, his signing of this treaty was a precondition for abolition of the Embassy of Georgia in France.

თენგიზ სიმაშვილი

გიორგი გურჯიევი საქართველოში (1919-დან 1920-იან წლებში)

ჩემ მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტები ადასტურებს, რომ გიორგი ივანეს ძე გურჯიევი 1906 წელს საქართველოში ცხოვრებდა და „მოღვაწეობდა“.¹ აღსანიშნავია, ასევე, ის გარემოებაც, რომ გიორგი გურჯიევის დროის სხვა მონაკვეთში საქართველოში ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა გავრცელებული, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დაუსაბუთებელია. მაგალითად, მითი გიორგი გურჯიევისა და იოსებ ჯულაშვილის (სტალინი) თანასემიწარეილობის შესახებ, რაც, საარქივო მასალებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, არ დასტურდება.

თავის მხრივ, არსებობს დოკუმენტები, რომლებიც 1919-დან 1920-იან წლებში გიორგი გურჯიევის თბილისში ცხოვრებას და „მოღვაწეობას“ ასახავს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი გურჯიევისა და მისი „მიმდევრების“ მიერ 1919 წელს თბილისში „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის“ დაარსება. დამოუკიდებელი საქართველოს განათლების სამინისტროს ფონდებში შემორჩენილია მისი გახსნის თაობაზე გურჯიევის თანამოაზრეების მიერ დაწერილი განცხადება.²

აღნიშნულ საარქივო მასალას აქ არ მიმოვიხილავ და მხოლოდ მივუთითებ, რომ გიორგი გურჯიევის „თანამოაზრეების“ მოგონებებში გარკვეულ-

¹ თ. სიმაშვილი. გიორგი გურჯიევი საქართველოში (1906 წელი). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. X. თბ. 2016.

² საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1935. აღწერა 1. საქმე 728. ეს დოკუმენტი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში ასახულია აღნიშნული „საგანმანათლებლო ხასიათის დაწესებულების“ მიზნები და ამოცანები. იხ.: საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1935. აღწერა 1. საქმე 728, გვ. 2. ამ და გიორგი გურჯიევთან დაკავშირებულ სხვა თემატიკასთან დაკავშირებით შეგიძლიათ ნახოთ შესანიშნავი ისტორიკოსის ქალბატონ მანანა ზომერიკის შრომები.

წილად გაშუქებულია მისი თბილისში ცხოვრების პერიოდი.³

„ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის“ თბილისში დაარსების და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ჩანს, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა, ასე თუ ისე, ინფორმირებული იყო. ყოველ შემთხვევაში გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულა ასეთი განცხადება:

**„თფილისში იხსნება ინსტიტუტი ადამიანის ჰარმონიული განვითარების
გ. ი გურჯიევის სისტემით.**

ოლღას ქურჩა, სახლი მელიქ აზარიანცის №3. მეცადინეობა იქნება დილაობით და საღამოობით. საგნები: გიმნასტიკა – რიტმული, საექიმო, პლასტიური, ანტიური, ჯიუ ჯიტსუ.⁴ ვარჯიშობა – ნებისყოფის განვითარებისა. ემოციის, ინსტიკტების, აზროვნების, ხსოვნის, გულისყურის, სმენის, ხმის და სხვა. ამის საშუალებები: პრაქტიკული და თეორიული შესწავლა: 1) მუსიკის, 2) მხატვრობის, 3) სკულპტურის, 4) ცეკვა – აღმოსავლეთის და ევროპის ხალხების, 5) ენები – რუსული, ქართული, სომხური, ოსმალური, ბერძნული, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და სხვა. დიასახლისობა – კულინარია ჭრა-კერვა, ეკონომია, სარეცხის დარეცხვა, დაუთოება და სხვა. 6) ხელობა – დურგლობა, ფენსაცმლის მკერავობა, თერძობა და სხვა. ლექციები: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, რელიგია, პედაგოგია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, ესთეტიკა და სხვა. ინსტიტუტის ხელმძღვანელები იქნებიან: ჟანა ზალცმანი, მატინონი, თ. გარტმანი, მედიცინის დოქტორი ჩორნი, მედ. დოქტორი შერნავიანი, პ.დ. უსპენსკი, ინჟინერი პეტროვი, ვ. ვ. ჟუკოვი და სხვა.

მეცადინეობის დასაწყისში ხელმძღვანელობას გაუწევს ინსტიტუტს გ.ი. გურჯიევი, რომელიც დროებით იმყოფება თფილისში. დაწერილებითი ცნობების შეტყობა შეიძლება პირველ ლექციებზე. ბავშვებს და მოზარდებს დანიშნულ დროს გაასეირნებენ ინსტიტუტის გუვერნანტკები – რომლებიც მეცადინეობის შემდეგ ბავშვებს სახლებში წაიყვანენ. ცუდ ამინდში ინსტიტუტის ეტლები იმუშავებს. წინასწარ ჩაწერა მოხდება სახელმწიფო თეატრის კან-

³ Thomas and Olga Hartmann. Our Life with Mr. Gurdjieff. Morning Light Press. USA. 2011.

⁴ გიორგი გურჯიევი თავის წიგნში „შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან“ წერდა, რომ ის ფლობდა ჯიუ-ჯიტსუს – იაპონური ჭიდაობის ერთ-ერთ სახეობას. 1904-1905 რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ ჭიდაობის ეს სახეობა საკმაოდ პოპულარული გახდა რუსეთსა და ევროპაშიც.

ტორსში 11-1 და 7-8 საათამდე ყოველდღე 3 ნომერამდე, რომლის შემდეგაც ჩაწერა შეწყდება შენობის სიპატარავის გამო“ (სტილი დაცულია).⁵

გიორგი გურჯიევის თბილისში ცხოვრების შესახებ ასევე წერდა ისტორიკოსი ალექსანდრე კოჭლავაშვილი. ჩვენ მოვიძიეთ მისი დღემდე გამოუქვეყნებელი სტატიები გიორგი გურჯიევის შესახებ. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიაში „მისი ნამდვილი ვინაობა (რეპლიკა პროფ. მ. კვესელავას)“, ალექსანდრე კოჭლავაშვილი საკმაოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს გიორგი გურჯიევს და მის „ინსტიტუტს“ (იხ. დოკ. 1).⁶ საქმე ისაა, რომ 1967 წლის აგვისტოს N33-ში დაიბეჭდა მიხეილ კვესელავას სტატია „ვინ იყო გიორგი გურჯიევი?“. ამ სტატიით ავტორმა, ფაქტობრივად, იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას გააცნო ევროპაში გიორგი გურჯიევის შესახებ ჩამოყალიბებული შეხედულებები.⁷

მიხეილ კვესელავას მოსაზრებები, როგორც ჩანს, მიუღებელი აღმოჩნდა 1941 წელს ილიას მკვლელობის გამო დაპატიმრებული გიორგი ბერბიჭაშვილის საქმის ერთ-ერთი პირველი გამომძიებლის, საბჭოთა უშიშროების სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნამუშევარი, ხოლო სტალინის სიკვდილის შემდეგ კი პროფესიაშეცვლილი ალექსანდრე კოჭლავაშვილისათვის.⁸

რუსულად თარგმნილ სტატიას, რომლის დაბეჭდვაც, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, მას იმ დროს საბჭოთა კავშირში გამოძვალ ჟურნალ «Иностранная Литература»-ში სურდა, ავტორის მიერ სათაური აქვს შეცვლილი და „გიორგი გურჯიევი – მეფის „ოხრანკის აგენტი“ («Георгий Гурджиев – Агент Царской Охранки») ჰქვია (იხ. დოკ. 2).⁹ ქართულ

⁵ დოკუმენტი მოგვანოდა ახალგაზრდა მკვლევარმა ირაკლი ხვადაგანმა.

⁶ უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 269. ანაწერი 1. საქმე 24, გვ. 1-26.

⁷ ჩემი აზრით, თავის მხრივ, სწორედ ეს სტატია დაედო საფუძვლად საბჭოთა პერიოდში გიორგი გურჯიევის შესახებ შექმნილ მითებს, რის გამოძახილსაც დღესაც ვხვდებით ზოგიერთი ავტორის შრომებში.

⁸ ბატონ ალექსანდრე კოჭლავაშვილს საკმაოდ ვრცელი, ასევე გამოუქვეყნებელი, შესანიშნავი ნაშრომი აქვს დაწერილი ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელიც მის პირად არქივში – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში არის დაცული. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩემ მიერ მის ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის შესახებ მითითება მხოლოდ ფაქტების კონსტატაციაა და სხვა არაფერი.

⁹ უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 269. ანაწერი 1. საქმე 24, გვ. 27-38.

და რუსულ ენებზე დაწერილი სტატიის ორივე ვარიანტში ალექსანდრე კოჭლავაშვილი ასაბუთებს, რომ სწორედ გურჯიევი იყო მეფის საიდუმლო პოლიციის აგენტი და ავლაბრის არალეგალური სტამბის გამცემი.¹⁰

ალექსანდრე კოჭლავაშვილის ზემოთ დასახელებული სტატიის ქართული და რუსული ვერსიები, სათაურების გარდა, ერთმანეთისაგანაც გარკვეულწილად განსხვავებულია, თუმცა ორივე მათგანში გიორგი გურჯიევის საქართველოში საქმიანობაზე, კერძოდ, „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის“ შესახებ, საკმაოდ უარყოფითი მოსაზრებებია გამოთქმული.

კოჭლავაშვილი მიხეილ კვესელავას ზემოხსენებულ სტატიას მიმოიხილავს და „მარქსისტულ-ლენინური“ პოზიციიდან „სასტიკად“ აკრიტიკებს და, ასე ვთქვათ, „აცამტვერებს“ გიორგი გურჯიევის „აღზრდის სისტემას“.

ალექსანდრე კოჭლავაშვილის სიტყვებით: „ის გარემოება, რომ მენშევიკების განათლების სამინისტრომ ნება მისცა თბილისში დაეარსებინათ ასეთი ინსტიტუტი, რომელიც, როგორც ამბობენ, **რადაცა გაუგებრობის შედეგად, ჩვენს პერიოდშიც ერთხანს არსებობდა**, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ „გურჯიევის მოძღვრება – „პრინციპი“, რომელსაც ეს ინსტიტუტი ემყარებოდა, ნათელია, მისაღები და დღემდე უცნობი პერსპექტივების გადამშლელია“ (სტილი დაცულია. იხ. დოკ. 3).¹¹

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ალექსანდრე კოჭლავაშვილის ნაწერებიდან ჩანს, იგი იცნობდა იმ ადამიანებს, ვისაც „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის“ ფუნქციონირება თბილისში ახსოვდათ. მისი სიტყვებით: „საგულისხმოა ერთი ფაქტი: თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელს შუამდგომლობით მიმართეს, რათა გურჯიევისათვის ნება მიეცა უნივერსიტეტში ლექციის წასაკითხად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა უნივერსიტეტის წმინდა სახელის შეურაცხყოფად მიიჩნია გურჯიევის, როგორც ამორალური პიროვნების, დაშვება ლექციის წასაკითხად. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გურჯიევის პიროვნების დამახასიათებელი: ერთ-ერთ ქართველ მოღვაწეს გურჯიევი ქართულ კლუბში მიუყვანია და დაუთვალეირებინებია იგი. წასვლის შემდეგ კლუბის აღმფოთებულ დარაჯს საყვედური უთქვია იმ ქარ-

¹⁰ მინდა აღვნიშნო, რომ ავლაბრის არალეგალური სტამბის გამცემად სწორედ გიორგი გურჯიევს თვლის მკვლევარი ირაკლი ზვადგაიანი, თუმცა, ჩემი აზრით, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ რომელი მოსაზრებაც სწორი, ამის შესახებ პასუხს, ვფიქრობ, შემდგომი კვლევები გაგვცემს.

¹¹ უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 269. ანაწერი 1. საქმე 24, გვ. 7.

თველი მოღვაწისათვის, რომელმაც გურჯიევი ღამის კლუბში მიიყვანა. თბილისის ზოგიერთ გარეუბანში თურმე ახლაც გაიგონებთ გამოთქმას „გურჯიევის სკოლა ხომ არა გგონიაო“ (სტილი დაცულია).¹²

გურჯიევის აღზრდის სისტემის წინააღმდეგ „გალაშქრებული“ ალექსანდრე კოჭლავაშვილი წერს: „გურჯიევისეულმა „ჰიპნოპედურმა“ და სხვა ამორალურმა სუბსებმა ხალხში ერთობ არახელსაყრელი სახე შეუქმნა გურჯიევს და მის თბილისურ ინსტიტუტსაც. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო ისიც, რომ **იმდროინდელმა საბჭოთა პრესამ ნებისყოფის გამოძევაების ასეთ თაღლითობას „პლასტიტუცია“ უწოდა. ხელისუფლებამაც მყისვე მიკეტა ამორალობის ეს ლეგალიზებული ბუდე.**“ დასახელებული სტატიის რუსულ ვარიანტში კი მითითებულია, რომ „მენშევიკების პერიოდში ორგანიზებულმა ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი „გიგ“ სისტემით ძალე ხალხში იწოდებოდა „პლასტიტუციის“ ინსტიტუტად“ (სტილი დაცულია).¹³

ზემოაღნიშნული სტატიის ქართული და რუსული ვარიანტებიდან ეს ციტატები იმიტომ მოვიყვანე, რომ მათში, ჩემი აზრით, სხვა საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაა მითითება გაკეთებული. კერძოდ, საბჭოთა პერიოდში საქართველოში გარკვეული დროის განმავლობაში თითქოსდა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“ კვლავ ფუნქციონირებდა.

საქმე ისაა, რომ გიორგი გურჯიევის ოფიციალური ბიოგრაფიის მიხედვით, მან და მისმა თანამოაზრეებმა, საქართველო 1920 წლის მაისში ქალაქ ბათუმის გავლით დატოვეს და კონსტანტინეპოლში გაემგზავრნენ. ოფიციალური წყაროები ამის შემდეგ გიორგი გურჯიევის საქართველოში ყოფნას აღარ ადასტურებენ.

იმისათვის რომ, უფრო ნათლად წარმოვაჩინო ჩემ მიერ ახლად მოძიებული ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტების მნიშვნელობა, მინდა გაკვირვით შეგვხო გიორგი გურჯიევის საქართველოში ჩამოსვლის წინა პერიოდს. ცნობილია, რომ იგი 1912, ზოგი ინფორმაციით კი 1913 წლიდან, იწყებს რუსეთის იმპერიის ცენტრალურ ქალაქებში ცხოვრებას და გარკვეული ავტორიტეტიც მოიპოვა პეტერბურგისა და მოსკოვის „ინტელექტუალურ“ წრე-

¹² უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 269. ანაწერი 1. საქმე 24, გვ. 8.

¹³ უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 269. ანაწერი 1. საქმე 24, გვ. 12.

თენგიზ სიმაშვილი.
გიორგი გურჯიევი საქართველოში (1919-დან 1920-იან წლებში)

ებში, იმ ადამიანებში, ვინც დაინტერესებული იყვნენ აღმოსავლური ფილოსოფიის თუ აღმოსავლური „სულიერი პრაქტიკის“ შესწავლით.

ამის შემდეგ, 1917 წელს, გიორგი გურჯიევი რუსეთის იმპერიის სამხრეთში – ესენტუკის მახლობლად – ქირაობს აგარაკს და იქ იწვევს მოსკოვსა და პეტერბურგში „შეძენილ“ მოსწავლეებს. შემდეგ ტუაფსეში გადადის, სადაც რამდენიმე თვე მოსწავლეებთან ერთად რჩება და, თითქოს, კავკასიის მთებში ოქროს საძიებო სამუშაოების ჩატარების საბაბით ბოლშევიკებისგან მიღებული დაფინანსების გამოყენებით, თავის მოსწავლეებთან, ასევე ოჯახის წევრებთან ერთად გადმოდის კავკასიის მთებზე და 1919 წელს ჩადის თბილისში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო ფონდებში მოვიძიე აჭარის ჩეკა-ს (ЧК – чрезвычайная комиссия) მასალებში დაცული საქმე, რომელიც ეხება გიორგი კარაპეტის ძე გურჯიევის და ირანული წარმოშობის საფრანგეთის მოქალაქის, ვინმე ლუტვი კუცი აბდულას ძის ბათუმში ოქროთი სპეკულაციის ბრალდებით დაპატიმრებას.¹⁴

ამ საარქივო საქმეში არსებულ დოკუმენტებს დეტალურად აქ არ განვიხილავ, რადგან, ვფიქრობ, მათზე სიღრმისეული კვლევაა ჩასატარებელი. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ გიორგი კარაპეტის ძე გურჯიევი და ლუტვი კუცი 1921 წლის დეკემბერში დააპატიმრეს. დოკუმენტებიდან ისიც ჩანს, რომ ისინი, ფაქტობრივად, არ დაუსჯიათ. გიორგი გურჯიევისთვის, რომელსაც, დოკუმენტებიდან გამომდინარე, ბათუმში მარინსკის გამზირზე მალაზია ჰქონდა, ჩამოურთმევიათ სხვადასხვა დასახელების ქონება და მათ შორის ხალიჩებიც. იგი საკმაოდ სწრაფად, რამდენიმე დღეში გაუნთავისუფლებიათ, ხოლო ლუტვი კუცი დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ამ დოკუმენტების მიხედვით, გიორგი კარაპეტის ძე გურჯიევს პასპორტი სოხუმში 1919 წელს ჰქონია აღებული.

მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: როგორც ამ მასალებიდან ჩანს, შესაძლებელია საქმე გვქონდეს გიორგი გურჯიევის ცხოვრების ძალიან საინტერესო დეტალთან. მომყავს, ჩემი აზრით ერთ-ერთი საკმაოდ საინტერესო დოკუმენტის ამონაწერი. ეს არის საქართველოს ჩეკას კოლეგიის დადგენილება:

¹⁴ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (უშიშროების არქივი). ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 28911.

„9 აპრილი, 1922 წელი, იმის გამო რომ, ბრალდებულები იყვნენ საქართველოს ჩეკას საიდუმლო თანამშრომლები („სეკსოტ“ – სეკრეტნი სატრუდნიკ) და დღეს ისინი არიან გახსნილი (რასკონსპირიროვანი) და მათი თავისუფლად ყოფნა ამიერკავკასიის ფარგლებში ძალიან შეუშლის ხელს ჩეკა-ს მუშაობას, ბრალდებული გურჯიევი და ზამლინსკი გაძევებულ იქნან ამიერკავკასიის საზღვრებიდან“ (იხ. დოკ. 4).¹⁵

შესაბამისად, აღვნიშნავ, რომ გიორგი გურჯიევის ბიოგრაფიასთან კავშირში ეს მასალები საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიც, რადგან, როგორც ვიცით, გიორგი გურჯიევი იყო ივანეს ძე, და ამასთან, ოფიციალური ცნობებით, საქართველო 1920 წელს დატოვა.

მინდა აღვნიშნო, რომ ზემოდასახელებული ლუტვი კუცის 1921 წლის შემოდგომის პირას ბათუმში გასაყიდად კონსტანტინეპოლიდან გემით პროლუქტები ჩააქვს. აღსანიშნავია, რომ ბათუმში კონსტანტინეპოლიდან ჩასული ვაჭრის ოქროთი სპეკულაციის მსგავსი ფაქტის გამჟღავნების ისტორია ირიბად დასტურდება ცნობილი ჩეკისტის, ევგენი ღუმბაძის, მოგონებებშიც.¹⁶

დავუბრუნდეთ კვლავ გიორგი გურჯიევს. 1920 წელს კონსტანტინეპოლში შეხვედრილი მისი მოსწავლე ჯონ ბენეტი წერს, რომ მას გიორგი გურჯიევი გააცნო მისმა კოლეგამ ბრიტანეთის დაზვერვიდან უილიამ პინდერმა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში პასუხს აგებდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე და რომელმაც, თავის მხრივ, გურჯიევი 1919 წელს გაიცნო თბილისში.¹⁷

ჯონ ბენეტის სიტყვებით, გიორგი გურჯიევი კონსტანტინეპოლიდან და პარიზიდან ხშირად მიდიოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში რამდენიმეკვირიან თუ თვიან მოგზაურობებში, თითქოსდა, სხვადასხვა ეზოთერიკული სკოლების მასწავლებლების მოსანახულებლად. იგი, ასევე, წერს, რომ მიუხედავად ასეთი რეკომენდატორებისა, როგორებიც ის და პინდერი იყვნენ, გიორგი გურჯიევს კონსტანტინეპოლში ბრიტანეთის საელჩომ ინგლისში გასამგზავრებული ვიზა არ მისცა, რადგან გურჯიევს ბოლშევიკების აგენტად მიიჩნევდნენ.¹⁸

¹⁵ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (უშიშროების არქივი). ფონდი 8. აღწერა 1. საქმე 2203, გვ. 388.

¹⁶ Е. Думбадзе. На службѣ чека и коминтерна (личные воспоминания). Издательство «Мишень». Париж. 1930, გვ. 106.

¹⁷ J. G. Bennett. Gurdjieff: Making a New World. First published Turnstone Books, London UK, 1973. Reprint edition. Petersham MA. USA. 1992.

¹⁸ J. G. Bennett. Gurdjieff: Making a New World.

თენგიზ სიმაშილი.
გიორგი გურჯიევი საქართველოში (1919-დან 1920-იან წლებში)

საინტერესოა, რომ 1924 წლის იანვარში, როდესაც გიორგი გურჯიევი თავისი მოწაფეებითურთ გაემგზავრა ამერიკაში, უილიამ პინდერმა, რომელიც ფიქრობდა, რომ გურჯიევი იყო საიდუმლო აგენტი, გადაქექა გურჯიევის პირადი არქივი.¹⁹

ამრიგად აშკარაა, გიორგი გურჯიევის პიროვნების და საქართველოში მისი საქმიანობის უკეთ შესასწავლად აუცილებელია დასახლებული პიროვნების თუ პიროვნებების – გიორგი ივანეს ძე გურჯიევის და გიორგი კარაპეტის ძე გურჯიევის იდენტიფიცირებისთვის უცხოურ საარქივო ფონდებში დამატებითი მასალების მოძიება. თუმცა, გამომდინარე საქართველოში კვლევითი პროექტების დაფინანსების თანამედროვე „პრაქტიკიდან“, ჩემთვის ეს შორეული და ბუნდოვანი პერსპექტივაა.

¹⁹ The Gurdjieff Legacy Foundation Archives. Frank Pinder (1882–1962) <http://www.gurdjiefflegacy.org/archives/fpinder.htm>.

ГЕОРГИЙ ГУРДЖИЕВ - АГЕНТ ЦАРСКОЙ "ОХРАНКИ"

В настоящей статье предполагается на основе выявленных нами архивных документов и мемуарной литературы старых революционеров-большевиков дать читателям дополнительные сведения о деятельности Георгия (Жорж) Гурджиева, как агента-провокатора царской "охранки" ещё в период его проживания в Грузии.

В интересной своей статье "Зловещие тени прошлого" Ц.И.Кин наряду с другими важными фактами сообщила, что Жорж Гурджиев, проживая в Тибете, являлся одновременно и "главным агентом-осведомителем царского правительства" ("Иностранная литература", 1965, № 4). Тем не менее некоторые биографы Гурджиева утверждают, что он якобы "вообще, никогда не интересовался политическими движениями". Однако имеющиеся у нас достоверные конкретные данные категорически опровергают это утверждение.

С начала XX века по всей России, в том числе и в Закавказье, быстро усиливалось революционное движение масс. В.И.Ленин подчеркивал, что политический подъём особенно острый характер принял в Закавказье (см. В.И.Ленин. Соч., т.9, стр.418, 420 и другие), в частности после декабрьского восстания. В связи с усилением реакции, по указанию партии большевиков, местные организации широко развернули работу по подготовке нового вооружённого восстания, вооружая революционно настроенные массы. На местах создавались боевые отряды, кружки по изучению военного дела и изготовлению бомб, взрывчатых веществ и т.д. В Тбилиси была создана специальная военно-техническая группа во главе с извест-

4.

ხელა №90. ზამინისკაგო ნო ლვიუ ნოგო, რთო ობიუჟენი
ბორისა 400. ო პრეტენ სოციალი სენსოი უ.კ.ვ. ო ნაიოვ-
სენი. ნო დოკუმენტი უცე ვრემი რაკონსტირირანი ო
ოქ პრედვანი ნა ვანი ო პრედიქ
ზაკავაზუ ომბიო ომენაი
რადონე უ.კ., ობიუჟენი ტურდ-
თივა ო ზამინისკაგო ომსენი
ნო პრედიქოვ ზაკავაზუ. ომს
სიბრანიო კონფიკოვანი. დენა
პრეკრაიტი ო სჯაი ო არხივ

Tengiz Simashvili

**GIORGI GURDJIEV IN GEORGIA
(FROM 1919 TO 1920s)**

Summary

It is known that Giorgi Gurdjiev and his followers established “Institute for the Harmonious Development of Man” in 1919 in Tbilisi. Archive material preserved in the National Archive Funds of Georgia confirms Giorgi Gurdjiev’s activities from 1919 to 1920s in Tbilisi.

We have found unpublished articles about Giorgi Gurdjiev in personal archive of Aleksandre Kotchlavashvili (the Georgian historian of the 20th century). I have found quite interesting information in those articles, particularly, noteworthy is Aleksandre Kotchlavashvili’s consideration of existence of “Institute for the Harmonious Development of Man” in the Soviet times.

I have discovered a case from Adjara Cheka (chrezvychaynaya komissiya, Emergency Committee of Soviet Union) material preserved in archive funds of the Ministry of Internal Affairs of Georgia; the case deals with arresting someone named as Lutvi Abdulla Kutsi, citizen of France of Iranian origin and Giorgi Karapetovich Gurdjiev in Batumi accused of gold speculation at the end of 1921. According to those archive material, Giorgi Karapetovich Gurdjiev who was trading and owned a shop of various goods in Batumi seems to be an agent of Georgian Cheka.

These material linked with Giorgi Gurdjiev’s biography is quite interesting, however, somewhat is contradictory, as we know, Ivane was patronym of Giorgi Gurdjiev. Together with this, according to official notes, he left Georgia in 1920.

Hence various archive material give us a basis to declare that in order to study Giorgi Gurdjiev’s personality and his activities in Georgia finding additional material in the foreign archive funds is necessary. This is important for identification of person or persons – Giorgi Ivanovich Gurdjiev and Giorgi Karapetovich Gurdjiev.

Nikolai Javakhishvili

**Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the
life of a Latvian artist)**

Dedicated to Roman Suta's 120th birthday

The later period of the life and activities of the famous Latvian artist, designer and teacher Roman Suta (1896-1944) was associated with Georgia.¹

The present paper tells about Roman Suta's Tbilisi period and his closest Georgian surroundings.

* * *

Alongside with being a professional artist, R. Suta was excellently aware of the world history of culture and current events in the arts of the time, that having been resulted both from his self-education and his international trips and personal links with his European colleagues.

Beginning from 1939, Roman Suta got keen on arts. His first work was to design the scenery for the film *Uprising in Kauguri*, made by the Riga Film Studio. Following that, the designer proceeded to make the scenery for *Melancholic Waltz*, a film about the composer Emīls Dārziņš, interrupted due to the outbreak of the war between Germany and the USSR.

According to the film director Vilis Lapiņš, in the spring of 1941, he and R. Suta were in Moscow where they got acquainted with “the administrator of the Georgian film studio”.²

¹ N. Javakhishvili. *Essays of the History of Georgian-Baltic Relations*. Riga. 2015, pp. 194-196 (*In Russian*); N. Javakhishvili. *Roman Suta in Georgia*. Magazine «Istoriani». Tbilisi. 2016. № 70, pp. 30-37 (*In Georgian*).

² B. Vanaga. *Romans Suta – Filmu «Kaugurieši» un «Melanholiskais valsis» dekorators*. Mākslinieka un operatora sadarbības aspekts. «TEKILA». Teātra un kino lasījumi. Rīga. 2011, p. 109 (*In Latvian*).

Since 1940, the famous theater and film director, actor, screenwriter, sculptor, painter and teacher Mikheill Chiaureli (1894-1974) was an artistic manager of the State Film Production of Georgia (later, *Kartuli Pilmi* “Georgian Film”).

According to Natalya Yevseeva, manager of the Roman Suta’s and Alexandra Beltsova’s Museum, “the head of the Georgian film studio offered R. Suta a job in Tbilisi; the Latvian painter accepted the offer with pleasure. He was very fond of the Caucasus and, particularly, of its central part -- Georgia, and everything associated with it. As the aforementioned V. Lapeniéks said, R. Suta was “infected with the bacillus of the Caucasus.” In the spring of 1941, when the German armed forces were attacking on Riga, Roman Suta realized that it was his last chance to leave and see Georgia. The painter made the decision to leave quickly, without really waiving goodbye to his family. As his daughter Tatyana Suta recollects it, father called her mother (Alexandra Beltsova) and told her that he was leaving”.³

In 1941-1943, Roman Suta lived in Tbilisi employed as a designer at the Georgian film studio.⁴

At the Georgian film studio, R. Suta worked on the following films: *In the Black Mountains* (1941, directed by Nikolai Shengelaia), *Elusive Jan* (1942, directed by Isidor Annensky and Vladimir Petrov), *Jurgai’s Shield* (1944, directed by Siko Dolidze and David Rondeli) in association with Evgeni Machavariani, as well as on the film *Giorgi Saakadze* (1942-43, directed by Mikheil Chiaureli).

R. Suta’s successful career of a designer was discontinued by his arrest on September 4, 1943. He was convicted on two articles – 58-Ia and 58-II of the Criminal Code of the RSFSR (the article on “enemies of the people”), as well as on faking of bread coupons (in accordance to the Law of August 7, 1932) and was sentenced to 10 years in camps and confiscation of property. On July 14, 1944, he was executed.⁵

In 1959, the Supreme Collegium of the USSR Supreme Court quashed the verdict against R. Suta under Articles 58-Ia and 58-II, but upheld the verdict

³ N. Javakhishvili. *Essays of the History of Georgian-Baltic Relations*. Riga. 2015, p. 195 (*In Russian*).

⁴ V. Kocere. *Gruzija-Latvija: vakar, šodien, rīt. «Latvijas Zinātņu Akadēmijas Vēstis»*. A – daļa: Sociālās un humanitārās zinātnes. Rīga. 2008, № 2, pp. 62-63 (*In Latvian*).

⁵ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

on bread coupons. Therefore, he maintained the status of a repressed artist and was not completely rehabilitated.

In his memoirs, the famous Georgian playwright and journalist Kita Buachidze (1914-2000), who, owing to his anti-Soviet way of thinking, spent many of his youth years under arrest, has preserved interesting facts about R. Suta's life in Tbilisi. He recalled that when, having endured a long and tiresome queue, characteristic of the Soviet way of life, and having bought her favorite boots, Margarita (Margo) Astvatsaturova, a resident of Tbilisi, told her friend R. Suta about her suffers, he jokingly replied: "And after that your portrait did not appear on the cover of the Magazine *USSR in Construction* to glorify how heroically you got the boots?"

According to K. Buachidze, shortly after the joke, M. Astvatsaturova and R. Suta were arrested.⁶

The essential question is the following: how realistic were the charges against Roman Suta having caused his death?

Answers to this question can be found among his friends and in the Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. The Archive preserves the materials,⁷ providing detailed information on the activities of R. Suta and his associates.

* * *

At the end of January, 2011, I talked with the prominent writer Mzechabuk (Chabua) Amirejibi (1921-2013) about the organization "Tetri Giorgi" ("White George"). It should be noted that he is an author of the famous novels: *Data Tutashkhia*, *Gora Mborgali*, *George the Brilliant*, and a number of other writings. The TV serial *Shores* (1977; screenplay by Chabua Amirejibi, directed by Giga Lortkipanidze and Gizo Gabeskiria), based on his novel *Data Tutashkhia*, was a great success on the USSR television. He was decorated with the State Prize of the USSR (1979) and the Shota Rustaveli Prize (1994), with the Order of Honor and Order of Vakhtang Gorgasali (1st and 2nd Classes), as well as of St. George (from the Georgian Orthodox Church). He was elected to the Parliament of Georgia from 1992 to 1995. Three years before his death, C. Ami-

⁶ K. Buachidze. Registers of enemy of people during the half century (1929-1979 rr.). Tbilisi. 2003, p. 160 (*In Georgian*).

⁷ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

rejibi was consecrated as a monk by the blessings of the Catholicos-Patriarch of All-Georgia Ilia II and was given the name David. Due to his severe health condition, the Holy Synod of the Georgian Orthodox Church permitted the ceremony to be held at the writer's own apartment. He was buried on the Mount of St. David (Mtatsminda) in the Pantheon of Writers and public figures.

Chabua Amirejibi told me the following: "After the outbreak of the war between Germany and the USSR, my close friend age-mate Levan (a.k.a. Mustafa) Shelia founded the illegal national liberating organization "Tetri Giorgi," and, together with me, both ethnic Georgians (mostly of the noble descent) – Lean Abdushelishvili, uncle (mother's brother) of Levan Shelia, brothers Archil and Giorgi Tsulukidze, Vakhtang Jorjadze, Giorgi Machavariani, and others, and non-ethnic Georgians residing in Tbilisi – the artist Roman Suta, Eleonora (Nora) Pfeffer, Wilhelm Siller joined it. We were all set up anti-Soviet. Our principal goal was to overthrow the hated occupation regime and to regain the independence of the Georgian state. We hoped that the German troops, who successfully got hold of the northwestern part of the North Caucasus and, by the Autumn of 1942, stood at the border of central Georgia, would soon liberate us from the Soviet regime. In order to collect money for clandestine activities, we printed and sold fake bread coupons, in which R. Suta's talent and know-how appeared to be very beneficial. He was a friend of Georgian artists with some of whom he got acquainted during his stay in Paris. Roman hated the Soviet regime which victimized his homeland as well as Georgia. Therefore, he enthusiastically got involved in the activities of our organization. Levan Sheli and I respected Roman very much who was 25 years older than we and was actually of a father's age. He frequently told us interesting stories of his life in independent Latvia and in countries of Western Europe. The Latvian artist was fascinated by the rich history and culture of the Georgian people. Our struggle for independence reminded him of the history of the freedom-loving Latvian people.

On May 26, 1943, "Tetri Giorgi" celebrated the 25th anniversary of the restoration of Georgia's statehood. The friendly feast was led by the brilliant toastmaster Levan Abdushelishvili. Since his early years, he was an ideological enemy of the Bolsheviks. Following the Georgian tradition, at the end of the banquet, the toastmaster pronounced toasts to all the participants of the feast, among them, for Roman Suta, a representative of the older generation of our organization. Listing the merits of the Latvian artist, Uncle Levan said: "When our common dream comes true and our beloved homeland is finally freed from the disgraceful occupational Soviet regime, we will establish the order "Tetri

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

Giorgi” and reward our esteemed Roman for his merits before Georgia; he will be the first foreigner to be decorated with this prestigious award. Moreover, we will ask Roman to stay in Tbilisi and will appoint him a manager of the factory for printing of money and government treasury securities of Georgia!” All of the participants of the banquet stood up, raised their glasses in honor of Roman and expressed their unanimous support for the toastmaster.”

It should be noted that, during Roman Suta’s stay in Paris, young Georgian artists Elene Akhvediani (1898-1975), Ketevan Magalashvili (1894-1973), Lado Gudiashvili (1896-1980), and David Kakabadze (1889-1952) lived there; later, they returned to Georgia and became prominent artists.

It should also be noted that, when the film *Giorgi Saakadze* was being made, the film-makers looked for a young man with a pronounced Georgian appearance for the role of Luarsab II (1592-1622; reigned in 1606-1614), King of Kartli/Kartalinia (Central Georgia). 20-year-old Mzechabuk Amirejibi was among those invited for casting. He met all the parameters, and his approval for the role was virtually decided. There is even a photo in which Mzechabuk is dressed in the clothes of the Georgian king. However, quite unexpectedly he was rejected owing to his noble descent. It may be assumed that it was then when he met and made friends with the designer of the film studio Roman Suta.

Poet Tamar Javakhishvili (b. 1937), wife of Mzechabuk Amirejibi, confirms that her husband always recalled Roman Suta with great respect. She gave me an excerpt from an unpublished memoir by Mzechabuk Amirejibi which reads: “There was a Latvian intellectual in Tbilisi – the artist Roman Suta. He told me that, on the eve of the occupation of Riga by the Germans, he, together with other necessary individuals, was literally “kidnapped” by the Soviet secret police... Initially, he was taken to Moscow, at the Mosfilm studio, then, he moved to Tbilisi, to the Georgian Film Studio where he was assigned to work on the scenery of one of the films. I met Roman by chance who was a staunch anti-communist. When Levan Shelia gave me an assignment about printing of bread coupons, I had to find an appropriate professional. I was to act cautiously. I chose Roman as a man with anti-Soviet ideas. I introduced him to Levan who agreed to meet him. It turned out that Roman was very well aware how to make any kind of clichés of zinc plates and to transfer a resulting image onto paper. He willingly agreed to print fake bread coupons... When Levan Shelia moved from my apartment to another one, he took Roman and all the equipment with him... Our organization had several secret apartments in Tbilisi, one of which was located in upper Sololaki, in the house of Margarita Astvatsaturova, Roman’s friend.”

The history of the organization “Tetri Giorgi” has been described in the novel *Gora Mborgali*, in which the author – Chabua Amirejibi is mentioned under the assumed name Iagor Kargareteli (nicknamed as Gora Mborgali), Levan (Mustafa) Shelia – under the assumed name of Kemal Turkia, and Roman Suta – under his real name.⁸

In Chapter 7 of the novel *Gora Mborgali*, we read: “...A certain Kemal Turkia, my age-mate, lived in Tbilisi. Initially, he was in prison as a counter-revolutionary when he was fifteen. Kemal lost his parents in his early years. His father, a hereditary intellectual, died; his mother, belonging to an ancient noble family, was hit by a tram when carrying a parcel for her son in Ortachala prison. Having served a three-year term, Kemal came back home in 1940... And during the war, when the Germans were on their way to Stalingrad, suddenly rumors spread that Kemal was arrested once again but he managed to escape. Even some details were provided: somebody reported that Kemal had a radio receiver at home and he listened to German broadcasts. He was arrested immediately in the street. On the embankment, Kemal escaped the security officers, jumped into the passing truck and was gone. As far as his escape was accompanied by chasing and shooting, it was shouted from the rooftops. I and my mother lived in a room in the outskirts of Saburtalo. Once, in the evening, Archil Morchiladze knocked on our window. For several days, he harbored Kemal at his place; however, he was no longer able to harbor him. Amiran was in search of a reliable shelter for him and asked me whether I could accept him. I agreed without hesitation. This is how I got acquainted with Turkia – in my opinion, with one of the most courageous man of the time, clever and good-looking... He was named Kemal in honor of his father’s close friend, an ethnic Azerbaijani... Our room was adjoined by a cramped pantry with a window into the street; Kemal set himself up there. Soon, he brought a radio and we started listening to broadcasts. Kemal frequently disappeared at night. Of course, I told my mother who he was, and she reacted amenably to it. Over time, I realized what Kemal did. Groups of deserters operated in each and every district of Georgia: they were those who, from the very outset, avoided general mobilization and those who fled from the army. In a word, they were individuals who had no desire to sacrifice themselves to the Soviet empire. Those groups could be formed as fighting forces loyal to the homeland.

⁸ Ch. Amirejibi. *Gora Mborgali* (novel). Tbilisi. 2002, p. 395 (*In Georgian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

Now, some words about why it was necessary to build national armed forces in Georgia. Let's assume that the German National-Socialism and its military machine succeeded in defeating of the Soviet empire; however, Germany would be confronted by the whole western coalition with which it could hardly succeed and would be defeated. In that case, Georgia would need other, alternative armed forces; they would oppose Germans if they reached Georgia. And, following the collapse of fascism, Georgians could rightfully claim their independence in front of the victorious allies. That was the plan, and I consider our activities necessary even in our days. The movement was led by "Tetri Giorgi" - carefully conspiratorial, small, and with long-standing traditions. As far as I am concerned, "Tetri Giorgi" has existed for some centuries, its preferred principle being ideological influence. Kemal Turkia worked for this organization but he did not know any of its members. Kemal created several groups with various tasks. Ours was one of them.

In that period, we collected money and sent purchased weapons to our units in Dusheti and Tianeti. We were in need of significant sums of money. Violence and theft were categorically rejected. Somebody got the idea to print fake bread coupons. We made a go of this place when the task was undertaken by a professional. It was the Latvian artist Roman Suta. When Germans invaded Riga, he was evacuated to Tbilisi and found a job at the film studio. He was brought to us right from his work, wearing the same clothes with a bit of money in his pocket. Suta set things up brilliantly. Soon, for the purposes of secrecy, we had to move our "enterprise" to another location. He used to meet Kemal only when it was absolutely necessary.

The case was uncovered with the involvement of Suta himself. He was a foreigner who did not know much about our reality; he spoke what he thought; he didn't like the Soviet regime. It was enough for Vanya Pankov, chief of the special department of the studio, to allocate an agent to him; it was Armenak Danelyan, an incompetent film director who was assigned to some insignificant job. When Germans were defeated near Stalingrad, Suta started looking for ways how to flee abroad. Armenak Danelyan told him that he knew a man who was ready to smuggle him over the border for fifty thousand Rubbles. Suta shared his joy with Kemal. He asked him to show Armenak. Once, they made it. Kemal categorically forbade Suta to communicate with him. Roman followed his advice; however, would the secret police officers calm down? This is what they rigged. Quite unexpectedly, Suta suddenly received an invitation from Moscow to work on a film to be made in Alma-Ata. Naturally enough, he

agreed. They bought him a ticket and put on the train to Baku. Armenak and his men solemnly escorted him...

As it turned out later, right there, in Navtlugi, secret police officers removed him from the train. We knew nothing about that. We did not go to escort him for obvious reasons, especially in Navtlugi. Time passed; there were no news from Suta. That alerted us. We had agreed that he should send us a postcard right after his arrival. At the secret police, he was tortured; and soon, they started to attack our organization. As it turned out at face-to-face testimonies and, later, at the court, Suta had reported that it was in the street where Gora introduced him to Kemal Turkia. “He introduced me!”. That was why secret police officers decided to target me after Suta”.⁹

* * *

Here we have to recollect the history of the organization “Tetri Giorgi” without which the reader will hardly get oriented in the realities of the Georgian national liberating movement in the past century.

Following the suppression of the anti-Soviet uprising in Georgia, having started in late August, 1924, aimed at restoring of the independence of the Republic of Georgia (existing in 1918-1921), some of the rebels managed to leave the country and, by way of crossing the Turkish border illegally, reached Europe, predominantly France.

In late September, 1924, “Momavali” (“Future”), the Georgian émigrés political non-social organization, was founded in Paris which was aimed at restoring of the independent Georgian state. Shalva Beridze (1892-1970) became a leader of the organization. Later, he became a doctor, head of the Department of Georgian Language and Literature at the Institute of oriental Studies in Naples (1936-1943), then, professor of the University of Naples. He was married to an Italian woman, Caterina Ruperto.¹⁰

The following émigrés were members of the organization: Kalistrate Salia, Mikheil Kedia, Elise Pataridze, David Mkheidze, Konstantine Kobakhidze, and others.¹¹

On October 24, 1924, members of the “Posse of the Sworn” were invited to the convention of the organization. The detachment, led by the colonel of the

⁹ Ch. Amirejibi. Gora Mborgali (novel), 2002, p. 393-396 (*In Georgian*).

¹⁰ G. Sharadze. Under the foreign sky. Vol. II. Tbilisi. 1993, pp. 351-363 (*In Georgian*); L. Uru-shadze. The Europe and the Georgian political emigration. Tbilisi. 2005, pp. 69-70 (*In Georgian*).

¹¹ R. Daushvili. The Georgian emigration in 1921-1939. Tbilisi. 2007, pp. 110-111 (*In Georgian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

army of the Democratic Republic of Georgia Prince Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili (1888-1930), selflessly fought the Soviet regime in Georgia since March, 1922 up to the suppression of the aforementioned uprising. On the proposal of K. Cholokashvili, the said organization was transformed into the patriotic union “Tetri Giorgi” (“White George”).

It should also be noted that K. Cholokashvili is a national hero of Georgia. In November, 2005, his remains were delivered from Paris to Tbilisi, and, after the memorial service and funeral at St Trinity Cathedral, were buried at the Pantheon of Georgian public figures and writers, on Mount of St David. The burial ceremony was a great event of national importance. The Georgian people paid a decent homage to the blessed memory of the hero who dedicated his life to liberating of his homeland.¹²

On June 15, 1925, the constituent assembly of the youth division of “Tetri Giorgi” was held in Paris. It was also aimed at restoring of the independent Georgian state. As a leader of the organization was elected General Leo Kereselidze (1883-1943), veteran of WWI, one of the founders of the “Georgian Legion” in the territories of northwestern Turkey (formerly Georgian lands) to fight for the restoration of the independent Georgian state. The ideological leader of the organization was Professor Meikheil (Mikhako) Tsreteli (1878-1965), well-known scholar of oriental studies, professor of Berlin and Brussels universities.

Among the honorary members of “Tetri Giorgi”, there were prominent representatives of the intellectual elite of the Georgian emigration, among them, the famous writer Grigol Robakidze (1880-1962).

In 1926-1939, the organization published in Paris the newspaper *Tetri Giorgi* whose motto was “Georgia above all.” The newspaper was edited by Leo Kereselidze (1926-1930), Mikheil Tsreteli (1930-1934), Viktor Nozadze (1935-1936), then again Leo Kereselidze (1936-1939). 106 issues of the newspaper were published.

Other Georgian émigrés too worked with the newspaper: Prince Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili, writer Prince Shalva Amirejibi (uncle of Mzechabuk Amirejibi), professor Prince Zurab Avalishvili, Prince Svimon Tsitsishvili, Nakashidze, Prince Pridon Tsulukidze, Prince Grigol Diasamidze, Prince Vladimer Emukhvari, Prince Alexandre Khimshiashvili, Prince Elizbar Makashvili, Major-General

¹² N. Javakhishvili. Struggle for the freedom of Caucasus (From the history of military-political collaboration of Georgians and Northern Caucasians in the first half of the 20th century). Tbilisi. 2005, pp. 69-71 (*In Russian*).

Prince Alexandre Eristavi of Ksani who edited the supplement *Samkhedro Purceli* (“Military Paper”), Major-General Zakaria (Shakro) Bakradze, Shalva Maglakelidze, Leo and Maria Kereselidze, Kalistrate Salia, Prince Nikoloz (Koki) Dadiani, his son Mikheil Dadiani, Revaz Gabashvili, Tite Margvelashvili, Mikheil Kedia, Alexandre Manvelishvili, Shalva Vardidze, David Sagirashvili, Simonika Bereshiani, Solomon Machavariani, Dimitri Chiabrishvili, Irakli Otkhmezuri, and others.

In 1934, simultaneously with *Tetri Giorgi*, another newspaper *Momavali* (“Future”) was published, edited by Alexandre Manvelishvili (1904-1994). Prince Irakli Bagrationi (1909-1997), Prince David Vachnadze, Prince Vladimer Emukhvari, and others collaborated with the newspaper.

The Berlin division of “Tetri Giorgi” published their own newspaper with the same name (in 1930).

In 1936-1939, “Tetri Giorgi” was led by Shalva Maglakelidze, his deputy being Kalistrate Salia. Since 1939, the organization was once again led by L. Kereselidze who died several years later.¹³

S. Maglakelidze (1894-1976) was Governor-General of Tbilisi in the period of the Democratic Republic of Georgia (1918-1921). He was distinguished among the Georgian military fighting on the side of Germans during WWII. Before the outbreak of the war, he was appointed a military advisor (Militärberater) at the General Staff of the German armed forces in the rank of Oberst (Colonel), and, on July 17, 1944, he was awarded the rank of Major-General of the Wehrmacht. He had close links with the military leadership of Germany, including Admiral Wilhelm Canaris, the head of the Abwehr (military intelligence and counter-intelligence).

While in emigration, the organization “Tetri Giorgi” sought support from western European countries in the struggle for the liberation of Georgia from the occupational Soviet regime. During WWII, Germany acted as a patron of “Tetri Giorgi.”

Acting with the principle “My enemy’s enemy is my friend,” radical Caucasian and Georgian émigrés, among them, hailed the outbreak of the war between Germany and the USSR with excitement. Those Georgian émigrés believed that Germany, in case of its victory in WWII, would support Georgia in restoring of its independence as it happened during WWI. Some of them, hoping to liberate the country from the Bolshevik regime, joined the hostilities together with Germans as early as June 22, 1941.

¹³ G. Sharadze. Under the foreign sky. Volume III. Tbilisi. 1993, pp. 132-143 (*In Georgian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

People are not unanimous even in our days concerning the Georgians who fought on the side of Germans in WWII. Some believe that their behavior was justifiable, others not; however, in fact, in that period, Germany was the only power to fight the Bolshevik regime who buried Georgia's independence, and that a certain part of Georgians (mostly political émigrés) assumed Germany their ally was to be explained by that circumstance.

Later, the Georgian national-socialist group, led by Giorgi Magalashvili, joined "Tetri Giorgi;" following that, "Tetri Giorgi" was transformed into the Georgian National-Socialist Party "Tetri Giorgi."

The most well-to-do Georgian immigrant in Germany was the doctor and journalist Giorgi Magalashvili (1904-1969) who was born in Tbilisi to the family of Nobleman Alexandre Magalashvili and Princess Elene Javakhishvili. He studied at Tbilisi State University. For further studies, he was sent to Germany where he graduated from the Faculty of Medicine, University of Munich. He received his doctorate (1928) at the same university. He lived in Ising (Bavaria). His wife Baroness Monica Witt was a daughter of a rich German industrialist. During WWII, he was in charge of the Georgian centre (in Berlin) publishing the magazine *Georgian Nation* (1943-1944) and was active in saving the lives of Georgian prisoners-of-war. He was a friend of the director of the Institute for Continental European Studies, prominent physicist and geo-politician, Dr. Alexandre Nikuradze (1901-1981) who was a close friend of Alfred Rosenberg and Arno Schickedanz, the ideologists of the Third Reich. The latter was a would-be governor-general of Georgia. It should also be noted that the above mentioned A. Rosenberg and A. Schickedanz were Baltic Germans who, in their young years, studied at the Riga Polytechnical Institute and were members of the corporation "Rubonia." After the war, he chaired the Georgian community in West Germany.

It should be noted that, irrespective of the close cooperation of members of "Tetri Giorgi" with Germans and service in the Wehrmacht, racist ideology and anti-Semitism was totally unacceptable for the Georgians. That was why they in fact saved the lives of a number of Jews, natives of Georgia, who became prisoners of the Nazi during WWII.¹⁴

Besides, Mikheil Tsereteli, one of the leaders of "Tetri Giorgi," strongly opposed the adoption of the party's constitution in exile, calling for the consideration in it of local Caucasian peculiarities after moving the party's activities to the homeland liberated from the occupational Soviet regime.

¹⁴ N. Javakhishvili. *Essays of the History of Georgian-Baltic Relations*. Riga. 2015, pp. 268-270 (*In Russian*).

The organization “Tetri Giorgi” conducted its activities in exile till the mid-1950s. The ideological successor became the organization called “Solidarity of the Georgian Soldiers Abroad,” founded in Munich on January 26, 1954; initially, it was led by S. Maglakelidze, and later by his son Gaioz Maglakelidze.¹⁵

It should also be added that, since 1923 till the mid 1930s, S. Maglakelidze and his wife Maria Grass (who was a local German) lived in Latvia. It was there where their son Gaioz (a.k.a. Kajus-Marius) Maglakelidze (1919-1989) grew, later moving to Germany. All of them were fluent in Latvian.¹⁶

* * *

Influenced by the overseas organization “Tetri Giorgi,” at various periods of time, three underground groups emerged in the territory of Georgia. Later, all of them were destroyed by the NKVD, and their members were repressed.

One of the groups of “Tetri Giorgi” was led by formerly a Colonel in the Armies of Imperial Russia and the Democratic Republic of Georgia Prince Alexandre Chavchavadze (1870-1930), who was shot; another group was led by the lawyer Evgeni (Geno) Gvaladze (1900-1937), who was shot as well and the third group was led by Levan (Mustafa) Shelia (1921-1943) who was shot dead when they attempted to arrest him.

Levan Shelia was born and raised in the family of the noblemen Alexandre Shelia and Nutsa Abdushelishvili. Since his childhood, he hated the Soviet regime and dreamed of liberating of his homeland. For his involvement in a youth anti-Soviet organization, L. Shelia was arrested and exiled to Siberia back in 1937. In 1940, following his early release, he returned to Georgia and continued his struggle against the existing political regime. As well as members of the organization created by him, he believed that the time of liberation of their homeland was approaching.

Based on the materials preserved at the Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia, it becomes clear that, following his release in December, 1942, Levan Shelia, “being summoned as a witness for another case to the NKVD, on his way he escaped the NKVD officer and went underground, hiding in Tbilisi”.¹⁷

¹⁵ G. Sharadze. Under the Foreign Sky. Volume III. Tbilisi. 1993, pp.143-148 (*In Georgian*).

¹⁶ N. Javakhishvili. Essays of the History of Georgian-Baltic Relations. Riga. 2015, p. 204 (*In Russian*).

¹⁷ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

Despite of his young years, L. Shelia was famous for his chivalrous nature enjoying a great reputation among the youth in Tbilisi. In that period, the city was not big, and virtually all of its residents knew that Levan had already been arrested on political charges and that, since 1942, he lived illegally, that giving him an image of a fearless hero.

There is an interesting recollection about Levan Shelia¹⁸ by Tamar (Tatuli) Maskharashvili-Gviniashvili (b. 1924). She is a daughter of the nobleman Alexandre Maskharashvili (1895-1937) and Princess Barbare (Babo) Dadiani (1903-1999).

Based on the materials preserved at the Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia,¹⁹ it becomes clear that members of “Tetri Giorgi” used to gather at the apartment of Levan’s uncle, Levan Abdushelishvili (1906-1944) who earlier was a member of the Georgian National-Democratic Party. They listened to German broadcasts by means of the radio receiver “T-6” belonging to L. Abdushelishvili. Shalva Svanidze (1908-1944), his school-mate, regularly visited him for that reason.

On November 3, 1943, in Tbilisi Levan Shelia was wounded when they attempted to arrest him and he rendered armed resistance. Badly wounded, L. Shelia was taken to prison hospital where he died. On the same day, some of the other members of the organization were arrested.

As far as detained Levan Abdushelishvili did not know about the death of his nephew, in order to save him, he testified that he was in charge of “Tetri Giorgi.” That knighthood cost him a high price – he was executed.

The accused L. Abdushelishvili testified that he and his associated “were sure in the rapid defeat of the Soviet Union based on which they agreed to make up an illegal organization aimed at armed overthrow of the Soviet rule when the Germans would reach the Georgian border, and, before the adequate moment, in order to prevent excessive victims and repressions, no active efforts were to be made against the Soviet regime”.²⁰

As it turned out later, arrested on the same charges Prince Mikheil Jorjadze (1895-1946) gave his passport and military ID to his relative Vakhtang

¹⁸ T. Maskharashvili-Gviniashvili. Remembrance about Levan Shelia, in the book: *Memoirs of the maid of the Empress. The royal family, Stalin, Beria, Churchill and others in the family diaries of three generations* (Igor Obolensky project). Moscow. 2012, pp. 226-234 (*In Russian*).

¹⁹ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

²⁰ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Jorjadze (1921-1981), who was close to Shelia, and it was Shelia who gave them to him, “an active member of the counter-revolutionary organization, who, during their removal at night on November 3, 1943, rendered armed resistance against the operatives of the NKGB of the GSSR.” It also turned out that Vakhtang Barkalaia, arrested on the same charges, gave shelter to Levan Shelia and provided him with a Parabellum revolver for 4500 Rubbles.²¹

“The protocols of interrogations” of the accused individuals preserve fragments of what Levan Shelia, leader of “Tetri Giorgi,” said: “Shelia said that, in the process of the armed uprising, as soon as the radio station in Navtlugi was taken over, speakers would read prepared texts, in foreign languages, of their address to the whole world: “Georgian people’s will proclaims by force “an independent state” and, even if we will fail to overthrow the Soviet regime in Georgia, let the whole world know that this uprising is a document testifying that the Georgian people does not want the Soviet rule”... As for the establishment of “the independent Georgian state, Shelia said, initially, they would use Germans for that purpose, and later they would get rid of them”.²²

The court materials refer to “Tetri Giorgi” as “the illegal anti-Soviet nationalistic rebel organization,” Suta is referred to as Sutta Roman Yakovlevich, and the surname of Mzechabuk and Maria Amirejibi – as “Amirajibi.”

The Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia preserves “The resolution on applying a measure of restraint to Sutta Roman Yakovlevich,” dated September 5, 1943.²³

The resolution reads: “Sutta Roman Yakovlevich, born in 1896, place of birth – village of Rauna, Riga-Venden district (former province of Lifland), specialist – painter, employment and position – designer at the Georgian Film Studio, not a party member, education – higher, ethnic background – Latvian, citizen of the USSR, marital status – married, evacuated from Riga, family – 4 people, address – Gori str. 18, Tbilisi.

He is suspected of crimes under 19-84 and 58/10 parts of Article 2 of the Criminal Code of the GSSR and, with a view to the fact that, while at large, Sutta may influence the investigation process, guided by Art. 145 and Art. 158

²¹ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

²² The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

²³ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

of the RSFSR Code of Criminal Procedure, resolved: detention shall be applied as a measure of restraint to prevent evasion from investigation and trial for Sutta Roman Yakovlevich.

Investigator – Head of Department 3 of Division 2 NKGB of the GSSR, Captain of State Security I. Malania (signature).

The present resolution was reported to me – R. Sutta (signature).²⁴

The September 18, 1943, Resolution reads: “according to the testimonies by the detainee SUTTA R. Y., he was denounced for living illegally in the city of Tbilisi and conducting anti-Soviet agitations among employees of the State Film Studio, besides, intending to illegally cross the border together with his associate Shelia Levan Alexandrovich (a.k.a. Mustafa); the latter is not yet arrested and is hiding from the authorities.

RESOLVED: the present case was accepted for production of further investigation and identification of all the links of the detainee SUTTA R. Y.”²⁵

In the “Detainee’s questionnaire,” Roman Suta stated that, beside the daughter Tatyana (b. 1923), he had an illegitimate son – Paul-Voldemar (b. 1929).

The accused Wilhelm Siller testified: “Sutta comforted me that soon, some months later, the Soviet Union would be defeated by Germany, that Germans would come and the Soviet regime would no longer exist. I agreed with him and believed him... Once, Sutta told me that that he would go to one of the front-line cities, and, when Germans occupied it, he would come to them and work for them, that it didn’t matter for him for whom he would work but not for the Soviet regime”.²⁶

The document “Information about Sutta Roman Yakovlevich” reads: “it was established that in 1941, after the beginning of the war... he was evacuated from Latvia. As a freeloader, he lived at the aforementioned address (Gori Street 18) at Anna Karagasheva’s. 5 or 6 months ago, he was arrested. His family are in Latvia. No other information has been established”.²⁷

In the process of investigation, Roman Sutta admitted that he got acquainted with Levan Shelia in the family of Mzechabuk Amirajibi.”

²⁴ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

²⁵ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

²⁶ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

²⁷ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

It should also be noted that Mzechabuk Amirejibi's mother Maria Amirejibi (1893-1972), née Princess Nakashidze, was also involved in the case. Her husband, father of Mzechabuk Amirejibi, lawyer, Prince Irakli Amirejibi (1890-1938) was executed by the NKVD during the mass repressions in the USSR.

The "Warrant for the arrest" of Mzechabuk Amirejibi, dated October 26, 1943, reads: "Amirajibi M. I. had criminal links with the detainee Sutta R. Y. who testified that he was an anti-Soviet element, was going to flee abroad, was associated with a criminal gang producing fake bread coupons, that being led by the outlaw Shelia Levan (associated with a counter-revolutionary organization) who was a close friend of Amirajibi M. I.

Sutta R. Y. testified that Amirajibi M. I., Astvatsaturova Margo and others took part in the production of bread coupons, that all the participants of the aforementioned criminal gang, including Amirajibi, were anti-Soviet elements and hostile to the existing rule. Astvatsaturova, questioned as a witness, fully confirmed the testimonies by the accused Sutta and named Amirajibi as one of the participants of the aforementioned counter-revolutionary gang".²⁸

Sutta admitted that "together with members of the said organization, led by Shelia and Amirajibi, he arranged printing of fake bread coupons, opened a key to the fund of bread coupons, and it was himself who printed those bread coupons," that "during printing of fake bread coupons they listened to foreign radio broadcasts at Mzechabuk Amirajibi's place and were engaged in entrenched anti-Soviet conversations."

R. Suta testified that he took part in printing of fake bread coupons at the apartment of M. Astvatsaturova with whom he "cohabited for about 2-1/2 months," that "he recruited Wilhelm Siller whom he acquainted with Shelia at his (Siller's) place, he printed fake bread coupons as well."

Roman Sutta provided a testimony about the fact that "once Shelia took him to a conspirative apartment in Didube where he printed bread coupons for 40 kg bread which were sold by Shelia himself".²⁹

Archil Tsulukidze confirmed that, together with Sutta Roman, he visited Astvatsaturova's home where he brought the equipment for bread coupons packed in a bag for a gas mask.³⁰

²⁸ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

²⁹ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

³⁰ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

Thus, fake bread coupons were mostly printed at the apartment of Margarita Astvatsaturova (1911-2011). She was a daughter of a lawyer. She spent her childhood in Switzerland. She was married to an engineer Giorgi Akhmeteli, brother of the theater director Alexandre (Sandro) Akhmeteli. Aleksandre was arrested and executed in 1937, and Giorgi was arrested in 1942 and sent to exile for 8 years for “anti-Soviet agitation.” That is why it is not surprising that Margarita was determined extremely anti-Soviet. She worked as a stenographer at the Georgian Film Studio where she met Roman Suta. During the interrogation, she pleaded guilty but stated that she was not a member of the organization.

The verdict of Margarita Astvatsaturova says: “she is accused of being determined hostile against the Soviet power and, in May, 1942, together with the defendant Sutta, she conducted the defeatist anti-Soviet agitation and expressed desire to join the counter-revolutionary organization, besides, on July 28, 1943, she took part in printing of fake bread coupons for 1 500 Rubbles”.³¹

M. Astvatsaturova was released in 1953. She lived in Tbilisi where she gave private lessons in French. She died at the age of 100.³²

“Protocol of the Interrogation of Amirajibi Mzechabuk Iraklievich of November 27, 1943” says: “The illegal anti-Soviet nationalist organization in which I was involved since January 1, 1943, was aimed at overthrowing the Soviet rule in Georgia by means of an armed uprising with the support and assistance of the Staff of the German army”.³³

Concerning his anti-Soviet beliefs, Mzechabuk Amirejibi testified: “...my anti-Soviet beliefs and hostile attitude to the existing system started since the time my father was arrested, that is, since 1938; besides, I was an opponent of socialism and internationalism. I am a nationalist, supporter of “independent Georgia.” I wanted that the Georgian people enjoyed the right for self-determination and believed that all of those things were not available under the Soviet rule. I considered that, in their hearts, the Georgian intelligentsia, who, in my opinion, are a significant majority among the population in Georgia, have not reconciled and accommodated with the Soviet power. I was an opponent of

³¹ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

³² The lost history (the memory about repressed women). Editor of collected volume N. Beqishvili. The materials where collected: A. Margvelashvili, I. Khvadagiani, G. Shaishmelashvili, M. Tsotskhalashvili. Tbilisi. 2012, pp. 288-293 (*In Georgian*).

³³ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

the Soviet power... and preferred seeing private property of tools and means of production as a basis of social relationships”.³⁴

The resolution, dated of December 30, 1943, with the endorsement “Confirmed” and signed by the People’s Commissar of State Security of the Georgian SSR, 3rd Rank Commissar Avksenti Rapava, and with the endorsement “Sanctioned” extension of the period of investigation till December 15, 1943, signed by the Deputy Prosecutor of the Georgian SSR Shonia, says: “I, investigator of the Division of Investigations of the NKGB of the GSSR, Major-Engineer Pavlenishvili, having discussed Case No 22 on the accusation of Sutta Roman Yakovlevich according to Art. 58-10 p. 2. And Art. 19-84 of the Criminal Code of the GSSR – found out: on September 4, 1943, Sutta Roman Yakovlevich was arrested for anti-Soviet agitation and intention to flee abroad.

In the process of investigation, pleading guilty for the charges, he testified that he was associated with the counter-revolutionary group, printed fake bread coupons together with members of the organization, who, as well as he, were the individuals with anti-Soviet attitudes.

The said circumstance has been confirmed with witness statements.

In connection with the foregoing within the framework of the present case, 25 individuals have been arrested to date, among whom Svanidze S. V., Abdushelishvili L. K., Kharanaurli P. L., Amirajibi M. I., Tsulukidze G. A., Tsulukidze A. A., and others admitted to have been members of the illegal nationalistic rebel organization aimed at overthrowing of the Soviet rule in Georgia by means of the armed uprising and with the support of German imperialism in order to establish “Independent Georgian Republic.”

With regard to the arrested individuals within the investigation case, it is necessary to carry out some additional investigation activities, such as: re-qualification of allegations, interrogations, confrontation of witnesses, identification of materials associated with alleged individuals, etc.

Based on the foregoing, it was resolved: Initiate a motion to the Prosecutor of the Georgian SSR on the extension of the term of the investigation and detention of the arrested within Case No 22 for one month, that is, till February 4, 1944; this is to be communicated to the internal prison of the NKGB of the Georgian SSR through Division “A” of the NKGB of the Georgian SSR.

³⁴ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

Senior Investigator of the Investigation Department of the NKGB of the GSSR, Major-Engineer Shota Pavlenishvili (signature).

“I join” Deputy Head of the Investigation Department of the NKGB of the GSSR, Major of State Security Artashes Markarov (signature).

“I agree” Head of the Investigation Department of the NKGB of the GSSR, Colonel of Militia Mania (signature).

REFERENCE: request for the extension of the term of the investigation is initiated for the third time.

DETAINEES: Sutta R. Y., arrested on 04.09.1943., Amirajibi C. I. – 26.20.1943., Astvatsaturova M. M. – 30.10.1943., Morchiladze A. M. – 03.09.1943., Tsulukidze A. A. – 03.09.1943., Jorjadze V. G. – 03.09.1943., Siller V. V. – 02.11.1943., Pfeffer N. G. – 10.11.1943., Gotsiridze M. G. – 10.11.1943., Jorjadze M. Z. 09.11.1943., Tsulukidze G. A. – 12.11.1943., Machav ariani G. S. – 12.11.1943., Ortavadze S. I. – 11.11.1943., Kharanauli P. A. – 11.11.1943, Tkemaladze L. I. – 11.11.1943., Amirajibi M. M. – 13.11.1943., Ishkhneli T. K. – 11.11.1943., Tkavadze R. S. – 12.11.1943., Beridze V. P. – 16.11.1943., Naneishvili L. R. – 19.11.1943., Barkalaia V. A. – 20.11.1943., Svanidze S. V. – 19.11.1943., Abdushelishvili L. K. – 23.11.1943, Kharanauli, A. – convicted on 10-1 Regulations on War Crimes., Gvelesiani S. S. – 19.12.1943., are detained at the internal prison of the NKGB of the GSSR.

Senior Investigator of the Investigation Department of the NKGB of the GSSR, Major-Engineer S. Pavlenishvili (signature)”³⁵

The Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia preserves the “Indictment,” dated of January 30, 1944, dealing with all the members of the mentioned organization. The document has a chapter about the members of the organization with the title “Circumstances of the emergence of the case” in which we read: “Temporary success of the German fascist troops, particularly the enemy’s breakthrough to Stalingrad and to the foothills of the Caucasus by the summer of 1942 were accompanied with activation of counter-revolutionary elements in the country, expecting the defeat of the Soviet Union in the war against Germany.

In their counter-revolutionary aspirations to speed up the defeat of the Soviet power by way of providing all kinds of assistance to German imperial-

³⁵ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

ism, in certain cases, the hostile element tried to build counter-revolutionary rebel groups in the country.

In early 1942, the similar counter-revolutionary group was built initiated by the accused in the present case Abdushelishcili Levan Karamanovich (former National-Democrat) and Svanidze Shalva Varlamovich (former Young Marxist), and joined by the now killed Shelia Mustafa Alexandrovich (returnee from the exile; he was in hiding).

THROUGH THE INVESTIGATION IT WAS DETERMINED: In September, 1943, the present illegal anti-Soviet nationalistic rebel organization, uncovered by the NKGB of the Georgian SSR, was aimed at overthrowing of the Soviet rule in Georgia by means of an armed uprising with help of German imperialism and at establishing the “Georgian independent state.”

In the same case file, there is a text of the proclamation which was to be published by members of the organization “Tetri Giorgi” in case of the anti-Soviet uprising: “The Georgian people’s will proclaim the “independent national state” by force and, even if eventually we will fail in overthrowing of the Soviet rule in Georgia, let the whole world know that this uprising is a document testifying that the Georgian people do not want the Soviet system of rule”.³⁶

The document “Indictment” says the following about Roman Suta (pp. 30-31): “He is accused of, being hostile to the Soviet rule, conducting permanent anti-Soviet agitation among his surroundings. He established links with one of the leaders of the illegal nationalistic rebel organization – Shelia Mustafa who was then in hiding and who involved him in illegal anti-Soviet activities, and with whom he was going to flee abroad illegally; he knew that Shelia belonged to a counter-revolutionary organization and conducted illegal activities against the Soviet rule; besides, members of the mentioned organization involved him in printing of fake bread coupons for the sake of collecting money for the needs of the organization. Together with Shelia and other member of the organization, he illegally listened to radio broadcasts of the German army command. Together with Shelia Mustafa, he involved Siller Wilhelm in the said organization who was assigned to conduct anti-Soviet agitation, that is, the crimes provided in Art. 58-10, p. 2, 58-II, 19-58-2 of the Criminal Code of the GSSR and in the Law of 07/08-1932.

³⁶ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

Accused Suta pleaded guilty but stated that he was not a member of the organization. It was belied with the testimonies of: Amirajibi, Svanidze, Tsulukidze A., Tsulukidze G., Morchiladze, Astvatsaturova, Jorjadze, Siller, Gotsiridze, Tkavadze, and others”.³⁷

At the end of the document “Indictment,” dated of January 30, 1944, we read: “The investigation of Case No 22 for the accused... shall be deemed completed, all the charges against all the accused shall be considered proven and, with the permission of Military Prosecutor of the NKVD Troops of the GSSR and through Division “A” of the NKGB of the GSSR, the case shall be directed for the hearing to the Military Tribunal of the NKVD Troops of the GSSR.

The indictment was compiled on January 28, 1944, in Tbilisi, by the deputy head of the Investigation Department of the NKGB of the GSSR – Colonel of the State Security comrade Artashes Markarov”.³⁸

All the accused were held in Tbilisi, at the internal prison of the NKGB of the GSSR.

Members of the organization “Tetri Giorgi” were punished in various ways. Specifically, Levan Abdushelishvili (b. 1906), Shalva Svanidze (b. 1908), and Roman Suta (b. 1896) were sentenced to death by firing squad; Mzechabuk Amirejibi (b. 1921) and Pavle Kharanauli (b. 1904) were sentenced to 25 years of imprisonment; Giorgi Machavariani (b. 1910) – to 20 years of imprisonment; Vakhtang Jorjadze (b. 1921) and Archil Tsulukidze (b. 1924) – to 15 years of imprisonment; Maria Amirejibi (b. 1893), Archil Kharanauli (b. 1916), Amiran Morchiladze (b. 1922), Giorgi Tsulukidze (b. 1914), Revaz Tkavadze (b. 1925), Wilhelm Siller (b. 1913), Eleonore Pfeffer (b. 1919), Margarita Astvatsaturova (b. 1911) – to 10 years of imprisonment; Giorgi Ishkhneli (b. 1913) and Mikheil Gotsiridze (b. 1901) – to 7 years of imprisonment; Levan Naneishvili (b. 1917) – to 5 years of imprisonment, etc.

“Verdict” (p. 6) reads: “In accordance with Art. 319 and 320 of the Criminal Code of the Georgian SSR, the court sentenced “Abdushelishvili Levan Karamanovich, Svanidze Shalva Varlamovich, Sutta Roman Yakovlevich, for multiple offenses committed by them, and based on Art. 58-1a of the Criminal Code of the GSSR, shall be subject to capital punishment – shooting, with the

³⁷ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

³⁸ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

confiscation of personal property.³⁹

On April 7-12, 1944, the death penalty against Levan Abdushelishvili and Roman Suta was confirmed. On July 14, 1944, the execution was carried out.⁴⁰

Thus, the organization “Tetri Giorgi,” led by Levan (Mustafa) Shelia, consisted of representatives of two generations: 1) of the average age (about 40 and older) and 2) of the younger age (between 18 and 30). All of them were ardent opponents of the Soviet regime and wanted to restore the independent Georgian state.

By the decision of the Soviet law enforcement bodies, the principal ideological opponents of the older age (including the three aforementioned individuals) were physically destroyed, while younger ones were strictly punished but still were kept alive. So they did in relation to women regardless of their age.

This is how tragically the life of the famous Latvian artist Roman Suta ended. It is symbolic that his remains lie in the mass grave together with his executed Georgian friends and associates – Levan Abdushelishvili and Shalva Svanidze, fighters for Georgia’s independence.

³⁹ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

⁴⁰ The Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia. Record group № 6. File № 44264. Volume 16/1-5 (*In Russian*).

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

ფორმა № 1
Форма № 1

დამატებითა სანქციონირებულია
Арест санкционирую
Василиевский
(პროკურორის ხელის მოწერა)
(Подпись-Прокурора)
В.И.Х 1943 г.

დადგენილება
ПОСТАНОВЛЕНИЕ

დაპატიმრებაზე—(на арест.)

დღის 5 სექტემბერს 1943 წლის 43

დამდგენი **2-ე** **Отд-ния 2-го Отдела НКГБ ГССР -**
დამდგენის ხელისუფლება—**отдел и орган**
Министерство Государственной безопасности - И А Л А Н И Я,

სახ. წოდება და გვარი—**звание и фамилия** **СУТТА Романа**

შემოსული მამობრივ დანაშაულებრივ მისაღები
შემოსული в НКВД ГССР материалы о преступной деятельности

დაბ. 1896 წ. რ. ურ. სელ. რაიონი **Рига - Венденский р-н, 6/Дифля-**

სახელი და მამის სახელი და სხვა—**фамилия, имя и отчество и другие**
Сутта, латв. ტრ-ი СССР, 6/п. эвакуирован из Риги в 1941

დამდგენი ხელისუფლების მითითებით დასახელებული
художником Грузкинобудин, прожив. по Горьковской ул. №-18.

З А М Е Ч А Н И Я:
Н А Ш Е Л:


Роман Яковлевич систематически проявлял свою ненависть и
ფართო და ვრცელი დასაზღვრება (მოტივი) დაპატიმრების
в произвольном изложении дается развернутая мотивация к существующему Советскому строю, - в 1943 году

საკითხების შესახებ მოთხოვნით ამონაწერები
в связи с необходимостью ареста, приводится выдержки

из материалов проживания в г.Тбилиси неким ШЕЛИЯ Дованом,
გვერდებიდან, ავტორულ მასალათა შინაარსი
неодельно эмигрировать за границу вместе с которыми

ამონაწერები სარევიზიო და სხვა აქტებიდან და სხვა
выдержки из актов обследования ревизи и т. д.

Д. активно начал готовиться. С целью осуществления своего
незаконно эмигрировать за границу, СУТТА Р.Я. по заданию
начал рисовать разные рисунки и карты и продавать таковые,
иногда деньги использовать для осуществления своих намерений.



Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

Передавая анкету для заполнения арестованному —
запрещается. Заполняется со слов арестованного и прове-
ряется по документам.



АНКЕТА АРЕСТОВАННОГО



ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
Фамилия	Сутта
Имя и отчество	Роман Яковлевича
Возраст и место рождения	Родился в 1884 году, село Рачна Римско-Венгерского р.и. Лидзпильской губернии Край
Постоянное место жительства до ареста (подробный адрес)	Село Тбилиси Горинского ст.в. Город Область Край
Профессия и специальность	Рудоземщик
Последнее место работы или вид занятий до ареста	а) Учреждение: Госкиптрам Предприятие б) должность: Рудоземщик в) звание г) если не работает — когда и откуда уволен

ВОПРОСЫ	ОТВЕТЫ
7. Национальность	ლოზნი
8. Гражданство (при отсутствии паспорта, указать какой документ удостоверяет гражданство или записать со слов)	<p>а) гражданство <u>Лобинской Р.С.Р.</u></p> <p>б) паспорт серии _____ № _____</p> <p>кем и когда выдан <u>Лобинскому</u></p>
9. Партийная принадлежность	<p>а) в прошлом <u>С/М</u></p> <p>б) в настоящее время <u>С/М</u></p> <p>билет № _____</p>
10. Образование общее и специальное (подчеркнуть и указать что закончил)	<p>высшее, среднее, низшее <u>закончил</u></p> <p><u>Юридическое специальное</u></p> <p>специальное <u>Юридический</u></p>
11. Социальное происхождение (где были отец и мать)	<u>из Вуковича</u>
12. Судимость (состоял под судом и следствием, где, когда, за что, приговор)	<u>нет</u>
13. Призоды (каким органом, когда, по подозрению в каких преступлениях, по каким фактам)	<u>нет</u>

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
 (From the history of the later period of the life of a Latvian artist)

14. СОСТАВ СЕМЬИ

№ п/п	Фамилия, имя и отчество	Год рождения	Место рождения	Возраст, состояние, образование и должность
1	Гмелз Александр Бельчова Сута Александр Циброва Анна 1892			проживаю в известном месте
2	Сутта Яков 1923	1923		
3	Сута Павел 1929	1929		
<div style="display: flex; justify-content: space-between;"> <div style="width: 45%;"> <p>Место для фотокарточки</p> </div> <div style="width: 45%;"> <p>Отпечаток указательного пальца правой руки</p> <p>(при отсутствии его последующего пальца — о соответствующей фотокартке) Пальцевый узор должен быть (сним в полностью раздвинутый от одной крошки ногтя до другой)</p> </div> </div>				
<p>Личная подпись (артиста-автора)</p> 				
				



Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)

ПАСПОРТ **სსსსმ 400**
6 მ. ჯევ **6 სვ 302**

Действителен до 09.11.1948

Владельцем настоящего паспорта является: **Махетского РС**
ЧКВЗ г.р. ССР

1. Фамилия, имя и отчество: **Абдумелиховичи**
Леван Караманович

2. Время и место рождения: **1906 года** **ша-турецкого р-на с.Ториеи**

3. Национальность: **грузин**

4. Социальное положение: **служащими**

5. Образование и специальность:
 1. **Константинополь 1934 сын** **Фр. VI**
 2. **Леван 1940 сын** **Фр. VI**

6. Семейное положение:
 6. **замужем**

И-ГОФ № 590882

Дата выдачи: **19/11-1937 года**

Нов. Р.-В. Мисаилов
 Нач. паспортного стола
 Подпись: **Сута**
1/10/37

ВРЕМЕННОЕ УДОСТОВЕРЕНИЕ **სსსსმ 400**
დროებითი მოწმობა

Действительно на **три месяца**

Владельцем настоящего удостоверения является: **Штраф уполномочен**

1. Фамилия, имя и отчество: **Алифредовичи**
Мзегабуди Ибрагимович

2. Время и место рождения: **1921 г.** **с.Тбилиси**

3. Национальность: **грузин**

4. Социальное положение: **работник**

5. Образование и специальность:
 1. **140000** **Миним**
 2. **И.Тбилиси** **С.С.Р**
 3. **1-09/1935** **6012-5078-ли**

6. Семейное положение:
 6. **замужем**

№ **966**

Дата выдачи: **14/1-1942**

Нов. Р.-В. Мисаилов
 Нач. паспортного стола
 Подпись: **Мисаилов**

16

1944 года 7-12 апреля, Военный Трибунал войск НКВД Грузинской ССР, в г.Тбилиси, в здании В/тюрем в составе: члены прокурора Г.Билиби, заместителя в г.Тбилиси, по ул.Степана Дзугаидзе, председателя уголовного розыска в г.Тбилиси, по ул.Степана Дзугаидзе, старшего лейтенанта милиции курс ЕУР. Члены: подполковник государственной безопасности капитан государственной безопасности Т.А.РАКИ, в отделе близкого родственника при секретаре мл.лейт. в/с ГАСПАРОВСКИ.

Без участия сторон рассмотрел в закрытом судебном заседании, дело по обвинению: в отношении в г.Тбилиси, по адресу: ул.Степана Дзугаидзе, № 1. АДУШВИЛИ Левана Карамановича, 1906 года рождения, уроженца с.Гориси, Сачхерского района, проживающего в г.Тбилиси, ГССР, из служащих, служащего, грузина, до ареста работал представителем отдела Пути ЗКМД при Мхцетском Лесопильном заводе, с высшим образованием, семейного, беспартийного, в РККА служившего с 1941 по 1942 г. ранее несудимого, в РККА из близких родственников никого не имеет.

2. СВАНИДЗЕ Шала Вардановича, 1906 года рождения, уроженца с.Корити, Дзаскского района, ГССР, проживающего в Мхцете, по ул. Сталина № 8, из крестьян, служащего, грузина, до ареста работал Лесозаготовителем Тбилиспрома, со средним образованием, семейно, беспартийного, в РККА не служил, ранее судимого в 1936 г. по ст. 58-16 ч.1 УК ГССР и был осужден на 3 года ИТ, каковые сроки отбыв, член организации "Молодых Марксистов", в РККА из близких родственников никого не имеет.

3. МАЧАВАРЯНИ Георгия Семеновича, 1910 года рождения, уроженца г.Баку, проживающего в г.Тбилиси, по ул.Калинина, № 58, из рабочих, служащего, грузина, до ареста работал бухгалтером Цирковой МТС, с незаконченным высшим образованием, семейного, беспартийного, в РККА служившего с 1940 года по 1942 г. ранее судимого в 1941 г. и был осужден за халатное отношение к работе в Зеродам л/с, в РККА из близких родственников никого не имеет.

4. ХАРНАУЛИ Арчила Георгиевича, 1916 года рождения, уроженца с.Хеоба, Душетского района, проживающего там-же, из крестьян, служащего, грузина, с незаконченным высшим образованием, холостого, беспартийного, в РККА не служившего, ранее судимого в 1943 году и был осужден Военным Трибуналом 14.XII-43 года по ст. 10-1 ПУВИ на 10 лет л/с с отправкой на фронт, в РККА из близких родственников никого не имеет.

5. ДЗОРДЗИДЗЕ Вахтанга Георгиевича, 1921 года рождения, уроженца г.Тбилиси, проживающего в г.Тбилиси, по ул.Энгельса № 20, из князей, учащегося, грузина, до ареста студент 5-го курса медицинского института, холостого, беспартийного, в РККА не служившего, ранее несудимого, в РККА из близких родственников никого не имеет, в совершении преступления, предусмотренного по ст.ст. 58-1а и 58-11 УК Груз.ССР, в отношении 5-х.

Nikolai Javakhishvili. Roman Suta in Georgia
(From the history of the later period of the life of a Latvian artist)



როლანდ თოფჩიშვილი

ქართველები თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონში (განსახლების არეალი)

თურქეთის სახელმწიფოში ეთნიკური ქართველები მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ არა მხოლოდ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – ტაო-კლარჯეთში-შავშეთში, არამედ სხვაგანაც. მათი კომპაქტური განსახლების ერთ-ერთი არეალია მარმარილოს ზღვის რეგიონი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები *ბურსას, საქარიას, ქოჯაელის* ვილაიეთების სხვადასხვა ილჩეებში/რაიონებში. მაგალითად, ბურსის პროვინციაში ინფორმატორები 70-მდე ქართულ სოფელს ასახელებენ. წარმოდგენილ ნაშრომი სრულყოფილი ვერ იქნება, რადგან ის ეყრდნობა აღნიშნულ რეგიონში ეთნოგრაფიული მასალების მოძიების ორკვირიან პერიოდს 2013 წლის აგვისტოს თვეში. მიუხედავად ამისა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის დასახელებული რეგიონის ქართულ მოსახლეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა განსახლების არეალის შესახებ ფაქტობრივად სამეცნიერო ლიტერატურა არ გავაჩნია. ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ *ინგა ლუტიძის* ახლახან გამოცემული ქართველების ენობრივი ვითარებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიაა,¹ რომელთან ერთადაც, როგორც შავშეთ-იმერხევეში, კლარჯეთში-ნიგალში, ტაოს პარხლის ხეობაში, ისე მარმარილოს და შავი ზღვის რეგიონებში ვკრებდით მასალებს.

ბურსას ვილაიეთის ქართული სოფლები რაიონების მიხედვით შემდეგია: ა) *ქესტელის* რაიონი: *სეიდაბადი, ორჰანიე, ოსმანი, საიფიე, ალაჩამი, ბურჰანიე* (ამ სოფელში მაჰმადიანი მესხები ცხოვრობენ);

ბ) *ოსმანლუზის* რაიონი: *ქაირაისლაჰი, საოულფინარი, სულეიმანიე* (აქაც მესხები მკვიდრობენ). ამავე რაიონში ადრე ყოფილა კიდევ ერთი სოფელი –

¹ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება. თბ. 2016.

სულთან. ჰესის აშენების გამო, სოფელი გაუქმდა. მთხრობელის სიტყვებით, „სულთანი იყო სოფელი, ჰესი გაკეთდა და ააყენეს. ქალაქში ჩავიდნენ“;

გ) *ორპანლის* რაიონი: *აქჩაი* (მესხები). ისევე როგორც დანარჩენი ქართველები, სამცხიდან მაჰმადიანი მოსახლეობა აქ მუჰაჯირობის დროს მოსულა;

დ) *ქემალფაშის* რაიონი: *ქრაფინარი, ქუბურჯუქალი*;

ე) *ქარაჯაბების* რაიონი: *ბოლაზჯი*; *ინეგოლის* რაიონში ეთნიკურ ქართველთა 18 სოფელია. *იალოვას* ვილაიეთის *გოქჩედერეს* რაიონში „მთელი ქართველები და ლაზები არიან“.

ვ) *საქრაიას* პროვინციაში ქართველები მკვიდრობენ *ჰენდეკში*; ჰენდეკის რაიონში ოცამდე ქართულ სოფელს ითვლიან; ეს სოფლებია: *ბალიქლიიჰსანინე, ბიჩიატიკი, გულდობი, გუნდოლანი, ესენთეფე, თექერლექსულეიმანიე, იქრამბიე, კარაჩოკეკი, კიზანლიკი, მურადიე, ნუზჰეთიე, ნურიე, სერვეთიე, შეკვეთიე, ჰამითლი, ჰიჯრიე, ჰუსეინშეინი*. აქვე ლაზების სოფლებიცაა (*კაფანჯიკი* და *აკოვა*). დღეს ჰენდეკელ ქართველთა უმეტესობა ქალაქებშია გადასახლებული. სოფლები მოხუცების ამარაა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჰენდეკში ქართველები ძირითადად მთიანი აჭარიდან, *ხულადან* მიგრირებულან – ესენი იყვნენ მუჰაჯირები, რომელთა აჭარიდან აყრა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე მოხდა. გარდა ამისა, *ჰენდეკში მურღულის* ხეობიდანაც მოსულან მუჰაჯირი ქართველები. როგორც ირკვევა, მურღულიდან მიგრირებულებს თან თავიანთი სოფლების სახელებიც მოუტანიათ: *ავანა, ტრაპენი, ორჯი*. აჭარიდან მიგრირაციის დამადასტურებელია სოფლის სახელწოდება *ჩაქვი*, ხოლო კლარჯეთიდან – სოფელი *ხატილა*. ამ სოფლებშიც დღეს ისეთივე დემოგრაფიული ვითარებაა, როგორც ჰენდეკში. მათი მკვიდრნიც, ძირითადად, დიდ ქალაქებში არიან საცხოვრებლად წასული, თუმცა სოფელს არ კარგავენ და „მოდან თხილის ადების დროს“. ამ სოფლების მკვიდრებს შექმნილი აქვთ „ბათუმის მუჰაჯირების სათვისტომო“. ერთ-ერთმა ინფორმატორმა თავისი წინაპრების თავდაპირველ საცხოვრისად *ჩურუქ-სუ, ე. ი. ქობულეთი* დაასახელა.

სოფელ ლუთფიე კოშკში მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ჩვენი დიდვანები მოვიდნენ ბათუმიდან – ოთხი ოჯახი, ართვინიდან. გადმოცემით, ბათუმიდან და ართვინიდან ტრაპიზონამდე და სამსონამდე ფეხით მოსულან. სოფელ *ლუთფიე კოშკშიც*, ძირითადად, დიდვანები არიან დარჩენილნი. „უწინ ერთ სახლში თუ 9-10 კაცი იყო, დღეს მხოლოდ 3-4 კაცია“.

ირკვევა, რომ მუჰაჯირი ქართველები საცხოვრებელ ადგილად ეძებდნენ ანალოგიურ ლანდშაფტს, ისეთს როგორც საქართველოში – განსახლების

თავდაპირველ არეალში (აჭარაში, ქობულეთში, შავშეთ-იმერხევში, კლარჯეთ-ლიგანში) ჰქონდათ. მათი სოფლები უპირატესად მთიან ადგილებშია გაშენებული. უმეტეს შემთხვევაში მათ სოფლის გასაშენებლად ტყის გაკაფვა უნდებოდათ. მიგრაცია ერთდროული აქტი არ იყო. ისტორიული სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიან ქართველთა გადასახლება შემდეგაც გრძელდებოდა. სოფელ *ლუთფიე კოშკში* მცხოვრები ერთ-ერთი მოხრობელის აღნიშვნით, რუსისა და ალემანიის ომის დროსაც მოსულან აჭარიდან: „საზღვარი ჩაკეტილი იყო, მაგრამ ჭოროხიდან გადმოცურდებოდნენ“. „აქ *ქართლაც* არის სოფელი (*ქართლა* ჭოროხის ხეობის მარცხენა მხარეს, კლარჯეთშია – რ. თ.), ახლა *ბიჩკათი* ჰქვია. არხვაცაა (*არხვა* მურღულუის ხეობაშია – რ. თ.), ახლა *სერვეთიე* ჰქვია. *ავანა* არხვას ახლოსაა. შეცვლილი სახელია *იქბალიე*. *ხატილა* არის ორითანა. *ზემო ხატილას* ახლა *გუნდოვანი* დაარქვეს“. სოფელ *ლუთფიე კოშკიდან* სოფელ *ქართლამდე* 15 კილომეტრს მიუთითებენ. „ჰენდეკში გურჯი მაჰალე ორია. 100 ოჯახი იქნება. 13 უბანია ჰენდეკში და სამ უბანში ქართველები ცხოვრობენ. 1878 წელს ზოგი პირდაპირ ჰენდეკის ცენტრში დასახლდა. მუჰაჯირები ჯერ *იზმითში* ჩასულან და შემდეგ იქაურ გამგეობას დაუფანტია. რუსებსა და ოსმალებს შორის შეთანხმება იყო, ან წაიყვანეთ, ან ჩვენ გაგადებთო. ან ესენი წაიყვანეთ, ან სტამბოლში შემოვალთო“.

საქარიაში ქართველები ცხოვრობენ ქალაქ *ქარასუსა* და მის რაიონშიც. ქარასუს ერთი უბანი მთლიანად ქართველებითაა დასახლებული. მათი მუჰაჯირი წინაპრები *ქარასუსში* აჭარიდან – თანამედროვე *ხელვაჩაურის* რაიონის სოფელ *გვარადან* მიგრირებულან, *ქედქედიდან*, *ურეხიდან*. „ქარასუს *აზიზიეს* უბანში (ქუჩაზე) 5 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. „რუსების შეგვემინდა და ამიტომ წამოვიდნენ ჩვენი დედები. აქედან ბევრი მიტრიალებულა ქედქედში.“ *ქარასუსში* მოსვლამდე ამ ქალაქის მუჰაჯირები ჯერ *სამსუნში* მისულან, შემდეგ – *ხენდეკში* და *ხენდეკიდან* აქ. „წყალი და ტყე უძებნიათ და სადაც დაუნახიათ წყალი და ტყე იქ დასახლებულან. *ქოჯაალის* რაიონში კიდევ ოთხი ქართული სოფელია. სამი წელიწადი მოუნდნენ აქ მოსვლას. რუსებს გამოექცნენ. სროლები რომ იყო, შეეშინდათ და გამოიქცნენ. ერთი უფროსი კაცი ყოფილა, რომელიც თავის ხალხს ეუბნებოდა, არ წახვიდეთო და ამის გამო, ის რუსებს დაუჭერიათ“.

ქართული სოფელია *მელენებირი* (ქოჯაალის რაიონი) შავი ზღვის სანაპიროზე. სოფლიდან სტამბოლამდე 200 კილომეტრია. ამ სოფელში მაცხოვრებელნი მუჰაჯირად არიან მოსული *ქემო მაჭახლიდან*. ასახელებენ

სოფლებს: *სიმონეთს, თხილნარას, მირეთს...* ქართველთა რაოდენობას 250 კომლაძე ითვლიან. ეს სოფელიც ახალგაზრდებისაგან, ფაქტობრივად, დაცლილია. მოხრობლის თქმით, „დედე და ორი ძმა მოსულა. ჩემი დედე მაშინ 4 წლის იყო. აქაური აინი მოწონებიათ, ჩვენს სოფელს ჰგავსო. აქ თურქები ყოფილან, ისინი, თურქები, გოუდევნიათ“.

ქოჯაალის რაიონის ქართული სოფლებია კიდევ *დემირაჩმა* და *გურჯიქი*. დემირაჩმელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ მისი წინაპრები აქ აჭარიდან, *მირვეთიდან* ჩამოსულან. მიგრირებულები არიან *მარადიდიდანაც*. „ათი წლით ადრე მოსულან აბაზები. აბაზებს დაუნახვებიათ ტერიტორია, აქ დაჯექითო“. „ჩვენ თავზე ვიტყოდით, მუჰაჯირი ვართო. ამ სოფლიდან ვინც ადგება და სხვაგან წავა, მუჰაჯირია. დემირაჩმელი ქართველებიც ქალაქებში არიან საცხოვრებლად გასული: „მე იზმითს ვზივარ და ეხლა თხილისათვის მოველ, იქ ვსაქმობ.“

გურჯიქი არაოფიციალური სახელია. ადრე ამ სოფელში ბერძნებს უცხოვრიათ. მოხრობელის თქმით, „ადრე რუმები ცხოვრობდნენ. რუმები ათათურქმა ააყენა და მერე გურჯები მოვიდნენ“. სამსუნშიც უცხოვრიათ ჩვენს დედებს, ზოგი იქ დარჩენილა *სამსუნს, სინოპს*. ინფორმატორის მიერ მოწოდებული მასალით, მათი წინაპრების სოფელს საქართველოში *სხალაძეები* ჰქვიათ. ამ სოფლიდან 35 კომლი მოსულა. „გიაურს გამოურეკია, მუსლიმები წამოსულან. რუსებს გურჯები ზღვაში ჩაუყრიათ. რუსებს ჩვალეები (ტომრები) ჩაუცმევით და ისე გამოუშვიათ.“

ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ *არიფეას* რაიონშიც. მათი ერთ-ერთი სოფელი *იენიქოის* (იგივე *ყიხლაჩაი*) სახელს ატარებს. იენიქოელები გადმოსახლებულან *ხებადან* (*ზედუბანი*), *შუბანიდან*, *კინჩხეთიდან*, *კატაფხიადან*, *კაბანიდან*. მდინარე საქარიისთვის მუჰაჯირ ქართველებს *ჭორუხი* დაურქმევით: „წყალისფერი რომ ერთია დაურქმევიათ ჭორუხი“. *იენიქოში* დღეს 150 კომლი ცხოვრობს. „ზაფხულში დასაჯლომელ ადგილს ვერ ნახავ. წავლენ ადაბაზარში. 150 ოჯახია და 150 პენსიაზე გამოსული ხალხია. აქ ათი წლით ადრე ყოფილან აბაზები/აფხაზები. ქართველებს აფხაზებისათვის ფული მიუციათ და ისინი ქალაქ *დუზჯეში* გაუშვიათ.“ ქართველი მუჰაჯირები გადმოსახლების შემდეგ მიზეზს ასახელებენ: „ბათუმიდან აქ წამოსულან რუსეთთან ომის გამო. ბევრი მუსლიმანობა ხელში ჰქონებია, ისინი გამოქცეულან. დანარჩენები დარჩენილან. მუსლიმანობა დაიკარგებო და წამოვიდნენ. ამ სოფელში ბევრია და გარეთაც არიან. აქ მოვიდნენ 60 ოჯახი. ახლა ასი და ნა-

ხევარი გავხდით. ბევრი დიდ ქალაქებში არიან. სხვა სოფლებშიც არიან. აქ ჩერქეზებიც არიან. მეზობელ ჩერქეზულ სოფელ ჩინარდობში 15 ოჯახი ქართველიც ცხოვრობს. აფხაზის სოფელში 20 ოჯახია ქართველი. აქურობაში სულ ხუთი ქართველი სოფელია. 200 [კომლი] *ყარაჩაშშია*, ჭოროხის გაღმა. *ბიჩხი დერეს* ვეტყვით, იქაც არიან. იმაზე ახლოს *სარაის* ვეტყვით, აქ 60 არის. *დოვანჩაიში* არიან ჰასანოღლები. ესენიც მარადიდიდან, ზედობნიდან არიან მოსული.“ ამავე ინფორმატორის თქმით, ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე სოფელ *ილიშბეგში*, ხოლო სოფელ *საფანჯაში* ისინი ჭანებთან ერთად ცხოვრობენ. „საქარიას რაიონში 200 ათასი ქართველია. ჭანები და ქართველები ერთად მოვიდნენ, 140 წლის წინ მოვიდნენ. ჭანებიც რუსებს გამოექცნენ ბორჩხიდან. ზამთარში მარტო ბერები რჩებიან. 70 ოჯახი არის ზამთარში, ზაფხულში 150 ოჯახი. ახალგაზრდები კითხულობენ და საქმობენ.“ იენიქოელი მთხრობელები ხაზს უსვამენ, რომ მათ სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ და ისინი აქ სხვებს არ უშვებენ.

შემდეგი სოფელი, რომელშიც მუშაობის საშუალება მოგვეცა, ესაა *აქჩაი*. თავდაპირველად ამ სოფელში ჩერქეზებს უცხოვრიათ. მთხრობლის *მულასინ ჰილიჩის* წინაპრები *აქჩაიში* მარადიდიდან მოსულან. სოფელში დღეს 230 სახლი დგას და უმეტესობა (150 კომლი) ქართველია, „დანარჩენი 80 სხვადასხვა (აფხაზები, ჩერქეზები, ჭანები). ცოტა მოსულან და მერე დამენებული არიან. რუსეთთან რომ ომი იქნა, მაშინ წამოსულან. *იზმითს* იქითაც არიან ჩვენები, ზოგი სად წასულა და ზოგი – სად. ზემოთ კაპანზე დამჯდარან, ვაკეში არ დამჯდარან. იქ გაჩვეულნი ყოფილან ზედან. როგორც მარადილში იყვნენ, აქაც ისე დამჯდარან. ჩვენები ამასაც ჭოროხს ეტყვიან“.

ქართველები ცხოვრობენ *საფანჯას* ილჩემიც. საფანჯის ცენტრში ისინი *იენი მაჰალეში*, *ჯამი ჯედითის მაჰალესა* და *ქირქეფინარში* მკვიდრობენ. რაიონში კი ოთხი ქართული სოფელია: *გულდიბი*, *ერდეძლი*, *მაჰმუდიე* და *მურადიე*. *მაჰმუდიეში* მუჰაჯირი ქართველები მარადიდ-ბათუმიდან მიგრირებულან. მურადიეს მეზობელია ქართული სოფელი *გულდიბიც*. ამ უკანასკნელ სოფელში 250 კომლი ქართველი ცხოვრობს: „მთელი გურჯები ვართ, 250 სახლი. რუსი რომ შამოვიდა, ჩვენები აქეთ წამოსულან *კირნათიდან* და *კობაღეთიდან*, *კახაბერიდან*. რუსის ასკერებს ჩვენს დედების ქალებზე გონჯი თვალთ შეუხედავთ. ჩვენები სიბირიაში წაუყვანიათ. ტყე იყო აქაურობა და ტყეში დასხდომილან. სოფელ *გულდიბის* სხვა სოფლების ბედი არ გაუზიარებია და არ დაცლილა მოსახლეობისაგან, რადგან ის ქალაქთან ახლოსაა. „ქალაქი ახლოსაა, ფაბრიკებია, საქმობენ და მერე სახლში მოდიან.“

გეივეს ილჩეში ქართული სოფელია *ნურუოსმანიე*. აქ მარადიდვიდან მოსულები ბინადრობენ.

ქართველები მკვიდრობენ *საქარიას* ვილაიეთის *აქიაზის* რაიონის სოფელ *რეშადიეში*. რეშადიელი, მთხრობელის სიტყვით, სოფელი 1877 წელსაა დაარსებული. „ბათუმიდან წამოვედით. სოფელი არ ვიცით. ჩემს დედეს დაბადების პასპორტში ბათუმი ეწერა. წყლის ძებნაში მიაგნეს ამ ადგილს. წყარო უნახავთ და იქ დამდგარან. სოფელი მთელი ხალხი ქართულია. 150 ოჯახია ქართველი.“ ირკვევა, რომ აჭარიდან წამოსულები ჯერ *მურდულის* ხეობაში მისულან და შემდეგ – მარმარილოს ზღვის რეგიონში. ზოგიერთი აჭარიდან აყრილი ჯერ *ხატილას წყალზე* დამკვიდრებულა, მაგრამ რუსების სამხრეთისაკენ სვლას ქართველ მაჰმადიანთა ხატილა-მურდულიდან აყრაც მოჰყოლია. აქვე სოფელ *შერიფიეში* მკვიდრი ქართველები კი *იმერხევიდან* მოსვლას ამბობენ. ამ სოფლებში დამკვიდრებამდე მუჰაჯირებს კარგა ხანი უხეტიალიათ და 8-9 წლის შემდეგ უპოვიათ სასურველი ადგილი. *რეშადიე* მუჰაჯირთა მოსვლისას ტყიანი ადგილი ყოფილა. როგორც აღნიშნავენ, იმ დროს მოსული ქართველების რაოდენობა მხოლოდ შვიდი ოჯახი ყოფილა. „შვიდი ოჯახიდან 150 ოჯახი გამხდარა“. რეშადიეში ქართველების რაოდენობა მეორე მსოფლიო ომის დროს 20 კომლით გაზრდილა. *ხატილას* ხეობიდან მიგრირებული ქართველების ერთი სოფელი არის *ბურსას* ვილაეთში – *ორჰანიე* („ქალაქის სოფელია“). გარდა ამისა, *ხატილადან* მოსულები ცხოვრობენ აგრეთვე *იმანიესა* და *იქრამიეში*. ორივე ეს სოფელი *ჰენდეკს* მიეკუთვნება. „ჩემი ბაბუა იტყოდა: ხატილაში 300 ოჯახი ყოფილა. აქ ხუთი სოფელი გამხდარა ხატილიდან მოსული ხალხი“. ხატილელების აყრის მიზეზი ერმენლები (სომხები) ყოფილან: „იქიდან სომეხები მოსულან. სოფელში 2-3 ბერი მუკლავთ. ღამეში ყელები დაუჭრიათ. ეს 1860-იან წლებში მომხდარა. ძროხები წაუყვანიათ. იმაზე ადრე ყოფილა ეს ამბავი. ერმენლები სხვა სოფლებშიც იგივეს აკეთებდნენ. ახალგაზრდები ომში ყოფილან და იმიტომ მოერივნენ“. *რეშადიეში* ქართველთა ერთი ნაწილი რუსეთ-ალექმანიის ომის დროსაც მიგრირებულა (40 ოჯახი).

ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული სოფელი *აჰმედიე*. აჰმედიელი ქართველები ჯერ *ადაბაზარში* დასახლებულან, იქიდან კი აქ გადმოსულან. „ამოსულან აქა ამ სოფელში, კაი მიწა ყოფილა. დასასვენებელი ალაგი ეს უნახავთ. მაშინ ადაბაზარი სოფელი ყოფილა. მიუციათ აქაურობა, დაჯექითო. ჩემი დედე შუახევიდან წამოსულა, ბათუმის მხრიდან. *ართვინს შავშეთს* ვეჭ-

ყვით. მოკრეფილი არიან აქ სხვადასხვა სოფლები. *ტომაშეთს* იტყოდნენ, *კობალთა*, *დაჩეთი*... იტყოდნენ ამ სოფლებიდან ვართო. ზოგი *ინეგოლ* არ დაჯდა. ახლა 60 სახლია. ბევრი გურჯია, გაერივნენ. ჩხუბზე ადრე წამოვიდნენ, როცა ბათუმი თურქეთის ხელში იყო. აქ რომ მოსულან ჩვენები, მაშინ რუმები ყოფილან. ათათურქმა გაწყვიტა ისინი. იონიაში გაიქცნენ. რუმებმა თურქული იცოდნენ. მათი ძველი ქვეყანა აქაურობა იყო და გაყარ-გამოყარეს. ჯერ *დემირანმაში* დამჯდარან, მერე აქ. ბათუმიდან გემით მოსულან. ეს სოფელი *აქიაზის* რაიონს ეკუთვნის – *რეშადიე, შერაფიე. ქუჩუჯეკეში* ნახევარი ჩვენები არიან“. ამ მოხრობელთან შემოსულმა მეზობელმა აღნიშნა, რომ მათი წინაპარი *ქუთაურიდან* (შუახევის რაიონი) გამოსულა.

ქართველები ცხოვრობენ *ქარაფურჩეყის* რაიონის სოფელებში *მეჯიდიე* და *ყანლიჩაი*. *მეჯიდიე* საკმაოდ დიდი სოფელია, ის მთლიანად ქართველებითაა დასახლებული. მეჯიდიელთა მუჰაჯირი წინაპრები შუახევისა და ხულოს რაიონების სოფლებიდან არიან მიგრირებული... ნაწილობრივ ქართველები ცხოვრობენ სოფელ *მესულეშიც*. ამასთანავე, ქარაფურჩეყისა და აქიაზის რაიონებში ბოლო 50 წლის განმავლობაში შავიზღვისპირა რაიონებიდან, განსაკუთრებით *ვირესუნის* პროვინციის *ბულანჯაკის* და *ფირაზიზის* სოფლებიდან ბევრი ქართველია მიგრირებული.

ბურსას პროვინციის *ინეგოლის* გარშემო 18 ქართული სოფელია; ეს სოფლებია: *ბახჩეკაი, გულბახჩე, ელმაჩაი, თუფეჭიყონადი, მურათბეი, სულპიე, ფევზიე, ყარაყადი, ჩაილიჯა, ჩიფთლიქი, ჰაირიე, ჰამიდიე, ჰასანფაშა, ჰილმიე*... ამ რაიონის ზოგიერთ სოფელში ქართველები შერეულად სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან (*აბაზები, ჩერქეზები, ბოსნიელები, პომაკები*...) ერთად ცხოვრობენ: *ბაჰარიე, ერიქლი, იენიჯი* (ქართველები ყველაზე მეტნი – ას კომლამდე აქ ცხოვრობენ), *ფინდიკლი, ქესთანე, ყარაჯაყაი, ჰაჯიყარა*.² ქალაქ ინეგოლსა და მის სოფლებში მცხოვრები ქართველები თავს ერთმანეთისაგან ერთგვარად განასხვავებენ იმის მიხედვით, თუ საიდან არიან აქ მათი წინაპრები მოსული: *აჭარელი, ჩაქველი, მაჭახელი*.³

სოფელ *დერეჩატში* 60 კომლი ცხოვრობს; ისინი *ჩაქვიდან* ყოფილან გადმოსახლებული. სოფელ *ჰეირიეში*, ძირითადად, *ქვემო მაჭახლელები* არიან დასახლებულნი. სოფელში ქართველთა 130 კომლს ითვლიან. *ინეგოლის*

² შდრ.: ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 213-214.

³ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 216.

ერთ-ერთი ქართული სოფელია *ჰამდიე* (ძველად გაზელი). ქართველები აქ 50 კომლის რაოდენობით არიან. ამ სოფლის მკვიდრმა *აბდულა თათაროღლმა* წინაპარ მუჰაჯირთა აჭარიდან აყრის შესახებ წიგნი დაწერა. *აბდულა თათაროღლუს* დიდი ინტერესი გააჩნია ისტორიის მიმართ და წინაპართა გადმოცემულს ყველაფერს აფიქსირებდა: „ჩვენი დედიები, დიდვანები იქიდან მოვსულვართ. 1878 წელს ოსმალეთისა და თურქეთის ომის დროს აჭარის ხალხი ომში ჩხუბობდა ოსმალების მხარეზე. ჩვენ *ღორჯომის* სოფელ *მეკეიძეებიდან* ვართ, *ხულაზე* ახლოა. ყველაზე მეტნი *მეკეიძეებიდანაა* მოსული. აქაური ხალხი ბევრი უფრო *ღორჯომიდანაა*. სანამ აქ მოსულან ორ-სამ ადგილზე დამჯდარან. სოფლიდან პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის მხარეზე 72 კაცი წასულა და მხოლოდ 4 დაბრუნებულა“. ირკვევა, რომ *ჰეირიეში* ფოცხოვიდან გადმოსახლებულებიც ცხოვრობენ: „ისინი ორი-სამი კომლი ყოფილან ფოცხოველები. ჩვენ ხალხს შეუცოდებიათ და მიუღიათ“. ფოცხოველები ამ ქართულ სოფელში 1910-1911 წლებში მოსულან. საერთოდ ფოცხოველები ქალაქ ინგოლში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ შეერთებული ქართული მიწა-წყლიდან ოსმალეთის იმპერიაში ქართველთა მიგრაცია არ შეწყვეტილა. ცნობილია, რომ ფოცხოველებმა ქართული ენა აღარ იცოდნენ. ინგოლის რამდენიმე სოფელში დასახლების შემდეგ კი მათ ქართული ენა ისწავლეს.⁴

ინგოლში ერთ-ერთი ქართული სოფელია *სულჰიე/მეზითი*. ქართველებთან ერთად სოფელში ლაზები და აფხაზებიც ცხოვრობენ. ისინი ცალკე უბნებად არიან განსახლებული.

ქართული სოფელია *ჰილმიე*. ჰილმიელი, მთხრობელის თქმით, „უკვე მეშვიდე თაობა ჩნდება, რაც ბათუმიდან გამოქცეულან. მთხრობელის სიტყვით, მისი ბაბოი-დედები *ჩანჩხალოს* სოფლიდან მოსულან (*ჭვანას ხეობა*). მთხრობელის *ნიჰამეთინ მაილის* წინაპრები თავდაპირველად *გირესუნში* მოსულან. შვიდ წელიწად ნახევარი გირესუნში დარჩენილან. დღეს დიდი შვილი გირესუნში შესრულებულია 20 წლის. დიდი ღარჭი გირესუნში დარჩენილა. დანარჩენები კი ბურსას მოსულან და იაილებზე დამდგარან“.

ინგოლის სოფელ *ჰასანფაშაში* (*საადეთ ქუე*) არა აჭარიდან, არამედ იმერხევიდან გადმოსახლებული ქართველები არიან. მთხრობელის *მუსა შაჰინის* წინაპრები მოსული არიან იმერხევის სოფელ *ხოხლევიდან*. მათთვის ჰა-

⁴ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 221.

სან-ფაშას ვაკეში მიუცია ადგილი დასასახლებლად, მაგრამ მიგრანტებს ადგილი არ მოსწონებიათ, „მთა არაა, წყალი არაა, სიცხეა და აქ ვერ ვიმუშავებთ. მთაში დაჯდომილან.“ ამ ადგილას მაშინ მოვიდნენ, როდესაც 1877 წელს მუჰაჯირები დასახლდნენ. მუჰაჯირები შუახევის სოფელ *ჭალას სოფლიდან* მოსულან. მოსული არიან სოფელ *ქვეშიდანაც*. *ჭალასოფელში* სამი ძმა ყოფილანო, ორი ძმა მოსულა აქა, ერთი – საქართველოში დარჩენილა. აღნიშნულ სოფელში ქართველები 40 კომლის რაოდენობით იყვნენ. ახლა კი 30 კომლამდე არიან შემცირებულნი. ინეგოლის სოფელ *თუფექჩიყონადში* სოფელ *ოლადაურიდან* გადმოსახლებულები მკვიდრობენ. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ინეგოლში – ქართველთა განსახლების ამ მნიშვნელოვან რეგიონში თავს იყრიან იმერხევის სოფლებიდან გადმოსახლებული ქართველები. ერთ-ერთი მთხრობელის აღნიშვნით, იმერხევის სოფელ *ხოზლევიდან* მისი ოჯახი გადასახლებულა. მათ შემდეგ დანარჩენები მოყოლიან: „პირველად მხოლოდ ჩვენი ოჯახი წამოვიდა, მერე სხვებიც მოვიდნენ – *ინეგოლს, ბურსას, ანკარას*. ჩემი ემის სიმამრი *ბაზგირეთიდან* მოვიდა. აქ მკვიდრობენ აგრეთვე იმერხევის სოფლებიდან *ჭვარებიდან, მანატბიდან, მანხატეთიდან...* მოსულები, რომელთა მიგრაცია ინეგოლის რეგიონში 50-55 წლის წინ დაიწყო. რა თქმა უნდა, XX საუკუნის მეორე ნახევარში იმერხევიდან მარმარილოს რეგიონში მიგრირებულები მუჰაჯირები არ არიან. იმერხეველთა მუჰაჯირ ქართველთა შორის დასახლების ეს ფაქტი სხვა კონტექსტშია განსახილველი – ქართველები ქართველებს შორის დასახლებას ანიჭებდნენ უპირატესობას.

ინეგოლის რეგიონში ქართული სოფლებია აგრეთვე *ოილათი* (სოფელი-კურორტი), *ბაღჩეკაია* და *მესრულიე*. ერთ-ერთი მთხრობელის სიტყვით, ისინი *ბაღჩეკაიაში მაწვეალთდან* არიან მოსული. იქვე მკვიდრობენ მუჰაჯირები *შუახევიდან, ხულოდან, დღვანადან, ნინიადან*. „ომი რომ გავარდნილა, ოსმალოს დროს იმაზე წამოსულან. რუსები წაართმევდნენ მუსლიმობას. იმაზე შეემინდათ და წამოვიდნენ. ჯერ *ინეგოლში* იყვნენ. მათი ბიძაშვილები *იზნიკში* დარჩენილან.“ ამ სოფლებშიც ზამთარში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. ზაფხულის 50 კომლი ზამთარში 25 კომლად იქცევა.

ბურსის ვილაიეთში შედის ქალაქი *გემლიქი*. გემლიქი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ქართველები გემლიქის რაიონის რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ. ერთ-ერთი ასეთი სოფელია *ჰამდიე*. ერთი ჰამდიელი მთხრობელის ინფორმაციით, მისი წინაპრები ქედის რაიონის *ვაშლის სოფლიდან* არიან მოსული. *ჰამდიეში* 80 სახლია და ყველა მათგანში ქართვე-

ლები მკვიდრობენ. მთხრობელები წინაპრების გადმოსახლების თარიღად 1877 წელს ასახელებენ. დიდი ნაწილი ართვინის სოფელ *ადაგულიდან* (მურღულის ხეობა) არიან მოსული. მისი წინაპარ მუჰაჯირს გემლექის მაჰალე არ მოსწონებია. დედეს მთავრობის კაცისათვის უთქვამს, გემლიქში ბუზები არიანო. *ჰამდიეს* ადგილას ტყე ყოფილა. ის უკან ართვინში დაბრუნებულა და ათი უსტა წამოუყვანია. მათ აქ 15-20 კომლის სახლები გაუკეთებიათ. ისინი ყოფილან *ხებადან*, *წითურეთიდან*, *ებრიკადან*, *ნაჯვიადან*, *ადაგულიდან*, *ყასიმეთიდან* (ყველაზე მეტნი არიან ადაგულიდან და ნაჯვიადან). ეთნოგრაფიული მასალებიც ირკვევა, რომ თითოეული სოფლიდან რამდენი კომლი იყო მოსული: *ხებადან* – 3 კომლი, *წითურეთიდან* – 4 კომლი, *ებრიკადან* – 3 კომლი, *ნაჯვიადან* (ნიგარადან) – 7 კომლი, *სამეოლოვ-სოფლიდან* – 3 კომლი, *ადაგულიდან* – 17 კომლი, *ყაზიმეთ სოფლიდან* – 1 კომლი, არავეთ სოფლიდან – 3 კომლი, *ბორჩხადან* – 1 კომლი, *ართვინიდან* – 1 კომლი. აგრეთვე *ზემო მაჭახელიდან*. მაჭახლელები ცხოვრობენ აგრეთვე სოფელ *ჰაიდარიეში* (გემლიკის ზემოთ). გემლიკის რაიონში ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე *ჰაირიესა* და *სელიმიეში*. გემლიკში ჭანების სოფელია *შუქრია*. ჭანები ქართველებს „*ჭოროხმელს*“ უწოდებენ.

ქართველები მკვიდრობენ სოფელ *ჰაიდარიეში*. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სოფელში 120 („ასი და ოცი“) სახლია. ეს რაოდენობა შემცირებულია, რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გემლიქსა და სხვა ქალაქებშია საცხოვრებლად წასული. ამ სოფლის მოსახლეობა *მახინჯაურიდან*, *ჩაქვიდან*, *ჩაქვის თელიდან* და *მაჭახელიდან* მოსულა. ჰაიდარიელი მთხრობელის სიყტით, „ართვინი ჩვენი ყოფილა უწინ. *ბურსაში*, *იზმითში*, *იზნიკში*, *ინეგოლში*, *ადაბაზარში* ვართ გურჯები. უფრო ბევრი იქნებოდა, მაგრამ *ისტამბულსა* და *ბურსას* წავიდნენ“. როგორც ირკვევა, მუჰაჯირად მოსულ ქართველებს ჰაიდარიედან „თათრები“ გაუდევნიათ. მუჰაჯირად წამოსვლის მიზეზად მუსლიმობას ასახელებენ: „მუსლიმი რომ ვიყავით, აქანა გამოვედით. ვინცხას ფული ჰქონებია, ის გამოქცეულა. ზოგი უკან წასულა. სოფელი *ჰაირიე* ართვინიდან გამოსულა. ასი მოსახლე წამოსულა ერთად. ახლა კი აქედან დარიგდნენ *სტამბოლში*, *ბურსაში*. ჩემი ბიძაშვილები მთელ *სტამბოლშია*“.

გემლიქის რაიონის სოფელ *ჰაირიეში* ლიგანიდან/ლივანადან მოსული ქართველები ცხოვრობენ: „*ჰაირიე*, *სელიმიე* ლივანადან მოვსულვართ. ბორჩხას ყოფილა ჩვენი დედე სოფელ *სენათისს*“. აქ, გარდა აღნიშნული სოფლისა, მიგრირებულან, აგრეთვე, *ადაგულიდან*, *ართვინიდან*, *ვალაშიდან*, *დევ-*

სქელიდან, სიკოთიდან, ახალდაბიდან. „რუსი მოსულა ოსმალნის და წამოსულან. მუსლიმანები აქეთ წამოსულან. გემლიქში დამდგარან. გემით მოსულან. აქაც არ ვიჯექით. ზევით *სელიმიე* და *ჰაირიე* ერთად იყვნენ ადგილ *ობას*“. ისევე როგორც სხვა სოფლების მკვიდრნი, ჰაირიელი და სელიმიელი ქართველების უმეტესობა დიდ ქალაქებშია გადასახლებული. „აქ ზამთარში 20 რჩება. მე ისტამბოლს ვარ, ეს ბურსასაა, სხვები გემლიქში არიან“. სოფელ *ზანდანში* მაჭახელიდან მიგრირებულები ცხოვრობენ.

ბურსის ვილაიეთის იზნიკის/ნიკეას რაიონში რამდენიმე ქართული სოფელია: *ელმალი*, *სარისუ*, *სილიჯჰისარი*, *უზუნ ჩიარი*, *ფაშაბინარი*, *ქირინთი*, *ქურთლუჯა*, *ჩამლი ბოლაზი*, *ჯაჯიოსმანი*. ქართული სოფელია *ემალიე*. *ემალიე* ტიპური მთიანი აჭარის სოფელია. აქ მკვიდრობენ *ლორჯომიდან*, *ტაკიძეებიდან*, *აგარადან*, *ჭვანადან*, *ალმაჩიდან* მიგრირებული ქართველები. სოფელში 150 კომლი ცხოვრობს. „ახალგაზრდები წასული არიან. დიდვანები აქ ცხოვრობენ. „ბურსაში ერთი ქუჩაა. აქ სულ *ჩურუქსუდან* მოსული ხალხი ცხოვრობს. სოფელი ყოფილა და ქუჩად იქცა. ბურსის *ქესტელის* რაიონშიც არიან ქართველები. აქ *იზნიკის* რაიონში კი 6 ქართული სოფელია, 2 – მეგრულ-ლაზის, გემლიკს ლაზის 2 სოფელია. იზნიკის ქართული სოფლებია: *ელმალი*, *ჯანდარლი*, *ქირინთი*, *ქითლუჯა*, *ჰაჯი*, *ოსმანი*, *ჰისარდერე*, *მეჯიდიე* (ლაზი), *ელმაჩუქერი* (ლაზი)“.

ბევრი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს *ქოჯაელის* ვილაიეთის ქალაქ *გოლჯუესა* და მის ილჩეში; ეს სოფლებია: *ესქი ფერჰადიე*, *იენი ფერჰადიე*, *იჯადიე*, *ირმადიე*, *ლუთფიე*, *მაძურიე*, *ნიმეთიე*, *ნუსრეთიე*, *სირეთიე*, *შეკვეთიე*, *ჰასანიე*, *ჰამიდიე*. სხვებთან ერთად ცხოვრობენ ამავე რაიონის სხვა სოფლებშიც: *აივაზბინარი*, *უძიე* (ორივე სოფელში ნახევარი ლაზები არიან), *იჰსანიე*, *მესრურიე* (აქ მხოლოდ ლაზები მკვიდრობენ).

ჰამიდიე ქალაქ *იზმიეთის* მახლობლად მდებარეობს, რომელშიც 350 კომლი მკვიდრობს. ზამთარში ბევრი ქალაქში გადადის საცხოვრებლად. *ჰამიდიეს ბორჩხა* რქმევია, რადგან მისი მკვიდრები ართვინ-ბორჩხადან მოსულან: „ბორჩხას შიგნიდან მოვიდნენ. სოფელი უკვე დამდგარი იყო და რამდენიმე ოჯახი მერე მოვიდა, ცოტა გვიან. *ჰასან ფეიმი ფაშამ* გაუკეთა ორგანიზება და დაასახლა აქ ქართველები. ნათესავებმა ერთმანეთს გააგებინეს, ვინ სად მიდიოდა. ამიტომ ცენტრი სოფელი გახდა *ჰამიდიე*. ბათუმი რუსიას რომ მისცეს, იმიტომ წამოვიდნენ, გამოიქცა ხალხი. მალაკნები რომ მოვიდნენ, ხილის ბაღებში ღორები გაუშვეს და ადგილები უწმინდური გახდა და იქიდან

მოსული ხილის, ხორბლის ჭამა არ შეიძლებოდა. ბორჩხიდან ბათუმამდე ფეხით მივიდნენ, მერე გემით – იზმითამდე. იმ დროს პორტი იყო იზმითი. *პასან ზუბოლლი* ადგილობრივი ჯარის გმირი იყო. მუჰაჯირი ქართველების სოფლები აქედან იალოვამდე მან დასვა“. 71 წლის *ვედათ სირმენის (კურჯი-ოღლის)* ინფორმაციით, მისი „დედე *ჰამიდეში* რომ მოსულა ათი და ოთხი წლის ყოფილა“. სოფელში პირველივე დასახლებისას ქართველებს 250 სახელი აუშენებიათ. მუჰაჯირთა რამდენიმე კომლი უკან დაბრუნებულა. მთხრობელები იმასაც აღნიშნავენ, რომ „ვისაც ადგილი არ ეყო, ზოგიერთი *ბალიქი-სირში* (ვილაიეთი, რაიონი) წავიდა“.

გოლჯუკის რაიონში დასახლებულებს თავდაპირველად სოფლებისათვის სხვა სახელები უწოდებიათ: *საჩმალი* (ქართველებმა დაარქვეს *შევექეთი*), *სირეთი* (იგივე *მურლული*), *მაშურიე* (იგივე *მურკვეითი*). ჭოროხის ხეობაში *კატაფხიას* სიახლოვესაა. მუჰაჯირებმა თავიანთი სოფლის სახელი თან მოიტანეს), *იჯადიე* (იგივე *ალიმეზერი*), *ირშადიე* (იგივე *ბეილული*), *ფერადიე* (იგივე *ჩაიდალი*), *ნუსჰეთიე* (იგივე *დიდი დოშემე*), *საქარბიჩკი* (იგივე *პაწაი დოშემე*), *ჰასანეი* (იგივე *ცოცხობა*. ცოცხობა ჭოროხის ხეობაში ხებასა და მარადიდს შორისაა. მუჰაჯირებმა თავიანთი სოფლის სახელი თან მოიტანეს), *შირინქოი* (იგივე *დამლარი*). ლაზებთან (მოხტი ლაზებთან) ერთად ქართველები ცხოვრობენ სოფელ *ლუტკვიეში*, *უმიეში* (იგივე *კამფარა*) და *ჩატალში*. საერთო ჯამში გელჯუკში 19 და სამ შერეულ ქართულ სოფელს ითვლიან. *გოლჯუკის* მოსახლეობას 200 ათასს მიუთითებენ. სოფელ *შევექეთში* (ძველი სახელი *საჩმალი*) მურლულის ხეობიდან და ბორჩხიდან არიან მიგრირებულნი. სოფელში თავდაპირველად 50 სახლი მოსულა. შემდეგ ნახევარი *ცოცხობაში* გადასულან. მურლულის ხეობის სოფლებიდან (ჯანსული, კორდეთი, ოზმალი, ლომიკეთი, ბაგები) არიან მიგრირებული სოფელ *დოშემეში* (ახლა *ნუსრეთიე*) მცხოვრები ქართველები. ამ სოფელში 300 სახლი დგას და ზამთარში მხოლოდ ამის ნახევარშია მოსახლეობა. ქართველების აღნიშვნით, გოლჯუკის მკვიდრთა 80% ეთნიკური ქართველია, ხოლო იზმითისა – 60%.

ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე ბალიქესირის პროვინციის გონენის რაიონის რამდენიმე სოფელში.

ასეთია ეთნოგრაფიული მონაცემები თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველთა განსახლების არეალის შესახებ. საერთო ჯამში, მუჰაჯირ ქართველებს თურქეთის აღნიშნულ რეგიონში 125 სოფელი ჰქონდათ შექმნილი. რა თქმა უნდა, მოყვანილ მონაცემებს სისრულის პრეტენზია არა

აქვს. ამ თვალსაზრისით ადგილზე მუშაობა, დარწმუნებული ვართ, ახალ მასალებს მომავალშიც გამოავლენს. თქმულს აუცილებლად უნდა დავამატოთ ის, რომ მუსლიმ ქართველთა მიგრაცია მარმარილოს ზღვის რეგიონში მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრების შემდგომ სამწლიან პერიოდს არ მოიცავს, როდესაც ხდებოდა ჯგუფური მიგრაცია. ქართველთა ინდივიდუალური მიგრაციები მომდევნო ხანგრძლივ პერიოდშიც მიმდინარეობდა საბჭოთა პერიოდის ჩათვლით, მანამ, სანამ საბჭოთა-კავშირისა და თურქეთის საზღვარზე მავთულხლართებს გააბამდნენ. ინფორმატორთა მითითებით, საკმარაოდ რაოდენობით გადასულან მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველები 1923, 1931, 1939, 1941 წლებში, დამამთავრებელ ეტაპად კი 1942 წელს ასახელებენ. სამართლიანია იმავე ინფორმატორთა სიტყვები, რომ მუჰაჯირობის დროს „წამოსვლა იყო, გამოქცევა არ იყო“. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მომხდარ გადმოსახლებას კი ისინი „გამოქცევას“ უწოდებენ.⁵ ეს გაქცევა კი საბჭოთა ხელისუფლებისაგან ხდებოდა.

⁵ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 214.

Roland Topchishvili

THE GEORGIANS IN THE MARMARA SEA REGION OF TURKEY (AREA OF SETTLEMENT)

Summary

Many Georgians live in the Republic of Turkey. They live not only in the historical territory of Georgia – Tao-Klarjeti, but in other places as well. One of the areas of their compact settlement is the Marmara Sea region. Considerable number of ethnic Georgians live in ilçe/districts of Bursa, Sakarya and Kocaeli vilayets. For example, the informants from Bursa province name about 70 Georgian villages there. Overall, the Muhajir Georgians had 125 villages in the above-mentioned region of Turkey, where they still live today. The present paper specifically discusses the villages with the Georgian population.

The migration of ethnic Georgians in the Marmara Sea region mainly took place during three years after the end of the Russo-Turkish War of 1877-1878. Russia forced Ottomans to cede the historical territories of southern Georgia. The main reason for the resettlement of Muslim Georgians from their ancestral lands was the incompatibility of Muslim Georgians and Christian Russians and the rumors spread by Muslim religious leaders as though Christian Russians were going to kill them. Deportation of Muslim Georgians from their own territories was in the interests of both Russians and Ottomans. The reason for the deportation was also the conflict with ethnic Armenians. The process of deportation was promoted by harsh demographic situation in the historical-ethnographic areas inhabited by the Georgian Muslims, overpopulation and the land crisis were among it. The Georgian Muslims were exiled mostly from the following historical-ethnographic regions of South Georgia: Adjara-Kobuleti, Shavshet-Imerkhevi, and Klarjet-Ligani.

The authorities of the Ottoman Empire initially offered the Muslim Georgians lands in the coastal zone, but for the migrants from mountainous and forested areas this climate and ecological environment were unacceptable; they had adaptation problems in a new geographical environment. Therefore the Georgian Muhajirs chose mountainous and forested places near the sea and started to settle there.

The migration of Muslim Georgians to the Marmara Sea region does not include only three-year period after the end of the Russian-Turkish War of 1877-1878, when it had a massive occurrence. Individual migrations of the Georgians also took place after that as well, including the Soviet period until the barbed wire fences were installed on the Soviet-Turkish border. A large number of the Georgians moved to the Marmara Sea region in 1923, 1931, 1939, 1941 and 1942 is considered as the final stage of this process. As the same informants correctly point “Muhajirs left their places, they did not escape”. But they refer to migration of the 1920s-1930s as “a runaway”. And at this time they escaped from the Soviet government.

*ნათია ფიფია,
ქეთევან ციმინტია*

**რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკის
შესახებ სამეგრელოში
(„ხვამა“: „ოხვამერი“ და „ღუნაპირი“)**

„ხვამა“ სამეგრელოში რიტუალია, რომელიც რიგ შემთხვევებში დაკავშირებულია რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, ზოგჯერ კი ადათობრივი სამართლის შესრულებასთან. გარდა ამისა, მისი ფუნქცია ზოგჯერ სემისაკრალურ-სემიპრაქტიკულია და დაკავშირებულია ოჯახის, გვარის ან სოფლის სხვადასხვა საჭიროებასთან. შესაბამისად, არსებობს „ხვამას“ რამდენიმე სახეობა მისი ფუნქციიდან გამომდინარე. ეს საკითხი გარკვეულწილად შესწავლილია სერგი მაკალათიას ნაშრომებში, რომლებშიც მოცემულია მათი უმრავლესობის აღწერილობა და დანიშნულება, თუმცა მეცნიერს „ხვამას“ კლასიფიკაცია არ უცდია და, შესაბამისად, ეს საკითხი ბოლომდე სიღრმისეულად გამოკვლეული არ გახლავთ. გარდა ამისა, რამდენიმე სახეობის „ხვამა“ სერგი მაკალათიას შრომებში საერთოდ არ არის აღწერილი, ასევე, „ღუნაპირის“ შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ არის მოცემული. „ღუნაპირი“ „ხვამას“ ერთ-ერთი სახეობაა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი საუბრობს „ღუნაპირების“ შესახებ ნაშრომის ცალკეულ ეპიზოდებში, მაინც ტერმინოლოგიას სწორად არ ასახელებს და, შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის „ხვამა“ მის შრომებში ერთ ჩარჩოში ექცევა, რაც ართულებს, პირველ რიგში, მათი საკრალური დანიშნულების კვლევის საკითხს. ჩვენი ნაშრომის მიზანი სწორედ ამ ხარვეზის შევსება გახლავთ და, შესაბამისად, სურვილი გვაქვს, პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

✓ რა განსხვავებაა „ოხვამერსა“ და „ღუნაპირს“ შორის – საკითხის ტერმინოლოგიური და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ასპექტები,

- ✓ რომელი „ხვამა“ გახლავთ „დუნაპირი“ და რომელია „ოხვამერი“?
- ✓ როგორ სრულდებოდა სხვადასხვა დანიშნულების „დუნაპირის“ რიტუალი?
 - ✓ სამეგრელოში რა სახის „ხვამები“ არსებობს, რომლებიც აქამდე მეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩა?
 - ✓ რა ფუნქციით ასრულებდნენ თითოეულ „ხვამას“?
 - ✓ რა მდგომარეობაა დღესდღეობით სამეგრელოში ამ რიტუალების დაცვის კუთხით – რა შეიცვალა და რა დარჩა უცვლელი მას შემდეგ, რაც სერგი მაკალათიამ შეისწავლა ეს საკითხი (ამ საკითხს, რა თქმა უნდა, შევისწავლით ისეთი მაგალითების საფუძველზე, რომლებიც კარგად არის აღწერილი მეცნიერის მიერ)?
 - ✓ როგორ გადაურჩა ათეისტურ საბჭოთა პერიოდს ეს რელიგიური რიტუალები?
 - ✓ რეგიონის ანთროპოლოგიური პერსპექტივები – რამდენად შესაძლებელია, რომ ეს რიტუალები მომავალშიც ისეთივე სინშირითა და სინუსტით შესრულდეს და რა უქმნის საფრთხეს მათი ავთენტური ფორმით შენარჩუნებას.

„ხვამა“, „ოხვამერი“, „დუნაპირი“ – საკითხის ტერმინოლოგიური და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ასპექტები

ნებისმიერი რიტუალი, რომლებიც უფლისა ან კონკრეტული ადამიანისადმი გარკვეული სათხოვრით მიმართვასთანაა დაკავშირებული და სრულდება გარკვეული წესების დაცვით, არის „ხვამა“. „ხვამა“ ქართულად ნიშნავს „ლოცვას“, „დალოცვას“. იმავე ფუნქციით გამოიყენება მეორე ტერმინი – „გიოთხვამა“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „გამოლოცვას“. ტერმინი – „გიოთხვამა“ (გამოლოცვა) ზოგჯერ აღნიშნავს „დუნაპირის“ დაგვიანებით შესრულებას. აღსანიშნავია, რომ თვითონ „ხვამაც“ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „გამოლოცვა“. ტერმინის გააზრება დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე: იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველწლიურ რიტუალთან გაქვს საქმე, „ხვამა“ ტერმინის გამოყენება გულისხმობს, როგორც წესი, „ლოცვას“, „დალოცვას“, ხოლო როდესაც დაპირებულ რიტუალთან – „დუნაპირთან“ გვაქვს საქმე, მაშინ უნდა ითარგმნოს, როგორც „გამოლოცვა“. ამას მიანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პარალელური ფორმების – „ხვამა“ და „გიოთხვამა“ გამოიყენება სწორედ მაშინ, როდესაც საქმე ეხება „დუნაპირს“. ტერმინი „ოხვამერი“ ყოველთვის აღნიშნავს ყოველწლიურ რიტუალებს – მაგალითად,

„საღორნოთო“ „ხვამა“ თავისი არსით „ოხვამერია“. იგი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „სალოცავი – ის, რაც უნდა ვილოცოთ, დავილოცოთ, მოვილოცოთ“. შესაბამისად, მისი მნიშვნელობა, გარკვეულწილად, ვალდებულებას გულისხმობს, რომელიც ყოველთვის ღმერთთან და სხვადასხვა ზებუნებრივ ძალასთან არის დაკავშირებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ხვამების“ უმრავლესობაში არ არის მითითებული კონკრეტული ღვთის/ღმერთების სახელები, თუ არ ჩავთვლით „საქირსოს“, რომელიც შობას ან უახლოეს დღეებში სრულდება. ამის ახსნა სხვადასხვანაირად შეიძლება: ან ეს რიტუალები წინარექრისტიანული ხანიდან შემოგვრჩა და მათი ფუნქცია და შესრულების ფორმა ხშირად სწორედ ამას გვაფიქრებინებს, ან მათი ფარისევლური სინკრეტიზაცია¹ მოხდა ქრისტიანობასთან, ან დროსთან ერთად იმ ღვთის/ღმერთების სახელები დაიკარგა და მხოლოდ ფუნქცია დარჩა – ზეცნობიერისთვის (სახელის დაკონკრეტების გარეშე) რაღაცის თხოვნა გარკვეული რიტუალის შესრულებით ან სამივე მიზეზით ერთდროულად მოხდა. ამან შეიძლება მიგვიყვანოს შეკითხვამდე: ხომ არ დაკარგა ფუნქცია ამ რიტუალებმა და ხომ არ შემორჩა ისინი მხოლოდ სავალდებულო შესრულების ფუნქციით, როდესაც რეალურად შედარებით ათეისტ საზოგადოებასთან გვექონდა საქმე? რაც შეეხება ტერმინს „ღუნაპირი“, იგი სიტყვასიტყვით აღნიშნავს „დაპირებულს, შეპირებულს“. „ღუნაპირი“ არის რიტუალი, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ დათქმული, შეპირებული ღონისძიების შესასრულებლად – მაგალითად, შვილის ომში წასვლის წინ დედა დაჰპირდებოდა ხატს (ან ღმერთს), რომ თუ შვილი უვნებლად დაუბრუნდებოდა, მაშინ აუცილებლად შესწირავდა საკლავს. თუ რომელ ცხოველს ან ფრინველს დაჰპირდებოდა, ეს თვითონ ადამიანსა და მის ქონებრივ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. ამ სახის „ღუნაპირი“ შეიძლებოდა შეესრულებინა როგორც ერთ ადამიანს, ასევე მთელ სოფელსაც, მიუხედავად იმისა, რიტუალი მთელი სოფლის მამაკაცებისა თუ ერთი კონკრეტული ადამიანის გამო სრულდებოდა.

¹ ეთნოგრაფიული მასალებით დავაფიქსირეთ შემთხვევა, როდესაც თავყანს სცემდნენ წმინდად მიჩნეულ ქვას, იქვე ამ ქვის მოსალოცად აშენებულ სპეციალურ ოთახში ხატები იყო დასვენებული, თუმცა, როდესაც ადგილობრივები იქ შედიოდნენ, თავყანს მხოლოდ ქვას სცემდნენ და არა ხატებს, იმავე ადგილას ადგილობრივებმა, მღვდლის რჩევის მიუხედავად, რიტუალი არ შეცვალეს, რამაც გვაფიქრებინა, რომ წინარექრისტიანული ხანიდან ეს რიტუალები იმიტომ შემორჩა, რომ მსგავსი მოჩვენებითი საქციელით ადგილობრივები ცდილობდნენ ქრისტიანობისთვის ხარკი გადაეხადათ და რიტუალი მაინც ხელუხლებელი დაეტოვებინათ. სწორედ ამას ვგულისხმობთ ქრისტიანობასთან რიტუალების ფარისევლურ სინკრეტიზაციაში.

ამრიგად, „ხვამას“ აქვს ორი სახეობა: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“. „ოხვამერი“ დაკავშირებულია ყოველწლიურ რიტუალთან, ხოლო „დუნაპირი“ – ერთი ადამიანის, ოჯახის ან სოფლის მიერ გარკვეული სათხოვრის შესრულებისთვის სამადლობელი ფორმით „ლოცვის, გამოლოცვის“ რიტუალთან. აქვე აღვნიშნავთ საკითხის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ ასპექტს – თუკი „ოხვამერი“ თავისი ფუნქციით ძალიან ჰგავს ქრისტიანულ დღესასწაულებს იმ თვალსაზრისით, რომ ყოველწლიურად სრულდება წელიწადის გარკვეულ დროს (მიუხედავად იმისა, არის თუ არა დაკავშირებული კონკრეტულ ქრისტიანულ დღესასწაულთან), „დუნაპირი“ ამ მხრივ განსხვავებულია. ასეთი რიტუალი ქრისტიანობაში არ გვაქვს. ეს სრულიად გასაგებიცაა, რადგან ქრისტიანული წარმოდგენით, ადამიანმა უნდა იცხოვროს ზნეობრივი, რელიგიური ცხოვრებით და მხოლოდ მას შემდეგ მიეგება საზღაური ან ამქვეყნიურ, ან იმქვეყნიურ ცხოვრებაში, ადამიანმა უნდა ილოცოს, იმარხულოს და იცხოვროს ეკლესიური ცხოვრებით, მხოლოდ შემდეგ უფალმა უნდა გადაწყვიტოს, საზღაურის სახე. ქრისტიანული თვალსაზრისით, სრულიად დაუშვებელია ღმერთთან „ვაჭრობა“ – წინასწარ დაჰპირდე ღმერთს გარკვეულ საზღაურს, შემდეგ დაელოდო შედეგს და შედეგის მიხედვით გადაწყვიტო, შეასრულებმას თუ არა – თავისი არსით ასეთი გაგება სრულიად არაქრისტიანულია, მეტიც, უპირიპირდება ქრისტიანულ მრწამსს. ასე რომ, „ოხვამერის“ ფუნქცია გარკვეულწილად შეერწყა ქრისტიანობას იმ თვალსაზრისით, რომ დაუკავშირდა ღმერთს ქრისტიანულ დღესასწაულებს, როგორც მაგალითად „საღორწონთო“, „საქირსო“ და „ჯეგე-მისარწონობა“. „დუნაპირის“ საკითხი სრულიად სხვაგვარად ღვას – სწორედ ამ მიზეზით, როგორც ჩანს, „დუნაპირი“ პირდაპირ ქრისტიანულ ღმერთს – იესო ქრისტეს – არასდროს არ მიემართება, ის ან ხატისადმი მიმართული, ან/და გაურკვეველი – არადენომინირებული ღვთისადმი. შესაწირები საქართველოში, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ღვთისადმი კი არ არის მიმართული, უფრო ხატისადმი. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივია ამ შემთხვევაშიც „დუნაპირის“ ხატისადმი მიძღვნა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „ოხვამერიც“ შეწირვასთან არის დაკავშირებული და მისი ზოგიერთი სახეობა ღვთისთვისაა განკუთვნილი, ეს სპეციფიკა აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

საკითხთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დაზუსტების მიზნით რამდენიმე განმარტებას გავაკეთებთ: „მახვამერი“ ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს „ოხვამერის“ რიტუალს და არა „დუნაპირისას“, „დუნაპირს“ ძირითა-

დად ორი პირი ასრულებს: ან ის პირი, ვინც დაჰპირდა ან „მაკითხე“ (მკითხავი, შემტყობი). თუმცა, საინტერესოა, რომ მაგ., ლეგოგიეში „მახვამერს“ და „მაკითხეს“ ერთი და იმავე ფუნქციებს ასრულებინებენ.

დაბოლოს, ტერმინოლოგიურ საკითხებს დავასრულებთ ერთი განმარტებით: „ლაგვან“ ზოგადად ქვევრს ნიშნავდა სამეგრელოში, მაგრამ დროსთან ერთად ზოგიერთ სოფელში დარჩა, როგორც მხოლოდ საკუთარი სახელი და ხშირად მიემართება მხოლოდ სარიტუალო ქვევრს, მაგალითად, ჩქვალერში „ლაგვანს“ ეძახიან იმ ქვევრს, რომელიც „ხვამისთვისაა“ მიჩნეული, დანარჩენ ქვევრებს მოიხსენიებენ ქართულად – „ქვევრი“. აქ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სოციოლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კვლევის ერთი მეთოდოლოგიური ასპექტი: კონკრეტული ტერმინი, რომელიც კონკრეტულ სემანტიკას აღნიშნავს, შესაძლოა, ადრე უფრო ფართო სემანტიკისა იყო, რაც გასათვალისწინებელია ლინგვისტური კვლევებისას, განსაკუთრებით ძველი ენების და დიალექტების აღდგენისას.

„ხვამების“ კლასიფიკაცია

შემდეგი საკითხი, რომელიც გვინტერესებს, არის „ხვამების“ კლასიფიკაცია: აქამდე შესწავლილ „ხვამათაგან“ რომელია „ოხვამერი“ და რომელია „ღუნაპირი“. ამისთვის ჩვენ მიმოვიხილავთ ყველა „ხვამას“, რომლებიც სერგი მაკალათიამ შეისწავლა, ასევე დავუმატებთ ისეთ „ხვამებს“, რომლებიც მეცნიერის ყურადღების მიღმა დარჩა და ბოლოს შემოგთავაზებთ დასკვნას.

პირველ რიგში განვიხილავთ „ოხვამერს“ და შემდეგ გადავალთ „ღუნაპირზე“ **„ოხვამერი“**, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს „ხვამას“, რომელიც ყოველწლიურად რიტუალურად სრულდება და მისი დანიშნულება ღვთისთვის/ღმერთებისთვის გარკვეული სათხოვრით მიმართვაა. სხვა დანარჩენი დღესასწაულები, რომლებიც ამ ფუნქციით არ სრულდება, „ოხვამერს“ არ წარმოადგენს. რადგან „ოხვამერი“ წელიწადის გარკვეულ ფიქსირებულ პერიოდში სრულდება, კვლევის პროცესში სპეციალურად შევადგინეთ მეგრული „ოხვამერების“ კალენდარიც.

„ოხვამერების“ ნაწილი, მართალია, ყოველწლიურად აღინიშნება განსაზღვრულ დროს, თუმცა ზუსტი ფიქსირებული თარიღი არ გააჩნია. ასეთი დღესასწაულებისა და რიტუალების აღნიშვნის თარიღი მოძრავია და დამოკიდებულია აღდგომის დღესასწაულზე. ასეთ „ოხვამერს“ მიეკუთვნება **„მირსო-**

ბა“, რომელიც სამეგრელოში აღინიშნებოდა დიდმარხვის დაწყებამდე,² ასევე „კაპუნობა“, იგივე „დოდგიმირი“, ხოლო ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, როგორც მაკალათია აღნიშნავს, მას „ფუძემ ოხვამერი“ (სახლის სალოცავი) ეწოდა.³ ასევე ყოველწლიური დღესასწაულია, თუმცა „ოხვამერს“ თავისი არსით არ წარმოადგენს „ხოზოკვარობა“,⁴ რომელიც აღინიშნება ყველიერის დასასრულს⁵ (იხ. ქვემოთ). ასევე „ოხვამერია“ „თერლობა“ (თევდორობა), რომელიც ცხენის სალოცავია და მას სამეგრელოში დიდმარხვის პირველი კვირის შაბათ საღამოს ასრულებდნენ.⁶ ამ დროს წმინდა თევდორეს ევედრებოდნენ „ცხენების გამრავლებას და დაცვას ქურდებისა და ნადირისაგან“.⁷ დიდმარხვის პირველ კვირას აღნიშნავდნენ „ტიანობას“ – შვიდი წლის განმავლობაში შიმშილისა და წყურვილისაგან დაცვას ითხოვდნენ ამით.⁸ ასევე დიდმარხვის პერიოდთან არის დაკავშირებული (აღინიშნება 24-ე დღეს) „გადლიკობა“ – ნორჩი ბალახებით სუფრის გამართვა. „ხალხის წარმოდგენით, ამ დღეს ოჯახს ესტუმრებოდა „გადლიკია“, რომელიც მივიდოდა თაროსთან და დათვალიერებდა სუფრას. სუფრა თუ მოეწონებოდა, იტყოდა: „ვისაც აქვს, მას კიდევ მიემატოსო“. თუ არა და, იგი სუფრის პატრონს დასწყევლიდა და იტყოდა: „ვისაც არა აქვს, ღმერთმა ნუ მისცესო“.⁹ ამ რიტუალის მონაწილე „გადლიკიას“ სახე საკმაოდ არქაულად გამოიყურება, ეს თუ ღვთაება ან სული, რომელიც ოჯახს იცავს, იმდენად პრიმიტიულია მის შესახებ წარმოდგენა, რომ, სავარაუდოდ, საკმაოდ ადრეულ ხანას უკავშირდება. ჩვენი ვარაუდით, ეს გარკვეული რიტუალი იყო, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე სრულდებოდა გაზაფხულზე და ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ მისი აღნიშვნის პერიოდი ქრისტიანული პრინციპით დადგინდა. დიდ

² ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ. 1941, გვ. 301.

³ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 309.

⁴ ხოზოკვარობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, სავარაუდოდ, ამ ოხვამერს რაღაც სხვა სახელი ერქვა, რადგან რიტუალთან დაკავშირებულ კერძს – ხოზოკვარებს – თითქმის ყველა „ოხვამერისთვის“ ამზადებენ, შესაბამისად, წესით, ხოზოკვარების დამზადება განმასხვავებელი დეფინიციის განმსაზღვრელი არ უნდა ყოფილიყო, იგი ზოგადად ყველა „ხვამასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ ამ კონკრეტული დღესასწაულის ამ სახელით შემორჩენა გვაფიქრებინებს, რომ ადრე მას სხვა სახელი ერქვა, რაც დაიკარგა და შემდგომში ასეთი ფორმით შემორჩა.

⁵ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 309-310.

⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 310.

⁷ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 311.

⁸ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 312.

⁹ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 312.

ხუთშაბათს აღინიშნებოდა „გონარჭალაფა/შურუბუმობა“, თუმცა, რადგანაც ის დღესასწაულია, მაგრამ არა რელიგიური ფუნქციით, მას ქვემოთ ცალკე შევეხებით. დიდმარხვაში, ახალმთვარობის ორშაბათ ღამეს აღნიშნავდნენ „ოხვამერს“ – „ფუტემ ოხვამერი დო თუთაშხა ბედინერი“, ანუ „ოთუთაშხურე“, შემოკლებით „ოთხაშური“.¹⁰ ასევე დიდმარხვაში აღნიშნავდნენ „ჟინი ანთარის“ „ოხვამერს“, რომლის დროსაც ჟინი ანთარს ოჯახის უფროსი შესთხოვდა საქონლის გამრავლებას.¹¹ „ოხვამერს“, რომელსაც „სადმართო-საოხორო“ (ღვთისა და სამოსახლოსი) ეწოდება, მეგრელები აღდგომა დღეს აღნიშნავდნენ.¹² ნაადღომევის პირველი კვირის ხუთშაბათს აღნიშნავდნენ **ბოსლობას** და ღმერთს ევედრებოდნენ საქონლის გამრავლებას.¹³ ნაადღომევის, თუმცა ზუსტი თარიღის განსაზღვრის გარეშე (ოჯახის უფროს მამაკაცზე იყო დამოკიდებული) ზემოდნენ „ოხვამერს“ – „საოცოდინარო“. დაბოლოს, ბოლო მოძრავი „ოხვამერი“ – „ჯგერაგუნა“ – ფუტკრის სალოცავი აღინიშნებოდა ამდღეა დღეს.¹⁴ ეს დღესასწაული, როგორც ჩანს, მაისის თაფლის მოწვევის წინა პერიოდს უკავშირდება და მისი ფუნქცია იყო კარგი მოსავლის უზრუნველყოფა. სახელწოდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ეს უკავშირდებოდეს წმინდა გიორგის. ასევე „ოხვამერს“ წარმოადგენს „ეიობა“, რომელიც, ს. მაკალათიას შენიშვნით, „ჭეჭეთობის“ (ჭიაკოკონობის) მეორე დღეს, 20 ივლისს¹⁵ სრულდებოდა.¹⁶ ასევე „ოხვამერია“ – „ჟინიში ხვამა“, რომელიც აღინიშნებოდა ივლისში, კვირას დღეს. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ სამურზაყანოში 15 აგვისტოს (მარიამობას) ასრულებდნენ „ჯაშქერერის“, როდესაც ყურძენი და ხილი მწიფდებოდა.¹⁷ ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ დღესაც რიგ ოჯახებში მარიამობამდე ახალი ხილის ან სიმინდის გამოყენებას ერიდებიან, თუნდაც უკვე გადამწიფებული იყოს. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ორშაბათ დღეს აღნიშნავდნენ „შქვითულს“.¹⁸ შე-

¹⁰ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 313.

¹¹ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 329.

¹² ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 315.

¹³ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 316.

¹⁴ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 317.

¹⁵ გასათვალისწინებელია, რომ სადაც ს. მაკალათია ზუსტ თარიღს უთითებს, ყველგან ძველი სტილით აქვს მითითებული.

¹⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 318.

¹⁷ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 319.

¹⁸ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 320.

მოღგომაზე ასრულებდნენ „საჯგეგოს“ (წმინდა გიორგისთვის),¹⁹ ასევე „ოხვაძეობა“ „სანწკელო“, რომელსაც შემოდგომით იხდიდნენ,²⁰ „სახეხუჯოც“, რომელიც ხელ-მხარის სალოცავია და მას 31 დეკემბერს ასრულებდნენ. „ხეხუჯობას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა მჭედლებისთვის ჰქონდა და იმ დღეს „ოჭკადირემ (სამჭედლოს) ოხვამერს“ აღნიშნავდნენ.²¹ ასევე წელიწადში ერთხელ ჯანმრთელობას ითხოვდნენ ღვთისგან და ასრულებდნენ „ოდუდა სამგარიოს“, რომელსაც „ოჯახის უფროსი თავის „სასიმრთელოდ“ (ჯანმრთელობისთვის) იხდიდა. მას ასრულებდნენ ზამთარში დეკემბრის ან იანვრის ერთ რომელიმე დღეს. ასევე „ოხვამერია“ „თემიშ ხვამა“, რომელსაც წელიწადში ერთხელ აღნიშნავდნენ რომელიმე დღესასწაულთან ერთად.²² წელიწადში ერთხელ, ს. მაკალათიას მიხედვით, მხოლოდ სოფელ ჯვარში²³ ასრულებდნენ „ოხვამერს“ – „იენა ლატარიში/საინოშოს“. ²⁴ ეს „ოხვამერი“ შესაძლოა, სვანეთთანაც იყო დაკავშირებული, რასაც ტერმინი „ლატარიში“ გვაფიქრებინებს, მით უფრო, რომ სვანეთთან ახლოს მყოფ დასახლებულ პუნქტში – ჯვარში – სრულდება მხოლოდ.

„ხვამების“ ნაწილი დაკავშირებული იყო სამეურნეო საკითხებთან: საქონლის მოვლა, მოსავლის მოყვანა და ა.შ. ასეთი „ოხვამერია“ „ისკიოდობა“, რომლის დროსაც „პირველი მაისიდან საქონლის პატრონი ძროხის ნაწველს „გოჭოფუნდუ“²⁵ (შეინახავდა, დაიჭერდა), ანუ ერთი კვირა არავინ არ ჭამდა რძის ნაწარმს, შემდეგ ყველიანი კვერებით დაილოცებოდნენ მუხასთან ან ცაცხვთანდა „ტყვამ პატონც“ (ტყის ბატონს) შესთხოვდნენ, რომ დაეფარა შინაური პირუტყვი ნადირისგან. ასევე პერიოდულად ასრულებდნენ, თუმცა ეს შეიძლება ერთ კი არა, ორ წელიწადში ერთხელ მომხდარიყო, „გალენიში ორთას“, საქონლის დაცვის მიზნით.²⁶ გარდა ამისა, ყველიერის ხუთშაბათს

¹⁹ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 320.

²⁰ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 321.

²¹ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 321.

²² ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 323.

²³ დასახლებული პუნქტი ჯვარი ს. მაკალათიას მიერ მასალების ჩაწერის დროისთვის ოფიციალურად სოფელს წარმოადგენდა, 80-იან წლებში იგი რაიონული დაქვემდებარების ქალაქი გახდა და, შესაბამისად, ნაშრომში იგი სოფლად ან ქალაქად მოიხსენიება იმის მიხედვით, თუ კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის დაფიქსირებისას რა სტატუსი ჰქონდა.

²⁴ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 324.

²⁵ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 329.

²⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 330.

სრულდებოდა „ოცაშხურე“. ამ დღეს ლოცულობდნენ საქონლის გამრავლებაზე. „ოხვამერი“ იყო „სოფელიში ხვამაც“, რომელსაც წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე აღნიშნავდნენ, როდესაც „სოფელი ხენა-თესვას მორჩებოდა“.²⁷ ასეთივე უნდა იყოს „ბორიაში ოხვამერი“, რომელსაც „ასრულებდნენ ქარის წინააღმდეგ სიმინდის დატარების დროს, რომ ქარს ტაროიანი სიმინდი არ დაემტვრია“.²⁸ ასევე ოხვამერია „სკიბუმ ოხვამერი“, რომლის დროსაც „შობა-კალანდას შუა ერთ რომელიმე დღეს გამოაცხობდნენ „ჭვიშტარს“.²⁹ ასეთივეა „ღუმუმ ოხვამერი“, რომელსაც ასრულებდნენ, როდესაც ღომი თავთავს იკეთებდა³⁰ და „ყურზენიში ოხვამერი“, რომელსაც ყურძნის დამწიფების წინ ასრულებდნენ.³¹ აქვე აღნიშნავთ ერთადერთ „ხვამას“, რომელიც ს. მაკალათიას აღნიშნული არ აქვს. სოფელ მუჟავაში ქათმების სიმრავლისთვის „ხვამას“ იხდიდნენ წელიწადში ერთხელ, ასეთი შემთხვევა ეთნოგრაფიული მასალებით დაფიქსირდა 2014 წელს, თუმცა ამ „ხვამას“ სახელი დღემდე არ შემორჩა.

რიტუალების ნაწილი ყოველწლიურად აღინიშნება, თუმცა მათ არ შეიძლება „ოხვამერი“ ეწოდოს, რადგან ისინი რწმენა-წარმოდგენებთან არ არის დაკავშირებული. მაგალითად, ასეთია ყველიერის ბოლო დღეს „ხოზოკვარების“ მირთმევა. ამით აღნიშნავენ ბოლო დღეს, როდესაც ჯერ კიდევ არ აქვთ აღკვეთილი ყველის ჭამა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ საჭმელს – „ხოზოკვარებს“ ამზადებდნენ და მირთმევის წინ ოჯახის უფროსი ილოცებდა, ამ რიტუალის დანიშნულება არ არის ღვთისა ან/და ხატისთვის რაიმეს თხოვნა, ეს არის მხოლოდ ხსნილთან „გამომშვიდობება“, შესაბამისად, რამდენად შეიძლება მას „ოხვამერი“ ეწოდოს, ეს დასაფიქრებელია. ხოზოკვარობის მეორე დღეს აღნიშნავდნენ „ყეინობას“, რომელიც ასევე არ წარმოადგენს ლოცვას და მასთან გარდა თამაშობებისა, სხვა რიტუალი, მათ შორის, რელიგიური ხასიათისა, არ არის დაკავშირებული, შესაბამისად, არც ის არ წარმოადგენს „ოხვამერს“. ასევე „ოხვამერი“ არ არის, მაგრამ ყოველწლიური დღესასწაული იყო „გონარჭალაფა/შურუბუმობა“. მისი ძირითადი დანიშნულება ყოფითი რიტუალის შესრულებააქალწულის მეშვეობით იმ მიზნით, რომ ცხოველებს რწმილი არ გასჩენოდათ და ძელიებს – შვილები. ასე-

27 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 330.

28 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 331.

29 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 331.

30 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 331.

31 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 331.

ვე უფრო მკითხაობის ფორმას წარმოადგენს „გინორჩქილაფა“, რომელსაც ელიობის წინა დღეს (19 ივლისს ძვ. სტ) ასრულებდნენ.³²

არსებობს ისეთი „ხვამაც“, რომელიც რიტუალური, ყოველწლიური არაა და დაკავშირებულია კონკრეტულ მოთხოვნებთან, როგორც „დუნაპირი“, თუმცა „დუნაპირისგან“ განსხვავებულია შემდეგი სახით – თუკი „დუნაპირს“ ადამიანი ან ასრულებს ან არა, იმის მიხედვით, შესრულდა თუ არა მისი თხოვნა, ამ შემთხვევაში ადამიანები, რომლებიც შეწუხებულები არიან, მაგალითად, რაღაც დაავადებით, ითხოვენ შველას და წინასწარ სწირავენ ღმერთს შესაწირს. ეს უფრო ქრისტიანული ფორმაა, როგორც ჩანს. „დუნაპირი“ ჩვენ უფრო არქაულ ფორმად მიგვაჩნია. მაგალითად ასეთია „ნაფრა“, რომლის დროსაც ვისაც „ხელფეხი ეხუთებოდა ან/დაფეხის ძვლის ტეხვა ჰქონდა“, ისინი განკურნებას „ნაფურნახეს შესთხოვდნენ“,³³ ასეთივეა „წყარიშ გოჭოფუა“, ანუ „ხვამა“ იმ შემთხვევაში, თუკი ვინმეს წყლიდან რაიმე ავადმყოფობა ამოყვებოდა. ასევე ასრულებდნენ სხვადასხვა ლოცვას, როდესაც ვინმეს რაიმე ავადმყოფობა შეეყრებოდა, მაგალითად „კორკოცე“ ან „ხურება“, ან ზოგადად ბატონები. ასეთივეა „განალინიშ ხვამა“, რომელსაც, მაკალათიას ცნობით, ლოცულობდნენ მაშინ, თუკი ვინმეს ოჯახში ხეს მეხი დაეცემოდა, რადგან ის ოჯახი „ხატისგან ითვლებოდა დამიზნებულები და გალახული („უგარილი“). „განალინის“ ილორში ლოცულობდნენ.³⁴ თუმცა სოფ. ჩქვალერსი დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „განალინის ხვამას“ ასრულებენ წყველის წინასწარ თავიდან აცილების მიზნითაც. ასეთივე კონკრეტული გარემოებებით იყო გამოწვეული „ძიდავას ხვამაც“. როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, როდესაც დადგებოდა გვალვა, მაშინ სოფლის გოგოები დედოფალათი შემოივლიდნენ სოფელს და წყალში ჩააგდებდნენ, წვიმა მოვაო.³⁵ ასევე არა „ოხვამერია“ და არც „დუნაპირი“, უფრო ჰგავს კონკრეტული შემთხვევით გამოწვეულ „ხვამას“ – „მობენება“. მას ასრულებდნენ მაშინ, როცა ძროხა პირველად ხბოს მოიგებდა.³⁶ ამათი მნიშვნელოვანი ნაწილი არის „შელორსა“, რომელიც თავისი პრაქტიკით ჰგავს „ოხვამერს“ და „დუნაპირს“, თუმცა განსხვავდება შინაარსით.

³² ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 318.

³³ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 324.

³⁴ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 325.

³⁵ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 331.

³⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 329.

რიტუალების ნაწილი თავისი შინაარსით არც „ოხვამერია“ და არც „დუნაპირი“. მაგალითად, ასეთია „დიხაშ ხვამა“ – „იმ ადგილას, სადაც სახლი უნდა დაეღვათ, ოჯახის უფროსი მივიდოდა და მიწას ოთხჯერ ამოთხრიდა, ხელში აიღებდა ოთხ კვერს, რამდენი კუთხეც სახლს ჰქონდა. ოთხ ქვაზე ოთხ ანთებულ სანთელს მიაკრავდა და დაილოცებოდა“.³⁷ რადგან „დუნაპირი“ გულისხმობს წინასწარ დაპირებას – რაიმე თხოვნის შესრულების შემთხვევაში რაღაც ვალდებულების აღებას – ხოლო „ოხვამერი“ წელიწადში ერთხელ შესასრულებელ „ხვამას“, ამიტომაც „დიხაშ ხვამა“ არცერთ მათგანს არ მიეკუთვნება. ყველაზე ახლოს ეს რიტუალი „შელორსასთან“ დგას, თუმცა ზუსტად თითქოს არც ეს არის, რადგან გარკვეული ფორმირებული ტექსტი ამასთან დაკავშირებით არ არსებობს, როგორც უნდა იყოს შელოცვის შემთხვევაში, ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ტექსტი ჯერჯერობით უცნობია.

რიტუალების ნაწილი უფრო დუნაპირს ჰგავს, ვიდრე ოხვამერს, მაგალითად „სადაბადო“, რომელსაც ოჯახის დიასახლისი იხდიდა და „ამისათვის ის დააყენებდა ძროხას და როცა სახარე ხბოს მოიგებდა, დაჰკლავდა მას და სადაბადოს ილოცებდა“.³⁸ ასეთივე იყო ქალის გათხოვებასთან დაკავშირებით შესრულებული „ხვამას“ რიტუალი, რომელიც, როგორც ჩანს, სამადლობელი ლოცვაა.

აღინიშნებოდა ისეთი დღესასწაულებიც, რომელთა დროსაც „ხვამა“ არ სრულდებოდა, მაგრამ ნაკრძალ დღედ ითვლებოდა და იმ დღეს არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგალითად, ასეთი იყო „გორგოთობა“ (13 ივნისი) და „კოხინჯრობა“ (13 მაისი).

რაც შეეხება „დუნაპირებს“, ს. მაკალათია აღნიშნავს რამდენიმე „ხვამას“, რომლებიც „დუნაპირს“ წარმოადგენენ, თუმცა არცერთი მათგანისთვის მეცნიერს „დუნაპირის“ კლასიფიკაცია არ მიუცია. ამასთან, დაზუსტებული არ აქვს ის განსხვავებებები, რომლებიც არსებობს „ოხვამერსა“ და „დუნაპირს“ შორის. ასეთია, მაგალითად, „გინოჩამასთან“ (ხატზე გადაცემა) დაკავშირებული „გიოთხვამები“³⁹ და ასეთივეა, „ხატიშ ითონჯირაფა“ და წაჩხურის ხატისთვის საკლავის დაპირება, თუკი უშვილო ცოლ-ქმარს ვაჟი შეეძინებოდა.⁴⁰

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, თუ რატომ, რა მიზეზით სრულდებოდა ეს „ხვამები“, ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: „ხვამების“ შესრულების დი-

37 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 325.

38 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 323.

39 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 352.

40 ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 366.

რითადი მიზეზი გარკვეული სათხოვარით ზებუნებრივი არსებებისთვის მიმართავა. სათხოვარი შეიძლება ყოფილიყო ადამიანი უბედურებისგან, შინაური ცხოველების, ფრინველების, ასევე მოსავლის დაცვა. გარდა ამისა, რადგან ნაშრომში ჩვენ ცალკე გამოვყავით „დუნაპირი“, ამიტომაც მის მიზეზებს დამიზნებსაც ცალკე განვიხილავთ. აქვე ვახსენებთ იმ „დუნაპირების“ შესრულების მიზეზებსაც, რომლებიც თავიდან ჩვეულებრივ „დუნაპირს“ გულისხმობდა და ერთჯერადად უნდა შესრულებულიყო, მაგრამ შემდეგში „ოხვამერად“, ანუ ყოველწლიურ რიტუალად, იქცა.

„ხვამა“ „დუნაპირის“ გამო, სრულდებოდა რამდენიმე ძირითადი მიზეზით:

- ❖ წელიწადში ერთხელ ილოცებოდა ოჯახი, ქუჩა, ან სოფელი
- ❖ ხატზე გადაცემული იყო ან/და ხატისგან დამიზნებულ ვინმე და ითხოვდნენ წყველის ახსნას/მოხსნას
- ❖ ყოველი ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ან სულაც წელიწადში ერთხელ ლოცულობდნენ, რათა მომავალში ტრაგიკული შემთხვევები აცილებინათ თავიდან
- ❖ ხატზე იყო გადაცემული ვინმე და „გადამცემელი“ (მაწვევარი) პერიოდულად განაახლებდა თავის სათხოვარს
- ❖ წინასწარ შეპირდნენ ხატს და ითხოვეს რაღაცის შესრულება და სანაცვლოდ სრულდებოდა „დუნაპირის“ „ხვამა“ უკვე პერიოდულად.

სხვადასხვა სახის „ხვამას“ შესრულების ფორმა და რიტუალი

სხვადასხვა სახის „ხვამას“ შესრულების რიტუალი ს. მაკალათიას ძირითადად აღწერილი აქვს, თუმცა ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით შესაძლებელია დაფიქსირდეს, რა შეიცვალა და რა დარჩა უცვლელი ამ პერიოდის განმავლობაში. ამიტომაც, პირველ რიგში, შემოგთავაზებთ აღწერას ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით და შემდეგ ჩვენს შედარებით დაკვირვებას, ისევე როგორც მოსაზრებებს ცვლილებებისა და მდგრადობის მიზეზებთან დაკავშირებით.

„საადგილო“ „ხვამას“ ოჯახის უფროსი კაცი ასრულებდა. თუ ოჯახში სრულწლოვანი მამაკაცი არ იყო, მაშინ „**მანვამერად**“ („ხვამას“ რიტუალის შემსრულებლად) მოჰყავდათ ნათესავი მამაკაცი, რომელსაც ოჯახი ენდობოდა. მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანი მამაკაცი სრულწლოვანი ხდებოდა, უკვე ის ასრულებდა „ხვამას“. „საადგილო ხვამის“ დროს კლავენ ქათამს (სოფ. ჩქვალერი), აცხობენ სამ ცალ კვერს, რადგან ღმერთი სამობითაა. კვე-

რი აუცილებლად ხშიადი უნდა ყოფილიყო წყლის, ფქვილისა და მარილის შემცველობით. კვერებს აკეთებს ოჯახის უფროსი ქალი. სანთელი „მახვამურმა“ უნდა გააკეთოს. რიტუალს სიძე არ ესწრება, რძალი – კი (სოფ. ჩქვალერი და სოფ. ჯიხაშკარი). გარდა ამისა, რიტუალისთვის საჭიროა ღვინო. „მახვამერი“ სანთელს და ღვინოს შემოატარებს რიტუალის ყველა მონაწილეს და ამბობს ტექსტს: „ჩემ მიერ დალოცვილები („ათმახვამერები“) კარგად ყოფილიყვნენო“. შემდეგ მარჯვენა ხელის საჩვენებელ და ცერა თითებს მარცხენა ხელისას იმავე თითებს მიადებინებს მათ, ვისაც ლოცავს და თითებისგან შექმნილ პირობითად ძირგაგარდნილ „ორმოში“ ღვინოს დაასხამს და ეუბნება: „ასე წასულიყოს ყველა თქვენი უბედურებაო“. ამ რიტუალის დღეს სახლიდან გასვლა, მათ შორის გასვენებაზე და გაბრაზება არ შეიძლება.

„საღორონთო“ „ხვამას“ დროს მამალს კლავენ – დაკოდილს ანდა ბიბილოზე იქით-აქეთ ნემსგატარებულს, ისიც დაკოდილად ითვლება. გარდა მამლისა, რიტუალისთვის საჭიროა სპეციალურად ამისთვის წინასწარ გამზადებული ქვევრი (ლაგვანი). ამ ქვევრის თავის მოხდა რიტუალამდე არ შეიძლება, მხოლოდ გაწმენდა შეიძლება და ისიც მხოლოდ თოვლისგან. რიტუალისთვის გაამზადებენ მამალს, ნაკვერჩხალს, კვერებს, სანთლებს და ღოქს. სანთელი მხოლოდ „მახვამერისთვის“ არის განკუთვნილი. ერთ სანთელს ქვევრთან ანთებენ, ორს – სახლში. „მახვამერი“ საკმევლს სამჯერ შემოატარებს თავზე მათ, ვისაც ლოცავს, შემდეგ მისცემს ხელში და ისინიც სამჯერ თავისით შემოიტარებენ. მერე სამჯერ შემოტრიალდებიან მარჯვნივ და ქვევრთან ხელით გადახსნიან კვერებს. „საღორონთო“, ისევე როგორც „საადგილო“ და „სამგარიოც“, საღამოს სრულდება. ნარჩენებებს მეორე დღეს წყალს ატანენ. მათი გადაყრა შეიძლება შუაღამის მერეც, თუმცა ურჩევნიათ მეორე დღეს. „საღვთო/საღორონთო ხვამაზე“ ჯიხაშკარში თხას სწირავენ. „საღორონთო ხვამას“ დროს სოფელ მუჟავაში ადრე ხბოს კლავდნენ. ძროხას და მის ხბოს წინასწარ შეარჩევდნენ. მათ ჯოხსაც კი არ დაარტყამდნენ და უწოდებდნენ „პატენ ჩხოუს“ (ბატონ ძროხას), დამახინჯებული ან შემოკლებული ფორმა „პატენია“. რიტუალს მუჟავაში ასრულებდნენ შობის წინა დღეებში, კვირას დღეს (ჟამხა). როგორც ჩანს, რიტუალი წინარექრისტიანულ ხანაში მზის ღმერთის საპატივცემულოდ იმართებოდა და რადგანაც სწორედ მისთვის იმართება საღვთო, ყველაზე მთავარი ლოცვა, აქედანაც ჩანს, რომ მზის ღმერთი უზენაესი ღვთაება იყო. ეს ფაქტი არაერთგზის არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში და ჩვენ მიერ დაფიქსირებული

ეთნოგრაფიული მასალა კიდევ ერთხელ განამტკიცებს ამ მოსაზრებას. მუჟავაში ოჯახიდან გათხოვილი ქალი არ ესწრებოდა საღვთოს ლოცვას.⁴¹ რიტუალი იმავენაირად სრულდება, დამატებით ეთნოგრაფიული მასალებით დაფიქსირდა, რომ მუჟავაში აუცილებლად მიწაზე (და არა მაგალითად, ხის კუნძზე) კლავდნენ საკლავს, ძვლებს ეზოში ტოვებდნენ, როგორც ჩანს, ეზოშივე მარხავდნენ და წყალს არ ატანდნენ, განსხვავებით „ნასაკურთხისგან“ (მიცვალებულის მოსახსენებელი დღისთვის გამზადებული საკვები), რომელიც აუცილებლად უნდა ღარივდეს და, ასევე, განსხვავებით „ოხვამერის“ საკვებისგან, რომელსაც მუჟავაში მინდვრად ყრიდნენ ძაღლების საჭმელად.

„სამგარიოს“ რიტუალის შესრულების დროს კატეგორიულად არ შეიძლება გარეთ გასვლა, გულის შეწუხება. ამ რიტუალისთვის იკვლება გოჭი, იხარშება, არ იწვება. გოჭი მთლიანად „მახვამერმა“ უნდა მოამზადოს, სამი ცალი კვარიც უნდა გამზადდეს და ნაკვერჩხალიც. ამ რიტუალისთვის ცალკე შეარჩევენ ქვევრს. ღვინოს ამოიღებს „მახვამერი“, შეიძლება ერთი დოქი ღვინისდაღვევა სრულად. ღვინო შეიძლება იყოს შავიც და თეთრიც. ზოგან „სამგარიოს“ აღნიშნავენ ახალი წლის დღეებში (სოფ. ჩქვალერი), ზოგან კი ნებისმიერ ორშაბათს, ხსნილში (ჯიხაშკარი). „სამგარიო“ სამიქელგაბრიელოდ ითვლება, მისი ადრეული ფორმა შეიძლება იყოს მთვარის ღმერთისთვის ლოცვა, რადგან ორშაბათს სრულდებოდა, მთვარის ღმერთის დღეს (თუთაშხა). „სამგარიოს“ რიტუალის შესრულებას „საადგილოსგან“ განსხვავებით, არ ესწრებიან რძლები (სოფელი ჯიხაშკარი). რიტუალის დროს „მახვამერი“ სანთელს შემოატარებს ქვევრს (ლაგვანს), ოჯახის წევრებს, ვისაც ლოცავს, სამჯერ მარჯვნივ შემოატრიალებს, შემდეგ ყველამ ქვევრს პირი უნდა მიადოს და ილოცოს. „სამგარიოს“ რიტუალისთვის, ისევე როგორც სხვა ზვამებისთვის, ხშირად, მაგ. სოფელ ჯიხაშკარში, მიუღებელია ცხვრის შეწირვა, ცხვარი მიცვალებულისთვისაა მიჩნეული. ჯიხაშკარში „სამგარიოს“ დროს გოჭს სწირავენ, თუმცა ბოლო ხანებში მამლით შეცვალეს მღვდლის ნებართვით.⁴² ამ ნებართვის მისაღებად დაანთეს ე. წ. „სამინავათო“ (საბოლი-

⁴¹ ეს ფაქტი აღნიშნეთ მხოლოდ იმ განსხვავების დასაფიქსირებლად, რომ რიგ შემთხვევებში სხვაგან, მაგალითად, ჯიხაშკარში დაფიქსირებულია გათხოვილი ქალების მონაწილეობა „ოხვამერში“.

⁴² მთხრობელის მითითებით, მღვდელმა მისცა კურთხევა გოჭის შეწირვა მამლის შეწირვით შეეცვალათ, თუმცა ხშირად მთხრობელები რიტუალისთვის მეტი კანონიერების მინიჭების მიზნით ასეთ ფაქტებს ან აზვიადებენ, ან საერთოდ იგონებენ, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია მეთოდური თვალსაზრისით.

შო) სანთელი. გასაგებია, რომ ტერმინის ფორმირება მოხდა რუსული სიტყვის ВИНОВАТ-ის გავლენით.

სოფელ მუჟავაში თხას სწირავდნენ მხოლოდ მაშინ, როცა თხის არვეს ლოცავდნენ, და, ზოგადად, თხა შესაწირ ცხოველად არ მიიჩნეოდა. თუმცა სოფელ ლეგოგიეში დაფიქსირებული მასალებით შესაძლებელი იყო, რომ თიკანი შეიძლება შეეწირათ, ოღონდ „დუნაპირის“ რიტუალის შესრულებისას, დიდი თხა არ შეიძლებოდა. ასევე არ შეიძლება ბატისა და ინდაურის „დუნაპირზე“ შეწირვა. დასაშვებია მტრედის შეწირვა, ოღონდ უნდა დაჰპირდე, რომ გაუშვებ სალოცავთან და არ დაკლავ.

ლეგოგიეში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „ოხვამერის“ დროს რიტუალში მონაწილეობას მხოლოდ მონათლული ბიჭები იღებდნენ. უცნობია, კონკრეტულად რომელ „ოხვამერზეა“ საუბარი. თითქოს ჩანს, რომ ეს, სავარაუდოდ, კონკრეტული ოჯახის დალოცვის მიზნით შესრულებული „ოხვამერია“, რომელსაც სოფელში ყველა ცალცალკე იხდიდა. თუ ეს ასეა, გამოდის ს. მაკალათიასამ ტიპის „ოხვამერიც“ მხედველობიდან გამორჩა. ამ „ოხვამერის“ შესრულებისას ლეგოგიეს მასალების მიხედვით, ვაჟები მიჰყავდათ ქვევრთან (ლაგვანი). „მახვამერი“ გამზადებულ გოჭს, კვერებს, პატარა ხაჭაპურებს, რომლებიც ყველის ნაცვლად გოჭის შიგნეულით იყო მომზადებული, ერთ ლიტრ ღვინოს „ლაგვანიდან“ ამოიღებდა და დააყენებდა ვაჟებს. ყველას სანთელი უნდა სჭეროდა ხელში. შემდეგ „მახვამერი“ იტყოდა, ყველა კარგად იყოსო და დალოცავდა მათ. სანთელს დაწვავდნენ და გოჭს ვაჟებს აჭმევდნენ. შემდეგ შემოჰქონდათ სახლში და ქალებსაც აჭმევდნენ. საჭმელს აკეთებდნენ ქალები. თუ ოჯახში მამაკაცი საერთოდ არ იყო, მაშინ რიტუალს ქალები ესწრებოდნენ. „ოხვამერის“ დროს ერთმანეთთან გადადიოდნენ, დაპატიჟება არ იცოდნენ, ისედაც ყველამ იცოდა, რომელი ოჯახი როდის ასრულებდა. ეს „ოხვამერი“ შეიძლებოდა სამ წელიწადში ერთხელაც შესრულებულიყო, იმ მიზეზით, რომ ოჯახის წევრები გაფანტულად სხვადასხვა რაიონში ცხოვრობდნენ და ორგანიზება უჭირდათ.

რიტუალზე დასწრების საკითხი ოდნავ განსხვავებულია „ოხვამერად“ ქცეული „დუნაპირის“ და საკუთრივ „დუნაპირის“ დროს. მაგალითად, „ოხვამერად“ ქცეულ „დუნაპირს“ – ჯეგემისარონობას – გათხოვილი ქალი ესწრება, არა მარტო ესწრება, შეუძლია თვითონვე გააკეთოს კიდევ. მაგალითად, დაფიქსირდა შემთხვევა, რომ როდესაც ერთი ოჯახი ამოწყდა მამაკაცის ხაზით, სხვაგან გათხოვილმა ქალმა მარტომ გაამზადა რიტუალისთვის საჭირო

პურმარილი და მოიყვანა დიდი ღორი. ასევე საინტერესოა, რომ როცა „ღუნაპირი“ სრულდება ოჯახსა ან ეკლესიაში (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემულის გამო სრულდება „ღუნაპირი“) „ღუნაპირის“ შესრულებისას სხვისი მისვლაც შეიძლება, თუმცა არა დაპატიჟება (სოფ. ჩქვალერი). აღსანიშნავია, რომ ეს შეიძლება დიდად განმასხვავებელ ელემენტს არ წარმოადგენდეს გამომდინარე იქიდან, რომ „ოხვამერზეც“ არავის არ ეპატიჟებინ, მაგრამ „ოხვამერის“ დროს ყველამ იცის, როდის სრულდება და, ბუნებრივია, შემოსწრებულის უკან გაბრუნება მიუღებელია, პირიქით, როგორც წესი, სტუმრის მისვლა უხარიათ.

დაბოლოს, კიდევ ერთი სიახლე, რისი აღნიშვნაც გვსურს რიტუალის შესრულებასთან დაკავშირებით. სოფელ ჩქვალერში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ჟინიშ ოხვამერისთვის“ გარეთ თიხის ჭურჭელი ჰქონდათ, კლავდნენ ცხვარს, ღორს, რიტუალის დროს თავზე შემოავლებდნენ კვარებს. ყველაფრისთვის იყენებდნენ ხის გობებს. ლოცვას ქვევრის თავზე ასრულებენ.

სხვადასხვა დანიშნულების „ღუნაპირის“ რიტუალის ფორმა

„ღუნაპირი“ შეიძლება შესრულებულიყო იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი იყო ხატზე გადაცემული („გინოჩამილი“). თუ იცოდნენ, ვინ გადასცა ხატს კონკრეტული პიროვნება, როგორც წესი, „მორსხას“ (ახსნის, გამოხსნის) რიტუალს ასრულებდა ის ადამიანი, ვინც გადასცა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ იცოდნენ, ვინ გადასცა ან/და საერთოდ იყო თუ არა გადაცემული პიროვნება, პირველ რიგში, დადგენის მიზნით მოიყვანდნენ ე. წ. „მაკითხეს“ (მკითხავს, შემტყობს). მკითხავი ეტყოდა, იყო თუ არა გადაცემული ადამიანი და რა უნდა შეესრულებინა, რომ გათავისუფლებულიყო ამ საშვილიშვილო წყევლისგან.

გადაცემის ადგილები სხვადასხვა იყო: მუხის ან ცაცხვის ხე, იშვიათად ველური ბლის ხე, ეკლესიის კედელი, „ოჭკადირე“ (სამჭედლო), წისქვილი, მდინარე.

ხატზე გადაცემა მრავალი მიზეზის გამო შეიძლება მომხდარიყო: ქურდობა, მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, ცრუ ბრალდება და სხვა. სასჯელიც, რომელსაც ითხოვდა გადამცემი, სხვადასხვაგვარი იყო. იმ შემთხვევაში, თუ არ იცოდნენ, ვინ იყო დამნაშავე, წყევლის ფორმულა ძირითადად ითხოვდა ხატისგან დამნაშავის დამიხეზებას, რათა გამოვლენილიყო დამნაშავე და ასე-

ვე მის „წვალეხას“ მანამ, სანამ თავისი პირით არ აღიარებდა დანაშაულს სახალხოდ და არ ითხოვდა შენდობას. ეს აღიარება, სწამდათ, რომ ზღებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაგალითად, გასვენებაში. ამის შემდეგ, გადამცემი ან ხელს გადაუსვამდა ან სხვა რაიმე რიტუალს შეასრულებდა და ასე „მორჩენდა“ ხატისგან დამიზნებულ ადამიანს. ეს რიტუალიც სხვადასხვანაირი იყო, იმისდა მიხედვით, რა შეიძლება გაელო გადაცემული ადამიანის ჭირისუფალს ან მოეთხოვა თავის წყევლაში გადამცემს. მაგალითად, „დუნაპირის“ რიტუალის შესრულება გადამცემის მონაწილეობით დამიზნებულის გამოხსნის მიზნით შეიძლება ყოფილიყო შემდეგი სახის: მუხლებზე დაჩოქილგადაცემულს გადამცემი დალოცავდა შემდეგი ტექსტით: „რადგან შენ ეს დანაშაული აღიარე, ჩემი ხელიდან დალოცვილი ყოფილიყავი“. თუ არ გამოილოცავდა დამიზნებულის, ყველა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გადამცემის სახელის ყვირილს იწყებდა და ასევე, წყევლა გადაეცემოდა შვიდ თაობას და იქითაც. თუ დანაშაული განსაკუთრებით მძიმე იყო, გადამცემს შეიძლება „მორსხას“ გარეშე გადაეცა. ეს ნიშნავდა, რომ დამნაშავის შთამომავლობა ვერასდროს გამოისყიდოდა დანაშაულს და თუ მკვლელობის გამო იყო გადაცემული და გადაცემის ტექსტში თუ გვარის ამოწვევაც იგულისხმებოდა, სწამდათ, რომ ეს ისეთი წყევლა იყო, რომელიც მაწყვევარს უბრუნდებოდა მას შემდეგ, რაც გადაცემულის შთამომავლობას ამოწვევდა. ასეთი გადაცემის შემთხვევაში, გადამცემი, რომელიც უფრო ხშირად ქალი იყო ან საერთოდ გასათხოვარი გოგო, დებდა გაუთხოვრობის ალტკმას, რათა მომავალში, როდესაც წყევლა მის მხარეს დაუბრუნდებოდა, ამოსაწყვეტი არავინ ყოფილიყო. „მორსხას“ (ახსნის, გამოხსნის) გარეშე გადაცემის შემთხვევაში, გადამცემს და მის შთამომავლობას უფლება არ ჰქონდა, ელოცა გადაცემულისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაცემულის მხარეს წყევლა აქტიურ სახეს დაკარგავდა და მაწყვევარის მხარეს გადავიდოდა, ამიტომაც გადამცემელის შთამომავლობა ცდილობდა, „მორსხას“ გარეშე გადაცემულისთვის „დუნაპირის“ რიტუალი არ შეესრულებინა. განსაკუთრებით ძალის მქონედ სამჭედლოსა და წისქვილში ან ახალგაზრდა გასათხოვარი გოგოსგან მდინარეზე გადაცემა მიიჩნეოდა. ეს უკანასკნელი სრულდებოდა შემდეგი ფორმით: გოგონა ჩადიოდა მდინარეზე, წყევლის ტექსტს ეუბნებოდა წყალს (შეადარეთ ცუდი სიზმრის წყლისთვის მოყოლა) და თან თმას ივარცხნიდა, შემდეგ ჩამოვარცხნისას ჩამოყოლებულ თმას და სავარცხელს მდინარეს ატანდა. მიიჩნეოდა, რომ ეს ყველაზე მძიმე ფორმა იყო და სწორედ ასე-

თი გადაცემის შემდეგ ქალწული გოგონა არ თხოვდებოდა. რაც შეეხება კონკრეტულ ტექსტებს, გადამცემის ფანტაზიაზე, თუმცა ძირითადად, გადაცემის მიზეზზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ეს შეიძლება ყოფილიყო: „მისი შთამომავალი ყველა გზაზე მოკვდეს“. გადაცემის რიტუალი რამდენადმე სცილდება ჩვენი სტატიის თემას, ამიტომაც მასზე დაწვრილებით სხვა დროს მოგახსენებთ. ამჯერად შემოვიფარგლებით გადაცემასთან დაკავშირებული „ღუნაპირის“ რიტუალების აღწერით.

„ღუნაპირი“ ძირითადად სამი მიზეზის გამო სრულდება: გადაცემულის (დამიზეზებულის) „მორსხას“, ავადმყოფის გამოჯანმრთელების⁴³ ან გადახვეწილის სახლში ჯანმრთელად დაბრუნების თხოვნის მიზნით. საერთო ყველას აქვს ის, რომ წინასწარ ჰპირდები შესრულებას, და დაპირების მიზეზი უკვე მომხდარია, მაგალითად, ადამიანი უკვე ავადაა, დამიზეზებულია ან გადახვეწილია ან აპირებს კონკრეტულ მომენტში წასვლას. ამ დროს ითხოვ სასურველს, თუმცა განსხვავება ისაა, რომ თუ დამიზეზებულის გამო ასრულებ „ღუნაპირს“, წინასწარი „ვაჭრობა“ არ ხდება, უკვე ვალდებულებად გაწევს შესრულება, ხოლო როცა ავადმყოფობის ან ვიღაცის გადახვეწის გამო ჰპირდები, ფაქტობრივად, „ვაჭრობა“, წინასწარ უთანხმდები ხატს და თუ არ შეგისრულებს, შეგიძლია არც შეასრულო, განსხვავებით დამიზეზებულის გამო „ღუნაპირის“ შესრულებისგან, ამ შემთხვევაში თუ არ შეასრულებ, დამიზეზებული რჩები და „მორსხა“ თავისთავად არ გელირსება.

დამიზეზებულის გამო „მაკითხე“ რიტუალს ასრულებს, ე. წ. „მორსხას“, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს, დამოკიდებულია თვითონ „მაკითხეზე“ ან გადამცემელზე. მაგალითად, შეიძლება გადამცემელმა დათქვას, რომ დამიზეზებულს საშველი არ ეღირსოს, სანამ გადამცემელმა (ან მისმა ნათესავმა) თავზე მარჯვენა ხელი არ გადაუსვასო. იგულისხმება, რომ ვისი სახელიც იხსენა ამ ფორმულისას, მაინცდამაინც მან უნდა მიიღოს მონაწილეობა „მორსხას“, გადაცემის გამო „ღუნაპირის“ შესრულების რიტუალში, თუნდაც უკვე მიცვალებული იყოს. რიტუალი სრულდება ან ეკლესიის ეზოში, ან ოჯახში. თუ ეკლესიაში სრულდება, მაშინ იქვე დაკლავენ საკლავს და იქვე ჭამენ (სოფ. ლემშაბე). საკლავს წინასწარ დათქვამენ. სოფ. ჩქვა-

⁴³ განსაკუთრებით ხშირია ბატონებით ავადმყოფობის გამო ღუნაპირის რიტუალის შესრულება, თუმცა, ამ შემთხვევაში ეს სცილდება ჩვენი კვლევის ფარგლებს და ამასთან დაკავშირებით თემის მასშტაბურობის გამო ცალკე ნაშრომს ვამზადებთ.

ლერში დადასტურებული მასალებით, რიტუალი შეიძლება შესრულებულიყო გზაჯვარედინზე. ჩქვალერში უთითებენ კიდევ ერთი ადგილს, სადაც დიდი ქვა დევს და ამტკიცებენ, რომ მის ქვეშ ჯვარი და „ხვამასთვის“ საჭირო ნივთები აწყვია. ბავშვი დაბადებისას ასრულებდნენ „განალინის ხვამას“ მუყავაში. სამი გზის გასაყარზე უშვებდნენ ქათამს და მოგვიანებით დაიწყეს ეკლესიაში წაყვანა.

რაც შეეხება გადაცემის გამო „დუნაპირის“ ჩატარების რიტუალს. სოფ. ჩქვალერში ეთნოგრაფიული მასალებით, შემდეგი სახის რიტუალი დაფიქსირდა: „მაკითხეს“⁴⁴ დაახვედრეს დედალი და მამალი, რომლებიც აუცილებლად ნაყიდი უნდა ყოფილიყო. სპეციალურად ამ დღისთვის მოწყობილი სუფრისთვის ყველაფერი ნაყიდი უნდა იყოს და თუ ცოცხალი არსება იყიდეს, ერთი წლის უნდა იყოს. სუფრაზე ყველი, ხოზოკვარები, წითელი ღვინო აუცილებელია, ასევე ხურდა ფული, რამდენი სულიც არის ოჯახში, იმდენი ოცთეთრინი,⁴⁵ ლურსმანი, ნალი (გამოყენებული), პილპილი, მარილი, ბოქლომი. სუფრისთვის რაც კეთდება, ის არ მიაქვს „მაკითხეს“. შესაძლებელია, მხოლოდ აჩუქო საჭმელი. ცხოველს, რომლის დაკვლითაც ძირითადად ასრულებდნენ რიტუალს, ჭამდნენ მხოლოდ იმას, რაც იმ ერთ ჯერზე შეიჭმებოდა, დანარჩენს ხონჩაში გამოკრავდნენ და წყალს გაატანდნენ.

დამიხეზებულის (გადაცემის) წყევლის გამო „დუნაპირი“ შეიძლება „ოხვამერად“ ტრანსფორმირდეს, თუ რაიმე მიზეზით თავის თავზე აიღებს ამას ადამიანი, მაგალითად, ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომ ორი ადამიანი ვერ მორიგდა საერთო წისქვილის გამო და ერთმანეთი გადასცეს. ერთ-ერთს, რომელსაც თავი მართალი ეგონა, გადაცემის ეშინოდა და ყოველ წელს „ოხვამერი“ დაიწესა იმის შიშით, ჩემივე წყევლა არ დამიბრუნდესო. სავარაუდოდ, ეს იქნებოდა „განალინიშ ხვამა“.

ზუსტად ასევე, ქალაქ ჯვარში ერთ-ერთი ქუჩის მცხოვრებთ სწამდათ, რომ მიწა, რომელზედაც ცხოვრობდნენ, ორი სხვადასხვა გვარის ხალხის გამო გადაცემული იყო ხატზე. როგორც ჩანს, მიწაზე დავის გამო მათ ერთმანეთი გადასცეს. ამიტომაც, ქუჩის მცხოვრებლებმა დათქვეს, რომ უბედურებისგან დასაცავად ორ წელიწადში ერთხელ შეესრულებინათ „დუნაპირი“, რომელიც თავისი რეგულარულობის გამო გადაიქცა „ოხვამერად“.

⁴⁴ „მაკითხე“ თვითონ სოფელ მიქავადან იყო.

⁴⁵ კონკრეტული რიტუალი 2014 წლის ზაფხულში შესრულდა და, შესაბამისად, თანამედროვე ფული იყო გამოყენებული რიტუალის შესრულებისას.

„ოხვამერად“ „ღუნაპირი“ შეიძლება ქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუკი მაგალითად, ოჯახი დასახლებოდა ისეთ ადგილას, რომელიც გადაცემული იყო ხატზე. ამ შემთხვევაში პერიოდულად ოჯახი ილოცებდა, რომ ჯანმრთელად ყოფილიყვნენ.

მიიჩნევენ, რომ ღუნაპირის შეუსრულებლობა არ შეიძლება, იმიტომ რომ შეიძლება თხოვნის ავტორმა არ იცოდეს, რომ თხოვნა შეუსრულდა. მაგალითად, თუ ვინმემ ღმერთს სთხოვა ომში წასულის ცოცხლად გადარჩენა და ის მართლაც გადარჩა, მაგრამ პატრონმა არ იცის ამის შესახებ, ამიტომაც ხატმა რომ არ დაამიზეზოს, „ღუნაპირი“ აუცილებლად უნდა შეასრულოს.

რაც შეეხება ცხოველებს, რომლებიც შეიძლება შეწირო: ეს ძირითადად დათქმაზე იყო დამოკიდებული. არ შეიძლებოდა თხის ან ცხვრის შეწირვა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სოფელ ლეგოგიეს მასალებით თიკნის შეწირვა შეიძლებოდა ოღონდ „ღუნაპირის“ რიტუალისას, დიდი თხის – არა. ასევე არ შეიძლება ბატისა და ინდაურის „ღუნაპირზე“ შეწირვა. ალერტის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ახლოს, სოფელ ლეგოგიეში ჩაწერილი მასალების მიხედვითაც, „ღუნაპირის“ შეუსრულებლობა არ შეიძლება, სჯობს, პატარა რამ დაჰპირდე, მაგალითად, მამალი და აუცილებლად შეასრულო, ვიდრე დიდი და ვერ შეასრულო. „მაკითხე“ „ღუნაპირის“ რიტუალს სხვადასხვანაირად ასრულებს: მაგალითად, ლეგოგიეში ორი „მახვამერი“, ადგილობრივების ცნობით, შემდაგნაირად ასრულებდა რიტუალს: ჯვარზე ჯაჭვი ჰქონდათ გამოძებული და თავზე გადაატარებდნენ იმას, ვისაც შეულოცავდნენ.

„ღუნაპირი“, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ომში წასულთან. ოჯახის წევრები ითხოვდნენ მის ჯანმრთელობას, სოფელ მუჟავაში დავაფიქსირეთ შემთხვევა, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს სახლში დარჩენილი ოჯახის წევრი დაჰპირდა, რომ ცხვარს შეწირავდა. დაუბრუნებლობის შემთხვევაში არ შეასრულებდა, თუმცა იმავე სოფელში მიუხედავად იმისა, რომ თხოვნა არ შესრულდა, მთხოვნელმა მაინც შეასრულა რიტუალი, იმიტომ რომ არ იცოდა, ცოცხალი გადარჩა თუ არა ის ადამიანი, ვის გამოც დაჰპირდა.

ბავშვის დაბადებისას იხდიდნენ ასევე „ხვამას“, რომელიც უფრო „ღუნაპირს“ ჰგავს იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ ერთხელ სრულდება და იმითაც, რომ წინასწარ დაპირებულია – თუ შეეძინებათ გოგო ან ბიჭი, უნდა შესწირონ გარკვეული ცხოველი, მაგრამ „ოხვამერს“ ჰგავს იმით, რომ წინასწარ არის დათქმული დრო – ბავშვის დაბადება. ამასთან დაკავშირებით

კონკრეტული გვარი თავის თავზე იღებდა, რას შესწირავდა. მაგ. ფიფიები გოგოს დაბადებას თხის შეწირვით აღნიშნავდნენ, ხოლო ვაჟის დაბადებასთან დაკავშირებით მათზე იყო დამოკიდებული, რას დაჰპირდებოდნენ. ასევე, მაგ. არქანიები გოგოს დაბადების შემთხვევაში, გოჭით ილოცებდნენ.

არსებობდა კიდევ ერთი „დუნაპირი“ – „გუმოჭყუღური“, რომელიც გოგოს გათხოვებასთან იყო დაკავშირებული. ეს რიტუალიც ჰგავს ნაწილობრივ „ოხვამერს“, მაგრამ უფრო მეტად „დუნაპირს“ ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული „დუნაპირის“ შესრულების მიზეზებთან მსგავსების გამო.

სად და რა ადგილებში სრულდებოდა „ხვამა“

რიტუალის შესრულების ფორმისა და შინაარსის გარდა, საინტერესოა, სად, რა ადგილებში სრულდება იგი. „ოხვამერი“ ძირითადად სრულდება ან შინ, ან საჯაროდ, მთელი სოფელი ერთად ასრულებს. თუმცა უფრო „ოხვამერად“ ქცეულ „დუნაპირს“ ასრულებენ საჯაროდ. რაც შეეხება „დუნაპირს“, ისიც ასევე შეიძლება შესრულდეს შინ ან საჯარო ადგილას, ასეთი ადგილი შეიძლება იყოს ან შერჩეული ხე, ან გზაჯვარედინი, ან ეკლესია. მაგალითად, სოფ. ჩქვალერში, ერთგან უთითებენ ადგილს გზაჯვარედინზე, სადაც ქვადევს და ირწმუნებიან, რომ მის ქვეშ ჯვარი და „ოხვამურის“ სხვა ნივთები დევს. ასევე სოფელ მუჟავაში შესაწირ მამალს დაიჭერდნენ და გზაჯვარედინზე, სადაც სამი გზა ერთვის ერთმანეთს, უშვებდნენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომწინარექრისტიანულ ხანაში სალოცავების ნაწილი, როგორც ჩანს, მდებარეობდა გზაჯვარედინებზე. ქრისტიანულ ხანაში, სალოცავებს, ზოგჯერ, როგორც ჩანს, აშენებდნენ ისეთ ადგილას, სადაც ძველი ტოტემები მდებარეობდა. საგულისხმოა, რომ ხშირია ცაცხვის ხესთან ეკლესიის აშენება, თანაც ყველაზე ცნობილი სალოცავები, სადაც ხატზე გადაცემა ან „მორსხას“ რიტუალისრულდებოდა, მაგალითად, ალერტის წმინდა გიორგისა და ჯუმითის წმინდა გიორგის ეკლესიებშიც დიდი ცაცხვები დგას. საინტერესოა, რომ ჯუმითში, როდესაც საბჭოთა პერიოდში ეკლესია დაშალეს, ამის შემდეგ ცაცხვის ძირში ლოცულობდნენ. ჯიხაშკარშიც, მისარონ-კარი სადაც არის, იქ ცაცხვის და მუხის ხეებია და „ოხვამერს“ იქ ასრულებენ, თუმცა, ჯიხაშკარში მთავარი მაინც წმინდა ქვაა, რომელზეც ლოცულობენ. შერჩეულ ქვებთან ლოცვის პრაქტიკა დაფიქსირდა სოფელ მუჟავაშიც. ფრთხილი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას ამასთან დაკავშირებით, რომ ეს ტოტემიზმისა და ფეტიშიზმის ერთდროული გადმონაშთია. ს. მაკალათიაც აღნიშნავს, რომ

გეჯეთშიც (ნოქალაქევიდან 3 კილომეტრია) მისარონის სამლოცველო იყო და ერთი დიდი ცაცხვის ხე იდგა იქ.⁴⁶

როგორ გადაურჩა საბჭოთა პერიოდს ხვამები

კომუნიზმთან დაკავშირებულ ათეიზმის თითქმის 70 წლიან პერიოდს, რთული იყო, რაიმე რელიგიური რიტუალი გადარჩენოდა. დიდი ნაწილი თანდათანობით მართლაც დაიკარგა, თუმცა ალაგ-ალაგ, სოფლებში მაინც მოახერხეს მათი შენარჩუნება.

კომუნისტების დროს ეს რიტუალები გადაურჩა, ძირითადად, ხელისუფლებისთვის ათეიზმის ხარკის ფორმალური მოხდის მეშვეობით. მაგალითად, ჯუმითში, სადაც წმინდა გიორგის ეკლესია იყო აშენებული ცაცხვის ტოტემის გვერდით, კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოსახლეობამ მთავრობის საჩვენებლად ეკლესია დაანგრია, თუმცა რიტუალების შესრულება არ შეუწყვეტია და ცაცხვის ძირში გააგრძელა ისევ. ასე ვთქვათ, კომუნისტებს ხარკი გადაუხადეს, საჩვენებლად ეკლესია დაანგრიეს, თუმცა რიტუალები და პრაქტიკა შეინარჩუნეს.

გარდა ამისა, პრაქტიკა გადარჩა ჩუმად შესრულების მეშვეობითაც. მაგალითად, „დუნაპირს“ „მორსხის“ მიზნით ასრულებდნენ ღამე ეკლესიაში. ჩუმად შესრულებაში უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ „ოხვამერი“ ხშირად ოჯახებში სრულდებოდა ინდივიდუალურად, რაც თავისთავად უკვე გულისხმობდა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდებოდა. თუმცა, საინტერესოა ერთი ფაქტი: სოფელ ლეგოგიეში, რომელიც ალერტის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ახლოს მდებარეობს, 2014 წელს დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალებით, 1969 წელს⁴⁷ ყველა ოჯახი ასრულებდა „ოხვამერის“ რიტუალს. როგორც ჩანს, ოჯახებში და არა საჯაროდ მათი შესრულება საშიშროებას არ წარმოადგენდა ხელისუფლებისთვის, ეს ხომ ორგანიზებული ეკლესია არ იყო, და, შესაბამისად, ეს უნდა იყოს კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ გადაურჩა პრაქტიკა ხელისუფლებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი მოსაზრებაც, თუ როგორ გადარჩა ძლიერი წინარეპრისტიული ელემენტები საბჭოთა პერიოდამდე – ქრისტიანობის შე-

⁴⁶ ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 14.

⁴⁷ 1969 წლის ეთნოგრაფიული მასალების დაფიქსირება და ზუსტი დათარიღება თავად მოხრობელის საფუძველზე მოხდა

მოსვლიდან საბჭოთა წყობილების დამყარებამდე. ჩვენი აზრით, იმხანად ეს რიტუალები გადარჩა, იმიტომ რომ შემსრულებლებმა გარკვეული კომპრომისის მოძებნა სცადეს ეკლესიასთან, მაგალითად, ლეგოგიეში რიტუალს ასწრებდნენ მხოლოდ მონათლულ ბიჭებს, ამით ხაზს უსვამდნენ, რომ ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული, თუმცა რიტუალის შინაარსი და ფორმა უმეტესწილად წინარექრისტიანულია.

„ლეგიტიმაციისთვის“ საჭირო გარეგნული მიმსგავსების კიდევ ერთი ფორმა, რომელიც, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, პრაქტიკის გადარჩენის მიზეზია, არის „მაკითხეს“ მიერ რიტუალის შესრულება ქრისტიანულის სიმბოლიკის, მაგალითად, ჯვრის გამოყენებით, რომელიც ლეგოგიეში დაფიქსირდა. ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ ქრისტიანულ სიმბოლიკას ამოფარებულებს გადაერჩინათ ძველი წესები: ლეგოგიეში ორი „მახვამერი“, ადგილობრივების ცნობით, შემდეგნაირად ასრულებდა რიტუალს: ჯვარზე ჯაჭვი ჰქონდათ გამობმული და თავზე გადაატარებდნენ იმას, ვისაც შეულოცავდნენ.

უკანასკნელ ხანებშიც, 2016 წლის ზაფხულში, „ოხვამერად“ ქცეული „დუნაპირის“ შესრულებისას, ქ. ჯვარში, როდესაც ერთ-ერთი ქუჩის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს შეესრულებინათ „ოხვამერი“ (ქუჩის დალოცვა), რომელსაც ადრე 2 წელიწადში ერთხელ ასრულებდნენ, შესაბამისი საკლავი დაკლეს, სუფრა გაამზადეს და ქუჩის დასალოცად მღვდელი მოიწვიეს. ამრიგად, გარკვეული გარეგნული შეფუთვის მეშვეობით ყველა დროში ხერხდებოდა ამ პრაქტიკის შენარჩუნება, თუმცა, რა თქმა უნდა, დროსთან ერთად, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში, პრაქტიკა, მნიშვნელოვან მოდიფიკაციას განიცდის, ძირითადად, მხოლოდ სქემატური სახით შემორჩება და პრაქტიკის მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი დავიწყებას ეძლევა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პირიქით, ეს პრაქტიკა ძლიერდება, მაგალითად, სოფელ ჩქვალერში ერთი თაობით ადრე⁴⁸ ორჯერ ასრულებდნენ „ოხვამერს“: ახალ წელს და შემოდგომაზე, თუმცა იგივე ოჯახი ახლა სამჯერ ასრულებს ამ რიტუალს, კერძოდ, სამის სახის „ოხვამერს“: „საადგილო“, „საღორონთო“ და „სამგარიო“. შობიდან კალანდამდე (7 იანვრიდან 14 იანვრამდე) სამი დღე ზედიზედ ასრულებენ. დასაწყისი ნებისმიერი დღე შეიძლება იყოს. აქედან ახ-

⁴⁸ ასეთი ფორმით ეთნოგრაფიული მასალის დათარიღება თავად მოხრობელის ინიციატივით მოხდა. მან აღნიშნა, რომ რიტუალს მისი ოჯახის უფროსი წევრი, კერძოდ, მამა ასრულებდა.

ალი „ოხვამერია“, „საადგილო“, როგორც ჩანს, იმ ადგილის დასალოცად ასრულებენ, სადაც ცხოვრობენ, მის სიანლეზე ისიც მიუთითებს, რომ ტერმინი ქართულია.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი შეცვლილია უკანასკნელ ხანებში. მაგალითად, სერგი მაკალათიასთან „ჭეჭეთობა“ (ავსულების ღამე) მითითებულია, რომ აღინიშნებოდა 20 ივლისს, დღესდღეობით ჭეჭეთობის დღესასწაულად მიიჩნევა 27-28 აგვისტოს ღამე და უკავშირდება მარიამობას. სამწუხაროდ, ამ დიდ შუალედში არ არსებობს მკვლევართა მიერ ჩაწერილი მასალა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, დაგვედგინა მიზეზი, თუ რატომ შეიცვალა ასე მნიშვნელოვნად ეს თარიღი, აქ იმ ვარაუდის გამოთქმაც რთულია, რომ ისევ და ისევ ქრისტიანულ პარადიგმას ამოფარებულებმა შეინარჩუნეს წინარექრისტიანული დღესასწაული, რადგან ძნელია განსაზღვრო დრო, როდესაც ეს ცვლილება მოხდა. თუ მოხდა, 90-იანი წლებიდან, მაშინ შეიძლება ამ ვარაუდის გამოთქმა, თუ უფრო ადრე, მაშინ რთულია, დაადგინო ამის მიზეზი. ასევე შეცვლილია, უფრო ზუსტად, დამატებულია, ე. წ. „ქალების აღდგომა“ (იგივე პატარა აღდგომა), რომელიც აღინიშნება კვირაცხოვლობას. ამ დღეს მიღებულია, რომ ქალები შეიკრიბონ ერთად და ცალკე აღნიშნონ აღდგომის დღესასწაული. თუმცა, ეს პრაქტიკაც ჩვენი ამჟამინდელი კვლევის ფარგლებს სცილდება და უფრო დეტალურად ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

შედარების მიზნით, ისეთ ადგილებში, სადაც ს. მაკალათია მუშაობდა და რიტუალი და პრაქტიკა დეტალურად აქვს აღწერილი, ჩვენ თავიდან ჩავიწერეთ, რათა კარგად ცნობილი მაგალითის საფუძველზე დაგვედგინა, თუ რამდენად შეცვლილი მდგომარეობა შეიძლებოდა დაგვხვედროდა ამ წლების განმავლობაში, რაც თავის მხრივ, საინტერესო მეთოდური დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემდა. აღსანიშნავია, რომ მისარონ-კარში, სადაც ჯეგე-მისარონობას აღნიშნავენ, დღესაც ზუსტად იგივე მდგომარეობაა, რაც სერგი მაკალათიას დროს იყო. რიტუალი ზუსტად იმავე ადგილას სრულდება და ზუსტად ისეთი ფორმით, როგორც ეს მეცნიერს აქვს ჩაწერილი. მცირედით შეიცვალა მხოლოდ გარემო. აშენებულია ეკლესიაც, თუმცა რიტუალს ასრულებენ არა ეკლესიაში, არამედ იქვე მდებარე პატარა სალოცავში, სადაც ინახავენ ქვას, რომელიც მიჩნეულია საკრალურად და თავყანს სცემენ. საინტერესოა, რომ ეკლესია ააშენეს იმიტომ, რომ ერთ-ერთი მოსახლე (რიტუალს ასრულებს 25 ოჯახი მორიგეობით) ოჯახის წევრი ქალის ავადმყოფობის გამო დაჰპირდა ღმერთს ეკლესიის აშენებას, თუ ქალი მომჯობინდე-

ბოდა. ფაქტობრივად, „დუნაპირი“ დაუთქვა ღმერთს. შემდეგ დაპირებისამებრ შეასრულა „დუნაპირი“ და ააშენა ეკლესია. ეკლესიის აშენების მიზეზი წინარექრისტიანული წესის – „დუნაპირის“ შესრულებაა. რაც შეეხება „ოხვამერად“ ქცეული „დუნაპირის“ შესრულებას, აქ რიტუალი დღესაც ზუსტად იმავენაირად სრულდება.

გარკვეული პრობლემები შექმნა კალენდრის ცვლილებამ, მაგალითად, თუ რიტუალი სრულდებოდა ახალ წელს, ძველი კალენდრით ხსნილში, კალენდრის შეცვლის შემდეგ რიტუალი ისევ ახალ წელს სრულდება, თუმცა ამჯერად მარხვაში, თან საინტერესოა, რომ გოჭი იკვლება ამ დროს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რადგან ეს „ოხვამერია“, ყველა ოჯახი ამას ერთნაირად არ ასრულებს და, შესაბამისად, ამას ყურადღებას არ აქცევს ნაკლებად ეკლესიური ოჯახი.

ავთენტური სახით შენარჩუნების ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია დროსთან ერთად დაწყებული ცვლილებები, მაგალითად, ქრისტიანობის შემოსვლა ან ცივილიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებები. ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად „ხვამების“ რიტუალში ჩნდება სანთელი. ჩვენთვის უცნობია რიტუალში სანთლია გაჩენის მიზეზი, შესაძლოა, ქრისტიანობამდეც ზოგადად ცეცხლის ანთება მიღებული იყო ისედაც და, შესაბამისად, სანთელი იმიტომ გაჩნდა ამ რიტუალებში რომ ქრისტიანობას შერწყმოდა, რაც არ არის გამორიცხული, თუ გავითვალისწინებთ მითრას კულტის არსებობას სამეგრელოში.⁴⁹

რიტუალი ავთენტური სახით რიგ შემთხვევებში ძალიან ადვილად შემორჩება ხოლმე. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, პრაქტიკულად სრულიად უცვლელად არის შემორჩენილი ჯეგემისარონობა ჯიხაშკარში, ზუსტად ისე, როგორც ეს სერგი მაკალათიას აქვს ჩაწერილი, რაც გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ საფრთხე რიგ შემთხვევებში ამ ტიპის რიტუალებს ნაკლებად ემუქრება. რიტუალის ფორმა და შესრულების წესი იგივეა, თვით ღორის გრიპის დროსაც კი, როდესაც ძალიან გაუჭირდათ ღორის შოვნა და მღვდლის კურთხევით, შეეძლოთ ხბო დაეკლათ, უარი თქვეს ამაზე, არ დაკლეს ხბო და სადღაც მიყრუებულ სოფელში იშოვეს პატარა გოჭი და ის შეწირეს, მაგრამ მაინც იმ ფორმით შეასრულეს, როგორც ამას მათგან წინაპართა წესი მოითხოვდა. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ამ რიტუ-

⁴⁹ საქართველოში მითრას კულტის შესახებ იხ.: ს. მაკალათია ჯეგემისარონის კულტი საქართველოში. თბ. 1938; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ΜΙΘΡΑΣ საქართველოში. თბ. 2010.

ალებს რიგ შემთხვევებში ნაკლებად ემუქრება საფრთხე. განსხვავება ნაკლებად და მეტად ავთენტურად შენარჩუნებულ რიტუალებში შემდეგია: რიტუალი, რომელსაც კოლექტიური მესიერება ინახავს, მეტად ავთენტურია, ამ შემთხვევაში 25 ოჯახს და შესაბამისად, საშუალოდ 100 კაცს ახსოვს, თუ როგორ უნდა შეასრულონ ის, მაშინ როდესაც, რიტუალების ნაწილი, რომელსაც მხოლოდ ერთი ოჯახი ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება ზოგადად მთელ სოფელში ან მთელ რეგიონში გავრცელებული პრაქტიკა იყოს, მაინც ექვემდებარება მოლიფიკაციას და ავთენტური ფორმით დაკარგვას, რადგან ახსოვს მხოლოდ ერთ ოჯახს ან ოჯახის უფროს მამაკაცს და შესაბამისად, რადგანაც 1) ნაკლებმა ადამიანმა იცის მისი ზუსტი შესრულების წესი და 2) საზოგადოებრივი დასჯის მექანიზმი გადახრის შემთხვევაში არ ამოქმედდება, ის ადვილად შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას. არ იცვლება ზოგადი შტრიხები, მაგრამ იცვლება კონკრეტული მომენტები, მაგალითად, ოჯახზეა დამოკიდებული, რიტუალი დღისით შესრულდება თუ ღამით, ასევე სარიტუალო ხორცი ბოლომდე იჭმევა, ან ნაწილი იჭმევა და ნაწილი იყრება იმავე დღეს ან არ იყრება, ასევე ოჯახზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, განსხვავდება იმით, ოჯახის რძალი და სიძე ან გათხოვილი ქალი, იღებს თუ არა მონაწილეობას მასში, მაგრამ უცვლელი რჩება, მაგალითად, ის, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცი არის „მახვამერი“ (რიტუალის შემსრულებელი).

რიტუალებს საფრთხეს უქმნის გლობალიზაცია და განათლების დონის ამაღლება სოფლებში. ყველაზე მეტად ის რიტუალები იკარგება, რომელთა შესრულება „გინოჩამას“ უკავშირდება. პრაქტიკულად, მთელ სამეგრელოში, ღრმად მოხუცებული ადამიანების გარდა, ყველანი, მიიჩნევენ, რომ „გინოჩამა“ სასტიკი მოვლენაა და შესაბამისად, არავინ სამართლის ძიების ეს მეთოდი არ უნდა გამოიყენოს. მისარონ-კარშიც კი აღნიშნავენ, რომ დღეს მათ სალოცავში „გინოჩამის“ უფლებას არ აძლევენ, მარტვილის რაიონში სოფ. ლეგოგიეში, იქ, სადაც ალერტის წმინდა გიორგის ეკლესიაა, ამბობენ, რომ ერთი ძალიან მოხუცებული ქალის გარდა, არავინ ამას არ აკეთებს და ა.შ. შესაბამისად, გულდასაწყვეტია, რომ „გინოჩამასთან“ დაკავშირებული რიტუალების შესწავლა დღეს ამ მიზეზით გართულებულია, თუმცა, ეს რა თქმა უნდა, გარდაუვალი პროცესია.

რიტუალების ავთენტური ფორმით შენარჩუნებას მართლმადიდებლობის გაძლიერება რიგ შემთხვევებში უშლის ხელს, რიგ შემთხვევებში არა. მაგალითად, მისარონ-კარში, მღვდლის რჩევით ფიქრობდნენ ღორის ნაცვლად

ძროხის შეწირვას, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, რომ ტრადიციისთვის არ ეღალატათ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღორის გრიპის დროსაც კი დაისვეს ტრადიციული რიტუალი.

საფრთხე ნაკლებად ემუქრება რიტუალებს იმ მიზეზითაც, რომ ახერხებენ დროსთან ადაპტაციას, მაგალითად, მისარონ-კარში რიტუალის დასრულების შემდეგ თანხა რომ მორჩებათ, ხატს ყიდულობენ და ღებენ იმ ქვასთან, სადაც „ოხვამერს“ ასრულებენ. ამით გარკვეულწილად დღესდღეობით გაძლიერებულ ქრისტიანობასთან ახერხებენ შეთავსებას. შესაბამისად, უახლოეს ხანებში მისარონ-კარში რიტუალში ცვლილება მოსალოდნელი არც არის. მაგალითად, ჯეგე-მისარონის მოძღოცვლებში მიღებული იყო, რომ შენგელები და ზარანდიები ერთმანეთს შორის არ დაქორწინებულყვნენ, რადგან ერთი სალოცავი ჰქონდათ. სწამთ, რომ თუ ოდესმე ასეთი შემთხვევა მომხდარა და საინტერესოა, რომ, მათი წარმოდგენით დარღვევები ბოლო 20 წლის განმავლობაში ხდება და ყველა ასეთი ოჯახი გაუბედურდა. ამდაგვარი რწმენით, სალოცავის მოთხოვნების დაუმორჩინებლობის შემთხვევები სტიქიატიზებული და ტაბუირებულია. იმავდროულად ამით ხელს უშლიან ამ რიტუალების დავიწყებას და, თავის მხრივ, მოსახლეობაში შიში ამ ფაქტორისადმი გვაკარაულებინებს, რომ ჯერჯერობით ამ რიტუალებს საფრთხე არ ემუქრება.

მეორე მხრივ, როდესაც რიტუალი სრულდება ცალკეული ოჯახების მიერ და კოლექტიურ მეხსიერებას არ ექვემდებარება, ხშირად მათი მასშტაბები მცირდება და იცვლება. მაგალითად, სოფელ ლეგოციეში 1969 წელს, ყველა ოჯახი ასრულებდა „ოხვამერის“ რიტუალს, დღესდღეობით იმავე მასშტაბებს არ ატარებს იგი.

„დუნაპირის“ შესრულების პრაქტიკის შემორჩენას ხელი შეუწყო მეოცე საუკუნეში გადატანილმა რამდენიმე ომმა, მაგალითად, რუსეთ-იაპონიის, პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა. „დუნაპირი“, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ომში წასულთან. ოჯახის წევრები ითხოვდნენ მის ჯანმრთელობას და დაბრუნებას. დღესდღეობით ეს შეიძლება სხვა მიზეზითაც მოხდეს. მაგალითად, ასევე სოფელ მუჟავაში დაფიქსირდა შემთხვევა, რომ „დუნაპირი“ ჰქონდა ოჯახს, როდესაც პირველად მეზღვაური შვილი გაუშვა ზღვაში (2014 წელს შვილი იყო 28 წლის) და მისი დაბრუნების შემდეგ შეასრულეს რიტუალი. ასევე, სოფელ მუჟავას ეთნოგრაფიული მასალებით, როდესაც საოპერაციოდ მიჰყავთ ვინმე, მამინ კპირდებიან და ბედნიერად დასრულების შემდეგ „დუნაპირს“ ასრულებენ. დღესდღეობით „დუ-

ნაპირი“ შეიძლება იყოს სანთლის ანთებაც – კვირაობით სახლში აანთებენ წინასწარ დაპირებულ სანთელს, მაგალითად, შემდეგი მიზეზით – შვილიშვილის ისევ ჩასვლას თუ მოესწრება ბებია ან ბაბუა, კვირა დღეს ანთებს სანთელს, რომელსაც, როგორც წესი, სახლში, კუსტარულად ამზადებენ.

ნაშრომში შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ჩვენ მიერ დასაწყისში დასმული შეკითხვებისთვის, მაქსიმალურად დეტალურად შეგვესწავლა საკითხი. ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისთვის და, ასევე, ხელს შეუწყობს მის შემდგომ შესწავლასაც.

Natia Phiphia
Ketevan Tsimintia

**SOME PRACTICES CONNECTED WITH FAITH
AND BELIEFS IN SAMEGRELO
(“*KHVAMA*”: “*OKHVAMERI*” AND “*DUNAPIRI*”)**

Summary

Some practices connected with faith and beliefs have been preserved in Samegrelo up today. Their collective name is “*Khvama*”. “*Khvama*” is a specific ritual with semi-sacred and semi-practical function. Its main purpose was to deal with different necessities of family, village or other communities. Therefore, different types of “*Khvama*” exist depending on their role. Special research dedicated to this issue was conducted by Sergi Makalatia around 80 years ago and no other research have been done till today. The scholar paid attention only to the general description of the ritual and he has not given some specific details. Also, he did not mention the differences between two major types of “*Khvama*” – “*Okhvameri*” and “*Dunapiri*”. Main purpose of our research was to fulfill this gap.

Major purpose of our research was to answer the following questions: 1) what are the similarities and differences between “*Okhvameri*” (annually celebrated ritual) and “*Dunapiri*” (ritual conducted just once) – some aspects concerning terminology, faith, beliefs and practices; 2) which “*Khvama*” described by Makalatia is “*Okhvameri*” and which one is “*Dunapiri*”; 3) how “*Dunapiri*” ritual was practiced; 4) what rituals Sergi Makalatia omitted and did not describe; 5) what was the main purpose of each ritual; 6) to what extent practices of these rituals remained in Samegrelo, what are continuities and what changed over time. Comparative analysis was conducted based on previously well researched examples in Sergi Makalatia’s work and on our new materials; 7) how these rituals survived atheistic period of soviet rule; 8) what is the anthropological perspective of the region – to what extent it is possible that these rituals will be conducted in its authentic form in the near future and what are the challenges that threaten their preservation.

While “*Okhvameri*” is annually celebrated ritual (not festival) accompanied with some appraisal of non-denominated god or icons/saints (?), “*Dunapiri*” usually is a ritual conducted only in case if someone ‘gave the word’ to the god/icon/saint (?) that he/she will sacrifice animal in exchange of some past or future favor. Rituals described by Sergi Makalatia are mostly “*Okhvameri*”. Since practices of these rituals remained the same and have not lost their authenticity over these 80 years, other rituals omitted by Makalatia and described by us, supposedly more or less bear their initial forms. Major reason why these rituals survived soviet era is formal homage paid to the government, for example, in one village locals ruined the church but continued annual animal sacrifice at the oak-tree as they did before. Even today it is hard to predict whether strengthened Christianity or globalization will affect the rituals. Anyway, major point is that these issues are very urgent to study and that is why we decided to conduct our work.

Tedo Dundua, Leri Tavadze

Georgian Coins with Byzantine Iconography and Imperial Titulature of the Georgian Kings

The paper deals with the monetary issues of Georgia in the 10th-15th cc.¹ The aim of the research was a precise attribution of numismatic data and consideration of the corresponding historical information.

The period under discussion is very important in view of the Byzantine-Georgian relationship. The numismatic expression of this conjuncture forms a special interest – particularly, as Georgian money was struck in Byzantine style and Georgian kings claimed their Imperial titles stressing this way a formal integrity of the Orthodox World – Byzantium and Georgia were regarded to form unique Orthodox space.

It is appropriate to split the whole period into two stages: I. the 10th c.-the beginning of the 13th c. is a time of very strong Imperial feelings; II. and the 13th-15th cc. – of their reminiscence.

The Byzantine Imperial titulature was long established in the Georgian political reality. Court titles were bestowed upon kings and princes of the Georgian states. The Georgian nobles were among them as well. Those who received the titles were the most vivid members of Georgian aristocracy living in Georgia or outside its borders. It is also important to point that all the Byzantine titles in Georgia from the beginning up to the end of the 11th c. were granted by the Byzantine Emperors.

The situation was changed during the reign of David IV (1089-1125). From that time on the court titles had disappeared and the Georgian rulers are styled with those Imperial titles, which were preserved for the Byzantine Emperors. The latter were hereditary and the Georgian sovereigns held them without official approval of the Byzantine Emperors.

¹ The paper has been written for the 23rd International Congress of Byzantine Studies held in Belgrade on August 22-27, 2016.

How numismatic material is complementing to our knowledge about Byzantine court titles? The data given below is from the valuable resource for the Georgian numismatics – Catalogue of Georgian Numismatics in four volumes published recently.² The online version of catalogue is also available.³

David III Kuropalates' (ruler of Imier Tao, part of South-Western Georgia, +1001) **coins with the depiction of cross potent.**

Obverse: Georgian legend (abbreviation everywhere) – $\text{†}\Gamma\text{Υ}\Gamma/\Delta\text{C}$ “Christ, forgive David”.

Reverse: Cross potent on the four steps and Georgian legend – $\text{C}\text{U}\text{R}\text{P}$ “Kurapalati”.

St. Virgin Blachernitissa type coins – Bagrat IV's (king of Georgia in 1027-1072) **first emission.**

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Greek legend – H AGIA ΘEOTOKOC – “the Holy Virgin”, close to nimbus, in different ways.

Reverse: Marginal Georgian legend – $\text{†}\Gamma\text{C}\text{D}\text{G}\text{Y}\text{L}\text{P}\text{C}\text{P}\text{E}\text{B}\text{G}\text{C}\text{D}\text{P}\text{Γ}$ – “Christ, exalt Bagrat, the king of the Abkhasians” (i.e. the Western Georgia). In the centre – $\text{D}\text{C}\text{F}\text{Q}/\Gamma\text{Γ}\text{N}\text{N}\text{N}/\text{D}\text{Q}\text{L}\text{Γ}$ “and Nobilissimos”.

St. Virgin Blachernitissa type coins – Bagrat IV's second emission.

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Greek legend – H AGIA ΘEOTOKOC – “the Holy Virgin”, close to nimbus, in different ways.

Reverse: Marginal Georgian legend – $\text{†}\Gamma\text{C}\text{D}\text{G}\text{Y}\text{L}\text{P}\text{C}\text{P}\text{E}\text{B}\text{G}\text{C}\text{D}\text{P}\text{Γ}$ – “Christ, exalt Bagrat, the king of the Abkhasians” (i.e. the Western Georgia). In the centre – $\text{D}\text{C}\text{L}/\Gamma\text{Γ}\text{C}\text{L}/\text{P}\text{Q}\text{L}\text{Γ}$ “and Sebastos”.

St. Virgin Blachernitissa type coins – Giorgi II's (king of Georgia in 1072-1089) **first emission.**

² Catalogue of Georgian Numismatics. Parts 1-4. Authors – Tedo Dundua, Giorgi Dundua. Compiled by Alexander Boshishvili, Apolon Tabuashvili, Leri Tavadze etc. Tbilisi. 2013-2015.

³ Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. Academic Staff: Tedo Dundua, Giorgi Dundua, Alexander Boshishvili, Apolon Tabuashvili, Leri Tavadze, Akaki Chikobava, Natia Phiphia, Emil Avdaliani etc. <http://geonumismatics.tsu.ge/en/>.

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Distorted Greek abbreviation for – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – “the Holy Virgin”, to l. and r. from nimbus. Greek legend – ΜΡ ΘΥ – appears sometime.

Reverse: Marginal Georgian legend –

ተገርፅገገገርቀደኑርፅርተጋሩገኑጎርፅቀገ – “Christ, exalt Giorgi, the king of the Abkhasians and the Kartvelians” (i.e. the Eastern and Southern Georgia). In the centre – ፅር/ፍኑጎ/ፀጎ – “and Nobilissimos”.

St. Virgin Blachernitissa type coins – Giorgi II’s second emission.

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Distorted Greek abbreviation for – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – “the Holy Virgin”, to l. and r. from nimbus. Some specimens have different legend – ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – “St. Virgin Blachernitissa”.

Reverse: Marginal Georgian legend –

ተገርፅገገገርቀደኑርፅርተጋሩገኑጎርፅቀገ – “Christ, exalt Giorgi, the king of the Abkhasians and the Kartvelians”. In the centre – ፅር/ጎገኑ/ፀጎ – “and Sebastos”.

St. Virgin Blachernitissa type coins – Giorgi II’s third emission.

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Distorted Greek abbreviation for – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟC – “the Holy Virgin”, to l. and r. from nimbus. Some specimens have different legend – ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – “St. Virgin Blachernitissa”.

Reverse: Marginal Georgian legend –

ተገርፅገገገርቀደኑርፅርተጋሩገኑጎርፅቀገ – “Christ, exalt Giorgi, the king of the Abkhasians and the Kartvelians”. In the centre – ፅር/ሩጎጎር/ጋጎጎ – “and Caesaros”.

St. Virgin Blachernitissa type coins – David IV’s (king of Georgia in 1089-1125) first emission.

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Greek legend – ΜΡ – ΘΥ, to l. and r. from nimbus.

Reverse: Marginal Georgian legend – ...**ქრისტე**... “Christ, exalt David, the king of the Abkhasians”. In the centre – **სეპოსტოს** “and Sebastos”.

St. Virgin Blachernitissa type coins – David IV’s second emission.

Obverse: Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Greek legend **ΜΡ – ΘΥ**, to l. and r. from nimbus.

Reverse: Cross in the center and marginal Georgian legend – **ქრისტე**... – “Christ, exalt David, the king and Sebastos (?)”.

The **third emission** of David IV is different from the previous issues. St. Virgin Blachernitissa type disappears and the Georgian monarch is in Imperial dress.

Obverse: Bust of a king in Imperial coat – wearing stemma (Imperial crown with cross and the pendants), divitision and chlamys; holds in right hand scepter cruciger, and in left, globus cruciger. And Georgian legend – **დავით** – “king David”.

Reverse: Cross in a centre and marginal Georgian legend – **ქრისტე**... – “Christ, David the king of the Abkhasians, Kartvelians, Ranians, Kakhetians, Armenians” (Rani and Kakheti are very Eastern provinces of Georgia).

Indeed, in the Greek inscription on the icon preserved at Mount Sinai David IV is mentioned as Basileus. He is also Autokrator according to the Georgian records. All his successors up to the end of 15th c. are the Autokrators as seen in coinage.

Coins of Giorgi III (1156-1184) show him in Imperial stemma.

Obverse: Giorgi III in Asian-Byzantine dress. Seated cross-legged, facing. His left (sometimes right) hand rests on his thigh, on another hand up lifted sits a falcon. King wears stemma. Georgian Mkhedruli letters for the name of Giorgi (**გიორგი**, sometimes monogram of **ΓΓ** is added to it) and Asomtavruli legend **გიორგი**, in the K’oronikon 394 (=1174).

Reverse: Arabic legend in three lines: King of the Kings Giorgi, son of Demetre, sword of the Messiah.

Coins of Giorgi IV (1210-1222) show him in Imperial dress.

Obverse: King standing, facing, wearing stemma, with labarum in his right hand and anexikakia, a roll of parchment, wrapped in cloth and filled with dust, a symbol of mortality, in left. Fragments of Asomtavruli legend to both sides of the depiction: ႢႢႡႢ/ႢႡႢႢ/.../.../...Ⴂ Giorgi, son of Tamar ... 30, i.e. in the K’oronikon 430 (=1210)

Reverse: Arabic legend in rosette made up of four leaves: in the year 606 (=1209/1210). Second Arabic legend in segments between the leaves: King of the Kings Giorgi, son of Tamar, sword of the Messiah. Circle around.

Coins of co-rulers, David VI Narin and David VII Ulugh (midst of the 13th) show the same picture.

Obverse: Labarum in the centre and the kings’ effigy in Imperial coat on the both sides. On the left and right, Georgian Asomtavruli legends placed vertically ႢႡႢႢ, ႢႡႢႢ – “King David” and “King of the Kings David”.

Reverse: St. Virgin seated upon a throne like on the Imperial issue of Michael VIII Palaeologus, and corresponding Georgian legend on the left and right: ႢႢႢႢ ႢႢႢႢ ႢႢႢႢ.

Georgian imitations of Trapezuntine aspers (13th-15th cc.) keep the effigy of stemma within the limits of Georgian culture. This especially interesting period of the Georgian numismatics came to an end in 1453-1461.